



ქართული  
ემიგრაცია



3(6) / 2015

გრიგოლ როგავაძის სახელობის უნივერსიტეტის  
ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

გიორგი მაჩაბლის ფონდი

ქართული  
ემიგრაცია

თბილისი  
2015

უაკ (UDK) 3252 (=353.1)  
ქ-279

გარეკანის დიზაინი: პაატა ნაცვლიშვილი

**ISSN 1987-9687**

ქართული  
ემიგრაცია

3(6) / 2015

სარედაქციო  
კოლეგია:

ოთარ ჯანელიძე  
რედაქტორი

ლაშა ბაქრაძე  
რუსუდან დაუშვილი  
მალხაზ მაცაბერიძე  
პაატა ნაცვლიშვილი

# შინაარსი

## ქართული ემიგრაციის ისტორია

მიხეილ ბახტაძე / პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია.....	7
მარიამ ხატიაშვილი / ამერიკელი პარფიუმერის პრინცი მაჩაბელის ასახვა 21-ე საუკუნის კანადურ და ამერიკულ ლიტერატურაში .....	21
ოთარ ჯანელიძე / ქართული ემიგრაციის თურქული ფურცლები (1921-1924 წლები).....	24
ავთანდილ ნიკოლეიშვილი / იასე მეხუზლა (რაჭველი) – თურქეთში მოღაწე პუბლიცისტი.....	37
მარიამ მარჯანიშვილი / ლეო ჭეიშვილი – „არგენტინელი“ ქართველი.....	46
ნათია კობახიძე / გრიგოლ რობაქიძე გიგო დიასამიძის შესახებ .....	53

## ქართული ემიგრაციის ეპისტოლური მემკვიდრეობა

რეზო გაბაშვილის წერილები შალვა ამირეჯიბს მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის / ლალი ცომაიას პუბლიკაცია.....	59
გრიგოლ დიასამიძის წერილები შალვა ამირეჯიბს მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის / ლალი ცომაიას პუბლიკაცია.....	123
ლადო ბელიაშვილის არქივში დაცული ორი წერილი / მაია ცერცვაძის პუბლიკაცია .....	148

## ქართული ემიგრანტული მემუარისტობა

ირაკლი ცაგურია, საქართველო გოლგოთის გზაზე / მაია ვარსიმაშვილი-რაფაელის პუბლიკაცია.....	156
რაჟდენ არსენიძის მოგონება იოსებ სტალინზე / გურამ ყორანაშვილის პუბლიკაცია .....	178
ქართველი ტყვეები და ქართული ემიგრაცია (შოთა თარხნიშვილის ჩანაწერების მიხედვით) / სოფიკო ჯერვალაძის პუბლიკაცია .....	194

## ქართული დიასპორის სოციოლოგია

ბადრი ქუთელია, გრიგოლ კალანდაძე / დიასპორების ტრანსფორმაციული პოტენციალი (საბერძნეთის ქართული დიასპორის მაგალითი).....	219
ახალი წიგნები ემიგრაციაზე.....	253
ქრონიკა.....	254
წურნალის ავტორები.....	255

## მიხეილ ბახტაძე

### პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია

1918-1921 წლებში ქართულ შეიარაღებულ ძალებში მრავალი თავდადებული ოფიცერი მსახურობდა. მათ შორის იყო პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურიაც.

ირაკლი ბესარიონის ძე ცაგურია მსახურობდა 1915 წელს პრაპორშჩიკის წოდებით დაამთავრა პეტროგრადში<sup>1</sup> მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი (სასწავლებელში სწავლა სამწლიანი იყო. ამიტომ ცაგურია 1912 წელს უნდა გამხდარიყო სასწავლებლის იუნკერი). სამხედრო სამსახური მან კავკასიის ფრონტზე განაგრძო, კავკასიის მე-2 სამთო-საარტილერიო ბატარეაში.

კავკასიის არმიის გენერალ-კვარტირმამისტერი მასლოვსკი ორჯერ მოიხსენიებს ირაკლი ცაგურიას თავის წიგნში – „მსოფლიო ომი კავკასიის ფრონტზე 1914-1917 წწ.“<sup>2</sup> რომელიც 1933 წელს პარიზში გამოიცა. პირველად, როდესაც 1915 წელს სომხების საბრძოლო რაზმების მეთაურებთან გამართულ შეხვედრაზე საუბრობს და იგონებს შეხვედრის მონაწილეებს – „ბრიუსელში, ბელგიაში ცხოვრობდა პოდპოლკოვნიკი ირაკლი ბესარიონის ძე ცაგურია. მაშინ კავკასიის მე-2 სამთო-საცხენოსნო საარტილერიო ბატარეის ახალგაზრდა პრაპორშჩიკი. იმ ხანებში გამოშვებული სამხედრო საარტილერიო სასწავლებლიდან.“ მეორედ, როდესაც აღწერს იმავე წლის 8 მაისს გამართულ აღლუმს. „ჩვენ შორის არიან ახალი მეგობრები. არა კაზაკები, არამედ სამთო არტილერისტები. პრაპორშჩიკი ირაკლი ცაგურია, მაღალი, წერწეტი, ყოველთვის მონესრიგებული, ნამდვილი ქართველი თავადი-მართვე, ჩვენი ბრიგადის ხარუნების<sup>3</sup> ჯგუფის ცენტრში დგას.“

უნდა ვივარაუდოთ, რომ გენერალ-კვარტირმამისტერს პრაპორშჩიკი ცაგურია მხოლოდ სიმაღლისა და მონესრიგებულობის გამო არ დაამახსოვრდა. მთავარი ალბათ ირაკლი ცაგურიას პირადი თვისებები იყო.

1 ასე ეწოდებოდა პეტერბურგს 1914-1924 წლებში

2 Масловски Е.М. Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 гг. [http://grwar.ru/library/Eliseeff-Kazaki/KK\\_04.html?PHPSESSID=d957af7ecb2039793abec1e767dde069](http://grwar.ru/library/Eliseeff-Kazaki/KK_04.html?PHPSESSID=d957af7ecb2039793abec1e767dde069)

3 ხორუნუი, სამხედრო ნოდება, შეესაბამებოდა პოდპორუჩიკს.



1916 წელს ირაკლი ცაგურია სპარსეთის ფრონტზე იმყოფება. როგორც ჩანს ის გენერალ ბარათოვის<sup>4</sup> საექსპედიციო კორპუსში იბრძოდა. აქ მან ორჯერ გამოიჩინა თავი.

14 ნოემბერს კავკასიის მე-2 სამთო-ცხენოსანი ბატარეის ოცეულის მეთაურობის დროს ნამაკურომთან (სპარსეთის ფრონტზე) ბრძოლისას გავიდა რა ღია პოზიციაზე, გაუხსნა ცეცხლი მოწინააღმდეგეს და ზუსტი სროლით ჩაწუმა მტრის ბატარეა. ამ თავდადებისთვის დაჯილდოვდა გიორგის იარაღით (Георгиевское оружие).

19 დეკემბერს შტაბს-კაპიტანი ცაგურია, იმყოფებოდა რა პოლკოვნიკ ბიჩერახოვის<sup>5</sup> რაზმში და მეთაურობდა კავკასიის მე-2 სამთო-ცხენოსანი ბატარეის ოცეულს, ექვსი კაზაკის თანხლებით თამამად შეიჭრა თურქული კავალერიის მიერ დაკავებულ ქვლაქ დოვლეთ-აბადოსში. გაიჭრა ბაღდადის გზაზე და კარტეჩით მოიგერია მოწინააღმდეგის ესკადრონის შემოტევა. დარჩა რა ღია პოზიციაზე, ორი თურქული ბატარეის გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ, ფეხში დაჭრილი ცაგურია არ ტოვებდა თავის ქვედანაყოფს და პირადად ხელმძღვანელობდა მას. რაზმის მთავარი ამოცანა სწორედ დოვლეთ-აბადის დაკავება იყო, რითაც კორპუსის მთავარ ძალებს ჰამადანის მიმართულებაზე მოქმედება უადვილდებოდათ. ამ ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის შტაბს-კაპიტანი ცაგურია წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა<sup>6</sup>.

ირაკლი ცაგურიას პირადი თვისებები კარგად გამოჩნდა 1917 წელს პეტროგრადში მომხდარი ამბოსას.

1917 წლის ზაფხულში შტაბს-კაპიტანი ცაგურია მივილინებით პეტროგრადში გაიგზავნა. აქ მან მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკების ამბოხების ჩახშობაში. ირაკლი ცაგურიას მოქმედებას პეტროგრადში 1917 წლის 17 ივლისს, დანვრილებით აღწერს ბორის ნიკიტინი<sup>7</sup> თავის ნიგნში „საბედისწერო წლები“,<sup>8</sup> რომელიც 1937 წელს პარიზი გამოიცა.

1917 წლის ივლისში რუსეთის იმპერიის დედაქალაქში არსებული მძიმე ვითარება კიდევ უფრო გაართულა ე.წ. „კერენსკის შეტევის“<sup>9</sup> ჩაშლამ, ხოლო პეტროგრადის გარნიზონისათვის ფრონტზე გაგზავნის ბრძანების მიცემამ ჯარისკაცების

4 გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ბარათოვი 1915-1917 წლებში მეთაურობდა სპარსეთში მოქმედ საექსპედიციო კორპუსს. 1919 წელს იყო გენერალ დენიკინის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში. 13 სექტემბერს ვერის დაღმართზე მასზე და საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრ გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძეზე განახორციელდა თავდასხმა. ავტომანქანას, რომელშიც გენერლები ისხდნენ ბოლშევიკმა არკადი ელბქიძემ ყუმბარა ესროლა. ბარათოვი ფეხში დაიჭრა (შემდგომ გაუკეთდა ამპუტაცია), ოდიშელიძე სახეში. 1920 წელს ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში.

5 პოლკოვნიკი ლაზარ ბიჩერახოვი

6 სათანადო წყარო მოგვანოდა ბატონმა პაატა გიგაურმა. ამ და სხვა ინფორმაციების მოწოდებისთვის დიდ მადლობას ვუხდით მას.

7 ბორის ნიკიტინი (1883-1943), 1917 წლის მარტიდან იყო პეტროგრადის სამხედრო ოლქის კონტრ-დაზვერვის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ივნისიდან – ამავე ოლქის გენერალ-კვარტირ-მაისტერი, ხოლო ივლისში გენერალური შტაბის სადაზვერვო განყოფილების უფროსი.

8 ნიკიტინი Б. В. Рокосые годы. <http://wiki.dk1868.ru/history/nikitin4.htm>

9 რუსეთის ჯარების შეტევა 1917 წლის ივნისში. ძირითადი შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე უნდა განხორციელებულიყო ლოვის მიმართულებით. მთავარი დარტყმის მხარდასაჭერად იერიშები უნდა დაეწყოთ ჩრდილოეთის, დასავლეთისა და რუმინეთის ფრონტებსაც. დაგეგმილი ოპერაცია კატასტროფული მარცხით დამთავრდა. რუსეთის არმიამ დაღუპულების, დაჭრილებისა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა სახით 60 ათასამდე კაცი დაკარგა.

უკმაყოფილებაც გამოიწვია. ქალაქში დროებითი მთავრობის სანინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო. 17 ივლისს დემონსტრაციაზე 500 ათასამდე კაცი გამოვიდა. მათი ნაწილი შეიარაღებული იყო. ფაქტობრივად ყველაფერი მზად იყო სახელმწიფო გადატრიალებისთვის. დააპატიმრეს მინათმოქმედების მინისტრი ჩერნოვი. იყო მინისტრ ირაკლი წერეთლის დაკავების მცდელობაც. დროებითი მთავრობის ნაწილი გადადგა, ნაწილი კი ბედს მინდობოდა. განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყო თავრიდის სასახლესთან, სადაც პეტროგრადის დეპუტატთა საბჭო იყო შეკრებილი. სასახლეში იმყოფებოდა ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ბორის ნიკიტინიც. პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალმა გენერალ-მაიორმა პიოტრ პოლოვცოვმა ცხენოსანი არტილერიის პოლკის უფროსს პოლკოვნიკ რეზინდერს თავრიდის სასახლესთან მყოფი ბრბოს წინააღმდეგ კაზაკთა ასეულისა და ორი ზარბაზნის გაგზავნა უბრძანა.

აი, როგორ აღწერს მოვლენათა შემდგომ განვითარებას ნიკიტინი: „სასახლის მოედნიდან რაზმი ჩორთით მოდიოდა, როდესაც მოულოდნელად ლიტვინისა და შპალერნაიას ქუჩების კუთხეში, ლიტვინის ხიდეზე ფინეთის პოლკის ჯარისკაცების მიერ დადგმული ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. კაზაკები მიმოიფანტნენ. შეგინძნავს, მსგავს სიტუაციაში სხვანაირად მოქცევა შეუძლებელი იყო. ქუჩაში, ტყვიამფრქვევის პირდაპირი ცეცხლის ქვეშ პირდაპირი შეტევა მცირერიცხოვანი მხედრებისთვის უიმედო საქმეა. რჩება ერთადერთი რამ, დაიძაბო მოფარებულ ადგილებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქუჩებში, სახლების უკან. იმავე წუთს ორივე ქვემეხი გაჩერდა და კაზაკებმა მათი სასროლად გამზადება დაიწყეს. ერთ ქვემეხს ალყა შემოარტყეს აჯანყებული 1-ლი სარეზერვო პოლკის ჯარისკაცებმა. მეორემ, ზურგში მოკლული მხედრით, ლიტვინიდან გაასწრო. ამ ქვემეხიდან სამი გასროლა განხორციელდა. მას მოხალისე შტაბს-კაპიტანი ცაგურია მეთაურობდა. ცხენოსანი არტილერიის შტაბს-კაპიტანი ცაგურია კავკასიიდან მივლინებით იყო ჩამოსული, პეტროგრადში შემთხვევით მოხვდა. მან თავად გამოთქვა სურვილი რაზმს წაყოლოდა. რამდენადაც ვიცი ამჟამად ბელგიაში ცხოვრობს.

პირველი გასროლისთვის ცაგურიამ, რომელიც მარტო დარჩა ჯარისკაცების გარეშე, ქვემეხი თავად გატენა ხელში მოხვედრილი პირველივე ჭურვით. ესროლა ორასი ნაბიჯის მანძილზე მყოფ ჯარისკაცების ჯგუფს, რომლებიც პირველი ქვემეხის ირგვლივ იყვნენ შეკრებილი. ჭურვი ზუსტად მოხვდა მიზანს და მოწინააღმდეგეს, რომელიც გაიფანტა, სერიოზული ზარალი მიაყენა. ამ დროს ცაგურიასთან მისიანებმა მიიზრინეს: გვარდიული სარეზერვო ბატალიონის ქვეიასაულმა ფილიმონოვმა და ვახმისტრმა<sup>10</sup>. მეორე გასროლით ცაგურიამ ჭურვი ჰოჩკისის<sup>11</sup> ქვემეხების მიმართულებით განახორციელა, რომლებიც მას მდ. ნევას ჩრდილოეთ ნაპირიდან ესროდნენ. ბოლო მესამე ჭურვი კშესინსკების<sup>12</sup> სახლის წინ აფეთქდა. იქ უკვე გამოცხადებული იყო ახალი მთავრობა ლენინისა და რომალის (sic) მონაწილეობით. ფანჯრებთან მომხდარმა აფეთქებამ ბოლშევიკებს დაანახა, რომ ჩვენ არა მარტო ვარსებობთ არამედ აქტიურადაც ვმოქმედებთ. ამ ეპიზოდის დროს რაზმმა

10 ვახმისტრი, სამხედრო წოდება

11 ჰოჩკისი (Hotchkiss et Cie) ფირმა, რომელიც სხვადასხვა სახის იარაღს ამზადებდა. მათ შორის რამდენიმე კალიბრის ქვემეხებსაც. აქ ალბათ იგულისხმება 47 მმ-იანი ქვემეხი.

12 იგულისხმება ცნობილი ბალერინას მატყლიდა კშესინსკაიას სახლი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბალერინამ ეს სახლი დატოვა და ის თვითნებურად დაიკავეს ჯარისკაცებმა, ხოლო შმდეგ ბოლშევიკებმა.

დაკარგა 6 მოკლული და 25 დაჭრილი. ცაგურამ დაიბრუნა მეორე ქვემეხიც და ნელ-ნელა ხალხიც შემოიკრიბა. ამით რაზმის საბრძოლო მოქმედება დამთავრდა ... რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა იმ ადგილის ჩამოთვლა სადაც ცალკეული შეტაკებები იყო ... ცხრა საათზე მოვიდა<sup>13</sup> გულადი ცაგურია, მაგრამ მხოლოდ ის მთელი რაზმიდან. ის ნამდვილად „მოვიდა რადაც არ უნდა დაჯდომოდა“ („**ДОШЕЛ ВО ЧТО БЫ ТО НИ СТАЛО**“). ტყვიებისგან ხმლის ვადა მომძვრალი ქონდა, ქუდი და ტანსაცმელი რამდენიმე ადგილზე გახვრეტილი. განწყობა შესანიშნავი, ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ მოხვედრის შემდეგ კი ამაღლებულიც. ის საბჭოების პირველივე შემხვედრ დეპუტატებს დაეძგერა და მათი გაშველება მომინია. მთელი რაზმიდან ცაგურიას თან ახლდნენ დანილა და პიოტრ პესტრეცოვები. ორი ძმა, დონის კაზაკთა 1-ლი პოლიდიდან ... გადამწყვეტ მომენტში ბრბო შეყოვნდა. შეიძლება დავუშვათ, რომ რაღაც ეტაპამდე მათ ბუტაფორული შაშხანები აჩერებდა, რომლებსაც სასახლის კარებებიდან დავანახებდით ხოლმე. სავარაუდოა, გარკვეული გავლენა იქონია, მაგრამ არა სასახლესთან, არამედ კმესინსკების სახლში შეკრებილ ხელმძღვანელებზე, ლიტინის ხიდთან განხორციელებულმა მანევრმა, უფრო ზუსტად ცაგურიას გასროლებმა.“

მოთხრობილი ამბავი კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებს ირაკლი ცაგურის სიმამაცეს, გამბედაობასა და გამჭრიახობას.

1918 წლიდან ირაკლი ცაგურია ქართული სახელმწიფოს სამსახურშია. როგორც მისი ერთი წერილიდან ირკვევა, მონაწილეობას იღებდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში და ბათუმთან მომხდარი შეტაკებისას დაიჭრა კიდევ.

სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის 1918 წლის 12 სექტემბერის №538 ბრძანების თანახმად – „დათხოვნილია საარტილერიო ჯარის თადარიგში, თბილისის მაზრაში – მე-3 საარტილერიო დივიზიონის მე-3 ბატარეის უფროსი (ყოფილი სამთო ცხენოსანი ბატარეის უფროსი) – მაიორი ცაგურია ირაკლი, მუნდირის ტარების უფლებით.“<sup>14</sup>

ირაკლი ცაგურია მალევე დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს. 1918 წლის დეკემბერში ის აქტიურად მონაწილეობს სომხეთთან ომში, როგორც სამთო-ცხენოსანი საარტილერიო ბატარეის უფროსი. აქ მან კიდევ ერთხელ გამოავლინა შენაერთის კარგი ხელმძღვანელობის უნარი და საოცარი პირადი ვაჟაყაცობა.

ირაკლი ცაგურიას ბატარეა გენერალ-მაიორ გიორგი წულუკიძის ხელმძღვანელობით მოქმედ ქვედანაყოფში შედიოდა. ეს შენაერთი, ომის დაწყების პირველივე დღეებიდან, მძიმე თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა გაცილებით მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სადგურ სადახლოსთან მიმდინარე ბრძოლა. შექმნილი ურთულესი ვითარების გამო გენერალმა წულუკიძემ 21 დეკემბერს 23 საათსა და 30 წუთზე უკან დახვევის ბრძანება გასცა<sup>15</sup>.

აი, როგორ აღწერდა გაზეთი „სახალხო საქმე“ ქართველი არტილერიისტების უკანდახვევას 22 დეკემბერს: „ყველაზე მეტად გაჭირვება გამოველო არტილერიისტებს და მათ რაზმს. ბრძოლა ზარბაზნებით 5 საათამდე გაგრძელებულიყო და

13 იგულისხმება თავრიდის სასახლე, სადაც პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს დეპუტატებიც იყვნენ.

14 სათანადო წყარო მოგვანოდა ბატონმა პაატა გიგაურმა.

15 ჩაჩხიანი ა., დაშნაკია ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ., 2007, გვ. 348.

როდესაც პოლკ. ცაგურიას და ქარუმიძეს შეეცყოთ, რომ ყუმბარები ელეოდათ, წინდანიწვე გამოეგზავნათ სამი ზარბაზანი, ხოლო ბოლომდე იქ ერთი ზარბაზანი დაეტოვებინათ. მაშინ, როცა საჭირო იყო შრაპნელით მოქმედება მოსულ მტერზე, უკმარისობის გამო, გრანატებს ესროდნენ. როდესაც ქარუმიძეს უნახავს საშიში მდგომარეობა ცაგურიასი, ისიც შეშვლებია, ერთად შეკუმშულან 80 მეომარი პ. ცაგურიას მეთაურობით და მგლის ხროვასავით გარს შემორტყმული მტრისთვის თავზარდამცემი შეჭყვილებით ჰკვეთებინან. პოლკ. ცაგურიას მიუგდია ცხენი მოიერიშე სომხებზე, გაუკაფავს ხმლით რამდენიმე კაცი და ასე ბრძოლით უვნებლად გამოსულან სამშვიდობოზე. დაჭრილა ცაგურია ბარძაყსა და ხელში ხიშტით.<sup>16</sup>

მიუხედავად ჭრილობებისა, ირაკლი ცაგურიას საბრძოლო მოქმედებები არ შეუწყვეტია. 30 დეკემბერს ის თავის ბატარეასთან ერთად ბოლნის-ხაჩინის მიმართულებაზე მებრძოლ ქართულ შენაერთებს უერთდება.<sup>17</sup>

საგაზეთო სტატიაში ირაკლი ცაგურია პოლკოვნიკის ნოდებით მოიხსენიება. თუმცა აქ სტატიის ავტორს სავარაუდოდ უზუსტობა მოსდის. პოლკოვნიკობა ირაკლი ცაგურიას მოგვიანებით მიენიჭა. სამხედრო მინისტრის 1919 წლის 1 ივნისის №546 ბრძანების თანახმად – „მიენიჭება პოლკოვნიკის სახელწოდება უფროსობით საარტილერიო ჯარში, თანახმად მრავალწამებულ და ძლევამოსილ წმ.გიორგის ორდენის სტატ. მე-49 მუხლისა – სამთო-ცხენოსანი ბატარეის უფროსი პოდპოლკოვნიკი ცაგურია ირაკლი ამ წლის 31 მარტიდან.“<sup>18</sup>

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ შევძელით დაგვედგინა ირაკლი ცაგურიას სამხედრო სამსახურის სხვა კონკრეტული დეტალები 1919-1920 წლებში.

1921 წელს კი ის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის. თბილისთან მიმდინარე ბრძოლის დროს, 24 თებერვალს მე-11 არმიის სარდლობამ ქართული შენაერთების მარცხენა ფრთის შემოვლა განიზრახა. ამ მიზნით საბჭოთა მე-18 საკავალერიო დივიზიამ სოფლების: ლილოსა და ნორიის გავლით ავჭალაზე იერიში სცადა. პოლკოვნიკმა ირაკლი ცაგურიამ საკუთარი ინიციატივით კონტრშეტევა განახორციელა და ნითლების ეს მანევრი ჩაშალა.

ქართული კავალერიის ეს კონტრშეტევა ირაკლი ცაგურიამ თავად აღწერა აკაკი კვიციანიშვილისადმი<sup>19</sup> გაგზავნილ პირად წერილში. ეს წერილი ჩვენ მოგვანოდა და მის ნაკითხვაში დაგვეხმარა საფრანგეთში მოღვაწე ისტორიკოსი გიორგი მამულია, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

16 ჩაჩხიანი ა., დამნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ., 2007, გვ. 367.

17 ჩაჩხიანი ა., დამნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ., 2007, გვ. 368.

18 სათანადო წყარო მოგვანოდა ბატონმა პაატა გიგაურმა.

19 აკაკი კვიციანიშვილი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა კაპიტნის ჩინით. 1918 წლიდან ქართულ ჯარშია. იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ. 1919 წელს არდაგანის დაკავების შემდეგ იყო ამ ქალაქის გარნიზონის უფროსი. 1920 წლიდან გადავიდა გვარდიაში. 1921 წლის თებერვალში იყო გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის უფროსი. მისი ბატალიონი იცავდა ფოილოს ხიდს. 16 თებერვალს მე-11 არმიის შეტევის დაწყების შემდეგ ააფეთქა ხიდი და დღის ბოლომდე ახერხებდა მონაწილეობას შეკავებას. უკან დაიხია მთავარსარდლის ბრძანების შემდეგ. თბილისთან ბრძოლის დროს მისი ბატალიონი იმყოფებოდა ორხევის მიმართულებაზე. 24 თებერვალს სალამოს განახორციელა კონტრშეტევა (ხენაკისა და ზუგდიდის ბატალიონებთან ერთად) და დაიბრუნა დღისით დაკარგული პოზიციები, შეძლო ფრონტის აღდგენა. 1921 წელს არ წასულა მოივრაციაში, მაგრამ რადგან საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ღვენას განიცდიდა, მოგვიანებით მაინც იძულებული გახდა დატოვებინა სამშობლო.

წერილი, ცხადია, სუბიექტურია და წარმოადგენს ირაკლი ცაგურიას პირად მოსაზრებასა და ვითარების მისეულ ანალიზს. ავტორი ძალიან კრიტიკულია ცალკეული პიროვნებების მიმართ და ზოგჯერ არცთუ სასიამოვნო გამოთქმებს იყენებს. ჩვენ ბევრს ვფიქრობდით დაგვეტოვებინა ეს ადგილები ტექსტში თუ არა. გადავწყვიტეთ, რომ ეს მცირე ფრაგმენტი ამოგველო. ჩვენთვის ირაკლი ცაგურია პირველ რიგში საინტერესოა და დასაფასებელი, როგორც სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი თავდადებული ოფიცერი. მისი დამოკიდებულება სხვადასხვა პიროვნებისადმი კი ამ შემთხვევაში მთავარი არაა. გასათვალისწინებელია, ის ზოგადი სამწუხარო ფაქტიც, რომ ემიგრაციაში მყოფი პირველი რესპუბლიკის მოღვაწეები, თითქმის ყველანი, ძალიან მკაცრად და აგრესიულად აკრიტიკებდნენ ერთმანეთს.

წერილის დასაწყისში ირაკლი ცაგურია წერს, „ძვირფასო მამულშვილო, მივიღე თქვენი წერილი. რაც შეეხება ჩვენ ცხენოსან ჯარს, ის იყო მოფარებული დიდ-ლილოსთან. გოგი ხიმშიაშვილი<sup>20</sup> გადაყენებული ბრიგადის უფროსობიდან მთავარსარდლის ბრძანებით წასული გახდათ თბილისში. ბრიგადის უფროსად დანიშნული გახდათ არმიის პოლკის უფროსი სიღამონ-ერისთავი, დღეს ბოლშევიკების ერთგული მონა. გოგი ხიმშიაშვილი გადაყენებული გახდათ გენ. კვინიტაძის მიერ ... მშობარა, დაბნეული ერისთავი გამოდგა უინიციატივო ოფიცერი. სურათი იყო ამდევგი, რომ უფრო სწორად გადმოგვიცის რაც მოხდა დავენერ რუსულად.“ ის რა დაწერა მან რუსულად: „24 თებერვალს ცხენოსანი ბრიგადა (სახალხო გვარდიის პოლკი და არმიის) სოფელ დიდ-ლილოსთან იდგა. გიორგი ხიმშიაშვილის წასვლის შემდეგ, მე როგორც უფროსი პოლკოვნიკი ავტომატურად პოლკის მეთაური გავეხდი. სადილის შემდეგ, ჩვენი მზვერავებისგან (разведков) შევიტყვეთ, რომ წითლების ცხენოსანი კოლონები ნისქილიდან შორიახლოს, დიდი ლილოს შემოვლით ავჭალისკენ მიდიოდნენ. ინფორმაცია სასწრაფოდ ეცნობა ბრიგადის შტაბს, ხოლო პოლკს ებრძანა სასწრაფოდ დაძრულიყო, რათა ბოლშევიკებისათვის ავჭალის დაკავებაში ხელი შეეშალა. გადავწყვიტე, საბჭოთა კავალერიის თამამ მანევრზე ჩვენი საკავალერიო იერიშით მეპასუხა. პოლკოვნიკი ერისთავი ისე დაიბნა, რომ მისი დახსნა საცოდაობა იყო. აზერბაიჯანში სამსახურის დროს, ძლივს გადაუჩა სისხლიან ჩეკისტებს და ეს ფსიქოლოგიური დათრგუნვა არ ტოვებდა. დიდი ლილოს შორიახლოს სახალხო გვარდიის პოლკი თავის ბელადს ვალიკო ჯუღელს შეხვდა, რომელსაც თან

20 პოლკოვნიკი გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1916 წელს იყო გენერალ დავით ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ქართველ ცხენოსანთა ათასეულის წევრი და მონაწილეობა მიიღო სპარსეთის ფრონტზე განხორციელებულ ცნობილ რეიდში (სპარსეთიდან მესოპოტამიაში). 1918 წელს მონაწილეობდა სომხეთთან ომში, ხოლო 1919 წელს სამხედრო ოპერაციებში აფხაზეთში თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. 1921 წლის თებერვალში, რუსეთთან ომის დაწყების წინ ის სომხეთთან საზღვრის ერთ-ერთ მიმართულებას (ბოტაქორის მთა) იცავდა. 1921 წელს არ წავიდა ემიგრაციაში, დარჩა საქართველოში. იყო ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზადებლად შექმნილი „სამხედრო ცენტრის“ წევრი. სხვებთან ერთად ისიც დააპატიმრეს და დახვრეტა მოუსაჯეს. როდესაც 1923 წლის 20 მაისს პატიმრები გამოიყვანეს და საბარგო მანქანაში ჩასვეს, გოგი ხიმშიაშვილმა გენერალ კოტე აფხაზისა და მაიორ დიმიტრი ჩრდიელის დახმარებით ხელები გაიხსნა, ბადრაგს იარაღი წაართვა და მანქანიდან გადახტა. სამწუხაროდ გადახტომისას რევოლვერი გაუვარდა ხელიდან. ცხენოსნები დაედვენენ, სროლისას ფეხში დაჭრეს. ორმა ჯაღათმა ამიროვმა და აბაზოვმა დაცხრილეს და 31 წლის პოლკოვნიკი გოგი ხიმშიაშვილი წინასწარ გამზადებულ ორმოში ჩააგდეს. ეს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე მოხდა.

პოლკოვნიკი კარგარეთელი<sup>21</sup> ახლდა – სახალხო გვარდიის ბატარეამ დიდი ლილოს მახლობლად მიგვატოვა და ერთი ყუმბართაც კი არ დაგვეხმარა – მათმა მეთაურმა (ყანჩელმა ?) სასწრაფოდ უკან დაიხია. ის ძალიან ცუდი პიროვნებაა და დამატებით დიდი ლაჩარიც. ცხენოსანი ბატარეის არყოფნა მძაფრად იგრძნობოდა. მალეობიდან, სადაც ჩვენი ბელადი ვალიკო ჯუღელი იდგა, შესანიშნავად ჩანდა ბოლშევიკების კავალერიის მოძრაობა. მისი ავანგარდი უკვე სოფელ ნორიოში შედიოდა – როგორც შემდეგ გაირკვა, მენინავე რაზმები (разряды) უკვე ავჭალაში იყვნენ. ბევრი არ მიფიქრია. ნებართვა ვალიკო ჯუღელს ვთხოვე, ამოვარჩიე ორი საუკეთესო ესკადრონი, 1-ლი და მე-4 და ისე, რომ ერისთავისთვის ნებართვაც არ მითხოვია, ჩორითი დავეშვი ნისქვილისკენ, რათა ჟლობას<sup>22</sup> არიერგარდისთვის შემეგტია. ჩემი მანევრი ნათლად ჩანდა და ის წითელმა სარდლობამ შეამჩნია. სოფელ ნორიოსთან დავენიე ბოლშევიკებს, მაგრამ სამწუხაროდ იერიშის დასაწყისშივე დავიჭერი თოფის ტყვიით. ჟლობა დაიბნა. მას როგორც ჩანს ყირიმის ისტორიის გამოვრების შეეშინდა, როდესაც მისი ცხენოსანი კორპუსი გენერალ ვრანგელის კავალერიამ გაანადგურა<sup>23</sup>. ის ალბათ ფიქრობდა, რომ ჩვენი კავალერიაც ასეთივე ბედს უმზადებდა – მიატოვა ავჭალა, მთელი ცხენოსანი მასა სოფელ ნორიოსთან შეკრიბა და ჩამოაქვეითა. ჩვენ სარდლობას უნარი რომ გამოეჩინა ტფილისიდან ავჭალაზე გამოიყვანდა ძლიერ ქვეით ნაწილებს. ერისთავის ნაცვლად, რომ ენერგიული უფროსი ყოფილიყო, ჟლობა კატასტროფაც ვერ გადაურჩებოდა. გენერალ კვინიტაძის შტაბი დაიბნა, შეიტყუო რა ქართული გენერალური შტაბის პოლკოვნიკ გედევანიშვილისგან [ჟლობას მანევრის შესახებ], რომელიც მთავარსარდლად<sup>24</sup> დაინიშნა მეორე მხდლის, გენერალ ჯიჯიხიას<sup>25</sup> ადგილზე. ჟლობას კავალერიის შემოვლითმა მანევრმა გენერალი კვინიტაძე აიძულა ტფილისი დაეტოვებინა – ეს შემოვლითი მანევრი უვნებელყოფილი იყო ჩვენი მამაცური შეტევით. გენერალ კვინიტაძის ადგილზე [სხვას], მეკვშირე ოფიცრად რომ არ ყოლოდა დამფრთხალი გედევანიშვილი და ერისთავის ადგილზე ენერგიული უფროსი [ყოფილიყო], მე ვამტკიცებ, ნორიოს-

21 სახალხო გვარდიის არტილერიის მეთური.

22 დიმიტრი ჟლობა. წითელი კავალერიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეთაური. 1918-1920 წლებში მონაწილეობდა ბრძოლებში გენერალ კრასნოვის, ნესტორ მახნოსა და გენერალ ვრანგელის წინააღმდეგ. საქართველოსთან ომში თავის გამოჩენისათვის დააჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით. 1923 წელს თავი დაანება სამხედრო სამსახურს. 1937 წელს დააპატიმრეს და ერთი წლის შემდეგ დახვრიტეს.

23 ეს 1920 წლის 2-3 ივლისს მოხდა ჩრდილოეთ ტაერიაში.

24 პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი გენერალმა გიორგი კვინიტაძემ 24 თებერვალს დიდი ლილო – ნორიოს მიმართულების სარდლად დანიშნა. გენერალური შტაბის უფროსისი გენერალ ალექსანდრე ზაქარაიძის ცნობით, პოლკოვნიკ გედევანიშვილს დაექვემდებარა: გვარდიის სამი ბატალიონი, მოხალისეები, არმიისა და გვარდიის ცხენოსანი რაზმები.

25 გენერალმა არტემ ჯიჯიხიამ დაწყებითი განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ ტფილისის ოუნიკერთა სასწავლებელში. 1907 წელს დაამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია 1-ლი თანრიგით. პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ პრუსიაში მიმდინარე ბრძოლების მონაწილე. ჩავარდა ტყვედ როდესაც კორპუსი ალყაში მოექცა. 1918 წლიდან ქართულ არმიიაშია. იბრძოდა გაგრის ფრონტზე. საქართველო-სომხეთის ომში მონაწილეობდა პოლკოვნიკის ჩინით. 1919 წელს გენერალ მაზნიაშვილიან ერთად, რომლის შტაბის უფროსიც იყო, იბრძვის ახალციხის მახარაში თურქების წინააღმდეგ. 1921 წელს თბილისის დაცვის დროს მარცხენა ფრთის (ორხევი-ლილო) სარდალი. ემიგრაციაში არ წასულა. დახვრიტეს 1938 წელს.

თან ჟღობა განადგურდებოდა. გვარდიის პოლკში იყო 4 ესკადრონი. თითო-ეულში 80-90 მეზრძოლი და 2, 4 ტყვიამფრქვევი. ესკადრონებში კარგი ხალხი იყო, მაგრამ არა საკმარისად განვრთვნილი. არმიის პოლკს არ ყავდა სრული შემადგენლობის ესკადრონები. მათი ოფიცრების უმეტესობა, ასე ძვირფასი და ახლობელი გენერალ ჩხეიძის<sup>26</sup> გულისათვის, გასაგდები იყო არმიიდან. აი მოკლედ თუ რა მოხდა იმ დღეს – მე დავიჭერი იერიშის დაწყებისას და ამან ხალხზე იმოქმედა. დაიჭრა მხოლოდ სამი კაცი. ჟღობა დაბნეული იდგა მთელი დამე და ადგილიდან დაძვრას ვერ ბედავდა – ტფილისის არც ერთი მატარებელისათვის, რომელიც ავჭალისკენ და უფრო იქით მიემართებოდა არ იყო გახსნილი ცეცხლი, ისე გამაოგნებლად იმოქმედა ჟღობაზე ჩვენმა მანევრმა. რა მოხდებოდა ჩვენ რომ იქ უფრო ენერგიული ვყოფილიყავით და ვითარების გამოყენება შეგძლებოდა, ამის შესახებ პირუთენელი ისტორიკოსი იტყვის. ბოლშევიკების კავალერია ცხენოსანი არტილერიის გარეშე იყო, 2500 კაცის შემადგენლობით. შეიარაღებული ხმლებით, შუბები არ ქონდათ. ცხენსა და ხმალს უკეთ ფლობდნენ, ვიდრე ჩვენი პოლკის მხედრები, რომელთაგან მხოლოდ 1/3 თუ ჩაითვლებოდა ნამდვილ მხედრად. ამ დღეს ბევრი ოფიცერი, ასეულების მეთაურებიც კი, როგორც ლოლუა, ამილახვარი და სხვანი წასული იყვნენ ტფილისში – ორივე ასეული შეტევაში თავის მეთაურების გარეშე მონაწილეობდა. მე მათ სასამართლოს გადავცემდი და დახვერტას მოვითხოვდი, მაგრამ ბედაა სხვა ბედი გვარგუნა.“ წერილს ბოლოში ირაკლი ცაგურიას ქართული ხელმოწერა ახლავს.

პოლკოვნიკ ირაკლი ცაგურიას მიხედვით, წითელ კავალერიას დიმიტრი ჟღობა მეთაურობდა. 24 თებერვალს შემოვლითი მანევრი ავჭალაზე საბჭოთა რუსეთის მე-18 საკავალერიო დივიზიამ განახორციელა, რომლის მეთაურადაც ჟღობა 1 მარტს დაინიშნა. გამოდის, რომ ცაგურას აქ მცირე უზუსტობა მოსდის. ამის მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი – ცაგურიამ იცის, რომ შემოვლითი მანევრი მე-18 დივიზიამ განახორციელა და ისიც იცის, რომ ამ დივიზიას რაღაც მომენტში (ოფიციალურად 1 მარტიდან) ჟღობა მეთაურობდა. დაუკავშირა ეს ორი მომენტი ერთმანეთს და ამიტომ მოუვიდა შეცდომა (შესაძლოა სხვა ვარიანტებიც: შემოვლითი მანევრისათვის შეიქმნა საგანგებო ჯგუფი და საესეებით შესაძლებელია ჟღობას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და სახელმძოხვეჭელ წითელ კავალერისტ მეთაურს მართლაც ესარდლა შემოვლითი მანევრისათვის და არაა აუცილებელი ამ დროს ოფიციალურად ყოფილიყო დივიზიის მეთაური. არც ისაა გამორიცხული, რომ ჟღობა რეალურად ასრულებდა დივიზიის მეთაურის მოვალეობას, რაც ოფიციალურად ანუ ფორმალურად მოგვიანებით გაფორმდა).

ვინ სარდლობდა რუსების შემოვლით მანევრს საინტერესოა, მაგრამ არა გადამწყვეტი. მთავარია, რომ მე-18 დივიზიის სარდლობა დააბნია ცაგურიას შეტევამ. ამას დაემატა ავჭალაში მისული წითელი კავალერიის მენინავე ნაწილების მარც-

26 ალექსანდრე ჩხეიძემ დაამთავრა თბილისი კადეტთა კორპუსი. პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ჯვრით. 1919 წლიდან იყო ქართული სამხედრო სკოლის უფროსის თანაშემწე. 1921 წელს მეთაურობდა სამხედრო სკოლას ტაბახმელას ფრონტზე. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1923 წელს გახდა პრივადის გენერალი. იყო „ქართველ მხედართა კავშირის“ განგეობის წევრი და „ქართველ ოუნკერთა კავშირის“ საპატიო თავმჯდომარე. 1939 წელს წითელი არმიის მიერ ლეოვის დაკაპებისას ტყვედ ჩავარდა. დახვრიტეს კატიანი 1940 წელს (სხვა ვერსიით, მოსკოვში გადაიყვანეს და იქ დახვრიტეს 1941 წელს).

ბი. შედეგად რუსების ეს მანევრი ლიკვიდირებული იყო და იმ მომენტში საფრთხე აღარ არსებობდა.

რა მოხდებოდა ქართული სარდლობა რომ უფრო ენერგიული და გამბედავი ყოფილიყო? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია და დიდ ანალიზს მოითხოვს, რაც ამჟღერად ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს. ამიტომ მხოლოდ მოკლე დასკვნას გავაკეთებთ. არსებობდა გარკვეული შენაერთები (ცხენოსანი ბრიგადის ნაწილი და პოლკოვნიკ გედევანიშვილის დაქვემდებარებაში არსებული გვარდიის ბატალიონები), რომლებითაც შესაძლებელი იყო წარმატებული შეტევის გაგრძელება. ეს მინიმუმ გაართულებდა რუსების მდგომარეობას, თუ მართლაც არ გამოიწვევდა წითელი კავალერიის შენაერთის განადგურებას. დარწმუნებული ვართ, თავად ცაგურია რომ არ დაჭრილიყო, ბრძოლა გაგრძელდებოდა.

ცხადია, ირაკლი ცაგურიას ეს მონათხრობი გადამოწმებას საჭიროებს. ქართული წყაროებით ეს ძნელი გასაკეთებელია. ყველა, ვინც ამ კონტრშეტევას ეხება, სავარაუდოდ სწორედ ირაკლი ცაგურიას ინფორმაციას ეყრდნობა. სახალხო გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის უფროსი აკაკი კვიციანიშვილი საკუთარ მოგონებებში წერს, რომ როდესაც 24 თებერვალს რუსების კავალერიამ ჩვენი მარჯვენა ფრთის შემოვლა და ავჭალაში გაჭრა განიზრახა, „ჩვენი ცხენოსანი ბრიგადა პასიურ მდგომარეობაშია, ვინაიდან მათი ახალი უფროსი პოლკოვნიკი სიღამონერისთავი დაიბნა და ინიციატივას ვერ იჩენს. ყოველივე ამის მიუხედავად, თავისი პირადი ინიციატივით, პოლკოვნიკი ს. ცაგურია თავისი ორი ესკადრონით ეკვეთა მტერს სოფელ ნორიოსთან. აქ პოლკოვნიკი ს. ცაგურია დაიჭრა, მაგრამ მისმა მანიოვრმა მთლიანად შეაჩერა უღობას მოძრაობა. მხოლოდ ერთი პატარა თარეში გამოჩნდა სოფელ ავჭალასთან, რომელიც განდევნილ იქნა.“<sup>27</sup> აკაკი კვიციანიშვილი კიდევ ერთხელ შეეხო ამ საკითხს, როდესაც 1934 წელს დაწერა „პასუხი ბატონ გენერალ ჩხეიძეს.“ ამ წერილში ის აღნიშნავს, რომ რუსებს სულ 700-800 კაცი ყავდათ, რომლებიც ჯაგალაგ ცხენებზე იყვნენ ამხედრებული.<sup>28</sup> საპასუხო წერილში გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე მხოლოდ ერთ რამეს აცხადებს, „ნახეთ რას წერს ამაზე ცაგურია.“<sup>29</sup> რას გულისხმობს გენერალი ჩხეიძე ძნელი სათქმელია, რადგან ჩვენს მიერ ნანახ წყაროებში ირაკლი ცაგურიას რაიმე სხვა წერილი 24 თებერვლის კონტრშეტევასთან დაკავშირებით ვერ ვნახეთ. პოლკოვნიკ ცაგურიას ცნობების გადამოწმება იმ რუსული საარქივო მასალის მიხედვით შეიძლება, რომელიც ამჟამად ჩვენთვის მიუწვდომელია.

ერთი რამ კი ცხადია, თბილისთან 18-24 თებერვლის ბრძოლების დროს ქართული სარდლობა ფაქტობრივად არ იყენებდა კავალერიას. მართალია, ქართული კავალერია მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ გარკვეული ამოცანების გადაჭრა, რა თქმა უნდა, შეეძლო. გენერალ ანდრონიკაშვილის სექტორში, კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებაზე ცხენოსნების გამოყენება ალბათ არაეფექტური იქნებოდა. სოღანლულისა და ორხევი-ლილოს მიმართულებაზე კი ნამდვილად შეიძლებოდა. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ გენერალ მაზნიაშვილის სიტყვები, როცა ის 19

27 კვიციანიშვილი ა., რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ. ჟურნალი „განთიადი“, 1990, №2, გვ. 127-128.

28 კვიციანიშვილი ა., პასუხი ბატონ გენერალ ჩხეიძეს, წიგნში – შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.6, თბ., 2003, გვ. 95.

29 ჩხეიძე ა., ჩემი მოგონებების განმარტებანი, წიგნში – შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.3, თბ., 2003, გვ. 471.



თებერვალს გამთენიისას რუსების შეტევის მოგერიების შემდეგ კონტრშეტევის აუცილებლობაზე საუბრობს – „მონინალმდევის დახეულ ჯარებს თოფის ტყვია ველარ სწვებოდა და ვესროდით მხოლოდ ზარბაზნებს. რეზერვში არ მყავდა დასვენებული არც ერთი ნაწილი, რომელსაც კი შეეძლო მტერს დასდევნებოდა. ლაშქრის შტაბმა, არ ვიცი რა მიზეზით, საჭიროდ არ ჩასთავალა, გამოეგზავნა ჩემთვის კავალერიის ერთი ესკადრონი მაინც, ცხენოსანი ჯარი კი იდგა იმ დროს სოფელ ლილოსთან უსაქმოდ“<sup>30</sup>. ჩვენი აზრით, ქართული კავალერიის ფაქტობრივად სრული იგნორირება მთავარსარდლობის სერიოზული შეცდომა იყო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ირაკლი ცაგურია ემიგრაციაში არ წავიდა. ბუნებრივია, რომ ისეთი მამულიშვილი და პროფესიონალი სამხედრო, როგორც პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია იყო, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდა.

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ირაკლი ცაგურია დაეპატიმრებინა. ჩეკამ ამ მიზნით პოლკოვნიკ გიორგი ხიმშიაშვილის ძმის, ალექსანდრეს გამოყენებაც კი სცადა. თავად ირაკლი ცაგურია ასე აღწერს შეხვედრას ალექსანდრე ხიმშიაშვილთან: „1923 წლის 21 მაისს<sup>31</sup> დახვრიტეს 15 ქართველი ოფიცერი და მათ რიცხვში ჩემი მეგობარი პოლკ. გიორგი ხიმშიაშვილი. ივნისის შუა რიცხვებში მაცნობეს, რომ პოლკ. ხიმშიაშვილის ძმას სურს ჩემი ნახვა. დავნიშნეთ პაემანი საამისოდ არჩეულ საიმედო ადგილას. როდესაც დავინახე ის, ოდესღაც სიცოცხლით სასვე 22 წლის ახალგაზრდა, ძლივს ვიცანი. მის თვალებში კიდევ შეიძლებოდა ამოკითხა ადამიანს განცდილი წამების ნიშნები. აი სიტყვა-სიტყვით მისი ნაამბობი: მე ვიმყოფებოდი სოფელ ფასანაურში და შენ კარგად იცი, თუ რა აღფრთოვანებით ვმუშაობდი ბოლშევიკური ძალაუფლების წინააღმდეგ ... დამიგდე ყური კარგად – მე იმათ გამათავისუფლეს პირობით. მოროზმა<sup>32</sup> მომცა ორი კვირის ვადა, რომ გაგცე შენ ... ჩემი თავისუფლება შენი დატყვევების სამაგიეროა. მოროზმა იცის, რომ შენ სანყალი ჩემი ძმის დიდი მეგობარი იყავი, რომ ამისთვის არ უნდა გამიძნელდეს შენთან ძველი დამოკიდებულების აღდგენა და რომ შემდეგ გადაგცემ მას ... უშველე თავს გეზუდარები. მომეცი საშუალება, რომ ავიცილინო ამ საშინელ პირობის ასრულება და შემდეგ გადავიმალე. ჰო, მოიქეც ეგრე ჩემი ძმის ხსოვნისთვის, რომელიც შენ ეგრე გიყვარდა. მე მას ვურჩიე, გამოიჩინოს იმდენი მოხერხება, რომ ვითომ მე დამსდევს და ამით მოატყუოს მტარვალეები. მართლაც ეს მან შეძლო და დღეს ის იმყოფება საზღვარგარეთ“<sup>33</sup> (ალექსანდრე ხიმშიაშვილი 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ირაკლი ცაგურიასთან ერთად წავიდა ემიგრაციაში).

საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ შეძლო პოლკოვნიკ ცაგურიას ხელში ჩაგდება.

ირაკლი ცაგურია 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო. თავდაპირველი გეგმის თანახმად მას ვაზიანი უნდა აელო და აქედან შეეტია თბილისისთვის. აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი სოლომონ ზალდასტანიშვილი იგონებს: „ამ ხანებში ვაზიანის მიდამოებში დაბანაკდა მთელი ამიერკავკასიის არტილერია 120 ზარბაზნით. ამ ძალის ხელში ჩაგდება ნახევრად მაინც წყვეტდა თბილისის ბედს. ამისთვის საჩქაროდ ავმუშავდით. დავამუშავეთ გეგმა, რომლითაც მთელი არტილერია ხელში გვივარდებოდა. ამ რაიონის სარდლად დაინიშნა არტილერისტი

30 მაზნიაშვილი გ., მოგონებანი ბათუმი, 1990, გვ. 167-168.

31 გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილი და „სამხედრო ცენტრის“ სხვა წევრები 20 მაისს დახვრიტეს.

32 მოროზი – ჩეკას ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

33 შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.4, თბ., 2003, გვ. 559-560.

პოლკ. ირაკლი ცაგურია, მის განკარგულებაში იყო ამ რაიონის სოც.-დემ. რაზმი. დამუშავებული გეგმით მათ უნდა ჩამოერთმიათ რუსებისთვის ზარბაზნები და მოსდგომოდნენ თბილისს ნავთლუღის მხრივ.<sup>34</sup>

ირაკლი ცაგურია 1926 წელს ბელგიურ ჟურნალში, „La Revue Belge“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „საქართველოს გოლგოთა“,<sup>35</sup> სადაც საუბრობს 1924 წლის აჯანყებაზე და დაწვრილებით ყვება თავის მონაწილეობაზე. „აჯანყების გეგმა იყო შემდეგი: ტფილისის ხელში ჩაგდება, სადაც დაგროვილი იყო წითელი არმიის მთელი ძალა, ძნელი საქმე იქნებოდა, მაგრამ ქართველობამ გულადობითა და უსათუო გამარჯვების სურვილით გატაცებულმა, გადაწყვიტა ტფილისის აღება. პროვინციაში გამარჯვების შემდეგ აჯანყებულები უნდა მისდგომოდნენ ტფილისის სამი მხრიდან: კოჯორიდან მოდიოდა პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი<sup>36</sup> თავისი რაზმით. საწინააღმდეგო მხრიდან უნდა გამოვსულიყავი მე და პოლკ. ჩოლოყაშვილთან შეერთების შემდეგ, ორივენი ტფილისზე მივდიოდით. რაც შეეხება მესამე მიმართულებას, დუშეთისას, იქ მეთაურობს გლეხი ლასხარაშვილი. ყველაზე ძნელი ამოცანა მე მერგო. უნდა ამელო, ტფილისიდან 25 ვერსის მანძილზე დაცილებული ვაზიანის პოლიგონი, სადაც იდგა წითელი ჯარი 98 ზარბაზნით. ასეთი გეგმა შემცდარი და მიუღებელი იყო. აჯანყების მომწყობთ არ გაუთვალისწინებიათ ტფილისის მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა. საქართველო უპყრია მას, ვისაც ტფილისი აქვს ხელში. სწორედ ამისთვის აუცილებელი იყო პირველი დარტყმა მომხდარიყო ტფილისზე, კომუნისტურ ძალთა სიმბარეზე. ტფილისის აღებისას წითელი არმია, მოკლებული ცენტრალურ მართველობას, დევნილი მთელ საქართველოში, ხალხის სიძულვილით გარშემორტყმული, უნდა დანებებოდა გამარჯვებულს.

მაშინ, როდესაც პირველი გეგმის მიხედვით, ჩვენი ძალები, დაქსაქსულნი მთელ მხარეში, ვერ შეიკრიბნენ თავის დროზე, ჩვენ დავმარცხდით ძალიან უსწორო ბრძოლაში.

მეორე მიზეზი ჩვენი დამარცხებისა იყო ჭიათურის დასწრებული გამოსვლა – დანიშნულ დროზე 24 საათით ადრე ... ჭიათურის ნაადრევმა გამოსვლამ საშუალება მისცა საბჭოთა უფროსებს, დროზე მიეღოთ ენერგიული ზომები აჯანყების ჩასაქრობად. მთელ საქართველოში გამოცხადდა სამხედრო წესები.

უმთავრესი ჩემი დავალება ე.ი. ვაზიანში მყოფი წითლების განიარაღება, ვერ მოვიყვანე სისრულეში. მე ვყოყმანობდი იმ ბრძოლის პერსპექტივის გათვალისწინ-

34 ზალდასტანივილ ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989, გვ. 30.

35 ამ წერილის ქართული თარგმანი 1930 წელს დაბეჭდა ჟურნალმა „მხედარი“ (№ 3 და 4).

36 ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი პირველ მსოფლიო ომში ლეიტენანტის ჩინით იბრძვის ჯერ ავსტრიის, შემდეგ კავკასიის ფრონტზე. თავი გამოიჩინა სარეაქციონის ბრძოლის დროს. დააჯილდოვეს ოქროს ხმლით. მძიმედ დაჭრილი ჩამოიყვანეს თბილისში. 1916 წელს გახდა გენერალ დავით ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ქართველ ცხენოსანთა ათასეულის წევრი და მონაწილეობა მიიღო სპარსეთის ფრონტზე განხორციელებულ ცნობილ რეიდში (სპარსეთიდან მესოპოტამიაში). 1918-1920 წლებში მსახურობს სახალხო გვარდიის ცხენოსან ნაწილში. მონაწილეობდა სომხეთთან ომში, სამხედრო მოქმედებებში სოჭის ოლქში. 1921 წლის ომის დროს გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად გაიგზავნა დასავლეთ საქართველოში საკავალერიო ნაწილების ჩამოსაყალიბებლად. მოხერხდა ორი ესკადრონის შექმნა და ერთის მეთაურად დაინიშნა კიდევ. თუმცა ამ დროისათვის ქართულ ჯარს აღმოსავლეთ საქართველო უკვე დატოვებული ჰქონდა. მონაწილეობა მიიღო ბათუმთან ქემალისტების განდევნაში. ემიგრაციაში არ წასულა. გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. ჩამოაყალიბა „შეფიცულთა“ ცნობილი პარტიზანული რაზმი. 1922 წელს წამოიწყო აჯანყება კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მეთაური. აჯანყების მარცხის შემდეგ „შეფიცულთა“ ერთად ნავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში.

ნებით, რომლის შედეგი იქნებოდა ტყუილ-უბრალოდ ჩემი ხალხის სამსხვერპლოზე მიტანა.

ჩემს განკარგულებაში მყავდა 300 გლეხი, ყოჩაღნი და ამაყნი, რომელთა საშუალებით, შესაძლებელია, სხვა ვინმე შესძლებდა სასწაული მოეხდინა და გამირობა გამოეჩინა, მაგრამ აღვიარებ, რომ მე ვერ გავამართლე პარტიათა კომიტეტის ჩემზე დამყარებული იმედები, რადგან მას ჰქონდა უფლება მოეთხოვა ჩემგან სასწაული. დიას, ჩემს სამშობლოს ჰქონდა ბევრი შემთხვევა ჩემი ნერვების დაცვისა: ბათომი, სადახლო, ნოია<sup>37</sup> – სადაც მტრის ტყვიით დაჭრილი მაინც განვაგრძობდი ჩემ ადგილას ყოფნას და როდესაც ვამბობ: ჭიათურის ნაადრევმა გამოსვლამ შემიშალა ხელი-თქო, ამით არ ვიმართლებ თავს. ვინაიდან, შესაძლებელია მაკლდა რევოლუციონური აღმავრენა, მე ვიმოქმედე იმ ღამეს, როგორც პატიოსანმა ჯარისკაცმა, როგორც მხედარმა.<sup>38</sup>

ზემოთ მოტანილი სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ირაკლი ცაგურიას ვაჟყავცობას, პატიოსნებასა და სამშობლოსადმი მის დიდ სიყვარულს. 1918-1921 წლებში ქართულ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისას პოლკოვნიკმა ცაგურია არაერთხელ დაღვარა სისხლი სამშობლოს თავისუფლების დაცვისათვის. მას ვერავინ ვერაფერს წამოაყვედრიდა. 1924 წლის 29 აგვისტოს კი ვაზიანის სამხედრო ბაზის აღებას, იმ ვითარებაში და იმ ძალებით რაც ირაკლი ცაგურიას ყავდა, ვერავინ შეძლებდა. მის პიროვნულ ღირსებაზე მიანიშნებს ისიც, რომ წარუმატებლობისათვის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს.

თუ რა მოხდა უშუალოდ ვაზიანის პოლოგონთან, ამის შესახებ პოლკოვნიკი ცაგურია წერს, „ჩემი შტაბი იმყოფებოდა პატარძელში. ვაზიანის კომისარი მოვიდა ჩემთან და მთხოვა გამოვსულიყავი დანიშნულ დროის თორმეტი საათით უფრო ადრე, რადგან სამხედრო წესი გამოცხადდა და ჩვენს მოულოდნელ თავდასხმას შეეძლო გამოეწვია არეუ-დარევა მონინალმდეგეში. დავთანხმდი ამ წინადადებაზე და საღამოს შვიდ საათზე თორმეტ სოფელში ძალაუფლება გადმოვიდა ჩვენს ხელში – კომუნისტების უფროსობა იქნა დატუსაღებული – ადგილი არ ჰქონია არც ერთ უსამართლობას მათ მიმართ.

ჩვენი პროგრამის პირველი ნაწილი ჩინებულად შევასრულეთ. დაგვრჩა მეორე – უფრო ძნელი და უფრო თავაღებული ნაბიჯის გადადგმა – უნდა წავსულიყავით ტფილისზე. საჭირო იყო მთელი არტილერიის ხელში ჩაგდება. ჩვენ ვუახლოვდებოდით მტრის ბანაკს, როდესაც ჩვენი სვლა შენიშნა მტერმა პროექტორების საშუალებით. ბატარეიდან ათი კილომეტრის მანძილზე ავუტყებთ სროლა უკანა მცველებს. გაჩაღდა ბრძოლა. ამ მომენტში მაცნობეს მტრის კავალერიის სამი პოლკის ჩვენსკენ გამომგზავრება, წითლების გასაძლიერებლად.

მდგომარეობა გართულდა. ტყვია-წამალი გვითავდებოდა. იძულებული ვიყავი ჩემიანებისთვის უკან დახევა მებრძანებინა და ღამის სიბნელის გამოყენებით ტყეში შევიხიზნეთ, მაგრამ გვიანდა იყო ... მთელი ეს საერთო აჯანყება ჩაქრობილ იქნა სამიწელ სისასტიკით.<sup>39</sup>

აჯანყების მარცხის შემდეგ ირაკლი ცაგურია ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრანტულ ჟურ-

37 იგულისხმება სოფელი ნორიო.

38 შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.4, თბ., 2003, გვ. 568-569.

39 შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.4, თბ., 2003, გვ. 569-570.

ნალ-გაზეთებთან. აქვეყნებდა წერილებს საკუთარი სახელით და ფსევდონიმები-  
თაც. გარდაიცვალა 1969 წლის ნოემბერში<sup>40</sup>.

### დამონებანი

1. ზალდასტანიშვილ ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989.
2. კვიციანიშვილი ა., რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ, ჟურნ. „განთიადი“, 1990 წელი, №2.
3. კვიციანიშვილი ა., პასუხი ბატონ გენერალ ჩხეიძეს, წიგნში – შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია ტ.6, თბ., 2003.
4. მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990.
5. შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.4, თბ., 2003.
6. ჩხეიძე ა., ჩემი მოგონებების განმარტებანი, წიგნში – შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია ტ.3, თბ., 2003.
7. ჩაჩხიანი ა., დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ., 2007.
8. Масловски Е.М. Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 гг. [http://grwar.ru/library/Eliseeff-Kazaki/KK\\_04.html?PHPSESSID=d957af7ecb2039793abec1e767dde069](http://grwar.ru/library/Eliseeff-Kazaki/KK_04.html?PHPSESSID=d957af7ecb2039793abec1e767dde069)
9. Незабытые могилы... т.VI, кн. 3,М., 2007. <http://rosgenea.ru/?alf=23&serchcatal=%D6%E0%E3%F3%F0%E8%FF&r=4>
10. Никитин Б. В. Роковые годы. <http://www.dk1868.ru/history/nikitin4.htm>

### MIKHEIL BAKHTADZE

#### Colonel Irakli Tsaguria

#### Summary

Irakli Tsaguria finished Artillery School. He participated in the World War I, fought in the Caucasus front, served in the Caucasus II Mountain Artillery Battery; in July, 1917 while being on a secondment in Petrograd he took part in the battle against Bolsheviks insurgency, at that time he took the post of a staff-captain; in 1917 he was awarded the George Cross of the Fourth Degree.

He served in Georgian state service from 1918. I. Tsaguria took part in the fight against Osman; he was wounded in the attack near Batumi. In December, 1918 Colonel Tsaguria already takes part in the war with Armenia where he takes the post of the commander of the Mountain-Mounted Battery; in the capacity of the mentioned position he revealed the skill of the unit leadership and excellent personal courage; on December 22 he led the unit in the attack and despite the wounds, managed to break the siege.

<sup>40</sup> Незабытые могилы... т.VI, кн. 3,М., 2007. <http://rosgenea.ru/?alf=23&serchcatal=%D6%E0%E3%F3%F0%E8%FF&r=4>

In 1921 he participated in Russian-Georgian war; he distinguished himself in the fight for the defense of Tbilisi; on February 24 with his own initiative he organized the counterattack against Soviet divisions which planned to bypass Georgian positions. I. Tsaguria was seriously wounded during the attack though his maneuvers stopped the Red Cavalry attacks and foiled the plan of the Soviet Command. What would happen if the Georgian leadership had been more energetic and courageous? It seems difficult to answer this question, but one thing is obvious: during the fights in Tbilisi Georgian Command factually did not use the cavalry and this was a serious mistake.

After the occupation of Georgia Irakli Tsaguria stayed in his motherland; he participated in preparation of anti-Soviet uprising; he was one of the leaders of the rebellion in 1924. According to the initial plan of the rebellion he had to take over Vaziani base as well as he was responsible for the capture of anti-aircraft guns and organization of the attack to Tbilisi. Unfortunately by that time, taking into consideration the forces Colonel Irakli Tsaguria had it was impossible to occupy Vaziani base.

After the failure of the rebellion he emigrated. Irakli Tsaguria lived in Belgium. He died in 1969.

### ამერიკელი პარფიუმერის პრინცი მაჩაბელის ასახვა 21-ე საუკუნის კანადურ და ამერიკულ ლიტერატურაში

მსოფლიო ლიტერატურის სამყარო სავსეა პრინციებისა და მათზე მეოცნებე პრინციების თემატიკით. „თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცი“ გაცდა ლიტერატურული სამეფოს საზღვრებს და ყოველდღიურ მეტყველებაშიც დაიმკვიდრა ადგილი. პრინციების გარდა, მასზე ჩვეულებრივმა გოგონებმაც დაინყეს ფიქრი. „პრინციები არ არსებობენ, მათ მხოლოდ ზღაპრების სამყაროში ვხვდებით“, – ხშირად გვესმის ასეთი სიტყვები, მაგრამ გვაინყდება, რომ სამეფო გვარის წარმომადგენელი მამაკაცები არა მხოლოდ ძველ, არამედ თანამედროვე სამყაროშიც არსებობენ. უმეტესწილად კი, მაინც ჯადოსნური მეტაფორებით შემკული პრინციების ამბების კითხვა გვართობს.

პრინციების უმეტესობა მწერლის მიერ გამოგონილი ლიტერატურული პერსონაჟია; თუმცა, არსებობს ერთი პრინცი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ამერიკაში სუნამოებისა და კოსმეტიკის ბიზნესი და რომელმაც „ქალების შესახებ მთელ მსოფლიოში ისწავლა და საკუთარი ცოდნა ფლაკონებში ესენციად გამოხატა“. მწერლის მიერ გამოგონილი პრინციებისაგან განსხვავებით, ამ, წარმოშობით ქართველმა პრინცმა გიორგი მაჩაბელმა ინანათების დახმარებით შეაბიჯა ლიტერატურულ სამყაროში და წიგნის ფურცლებზე გადაინაცვლა. დიახ, ეს სინამდვილეა!

პრინცმა მაჩაბელმა „იცოდა ყველაფერი ფუტკრებისა და ყვავილების შესახებ და კიდევ უფრო ბევრი რამ საუკეთესო აურის შესაქმნელად“. მისი აზრით, „კანის ფაქტურასა და ფერს სუნამოს არჩევასთან არანაირი კავშირი არ აქვს; ქერები, შავ-გვრემნები და ჭლალთმიანები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები არიან – და დედამიწას ინდივიდუალურობა ატრიალებს“, – ამბობდა იგი და ვალენტინობის დღის მისალოც საჩუქრად ქმნიდა იასამნით დახუნძლულ, ეგზოტიკურსა და ქორფა ყვავილების ოდეკოლონებს წითელკულებიანი შეფუთებით.

პრინცი მაჩაბელი შობისთვისაც განსაკუთრებულად ემზადებოდა: საშობაო ზარებით, წითელი, თეთრი და ოქროსფერი ლენტებით ამზადებდა საჩუქრებს უნიკალური და მომხიბლავი არომატიზებული ნარევით. პრინცი მაჩაბელის სუნამოები ქალბატონებს ეხმარებოდა ინდივიდუალურობის, სინაზის, აურის, სისათუთის გამომჟღავნებასა და სულის ამაღლებაში. არაფერი იყო მისი ორიგინალური, გვირგვინის ფორმის ფლაკონის მქონე ლამაზ სუნამოზე უფრო გონივრული საჩუქარი და, მართლაც, პრინცმა მაჩაბელმა შობი შემოსავლიან, წარმატებულ ბიზნესად აქცია. „და როდესაც ყველაფერი ნათქვამი და გაკეთებულია“, პრინცი საკუთარმა ინანათებმა ლიტერატურულ სამყაროში შეაბრძანეს.

კანადელი მწერლის ქიმ ქრისველის რომანში „ანარეკლი“, რომელიც მოქმედებისა და რომანტიკის ბრწინვალე ნარევია, ვხვდებით პრინც მაჩაბელს. პერსონაჟი უითნი (Whitney) ფიქრობს, რომ როდესაც გაიზრდება, პრინც მაჩაბელზე დაქორწინდება და იცხოვრებს ლამაზ სასახლეში. 10 წლისამ კი აღმოაჩინა, რომ „პრინცი

მაჩაბელი“ ნამდვილი პრინცი კი არ იყო, არამედ მხოლოდ ის კომპანია, რომელიც დედამისის საყვარელ სუნამოს ამზადებდა (Reflection, Kim Cresswell, 2014).

ჩრდილოამერიკულ ლიტერატურაში ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პრინცი მაჩაბელის სახელი ლიტერატურულ სამყაროში აისახა, მაგრამ არის უნიკალური იმ თვალსაზრისით, რომ მისი ლეგენდარულ პრინცად წარმოჩენის, შეიძლება ითქვას, პირველი შემთხვევაა. მწერლის შთაგონებად კი იქცა პრინცი მაჩაბლის იმ სურნელების ბავშვობისდროინდელი მოგონებები, რომელსაც დედამისი იყენებდა.

პრინცი მაჩაბლის სახელს, მისსავე შექმნილი სურნელის კონტექსტში, სხვა წიგნებშიც ვხვდებით, მათ შორის, დერეკ მაქქორმაქის „სურნელოვანი სანახაობა“, (The Show that Smells, By Derek McCormack, 2009), ფთი ქირქის „მოყვარული მორწმუნის აღსარება“ (Confessions of an Amateur Believer, By Patty Kirk, 2007), ქეთლინ ჰილსის „მონადირის ცეკვა“ (Hunter's Dance (EasyRead Comfort Edition), By Kathleen Hills, 2009), დაიანა პრინცის „ფუტკრები ზამთარში: ლექსები“ (The Bees in Winter: Poems, By Diana Prince PhD, 2011).

პოეზიიდან აღსანიშნავია უილიამ ტრეისის (ნიგნი „ხსოვნის ნაპირი: განმეორებული“) ლექსი „გამოვლენილი მოგონება“. ავტორს წარსულ რომანტიკას პრინცი მაჩაბელის სუნამო „ქარის სურნელი“ ახსენებს, რომელსაც მისი საყვარელი ქალბატონი დიდი ხნის წინ ინტენსიურად იყენებდა. მსგავსი გრძნობა მას ბევრჯერ განუცდია და არმანტიზმის ხანაში სწრაფად გადაუყვანია. და ახლაც, ავტორს მოულოდნელად ენვია ეს გრძნობა, გვერდითჩავლილი ქალისგან წამოსულმა სუნამოს ნაზმა ღრუბელმა გამოუღვიძა წარსული სიყვარულის აღმაფრთოვანებული გრძნობა. ლექსის მიხედვით, რადენიმე წლის წინ ეს სუნამო პოეტმა საკუთარ მეუღლეს, ცოტა ხნის წინ კი საყვარელ ქალს შეუძინა. ინანათის ეფექტი მასზე იმდენად ძლიერია, რომ ლექსის ბოლოს ამბობს: „კვლავ შეგიძლია შეიგრძნო ეფექტი უბრალოდ „ქარის სურნელის“ წარმოთქმით“ (Elicited Memories, Strands of Memory: Reprised, By William R. Tracey D, 2007).

როგორც ვხედავთ, მე-20 საუკუნის ლეგენდამ, „პრინცმა მაჩაბელმა“ ერთგვარი მითოლოგიური ფუნქცია შეიძინა 21-ე საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში და გარდაიქმნა ზღაპრულ გმირად. ეს თითქოსდა, ერთგვარი მადლობის გადახდის ფორმაა მათი მხრიდან, ვისაც ერთ დროს ნამდვილი პრინცის მიერ შექმნილმა სუნამოებმა ინდივიდუალურობა შეუნარჩუნა და „შთამბეჭდავ ყვავილად“ აგრძნობინათავი.

ვფიქრობ, უითნისნაირად უამრავი ამერიკელი გოგონა ოცნებობდა დიდობისას პრინც მაჩაბელზე დაქორწინებას, ბევრი სარკმელშიც იცქირებოდა და მისი მოსვლის მოლოდინში ოცნების სასახლეში მოგზაურობდა. ასევე ბევრ ამერიკელ მამაკაცს ახსენებდა და ახსენებს პრინცი მაჩაბელის სურნელები საყვარელ ქალს, გრძნობებისა და მოგონებების მორევი ითრევს და სიყვარულის თავბრუს ახვეებს.

და, ალბათ, არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ ეს პრინცი მართლა არსებობდა და ეს იყო ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სამშობლოს თავისუფლებისათვის აქტიური მებრძოლი, დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი იტალიაში, შექსპირის ქართულად მთარგმნელის, ივანე მაჩბლის ძმისშვილი გიორგი მაჩაბელი. 1923 წელს გიორგი მაჩაბელი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა. გახდა ნიუ-იორკის ქართული კოლონიის წევრი და 1931 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი ორგზის

თავმჯდომრე. მის მიერ 1926 წელს დარსებულმა კომპანიამ „Prince Matchabelli“ საფუძველი ჩაუყარა ადგილობრივ, ამერიკულ საპარფიუმერიო წარმოებას. 10 წელიწადში ის მრავალმილიონიან ბიზნესად აქცია, თავად კი მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ (1935) ლეგენდად იქცა, მის მიერვე შექმნილი ინანათების წყალობით უკვდავებაში შეაბიჯა და ამერიკულ ლიტერატურაშიც აისახა.

### დამონებანი

1. Confessions of an Amateur Believer, By Patty Kirk, 2007.
2. Hunter’s Dance (EasyRead Comfort Edition), By Kathleen Hills, 2009.
3. Reflection, Kim Cresswell, 2014.
4. The Bees in Winter: Poems, By Diana Prince PhD, 2011.
5. The Show that Smells, By Derek McCormack, 2009.

### MARIAM KHATIASHVILI

#### The Reflection of American Perfumer Prince Matchabelli in the 21st Century Canadian and U.S. Literature

#### Summary

The aim of this paper is to explore the reflection of Georgian-born American perfumer Prince Georges Matchabelli in the 21st century Canadian and the U.S. literature. Firstly the author highlights the bestselling and award-winning Canadian author Kim Cresswell’s debut romantic suspense „Reflection“ in which the character Whitney dreams about the Prince Matchabelli as her „future prince“ with whom she wonders to marry and live in a beautiful castle when she grows. Secondly the author reviews that Prince Matchabelli is reflected in various literary works in the context of his perfumes. The paper discusses „The Show that Smells“ by the Canadian novelist and short story writer Derek McCormack, „Confessions of an Amateur Believer“ by the award-winning writer Patty Kirk, „Hunter’s Dance“ by Kathleen Hills and „The Bees in Winter: Poems“ by Diana Prince, PhD. Thirdly the author analyses the poem „Elicited Memories“ by the U.S. author William R. Tracey that was published in his book „Strands of Memory: Reprised“. The paper explores that Prince Matchabelli perfume the „Wind Song“ is reflected in this poem as an evoking force for the writer to remember the old romantic affairs. The author underlines that according to this poem this particular perfume by Prince Matchabelli was used by the writer’s beloved woman and to him it became the symbol of love. In conclusion the author thinks that the widely used Prince Matchabelli perfumes in the U.S. and Canadian society became the main factor for the reflection of Prince Matchabelli in the 21st century American and Canadian literary works.



## ქართული ემიგრაციის თურქული ფურცლები (1921-1924 წლები)

ოსმალეთის იმპერია ისტორიულად საქართველოსათვის რთული მეზობელი იყო. სამხრეთ-დასავლეთიდან მომდინარე საფრთხე არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ყოფილა აღკვეთილი. ორი ქვეყნის ურთიერთობა სიმწვავეთ ხასიათდებოდა ამ წლებშიც, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ უმძიმესი გამოწვევების ხანა ედგა თვით ოსმალეთსაც, რაც იმპერიის დაცემითა და თურქეთის რესპუბლიკის წარმოშობით დასრულდა.

1920 წლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა.<sup>1</sup> ეს ფაქტი სულ რაღაც ორიოდე თვით უსწრებდა წინ თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის გამოჩენას, რომელიც საქართველოში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოჭრით იყო განპირობებული. აღსანიშნავია, რომ 1918-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თვითონ იღებდა და თავის მინა-წყალზე თავშესაფარს აძლევდა ოსმალეთიდან დევნილ, უმთავრესად სომეხი ეროვნების ათეულათასობით ლტოლვილს.

XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული ემიგრაციის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თურქეთს და მის ყოფილ დედაქალაქ სტამბოლს, რომელიც იმ ხანად ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლად იწოდებოდა. 1921 წლის გაზაფხულიდან, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა სამხედრო აგრესიის შედეგად დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სწორედ თურქეთის ეს მთავარი სანაგსადგურო ქალაქი იქცა სამშობლოდან ლტოლვილი ასეულობით ქართველის პირველ სახიზნავად „უცხოეთის ცის ქვეშ“.<sup>2</sup> კონსტანტინოპოლის გავლით მიემართებოდნენ ასევე ემგრანტთა ნაკადები დასავლეთის ქვეყანებში აზერბაიჯანისა და რუსეთის სამხრეთიდანაც. განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა ე. წ. „თეთრი ემიგრაცია“, რომლის რაოდენობა თურქეთში 190 ათასამდე ადამიანს მოითვლიდა,<sup>3</sup> აზერბაიჯანელ ემიგრანტთა რიცხვი კი 50 ათასს აღემატებოდა.<sup>4</sup>

რაც შეეხება საქართველოდან თურქეთს შეხიზნული ქართველების ოდენობას, გენერალ ალექსანდრე ზაქარაიძის გადმოცემით, მათი რიცხვი 1921 წლის მარტის შემდეგ თანდათან მატულობდა და მალე ორი ათასს გადასცდა.<sup>5</sup> პარიზში გამომავალი ქართული ემიგრანტული გაზეთის „დამოუკიდებელი საქართველოს“

1 საქართველოს ელჩად ანგორაში სიმონ მდივანი დაინიშნა, თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეის დაეკისრა.

2 საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმს გაქცეულმა მრავალმა ქართველმა პირველხანებში თავი ტრაპიზონისაკენ შეაფარა.

3 Пивовар Е.Ю., Герасимов Н.П. и др., Российская эмиграция в Турции, Юго-Восточной и Центральной Европе 20-х годов (гражданские беженцы, армия, учебные заведения). М., 1994, стр. 10. <http://demoscope.ru/weekly/2006/0251/analit01.php>

4 [http://www.azerbaijans.com/content\\_494\\_ru.html](http://www.azerbaijans.com/content_494_ru.html)

5 შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003, გვ. 300.

ცნობით, 1922 წლისათვის ოსმალეთში „1000-ზე მეტი ქართველია გადმოხვეწილი, უმუშევარი, უბინაო, ულუკმაპურო, ელიან, აქეთ როდის წამოვიყვანთ“.<sup>6</sup>

ემიგრანტობა სახარბილო არც ერთ ქვეყანაშია, მაგრამ კიდევ უფრო რთული იყო მათი ყოფა თურქეთში, რომელსაც იმ ხანად თავადაც მძიმე პერიოდი ედგა. 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ზავის შემდეგ, რასაც ოსმალეთის იმპერიის კაპიტულაცია მოჰყვა, კონსტანტინოპოლი ანტანტის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ ანატოლიაში კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად ხელისუფლებას გენერალი მუსტაფა ქემალი (შემდეგში ათა თურქი) დაეუფლა. მისმა სამხედრო და დიპლომატიურმა წარმატებებმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აიძულა მოკავშირენი 1922 წლის სექტემბერში ქვეყნიდან გაეყვანათ თავიანთი საოკუპაციო ნაწილები. 1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, პირველ პრეზიდენტად მუსტაფა ქემალი აირჩიეს. შეწყვეტილ იქნა სულთნის ხელისუფლება და მალე ხალიფატიც გაუქმდა.

ცნობილია, რომ 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში ხელმოწერილი თურქეთ-საბჭოთა რუსეთის „ძმობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულების მეორე პუნქტი ორივე სახელმწიფოს ავალდებულებდა „не допускать образования или пребывания на своей территории организаций или групп, претендующих на роль правительства другой страны, или часть ее территории, равно как и пребывания групп, имеющих целью борьбу с другим государством“.<sup>7</sup> ეს დებულება უცვლელად გადავიდა ყარსის ხელშეკრულებაშიც (მუხლი 10), რომელიც თურქეთმა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანასთან — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები — 1921 წლის 13 ოქტომბერს გააფორმა და ამით ისინი ფაქტობრივად აღიარა კიდევ.<sup>8</sup> მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობილი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა უმრავლესობა, რომლებმაც სამშობლო 1921 წლის 18 მარტს დატოვეს,<sup>9</sup> თურქეთში დიდხანს არ გაჩერებულან და კონსტანტინოპოლში ჩასვლის შემდეგ მალევე საფრანგეთში

6 ეს თვალსაჩინო სხვაობა იმით აიხსნება, რომ ემიგრანტები, სხვა ქვეყნების ვიზების მიღებისთანავე, ტოვებდნენ თურქეთს. 1921 წელს ერთა ლიგის ეგიდით ჩამოყალიბდა ლტოლვილთა განსახლების კომისია (Refugees Settlement Commission), რომლის თავმჯდომარედ დაინიშნულ იქნა ცნობილი ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი, ფილანტროპი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ფრიტიოფ ნანსენი — იმხანად ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი ლტოლვილთა საკითხებში. კომისიამ, პირველ რიგში რუსეთიდან ლტოლვილთა დასახმარებლად, შემოიღო პირადობის დამადასტურებელი სპეციალური საერთაშორისო დოკუმენტი (ე. წ. „ნანსენის პასპორტი“), რომელიც ემიგრანტს, მოქალაქეობის მინიჭების გარეშე, სხვა ქვეყანებში გადაადგილებისა და დასაქმების უფლებას აძლევდა. ეს „პასპორტი“ მსოფლიოს 30-ზე მეტი სახელმწიფოს მიერ იყო აღიარებული, თვით ფ. ნანსენს კი ამგვარი ჰუმანიტარული მოღვაწეობისათვის 1922 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

7 Документы внешней политики СССР, М., т. III, 1959, стр. 597-604.

8 Документы внешней политики СССР, т. IV, М., 1960, стр. 420-429.

9 1921 წლის 22 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „სამარცხვინო ბოლო სა-მარცხვინო მთავრობისა“, ფილიპე მახარაძე ირწმუნებოდა: „მენშევიკების ყოფილი მთავრობა ასკრების მფარველობის ქვეშ გავიდა ბათუმიდან“-ო. ეს ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს. არსებობს თვითმხილველთა არაერთი ცნობა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, პოლიტიკური პარტიების მეთაურები, მაღალი ჩინის სამხედროები და სხვ. ბათუმის ნავსადგურიდან ფრანგული და იტალიური გემებით გაემგზავრნენ. ამ გემების სახელწოდებები იყო: „კირალი“, „ვისსტა“ და „მარია“.

გამეგზავრნენ, მაგრამ მრავალ ქართველს, მათ შორის პოლიტიკურ მოღვაწეს, აქ კარგა ხანს მოუწია ყოფნა.

თურქეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩომ მუშაობა შეწყვიტა, თუმცა კონსტანტინოპოლში დარჩა მთავრობის რწმუნებული კონსტანტინე გვარჯალაძე და იქვე მოქმედებდა საკონსულოც, რომელსაც სათავეში იოსებ გოგოლაშვილი ედგა. სულთნის ხელისუფლება დამბობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობასთან ოფიციალურ კავშირს, ცხადია, ერიდებოდა. კიდევ უფრო ძნელი იყო ანგორის მთავრობასთან დაკავშირება, რომელიც რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა და „მეგობრობდა“ კიდევ.

1921 წლის ოქტომბრისათვის კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები: რაჟდენ არსენიძე, ნოე ხომერიკი, გიორგი ერაძე, ვალიკო ჯუღელი, რუბენ ყიფიანი, კონსტანტინე სულაქველიძე, მედიტონ რუსია, რუბენ აუშტროვი, ნიკო ელიავა, ივანე ჭავჭავაძე, ვასო წულაძე, არზაყან ემუხვარი, ფილიპე ლორია და სხვ.<sup>10</sup>

ბედმა კონსტანტინოპოლში გადაისროლა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ინფანტერიის გენერალი გიორგი ყაზბეგიც, რომელმაც ჯერ კიდევ 1874 წელს სამთიანი ექსპედიცია ჩაატარა ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და ლაზეთში.<sup>11</sup> 1908-1918 წლებში გ. ყაზბეგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში — საპატიო თავმჯდომარე. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვით, ღრმად-მოხუცებული გიორგი ყაზბეგი „საქართველოს ყოფილ მთავრობას სტამბოლში გაჰყვა და ეს ყოვლად პატიოსანი კაცი, საქართველოს ერისა და მნიგნობრობის მოყვარე იქ გარდაიცვალა და იქვეა დასაფლავებული“.<sup>12</sup> სპეციალურ წუსებაში იმ ქართველ ემიგრანტთა შორის, რომლებიც 1921 წელს მონასტრიდან საკვებით დახმარებას იღებდნენ, ყაზბეგის სახელი და გვარიცაა მოხენიებული; მომდევნო წლის სიაში კი მის გასწვრივ ერთი სიტყვაცაა მითითებული: გარდაიცვალა.<sup>13</sup>

შეძლებულ ქართველთაგან ჩემს საკვლევ პერიოდში თურქეთში მხოლოდ ცნობილი მენარმე და ქველმოქმედი აკაკი ხომტარია და ალექსანდრე ჯაყელი იმყოფებოდნენ. ხომტარიას „თურქულ-სპარსულ ბანკს“ კონსტანტინოპოლში სათავეში ედგა ივანე ზურაბიშვილი. ბანკში რამდენიმე სხვა ქართველიც იყო დასაქმებული.

საქართველოდან ლტოვილ თანამემამულეებს დიდი სამსახური გაუწია ქართველ კათოლიკეთა მონასტერმა, რომელიც სტამბოლის განაპირა უბანში, ფერ-იკეიში მდებარეობს. 1920-იან წლებში ამ სავანის წინამძღვრის, პიო ბალიძის განცხადებით, „ქართველ კათოლიკეთა საზოგადოება ... თავისი არსებობით უცხოეთში, ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ“.<sup>14</sup>

1918 წელს სწორედ ამ მონასტრის სტამბაში დაიბეჭდა პავლე ინგოროყვას ცნობილი ნაშრომი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ (მოკლე

10 გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 1921 წ., № 12, 31 ოქტომბერი, გვ. 6-7.

11 მისი კვლევის შედეგები აისახა ორ ვრცელ ნაშრომში: „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევი“.

12 გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ., № 99-100.

13 [tao-klarjeti.ge/stambolis\\_qartuli\\_eklesia.html](http://tao-klarjeti.ge/stambolis_qartuli_eklesia.html)

14 ევგენი დალევოი და ლესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში (ფრანგულიდან) პ. შალვა ვარდიძისა მისსივე წინასიტყვაობით, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, სტამბოლი, 1921, გვ. 29. ევგენი დალევოი და ლესიოს კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსულოს მდივნის თანამდებობა ეკავა.

სამასხოვრო ცნობა“). შალვა ვარდიქემ 1921 წელს ფრანგულიდან ქართულად თარგმნა იტალიელი მწერლისა და დიპლომატის ევგენი დალევჯიო დ'ალესისოს ნაშრომი „ქართველები კონსტანტინეპოლში“, რომელიც მისივე წინასიტყვაობით აქვე გამოქვეყნდა. მონასტრის სტამბაში აიწყო და გამოიცა პირველი ქართული ემიგრანტული გაზეთი „თავისუფალი საქართველოც“, ხოლო მომდევნო წელს დაიბეჭდა პოეტ ნიკოლო მინიშვილის პოემა „შავი ვარსკვლავი“. 1922 წელს მონასტრის სტამბაში დაიბეჭდა მიხეილ წერეთლის „გილგამეშაინის“ ქართული თარგმანი, ხოლო 1924 წელს — გამოკვლევა „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“.<sup>15</sup> საგულისხმოა, რომ ამავე მონასტერთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილსაც, რომელიც 1919 წელს, კონსტანტინოპოლში ყოფნისას, უშუალოდ გაეცნო მის მოღვაწეობას და შთაბეჭდილებათა წიგნში ამგვარი ჩანაწერი დატოვა: „გული სიხარულით მეცხება, როდესაც ამ პატარა საქართველოს კუნძულში, ქართველთა მონასტერში, საქართველოსა და ქართველი ერისადმი უანგარო ღრმა სიყვარულს ვგრძნობ.“

ივანე ჯავახიშვილი. 1919. 16 თებერვალი.<sup>16</sup>

სტამბოლის მონასტერი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაარსდა ახალციხელი მღვდლის პეტრე ხარისჭარიშვილის ძალისხმევით. მონასტერთან აიგო მალალი ქვის კედლით გარშემორტყმულ სამსართულიანი შენობა უკან მიდგომული სამლოცველოთი და პატარა ბაღით, სადაც ბერებს ხეხილი და ბოსტანი ჰქონდათ გაშენებული. ბერებმა გარკვეული დროით შეიფარეს და დააპურეს სამშობლოდან გადმოსვენილი მრავალი ქართველი ემიგრანტი. მამაკაცებს ბინა სენაკებში მიუჩინეს. „თითოეულ ოთახში სამი, ოთხი კაცი ცხოვრობდა, მაგრამ მონასტერში ყოფნა მანაც კომფორტი იყო, ვინაიდან ქართველი ლტოლვილები დღითი დღე ღარიბდებოდნენ“, — მოგვითხრობს ამ მოვლენების თვითმხილველი ნიკოლო მინიშვილი.<sup>17</sup>

გაზეთი „კომუნისტი“ ასე აღწერდა თურქეთში მყოფი ლტოლვილი ქართველების ყოფას: „ქართველ ლტოლვილთა მდგომარეობა სტამბოლში ფრიად ტრალიკულია. ამერიკულმა კომიტეტმა განაცხადა, რომ იგი მათ დახმარებას მოუხპობს იენისის პირველიდან, მენშევიკთა ლიდერები ლტოლვილთ არაავითარ დახმარებას არ უწევენ, მხოლოდ ერთხელ მისცეს მათ ექვს-ექვსი ლირა. მენშევიკური მინისტრები და მოხელეები თვეში 100-250 ლირას იღებენ, ასე რომ ისინი არავითარ გაჭირვებას არ განიცდიან. ბევრ ლტოლვილს დაბრუნება სურს, მაგრამ მათ ნამოსვლას აფერხებს მენშევიკთა აგიტაცია“.<sup>18</sup>

ვნახოთ, როგორ იყო საქმე სინამდვილეში: ლტოლვილი ქართველების უმეტესობა, რომელთა ვიზების მიღება დროში გაიწელა, კონსტანტინოპოლში ერთ ბანაკად დააბინავეს (რამდენიმე ოჯახი, ძირითადად ქალები და ბავშვები, საქართველოს საკონსულოშიც განთავსდა). მათ დასახმარებლად ემიგრირებულმა მთავრობამ შექმნა ლტოლვილთა კომიტეტი (ზოგიერთ დოკუმენტში კომისიადაც იწოდება) ბენია ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით. ნევრები იყვნენ გენერალი

15 პროფ. შუშანა ფუტყარაძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სტამბოლის ქართველთა მონასტერთან არსებული წიგნთსაცავის, ბიბლიოთეკის, საარქივო მასალებისა და საზღვრეუმი ექსპონატების შესწავლა.

16 <http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id=3926>

17 მინიშვილი ნ., ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, თბ., 2006, გვ. 30.

18 გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 9 ივნისი.

ალექსანდრე მდივანი, იოსებ კემულარია, ძნელადე და სხვ. ბანაკის კომენდანტად გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე დაინიშნა.<sup>19</sup>

გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის სიტყვით, „მთავრობა, შეძლებისდაგვარად, ყველას ეხმარებოდა, მაგრამ ყველანი ვიმყოფებოდით მატერიალურად დიდ გაჭირვებაში“.<sup>20</sup>

ქართული ემიგრანტული გაზეთის ინფორმაციით, რომელიც 1921 წლის აგვისტოთი თარიღდება, „კონსტანტინოპოლში ლტოლვილთა რიცხვი შემცირდა. ბევრმა სამუშაო გაიჩინა, ბევრი უკანვე დაბრუნდა. ვისაც დაბრუნება არ შეუძლია და არც საქმე გამოუჩნდა დღემდე, იღებდნენ 8-6 და 4 ლირას მთავრობიდან თვიურათ და ამას გარდა ამერიკელებისაგან ეძლეოდათ პური. ამერიკელების დახმარება უკვე მოესპოთ ამ უკანასკნელ ხანებში. მთავრობა იძულებული იყო მათ გამოკვებაზე ეზრუნა და გადაუდევს მათთვის 25-20-17 ლირა თითოეულისათვის თვიურათ, იმ პირობით, რომ იაფათ თავსარჩენ ქვეყანას შეეხიზნონ, რადგან სტამბოლში ეს თანხა ბინის ფასათაც არ კმარა“.<sup>21</sup>

ქართველ ემიგრანტთა რიცხვი კონსტანტინოპოლში მართლაც მცირდებოდა, მაგრამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ თურქეთს ბოლშევიკურ რეპრესიებს გადაარჩენილი ქართველების ახალი ნაკადი მიაჩნედა.

ქართველების თავშეყრის მთავარი ადგილი კონსტანტინოპოლში პერას ქუჩაზე, სასტუმრო „რომას“ გვერდით მდებარე „ჩაი-ხაწე“ იყო. იქვე, ბოსფორის ნაპირსა, დოლმა-ბახჩეს უბანში ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებას დააპირავებულნი ჰქონდა სამსართულიანი შენობა, რომელშიც ორმოციოდ ჩვენი თანამემამულე ცხოვრობდა. მათ შორის: პლატონ ფაჩულია, ბიქტორ ჟღენტი, ვანო ქარცივაძე, ფილიპე ლორია, ვალოდია გოგუაძე, კოკი დადიანი და სხვ.<sup>22</sup>

ქართველ ლტოლვილებს თურქეთში მხოლოდ მატერიალურად როდი უჭირდათ, გაურკვევლი იყო მათი სამართლებრივი სტატუსი, რაც დამატებით სიძნელეებს წარმოშობდა. არ იყო სამუშაო და უნუგემო ჩანდა ბურუსით მოცული პერსპექტივაც. ემიგრანტთა უმრავლესობა არ ფიქრობდა, რომ სამშობლოს სამუდამოდ ეთხოვებოდა, თუმცა არც რეპატრაციას ჩქარობდა, რადგან ბოლშევიკური რეჟიმი, რომელსაც ეს ხალხი გამოექცა, საქართველოში ძალიანსივრცის ინარჩუნებდა (ჩვენს ხელთ არსებული ცნობების თანახმად, 1921 წელს თურქეთიდან სამშობლოში 14 იუნკერი დაბრუნდა).

ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული კომიტეტი და შრომის საერთაშორისო ბიურო (დირექტორი ცნობილი ფრანგი სოციალისტი ალბერტომა) ცდილობდნენ უყურადღებოთ არ დაეტოვებინათ გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანები, გამოყოფდნენ მათთვის საკვებსა და პირველი მოთხოვნილების საგნებს, ხოლო ლტოლვილთა განსახლების კომისია ემიგრანტებს სხვა ქვეყნებისაკენ გამგზავრებაში ეხმარებოდა. ამ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით საქართველოდან დევნილი 400-მა ადამიანმა ისარგებლა.<sup>23</sup>

19 დაუშვილი რ., სტამბოლის პოლიტიკური კომისია, კრებული მიძღვნილი უშანგი სიდამონიდის ხსოვნისადმი, თსუ, IV, 2002, გვ. 148; მისივე, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 15, 94.

20 შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003, გვ. 298.

21 გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 1921 წ., № 7, 31 აგვისტო, გვ. 11.

22 მინიშვილი ნ., ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, თბ., 2006, გვ. 130.

23 სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.), თბ., 2010, გვ. 60-62.

ქართველთა ნაწილი 1921 წელსვე გაიყვანეს ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში. პოლონეთმა ძირითადად მაღალი ჩინის ქართველი სამხედროები და იუნკრები მიიღო. ოფიცრები და გენერლები მალევე სათანადო სამსახურში დაასაქმეს, ხოლო იუნკრებს უმაღლესი სამხედრო განათლების დაუფლების პირობები შეუქმნეს.

თურქეთში დარჩენილმა ზოგიერთმა ქართველმა ამ რთულ სიტუაციაშიც შეძლო გამკლავებოდა გამოწვევებს. ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს მოწმობით, კონსტანტინოპოლში მყოფ ქართველ ემიგრანტებს გაუხსნიათ რამდენიმე სასტუმრო და სასადილო, დაუარსებიათ სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოებები, მათ შორის: „პრომეთე“, „მარგო“, „შაქარი“ (დამფუძნებლები მ. ლორთქიფანიძე, ი. ქარცივაძე და ბ. მიქელაძე), ქართულ-სომხური საზოგადოება (ეკუთვნოდა ჯორჯაძესა და ძმებ აგრიევებს) და სხვ.<sup>24</sup>

ლტოლვილ ქართველთა ერთმა ნაწილმა სახალხო გვარდიის შტაბის ყოფილი წევრის დათა მაჭავარიანის, გენერალ ალექსანდრე კონიაშვილისა და სხვ. თაოსნობით კონსტანტინოპოლში ქართული კლუბი ჩამოაყალიბა. გენერალ გიორგი კვინიტაძის მოგონებების თანახმად, „ქართული კლუბი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც თბილისის გარემოს დაუბრუნდებოდი და დაისვენებდი; იქ შეიძლებოდა ყველა ჩვენიანის ნახვა“.<sup>25</sup>

არსებობს თვალსაზრისი, რომ საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმების პარალელურად, საქართველოსთან მიმართებაში, საიდუმლო გარიგებაც შედგა. თურქი მკვლევარი დოლან ავჯიოღლუ ნაშრომში „ეროვნული მოძრაობის ისტორია“, განიხილავს რა მოსკოვის ხელშეკრულებას, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ამ დოკუმენტის ზემოთ ნახსენებ მერვე მუხლზე, რომლის განმარტებისას შენიშნავს: თურქეთის მხარემ იკისრა, რომ ბოლშევიკური საქართველოს ხელისუფლების ჩამოგდების მიზნით, მენშევიკ ქართველებს თურქეთში არავითარი საქმიანობის საშუალება არ მიეცემოდა.<sup>26</sup>

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია ითქვას შემდეგი: თუ ასეთი გარიგება მართლაც არსებობდა, მას ორივე მხარე არღვევდა, თუმცა საბჭოთა რუსეთი უფრო მეტად. ცნობილია, რომ კრემლის მფარველობით ჯერ მოსკოვში, ხოლო 1921 წლის ივლისის ბოლოდან სექტემბრის ჩათვლით ბათუმში იმყოფებოდა ოსმალეთის იმპერიის ყოფილი სამხედრო მინისტრი, ახალგაზრდა თურქთა პარტიის „ერთიანობისა და პროგრესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ენვერ ფაშა, რომელსაც მოსკოვი ქემალის ალტერნატივად მოიაზრებდა და ამზადებდა კიდევ თურქეთში შესაყვანად.<sup>27</sup> თურქეთს იყო შეხიზნული და 1922 წლიდან კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა აზერბაიჯანის დამხობილი დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, მუსავატის პარტიის ლიდერი მ. რასულზადე. აზერბაიჯანული პოლიტიკური ემიგრაციის კონსოლი-

24 ევგენი დალეჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინოპოლში, გვ. 43-44.

25 კვინიტაძე გ., გ. მოგონებები, ტ. II, თბ., 1999, გვ. 237.

26 ყავრელიშვილი რ., 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ტელნაწერი) თბ., 2002, გვ. 60.

27 ჩაჩიანი ა., რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტალიანისტური ენიგმა (1920-1922), თბ., გვ. 208-215.

დაციის მიზნით მან აქ შექმნა ორგანიზაცია „აზერბაიჯანის ეროვნული ცენტრი“, წერდა წიგნებს, გამოსცემდა ჟურნალ-გაზეთებსა და სხვ.<sup>28</sup> თურქეთის მთავრობამ მისი დეპორტაცია მხოლოდ 1931 წელს განახორციელა.<sup>29</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ხელისუფლებას ქართველი ემიგრანტებისათვის ხელი არ შეუშლია არც სხვა ქვეყნების დიპლომატიური და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან კონტაქტებში და არც საბჭოთა ოკუპაციისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის მუშაობაში. მართალია, მუსტაფა ქემალის მთავრობა ქართულ ემიგრანტულ პოლიტიკურ წრეებს ამ კუთხით პრაქტიკულად არაფერში დახმარებია, მაგრამ, თავისი თუნდაც ლოიალური დამოკიდებულებით (პასიური ნეიტრალიტეტით), იმით, რომ ქართველებს ამგვარ საქმიანობას არ უკრძალავდა, ერთგვარად მათი თანამდგომის როლში გვემჩინებოდა.

უცხოეთში ემიგრირებულმა მთავრობამ, ითვალისწინებდა რა კონსტანტინოპოლის მნიშვნელობას საქართველოსთან კავშირებისა და ანტიბოლშევიკური მუშაობისათვის, 1921 წლის მარტის ბოლოს აქ ჩამოაყალიბა პოლიტიკური კომისია, რომელსაც ჯერ ნოე ხომერიკი, შემდეგ კი რაჟდენ არსენიძე ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს ამ კომისიაში შედიოდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ლელი ჯაფარიძე, პეტრე სურგულაძე და რევაზ გაბაშვილი, ფედრალისტი სიმონ მდივანი, სოციალ-დემოკრატი ვასო წულაძე და სხვ.

კომისიასთან არსებობდა საინფორმაციო სამსახური, რომელსაც სათავეში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ჟურნალისტი დავით შარაშიძე ედგა.<sup>30</sup> კომისიას საბჭოთა პროპაგანდასთან დაპირისპირება და დაპყრობილ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ დასავლეთის სახელმწიფოების მუდმივი ინფორმირება ევალებოდა.<sup>31</sup> 1921 წლის 15 მაისს კომისიამ გამოსცა პირველი ქართული ემიგრანტული ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“.<sup>32</sup> გამოიცემოდა ასევე ბიულეტენი, რომელშიც თბილისიდან კონსპირაციული არსებით მიღებული ინფორმაცია ქვეყნდებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ და სხვ.

ამ კომისიას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ერთიანი ფრონტისა და საზღვარგარეთ ინტერპარტიული (განმათავისუფლებელი) კომიტეტის ჩამოყალიბების საქმეში.<sup>33</sup> გარკვეული დროით სტამბოლის პოლიტკომისიასთან არსებობდა სამხედრო კომისიაც, რომლის სხდომებს გენერალი ილია ოდიშელიძე უძღვებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ კომისიის წევრმა ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა საქართველოს დამფუძნებელი კრების სპეციალური

28 Абуталынов Р. Мамед Эмин Расулзаде и Кавказская Конфедерация, М., 2011, стр. 30.

29 [http://www.ourbaku.com/index.php5/Расулзаде\\_Мамед\\_Эмин\\_-\\_политический\\_деятель,\\_один\\_из\\_создателей\\_АДР\\_журналист](http://www.ourbaku.com/index.php5/Расулзаде_Мамед_Эмин_-_политический_деятель,_один_из_создателей_АДР_журналист)

30 დ. შარაშიძის ძმა, საქართველოში თავუნას ფსევდონიმით ცნობილი პოეტი შალვა შარაშიძე, ხოლო მათი და ქრისტინე შარაშიძე საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, შემდეგში მკვლევარი-ისტორიკოსი იყო.

31 დაუშვილი რ., სტამბოლის პოლიტიკური კომისია, კრებული მიძღვნილი უშანგი სიღამონიძის სხვისადმი, თსუ, IV, 2002, გვ. 153.

32 ჟურნალის გამოცემა მალე პარიზში გაგრძელდა. 1922 წლის 15 ოქტომბრამდე სულ 27 ნომერი გამოვიდა.

33 ვადაჭკორია შ., პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების საკითხი და ქართული პოლიტიკური აზრი (1921 წლის აპრილი - 1922 წლის მარტი), კრებულში - ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2015, 1, გვ. 101-149.

ანექტის საფუძველზე მოამზადეს ორი მოხსენება, რომლებშიც პასუხი იყო გაცემული კითხვაზე, რამ განაპირობა საქართველოს წარუმატებლობა რუსეთის საბჭოთა არმიასთან ომში 1921 წლის თებერვალ-მარტში, გამოთქმული იყო მოსაზრება მომავალში ქართული შეიარაღებული ძალების სტრუქტურისა და ორგანიზაციის შესახებ და სხვ. ერთ მოხსენებას ხელს აწერდა გენერალი ალექსანდრე ზაქარიძე, ხოლო მეორე შედგენილი იყო ილია ოდიშელიძის მიერ. ამ უკანასკნელმა თავისი მოხსენება „საქართველოს დამარცხების შესახებ“ ორ ნაწილად წაიკითხა კომისიის სხდომებზე 1921 წლის დეკემბერსა და 1922 წლის მარტში.<sup>34</sup>

დიდ მუშაობას ეწეოდა კონსტანტინოპოლში საქართველოს ემიგრირებული მთავრობის რწმუნებული კონსტანტინე გვარჯალაძე, რომელიც ცდილობდა კავშირი გაეხა ანტანტის სახელმწიფოების თურქეთში აკრედიტებულ წარმომადგენლებთან, სულთნის მინისტრებთან და სხვ. საქართველოს პრობლემას განსაკუთრებით გულისხმიერებით მოექცია იაპონიის დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელიც კ. გვარჯალაძეს სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დამყარებაშიც ეხმარებოდა.<sup>35</sup>

1923 წლის გაზაფხულზე კონსტანტინოპოლში ჩავიდა სამშობლოდან უცხოეთში გაქცეული საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე სპირიდონ კედია. ამ დროისათვის აქ უკვე არსებობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კონსტანტინოპოლის ბიურო, რომელიც ახლა კონკრეტული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდა, საქართველოს დეოკუპაციისათვის საჭირო გზებისა და საშუალებების ძიებაშიც იყო.

ს. კედია იტალიაში მყოფ გიორგი მაჩაბელთან ერთად შეიმუშავა საქართველოს განთავისუფლებისათვის მოღვაწეობის გეგმა, რომელიც ემიგრირებული მთავრობისაგან ცალკე, დამოუკიდებელი მუშაობის პრინციპს ეფუძნებოდა. თავდაპირველად, თურქეთის სახელისუფლებო წრებთან ურთიერთობა გიორგი მაჩაბელმა იკისრა. მას უნდა გაერკვია, თვლიდა თუ არა ოფიციალური ანკარა შესაძლებლად ქართველებთან მუშაობას ან ქართული ორგანიზაციის დაშვებას თავის ტერიტორიაზე. 1923 წლის მაისში, ლოზანის კონფერენციის მიმდინარეობისას, მაჩაბელი შვეიცარიაში ჩავიდა, შესვდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ისმეთ ფაშას მდივანსა და ადიუტანტს,<sup>36</sup> შემდეგ კი საუბარი ჰქონდა თავად ისმეთთანაც.

სამწუხაროდ, ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა. თურქები ქართველებს თანამშრომლობაზე გადაჭრით უარს არ ეუბნებოდნენ, გარკვეული იმედებით კვებავდნენ, ეუბნებოდნენ: „დაიცადეთ, ჯერ ადრეაო“.

მოისინჯა თურქებთან დაახლოების სხვა გზაც. საქართველოში მოქმედი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურმა ცენტრალურმა კომიტეტმა კონსტანტინოპოლში შალვა ქარუმიძე გაგზავნა. მან საზღვრის გადაკვეთა თბილისში გერმანიის წარმომადგენლობის დახმარებით შეძლო. შ. ქარუმიძეს შეხვედრა ჰქონდა თურქეთის მთავრობის ერთ-ერთ წევრთან. საქართველო-

34 ბახტაძე მ., გენერალ ილია ოდიშელიძის მიერ 1921-1922 წლებში კონსტანტინოპოლში წაკითხული მოხსენებების სრული ვერსიის შესახებ, საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, I, მასალები, თბ., 2015, გვ. 22.

35 გვარჯალაძე კ., ანგარიში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, სტამბოლი, 1923.

36 სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაუბრუნო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007, გვ. 32.



სათვის ჯართა და იარაღით დახმარების თხოვნაზე მინისტრს დადებითი პო-  
ზიცია გამოუხატავს, მაგრამ სანაცვლოდ მიუღებელი პირობები წამოუყენებია,  
კერძოდ: ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება, ახალციხისა და ახალქა-  
ლაქის მაზრების თურქეთისათვის გადაცემა და სხვა,<sup>37</sup> რაზეც დათანხმება  
შეუძლებელი იყო.

მოლაპარაკების შედეგების პარტიის ხელმძღვანელობისათვის გასაცნო-  
ბად თურქეთიდან თბილისში სოლომონ ზალდასტანიშვილი გამოიგზავნა. სა-  
ქართველოში ჩამოსულმა ს. ზალდასტანიშვილმა თურქეთის პირობები ერო-  
ვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის თა-  
ვმჯდომარეს კონსტანტინე აფხაზს გადასცა. აფხაზის პასუხი კატეგორიული  
იყო: „ქართველი ხალხისათვის ამნაირი პირობების შესრულება მიუღებელია,  
ამიტომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ჯერ-ჯერობით საკუთარ ძალე-  
ბზედ დავეყრდნობით. თუ თურქები საქართველოს დამოუკიდებლობას აფასე-  
ბენ და მეგობრობა ჰსურთ, მათ დღეს უპირობოდ უნდა გაგვინიონ დახმარება“.  
თურქეთის წინადადება მთელმა პარტიამ უარყო და თავისი აზრი საზღვარგა-  
რეთის კომიტეტსაც აცნობა.<sup>38</sup>

არსებობს ცნობები, რომლის თანახმადაც, ინგლისის დიპლომატიური კორ-  
პუსის წარმომადგენლებთან კონსტანტინოპოლში კავშირი დაუწყებია სპირი-  
დონ კედიასაც. ეს ჩანს „სტამბოლის პოლიტიკური კომისიის“ თავმჯდომარის  
კონსტანტინე გვარჯალაძის მიერ ნოე ჟორდანიასათვის გაგზავნილი წერილი-  
დან, რომელშიც აღნიშნულია: „ნაციონალ-დემოკრატები ავანტურისტობენ.  
...უნდათ თურქები მოიყვანონ და კაპიტალი შეიძინონ“. მსგავს ინფორმაციას  
შეიცავს კონსტანტინოპოლიდან საქართველოში გამოგზავნილი დავით შა-  
ლიკაშვილის წერილიც, რომელიც 1923 წლის 19 აგვისტოთა დათარიღებული.

სპირიდონ კედიასა და გიორგი მაჩაბლის გეგმის შესაბამისად, კონსტანტი-  
ნოპოლში მცირე ჯგუფი ჩამოაყალიბეს მიხაკო წერეთელმა, ლეო კერესელიძემ  
და დავით ვაჩნაძემ, მაგრამ უსახსრობის გამო ჯგუფმა მუშაობა მალევე შეწყ-  
ვიტა.

ამავე პერიოდში თურქეთის წარმომადგენელი საქართველოში მუხტარ ბეი  
— უნდა ვიფიქროთ, — თავისი მთავრობის მითითებით, თბილისში დავით  
ვაჩნაძესა და იასონ ჯავახიშვილს შეხვდა, ესაუბრა და დახმარება აღუთქვა,  
თუ ეროვნულ-დემოკრატები უარს იტყოდნენ ნოე ჟორდანიას მთავრობაზე და  
სცნობდნენ თურქეთის პროტექტორატს.<sup>39</sup>

1923 წლის აგვისტოში ეროვნულ-დემოკრატებმა კიდევ ერთხელ მოსინჯეს  
თურქეთისაგან ფულისა და იარაღის მიღების შესაძლებლობა და სტამბოლს  
ახლა სამი თვით დავით ვაჩნაძე მიავლინეს. მას უნდა მოეგვარებინა ასევე  
თურქეთის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვრების ახლოს ქართველ მოხა-  
ლისეთა თავმოყრის, მომზადებისა და მათთვის ფარული ბინების მოწყობის  
საკითხი, უნდა უზრუნველყო ქართველ ემიგრანტთა წრეებში შეგროვილი

37 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანან. 1, საქმ. № 212, ფურც. 76.  
ასევე, ზალდასტანიშვილი ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989, გვ. 14.

38 ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან,  
თბ., 2002, გვ. 427.

39 ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან,  
თბ., 2002, გვ. 427.

თანხის საქართველოში დროულად გადმოგზავნა. დ. ვაჩნაძემ თურქეთის საზღვრებში შეღწევა დიდი ნვალებით მხოლოდ 1924 წლის თებერვალში მოახერხა და ბინა არდაგანთან ახლომდებარე სოფელ სარძევეში დაიდო. მას დიდი პატივით დახვდნენ და თანადგომა აღმოუჩინეს „გამაჰმადიანებულმა ძველმა ქართველმა გვარიშვილებმა“ — ვაჩნაძეებმა, ერისთავებმა, ჭავჭავაძეებმა და ხიმშიაშვილებმა. ერთი თვის შემდეგ დავით ვაჩნაძე თურქეთის ხელისუფლებისაგან იღებს სტამბოლში ჩასვლის ნებართვას. მან მიხეილ წერეთლისა და ოსმალეთის იმპერიის ყოფილი მინისტრის მაჰმუდ ფაშა თავდგირიძის დახმარებით მემორანდუმით მიმართა თურქეთის მთავრობას. თურქებმა ამჯერად განაცხადეს: ჩვენ „მოსკოვის მეგობრობა გვესაჭიროება და ქართველებს ვერ დავუხმარებთო“.<sup>40</sup>

მიუხედავად ამისა, ქართველ ემიგრანტებს არ ტოვებდათ იმედი, რომ თურქეთის მეგობრობა საბჭოეთთან ხანგრძლივი არ იქნებოდა და თურქები უპირატესობას კავკასიის დამოუკიდებლობის პოლიტიკას მინიჭებდნენ. ეს აზრი გამოსჭვივის საქართველოს სახალხო გვარდიის ყოფილი უფროსის ვალიკო ჯუღელის დღიურიდან, რომელსაც იგი 1924 წლის თებერვალში, პარიზიდან, ბენია ჩხიკვიშვილსა და ბიქტორ ცენტერაძესთან ერთად, სამშობლოში აჯანყების სახელმძღვანელოდ გამოგზავნილი, ჯერ გემზე, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში აწარმოებდა.

ვ. ჯუღელის სიტყვით: „ნუ თუ თურქები დღესაც ვერ მიხვდენ, რომ საქართველოს და ამიერ კავკასიის აღსდგენა — მათ საქმეს და მომავალსაც აძლიერებს! მგონი მიხვდენ“.<sup>41</sup>

1924 წლის აგვისტოს აჯანყების ბევრ მონაწილეს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წამოწყებულ ამ ბრძოლაში თურქეთი მათი მხარდამჭერი იქნებოდა. ეს მოლოდინი არ გამართლდა, თურქეთის „მხარდაჭერა“ მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ მან თავის ტერიტორიაზე გაატარა და საფრანგეთისაკენ გზა მისცა მარცხგანცდილი აჯანყების მეთაურებს სპირიდონ ჭავჭავაძეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის შეფიცულთა რაზმის წევრებს, მათ შორის: ელიზბარ ვაჩნაძეს, ალექსანდრე სულხანიშვილს, ლელო ჩიქოვანს, შალვა ნებიერიძეს, რაფიელ ერისთავს, ალექსანდრე კარგარეთელს, მერაბ ჯორჯაძეს და სხვ.<sup>42</sup> ესენი თურქეთში არდაგან-ართვინიხოვის გზით გადავიდნენ, ტრაპიზონში ჩააღწიეს, ხოლო იქიდან გემით სტამბოლში ჩავიდნენ და შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრნენ.

1924 წლის ოქტომბერში, პოლონელთა ხელშეწყობით, სტამბოლში კავკასიელ კონფედერალისტთა კომიტეტი დაარსდა. მასი საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა მემარჯვენე პოლიტიკური ორგანიზაციების სამ-სამი წევრი შედიოდა.

ამავე პერიოდში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ემიგრირებული მთავრობების წარმომადგენელთა შეთანხმებით, მიღებულ იქნა განწყვეტილება ამ სახელმწიფოების კავკასიის კონფედერაციად გაერთიანების

40 ვაჩნაძე დ., სამშობლოს სამსახურში (მოგონებები), ჟურნ. „ივერია“, თბილისი-პარიზი, 1992, № 1, გვ. 131-132.

41 ჯუღელი ვ., დღიური — 1924. ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2014, № 2, გვ. 24-26 (პ. ნაცვლიშვილის პუბლიკაცია).

42 დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 12.

შესახებ. კავკასიის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის კოორდინაციის მიზნით პარიზში დაფუძნდა კავკასიის კომიტეტიც, რომელიც თანამშრომლობდა სტამბოლის კომიტეტთან.<sup>43</sup>

სტამბოლის კომიტეტის დავალებით დავით ვაჩნაძე, არჩილ ლომიძის გვართ, გაიგზავნა ართვინსა და არდაგანში, ასევე ტრაპიზონსა და ხოფაში, რათა კავშირი დაემყარებინა საქართველოში არსებულ ანტისაბჭოთა მოძრაობასთან. ამ მისიის შესახებ დ. ვაჩნაძე ვრცლად მოგვითხრობს თავის დღიურში „1924-1926 წწ. თურქეთში“.

თურქეთის ტერიტორიაზე ორი-სამწლიანი ყოფნა და საქმიანობა ქართული ემიგრაციის ისტორიის საყურადღებო ფუცვლია. ამ კუთხით კვლევის გაგრძელება და ახალი მნიშვნელოვანი ფაქტების გამოვლენა კვლავაც აქტუალურ საკითხად რჩება.

### დამონემბანი

1. ბახტაძე მ., გენერალ ილია ოდიშელიძის მიერ 1921-1922 წლებში კონსტანტინოპოლში წაკითხული მოხსენებების სრული ვერსიის შესახებ, გაერთიანებული ქართველოლოგიური კონგრესი, I, მასალები, თბ., 2015.
2. გვარჯალაძე კ., ანგარიში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, სტამბოლი, 1923.
3. გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 1921 წ., № 7, 31 აგვისტო.
4. გაზ. „თავისუფალი საქართველო“, 1921 წ., № 12, 31 ოქტომბერი.
5. გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 9 ივნისი.
6. გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ., N № 99-100.
7. დაუშვილი რ., სტამბოლის პოლიტიკური კომისია, კრებული მიძღვნილი უშანგი სიდამონიძის ხსოვნისადმი, თსუ, IV, 2002.
8. დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.
9. ევგენი დალევჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში (ფრანგულიდან) პ. შალვა ვარდიძისა მისსივე წინასიტყვაობით, საბჭუდავი კათოლიკე ქართველთა სავეანისა, სტამბოლი, 1921.
10. ვადაჭკორია შ., პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების საკითხი და ქართული პოლიტიკური აზრი (1921 წლის აპრილი - 1922 წლის მარტი), კრებულში - ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2015.
11. ვაჩნაძე დ., სამშობლოს სამსახურში (მოგონებები), ჟურნ. „ივერია“, თბილისი-პარიზი, 1992, № 1.
12. ზალდასტანიშვილი ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989.
13. კვინიტაძე გ., ტ. II, თბ., 1999.
14. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანან. 1, საქმ. № 212.

43 Мамулия Г., Идея Кавказской Конфедерации в рамках движения «Прометей» (к истории пакта Кавказской Конфедерации) // <http://www.chechen.org/page.5.348-zhurnal-chast.html>

1926 წლისათვის ხსენებული კომიტეტები გაერთიანდნენ და სტამბოლში ჩამოყალიბდა კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი. თუმცა, თურქეთის მთავრობის მითითებით, რომელიც ერიდებოდა მოსკოვთან ურთიერთობის გამწვავებას, მალე მისი მუშაობა პარიზში იქნა გადატანილი.

15. მიწიშვილი ნ., ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, თბ., 2006.
16. სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.), თბ., 2010.
17. სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007.
18. შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003.
19. ყავრელიშვილი რ., 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი) თბ., 2002.
20. ჩაჩხიანი ა., რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტტიჰადისტური ენიგმა (1920-1922), თბ., 2015.
21. ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
22. ჯუღელი ვ., დღიური – 1924. თურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2014, № 2 (პ. ნაცვლიშვილის პუბლიკაცია).
23. Абуталыбов Р. Мамед Эмин Расулзаде и Кавказская Конфедерация, М., 2011.
24. Документы внешней политики СССР, т. III, М., 1959.
25. Документы внешней политики СССР, т. IV, М., 1960.
26. Мамулия Г., Идея Кавказской Конфедерации в рамках движения «Прометей» (к истории пакта Кавказской Конфедерации) // <http://www.chenchen.org/page.5,348-zhurnal-chast.html>
27. Пивовар Е.Ю., Герасимов Н.П. и др., Российская эмиграция в Турции, Юго-Восточной и Центральной Европе 20-х годов (гражданские беженцы, армия, учебные заведений). М., 1994
28. <http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id=3926>
29. <http://demoscope.ru/weekly/2006/0251/analit01.php>
30. [http://www.azerbaijans.com/content\\_494\\_ru.html](http://www.azerbaijans.com/content_494_ru.html)
31. [http://www.ourbaku.com/index.php5/Rасулзаде\\_Мамед\\_Эмин\\_-\\_политический\\_деятель,\\_один\\_из\\_создателей\\_АДР\\_журналист](http://www.ourbaku.com/index.php5/Rасулзаде_Мамед_Эмин_-_политический_деятель,_один_из_создателей_АДР_журналист)
32. [tao-klarjeti.ge/stambolis\\_qartuli\\_eklesia.html](http://tao-klarjeti.ge/stambolis_qartuli_eklesia.html)

## OTAR JANELIDZE

### Turkish Pages of Georgian Emigration (1921-1924 years)

#### Summary

Turkey has an important place in the history of Georgian emigration. Since the spring of 1921, after Russia overthrew the Democratic Republic of Georgia, two thousand Georgians found shelter in this country. Many of them had to stay here for two or three years, before they could obtain visas to European countries.

Emigrated government of Georgia appointed its authorized representative in Turkey and formed a refugee committee to assist persecuted compatriots.

Together with active in Turkey Georgian consulate, refugees from Georgia were greatly assisted by a monastery of Georgian Catholics which was founded in Constantinople in the 60s of the XIX century by a priest Peter Kharischarishvili.

400 persecuted people from Georgia benefited from the international organizations like the League of Nations American Committee for Refugees and the International Labour Organization (ILO).

After the defeat of anti-Soviet uprising of August 1924 a new stream of Georgian survivors of the repressions rushed to Turkey. Among them were the head of the military uprising General S. Chavchavadze, Qaikhosro Cholokashvili and members of his „ Oath „ squad.

Mustafa Kemal government actually gave no assistance to Georgian immigrant political circles in liberation from the Soviet occupation, but it did not prohibit such activities.

იასე მეხუზლა (რაჭველი) –  
თურქეთში მოღვანე პუბლიცისტი

იასე მეხუზლა (რაჭველი) (1856-1919 წწ.) თურქეთში, ძირითადად სტამბოლში, ჯერ 1880-1902, შემდეგ კი 1904 და 1909-1915 წლებში ცხოვრობდა და ახლო მეგობრული ურთიერთობებით იყო დაკავშირებული როგორც იმხანად იქ თავმოყრილ ჩვენს თანამემამულეებთან (დ. მიქელაძესთან (მეველესთან), მ. ნაკაშიძესთან, ე. მიქელაძესთან, ა. გარაყანიძესთან და სხვ.), ისე ადგილობრივ ქართველებთან. როგორც ნ. ბოსტაშვილი ი. რაჭველის საზოგადოებრივი ღვაწლის შეფასების დროს სავსებით მართებულად წერს, იგი „თითქოს ხიდი იყო სტამბოლში მცხოვრებ ქართველებსა და საქართველოს შორის, რადგანაც იქიდან რეგულარულად გზავნიდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისთვის როგორც ისტორიული ხასიათის წერილებს, ისე ცნობებს ქართველების ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ“.<sup>1</sup>

სტამბოლში ცხოვრების პერიოდში იასე რაჭველის ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა – ერთის მხრივ, იგი აქტიურად ცდილობდა იქაურ ქართველებში შეძლებისდაგვარად გაეღვივებინა ეროვნული ცნობიერება, მეორეს მხრივ კი მოკავშირის როლი შეესრულებინა თურქეთში მცხოვრებ ქართველობასა და საქართველოს შორის. გაზეთ „კვალის“ 1894 წლის მე-16 ნომერში გამოქვეყნებული წერილის – „კონსტანტინოპოლის ქართველობის“ ავტორის – ვინმე ქართველის შეფასებით, იასე რაჭველი სტამბოლის ქართული სავანის დამფუძნებლისა და წინამძღვრის – მამა პეტრე ხარისჭირაშვილის აზრებით განმსჭვალული მამულიშვილი იყო.

ი. რაჭველის ეროვნული ღვაწლის წარმოსაჩენად ხსენებული პუბლიკაციის ავტორი იმ გარემოებასაც უსვამს ხაზს, რომ მისი თაოსნობით იქაურ ქართველობას თანხაც კი შეუგროვებია და გამოუგზავნია საქართველოში რუსთველის ძეგლის დასადგმელად.

განსხვავებით იმდროინდელ ქართულ პრესაში საკმაოდ მრავლად გამოქვეყნებული კორესპონდენციისაგან, რომელთა ავტორებიც აღფრთოვანებით საუბრობენ სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურთა მრავალმხრივ პატრიოტულ საქმიანობაზე, 1887 წლის 1 დეკემბერს დაწერილ თავის ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ წერილში ი. რაჭველი ჩვენს კათოლიკე თანამემამულეებს ეროვნული ინტერესებისადმი გულგრილ დამოკიდებულებასა და რომის პაპისადმი მეტისმეტ ერთგულებაში დებდა ბრალს და სტამბოლელი ქართველი მღვდელმსახურების მოღვაწეობას ასეთ შეფასებას აძლევდა: „კათოლიკების იდეალი მხოლოდ რომის პაპის კეთილდღეობაზე არის დამყარებული და თუ ის ღმერთმა უცოცხლათ, ამათ მეტი რალა უნდათ. სამშობლო ქვეყანა ან მისი დედაენა და ან ქართველების პატრიოტობა მათ სრულებით არ ესაჭიროებათ და არც თავს იტყენენ ასეთი სულელობისათვის... ახლა სათათრეთში ერთი მონასტერია, რო-

1 ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 3.

მელშიც სამოცამდის კაცი ცხოვრობს... ძალიან კარგად ცხოვრობენ, მეტადრე სასულიერო წოდება...

აქ ყმანელები ჩამოჰყავთ პატარები, ყველას მამინევე აკათოლიკებენ, ასწავლიან ჯერ მარტო ფრანგულს და შემდეგ იტალიურს და სულ სხვა ყმანელი იზრდება, სამშობლო ქვეყანა სრულებით ავინყდება და რა თავის დედაენას ავინყებენ ძალით, ამიტომ ვერც სხვა ენებს სწავლობენ ხეირიანად და რჩება, ამრიგად, ან მღვდლად და ან ძმად (მორჩილად) მის სიცოცხლეში".<sup>2</sup>

სხენებულ წერილში ი. რაჭველი არა მარტო სტამბოლის სავანის მღვდელმსახურთა ეროვნულ გულგრილობას აკრიტიკებს ესოდენი სიმკაცრით, არამედ იქ მცხოვრები ჩვენი კათოლიკე თანამემამულეების მიმართაც გამოხატავს გულისწყრომას. მისი ინფორმაციით, მართალია, სტამბოლში იმხანად მცხოვრებ ორასამდე ქართველ კათოლიკეს ქართული ენა დაავინყებული ჯერ კიდევ არ ჰქონდა, მაგრამ „არც ერთი მათგანის შვილმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდა“ და ისინი „მხოლოდ იმით იცნობებოდნენ ქართველებად, რომ მცირე ქართული იცოდნენ“.<sup>3</sup>

ი. რაჭველი სწორედ ამ სამწუხარო მოვლენის ლოგიკურ შედეგად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ მონასტრის სასულიერო სასწავლებელში მყოფ ბავშვებს ფაქტობრივად აკრძალულიც კი ჰქონდათ მშობლიურ ქართულ ენაზე საუბარი. წერილის ავტორი არა მარტო ზოგადად გვამცნობს აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ გულსატკენ რეალობას, არამედ ასეთი კონკრეტული მაგალითიც მოაქვს ამის ნათელსაყოფად: სავანის სკოლის მოსწავლეებისთვის მოწყობილ ერთ-ერთ დღესასწაულზე საჩუქრების დარიგების დროს, რასაც ი. რაჭველიც დასწრებია, საჩუქრის მისაღებად მისული ერთი ბავშვი პატრ ნიკოლას უსადილოდ მხოლოდ იმიტომ დაუტოვებია, რომ მასთან გასაუბრების დროს ქართული სიტყვა წამოცდენია. მეორე ბავშვი კი, რომელსაც ფრანგული ენის სათანადო დონეზე უცოდინარობის გამო მისთვის სრულყოფილად პასუხის გაცემა ვერ მოუხერხებია, ამ ამბით აღშფოთებული პატრის სასჯელისაგან სავანის მღვდელმსახურებს ამ სიტყვებით გადაურჩენიათ: „აპატიე, რადგან ახალი მოსულია და ჯერ ქართული არ დავიწყებია და ჩვენ ვეცდებით გადავაჩვიოთ როგორმეო, რომ არ წამოსცდეს უდროოდო“.<sup>4</sup>

ამთავითვე მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ი. რაჭველის მიერ სხენებულ წერილში სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურთა ეროვნული ცნობიერების ამგვარი შეფასება არსებითად მცდარია და პრინციპულად არ შეესაბამება ქართული კულტურის ამ დიდმნიშვნელოვან უცხოურ ცენტრში რეალურად არსებულ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლში მცხოვრებ ქართველ კათოლიკეთა და სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა ერთი ნაწილი მართლაც ადგა ეროვნული გადაგვარების გზას, ქართული სავანის მღვდელმსახურთა მოღვაწეობისადმი ავტორის ესოდენ ნეგატიური დამოკიდებულება, ჩემის აზრით, ყოველგვარ არგუმენტსაა მოკლებული.

ამგვარი რამის სათქმელად საფუძველს არა მარტო ქართულ პრესაში ი. რაჭველის მიერვე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული კორესპონდენციები მაძლევს, არამედ სხენებული წერილის ის ადგილიც, სადაც საქართველოსადმი სავანის დამფუძნებლისა და წინამძღვრის – პეტრე ხარისჭირაშვილის სიყვარული ასეთი ემო-

2 ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 75.

3 ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 75.

4 ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 76.

ციური ფორმითაა გამოხატული: „როცა საქართველოს ამბავს გაიგონებს, თვალეზზე ცრემლები ღვარივით წამოუყვას სიმწუხარის გამო“.

ნათქვამის დასტურად აქ გაზვით „ივერიის“ 1897 წლის პირველი იენისის ნომერში გამოქვეყნებულ ი. რაჭველის იმ სტატიასაც გავისხენებ („წერილი კონსტანტინოპოლიდან“), რომლის მეშვეობითაც ავტორი მკითხველს ასეთ ინფორმაციას აწვდიდა: „31 მაისს ლიტანიობა იყო ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. წირვა იყო ქართულად და ლათინურად“. ავტორის თქმით, ეკლესიაში შეკრებილ მრევლზე თურმე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მონასტრის სკოლის მოსწავლეების ქართული გალობის მოსმენას. მათ უმეტესობას მესხები წარმოადგენდნენ. ი. რაჭველის ინფორმაციით, „ყოველ დიდ დღესასწაულის დღეს ეს პანანინა ჩიტუნიები მშვენივრად ახერხებდნენ და დღესასწაულს ქართულად ულოცავდნენ თავიანთ ნინამღვარს“.

განსხვავებით ზემოთ დამონმებული წერილის იმ ფრაგმენტებისაგან, სადაც სტამბოლის ქართულ სავანეში ეროვნული თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა ავტორს არაობიექტურად აქვს აღწერილი, ხსენებულ წერილში სავანის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი საგულისხმო ინფორმაციებიცაა მოწოდებული. მაგალითად, ავტორის ცნობით, „მონასტრის მეორე ნახევარში ქალწულებიც არიან ოცდაათამდის, სკოლაც აქვს ქალებისა და ასწავლიან ფრანგულ და ბერძნულ ენებს და ამათგანი რამდენიმე დარდანელშიც არის, იქაც სკოლა აქვთ“.<sup>5</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ავტორს მის მიერ მოხსენიებულ ქალთა ეროვნება დაკონკრეტებული არ აქვს, ვფიქრობ, იმის დაბეჯითებით თქმა მაინც შეიძლება, ისინი საქართველოდან ჩაყვანილი ქართველები რომ იყვნენ. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმასთან დაკავშირებითაც, რომ გარდა სავანესთან არსებული სკოლისა, მსგავსი სასწავლო დაწესებულება ქართველებს დარდანელშიც ჰქონიათ.

ი. რაჭველის დამონმებული წერილი სტამბოლის ქართულ სავანესთან არსებული სტამბა-გამომცემლობის შესახებაც გვანვდის მეტად საინტერესო ცნობას. კერძოდ, ავტორის ინფორმაციით, იქაურ ქართველ კათოლიკეებს რომის პაპისათვის საჩუქრად გაუგზავნიან მათივე სტამბაში დაბეჭდილი „ერთი პატარა, ოცდაათ წიგნიანი ბიბლიოთეკა. ამ წიგნებიდან ძლიერ შესამჩნევი იყო ერთი წიგნი „დაბადება“ (ბიბლია). მთელი წიგნი წმინდა ვერცხლის ყდით, ოქროთი დაფერილი იყო: ყდის პირველ მხარეზე იყო გამოქანდაკებული წმინდა ნინო, მარცხნივ მისივე პატარა ეკლესია, მარჯვნივ – მცხეთის მონასტერი და მათ შუა სვეტიცხოველი თავში წარწერით შანტ ნინა ფრანგულად და ქვემოთ კი ქართულად მიწერილი „წმინდა ნინა მფარველი საქართველოსი“.<sup>6</sup>

ზემოთ მოხსენიებულ ქართულ წიგნებთან ერთად, სავანის მღვდელმსახურებს რომის პაპისთვის საჩუქრად მათსავე სტამბაში პოლიგრაფიულად კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაბეჭდილი ფრანგულენოვანი ბიბლიაც გაუგზავნიან, რომლის ყდაც შემდეგნაირად ყოფილა გაფორმებული: „პირველ რიგში ქართველთა სამეფო გვირგვინი იყო ორ მხარეზე ანგელოზების ნახატებით, მის ქვემოთ საქართველოს არმია უკლებლად რიგიანად მოწყობილი, შუაზე ქრისტეს კვართი, გარშემო სუსტი ქარ-

5 ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 76.

6 ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 78.



თული წარწერა... ირგვლივ ყდისა იყო იგივე სუსტი ასოებით ქართული წარწერა... ძირს მსხვილი ქართული ასოებით წარწერა იყო ლამაზად „დაბადება“.<sup>7</sup>

სამწუხაროდ, სტამბოლის სავანის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი ეს წიგნები, იქ დასტამბულ ბევრ სხვა გამომცემასთან ერთად, ჯერ-ჯერობით უცნობია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ ყველა არა, მათი დიდი ნაწილი მაინც, დღესდღეობით ხელმოწუნდომელ სავანის არქივში იქნება დაცული.

გარდა იმისა, რომ დამონებული ფრაგმენტი სავანის საგამომცემლო შესაძლებლობათა შესახებაც გვანვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას, იგი ზემოთ უკვე მოხსენიებული იმ ეროვნული გულგრილობის უარსაყოფ არგუმენტადაც შეიძლება გამოვიყენოთ, რასაც ი. რაჭველი ქართველი კათოლიკეებისა და მათი მღვდელმსახურების შესახებ გამოთქვამდა ხსენებულ წერილში.

უფრო მეტიც, როგორც იმდროინდელ პრესაში ი. რაჭველის მიერ გამოქვეყნებული კორესპონდენციებით ირკვევა, სავანის ბერ-მონაზონთა მცდელობას, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გაეკეთებინათ თავიანთი სასწავლებლების მოსწავლეებისათვის განათლების მისაღებად საჭირო პირობების შესაქმნელად, ისიც აქტიურად უჭერდა მხარს. კერძოდ, სასწავლო სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად ი. რაჭველს საქართველოში არსებული გამომცემლობებისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მესვეურებთანაც ჰქონია ურთიერთობა დამყარებული და მათი დახმარებით ცდილობდა აღნიშნული საქმის მოგვარებას.

ქართულ სასწავლო წიგნებზე, განსაკუთრებით კი „დედა ენაზე“, არა მარტო მოსწავლეებში ყოფილა დიდი მოთხოვნილება, არამედ არამოსწავლე ქართველობაშიც, მათ შორის მაჰმადიან ქართველებშიც. მაგალითად, ქართული წიგნის გამომცემლებისადმი სტამბოლიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ი. რაჭველი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „დიდად დაგვავალებდნენ წიგნების გამომცემლნი საზოგადოებანი, რომ არ დაზოგავდნენ და გამოგვიგზავნიდნენ ჩვენის ნორჩის სკოლისათვის თავიანთ საყმანვილო გამომცემებს, თორემ ეს მონასტერი ხელ-ვიწროდ არის ქონებრივად და საქმე გაჭირვებით მიდის წინ“.<sup>8</sup>

როგორც ცნობილია, სტამბოლის ქართული სავანე არა მარტო კათოლიკეთა სალოცველო ადგილს წარმოადგენდა, არამედ იქ სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა წარმომადგენლებიც მრავლად იკრიბებოდნენ ხოლმე. ეს გარემოება იმით ყოფილა განპირობებული, რომ სავანეში არსებულ ლეთისმშობლის ქანდაკებას, რომელიც იქ საფრანგეთის ქალაქ ლურდის მონასტრიდან იყო გადმოტანილი, ხალხში ფართოდ გავრცელებული შეხედულებით, სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა და მრავალ დაავადებას კურნავდა. მ. თამარაშვილის ინფორმაციით, ეს ამბავი მთელს სტამბოლში იმდენად გახმაურებულა, რომ მონასტერში უამრავი ადამიანი მოდიოდა, მათ შორის, მართლმადიდებლებიცა და მაჰმადიანებიც, ხატის სასწაულმოქმედი ძალის პირადად მათაც რომ ეგრძნოთ. ეს გარემოება კი თურმე სხვა ეკლესიების მესვეურთა უკმაყოფილებას იწვევდა. ეკლესიაში მომსვლელთა რაოდენობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ღამით კარების დაკეტვასაც ძლივს ახერხებდნენ.

აი, რას წერს ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით მ. თამარაშვილი: „სასწაულებრივმა განკურნებამ როგორც სულიერმა, ასევე ხორციელმა, აქ მთელი კონს-

7 ბოსტაშვილი ნ., ისევ რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 78.

8 რაჭველი ი., წერილი კონსტანტინოპოლიდან, გაზ. „ივერია“, 1897 წ., 1 ივნისი.

ტანტინოპოლი და მისი შემოგარენი მიიზიდა. სამლოცველოს ყველა ჯურის იმდენი მორწმუნე, განსაკუთრებით მაჰმადიანი და ბერძენი მოაწყდა, მაგ შელწევა ერთობ ძნელდებოდა. ათასობით მორწმუნე განთიადისას იწყებდა დინებას და მათი სვლა უწყვეტად გრძელდებოდა საღამომდე. ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, სამლოცველოში აღარ შეეშვათ სალოცავად მოსულნი, რადგან ღამე დგებოდა. ძალზე ამალელებელი და ნამდვილად უჩვეული სანახავი იყო, როგორ ლოცულობდა სხვადასხვა ერის ეს უთვალავი შვილი უბინო ღვთისმშობელ მარიამის წინაშე, თითოეული თავისებურად და თავისი სარწმუნოების წეს-ჩვეულებების მიხედვით. ო, რა ღვთისმოსაობით სვამდნენ ისინი ლურდის წყალს“.

სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის ასეთ პოპულარობას სხვა რელიგიური ცენტრების მესვეურთა მკვეთრი გაღიზიანება და უკმაყოფილება გამოუწვევია. მ. თამარაშვილის ინფორმაციით, მათგან განსაკუთრებული აგრესიულობით თურმე ბერძენულ ეკლესიათა სტამბოლელი ეპისკოპოსები გამოირჩეოდნენ, რომელთაც „განგაში ატეხეს, მრევლმა არ მიგვატოვოსო, და მორწმუნენი რომ თავისკენ მიებრუნებინათ, ყველანაირი საშუალება გამოიყენეს, ჩაგონება იქნებოდა ეს, თუ მუქარა, ეკლესიიდან გაძევება თუ საჯაროდ გაკილევა. რა ნახეს, ამაოდ დაშვრნენ, დაიშურნენ, ქართველი პატრების ეკლესიას გადავწვავთ და ძირფესვიანად დავანგრევთო. ამის გამო პატრები იძულებულნი გახდნენ, ტაძრის ირგვლივ დღე და ღამე მცველები ჰყოლოდათ. ასე გრძელდებოდა 6 თვეზე მეტ ხანს, ვიდრე ტაძარს მოულოდნელად თავს არ დაესხნენ ბოროტგანზრახველნი... მაგრამ ყველა ფანდი უმწეო გამოდგა სასწაულების წინაშე, რასაც წმინდა ქალწული მოჰმადლიდა ყველას, ვინც მას შესთხოვდა“.<sup>9</sup>

მ. თამარაშვილის მიერ აღნიშნული ბოროტმოქმედება სტამბოლის ქართულ სავანეში 1893 წლის 2 თებერვალს მომხდარა. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია“ 1893 წლის 9 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილში: დასახელებული წლის „2 თებერვალს ვილაც ბოროტმოქმედმა გასძარცვა აქ ქართველ კათოლიკეთა სავანე. ქურდი წინა დღითვე შეიპარა თურმე სავანეში, მიიმალა სადღაც ყურე-კუნჭულში და როცა კარგად დაღამდა და ბერებმა დაიძინეს, შესულა ეკლესიაში, დაუნვაეს ჩარჩო ღვთისმშობლის ძეგლისა, გაუტეხია კლიტე და, რაც კი რამ ძვირფასი ნივთი და ოქრო ყოფილა, ყოველივე წაუღია, ხელი არ უხლია მხოლოდ ვერცხლეულისათვის. პირველად ეს ამბავი გაიგო თურმე მონასტრის ერთმა მორჩილმა და მაშინვე შეატყობინა მონასტრის წინამძღვარს ალ. ხითარიშვილს... წინამძღვარმა ეს ამბავი აცნობა საფრანგეთის საელჩოს და ხონთქარს. ქურდს პოლიცია დაეძებეს და რამდენიმე საეჭვო კაცი კიდეც შეიპყრო“.

აღნიშნულ მოვლენას იმხანად სტამბოლში მყოფი იასე რაჭველიც აუწყებდა მკითხველს ჟურნალ „მწყემსის“ 1894 წლის მე-18 ნომერში გამოქვეყნებული წერილით. მისი ინფორმაციით, ხსენებული ქურდობის ჩადენიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქურდს სტამბოლის კათოლიკე ეპისკოპოსისთვის ასეთი თხოვნით მიუმართავს: „შემიწყალეთ, წმინდაო მამავო, მაპატიეთ შეცოდებანი, ყველა მოპარულს უკანვე დავაბრუნებ, თუ მაპატიებთო“.

ეპისკოპოსმა კი აპატია, მაგრამ სამაგიეროდ მთავრობამ დასაჯა ქურდი, რომელსაც, როგორც ქურდობის უშუალოდ ჩამდენ პირს, ერთი წლით ციხე მიესაჯა, მის დაშმარე სამ პიროვნებას კი ოთხ-ოთხი თვით პატიმრობა შეუფარდეს.

9 თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 728.

მკაფიოდ გამოკვეთილი ერთ-ერთი თავისებურება, რითაც ი. რაჭველის თურქულ ციკლის წერილები ხასიათდება, ამ ქვეყნისა და მისი მკვიდრი მოსახლეობისადმი მისი ერთგრად გაორებული მიდგომაა. კერძოდ, თუ ერთის მხრივ, პირველ ყოვლისა ჩვენი ქვეყნების ისტორიული ურთიერთობებიდან გამომდინარე, ი. რაჭველი თურქებისა და მათი ქვეყნის დამპყრობლური სახელმწიფოებრივი პოლიტიკისადმი ყოველგვარი თავშეკავების გარეშე გამოხატავს თავის მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას, მეორეს მხრივ იმ ადამიანურ ღირსებებსაც და კეთილშობილურ თვისებებსაც აღნიშნავს ხაზგასმით, რითაც, მისი მტკიცებით, თურქები ხასიათდებიან გამორჩეულად.

მაგალითად, „ამ ბოლო ხანებში, – წერს იგი ერთგან, – ზოგი ოსმალეთიდან მოსულნი თუ იქიდან გამოქცეული პირნი მეტად აზვიადებენ ოსმალეთის მოქმედებას, უკვირთ მათი არაზომიერი მოპყრობა, დაგვიჭირეს, თავისუფლად არ გამოგვიშვეს და სხვა... ამბობენ ისინი ჩვენი გაზეთების ფურცლებზე. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ხშირად მეტად აზვიადებენ. ოცი წელიწადი ვცხოვრობდი კონსტანტინოპოლში ამ პნკარების ავტორი და არაფერი ასეთი არ მინახავს. უდანაშაულოს ოსმალეთის მთავრობა სულთან ჰამადის დროსაც კი არ ერჩოდა. თუკი არსებული წესწყობილების წინააღმდეგობას არ დაუმტკიცებდნენ, ისე არც არავის არ ავიწროებდნენ... ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენ ასეთ რამეს ოსმალეთში ვერ ვხვდეთ“.<sup>10</sup>

განსხვავებით დამონმებულ ფრაგმენტში ოსმალების ადამიანურ კეთილშობილებასთან და მათ სახელმწიფოში დამკვიდრებულ სამართლიანობასთან დაკავშირებით გამოთქმული ამ მოსაზრებისაგან, ოსმალური ციკლის სხვა ჩანაწერებში ი. რაჭველი რადიკალურად განსხვავებულ შეხედულებას გამოთქვამს და იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ „თუ ოსმალებს სრულიად მონად არ გაუხდი, ისე არავითარი მეგობრობა მათთან არ შეიძლება და არც მეზობლური განწყობილება. ოსმალებმა ყოველთვის დაპირება იცოდნენ, ახლაც ასეთები არიან და მუდამ ასეთები იქნებიან, სანამ არ აღიგვებიან ქვეყნის პირიდან, სულ დაპირება და დაპირება, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები, სინამდვილეში კი მხოლოდ ღალატი და მოტყუება“.<sup>11</sup>

ი. რაჭველის ოსმალური ციკლის ჩანაწერებში ერთმნიშვნელოვნად გამოხატული კედვე ერთი ტენდენციაა მათი ავტორის პრორუსული პოზიციაა. ჩვენი ეროვნული პრობლემების რეალური გადაწყვეტის ერთადერთ გონივრულ და ყველაზე მეტად პერსპექტიულ გზად იასე რაჭველს რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ავტონომიური სტატუსით არსებობა მიაჩნდა, მისთვის შინაური მართვა-გამმგებლობის უფლების მინიჭება.

რუსეთისადმი ი. რაჭველის აშკარად ლოიალური დამოკიდებულება დროდადრო ისეთ მასშტაბებსაც კი იძენს, რომ ამ იმპერიის სახელმწიფოებრივ დაქვემდებარებაში შემავალ ხალხთა გამოყოფა მისი შემადგენლობიდან მას ფაქტობრივად სრულიად გაუმართლებელ მოვლენად მიაჩნდა. მაგალითად: „არც ერთი რუსეთის იმპერიაში მცხოვრები მცირე ერები, – წერდა იგი ერთგან, – რომელთაც ცოტათი მაინც გაეგებათ რამე, არასოდეს არ იფიქრებენ რუსეთიდან სრულიად გამოყოფას და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას. ეს იქნებოდა პოლიტიკური სიბეცე“.<sup>12</sup>

10 ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 107.

11 ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 116.

12 ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 113.

ი. რაჭველის აზრით, ეს ყველაფერი მხოლოდ მაშინ იქნებოდა რეალურად შესაძლებელი, თუ რუსეთის იმპერიული ხელისუფლება სახელმწიფოებრივი მართვა-განმგებლობის იმჟამინდელ სისტემას არსებითად შეცვლიდა, მის შემადგენლობაში შემავალ ხალხებს ავტონომიას მიანიჭებდა და ეროვნული თვალსაზრისით არ შეზღუდვდა. როგორც თავადვე წერდა, „ისეთ სხვადასხვა ეროვნებით აჭრელეზულ ქვეყანაში, როგორც არის რუსეთი, სადაც ნახევარზე მეტს უფრო შეგნებული ელემენტებისას შეადგენს „ინოროდცები“, შეუძლებელია ვარგოდეს არსებული წესწყობილება. მაშასადამე, მიუცილებლად საჭიროა ისეთი სისტემის წესწყობილების შემოღება, რომელიც ყველა რუსეთის ქვეშევრდომს მტკიცედ შეაკავშირებს და დაამეგობრებს ერთმანეთთან“.<sup>13</sup>

ქართველი ერისა და რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სხვა ხალხების ეროვნულ პრობლემათა მოსაგვარებელ გზათა ძიების დროს ი. რაჭველი ფაქტობრივად რუსული სახელმწიფოს რეფორმატორის როლში გვევლინებოდა, მისი „მთლიან-ძლიერების დედაბოძად“ იქ მცხოვრებ ერთა „სრულ სოლიდარობას“ მიიჩნევდა და ამ იმპერიის შემადგენლობიდან რომელიმე მათგანის გამოყოფას გაუმართლებელ და არაგონივრულ საქმედ თვლიდა.

თავისი ცხოვრების სტამბოლურ პერიოდში ი. რაჭველი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გასაღვივებლად და განსამტკიცებლად. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ჟურნალ „კვალის“ 1895 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „გადაკარგული ქართველები“, სადაც ასეთი ამბავია მოთხრობილი: „ამ რამდენიმე თვის წინათ აქ გამოიარა ერთმა პატარა ვაჭარმა – გურულმა, გვარად ჩხაიძემ, რომელსაც ოსმალეთის ერთ ქალაქთაგანში „ორდუში“ ფეხსაცმელების დუქანი აქვს. მთელი დღე მეძება, მიპოვა და მთხოვა გაზეთები გამომეწერა; გადმომცა ოცდახუთი მანეთი „ივერიის“ და „კვალის“ დასაკვეთად. ამ რიგათ, ახლა ის ორს საუკეთესო ქართულს გამოცემას ღებულობს და დიდი კმაყოფილიც არის“.

მშობლიურ ფესვებს მონყვეტილ ქართველთა ეროვნული ბედით ავტორის დაინტერესება კიდევ უფრო მეტი ემოციური შთამბეჭდაობით ვლინდება ხსენებული პუბლიკაციის იმ ეპიზოდში, სადაც ი. რაჭველი მკითხველს ოსმალეთის კუნძულ ტრიპოლზე მცხოვრები ერთ-ერთ ქართველი მაჰმადიანის მიერ მისთვის ქართულ ენაზე გაგზავნილ ამ წერილს სთავაზობს:

„ძიავ, ბატონო იასე. „წყალ-წაღებული კაცი ფხასვს (ხავსს, – ი. რ.) ეკიდებოდაო“, ნათქვამია. მეც ამ გადაკარგულ ადგილას სტორეთ ამ ანდაზას ვგავარ. მეც წყალ-წაღებულივით ფხასვს ვეკიდები, მარა საუბედუროთ იღბალი არც აქ მქონია. ფხასვიც არსად ჩანს. რა ჩემს ქვეყანას მოეშორდი, მერე ერთი ლაზათიანი დღე არ მინახავს, მარტოთ მარტო ვარ აქ, ისე როგორც ნამდვილი ეთიმი (ობოლს ჰქვია თათრულად, – ი. რ.).

აგერ სამი დღეა, აქიდან ერთმა თქვენებურმა გურჯმა გვიარა. ამ გურჯს ბევრი გურჯის ლისანის (ენის, – ი. რ.) გაზეთები მიქონდა. მე იგი კაცი ჩემი ხსინიმი (ნათესავი) მეგონა. რომ ვნახე, ისეთი გამიხარდა, რაც შემეძლებოდა, ვემსახურე. ორისამი წიგნი და გაზეთები მაჩუქა. ეს მე ძალიან გამიხარდა და ვთხუე, რამენაირათ მიქენით სიკეთე და გაზეთები, ან წიგნები კიდო მიშონეთ-მეთქინ. იმან მიპასუხა: „მე ამერიკაში მივდივარ და ეგებ ვერც კი დავბრუნდეო. ამისთვის სიტყვას ვერ მოგ-

13 ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 114.

ცემო. სტამბოლში ერთი ქართველი ცხოვრობს, იმას ბრველი გაზეთები და წიგნები აქვსო და გამოგიგზავნისო“ და თქვენი ადრესიც დამიტოვა... ახლა მე იმედი მომეცა ამ კაცის სიტყვებიდან და თუმც არ გიცნობ, მარა მაინც ვბედავ და გწერ ამ წიგნს. გთხოვ, ფინათ ნუ ჩამომართმევ და თუ შეიძლება ის გაზეთები, რომელიც თქვენ აღარ გჭირიათ, გამომიგზავნოთ მე.

ამასთანავე ჩემს თავსაც გაგაცნობთ. მე მართალია თათარი ვარ, მარა მაინც ნამდვილი გურჯი ვარ: მუხირების (მუხირი ომს ჰქვია თათრულად, – ი. რ.) შემდგომ სათათრეში მომიხდა გამოსვლა და ახლა აქ ტრიპოლში ვარ. ჩემსობას ჩურუქ-სუს (ოსმალობის პერიოდში ქობულეთს ერქვა, – ა. ნ.) თათრული ყველამ არ იცოდა და მეც, რადგან დედაჩემი ქართველის ქალი იყო, თათრული არ მისტავლია... ქართული მე კარგათ ვიცოდი, პანას ვწერდი კიდეც. ახლა, რომ ამ გურჯის გაზეთები და წიგნები დამიტია, სუნთლათ ნავიკითხე, ნელათ-ნელათაი ყველაი გამახსენდა... გთხოვთ ნუ დამტოვებთ უმოწყალოთ, მეც თქვენებური ვარ და თუ რამე გაზეთები, ან წიგნები გაქ მეტი, გამომიგზავნეთ. იგი ჩემთვის ძანიალი სიკეთე იქნება... ახ, ძიავ, თურმე რა ძნელი ყოფილა ველადეთის (სამშობლოს ქვია თათრულად, – ი. რ.) დატიება. ღმერთმა კითხოს, ვინცხაის ბრალია ასეთე ჩემი დაკარქვა“.

ამ წერილის ნაკითხვას ი. რაჭველი ისე აუღელვებია, რომ „ნამეტანი გრძნობებისაგან თვალეზე ცრემლები წამოდგომია“ და გულში ასეთი რამ უთქვამს: „გმადლობ შენ, ღმერთო, სადღაც ცხრა მთას იქით ქართველი თათარი ამ რიგი გრძნობით მწერს და მეხვეწება ქართული გაზეთი მივანოდო და თანაც მონადინებულია, თუ დრო ექნა, გამოინეროს; აქ სტამბოლში კი თითქმის ყველას მოუდის გაზეთები, მხოლოდ კითხვით არავინ კითხულობს-მეთქი. ამ წერილის მიღებამ გულში ამიძრა სურვილი სტამბოლის კათოლიკე ქართველთა შორის გამეგრცელებინა ქართული გაზეთები და წიგნები. ასე ვფიქრობდი: თუ თათარი ქართველი კია მონადინებული ქართული არ დაივიწყოს, ქართველი ქრისტიანი უფრო იქნება მეთქი. მხოლოთ ვაი თქვენს მტერს! თურმე აქაურმა კათოლიკე ქართველებმა ჩემი ხათრისათვის გამოინერეს გაზეთები, თორემ კითხვის სურვილი სრულიათ არ ქონიათ... რა ვუყურებ მათს ამ რიგ ქართულისადმი გულცივობას, გული მიკვდება და იმედი მეკარგვის. თუ ასე გაატანა ამათმა მდგომარეობამ, უეჭველია, დიდი ხანი არ გაივლის, სრულეზით ქართული დაავინყდებათ“.

ასეთია უმთავრესი ნახნაგები იასე რაჭველის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის სტამბოლური პერიოდისა. ამგვარ აქტიურ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას იგი საქართველოში ცხოვრების დროსაც აგრძელებდა და გარდა პუბლიცისტური წერილებისა და კორესპონდენციებისა, იმხანად მას პროზაული და პოეტური ნაწარმოებებიც აქვს გამოქვეყნებული.

## დამონუმენი

1. ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991.
2. თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995
3. რაჭველი ი., წერილი კონსტანტინოპოლიდან, გაზ. „ივერია“, 1897 წ., 1 ივნისი.

## AVTANDIL NIKOLEISHVILI

### Iase Mekhuzla (Rachveli) – the Publicist in Turkey

#### Summary

Iase Mekhuzla (Rachveli) lived in Turkey, mostly in Istanbul in 1880-1902, later in 1904 and in 1909-1915 years. He had close friendly relationships with the fellow-countrymen living there at that time and with the local Georgians as well. When living in Istanbul his activities can be divided mainly into two directions \_ on the one hand, he actively tried to incite the national consciousness among the Georgians living there and on the other hand, to play the role of an ally between the Georgians living in Turkey and Georgia. In his letters I. Rachveli provides highly interesting data about Georgian Catholic Church in Istanbul known as the Georgian Monastery as well as about everyday life and national consciousness of the Georgians living in Turkey.

One of the distinct features of the letters of Turkish cycle by I. Rachveli is his split approach towards this country. In particular, if on the one hand, he expresses a negative attitude towards the aggressive state policy of the Ottoman Empire based on the historical relationships with our country without any hesitation, on the other hand, he highlights the human dignity and the noble qualities, which, he believes, Turks are exceptionally characterized by.

## ლეო ქვიშვილი – „არგენტინელი“ ქართველი

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან საზღვარგარეთ სასწავლებლად ქართველ ახალგაზრდათა დიდი ჯგუფი ორჯერ მიავლინეს. ერთი – 1919 წელს დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ, ხოლო მეორედ კი გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა საქართველოში.

ეს ტენდენცია შენარჩუნდა 30-იანი წლების დასაწყისისათვისაც. ახალგაზრდათა ნაწილი საკუთარი ხარჯით სწავლობდა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო ნაწილზე სახელმწიფო ზრუნავდა.

„1930 წლის მონაცემებით, საქართველოდან საზღვარგარეთ საკუთარი ხარჯებით სწავლობდნენ: გაჯინსკი ანუშევეანი, გომართელი არჩილ ივანეს ძე, დიასამიძე არჩილ ლეონის ძე, ჯაფარიძე დიმიტრი კონსტანტინეს ძე, დედერერი ერის სამუელის ძე, კარდენახიშვილი ივანე, ყიფშიძე გაიოზ ზაქროს ძე, ქიქოძე ეკატერინე ტიტეს ასული, ნაკაშიძე ლევან ერმილეს ძე, რუხაძე გიორგი, რამიშვილი ანანია, სობესტიანსკი ედმუნდ ედმუნდის ძე, ცხომელიძე ვლადიმერ თევდორეს ძე, ქვიშვილი ლეონიდ პორფილეს ძე, იაკიშვილი ანატოლი ალექსანდრე ძე“.<sup>1</sup>

ასე რომ, 21 წლის ლეო ქვიშვილმა 1926 წლის 14 იანვარს დატოვა მშობლიური კუთხე. მისთვის სამშობლოში დაბრუნების გზა გაცილებით უფრო გრძელი გამოდგა, ვიდრე სამშობლოდან უცხოეთში მიმავალი.

თავდაპირველად მრეწველი პორფილე ქვიშვილი გერმანიაში მყოფ შვილს ფულს რეგულარულად უგზავნიდა მანამ, სანამ საქართველოში ბოლშევიკური ტირანია იმძლავრებდა, რომლის შემდეგ საზღვარგარეთ მიმონერა და ფულადი გზავნილები შეწყდა.

მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ლეო ქვიშვილი თავს მხაზველობითი საქმიანობით ირჩენდა.

ევროპაში ცხოვრების 10 წელი მან მიზანმიმართულად გამოიყენა. გერმანიაში ჯერ ბერლინ-მარლოტენბურგის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა. 1935 წელს დოქტორ-ინჟინრის ხარისხის მოსაპოვებლად სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ამის შემდეგ, ლეო ქვიშვილი კაიზერ ვილჰელმის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში მიინვიეს, რომელსაც დღეს მაქს პლანკის სახელი ჰქვია.

10 წელი იმუშავა მან ცემენტის, კერამიკისა და მატერიის სტრუქტურათა რენტგენის სხივებით გამოკვლევის დარგში, დანერა და გამოაქვეყნა 12 სამეცნიერო ნაშრომი. აქვე აიღო ლეო ქვიშვილმა მაღალი ცეცხლგამძლე მასალების ტექნოლოგიის შემუშავებისათვის პატენტიც. მანვე გამოიგონა ვიბრაციული ვისკოზომეტრი.

იმ მძიმე წლებში, როცა ბოლშევიკურმა მანქანამ სისხლის ზღვა დააყენა საქართველოში და თავისუფლებას ხუნდები დაედო, ლეო ქვიშვილი ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა დიდ ნაკადს შეუერთდა.

<sup>1</sup> სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბ., 2012, გვ. 156.

მან ბოლშევიკურ სამშობლოში დაბრუნებას, ისევე ემიგრანტობა არჩია და 1938 წელს, პარიზში ტურფა პაპავაზე ჯვარი დაინერა, რომელთანაც სუთი შვილი შეეძინა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ლეო ჭეიშვილისა და მისი ოჯახისათვის ახალი ლტოლვილობის ხანა დაიწყო. შიმშილი, უსახლკარობა, გერმანიის გადაბუგულ ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფლად ხეტიალი. ოჯახს თუ რამე ებადა, ომმა ყველაფერი შემოაძარცვა.

იმ დროს, როცა საბჭოთა ჯარები მიადგნენ ბერლინს, ლეო ჭეიშვილის ოჯახი ისევ გერმანიაში იყო. ისინი სოფელ ფლადუნგენის სკოლის შენობაში იყვნენ თავშეფარებული.

1947 წელს ლეო ჭეიშვილი გერმანიიდან ცოლ-შვილთან ერთად საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა, სადაც მუშაობდა პარიზის პორცელანის ქარხნის ტექნიკურ დირექტორად. ომით დანგრეულ ევროპაში ჭირდა ცხოვრება და იგი მთელი ოჯახით სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, არგენტინაში 1948 წელს გადასახლდა.

მათი ჩასვლის დროს არგენტინაში ორი თუ სამი ქართველი ცხოვრობდა. მალე აქ ქართველთა რიცხვი ისე გაიზარდა, რომ სათვისტომოც ჩამოყალიბდა.

ლეო ჭეიშვილი 1948 წლიდან 1960 წლამდე, როგორც სილიკატური ქიმიის დარგის აღიარებული სპეციალისტი, არგენტინაში მინერალოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.<sup>2</sup>



ტურფა პაპავასა და ლეო ჭეიშვილის ქორწილი.  
ლეო ჭეიშვილის გვერდით: თამარ და აკაკი პაპაევები,  
პარიზი, 1938 წ.



ლეო ჭეიშვილი არგენტინაში.

1960 წლიდან იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსილვანიის უნივერსიტეტში მიიწვიეს, როგორც მთავარი მეცნიერ-მკვლევარი კერამიკისა და მინის დამუშავების დარგში.

2 მარჯანიშვილი მ., ლეო ჭეიშვილი – არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი, თბ., 2013, გვ. 37.



ამასთან დაკავშირებით, ესეისტი თამარ პაპავა მეგობარს სარა მერაბაშვილს თბილისში წერდა: „ჩემი ტურფას ქმარი, ლეო ჭეიშვილი, მისი გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე, მიიწვიეს აქაურ უნივერსიტეტში ქიმიისა და კერამიკის კათედრაზე პროფესორად. ეს მეტად საამაყოა ჩვენთვის, ქართველებისათვის“.<sup>3</sup>

ოჯახსა და სამსახურში პირადმა წარმატებებმა ვერა და ვერ იხსნა ლეო ჭეიშვილი ნოსტალგიის მიმე სენისაგან, რომელიც უცხოეთში შეეყარა. სამშობლოდან დაშორების წლები სულ უფრო და უფრო აწყვეტდა ნერვებს, სულს უფლეთდა და აფორიაქებდა.

წინაგანი ტკივილების გარეთ გამოტანა, მისი ხატვა, მწვავე განცდების სახეებად გაშლა, შვება და განკურნება, დამძიმებული სულის შემსუბუქება მან პოეტურსა და ფრთიან სტრიქონებს მიანდო. ლექსში „ცხოვრების ფურცლები“, იგი წერდა:

*„გადავშლი ჩემი ცხოვრების ფურცლებს,  
ან გაცვეთილებს და გაყვითლებულს.  
სევდამორევით დავხუჭავ თვალებს  
და მოვიგონებ იმ წლებს დაკარგულს.  
ვით დილის ნისლი პირველ სხივებზე,  
ისე გამიქრუნნ ჩემი დღეები -  
გულგატეხილი, ცხოვრების გზაზე  
ჩაფიქრებული მივეშურები“.*

ეს ლექსი 1976 წელს დაიბეჭდა პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონის“ XVIII ნომერში, მასში ერთი უმთავრესი აზრი დევს, ესაა ემიგრანტებისათვის დამახასიათებელი ბედნიერი მოგონებები გარდასულ დღეთა შესახებ და შეუფუებული რეალობა.

„ჩემო ეთერიკო! მე როგორც გწერდი, ყოველ წერილში თითო ლექსს გამოგიგზავნი. შენ მანდ მოაგროვე და შეინახე. მხოლოდ მიპასუხე, თუ რა ლექსს მიიღებ. ბევრი არ არის, მაგრამ იქნება დაახლოებით 70-მდე. აგერ უკვე ერთ წელზე მეტი იქნება, რაც არაფერი დამიწერია – ჩავიქნიე ხელი და ვთქვი: ან რა აზრი აქვს, ან რა ფასი. ეს მხოლოდ უნიჭო განტვირთვა არის დაგროვილ ბოლმათა განუზომელი ტვირთის.

*„თუ სხვა ხითხითებს, რომ ხელთ აქვს ძალა და ფული –  
ვარ ბედნიერი, რომ ცრემლებით მაქვს სავსე სული“*

– აცხადებდა ლეო ჭეიშვილი, რომელსაც თავის პროფესიად არასოდეს აღუქვია შემოქმედებითი მოღვაწეობა. იქნებ, ამის გამოც იდგა დიდხანს ჩრდილქვემ რჩებოდა“.

საერთოდ, პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოქმედება იმთავითვე ფართოდ შუქდებოდა ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე, „კავკასიონის“ XVIII, XIX, XX ნომრებში გამოქვეყნებული იყო ლ. ჭეიშვილის ლექსებიც.

3 პაპავა თ., საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, წერილები, ფონდი 28 103/ 15.

*„მიყვარს სოფელი შელამებისას –  
მიდამოს ბინდი მოუფინება,  
მთვარე გადმოღვრის ვერცხლის ნაკადებს,–  
დაღლილ ბუნებას მიეძინება.“*

ან კიდევ

*„ოდეს შეჩერდეს ძგერა ამ გულის,  
მაშინ ცამ მედვრად დაიგრილოს,  
რომ ამცნოს წასვლა სულით ეულის,  
წვიმამ ცრემლებით გამომიტიროს.“*

ჭაბუკობიდან ბუნებით რომანტიკოსი ლეო ქვიშვილი აღნიშნავდა: „წარამარა ვიმეორებდი ჩემი სათაყვანებელი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის მუსიკას, რაც უცხოეთში ვარ.

*„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის  
ნუ დამიტვიროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამცევს ცრემლი მწუხარის“.*  
ეს მიყვარდა და ეს შეიქმნა ჩემი ბედი“.<sup>4</sup>

ლ. ქვიშვილისთანა სულის პიროვნებას, ფიქრის კაცს უპირისპირდება ემიგრანტის მძიმე და რთული ცხოვრების გზა-სავალი, ბნელი და მღვრიე ყოფიერება, რომლისგანაც თავის დაღწევა, სიცოცხლისაკენ მობრუნება, ბედისწერასთან ამბოხს უდრიდა და ბარათაშვილის ბოროტი სულისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა.

უდროოდ ჩაფერფლილი გენიოსის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – ცხოვრებას მიუძღვნა ლეო ქვიშვილმა ლექსი „უიმედო ცრემლები“, რომელშიც იგი პოეტს ყოფიერების არარაობასა და ამაოებაზე ეკამათებოდა:

*„დიდო ქართველო წავიდა ის დრო,  
როცა იმედი კიდევ სუფევდა,  
როცა შენს გულში, აკვნესებულში  
მომავლის ცეცხლი მაინც ლვივოდა! ..*

*... ..  
„სული ობოლი“ დარჩა მარტოკა,  
დიდ სამყაროში არარად ქმნილი –  
რის მაქნისია თვით ეს სამყარო,  
ან რისთვისა ვართ ჩვენ გაჩენილი?!“...*

სინამდვილით მოგვრილი მელანქოლია და დეპრესიის პოეტიზირება ლეო ქვიშვილის სულსა და პოეტურ სტრიქონებში გვიან გამოვლინდა, ალბათ მაშინ, როდესაც დარწმუნდა, რომ ოცნებად ქცეულ სამშობლოს ხილვას ველარ მოესწრებოდა, რაც ნათლადაა გამოხატული მის ლექსში „განმორებისას“, რომელიც აჟურნალ „კავკასიონის“ XIII ნომერში დაიბეჭდა.

4 ქვიშვილი ლ., პირადი წერილები და ლექსები, ლომას-დე-სამორა, 1971–1975. 15.3.73.

*„მძიმე ფიქრებში გახეული მწუხარე გულით,  
დავდივარ სოფლად, თავდახრილი, მარტოდ, უმიზნოდ,  
ჩემთვის დასრულდა ან ზღაპარი ოდეს ნათხრობი  
და ვუცდი ჩემს დღეს განკითხვისას, ჩუმათ, უსიტყვოდ.“*

ამკარაა, რომ ლეო ქვიშვილს ეპოქის დრამატიზმი საკუთარ ტრაგედიად ჰქონდა აღქმული, რადგან იგი სამყაროს ჭვრეტდა არა თავისთავად არსებულს, არამედ, როგორც სულის სიღრმეში მოქცეულს. ამავე ლექსში ვკითხულობთ:

*„როგორ დავწყევლო დღე გაჩენის – სინათლის ხილვა?  
როგორ დავწყევლო გზა ცხოვრების ჩემგან გავლილი?!  
მაგრამ თუ მკვდარსაც არ მეღირსოს მშობელი მიწა,  
ჩემი გაჩენა, ჩემი ბედი იყოს წყევლილი!“*

მშობლიურ ბუდესა და ტოლ მეგობრებთან განშორების მწვავე განცდები უდიდესი ტკივილითაა გაჟღერებული ლექსში „საყვედური“.

*„ტოტზე შემოჯდა ჩიტი ბელურა  
და ჭიკჭიკს მოყვა მწარე გოდებით,  
რად დაგვივინყე?! \_ მისაყვედურა  
ამდენი ხანი მოგელოდებით.“*

ლეო ქვიშვილს სევდიან რაინდსა და გულდათუთქულ მამულიშვილს უკულმართმა ბედმა მარტო სამშობლოს დაშორება როდი აკმარა. 1975 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა მისი ნაბოლარა ქალიშვილი მაყვალა ქვიშვილი.

გულდაკოდილი მამის დიდი ადამიანური ტკივილები და განცდებია გამოხატული მიძღვნიტი ხასიათის ლექსში „მაყვალა“:

*„ოხ! ნეტავ, ნეტავ არ იყოს“ დარდი  
გადიშლებოდეს ია და ვარდი,  
სიზმრად გნახავდე შვილო მაყვალა,  
ბედმა, უბედომ არ დაგაცალა,  
ჯერ გაუშლელი დაგაჭკნო ვარდი,  
და დაგვიტოვა მწუხრი და დარდი...“*

პოეზიასთან ერთად ლეო ქვიშვილმა დაგვიტოვა უამრავი გრაფიკული ნამუშევარი და მხატვრული ტილოები. მისი დასურათებული გახლდათ სამხრეთ ამერიკაში გამოსული აკაკი პაპავას ყველა ნიგნი, რომლის შესახებ მწერალი გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა: „მივიღე თქვენი თხზულება „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“. გმადლობთ! მივიღე თანვე შენი ნიგნი, აკაკი: „უცხო ჭიშკართან“ გმადლობთ! (გადაეცი ლეოს: ყდა პირველისა კარგია, ყდა მეორესი შესანიშნავი, დიდი ოსტატობა გამოუჩინია.)“.



ლეო ჭეიშვილის მიერ  
მხატვრულად გაფორმებული აკაკი პაპავას წიგნის ყდა.

ლეო ჭეიშვილმა, ჯერ კიდევ 1962 წლის 20 ივლისს დაწერა თავისი ანდერძი:

*„დადგა დღე ჩვენი განშორებისა,  
აქვითინებულს სიტყვა მინყდება.  
გთხოვთ მოიგონოთ სახელი ჩემი—  
იმედი მაქვს არ დაგავინწყდებათ?!  
მინდა შენ განდო, რაც დავიბადე,  
მსურს იქ ვიძინო უკანასკნელად,  
გთხოვთ, მოაყაროთ ჩემს მშობელ მიწას,  
სხეული ჩემი, ქცეული ფერფლად!“*

ლეო ჭეიშვილი სამშობლოდან ფიზიკური განშორების მიუხედავად, მაინც ქართული ყოფით ცხოვრობდა და სულდგმულობდა: „20 წელი ვიცოცხლე სამშობლოში და აქ კი 60 წელი ვარსებობ“, – წერდა ის.

1990 წლის 1 ნოემბერს პარიზში გამოშვებული ჟურნალის „გუშაგის“ №23-ე ნომერში ეწერა: „წელს 1 ნოემბერს ღრმად მოხუცებული, ლომას-დე-სამორაში (ბუენოს-აირესის პროვინცია, არგენტინა) გარდაიცვალა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილი. ადგილზე დაიკრძალა დროებით და ანდერძის მიხედვით გადასვენდება სამშობლოში“.

*„მუდამ მიყვარდით და მეყვარებით!  
თქვენ განაცვალებთ ამ გულის ძველას!  
ცრემლმორეული ჩამოვკრავ სიმებს,  
და გიმღერო ჩემი „გედის სიმღერას“.*

მართალია, ლეო ჭეიშვილის ლექსები ქართული პოეზიის ნიმუშებს არ წარმოადგენენ, ალაგ-ალაგ სუსტი ადგილებიც არის, მაგრამ მათი ეს ნაკლულოვანებები იფარება აზრის სიღრმით, განცდების სიჭარბით, სისადავით, უბრალოებით, გულწრფელობითა და ბუნებრიობით, რითაც იგი ახალი და ორიგინალური შტრიხებით ავსებს თანამედროვე ქართული მწერლობის უმდიდრეს საგანძურს.

### დამონმბანი

1. მარჯანიშვილი მ., ლეო ჭეიშვილი – არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი, თბ., 2013.
2. პაპავა თ., საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, წერილები, ფონდი 28 103/ 15.
3. სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბ., 2012.
4. ჭეიშვილი ლ., პირადი წერილები და ლექსები, ლომას-დე-სამორა, 1971–1975. 15.3.73.

### MARIAM MARJANISHVILI

#### Leo Cheishvili – „Argentine“ Georgian

#### Summary

The creative and scientific work of the Georgian writer, artist and scientist, Leonide (Leo) Cheishvili, living and working in Argentina, is almost unknown for our society. The reason of this is, perhaps, the fact that for a long time he was in the shade of the distinguished writers and scientists living in Argentina, Victor Nozadze, Akaki and Tamar Papavas, but his more than 70 poems, numerous graphic works and 37 scientific works definitely deserve more attention.

In distant Argentina, with poetic lines and colours, he made his country's image talk and revealed his inner self.

It is obviously very difficult to live, fight and, above all, die without the home country, to sacrifice Georgian blood for another country.

On 20 July, 1962, L. Cheishvili, crucified for his home country, wrote in his will:

„It is time for us to part,

I can't find words, weeping.

I beg to remember my name –

And hope you won't forget it?!“

In spite of living far from Georgia, Leo Cheishvili still lived in and cherished the Georgian way of life: „I lived in my home country for 20 years and I have existed here for 60 years“, he wrote.

## გრიგოლ რობაქიძე გიგო დიასამიძის შესახებ

გაზეთ „თემის“ გამომცემელ-რედაქტორი, აკაკი წერეთლის უმცროსი მეგობარი და მისი „მოგზაურობის“ მთავარი ორგანიზატორი – გრიგოლ დიასამიძე, 1870 წელს 25 იანვარს დაიბადა გორის მაზრის სოფელ საქაშეთში, ნიკოლოზ დიასამიძისა და ნინო ბებუთაშვილის ოჯახში. ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ პროფესიად სხვა საქმიანობა აირჩია: იყო პედაგოგი, ჟურნალისტ-ლიტერატორი, გამომცემელ-რედაქტორი...

1921 წლის თებერვალში, თბილისში ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ, გრიგოლ დიასამიძე იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. ჯერ კოსტანტინოპოლში გაიხიზნა, შემდეგ პარიზში, საბოლოოდ კი, გერმანიაში დასახლდა. ემიგრაციაშიც ქართულ საქმეს ემსახურებოდა: იყო თავისივე ინიციატივით ბერლინში დაარსებული ქართული სათვისტომოს პირველი თავმჯდომარე; 1922 წელს, რიხარდ მეკელანთან ერთად დააარსა „რუსთაველის საზოგადოება“ და გამომცემლობა „ნოიე ოსტენი“ („Neue Osten“ „ახალი აღმოსავლეთი“). მეკელანთან ერთადვე გამოსცემდა გერმანულენოვან ყოველთვიურ ჟურნალს „მორგენლანდს“ („Morgenland“ „ახლო აღმოსავლეთი“); ეხმარებოდა კონსტანტინე ბაღმონტს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნაში, რომელიც პირველად 1933 წელს, პარიზში გამოიცა; იყო ბერლინის აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის შემსწავლელი ინსტიტუტის ნამდვილი წევრი.<sup>1</sup> აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესასთან: მისი სტატიები იბეჭდებოდა გაზეთებში „დამოუკიდებელი საქართველო“ (პარიზი, 1926-1939 წწ.), „საქართველოს გუმაგი“ (პარიზი, 1932-1936 წწ.), „კლდე“ (ბერლინი, 1934-1936 წწ.), ჟურნალ „კავკასიაში“ (პარიზი, 1937-1939 წწ.) და სხვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბოლშევიკებსა და კომუნისტურ რეჟიმს გამოქცეული ქართველი ემიგრანტების ნაწილმა, რომლებმაც თავის დროზე თავშესაფარი გერმანიაში ჰპოვეს, თავისუფლებისა და უკეთესი ცხოვრების ძიებაში „ახალ სამყაროს“ მიაშურეს. მათ შორის იყო გრიგოლ დიასამიძეც, რომელმაც ქალიშვილთან, ელენე (ლოლა) დიასამიძესა და შვილიშვილთან, ნინო ვაჩნაძესთან ერთად, 1952 წლის მარტში დატოვა ქვეყანა, სადაც თითქმის 31 წელი იცხოვრა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დასახლდა.

1955 წელს ამერიკის ქართული დიასპორა თავისი უზუცესი წევრის, გრიგოლ დიასამიძის 85 წლის იუბილეს აღნიშნავდა. ქართული ჟურნალისტიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი, უკვე 3 წელია ნიუ-იორკში ცხოვრობდა და სოლიდური ასაკის მიუხედავად, აქტიურად განაგრძობდა საქმიანობას: იყო ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე და „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ გამგეობის წევრი; ნაყოფიერად თანამშრომლობდა ჟურნალთან „ჩვენი გზა“. იუბილესთან დაკავშირებით, ამ ჟურნალის მე-4 ნომერში „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ სახელით, გივი კობახიძემ გამოაქვეყნა მილოცვა გრიგოლ დიასამიძისადმი და მისი საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფია.<sup>2</sup> ამავე ნომერში და-

1 დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია ამერიკაში, თბ., 2014, გვ. 139.

2 Kobachidze G. A. „Grigol Diasamidze“, *Our Path*—ჩვენი გზა, N4, New York (May 1955), 12-13.

იბეჭდა „გრიგოლ დიასამიძის პროფილი“ (Profile of G. Diasamidze) დანერილი მეგობრის (Friend) მიერ.<sup>3</sup> სტატიის ლიდში ნათქვამია რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საბჭომ“ მიიღო უამრავი მისალოცი წერილი, მაგრამ ადგილის სიმცირის გამო, რედაქციამ შეუძლებლად მიიჩნია ყველას დაბეჭდვა, ამიტომ ამოარჩიეს ახლო მეგობრის წერილი, რომელშიც ასახულია ოსტატური პორტრეტი თავადი გრიგოლ დიასამიძისა. წერილის კითხვისას, ჩნდება ვარაუდი, რომ ავტორი გრიგოლ რობაქიძეა, თუმცა ჟურნალში „ახლო მეგობრის“ ვინაობის შესახებ მითითება არ არის. ტექსტიც ინგლისურადაა ნათარგმნი და დედნის გარეშე, გადაჭრიტ ვერაფერს იტყვი ...

გრიგოლ დიასამიძისა და გრიგოლ რობაქიძის მეგობრობა ჯერ კიდევ საქართველოში დაიწყო და გერმანიაში, ემიგრაციაშიც გაგრძელდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გრიგოლ რობაქიძე ჰიტლერისა და მუსოლინის შესახებ დანერილი ნაშრომების გამო, შერისხულთა შორის აღმოჩნდა და იძულებული გახდა გერმანია დაეტოვებინა. შეწყდა მიმოწერაც ძველ მეგობარებს შორის ... „...ვერა მოგწერე რა ამ სამი წლის განმავლობაში, რადგან მეგონა: თითქოს ჩემს სახელს ერიდებოდი ...“ – წერს გრიგოლ რობაქიძე გრიგოლ დიასამიძეს ჟენევიდან 1948 წლის სექტემბერში. ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან, მაგრამ მიმოწერა კი აღადგინეს...

1990 წლის თებერვალში, პროფესორ გურამ შარაძის თხოვნით, ჟურნალ „ჩვენი გზის“ შესახებ გივი კობახიძემ განმარტებით ბარათი დაწერა, რომელშიც ვკითხულობთ: „... „Friend“ – გრიგოლ, რობაქიძეა. მას ეკუთვნის გ. დიასამიძის პორტრეტი. პირადი და დიდი მეგობრები იყვნენ! ...“<sup>4</sup>

იმავე წელს, აპრილში, გაზეთ თბილისის 97-ე და 98-ე ნომრებში გურამ შარაძემვე გამოაქვეყნა გივი კობახიძის სტატია „მარად იბრწყინებს“ – გრიგოლ დიასამიძის შესახებ, რომელშიც ავტორი ყურადღებას ამახვილებს რობაქიძესულ პორტრეტზე: „... გრიგოლ რობაქიძემ 1955 წელს ბრწყინვალედ დახატა გიგო დიასამიძის პროფილი ... რობაქიძეს თავისებური სტილი და გააზრება ჰქონდა, მოხატვის თავისებური ყალბი ...“<sup>5</sup> სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ტექსტის ქართული ორიგინალი ხელთ არ აქვს და ინგლისურ ტექსტზე დაყრდნობით, ესკიზის რამდენიმე ადგილის საკუთარ ქართულენოვან თარგმანს გვთავაზობს.

გრიგოლ დიასამიძის პორტრეტის ავტორის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ ტექსტის დედანი კვლავ არსად ჩანდა ...

2013 წელს ნინო ვაჩნაძემ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ბაბუის, გრიგოლ დიასამიძის არქივი. სამწუხაროდ, უმდიდრესი არქივისა და ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი, მათ შორის აკაკი წერეთლის, კონსტანტინე ბალმონტის, ნიკო მარისა და სხვათა წერილები, ბერლინში დაწნვა 1945 წლის იანვარში. ნიუ-იოკში მხოლოდ გადარჩენილი, მცირე ნაწილი ინახებოდა. ეს არქივი ქართველი საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ნაცნობია: 1990 წელს, აშშ-ში მოგზაურობის დროს, გურამ შარაძე რამდენიმე დღით სტუმრად იმყოფებოდა ქალბატონ ნინოსთან, გაეცნო არქივს და ბევრი დოკუმენტი, მათ შორის გრიგოლ რობაქიძის 5 წერილიც გამოამზეურა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის დარბაზში დაცული გიგო დიასამიძის არქივის შესწავლისას, ასეულობით დაფურცლულ დოკუმენტს

3 Friend. „Profile of G. Diasamidze“, *Our Path* ჩვენი გზა, N4, New York (May 1955), 13-15.

4 შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი 2, თბ., 1993, გვ. 264.

5 კობახიძე გ., „მარად იბრწყინებს“, გაზ. „თბილისი“, 1990 წ., 28 აპრილი, გვ. 4-5.

შორის აღმოჩნდა კონვერტი, რომელზეც ადრესატად გივი კობახიძეა მითითებული, გამომგზავნად კი – გრიგოლ რობაქიძე. წერილი 1955 წლის 25 თებერვალსაა გაგზავნილი ჟენევიდან ნიუ-იორკში. კონვერტში დევს სამი პაპიროსის ქაღალდი, რომლებზეც შავი მელნით, რუსულ ენაზე ნაბეჭდი, ალაგ-ალაგ უბრალო ფანქრით ჩასწორებული ტექსტია სათაურით Григол Диасамидзе. დიახ, ეს ნამდვილად ის, 85 წლის იუბილესთვის შექმნილი გრიგოლ დიასამიძის პორტრეტია.

ნაბეჭდი ტექსტის ბოლოს, უბრალო ფანქრით დაწერილი წერილია გივი კობახიძის სახელზე:

„ძვირფასო გივი!

გიგ ზავნი ამ ესკიზს.

კარგი გამოვიდა, მგონია.

უფრო კარგი გამოვიდოდა, სისხლის მოწონლა რომ არ მანუხებდეს.

ნაიკითხავთ.

ნაიკითხავს გიგო.

ათარგმნინებთ (თქვენი ჟურნალისათვის) კარგად მცოდნეს ინგლისურისა. მოელაპარაკებთ კორიაკოვს<sup>6</sup> – ეტყვი: რომ 85 წლისთავი გიგოსი საჭიროა აღინიშნოს რადიოგადაცემით. თუ დაგეთანხმათ, ესკიზს „სკრიპტად“ გამოიყენებთ. კორიაკოვს გადასცემთ წასაკითხავად. თუ საჭირო იქმნა, შეამოკლებთ.

გარდა მძიმე სულიერი ყოფისა – ნივთიერი ყოფაც მძიმეა ჩემი. ამის გამო ჩემი ნდომაც: რადიოთი გადაიცეს ესკიზი – ჰონორარს მივიღებ. ველი პასუხს ჩემს ბართზე, რომელსაც, ჩემი სურათი თან გამოვაცოლე. ა. მეტრეველის კრებულში სწორად არაა მოყვანილი ჩემი დაბადების დღე.

იყავით მხნედ და მარჯვედ!

თქვენი მოყვარული

გრიგოლ რობაქიძე

გულითადი მოკითხვა თქვენს ცოლს, გიგოს, ლოლიას, ნინუცას“.

როგორც რობაქიძის წერილიდან ჩანს, ესკიზი უნდა ნაკითხა მიხეილ კორიაკოვსაც, რომელიც 50-იან წლებში რადიო „თავისუფლების“ ნიუ-იორკის განყოფილებაში მუშაობდა და რომელმაც არც ქართული და არც გერმანულ ენები იცოდა. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო, გრიგოლ რობაქიძემ გიგო დიასამიძის პორტრეტის შესაქმნელად რუსული ენა აირჩია.

და აი, გრიგოლ დიასამიძის 85 წლის იუბილესთვის გრიგოლ რობაქიძის მიერ შექმნილი პორტრეტის დედანიც:

6 მიხეილ კორიაკოვი – რუსი ემიგრანტი ჟურნალისტი და მწერალი წერს: „... ჩემი ცხოვრების დიდ ბედნიერებად მიმაჩნია, რომ 1955 წელს, ჩემი მეგობრის გივი კობახიძის საშუალებით მიმონერა გავაბი გრიგოლ რობაქიძესთან ... მისი ზოგიერთი წერილის სიგრძე 20 გვერდს აღწევს ... ზოგჯერ ის მიგზავნიდა თავისი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნიგნების გვერდებს, და რადგან ბოლო წლებში ბევრს წერდა გერმანულ ენაზე, მე კი ამ ენას არ ვფლობ, ჩემთვის უკვეთავდა ფრანგულ თარგმანს, რადგან რუსულად მთარგმნელი არავინ იყო...“. იხ. Коряков, М. К 90-летию Григола Робакидзе, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წ., 7 ივნისი, გვ. 13-16.



Тайна каждого из нас не столько в том: «что» он есть, а в том: что он вообще «есть». Ведь, могло быть и так, что любой из нас вовсе и не увидел бы света. А раз тот или иной «есть» – есть он себе самому божественный дар. Как не радоваться бытию, даже если оно полно печали и страданий! Радость бытия ощущается острее в раскрытии творческих сил: в росте. Глубинно постиг это сверхличный гений Грузии. Мы грузины часто вместо «цветок растет» говорим «цветок радуется»: «харобс». Ни в чем эта радость не дает себя так ярко знать как за грузинским столом. Пир для грузин не есть обычное «время-препровождение», а культовая трапеза общего веселья: встреча друг другу открытых сердец. Красавицы и красавцы, воины и герои, поэты и певцы, музыка, пляски – образуют оркестр, которым дирижирует глава стола: «тамада». Каждый из пирующих является с какой то стороны, будь даже самой незначительной, единственным, особенным, что и подчеркивается в застольных речах. Так, совместное веселье превращается спонтанно в полифонию. Обильно пьется вино. Но это не «пьянство», а «опьянение». «Ин вино веритас» есть для грузин не простая поговорка: вино окрыляет, подымает настроение.

Автору этих строк часто приходилось пировать с Г. Д. за одним столом. И вот, что изумляло: в то время как мы другие пьянели от вина, он, почти не дотрагиваясь до вина, все же пьянел: пьянел от опьянения других. Окрыленность – это было присуще его натуре. За столом доходила она у него до настоящего экстаза. Редко я встречал человека, который так радовался бы другому. Шел он, например, по проспекту Руставели в Тбилиси, он каждому знакомому кланялся первый. Не помню, чтобы кто-нибудь из встречаемых опередил его в приветствии. Мало того. Он подходил к знакомому и начинал говорить с ним о том о сем. Разговор шел от сердца к сердцу. Укреплялась связь человека с человеком. Шел он дальше, повторялась та же сцена. И так далее. А знакомых было у него множество. Шестиве его по проспекту длилась по крайней мере полтора часа. А ходьба его была почти бег: он не ходил, он летал. Не удивительно, если без него не обходился ни один юбилей, ни один банкет. Появлялся какой-нибудь именитый иноземец, среди приветствующих он был одним из первых.

Потомок одного из известнейших княжеских родов, он с ранних лет перестал именовать себя князем, как это делали некоторые князья: общественные деятели. Вероятно с целью, облегчить себе, психологически, общение с простым народом. Но в сути своей он оставался князем, по грузинский «Тавадом», в рыцарском понимании этого слова: водителем, пособником, заступником. Слово «нет» не имело места в его словаре. Он всегда был готов к услугам. Появление нового таланта в какой-нибудь области не просто радовало его: он носился с ним, вводил его в свои круги, всячески способствовал его дальнейшему развитию. Пишущий эти строки во многом обязан ему в этом направлении.

Дружба в Грузии священная связь. Таковой была она и для Г.Д. Особенно дружил он с Сандро Канчели, человеком необычайно тонкого ума и разносто-

ронных способностей, и с князем Георгием Амiredжиби, бесстрашным рыцарем и сердцеедом. Дружбу трех венчала незабвенная Тамара, жена Канчели, сестра Амiredжиби. Через Г.Д. попал я в круг этого содружества: стал его членом: другом. Оттуда я и воспринимал Тбилиси, один из волшебных городов мира, который я изобразил впоследствии в одном из своих романов, как в безмерную даль плывущего корабля. Одну дружбу Г.Д. можно сказать «унаследовал» от своего отца, Нико. Имею виду дружбу последнего с поэтом поэтом князем Акакием Церетели. Г.Д. дружил с поэтом, благоговей перед ним – поэт дружил с ним, любя его как сына. Кстати, с знаменитым поэтом я сближился в доме Г.Д., где я, как и поэт, часто гостили.

Человек с такой установкой к жизни не мог обойтись без печатного органа: и Г.Д. имел его. Это был еженедельник «ТЕМИ». «Теми» по-грузинский: «племя», «община». «Темис» по-гречески имя богини изначального устава: лада. Что может быть «уставно ладнее» племенной связи? Едва-ли Г.Д. думал об этом, когда он называл свой орган этим именем. Тем удачнее вышло наименование: орган как-бы сам собой определил свою задачу. «Теми» стоял вне партий, но он не был «беспартийным», ибо не был «нейтральным». Вернее всего можно было бы назвать его «сверхпартийным». Довлеют части: партии – целому: народу угрожает распад. «Теми» оправдал свое имя: он стал голосом «темис». В разногласия партийных группировок он стремился внести «лад», исходя из племенного: народного «устава». В нем принимал участие и Акакий Церетели. Принимал участие и я. Между прочим, он открыл свои страницы известному новеллисту Демна Шенгелая, тогда еще ученику Тбилисской Дворянской Гимназии.

Сам Г.Д. писал на злобы дня. В статьях его – вспыльчивого в обиходе, но никак не от злобы – не было и следа «вспышек», хотя они и были полны огня. Писал он и эскизы мемуарного характера. Каждый эскиз был исключительного интереса. Сказывалась тут память автора? Но одна память, будь она и феноменальная, не делает еще писателя мемуаристом. Надо «видеть» вещи, чтобы их воспроизвести. Андрей Белый, русский писатель, выводил слово «ненавидеть» из «не Видеть». Ничего так не было чуждо Г.Д. как «ненависть» – потому он и мог «видеть» вещи. Живя «другим» и в «другом», он всецело вживался в со-бытия, вживался и в их «обстояние», то есть, в их исторический контекст. Оттого и захватывают его воспоминания живой конкретностью. Недавно я читал его эскиз в одном грузинском журнале об Ионе Меунаргия: эссеисте, доселе недостаточно оцененном в грузинской литературе. Это, можно смело сказать, шедевр в мемуарной литературе вообще. Сколько характерных деталей, литературных и биографических! Причем: каждая деталь ценна сама по себе и в тоже время служит конкретному выявлению целого.

Накануне вторжения большевиков в Тбилиси я обедал у него. Таким подавленно-взволнованным я не видел его никогда. На другой день он покинул Тбилиси и вместе с ним родную землю. Через десять лет и я стал эмигрантом. Он жил в Берлине. Там же обосновался и я. В маленькой обители Г.Д. царил беднота – но при всей этой бедноте он оставался «тавадом». Там был очаг, в котором в миниатюре пылал пламень Грузии. В минуты припадка острой то-

ски по родной земле я как сумасшедший мчался к нему, чтобы хоть немножко отогреться у его очага. И я, отогревшись, вкушал покой. Теперь Г. Д. обитает в библейской тиши, подумайте, среди нью-йоркских небоскребов. Вероятно, часто вспоминает он свое родное «Сакашети» и особенно «Брилли», одно из своих имений, которое он так любил, любил и по его благозвучному имени. Мысленно переносюсь туда и к 85-летию его рождения шлю ему из далека полный ковш живительной воды Бриллиских родников.

**Григол Робакидзе  
Женева. Февраль 1955**

### **დამონებანი**

1. დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია ამერიკაში. თბ., 2014.
2. შარაძე, გურამ. *უცხოეთის ცის ქვეშ*. წ.2. თბ., 1993.
3. კობახიძე გ., „მარად იბრწყინებს“, გაზ. „თბილისი“, 1990 წ., 28 აპრილი.
4. Friend. „Profile of G. Diasamidze“. Our Path=ჩვენი გზა, N4, New York (May 1955) 13-15.
5. Kobachidze, G. A. „Grigol Diasamidze“. Our Path=ჩვენი გზა, N4, New York (May 1955) 12-13.
6. Коряков М., К 90-летию Григола Робакидзе, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წ., 7 ივნისი.

### **NATHIA KOBAKHIDZE**

#### **Grigol Robakidze about Gigo Diasamidze**

#### **Summary**

Grigol Diasamidze was an excellent representative of the Georgian journalism, who has been forced to leave the homeland in 1921. In the article, there is a brief overview of his productive activities in exile and the publication of the original text of his literary portrait, specially written to his 85th anniversary by Grigol Robakidze. The English translation of this sketch, under a pseudonym, was published in the magazine «Our Path» in New York, 1955. The name of the author became known for the Georgian public only in 1990. Nowadays, we have the opportunity to read and appreciate original work, which has been found in archive of Grigol Diasamidze presented to the National Library of Georgia by his granddaughter, Nino Vachnadze.

## რეზო გაბაშვილის წერილები შალვა ამირეჯიბს

მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის

ლალი ცომაიას პუბლიკაცია

ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევისა და შესწავლის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ემიგრანტულ არქივებში დაცული ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც ემიგრაციის საქმიანობის ბევრ მნიშვნელოვან ფაქტსა თუ მოვლენას ასახავს.

1980 წლის 20 დეკემბერს, გერონტი ქიქოძის ქალიშვილმა – თინათინ ქიქოძემ, შალვა ამირეჯიბის არქივი საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა. იმხანად, შალვა ამირეჯიბის სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული; ამიტომ 1980-იანი წლების ბოლომდე ეს არქივი მუზეუმის „დახურულ ფონდში“ ინახებოდა.

1994-97 წლებში შევადგინე და გამოსაცემად მოვამზადე შალვა ამირეჯიბის ორტომეული. პირველ წიგნში შევიდა პოეტის არქივში დაცული ლექსების ნაწილი და 1912-21 წლებში ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები; მეორე წიგნში შალვა ამირეჯიბის არქივი დაიბეჭდა. სამწუხაროდ, ორტომეულში არ შეგვიტანია მისი პირადი წერილები, რაც უთუოდ მეტ ღირსებას შესძენდა კრებულს.

შალვა ამირეჯიბის არქივში დაცული რეზო გაბაშვილის წერილების გამოქვეყნება ამ შეცდომის გამოსწორების ცდაა; სრული სახით მათი გამოშვებულება კი უახლოესი მომავლის საქმეა.

არქივში რეზო გაბაშვილის სულ ოცი წერილია. აქედან ერთი ფრაგმენტის სახითაა შემორჩენილი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ის მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავს და ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება. პირადად 1930-41 წლებით თარიღდება და ძირითადად, პარიზიდანაა გაგზავნილი ვარშავასა თუ ბერლინში, სადაც იმხანად შალვა ამირეჯიბი იმყოფებოდა.

წერილები, უმეტესად, საქმიანი ხასიათისაა და რეზო გაბაშვილისა და შალვა ამირეჯიბის უცხოეთში მოღვაწეობას შეეხება. მათი საერთო მიზანი და ინტერესის საგანი იქაც საქართველო იყო.



რეზო გაბაშვილი, ლიეჟი, 1 მაისი, 1914 (სლმ. №12997-ი., რეზო გაბაშვილის არქივი, თბილისი).



შალვა ამირეჯიბი (სლმ. №4276-1-დ., შალვა ამირეჯიბის არქივი, თბილისი).

შალვა ამირეჯიბთან გაგზავნილ ვრცელ წერილებში რეზო გაბაშვილი მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით განიხილავს ყველა იმ საკითხსა თუ მოვლენას, რომელიც იმჟამად ქართულ ემიგრაციას ალელვებდა, მაგრამ მათში უმთავრესი მაინც ემიგრაციის გაერთიანების საკითხი იყო.

ემიგრაციაში ბრძოლის გასაგრძელებლად 1925 წელს შეიქმნა „საერთო ფრონტი“, რომელშიც სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები შევიდნენ. რა თქმა უნდა, „საერთო ფრონტი“ არ ნიშნავდა პარტიათა დაშლას ან გაუქმებას. ყველა პარტია თავისუფალი იყო თავის მოქმედებაში, მაგრამ ერთი პირობით: თითოეულს უარი უნდა ეთქვა ისეთ მოქმედებაზე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა „საერთო ფრონტის“ მთლიანობას (გვაზავა 1926:).

1926 წელს გაზეთ „მამულიშვილის“<sup>1</sup> პირველ ნომერში გამოქვეყნებულ მონი-ნავე წერილში: „ნაცადი გზით“, რომელიც იმავდროულად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რეზო გაბაშვილი წერდა:

1 გაზეთი „მამულიშვილი“ – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ე. წ. რეზო გაბაშვილის დაჯგუფების) ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1926-28 წწ. (შარაძე 2001:).

„გაზეთი „მამულიშვილი“ გაგრძელება იმ გაზეთებისა, რომლებიც საქართველოში გამოდიოდნენ, იკრებდნენ გარს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ანვითარებდნენ მის მიმართულებას და ამავრებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აზრს. მიდის ექვსი წელიწადი და პარტიას გაზეთი აღარ ჰქონია. ეს არა ნიშნავს იმას, რომ გაზეთთან ერთად მოისპო თვით პარტია და მისი დიდი როლი საქართველოს ცხოვრებაში. პირიქით, 1921 წლიდან, პარტია უფრო გაიზარდა და მისი მნიშვნელობა გადიდა. გაიზარდა მოთხოვნილებაც გაზეთის არსებობისა და მხოლოდ ცუდი პოლიტიკური პირობები იქ, საქართველოში, სადაც თავისუფალი პრესა აკრძალულია და მძიმე ნივთიერი გარემოებანი აქ, ემიგრაციაში, აიძულებდა პარტიას დროებით თავისი ბეჭდვითი ორგანო არ ჰქონოდა. დღეს ჩვენი გაზეთი ისევ იწყებს გამოსვლას, ის გამოდის მძიმე პირობებში, როცა საქართველო დაპყრობილია გარეშე ძალისაგან და თითონ პარტია, ნაბრძოლები და დაფლეთილის გულით, დაყენებულია კანონგარეშე, მაგრამ მით უფრო დიდია მისი მნიშვნელობა პარტიისათვის, მით უფრო დიდი იქნება მისი როლი იმ ბრძოლაში, რომელსაც ეწევა ქართველი ხალხი უცხო ძალის თავისი ქვეყნიდან გასარეკად და საკუთარი დამოუკიდებლობის აღსადგენათ.

გაზეთი გამოდის იმავე მისწრაფებით აღჭურვილი, რომელიც ასულდგმულებდა აქამდე პარტიას და იმავე ლოზუნგით, რომელიც დაედვა საფუძვლათ ქართველი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის უკანასკნელი წლების განმავლობაში. დასრულებლობა საქართველოსი და გაერთიანება ყველა ეროვნული ძალებისა მის მოსაპოვებლად – აი, ეს ლოზუნგი!

ამ ლოზუნგს იზიარებს პარტიაც და ამის გამოხატველი იქნება გაზეთიც. ბრძოლა ყველა ეროვნული ძალებისა, მთლიანი ფრონტით, გაერთიანება ერთი ეროვნული იდეალის – დამოუკიდებლობის – გარშემო, არ არის ლოზუნგი მარტო ტაქტიკური, ან ტექნიკური. ის არის უდიდესი პროგრესი ქართული საზოგადოებრივი აზრისა, რომელიც გუშინ, სულ ათიოდე წლის წინად, დაქუცმაცებული იყო და ჩათრეული ერთურთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა პარტია ქართულ აზრს მამინაც და ის ვერ იტყვის მაზედ უარს დღეს, როცა ცხოვრების აუცილებლობამ ეროვნული მთლიანობის აზრი მათთვისაც სავალდებულო გახადა, ვინც აქამდე კლასიურ ნიადაგზე იდგა და სამოქალაქო ომს მიუძღოდა წინ. მნიშვნელობა პარტიათა გაერთიანებისა მტერთან ბრძოლის პროცესში იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ერთიანდებიან პარტიათა კენწეროები, ან არ ერთიანდებიან პარტიათა ცალკე აგიტატორები და მალაქკვალიფიციური ფანატიკოსები, უდიდესი მნიშვნელობა მთლიანი ფრონტის ის არის, რომ ამ პარტიათა კენწეროების და მის შეურიგებელ ფანატიკოსების იქით სდგას უბრალო პარტიული მასსა და მთელი ქართველი ხალხი, სადაც ეს გაერთიანება უდიდეს შედეგებს აღწევს. აქ ხდება ნამდვილი გაჯანსაღება ქართული აზრისა და მუშავდება შეგნება იმისა, რომ არსებობს მთლიანი საქართველო, რომელიც მაღლა სდგას ცალკე პარტიებზე და პროგრამებზე. ვინც ამ ახალ მოვლენებს ვერ ხედავს, ვისაც ამ ახალი გარემოების მნიშვნელობა არ ესმის, მას არ ესმის უმთავრესი ცვლილება, მომხდარი ქართველ ხალხის სულში და ჩვენ საერთო საქმეს ის ვერც ბელადად გამოადგება, ვერც მიმდევრად. ამას ვამბობ იმიტომ, რომ როგორც სხვა პარტიებში, ისე ჩვენს პარტიაშიც არიან სეპარატისტული მოქმედების მომხრენი, რომლებიც არღვევენ მთლიან პოლიტიკურ ფრონტს, სთიშავენ ქართველი ხალხის გამთლიანებულ შეგნებას და პირიქით, ისევ სამოქალაქო ომისკენ მოგვიწოდებენ.

ცალკე პირების ასეთ წინდაუხედავ აზრს პარტია ვერ გაიზიარებს. მთლიანი ფრონტის მნიშვნელობა ეროვნულია და რაც უნდა ცუდად ხორციელდებოდეს იგი, ჩვენ ვერ შევცვლით მას უფრო მდარე და არა ეროვნულის აზრით – სეპარატიული მოქმედებით ცალკე პარტიებისა. მოყოლებული 1921 წლიდან ჩვენი პარტია იყო, რომელიც ასე თავგამოდებით იცავდა მთლიანი ფრონტის აზრს და ჩვენ დაგვეჭრდა დიდი ჯაფა დაგვეყოლებინა<sup>2</sup> სხვა პარტიები დათმობაზედ, რომელიც აუცილებელი იყო, რომ მთლიანი ფრონტი შემდგარიყო. მას აქეთ ექვსმა წელმა განვლო. მტერი, რომლის გასარეკადაც ჩვენი კოალიცია შესდგა, ისევ საქართველოშია. მაგრამ ჩვენა გვეყვანან „პარტიები“, რომლებიც ლაშქარსა შლიან, თურმე ერთად ყოფნა საჭირო აღარა ყოფილა! ამას ქართველი ხალხი ვერ გაიზიარებს, ვერ გაიზიარებს მას ჩვენი პარტიის შეგნებული ნაწილიც, ამიტომ, ჩვენა ვფიქრობთ, რომ პარტია ძველებურად მთლიანი ფრონტის ნიადაგზედა სდგას და საქართველოსაც აქეთკენ ეძახის!“ (მამულიშვილი 1926:).

რეზო გაბაშვილის მიერ შალვა ამირეჯიბისადმი გაგზავნილ 1930 წლის 14 ნოემბრის წერილში (შალვა ამირეჯიბი იმ დროს ვარშავაში იყოფებოდა ნოე რამიშვილთან მოსალაპარაკებლად) ნათლად ჩანს, რომ ოთხი წლის შემდეგ, მას უკვე მკვეთრად განსხვავებული პოზიცია აქვს: შალვა ამირეჯიბის „შემონათვალზე“: „გაერთიანდით“ რეზო გაბაშვილი მიუგებს:

„ვისთან გვირჩევ მორიგებას? რამიშვილთან, კედისთან, ქარუმიძესთან და კერესელიძესთან? ეს შეურიგებელი და შეუთავსებელი ელემენტები როგორ უნდა შეერთდნენ და ისიც უფულობის და უსაქმობის ატმოსფერაში? – ეს ქიმერაა!..“

ნამყვანი პოლიტიკური პარტიების გაერთიანებას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია, რადგან საბჭოთა რუსეთის დამარცხებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების მცდელობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იმედს ასრულება არ ენერა. პოლიტიკურ პარტიებში ბზარი გაჩნდა და დაშლის პროცესი დაიწყო. ყველაზე მეტად დაშლა შეეხო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც სპირიდონ კედისა, ალექსანდრე ასათიანის და გიორგი გვაზავას ჯგუფებად დაიყო. შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, გიორგი კვინიტაძე და რევაზ გაბაშვილი ჟურნალ „კავკასიის“ გარშემო შემოკრებილ ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში შევიდნენ.

1934 წლის იანვრიდან, „კავკასიის“ ჯგუფის ლიდერმა – ჰაიდარ ბამატმა, პარიზში დაიწყო დამოუკიდებელი ეროვნული აზრის – ჟურნალ „კავკასის“ გამოცემა თავდაპირველად რუსულ, შემდეგ ევროპულ (ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ), თურქულ და ქართულ ენებზე. ჟურნალი ბოლშევიკური ოკუპაციის შედაგად ემიგრაციაში გახიზნული, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიური სახელმწიფოების ეროვნულ მოღვაწეთა კონფედერატიული ჯგუფის პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენდა. მისი მიზანი კავკასიის უცხო ოკუპაციისაგან გათავისუფლება და კონფედერაციის საფუძველზე კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა იყო (შარაძე 2005:).

ჰაიდარ ბამატის უახლოესი თანამებრძოლის, ალიხან კანტემირის ცნობით, ჟურნალ „კავკასს“ თავდაპირველად შეძლებული კავკასიელი ემიგრანტები აფინანსებდნენ. კერძოდ, ალექსი მდივანი (რომელმაც 1933 წელს ცოლად შეირთო ამერიკელი მილიონერი ბარბარა ჰატონი) და თავა ჩერმოვი, რომლის ალიანსის

2 sic!

წვერიც ჰაიდარ ბამატი გახლდათ. 1935 წლიდან ჟურნალის დაფინანსება პარიზში არსებულმა იაპონიის საელჩომ ითავა, ხოლო 1936 წლიდან იაპონია-გერმანიის მიერ ფინანსდებოდა. მესამე რაიხის შესაბამისი სტრუქტურები დიდ დანტერესებას იჩენდნენ კავკასიური ემიგრაციის მემარჯვენე ბანაკის წევრების მიმართ (*Мамулия 2012*:).

ერთი წლის შემდეგ ჟურნალი „კავკასია“ უკვე ქართულ ენაზე გამოდიოდა პარიზსა და ბერლინში. ჟურნალის პარიზული ქართული სერიის რედაქტორ-დამინისტრატორი იოსებ გვარამაძე გახლდათ, ხოლო ბერლინურის – დავით სალირაშვილი (*მარაძე 2005*:).

განსაკუთრებით საყურადღებოა შალვა ამირეჯიბისადმი გაგზავნილი 1938-39 წლებით დათარიღებული წერილები, რომლებიც რეზო გაბაშვილის ჟურნალ „კავკასიის“ რედაქციაში საქმიანობას ასახავს. ის ჟურნალ „კავკასიაში“ პასუხისმგებელი რედაქტორის ფუნქციას ასრულებდა, რასაც უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ერთხელ, ვლადიმერ ოპოჩინინს, ჟურნალ „კავკასიის“ თანამშრომელსა და ჰაიდარ ბამატის ნდობით აღჭურვილ პირს, ვლადიმერ ემუხვარის საქართველოს მეფეთა იმიჯის შემლახავი წერილიც კი ამოაღებინა დასაბეჭდად გამზადებული ნომრიდან. ასევე, როგორც რუსული ენის უზადლო მცოდნე, სწორედ ის თარგმნიდა ჰაიდარ ბამატის მეთაურ პუბლიკაციებს, რომლებიც ჟურნალ „კავკასიის“ ქართული სერიის ფურცლებზე იბეჭდებოდა. ყველაფერ ამასთან ერთად კურირებდა „კავკასიის“ სომხურ სექტორს.

1939 წლის 23 აგვისტოს გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტის გაფორმების შემდეგ „კავკასიის ჯგუფისა“ და სხვა ანტიოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობა მესამე რაიხის ტერიტორიაზე აიკრძალა; შესაბამისად ჟურნალ „კავკასიის“ გამოცემაც შეწყდა (*Мамулия 2012*:).

ჟურნალის ავტორ-თანამშრომლებიდან აღსანიშნავია სპირიდონ კედისა, მიხაკო წერეთლის, ვიკტორ ნოზაძისა და სხვათა სტატიები. ამ პუბლიკაციების უმეტესობა, ბუნებრივია, საქართველოს უკავშირდებოდა, რაც განპირობებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ საქართველო კავკასიაში თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით გამორჩეულ როლს ასრულებდა, არამედ იმითაც, რომ ყველა ქართული მემარჯვენე პარტია ოპოზიციაში იყო ნოე ჟორდანიასთან და სტატიების უმეტესობა 1918-21 წლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის კრიტიკას უკავშირდებოდა (*Мамулия 2012*:).

ჟურნალ „კავკასიასთან“ ყველაზე მჭიდროდ ქართველი ეროვნულ-დემოკრატიები თანამშრომლობდნენ. მათ შორის იყვნენ: შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, გიორგი კვინიტაძე, იოსებ გვარამაძე, დავით სალირაშვილი, გიორგი ჭაჭიაშვილი, რეზო გაბაშვილი, ზურაბ ციციშვილი და სხვ.

ასევე, შესაძლოა, მკითხველს მტკივნეული განცემა დაეუფლოს მიხაკო წერეთლის, კალე სალიას, ვიკტორ ნოზაძის, თამარ და აკაკი პაპავების თუ სხვათა რეზო გაბაშვილისეულ დახასიათებასა და შეფასებაში. თუმცა, ჩვენთვის ასევე ძნელია ჩავენვადეთ საზოგადოებრივი განწყობის იმ კლიმატს, რომელიც იმხანად ემიგრაციაში სუფევდა.

ვფიქრობთ, ეს ბარათები საშუალებას მისცემს ისტორიკოსებს, ლიტერატორებს და ამ თემით დანტერესებულ მკითხველს ბევრი დღემდე უცნობი დეტალი თუ ეპიზოდი აღმოაჩინოს მათში.

წერილები იბეჭდება უცვლელად, ავტორისეული სტილის დაცვით.



# 1.

## ძმად შალვა<sup>3</sup>

მე ვიცი, რომ შენ ნანყენი ხარ ჩემზედ, უკანასკნელი ლაპარაკის გამო, მაგრამ მხოლოდ საერთო საქმის და სამშობლოს სიყვარული მალაპარაკებს ხოლმე ჩემი პირადი **მეგობრების** სისუსტეთა წინააღმდეგაც და არა რომელიმე პირადი უკმაყოფილება და ზრახვანი. ამიტომ შენი სისუსტე ეხლანდელი („ყველანი შეთანხმდითო“ და „სუსტნი ვართო“ და სხ. და სხ.), შედეგი შენი პირადი სისუსტისა და მდგომარეობის სიძნელისა – ეხლაც მალეღებებს და მალონებს. ნუ თუ შენ არ ხედავ, რომ ასეთი ფსიხოლოგიური განწყობილება და ასეთი რჩევები, მხოლოდ მტრების გასახარელი და გამმაგრებელია? მათი პირდაპირი და არა პირდაპირი გავლენის შედეგია: ჩვენ ვიცით, რომ ყოველ შენს ნაბიჯს, სიტყვას და ფიქრსაც კი თვალყურს ადევნებენ მანდ (და აქედან კარნახით), რომ შეასუსტონ მნიშვნელობა შენი მანდ ყოფნისა და შენთან ერთად, ჩვენც გაგვტყუონ და დაგვასუსტონ. აქ ანდერძი დაგვიტოვე კრიზისის გაგრძელებისა და ბრძოლისა მენშევიკებთან და მანდედან კი გვითვლი **მაის** პროგრამას: „გაერთიანდითო“. ნუთუ არ გესმის თუ რისთვის უნდათ ეს? ვის უნდა „შეუთანხმდე“? გვაზავას? მაშასადამე ისევ ვეყმით რამიშვილის უსინდისო, უჭკუო და ანტიეროვნულ პოლიტიკას? ამ შემთხვევაში მალაქია გვაზავას შუამავლობას – პირდაპირ ჟორდანი-რამიშვილს მოურიგდე, არა ჯგობია, რომ ყმობა – ყმობას ჰგავდეს მაინც და არა ბოზობას?

მოურიგდე კედიას? შენც ბევრი ეცადე ამ კაცის „დაბმას“, მაგრამ არა გამოვიდა რა და არც არა გამოვა რა, რადგან ეს კაცი სხვაგან არის უკვე დაბმული, საიდანაც ვერ აუშვებენ, თავის აწყვეტაც რომ მოინდომოს ჩვენთან გამოსაქცევად. მისი ბაგის პატრონი დღეს ქარუმიძეა, რომელიც უკვე გამოჩნდა ჩვენს პორიზონტზე ახალის ავანტიურებით: შეუყრია ხალხი (აქ, პარიზში) და გაუკეთებია მოხსენება: ყველანი უნდა შერიგდე, კედიაცაო, და... საქართველოს წარმომადგენლად (Sic?!). შენევაში დავნიშნით... ლეო კერესელიძეო... აქედან ფულია მოსალოდნელიო და **თითო დოლარიც** კი დაურიგებია აქა-იქ. აი, სადა აქვს ცხვირი ბ-ნ კედიას მიღებული და შენ გინდა ის დააბა? მაგრამ, ვსთქვათ, კიდევაც მოვიდა ჩვენთან კედია, რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამას? 1) გაუთავებელი **შინაური** ინტრიგა და შფოთი, 2) მტრისათვის **თვალსაჩინო** და ჩვენი სუსტი ადგილის გაჩენა, საცა გვირტყავენ უწყალოდ და თავდაცვასაც ვერ მოვახერხებთ და 3) უცხოელთა თვალში სამუდამოდ უნდა გაგვიტყდეს სახელი და თავი მოგვეჭრას.

შენ ხომ იცი, რომ ეს უჭკუო და ქარაფშუტა ადამიანი არ ეკუთვნის იმ პატრიოტთა ჯგუფს, რომელიც, რაკი ჩავარდა, გაინაბება, სულს გატრუნავს და პირად ამბიციას დასთმობს საზოგადო საქმისათვის (განა შენ თითონ მოწამე არ იყავ, როგორ თავზე კაკალს გვამტვრევდა **პირიქით**, ეს ნეხვის გუდა?).

მაშასადამე, ვისთან გვირჩევ მორიგებას? რამიშვილთან, კედიასთან, ქარუმიძესთან და კერესელიძესთან? ეს შეურიგებელი და შეუთავსებელი ელემენტები როგორ უნდა შერიგდნენ და ისიც **უფულობის** და **უსაქმობის** ატმოსფეროში? – ეს ქიმერაა! და შენ განა ასეთი „სუსტის“ ფსიხოლოგიით და პროგრამით გვაზენიდა ბიურო? პირიქით, იმ რწმენით, რომ ნამდვილი ბირთვი ეროვნულ-დემოკრატიისა არის ცენტრალური ბიურო, რომელმაც უნდა დასძლიოს ყველა დაბრკოლება,

3 სლმ. №26964-202-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

რომ შექმნას სახსარი და აღადგინოს რეალური პოლიტიკის შესაძლებლობა და **ამით და მხოლოდ ამით** გაამაგრებულს, შეუძლია ფიქრი **გაერთიანებაზედ** უფრო საღ და ეროვნულ ნიადაგზედ სხვა ელემენტებისაც. შენ კი ისევე, როგორც ჩვენ მტრებს ან სანტიმენტალურ „ობივატილებს“, სრულიად უკულმა დაგიყენებია საკითხი: ჯერ გაერთიანდით და მერე რაღაცა გამოვაო. ეს არსებითათ ყალბი ანგარიშია: ერთნი **იმიზეზებენ** ამ ჩვენს დამლილობას და ტკბილ სიტყვებს ხარჯავენ გასართობად; მეორენი მტრობით სჩადიან, რადგან ჩვენი გაერთიანება ჩვენი სისუსტეა – ეს იციან. მესამენი ალბად არ მოგაკლებენ ცდას – გადაგიბირონ და უფრო დაასუსტონ ჩვენი ცენტრი.

ჩემო შალვა, მე გიცნობ შენ, როგორც პატიოსანს ადამიანს, პოლიტიკურ მოღვაწეს და ნიჭიერ მწერალს, მაგრამ შენი სისუსტე ზოგიერთ რამეში პირდაპირ მომაკვდინებელია ყოველგვარ საქმეში და ამიტომ ძალიანა გთხოვ, როგორც ამხანაგს და მეგობარს, შენი კეთილის მდომელი და არა ეგოისტურად: ნუ ებმები ამ მახეში, რომელსაც ყველა მხრიდან გიგებენ სწორედ შენ (იცი, აქ იმასაც კი ავრცელებენ, რომ შენი „დაბარება“ მოხერხებულია განგებ... მენ-შევიკებისაგან) და მტკიცედ იყავი, ნუ კი ემორჩილები სხვის ჩაგონებას თუ რა არის უმჯობესი, არამედ შენ ჩააგონე მტერსა და მოყვარეს თუ როგორა სჯობია: ჩვენ უნდა გავგაამაგრონ, გავგაამხნეონ, როგორც მორალურად მაღლა მდგომი ბირთვი, რომ სხვა **უპრინციპო, ავანტიურისტული, ანტიეროვნული და რუსოფილური** ელემენტები დასუსტდნენ და ჩვენი მტკიცე ნებისყოფის და პატრიოტიზმის გარშემო დალაგდნენ. ქართული საქმე და ქართული იდეა მხოლოდ წმინდა ხელებით უნდა მჟღავნდებოდეს და არა ბნელი კომბინაციებით და თუ შენ ამაში ვერ დაარწმუნე ახალგაზრდობაც კი, არამცთუ „უცხოელები“ – ვერაფერი მოციქულობა გამოგივა.

მე მეგონა, რომ ნიადაგი საკმაოდ მზად იყო სწორედ ასეთი საქმის მიდგომისათვის და შენ კი გვიგზავნი ისეთ ცნობებს, თითქო სინჯიკაშვილები<sup>4</sup> და მისთანანი სხედან მანდაც, არაფერში გარკვევა არა სურთ და გიმეორებენ დაღეჭილ სისულელეებს. მე მეგონა, რომ ახალგაზრდა მეგობრები პირდაპირ დახმარებას აღუთქვამდნენ **ჩვენს** ბიუროს, ჩვენს ჟურნალს, ჩვენს წმინდა ბრძოლას და **ამით** გააძლიერებდნენ შანსებს მომავალი გაერთიანებისა და მუშაობისათვის და რომ შენ ამის გამტარებელი ტრიუმფატორი დაგვიბრუნდებოდი – შენ კი აქ თითქო უფრო მაგარი იყავი და მანდ აპყოლიხარ სინჯიკაშვილისებურ ფსიხოლოგიას და პოლიტიკას. არა კმარებულა, ჩემო ძმაო, ადამიანი ჭკვიანი იყოს, საჭირო ყოფილა ხასიათიც და შინაგანი დამოუკიდებლობა და გარემოებაც უწყობდეს ხელს ადამიანს. ძალიან საწყენია ეს ჩემთვისაც და ჩვენთვისაც და ამიტომ შენ ნუ გეწყენება პირადათ ასეთი სამდურავი. მე იმედი მაქვს, რომ შენი სალი ალლო, პრინციპალური სიფაქიზე და გონიერება, სამშობლოს მეტი სიყვარული, ვიდრე სიმძიმე ცხოვრებისა – უფრო სწორე ხაზს აგაღებინებს და ამიტომ არ მეშინია სრულის ნდობით უყურო შენს მანდ ყოფნას. გაახსენედი და ჩვენც გავგაამხნევე, ეგენიც გაამხნევე და ბედს გააღიმებინე ჩვენთვის. როდემდის მიეტიროდეთ ჩვენს მხოლოდ მარცხებს? ახალგაზრდები და არაოფიციალური უცხოელები მაინც გაიყოლიე ამ გზაზედ თუ უფრო დიდი რამ არ გაკეთდება. შემდეგ წერილში, თუ კი მოინდომებ ან არ დაიზარებ ჩემთან მიწერ-მოწერას, მე ვეცდები უფრო კონკრე-

4 იგულისხმება დიმიტრი (დიტო) სინჯიკაშვილი (სინდიკელი).

ტულად გამოვხატო ჩემი აზრი და პირდაპირ საქმეზედ გადავიყვანო ლაპარაკი. ჯერჯერობით კი ამით ვათავებ ისედაც გაგრძელებულ წერილს და გისურვებ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

სალამი ლიზასგანაც.<sup>5</sup>

შენი რ. გაბაშვილი

14.XI.1930 წ.

პარიზი

როგორც ხედავ, ძმად შალვა, დიდი ხანია ეს წერილი დანერილი მქონდა, მაგრამ ვერა ვგზავნიდი სხვადასხვა გარემოების გამო. დღეს კი ვგზავნი, რადგან მისი გამამაგრებელი ორი გარემოებაც დაემატა: პირველი, რომ სოც.-დემ. საბოლოოდ ირღვევიან: **გეგეჭკორმა ყბაში სოსლიშა რამიშვილს** და დღეს-ხვალ ორ ბანაკად დაიყოფიან, ან რამიშვილს გააგდებენ – ამ ბოროტ გენიას, რომელიც ყველაფერს არღვევს და, მაშასადამე, ჩვენი ხაზი მართლდება და მეორე – უფრო კერძო გარემოება (და საიდუმლო), მე და ლეოს<sup>6</sup> კონფლიქტი დღეს-ხვალ შეიძლება სისხლით დასრულდეს და... ამაში... არ უნდა დაივიწყო, დიდ როლს ითამაშებს სწორედ ისიც, რომ **შენ** პირადად გამოგექომაგეთ. და თუ ჩვენ ასე გიერთგულეთ, არც შენგან უნდა იყოს მოსალოდნელი სისუსტე. გარდა ამისა, მანდედან მოსვლია წერილი სოლიკოს<sup>7</sup> სწორედ იმ შინაარსისა, როგორზედაც მე გწერ: ჯერ საქმე, მერე გაერთიანება და არა უკუღმა და იყავი მაგრად.

შენი რ. გაბაშვილი

სალამი მეგობრებისაგან

3 Rue Cadix<sup>8</sup>

4.XII.1930 წ.

## 2.

*Herr G. Djabadary*

*Post Karwe*

*(Kreiss Ruppini)*

*Villa Seehof<sup>9</sup>*

**ძვირფასო ძმად შალვა!**<sup>10</sup>

მეტად და მეტად საწყენია შენი ამბავი ყველასთვის და ნამეტნავად მე ვთვლი აღმამფოთებლად, მაგრამ გულს ნუ გაიტეხავ, ყველაფერს ვიზავთ, რაც შეგვიძ-

5 იგულისხმება ელისაბედ (ლიზა) ყიფიანი.

6 იგულისხმება ლეო კერესელიძე.

7 იგულისხმება სოლომონ (სოლიკო) ზალდასტანიშვილი.

8 კადის ქ. №3 (ფრანგ.).

9 ბ-ნ გ. ჯაბადარს, ფოსტა კარვე (რუპინის რ-ნი), ვილა ზიჰოფი (გერ.).

10 სლმ. №26964-200-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

ლიან ამ საშინელ კრიზისში, რომ „დაგისხნათ“. ერთობ ცუდი ამბავი დაგვმართინია: შენ, დავითი.<sup>11</sup> ახლა დათაც<sup>12</sup> ჩამოვიდა თავისით და დავფაცურდით. არ ვიცი, რა გამოვა. შენც ეცადე. ერთს კი გთხოვ, აქ რაღაეცხაც ლაპარაკობენ შენს „საიდუმლო“ იდეებზე, რომელსაც შენ თურმე „ქადაგებ“ და ნუ გადაამეტებ ხოლმე. ყველა ხომ ვერ მიგიხვდება სიმაღლეს. სალამი ყველასაგან და იყავი კარგად.

შენი რეზო  
6.11.1931 წ.

### 3.

#### ძმაო შალვა!<sup>13</sup>

აღბად არ დაიჯერებ, რომ ამდენ ხანს ძლივს ვიშოვნე დრო და ისიც შემთხვევით, რომ მოგწერო ეს მესამე ბარათი. საშინელი კრიზისი საერთო და კერძოდ ჩემი დიდად შემცირებული შემოსავალი ძალიან ბევრ დროს იწირავს და სწორედ ამ დროს მოგვისწრო პოლონეთში მომხდარმა საშინელმა ამბებმა: ჯერ შალიკაშვილისა არ მოგვეწვდებინა, რომ შენმმა<sup>14</sup> უფრო აგვახელვა და დაგვაფორიაქა. ამას ზედ დაერთო ინჯიას საქმეც და ოფიცრებისაც და დაგვატრიალა ჩაღბივით.<sup>15</sup> შეეძარით ყველაფერი და ვეტაკეთ ყორდანისაც უმთავრესად: ულტიმატუმები ბიუროსი და კომისიებისა, წერილობითი და სიტყვიერი და სხ. და სხ. მაგრამ ჯერობით სულ ცოტას მივალწიეთ: ინჯია დროებით დასტოვებს, ოფიცრებს ვითომ „ხელი შეუშვებს“ და...

გთხოვთ, თუ დაჭერილად იყვე და შენებურად ავანსებს ნუ გასცემ ნურც მტერზე, ნურც მოყვარებზე და ნურც მტერმოყვარებზე, ე. ი. „სოც. დემ.“, „ნაც.

11 უნდა იგულისხმებოდეს დავით საღირაშვილი.

12 იგულისხმება დავით (დათა) ვაჩნაძე.

13 სლმ. №26964-199-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

14 sic!

15 შალვა ამირეჯიბის ცნობით, გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის უსამართლო მოთხოვნით არაერთი ქართველი ოფიცერი ვარშავიდან პოლონეთის სხვადასხვა სამხედრო ნაწილში გადაიყვანეს. მიზეზი: ან თავად იყო რუსული მონარქისტული ორგანიზაციის წევრი, ან ცოლი ჰყავდა რუსი. „დასჯილ“ ოფიცერთა შორის იყო პორუჩიკი ალექსანდრე ყიფიანი (ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანაკლასელი და თანამოაზრე), რომელიც არც რუსულ მონარქიზმს თანაუგრძნობდა და იმხანად დაოჯახებულიც არ იყო. სავარაუდოა, რომ ალექსანდრე ყიფიანის ბედი მაიორმა დიმიტრი შალიკაშვილმა და კაპიტანმა ვასილ ინჯიამაც გაიზიარეს. რაც შეეხება შალვა ამირეჯიბის დამატებებს, აი, რას იხსენებს იგი: „1930 წლის ბოლო და 1931 წლის დასაწყისი პოლონეთში გავატარე. რომ იტყვიან „ერთ მშვენიერ დღესო“, სახლში ვარშავის პოლიცია მესტუმრა, საჩქაროდ ბარგი ამიკრა, საელჩოები დამატარა, ვიზები ამაღებინა, დილის შვიდი საათიდან ლამის თორმეტ საათამდე საპოლიციო რეზერვში მამყოფა და მეორე დღეს ჟანდარმის თანხლებით, გერმანიის საზღვარზე გადმოსვლა. როცა პოლიცია გიშვრება იმას, რის ქმნაც უცილოდ უნდა, კითხვა იმისა თუ რად გიშვრება, იგივეა რაც აგურს ჰკითხო – რაზედ დაგეცა თავზედ მეშვიდე სართულითგან? ვიცოდი რა ეს, არც მე მიკითხავს ვარშავის პოლიციისათვის, რაზედ მომექცა ასე? მაგრამ ასეთი რამ, რომ შემდეგში სხვასაც არ დაემართოს, მე ვურჩევდი იმიგრაციაში მიმავალ ერებს, არასოდეს არ წაიყვანონ თან ის, რასაც „ეროვნული მთავრობა“ ეწოდება“ (ამირეჯიბი 1998:).

დემ.“-ზე და „თ. გიორგ.“. საერთოდ, ხომ ხედავ – შეუთანხმებელი მოქმედებით მუდამ მარცხი მოგვდის და ამით სარგებლობენ მხოლოდ ჩვენი მოწინააღმდეგენი ყველა ჯურისა.

აბა, იყავი კარგად და მიიღე სალამი ყველა მეგობრისა, ამხანაგისა და კარგი ქართველებისაგან. ლიზასაგანაც სალამი.

შენი რეზო  
6.III.1931 წ.

#### 4.

*M-eur Amiredjibi*  
*13 Place des Etats-Unis*  
*Montrouge*<sup>16</sup>

#### ძმავ შალვა!

<sup>17</sup>

ერთმა მეგობარმა დაგიტოვა ჩვენსა ცოტაოდენი ფული და როცა მოხვალ, შეგიძლიან მიიღო. იქნება დღესვე მოასწრო და ბარემ სადილსაც ჩვენსა მიირთმევ.

მე თითონ ვერ მოვედი, რადგან მაგვიანდება ხოლმე და ტყუილად მანდ გამომგზავრება ძალიან მეძნელება, რადგან მეტროსაგან და ფეხით სიარულისაგან ისე ვიღლები, თითქო წელი მომწყვიტესო. უკანასკნელ დროს ძალიან დასუსტებული ვარ.

აბა, იყავი კარგად და გელი.

შენი რეზო  
[3.IX.1934]<sup>18</sup>


*Gabachvili*  
*Léon Guild 119*

16 ბ-ნ ამირეჯიბს, ეტაზუნის მოედ. №13, მონტრუჟი (ფრანგ.).

17 სლმ. №26964-198-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

18 ნერილს ვათარიღებთ საფოსტო შტემპელის მიხედვით.

19 გაბაშვილი, ლეონ გილდის ქ. №1 (ფრანგ.).



რეზო გაბაშვილის მიერ შალვა ამირეჯიბისადმი გაგზავნილი ღია ბარათი, ავტოგრაფი [პარიზი], 25 იანვარი, 1938 (სლმ. №26964-197-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი, თბილისი).

5.

*Monsieur Amiredjibi  
24 rue Gutemberg  
Paris XV<sup>20</sup>*

**ძმაო შალვა!**<sup>21</sup>

ხუთშაბათს, 27/1-ს, 12 საათზედ, შალიკო ჯავრიშვილი ნათლავს თავის გოგოს რუსულ ეკლესიაში **rue Dare-**ზედ<sup>22</sup> და გთხოვს შენც დაესწრო; მერე იქნება სადილიო. კოსტია ჯავრიშვილის რესტორანში.

*შენი რეზო  
25.1.1938 წ.  
[პარიზი]<sup>23</sup>*

ჩვენთან მოდით 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათ. და აქედგან ერთათ ნავიდეთ.

6.

**ძმაო შალვა!**<sup>24</sup>

ბევრჯელ მინდოდა მომენერა შენთვის, მაგრამ ყოველთვის სასაყვედურო მქონდა ხოლმე და ვერიდებოდი გაუგებრობას. აი, აი ჩამოვა და მაშინ ყველაფერი გამოირკვევა-მეთქი; მაგრამ შენ, როგორც ეტყობა, ძალიან გაგიტკბა მანდაურობა და... აღარავინ იცის, როდის დაბრუნდები, ან დაბრუნდებილა?<sup>25</sup> ათას ჭორებს ავრცელებენ ჩვენზე ყველაზე და განსაკუთრებით შენზე (: გაიქცაო; აქ ველარ დაბრუნდებო; არ შემოუშვებენო; იქიდან გადაასახლებენო; და უკანასკნელად: კავკ. ოფისის ქართ. ფილიალის შეფად ნიშნავენო და სხ.) – შენ თითონ კი, ჩემო ძმაო, წასულმა ორი-სამი კვირით, აგერ მერამდენე თვეა, პირში წყალი დაგიგუბებია და ერთი სიტყვა-ინსტრუქციაც არ შემოგიბრუნებია, არ მოგიწერია ჩემთვის. თითქო მომიგდე ეს „საჯავი“ საქმე და აქეთ აღარ იყურები. და მე ჩავარდი უფრო უარეს მდგომარეობაში, ვიდრე შენ იყავი... ბევრი გარემოების გამო. მე მინდა **შენ** ყველაფერი იცოდე, რადგან აქაური „გაუგებრობანი“, ჩემის აზრით, შეიძლება **საქმისათვის** მერე მავნებელი გახდეს.

1. შენ რომ მიდიოდი, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ უკვე ჟურნალის **მეორე** ნომრიდანვე ერთად გავნევიდით **ჭაპანსა** და **პასუხისმგებლობას** და აგერ **მესუთე** უნდა გამოვიდეს – გაურკვეველ მდგომარეობაში.

20 ბ-ნ ამირეჯიბს, გუტენბერგის ქ. №24, პარიზი XV (ფრანგ.).

21 სლმ. №26964-197-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

22 დარის ქუჩა (ფრანგ.).

23 პარათის დანერის ადგილი მივუთითეთ საფოსტო შტემპელის მიხედვით.

24 სლმ. №26964-207-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

25 იმხანად, შალვა ამირეჯიბი ბერლინში „კავკასიის ოფისის“ ქართულ ფილიალში მუშაობდა.



ჰაიდარ ზამატი, გაზაფხული, 18 თებერვალი, 1919.



ჟურნალ „კავკასიის“ პარიზული რუსული სერია, №10/34, ოქტომბერი, პარიზი, 1936 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კოლექცია, თბილისი).

ჟურნალ „კავკასიის“ პარიზული ფრანგული სერია, №1/20, იანვარი, პარიზი, 1939 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კოლექცია, თბილისი).



2. როცა უკანასკნელად მელაპარაკა ჰაიდარი<sup>26</sup> (შენს აქ მყოფობაში), ასე მითხრა: „**Вы будете как равный с равными**“<sup>27</sup> და, როცა სამი თვის შემდეგ ჩამოვიდა (უკვე უშენოდ) – რაღაც **მბრძანებლობითი** კილოთი დამინყო ლაპარაკი და ისე წავიდა, რომ არაფრის კურსში არ ჩაუყენებია (რატომ? და სად არის **равенство**?<sup>28</sup> განა შენც ასე გარეშე იყავი ყველა საქმესთან, გარდა „კავკასიის“<sup>29</sup> „თავისუფალი ტრიბუნისა“?).
3. მე თავიდანვე გითხარით, რომ არ შემიძლიან ქართული საზოგადოების გარეშე დადგომა (პირიქით, საჭიროდ მიმაჩნია და აუცილებლადაც გარღვევა იმ მტრული რეკალისა, რომელიც შემოჰფარგვლია „კავკაზ“-ს,<sup>30</sup> და, მეგობრების, სიმპატიის შექმნა – რაც კეთდება, მაგრამ ძალიან მძიმედ – თვით **საქმის** ინტერესით) – და ძალიან მძიმედ და მტრულ ატმოსფეროში მიხდება მეც და ყველასაც ტრიალი, რაც მოითხოვს გაცილებით მეტ დროს, ენერჯიას და ნერვებს, ვიდრე მე ვფიქრობდი და ვანგარიშობდი, რაკი მეგონა, რომ შინაგანი საქმეები მე და შენ **განანილებული** გვექნებოდა, როგორც სარედაქციო, ისე საპროპაგანდო თუ საორგანიზაციო.
4. ჩემ მოსვლამდე შექმნილი მდგომარეობაც ძალიან მირთულებს საქმეს და ბოლო არ უჩანს უცნაურ განა-მანიას: შენ მითხარი, მაგ., ჟურნალზედ – თავისუფალი ტრიბუნა არისო; ჰაიდარმა – „კავკასია“ ცალკე ჟურნალი კი არ არის, „კავკაზ“-ის თარგმანიაო (ფართე გაგებით); და როცა ზურაბს<sup>31</sup> შევეკითხე, – „ისარგებლეთ რომ ჟურნალი თქვენ ხელშია და როგორც თქვენ გესმით, ისე წაიყვანეთ საქმეო“.
- ასეთ სხვადასხვაობას ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ ზოგს ზევით მდგომს (მაგ. კვინიტაძე) და ზოგს ქვევით (გვარამაძე, ჭაჭი,<sup>32</sup> პატარა ზურაბი<sup>33</sup> და სხ.), – ყველას თავისებური გაგება და მოთხოვნილებანი აქვს და **ვინ** არის პასუხისმგებელი და **ვისთან** და ვის წინაშე და რომელი **საქმის** წინაშე – მე ველარა გამიგია რა.
- რალა თქმა უნდა, ამას ხელი შეუწყო ამბებმა, ერთის მხრით და პატრონთა აქეთ-იქით ნასვლამ, მეორეთი. მე ვფიქრობდი, ჰაიდარის ჩამოსვლისას, **ერთხელ მაინც** მოვიყრიდით თავს, ხაზებსა და ყველას (ცალკე მდგომარეობა-დანიშნულებას გამოვიარკვევდით, რომ უფრო მეთოდური და მიზანშეწონილი მუშაობა ყოფილიყო შესაძლებელი, მაგრამ ერთხელ მხოლოდ სადილი ვჭამეთ (ხომ იცი, ასეთი რამეები მე სრულებით არ მაინტერესებს) და **იქაც** არ იყო არც ზურაბი (რატომ?), არც გ. ი.,<sup>34</sup> და ჰაიდარი ისე წავიდა, რომ მე, მაგ., არაფერი მითხრა.

26 იგულისხმება ჰაიდარ ბამატი.

27 თქვენ იქნებით სწორი თანასწორისა (რუს.).

28 თანასწორობა (რუს.).

29 ჟურნალი „კავკასია“ – დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო, გამოდიოდა პარიზსა და ბერლინში 1937-39 წწ., ჟურნალის პარიზული ქართული სერიის რედაქტორ-ადმინისტრატორი იოსებ გვარამაძე გახლდათ, ხოლო ბერლინურის – დავით საღირაშვილი (შარაძე 2005:).

30 ჟურნალი „კავკაზი“ – დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1934-39 წწ., რედაქტორი – ჰაიდარ ბამატი (შარაძე 2005:).

31 იგულისხმება ზურაბ ავალიშვილი.

32 იგულისხმება გიორგი (ჭაჭი) ჭაჭიაშვილი.

33 იგულისხმება ზურაბ ციციშვილი.

34 გ. ი. – ?

5. დღეს ჩემი მდგომარეობა ისევე გამოურკვეველია, როგორც ხუთი თვის წინადა: შენ მაგიერ, ახლა... **на меня вешают всех собак**<sup>35</sup> (ქართულ საზოგადოებაში, რასაკვირველია) ჟურნალის ყოველი სიტყვისათვის (მე არც მეშინია პასუხისმგებლობისა, თუ კი მეცოდინება, რომ მე ვარ პასუხისმგებელი) და იმავე დროს ათასი „ხაზეინი“<sup>36</sup> მყავს, რომელსაც ყველაფერი **თავთავიანთებურად** ესმით. სოსო<sup>37</sup> ყველგან ხმას მიყრის, რომ **პასუხისმგებელი რედაქტორი** ვარ; ჰაიდარმა მითხრა, რომ „აბა, შალვა მალე ჩამოდის და რედაქტორი ის არისო“ (რა ვიცი, ჩემო ძმაო, ჩამოდისხარ? და როდის? ნეტა მალე ჩამოხვიდე!), ზურაბი: „ისარგებლო“ (მე სრულებით არა ვარ ასეთი ზნისა, რომ „ვისარგებლო“, – მით უფრო, რომ მე ცოტა სხვანაირად მესმის პასუხისმგებლობა და ჯერჯერობით კი „სტუმრად“ ვგრძნობ თავს – სხვისაგან დანყებულ კარგ საქმეში) და გ. ი. მიგზავნის ისეთ წერილებს, რომლის დაბეჭდვა **ამ** ფორმით მე არ მიმაჩნია მიზანშეწონილად და „ლაპარაკი მასთან არ შეიძლებაო, – თან მეუბნებიან, – რადგან ეს კონფლიქტს (?) გამოიწვევსო“. თუმცა მე მასთან საკონფლიქტო არც არა მაქვს რა და არც მინდა, პირიქით, საჭიროდ მიმაჩნია **მისი** პრესტიჟის გამაგრება და აწვევა, როგორც ჩვენ ყველასი მჭიდრო სოლიდარობა ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეში და... სასტიკ, მტრულ გარემოცულობაში.

ასეთ ყოფაში, მე მინდა გარკვეულად ვიცოდე, რა ფუნქცია მაკისრია და როდემდის, რადგან სულ **სხვაა** ჩემთვის **რედაქტორობა, თანამშრომლობა** თუ **თანასწორობა** (ყველა საქმე-საკითხში), თუ **სტუმრობა** ან **თანაგრძნობა**, როგორც წინად იყო მარტო.

ყველა ამ საკითხზე პასუხი მომწერე, გეთაყვა, იმდენად გარკვეულად, რამდენადაც შენ თითონ იცი, ან შეგიძლიან გამოარკვიო და მომწერე ისიც, თუ **როდის** ჩამოხვალ, რადგან უნდა აშკარად გითხრა, რომ ასეთ რთულ განა-მანიას, ჩემ ხანში და ხასიათით, დიდხანს ვეღარ გაუძლებ მეცა, იმავე დროს ასეთ მატერიალურ პირობებში.

ამ ჩემი წერილის და შენი პასუხის შინაარსიც, იმედი მაქვს, სრულებით „ჩვენში დარჩება“, რომ კიდევ უფრო არ გაგვირთულდეს საქმე, ისედაც გართულებული წერიმალეებით და მოსალოდნელი ამბებით, როგორც საგარეო, ისე საშინაოთი.

მაგრამ საბაბი ამ წერილისა დღეს სულ სხვაა: შენი უკანასკნელი წერილი (როგორც ყველა საზოგადოთ) ძალიან მოსწრებულია, მაგრამ „კაუნკის“<sup>38</sup> ციტატა დ. შარაშიძის წინასიტყვაობაში – ვერ ვიპოვნეთ და შეგვატყობინე საჩქაროდ: თუ შენი მოგონილია **ზეპირად**, მაშინ „ტყავს გაგვარობენ“ ხომა და თუ მართალია, შეიძლება **წყარო** შეგცდა? შენგან აღნიშნული „წინასიტყვაობა“ **ნათარგმნია** გერმანულიდგან და იქნება გერმანულად სადმე (?) ნაიკითხე, – მაშინ ამ ქვემძრომებისათვის უფრო დამახასიათებელი ეს ჟულიკობაც უნდა აღვნიშნოთ, რადგან ფრანგულ ტექსტში, პირიქით, „კაუნკი“, ეს ბოროტი ჰენია,<sup>39</sup> ჩვენი ბოროტი სულებისა – სულ **დამოუკიდებელი** საქართველოს მზეჯა ფიცულობს და რუსების წასვლას მოითხოვს და არა „ჩაფიქრებას“ იმაზედ, რომ რუსეთთან დარჩენა სჯო-

35 ყველა ცოდვას მე მკიდებენ (რუს.).

36 хазяин – ბატონი (რუს.).

37 იგულისხმება იოსებ (სოსო) გვარამაძე.

38 იგულისხმება კარლ კაუციკი.

39 sic!

ბიო, როგორც შენა გყავს „დაციტირებული“ და „მოტივირებული“. ეს საჩქაროდ გვაცნობე.

ახლა, ჩემო შალვა, ჩვენ ამბავს თუ იკითხავ – როგორც ინერებიან ხოლმე სოფ-  
ლელები – „ღვთით, კარგათა ვართ“. ლიზა გამოკეთებული ჩამოვიდა ნიციდან და  
სალამს გიგზავნის, მე ბევრი რამ მჭირია ავადმყოფობისა თუ კარგა მყოფობის  
მხრივ, მაგრამ სად არის? და „ამბები“ აქაური – სულ ჭორებია. ეს კია, რომ გა-  
ბოროტება საშინელი. სიები ჩვენი ბოიკოტისა, მიუქარა, დაბეჭდება და უკანას-  
კნელად ხომ „ბრძოლის ხმის“<sup>40</sup> დეკლარაცია, რომ „ფრონტის“<sup>41</sup> დანიშნულებაა  
და ახალი, მომავალი „გაერთიანებისა“ (შეურცხვა ნამუსი „ოპოზიციონერ“ ს.  
კედიას და გაჩვარებულ მ. წერეთელსაც, რომელთაც მთელი ემიგრაცია მიჰყავთ  
კათახსირებულ ჟორდანის კალთაში) – სასტიკი ბრძოლა „კავკასი-კავკასიასთან“. მე  
თითონ არ ნამიკითხავს ჯერა და ასე კი გადმომცეს მეგობრებმა. მიხაკოს<sup>42</sup>  
რალა ღმერთი გასწყნომია, რომ ეხლა თურმე გაცილებით კიდევ უფრო უარესს  
„პასუხებს“ გვიწერს მომავალ „თეთრი გიორგის“<sup>43</sup> ფურცლებზედ. კედია, ჩვენი  
დათა,<sup>44</sup> მანველიშვილი, ბ-ნი გ. ჟურული და სხვები და სხვები, მიუხედავად სიჭ-  
რელისა, ყველა ჩვენს წინააღმდეგ ირაზმება და არავითარ მყრალ საშუალებას არ  
ერიდებიან ჩვენს ნასაქცევად. და რაკი ყველა ფიქრობს, რომ „ვადები მოახლოვე-  
ბულია“ (?), ერთმანეთს ეცილებიან ჟორდანის კალთაში ჩავარდნას, რადგან არც  
საკუთარი ჭკუა, არც ზნეობა და არც სახსარი ბრძოლისა არ მოეპოვებათ საქარ-  
თველოს სამსახურისათვის. ასეთ ყოფაში, მე მგონია, ჩვენ არც საკამოდსად სიმ-  
ტკიცეს ვიჩნეთ (დაფანტულნი სხვადასხვა გარემოებით), არც საკამოდ ვაფასებთ  
შინაგანი ფრონტისა და მტრების საშიშროებას და არც სათანადო საშუალებასა  
ვხარჯავთ ამ რკალის გასარღვევად სხვადასხვა ხაზებით. მაგ., ჩემი გეგმა რომ  
არ მიიღეთ, ეხლა, ჩემის აზრით, საქმე უფრო გაგვირთულდა და ბრძოლა გაგ-  
ვიძინელდა და დღესაც ვერა ხედავთ ამაზე სათანადო ზრუნვას. ქართულ სექციას,  
მაგ., მეზრძოლი ჟურნალის გარდა, არავითარი ბიუჯეტი არა აქვს თავდაცვისა და  
შეტევის სხვადასხვა საშუალებისათვის და მგლების ხროვაში სახარების მკითხვე-  
ლებს ვემსგავსებით და ისიც ისე გამოდის, რომ ამ სახარებასაც ყველა თავისთვის  
კითხულობს, ცალცალკე ბესტში ჩამჯდარი. ჩვენ არა გვყავს ჯერჯერობით ერთი  
ნებისყოფით, გონიერებით და სახსრით შეიარაღებული შტაბი, რომ მტერთა რიგები  
შევშალოთ და ლელო გავიტანოთ. საგარეო მუშაობა თითქო კარგადაა აწყობილი,  
მაგრამ შინაგან ხაზებით ბრძოლა – სრულებით მოუწყობელია. ჩვენ ვიკისრეთ დიდი,  
მძიმე, პასუხსაგები საქმე, მიზანი სწორე, ნათელი და აღმაფრენი მომავალით თითქო  
(ამბებიც აქეთ მიდის თითქო) და იარაღები კი უშნეო გვაქვს. მეშინია, **დრომ** ჩვენს  
წინააღმდეგ არ იმუშაოს და არ წავაგოთ უფრო ადრე, ვიდრე საშიშროებათ ავიც-

40 გაზეთი „ბრძოლის ხმა“ – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარე-  
თული ბიუროს ყოველთვიური ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1929-40 წწ. (*შარაძე 2005*).

41 „საერთო ფრონტი“ – საქართველოს პოლიტიკურ (სოციალ-დემოკრატიულ, ეროვნულ-დემოკ-  
რატიულ, სოციალისტ-ფედერალისტურ, სოციალისტ-რევოლუციურ) პარტიათა გაერთიანებუ-  
ლი ფრონტი.

42 იგულისხმება მიხაკო (მიხეილ) წერეთელი.

43 „თეთრი გიორგი“ – საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგის“ ორგანი-  
ზაციის გაზეთი (1926 წლის №1-იდან 1935 წლის №84-85-მდე), რომლის შემდეგ გადაკეთდა  
ეროვნული ერთიანობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ ორგანოდ (1935 წლის №86-იდან  
1939 წლის №101-ს ჩათვლით), გამოდიოდა პარიზსა და ბერლინში (*შარაძე 2001*).

44 იგულისხმება დავით (დათა) ვაჩნაძე.

დენტ. შენ **მენშევიზმი** „დაასაფლავე“ – ეს თეორიულად კარგია საპროპაგანდოთ, მაგრამ **მენშევიკები** სუნთქავენ და... ვაი თუ ჩვენ არ ამოგვასუნთქებინონ: მეც წავხდი, შენც წავახდინეო – ეს მუდამ ბოროტების უკანასკნელი საშუალება იყო.

აბა, შენც იფიქრე და მომწერე შენი აზრებიც... „კაუნკის“ საჩქარო პასუხთან ერთად, ზევით რომა გკითხავ.

შენი რეზო

12. XII. 1938

P. S. აქ არის შალიკო ჯ.<sup>45</sup> და სალამს გიგ ზაენის. ამასთანავე ყველა ჩვენი მეგობრები და ამხანაგები, რომელთა რიცხვი, ყოველ შემთხვევაში, არა კლებულობს.

## 7.

### ძმად შალვა!<sup>46</sup>

თქვენი წერილები მივიღე და ვჩქარობ, გიპასუხობთ. ვერაფერი შობა-ახალწლის ნობათები მოგვართვეს აქაურმა ბანდიტებმა, მაგრამ ამით ვერც გულს გაგვიტყუებენ და ვერც საქმეს შეაფერხებენ, თუ გონივრულად მოვიქცევით და არა ისე დაბნეულად, როგორც აქამდე ვიყავით, რადგან, შენ კარგად გესმის **სათავეც** ყველა ამ უმსგავსოებისა, მოსალოდნელი შედეგ-გაგძელებანიც:<sup>47</sup> რამდენად ჩვენი საქმე მართალი და მაღალია, იმდენად უფრო აინვეს თავს – სულმდაბლობა. ჰაი-დარის წერილიდან დაინახავ, თუ რა მოხდა გარეგნულად, მაგრამ მამოძრავებელი ძაფები – სხვაგანაა, რასაკვირველია, და მე შემიძნია, **მოუწყობელობის გამო**, ჩვენც არ ავეგოთ ამ პროვოკაციის ანკესებზედ და ნებსით თუ უნებლიედ არ ვითამაშოთ... მთავარი ბანდიტებისათვის სასურველი როლი... შენი მიხვედრილი ანალიზი – ზედმიწევნით მართალია, მაგრამ ერთში ვერ გეთანხმები, რაშიც ალბად ვერ შევთანხმდებით – **ხასიათის** სხვადასხვაობისა გამო, ალბად. მე შენსავით მესმის **სიმტკიცე** და **თავდაჭერა** საბოლოო მიზნისათვის, მაგრამ დღევანდელ პრაქტიკულად და რეალურად ეს სიმტკიცე თუ რაშიმე არ გამოიხატა – ხვალ უარესს გვიზავენ და **საქმეს** ჩაგვიშლიან (ამის ნიშნებიც გვაქვს უტყუარად) და მარტო თეორიულ რწმენაზედ დამყარება არა კმარა. თქვენ, ვინც მანდა ხართ, არა ნაკლებად მტრული ემიგრაცია გახვევით, მაგრამ **მანდ** ვერას გაგიბედავენ, იმედია, მაგრამ **აქ** „ბოროტი ძალები“ გაცილებით მეტია, ატმოსფერაც უფრო გაბოროტებული და **პირობებიც** უფრო ხელსაყრელი არა მარტო **მომხდარ** უმსგავსოებისათვის, არამედ **მოსალოდნელ** და **მოსახდენ** უბედურობისათვის. **ჩვენი** სიმტკიცე, მარტო თანაგრძნობით ვერ იბოგინებს დიდხანს და დღეს თუ ვერ შეგვაშინეს, ხვალ გაგვტყუებენ უფრო მიკვეთრი იარაღით. საჭიროა სათანადო ზომების მიღება, თუ გვინდა მართლა სოლიდარულადა ვზიოდოთ ნაკისრი დიდი საქმე – მიზნის მისაღწევად და არა მარტო სამსხვერპლოზედ მისასვლელად. მსხვერპლს იქნება დიდი მნიშვნელობა აქვს ინდი-

45 იგულისხმება შალვა (შალიკო) ჯავრიშვილი.

46 სლმ. №26964-204-ბ., შალვა ამირეჯობის არქივი.

47 sic!

ვიდუალურად და სამშობლო ნიადაგზე, მაგრამ – ემიგრაციაში – მიმზიდველი ძალა მარტო **გამარჯვებისაკენ** გადახრილ სიმტკიცესა აქვს და არა წმინდა რწმენისა და წმინდანებისა (გახსოვს შენც ხშირად მეუბნებოდი: წმ. ბერი წმინდათა ნაწყდაო).

ამიტომ, აუხსენი ყველა შენ ამხანაგს **ჩემი შეხედულება**, რომ აქ, „ბოროტ სულთა“ ბუდემიაც ჩვენა გვჭირია სიმტკიცე არა მარტო სულიერი (პირადათ მე, შენ კარგად იცი, ეს არასოდეს არა მკლებია), არამედ ორგანიზაციული ჩანასახისაც, რომ, ერთის მხრით, **ვარღვით** ხელოვნურად ჩვენს გარშემო შემოვლებული კედელი (აი, თქვენ რომ არ გაუწიეთ ანგარიში ჩემს **პირვანდელ** პლანს<sup>48</sup> – თქვენ სასარგებლო დაჯგუფებისა და გაზეთის გამოცემაზე და შედეგი ცუდი გამოვიდა და ეხლა გვიანლა არის როგორც ხედავ) და, მეორეს მხრივ, **დისციპლინი** ვამოქმედოთ (ე. ი. **თავაჭერით**, როგორც შენ ამბობ) ჩვენი მომხრენი და თანამგრძნობნი. ამის პრაქტიკული პლანიც უნდა შემუშავდეს, თუ იმედები, მანდდან რომ გვითვლით, მარტო სიტყვიერი გამამხნეველები მასალა არ არის. „შობის ხეზედ“ მომხდარი ინციდენტი, რომლის მსვლელობას ჰაიდარის წერილში ნახავ, – განგებ დანვრილებით გადმოგცემთ, რომ თქვენ თითონაც გაერკვეთ თუ **რაშია** საქმე – არ არის შემთხვევითი ან „სპონტანიური“, არამედ ჩანყობილი ეპიზოდი, დიდი ხნიდან მოფიქრებული და ამუშავებული სისტემისა... რომლის ცალკე რგოლები ლადოსთვისაც<sup>49</sup> ნაცნობი იქნება... გამოცდილებით.

ჰაიდარი ისე ანაზღეულად მიდის და მოდის, რომ პრაქტიკულ ამოცანებზედ ყველაზედ ნაკლებად შემხვდება ხოლმე მასთან ლაპარაკი და პასუხისმგებლობასა და რისკს კი არაპროპორციულს ვერჩეხები სწორედ მე. მე ისე მქონდა გაგონილი თქვენგან, რომ თქვენ „სხვანაირი წესები“ გაქვეთ შემოვლებული, ჩემო შალვა, არადემოკრატიული, მაგრამ მე ვხედავ პრაქტიკულად, რომ არავითარი წესები არ არსებობს და ყველა იქცევა ანარქიულად ყველაფერში, წვრილში და სხვილში და ყველას, როგორც მოეპრიანება. ხომ იცი, ყოველ ქართველს ყველა საქმეში თავისი „პლანი“ და თავისი ამბოცია აქვს და ხშირად უბრალო საკითხშიც იბადება განა-მანია და უნდობლობა. მე, როგორც გვიან მოსულს, ანგარიშს ნაკლებს მიწვევენ და ხშირად, მხოლოდ საქმის გაფუჭების შემდეგ ხედავენ მარტო, რომ მე მართალი ვიყავი („მუზარადის“<sup>50</sup> საქმე, „აზგის“<sup>51</sup> საკითხი და სხ.). ყველა ცალცალკე დარბის ყველასთან და „თავის პლანს“ ანხორციელებს, თითქო ერთ საქმეს კი არ ვემსახურებოდეთ, არამედ ერთმანეთს ვეცილებოდეთ. ჩემის აზრით, ეს უნდა მოისპოს როგორმე, რომ უფრო არ გაღრმავდეს ასეთი დაქსაქსულობა – ჩვენ ხომ უფრო სერიოზულ ფაზაში შევდივართ ეხლა.

შენ კარგად იცი, პირადი მოთხოვნილებანი და მადა რისამე მე არაფერში მაქვს, მაგრამ, როგორ შეიძლება ქართულ ჟურნალის სექციას თავისი ბიუჯეტი არა ჰქონდეს, როცა სწორედ ამ სექციამია მოსალოდნელი კრახიც, თავდასხმაც ყოველნაირი ბანდიტებისა (რედაქციაში, ტიპოგრაფიაში და... „შობის ხეზედაც“ კი)... ჩვენც ხომ ხაჩატუროვები არა ვართ – გაზეთში ვიტროთ ხოლმე: „**НАСЪ еще разъ побили**“<sup>52</sup> და სხვა? თავდასაცავად სხვადასხვა გზით საჭიროა რაიმე

48 **план** – გეგმა (რუს.).

49 იგულისხმება ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი.

50 „მუზარადი“ – კავკასიელ მუზარადელების ორგანიზაცია, რომელიც შეკრებილი იყო ამავე სახელწოდების გაზეთის ირგვლივ.

51 „აზგი“ (სომხ. ერი, ნაცია) – კავკასიელ სომეხ პატრიოტთა ორგანიზაცია, რომელიც შეკრებილი იყო ამავე სახელწოდების ჟურნალის ირგვლივ.

52 ჩვენ კიდევ ერთხელ გვცემს (რუს.).

თანხა, ან, „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“...<sup>53</sup> თორემ ჩვენ შეგნებულად შევე-  
ბით ისეთ საქმეს, რომელსაც ვერ მოვერევიტ მარტო კარგი რწმენით და ცუდი  
იარაღით. ეს თქვენმა მეგობრებმაც უნდა გაითვალისწინონ. ეხლა, როცა ყველ-  
ფერი ერთი ორად და სამად გაძვირებულია და აუცილებელია **მოძრაობა**, ჩვენ  
ერთმანეთთანაც კი ვერ მივიღვართ **დროზედ**, რომ კოორდინაცია გვქონდეს  
მოქმედებისა ჟურნალებსა თუ ყოველდღიურ ორომტრიალში. და სხ. ათასი რამ,  
რაზედაც დრო და ენერგია უქმად იხარჯება. დიდ საქმეებს, ხომ იცი, ხშირად  
რა პატარა მიზეზები შლიან და, სხვა არა იყოს რა, ზურაბი,<sup>54</sup> მომხდარ საქმის  
შემდეგ – საფრთხეშია და დიდი სიფრთხილე გვმართებს და არა შიში.

სხვაფრივ კარგადა და მაგრათ ვართ, თქვენც ნუ გაიტყნთ გულსა და ნუ შე-  
შინდებით ჭორებით. გისურვებთ თქვენ უფრო მხიარულ და საამურ ნობათებს,  
ვიდრე ჩვენ მოგვართვეს საშობაოთ.

სალამი მეგობრებისა და ღიზასაგანაც.

შენი რეზო  
1.1.1939

P. S. ეს წერილი გინდა პირდაპირ გადაეცი ჰაიდარს, გინდა უამბე ის, რაც სა-  
ჭიროდ ჩათვალო.

გნერ შენ, რადგან ჰაიდარის ადრესი არ ვიცი.

## 8.

### ძმად შალვა!<sup>55</sup>

შენმა უკანასკნელმა წერილებმა მიმასთან<sup>56</sup> და ჩემთან ძალიან ჩაგვაფიქრა ყვე-  
ლანი და, გადავდგით რა ზოგიერთი, შენგან ნარჩევი, ნაბიჯი, ძალიანა გთხოვთ,  
მანდაც ფრთხილად მიუდგეთ აღძრულ საკითხებს, რომ თავიდანვე შეცდომები  
ავიცდინოთ რთულ გარემოებასა და საქმეში. შენც და ყველანი აქამომდე წინააღ-  
მდეგნი იყავით ყოველგვარი ორგანიზაციისა და პერსონალურ ნიადაგზე ერთობა  
სრულიად საკმარისად მიგაჩნდათ თქვენც და სხვებსაც. ესეთი წყობა, როგორც  
დროებითი მოვლენა, მეც საკმარისად მიმაჩნდა და თქვენი საბუთები სრულიად  
გავიზიარე მეც. არ მომწონდა მხოლოდ ის, რომ თვით ეს, პერსონალურ ნიადაგზე  
აგებული წრე, თითქო ვერ იჩენდა საკმაო მწყობრობას და ერთხაზიანობას, რაც  
იხატებოდა ჟურნალებისა და მიწერ-მოწერის, ურთიერთობის მრავალწახნაგობაში,  
რბილად რომა ვსთქვათ.

შენცა და ჰაიდარიც ისე მოულოდნელად წახვედით პირველად, რომ ყალბი  
შემდეგი ეტაფისა<sup>57</sup> გამოურკვეველი დარჩა და მისმა აქ ჩამოსვლამა და უკან დაბ-  
რუნებაზეც ბევრი რამ იმავე გაურკვეველ მდგომარეობაში დასტოვა.

53 „უფულო კაცი და ქეციანი ძალლიო“ – გახსოვს (რ. გ.).

54 იგულისხმება ზურაბ ციციშვილი.

55 სლმ. №26964-205-ბ., შალვა ამირჯიბის არქივი.

56 იგულისხმება მიხეილ (მიშა) კედია.

57 sic!





ჟურნალ „კავკასიის“ პარიზული ქართული სერია, №6-13, ივნისი, პარიზი, 1938 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კოლექცია, თბილისი).

ჟურნალ „კავკასიის“ ბერლინური ქართული სერია, №4-5, აპრილი-მაისი, ბერლინი, 1939 (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კოლექცია, თბილისი).

არა მგონია, შობას მომხდარი ინციდენტი გამხდარიყოს საკმაო მოტივად, რომ შენგან ნაკარნახევი ძირითადი ცვლილება – ასე ნაქარვევად აუცილებელი გამხდარიყოს, თუ სვება, უფრო დიდი რამ „მოტივირება“ არ აღმოგაჩნდათ მანდაურ გარემოებაში, – რის გაგებასაც შენგან ელიან, როგორც უფროსი, ისე უნცროსი ჩვენი მეგობრები, ვისაც შენი დავალებით ველაპარაკეთ. უფროსები ამ ცვლილებას სამართლიანად, მეტად სათუთად მოეპყრნენ და ფრთხილობენ ქართული ფრთის ცალკეობას, რომ საერთო საქმემ არ წაიბორძიკოს. მე პირადად მეტადრე მეუცხოვა შენგან გახსენებული სხვაობა გაგებისა ჰაიდარისაგან – ჩვენი ფრთის მიმართ. რაშია საქმე? ყველას გვინტერესებს, როგორც პერსონალური, ისე გარემოებათა ცვლილებანი.

ჩვენი შინაგანი მოწყობა ორგანიზაციული სიმაგრიტ – მე თავიდანვე აუცილებლად მიმაჩნდა და ეხლა მეტადრე საჭიროა; საკმაოდ დიდი კონტინგენტიც არის ამისათვის, მაგრამ ამის ახდელი, საჯარო გამოყვლავენება – ყველას ჯერჯერობით, ნაადრევად მიგვაჩნია. ზოგს – მიზანშეუწინელობით, ზოგს – ცალმხრივობის შიშით, ზოგს ფსიქოლოგიური მომენტების სათუთობით.

აუცილებელი ერთია: მტკიცენი ვიყვნეთ ჩვენს მიზნებსა და ელასტიურნი – ტაქტიკაში, თორემ ჩვენს მაღალ და სამართლიან მისწრაფებათ, მეტად ბევრი



მტრობა, შური და ვერაგობა ახვევია გარსა, მრავალფეროვანი და, რაც უფრო მართალნი, წმინდანი და მაგარნი ვიქნებით, იმდენად შური, ღვარძლი და ბოროტ-მოქმედებანი ჩვენს წინააღმდეგ – გამრავლდებიან: „ქართველი კაცი ყველაფერს გაპატიებს, სიკარგეს კი – არაო“, ხომ გაგიგონია. ამიტომ, გაუტეხელ და დაურღვეველ ჩვენს ეხლანდელ სიმტკიცეს – თანდათანობითი კავშირი (ცემენტი) და ქვა (პირები) სჭირია და არა უცები ფორმალური ნახტომები. შენ ეს, როგორც ეტყობა, კარგად გესმის, როცა იწერები: „მინერ-მონერა მარტო ჩემთან უნდა გქონდეთ“ და სხვა ასეთივე „წვრიმალეები“, რომელნიც ხშირად აფუჭებენ უფრო დიდ მოვლენებს. და ეს, ეტყობა, ან არ ესმის, ან სხევანაირად ესმის ჰაიდარს, როცა აქამომდე მინერ-მონერისა და ანგარიშების საქმეც – მეტად გაფანტულადა აქვს დაყენებული. არც რაობა და არც ვინაობა დღემდე არავისი და არაფრისა განსაზღვრული არ არის და ერთსა და იმავე საგანში ვის რა კომპეტენცია აქვს, ან უნდა ჰქონდეს – გამოურკვეველია. აქედან აღრევა, თავმოყვარეობათა ჭიდილი და ქაქანზედ ბევრი დროს დაკარგვა ხდება. ეს ყველაფერი როგორმე უნდა მოწესრიგდეს; მეტადრე, სწორედ „კავკასიის“ განსხვავებული მდგომარეობის გამო, – ბევრის მხრით და მოსაზრებით.

როგორც ხედავ, ძმაო შალვა, მე განგება გწერ „საერთო მოსაზრებათ“ და არ ვეხები ცალკე კონკრეტულ „წვრიმალეებს“, მაგრამ შენ ნუ ჩასთვლი ამას „ეზოპის ენად“, არამედ ჩაუფიქრდი თუ ყველაფერს, რომ ნახტომები არ შეგვეშალოს ამ რთულ და საანგარიშო დროებასა, გარემოებასა და პერსონალურ თავმოყვარეობათა სირთულეში.

რაც შეეხება შობის ინციდენტს და ჟურნალის შინაარსს ამასთან დაკავშირებით, როგორც ეტყობა, მანდ ჩამოსული გაზვიადებული და განგებ შეთხზული ჭორები – თქვენც გაღელვებთ უფრო მეტად, ვიდრე საჭიროა. თუ მხედველობაში იღებთ უფრო საგარეო შთაბეჭდილებათ და მოსალოდნელ შედეგებსა და გავლენას ამავე საგარეო სფეროებში?

თვით ინციდენტი, როგორც დანვრილებით გწერდით – იყო ნამდვილი სამარცხვინო ფიასკო, როგორც მარქსისტებისათვის, ისე მეტადრე სპ. კედისათვის: ჩვენ ყველანი უფნებელნი დავრჩით და ვერავის ხელი ვერ დააკარეს (თუ არ ვიანგარიშებთ, რომ მარტო ზურაბს<sup>58</sup> ძლივს შეეხნენ და სამაგიეროდ მიიღეს ერთი ათად მისგანვე და ასად – სხვებისაგან); მაგრამ ნაცემი აღმოჩნდნენ ყველაზედ მეტად ბონდო ელიავა და სხ. ბიჭები ბ-ნ სპ. კედისი და ნესტორ კალანდაძე – მენშევიკებიდან. „ზურაბი კარგად კრიობდაო“, რომ იწერები, ან განგებ რალაცა ჭუჭყიანი მიზნით ან შეცდომით იწერებიან ამაზედ, რადგან ზურაბმა მარტო მოიგერია, ხელით და ფეხით, – დამცემი ოთხი-ხუთი კედისა ბანდიტი [როცა უკვე კიბეზედ ჩავდიოდით წასასვლელად და მეც, ხელუბდაჭერილმა, ფეხი ამოვკარი მათგან ერთ-ერთს. ჩემთვის თითიც არ (ე. ი. ვერ) დაუკარებიათ]. შეცდომა (?) ალბად იმისგან არის, რომ ჯერ კიდევ ზალამი,<sup>59</sup> საცა ატყდა პირველი ჩხუბი, ზურაბ ციციშვილმა მარტომ დაამტვრია ყბები, გვერდები და სხ. კედისა ბიჭებს და აფთარივით გაფანტა, როგორც ცხვრის ფარა. აქ განგებ, თუ შეცდომით, აურევიათ ორი ზურაბი.<sup>60</sup>

58 იგულისხმება ზურაბ ციციშვილი.

59 ვაჟი – დარბაზი (რუს.).

60 იგულისხმება ზურაბ ციციშვილი და ზურაბ ავალიშვილი.

საქმე შემდეგშია, რომ თვით ინციდენტმა თანდათან დაკარგა „დიდი ამბის“ ელფერი, რაკი აფუ-მე მოუვიდათ და ჭორებით და იოხებენ გულს, მაგრამ, ხომ იცი, ამაზედ არ გაჩერდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ბევრნი აღშფოთებულნი არიან, თანაგრძნობის სიტყვებსა და წერილებს (ზურაბს) გვიგზავნიან, პროტესტებს მაგ ამყარებულ მიხაკოს და სხ. და სხ. „აი, სწორედ ამისთვისაა ერთგვარი თავდაცვის მიზანშეწონილი გეგმა და არა ახდელი ორგანიზაცია, რომლის საჭიროება ამ ინციდენტის მიზეზით – ჩვენთვის ჯერჯერობით გაუგებარია, თუ სხვა უფრო დიდი საბუთი არ ამართლებს. ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა შენც და ჰაიდარსაც მიგელოთ მონაწილეობა აქ მოსახდენ საჩქარო თათბირში და არა მართო ხამუშ-ხამუშ სადილ-ვახშმებში. პირისპირ შეხვედრამი ბევრად უფრო უკეთ გამოირკვეოდა გადასადგმელი მორიგი ნაბიჯები.

რაც შეეხება იანვრის „კავკასიის“ შინაარსს, – აქაურებს თითქმის ერთხმად მიგვაჩნია მიზანშეწონილად, იგი იყოს პროვოკატორ მიხაკოს „საუბილეო“ ნომრად. იქაური მდგომარეობისა და ატმოსფერას მიხედვით – ეგ არა ღირს ამ ფასად. რალა თქმა უნდა, მაგისი როლის სიმყარაღეც აღინიშნება ჯეროვანად, მაგრამ ნამდვილი მაგისი სასჯელი, მგონი, უმჯობესია, სხვანაირად მოეწყოს. კერძო და კოლექტიური წერილები, მგონი, უკვე მოგივიდათ და, ჩემის აზრით, ურიგო არ იქნებოდა, მანდ ოფიციალური მდგომარეობაც გამოგეყენებინათ. მაგისთანა უმგვანი გვაშეხებათვის ეს უფრო გასაგები იქნებოდა, ვიდრე შერცხვენა... რომლისა არა გვაგებათ რა, უზნეობისა გამო.

არ ვიცი, თუ დამაკმაყოფილებელია საკმარისად შენთვის და თქვენთვის ეს ჩემი პასუხი შენ წერილზედ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს არის აქაური სულისკვეთების აღმწერსხველი ობიექტიურად და დამიგვიანდა სხვების დაკითხვის გამო, თანახმად შენი განკარგულებისა. და ახლა ველით თქვენს უფრო დასაბუთებულს მოტივაციასა და მანდაურ გარემოებათა სურათებს, რომ, ამისდა კვალობაზედ, უფრო შეთანხმებული და მიზანშეწონილი ხაზი ვანარმოვით.

ახლა, *pro domo sua*.<sup>61</sup> ჩემო შალვა, იქნება მე არა მაქვს ხასიათად ინიციატივის გამოჩენა, მაგრამ პრაქტიკული გამოცდილება იმდენი მაქვს, რომ სხვებზედ მეტად შემოძლიან შეფასება და მოწესრიგება სხვისი ინიციატივით დაწყებულ საქმეებისა, ამიტომ ეს ჩემი თვისებანიც გამოყენებული უნდა იყოს უფრო მიზანშეწონილად, რისთვისაც შენც უნდა დამეხმარო შენი ავტორიტეტით. ჩემი ამბიცია მხოლოდ იმაში მდგომარეობს ხოლმე, რომ თვით საქმე მიდიოდეს კარგად, რომელსაც მე ვკიდებ ხელსა და არა კერძოდ ჩემი საქმე თუ მდგომარეობა. მე არასოდეს არავის არაფერში ვეცილები, არც მატერიალურად, არც პოსტებით,<sup>62</sup> არც სახელით, მაგრამ, საუბედუროდ, ხომ იცი, სწორედ ეს გამოუთქმელი მოტივები რა დიდ როლს თამაშობენ ხოლმე პოლიტიკურ თამაშში და... საქმის სახედნაში უმეტესად. და რაკი საქმე აქ მოუწესრიგებელია, ყველა ცდილობს მეტი გამოიჩინოს, ვიდრე გააკეთოს და ესა ჰბადებს უნაყოფო და მავნე ქიშპსა. აი, ამ ინციდენტის გამოც ყველას თავისებური უნივერსალური პლანი აქვს და რაკი შეუთანხმებელია ერთმანეთთან, მიზანშეწონილი არა კეთდება რა და მეშინია, ჩვენი ახალგაზდობაც არ ჩაითრიონ მოხერხებულმა მენშევიკებმა პროვოკაციებში. ცემა-ტყეპა, კუთხური გაღიზიანება, ჭორი და ნასისინება, „პროგრამებისა,

61 საკუთარ თავზე (ლათ.).

62 пост – თანამდებობა (რუს.).

ტაქტიკისა და იდეოლოგიების“ ცვლა, „გაერთიანება“ და სხ. ათასი ხრიკები – ყველაფერი ამუშავებულია ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენ თითქმის პასიურად უნდა მოწმენი ვიყვნეთ, რადგან სულ მცირე საშუალებაც არა გვაქვს მოძრაობისათვის, „მონინალმდეგეთა“ დასარღვევად, რაც ძალიან ადვილია და ჩვენი ხალხის გასამაგრებლად. მარტო ლიტერატურა აღარაა საკმარისი, უფრო რთული ბრძოლის მომენტები დადგა. მწვავეება და ღირსეულად თავის გატანა ამ პირობებში – ძნელდება. ბევრი „წერიმალი“ ნაბიჯებია გადასადგამი და წერილობით მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. საჭიროა, ერთხელ მაინც შეხვედრა და ყველაფრის გათვალისწინება. საჭიროა საშუალება და ეს უნდა იყოს ჩვენს შორის, რადგან ამის გამოზრუნებასაც თავისი ცუდი მხარეები აქვს – მადების მიხედვით. იდეურად, პერსონალური შემადგენლობით და შესაძლებლობებით ჩვენ თითქმის არა გვაკლია რა, მაგრამ, ხომ იცი, პოლიტიკაში საჭიროა სხვა იარაღიც და აქ თითქო მოვიკოჭლებთ რალაცა მიზეზით. არ ვიცი, უნდობლობით, სიფრთხილით თუ უქონლობით. აი, საიდან შეიძლება გველოდეს მოულოდნელი მარცხი და ჩაფიქრება გვმართებს. პასუხსაგებ და სახიფათო მდგომარეობაში ვიმყოფებით და იმავე დროს მეტად გაფანტულ და უმწეო, უცნობ პირობებში. ეს დისპროპორცია უნდა გამოსწორდეს უსათუოდ. იქნება ვისმეს არ უნდა, მაგრამ ჩვენი ფრთის განსხვავებულ მდგომარეობას სად უნდა გავექცეთ, რომ გვინდოდეს კიდევ.

ერთი სიტყვით, შენ რომ გესმის ყველაფერი ესა, შენი წერილიდანაც სჩანს, მაგრამ საჭიროა ცოტა აჩქარება რომ ბრძოლაში, როგორც ომში, დროსა და მომენტს სათანადო მნიშვნელობა არ დაეკარგოს და ვიდრე შენგან აღძრული საკითხი საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდეს, მანამდისაც დახმარებაა საჭირო.

აბა, იყავით კარგად. ყველას სალამი ყველასაგან. ერთი პატარა არასასიამოვნო ამბავიც უნდა შეგატყობინო კერძოდ შენა: წუხელის, შუალამისას მოვიდა დათო<sup>63</sup> და თურმე ანეტა<sup>64</sup> კიდევ მსხვერპლი გამხდარა ავტომობილისა. თავი აქვს გატეხილი და საავადმყოფოშია. გოგიმ<sup>65</sup> კიდევაცა ნახა და ძალიან სერიოზული არაფერი. სწორედ ლიზასაც უნდოდა შენთვის მოწერა, მაგრამ დილაადრიან წავიდა დათოს ბავშვების მოსაველეად და ამიტომ ველარასა გწერს. მარტო მოკითხვა ლა დამაბარა შენი და გიგოსთან<sup>66</sup> თხოვნა: თუ ეკ. გაბაშვილზე სწერს რასმე – დააჩქაროსო. მეც ველი შენ საჩქარო პასუხს.

შენი რეზო  
10.1.1939

P. S. ქართული „მუზარადი“ და სომხური „აზგი“, რომ ჩვენ პლატფორმაზე გადმოვიდნენ, ეს გამამხნევებელი ახალი ამბავი ხომ გეცოდინებათ და ისიც, თუ როგორ აფორიაქებულან ამით ჩვენი მონინალმდეგენი.

63 იგულისხმება დავით (დათო) დავრიშაშვილი.

64 იგულისხმება ანეტა დავრიშაშვილი (ქალიშვილობაში – ოქროპირიძე).

65 იგულისხმება გიორგი (გოგი) კერესელიძე.

66 იგულისხმება გრიგოლ (გიგო) დიასამიძე.

**ძმად შალვა!**<sup>67</sup>

რაც შეეხება მ. ნერეთელის შემინებულ წერილს და მანდაურ ჩვენ მოწინააღმდეგეთან მიწერ-მოწერას აქედან, – ყველაფერი აიხსნება იმით, რომ – ზოგი შემინდა, ზოგი დარცხვენილია, ზოგმა ეს თავდასხმა გამოიყენა, როგორც შანტაჟი, ჩვენთან შემოსაძრომად და სხვადასხვა სახითა სცდილობენ გააქარწყლონ სკანდალის მნიშვნელობაც, მიზანიც და, უმთავრესად, მისი წინასწარგანზრახულობაც. თვითონ ცომაიამაც კი აღარ იცის, საიდან მოგვიდგეს, რომ „არაფერი დაწეროთ“ ამათს გმირობაზედ და იწუნებს შენს სიტყვებს სწორედ წინასწარგანზრახულობაზედ შენს წერილში. ჩემ მკვახე წერილს ჯერ არ იცნობს და, წარმოგიდგენია, როგორ მოენონება.<sup>68</sup> გ. ს.<sup>69</sup> აქ ამჟამად ჩანს უკან დახევა, მაგრამ ამან არ უნდა დაგვახუჭინოს თვალი სინამდვილეზედ: სიფრთხილეს თავი არა სტკივაო. ჩვენ მოწინააღმდეგეების გულწრფელობაში ერთი წუთითაც ნდობის დაშვება შეუძლებელია.

შენ უნდა მოსთხოვო მიხაკოს, – სალიას წერილი (**პირველი** და ამაშიაც არ მოგატყუოს) და არა დაიჯერო მაგ პროვოკატორის მლიქვნელი ენატანტალობა და წერილები.

უნდა მოსთხოვო ცომაიას წერილი – მარგველაშვილს, რადგან ცომაია ფიცულობს თეთრ გიორგელების შესახებ (ე. ი. მათზე გადაბრალება), მე არ მიმიწერიაო და ის „ახალი ივერიელი“,<sup>70</sup> რომელმაც მარგველაშვილს მისწერა – მე ვიყავიო.

თუ ეს წერილები არ გაჩვენეს – მაშინ ამ მყრალ ხალხს არაფერი დაეჯერება.

ეს ერთი საგანი. მეორე არის ჟურნალების გამოცემანი, რომელთა შინაარსის და გამოცემის ვადების კოორდინაცია როგორმე უნდა მოგვარდეს უკეთესად, რასაც ხელს უშლის მთავარ ხელმძღვანელთა ნამეტანი შარიშრობა. მართალია, დიდი გაფები<sup>71</sup> ამ მხრივ აღარ მოგვდის, მაგრამ – ამ მტრულ ბანაკში – ეს მიიღეთ მხედველობაში აუცილებლად, – სულ მცირედიც საკმარისია ხოლმე, რომ ისედაც გამწვავებული მდგომარეობა ღრმავდებოდეს და სისხლს გვიშრობდნენ ჭორებითა და ათასი სხვა საშუალებით. აი, მაგ., ჰაიდარის მოთხოვნილება: „ყველა გამოცემამი ჩემი მოწინავე უნდა იყოსო“, ხანდახან სრულებით **მიზანშეწონელია**, რადგან ეგ თვეობით აქ არ არის და შეუძლებელია ეს უცნაური „პრინციპი“ დაცული იყოს ისე, რომ, მაგ., **ქართული გამოცემა** სასაცილო მდგომარეობაში არ ჩავარდეს და ზედმეტ მტერს არ გვიჩენდეს ხოლმე ხანდახან (მაგ. მიუნხენის აჩქარებულ საქმეების დროს სრულებით „ჩამორჩენილი“ და იყო მაგისი მოწინავე და რაღაცა უცნაური პრესტიჟის საკითხი წამოაყენა მაგან; ეხლაც: აქ სულ სხვანაირი მდგომარეობაა სომხების ჩვენთან მოსვლის საკითხისა და ეგ კი შორიდან რაღაც მოწინავეს გვითვლის შეუხამებელს. ჩვენ, მაგ., უკვე დანერვილი და აწყობილიცა გვაქვს ამის შესახები წერილი და უკეთესადაც და ეგ დაგვიანებითა გზავნის – ამით ჟურნალების გამოცემაც პროკოლდება,<sup>72</sup> სხვათა შორის – და, შეუფერებ-

67 სლმ. №26964-208-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

68 დღეს უკვე დაიბეჭდა და გვემუქრებიან: ნახეთ, რეებს დაგინერთო (რ. გ.).

69 გ. ს. – ?

70 „ახალი ივერიელი“ – ალექსანდრე ცომაიას ფსევდონიმი.

71 *gaffe* – მარცხი, შეცდომა (ფრანგ.).

72 *sic!*

ლობის გამო მასთანვე მიწერ-მოწერა და მიგზავნ-მოგზავნა ხდება საჭირო. ასე ცოცხალი საქმის წარმოება – შეუძლებელია. ასეთი რამეების **პასუხისმგებლობა** ვინმე ერთს და ერთ ადგილზე მყოფს უნდა ეკისრებოდეს და არა მოგზაურებს. სრულებით გულწრფელად ვამბობ, რომ მე არავითარი სურვილი არა მაქვს მაგისი პრესტიჟის, მდგომარეობისა თუ მნიშვნელობის შემცირებისა, – პირიქით, ყველგან ჩვენებში და გარემებებთანც ვცდილობ დავიცვა ათასი გაუგებრობისა და უკმაყოფილებისაგან, მაგრამ ჟურნალის წარმოების საქმეები, ეს უნდა ესმოდეს – მაგაზედ ცუდათ არ ვიცით ხომ და შენ ეს დელიკატურად უნდა გააგებინო.

მესამე საქმეა – ორგანიზაცია. შენი პირვანდელი პროექტი, როგორც ხედავ, ნაადრევია და შენივე ამხანაგები ეწინააღმდეგებიან – ყველა. მარტო ზ.<sup>73</sup> ფიქრობს, რომ ზოგიერთი შიშების ასაცდენად საჭიროა კავკასიური ორგანიზაციის დაარსება და არა – ქართულისა, ცალკე. ამასაც თავისი საბუთი აქვს. მაგრამ ქართული, ისეთი როგორც შენი მეორე პროექტია – ჩემის აზრითაც აუცილებელია, რადგან უამფრთოდ არაფერი გამოვა. ამ, შედარებით პატარა ორგანიზაციას ორი მთავარი მიზანი უნდა ჰქონდეს – მარქსისტთა რღვევა (და ყველა იმათი, ვინც მათთან ერთად ჩვენ გვებრძვის და საერთო მტრულ კედელს გვიშენებს გარშემო) და მეორე, – ჩვენი საკუთარი კადრების ჯანსაღობისა და სიმტკიცის შექმნა. ამისათვის მეტი თავისუფლება და მოძრაობა საჭირო და ამ ორთავესათვის – მეტი საშუალება. არა კმარა ჟურნალების გამოცემა მხოლოდ. მე აქამდის არ ვიცნობ ზედმინევენით მდგომარეობას, მაგრამ რასაც ვაკვირდები (მოგზაურობანი, გერმანულ კავკაზის<sup>74</sup> ყოველთვიურად გადაქცევა, ახლა სომხურ კავკაზის დაარსება<sup>75</sup> და სხ.) ვხედავ, რომ საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება განსაკუთრებით – ლიტერატურაზედ. მიზეზი და მიზანი კი ასეთი ცალმხრივობისა ჩემთვის გაუგებარია და მიზანშეუწონლადაც მიმაჩნია ნაწილობრივ, თუ ვიანგარიშებთ აქტიურ ძალების დისპროპორციას ეხლანდელს და მომავალსაც – სხვადასხვა ეროვნულ სექტორში და გასაკეთებელ საქმეშიაც. ეს მხარე საქმიანობისა, მე მგონია, თქვენ თავიდანვე ვერ მონაწირეგეთ შესაფერისად. ნდობა საუკეთესო დულაბია, მაგრამ უნდა იყოს ერთნაირი ორივე მხრით (გზაიწმრთე).

მეოთხე საკითხი – ისევ ჩემი პირადი მდგომარეობა ამ საქმეებთან დაკავშირებით. თავიდანვე მე ცოტა უცნაურ მდგომარეობაში ჩავვარდი, „რედაქტორობის“ გამო, რის დაკისრებას მე არა ვფიქრობდი არა ბევრი „მოსაზრებით“, არამედ ჩემი მდგომარეობის გათვალისწინებით – პირადის, საზოგადოებაში ტრიალის, საქმის წარმოებისა და პასუხისმგებლობის გაგებით, დროისა და შრომის ანგარიშით და სხ. და სხ. მე სხვანაირადა მქონდა წარმოდგენილი და სხვა პლანებიცა მქონდა, ვფიქრობდი უმთავრესად, რომ ამით მეტი თავისუფალი დრო მექნებოდა ჩემი საკუთარი შრომებისათვის და იქნება მათი გამოცემისათვისაც და გამოვიდა უკუღმა: ეხლა სულ აღარა მაქვს დრო აღარაფრისათვის და თანდათან უფრო რთულდება მდგომარეობა. მე მიხდება მიწერ-მოწერა, შეხვედრები, კამათი და რწმუნება, პრობლემა... კრივიც კი ამ სიბერის დროს და სხ. ახლა შენ მაკისრებ – და მაღლობელიცა ვარ – ორგანიზაციის მოვლასაც და ხომ იცი, ამას უფრო მეტი დრო სჭირდება და ენერგია და ხარ-

73 იგულისხმება ზურაბ ავალიშვილი.

74 ჟურნალი „კავკაზი“ გამოდიოდა რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ და თურქულ ენებზე (შარაძე 2005:).

75 ჟურნალ „კავკაზის“ სომხური სერია (მხოლოდ ორი ნომერი) 1939 წელს გამოვიდა (Mamulia 2012:).

ვიც. ამიტომ, ჩემო შალვა, მე მინდა მოგაგონო, რომ მე პირადად ხომ მიცნობ, რომ მხარჯველი არა ვარ და რაცა მაქვს, საცხოვრებლად მყოფნის, მაგრამ, – ჩემთვის სასურველ აქტივობისათვის და საქმისათვისაც მიზანშეწონილად ჩემ გამოყენებისათვის – ეს არა კმარა ხომ? ამიტომ, თუ არის რამე საშუალება და ნდობაცა მაქვს (შენი რომა მაქვს, ვიცი, მაგრამ საერთოს ვამბობ) – ჩემ განკარგულებაშიაც უნდა იყოს რაღაცა მეტი და საქმის წესიერად წარმოებისათვისაც, ზრდისათვის. მე მინდა ეს არა მარტო შენ გაიგო ამხანაგურად და მეგობრულად, არამედ სხვებსაც გააგებინო შენით. ანგარიშის წარმოებაცა და ჩაბარებაც მე კარგად ვიცი და ამას ნურავინ შეუშინდებით, თუ კი საქმისათვის არის რამ საანგარიშო. ეხლანდელ სიძვირეში მე ჩემი ძლივსა მყოფნის ოთახსა და საქმელზედ და სად შემიძლიან შეხვედრების, მინერ-მონერის, მისვლა-მოსვლის და პატარ-პატარა დახმარების და სხ. და სხ. ხარჯების განევა, რაც აუცილებელია ასეთ საქმეში? ჩემი სახლი ხომ ეხლა ქარვასლადაა გადაქცეული და რითი? როგორ? მერე ჩვენი ამხანაგებიც ხომ თითქმის ყველა ასეთივე მდგომარეობაშია და გამხნელება სიტყვიერი მხოლოდ, ხომ იცი, როგორი მოკლე-ვადიანია ხოლმე და სუსტი გამძლეობისა ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში. მე არ მეზარება არც უფროსებთან მისვლა-მოსვლა და არც უმცროსებთან შეხვედრები, მაგრამ ამ აუცილებლად საჭირო კავშირებისათვის საჭიროა, გარდა სურვილისა, მატერიალური შესაძლებლობაც. მერე სულ სხვაა, როცა ზურგი გაქვს გამაგრებული და სულ სხვა, როცა შენ თითონ არაფერი გაქვს, არაფერი იცი და სხვას რითი უნდა აღუძრა ნდობა შენი საქმისადმი? ჰაიღარი მწერდა უკანასკნელად, მალე ჩამოვალ და მოვილაპარაკოთო და ეხლა კიდევ გადაუდვია და საქმე კი ფერხდება, ძნელდება. თქვენ რომ დიდ საქმეებში ხართ, ვიცი, მაგრამ პატარებიც აუცილებელია. მით უფრო, რომ აქ მხეცების პირში მიცემულნი ჩვენა ვართ და ყველაზედ მეტად – მე. თავდაცვისა და იერიშების ასაპარეზი უმთავრესად აქ არის და სარდლები კი ყველანი მეტად – მეტად შორსა ხართ ყველანი და უნტერ-ოფიცრობა რომ მე გადმომილოცეთ, კიდევაც უნდა შემადლებინოთ დროზედ. მოკლედ და აქაურ ამხანაგებთან გაუხმაურებლად, დღესდღეისობით და საჩქაროდ საჭიროა, არსებულის გარდა, სამი ათასი მაინც, რომელთაგან (თვიურად) ერთი იქმნეს ჩემს განკარგულებაში და ორი, – ანგარიშის ჩაბარებით, ქართული სექციისათვის საზოგადოთ. და აქ ჩამოსულ ჰაიდარს იმ გეგმასაც დაეხვედრებ მერე, რომელზედაც მწერდა. შენ, როგორც წინად, გინდა გადაეცი რუსული წერილი იმას,<sup>76</sup> გინდა შენით აუხსენი მდგომარეობა, რასაც შენა გწერ და საჩქაროდ მაცნობეთ შედეგი. მე ვინახულე ჯამალიანი და ბევრი რამ გავიგე მისგან. თურმე ის იღებს ძალიან აქტიურ მონაწილეობას „ქართული ფრონტის“ „გაერთიანებაში“, რომელიც აქ გაქანებით სწარმოებს კედიასა (და, როგორც ეტყობა, მიხაკოც), ჟორდანისა და... დათას შორის... სხვებიც „ბევრი არიან“, რასაკვირველია, მაგრამ დანვრილებით ამაზედ შემდეგ მოგწერ როგორმე. მეგონია, რომ ჯამალიანის ჩაგონება შეიძლება – მტრობა მაინც არ გავგინიოს, თუ მეგობრობა არა (თუმცა დარწმუნებული არა ვარ: ხომ არ არის ეს გადახრა რუსეთისაკენ და შეიძლება შენშევიკებთან ერთად, პოლონელების გავლენით – მაშინ უფრო ძნელი საქმეა, რასაკვირველია) და თუ თქვენც მომწერთ, მე შემიძლიან მასთან კიდევ შეხვედრა და ნიადაგის მოსინჯვა ან გაგება „ამბებისა“, თუ გადმოიბრება არა (ან საჭირო არ არის?). რყევა არის, როგორც მესმის, ადერბეიჯანელთა შორისაც. პარტიის ყრილობიდანაც და ცენტრის სხდომიდანაც – ჟორდანია „გაქცეულა“ და ამბობენ, ძალიან წაქცეულიც არისო,

76 მე უკვე გადავეცი, მაგრამ შედეგი ვერა ვნახე (რ. გ.).

მაგრამ, ხომ იცი, ეს ბებერი მელა ჯერ კიდევ ბევრ სისაძაგლეს მოახერხებს, ვიდრე ჩაკვდებოდეს... მე შენ გითხრა, სინიდისის ქენჯნა შეანუხებს.

ჩხენკელმა, ანჩინის სახელით გამოსცა ბროშურა: „სახელმწიფო და ერი“,<sup>77</sup> ყოვლად უმწეო და მენშევიკური სისულელებით სავსე. საჭიროა შენ ან ზურაბმა „განიხილოთ“ „კავკასიაში“, რადგან მე, ხომ იცი, ჩემი „უანრით“ ასეთ „ბობოლას“ არ ვეყოფი. ჟორდანიასა და კედიას რალაც „შეთანხმებაზე“ ერთმანეთთან ხელი მოუწერიათ, მაგრამ ოფიციალურად „გაერთიანება“ ჯერ ვერ მოუხერხებია ამ ორ განგსტერს, რადგან ბებერი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა... საკუთარი მუცლის გვრემით: ალექსანდრე ასათიანი, ი. ზურაბიშვილი და გ. გვაზავა; ფირცხალავაც და სხვები... ვინ როგორ „გაიმარჯვებს“ და სად ამოყოფს თავსა და რა „ბიუჯეტი“ ჯერ არავინ იცის... ჟორდანიას „ფიქრობს“ და „აკვარახჭინებს“... რა გამოვა, ჯერ არა ჩანს, მაგრამ ალბად გამოიყვანს რასმე.

აბა, ჯერჯერობით, იყავი კარგად და სალაში ყველას ყველასაგან.

შენი რეზო  
24.1.1939 წ.

P. S. არ ვიცი თუ გოგი შესძლებს გადმოცემას აქაური ატმოსფერისა და ამბების სრული სისწორით – მეტად ახლოს იღებს ხოლმე გულთან წერიმალებს და შენც დაარიგე თავდაჭერა, შენი პატივი და რიდი დიდი აქვს.

## 10.

...აქ<sup>78</sup> ხმა მოვიდა,<sup>79</sup> რომ შენ ვილაც ტეგანოვს გამოჰკამათებინარ საზღვრების გამო და ჰაიდართანაც რალაც უკმაყოფილება შეგხვედრია. გახსოვს, მე სულ იმას მეუბნებოდი, ჰაიდარს უნდა გაუწიოთ ანგარიშიო და ახლა შენ თითონ არ აპყვე გულის თქმასა და საქმე არ შეაფერხოთ. ფრთხილად იყავი, გეთაყვა. ერთსა გთხოვ მხოლოდ – უსაზღვრო ნდობა პოლიტიკაში და ანგარიშებში – შეუძლებელია. რალაც კონტროლია საჭირო და არ ვიცი, თქვენ კურსში ხართ თუ არა, თუ რამდენი რაზედ იხარჯება და მიზანშეწონილად ყოველთვის თუ არა? მე მაშინებს, რომ დისპროპორცია შინაგანი ორგანიზაციისა და საგარეოსი, ნამეტანად ლიტერატურული მხარისა, რომელიც უფრო მეტ მტერსა გეძენს და წინააღმდეგობის საშუალებათ კი საკმაოს არ გვაძლევს – ბოლოს საიდანმე მოგვივლიან და საქმეს თუ სულ არ ნაგვაქცევენ, დაგვაკოჭლებენ მაინც და ამიტომ მიაქციეთ ყურადღება ამ მხარესაც და ჩემ თხოვნასაც. საგარეო საქმეებშიაც ნუ თუ მარტო ჰაიდარს უნდა ეკითხებოდეს ყველაფერი უკონტროლოდ და ბრძანებლობდეს<sup>80</sup> განუკითხავად? მაგრამ მე სრულებით არ მინდა ამით მისი მდგომარეობა რითიმე შევასუსტო. პირიქით, მაგას მგონი ესმის და დელიკატურად ყოველშემთხვევაში<sup>81</sup> უნდა მიახვედროთ, რომ ეს დიდი და საერთო საქმეა და არა მისი საუფლისწულო. ჩვენი ყოველი ნაბიჯი და მდგომარეობა კი თით-

77 იგულისხმება აკ. ჩხენკელის წიგნი „სახელმწიფო და ერი“, პარიზი, 1939 წ.

78 წერილის დასაწყისი დაკარგულია.

79 სლმ. №26964-208-ა.-ბ., შალვა ამირჯიბის არქივი.

80 sic!

81 sic!

ქო მაგის გუნებაზედ არის დამყარებული და ნაკლებ ანგარიშს გვინვეს. იქნება თქვენ მაინც ხართ ყველაფრის კურსში და მაშინ ეს მაინც დაგვიდასტურე, თორემ ასე ძნელია მუშაობა – ზეპირი ნდობით, როცა იმის მხრიდან აქ ვერაფერ ნდობას ვერა ვხედავთ. პირველ ჩამოსვლაზედ – გამართა ბანკეტი, ესლა კიდევ – ბანკეტი და საქმიანი შეხვედრა კი ნაკლებად აინტერესებს თითქო. ლიტერატურა მრავლდება და შინაგანი სიმტკიცე კი სათუო ხდება უსახსრობის გამო. ესლა განზრახულია „სერკლი“<sup>82</sup> ბინით, ე. ი. კვლავ ხარჯი, როგორც ბანკეტებზედ და საორგანიზაციო უბრალო შეხვედრებსაც კი ვერ ვახერხებთ – უფულობის გამო. კიდევ ვიმეორებ – ბაბულები გაფანტულნი ხართ (იქნებ ეს კიდევაცა სჯობდეს), მაგრამ სამინაო ფრონტს რომ მტკიცე მუშტი უნდა დავახვედროთ, ამის დარდი თითქო არავისა აქვს. ხარჯები კი საჭიროა და სახარჯო კი არსადა სჩანს. შენზედ აქ ათასნაირ სმებს ავეცელებენ და კარგი იქნებოდა, ერთი-ორი კვირით შესძლებდე ჩამოსვლას, რომ მოვავგვართ ყველა საქმეები. სულიერად აქ მტკიცეთა ვართ, მაგრამ, ხომ იცი, ეს არა კმარა ასეთი საქმისათვის. ველი შენს პასუხსა და შეხედულებას ყველა ამ საკითხებზედ.

ახლა უფრო მცირე ამბები. მიუნხენიდანა მწერს ვ. ანდრონიკაშვილი, რომ იქაც საჭიროა პრობაგანდა და მუშაობა. არ ვიცი, რას აკეთებს, ან რას აპირობს. შენ მისამართს გაუგზავნე და გადაეცი, თუ საჭიროდ დაინახო. ახლა ჭორზედ: აქ ავრცელებენ ხმას, [...] <sup>83</sup> თუ სიცრუეა, მომწერე, რომ შეგვეძლოს გაფანტვა ასეთი მისი საზიზღრობისა, მით უფრო, რომ ვერც საქმეში გამომდგარა და ახლა ათას ჭორებს უგონებენ... ან იქნება სამიშიც იყოს მასთან სხვების კავშირიც?

აბა, ძმაო შალვა, იყავი კარგად და საჩქაროდ მომანოდე პასუხი ყველაფერზედ. ჰაიდარს ისე ნურაფერს ეტყვი – ჩემზე გული აიყაროს, მგონი ისედაც ბევრ ჭორებს ეუბნებიან და რალაც ცივად მექცევა ხოლმე სხვებთან შედარებით. ალბად ვერ მიცნობს კარგად.

სალამი, შენი რეზო  
31.11.1939<sup>84</sup>

## 11.

### ძმაო შალვა!<sup>85</sup>

რამდენი ხანია გრძელი და დაწვრილებითი წერილი მოგწერე აქაურ მდგომარეობაზედ – პასუხად შენივე შეკითხვისა და გამოთქმულ სურვილისა, რომ აქ ხეირიანი რამე შექმნილიყო, მაგრამ შენ არც არაფერი მიპასუხე და, თუმცა ორმა ადამიანმაც მოგზაურა – არც არაფერი შემომითვალე.

ჩემი წერილი განგებ საგნებად იყო დაყოფილი, რომ გარკვეული პასუხები გვექონოდა, თუ როგორ გვეწარმოებინა მუშაობა და რა საშუალებით; დაახლოვებით ამავე შინაარსის წერილი გადავეცი ჩვენ „გასტროლიორსაც“, მაგრამ წინანდებურად მარტო ერთ თხარეს – საგარეოს – აქცევს, ეტყობა, ეგ ყურადღებას. ჩვენი მდგომარეობა კი თანდათან რთულდება მონინაალმდეგეთა ინტრიგებით და ჩვენი საკუთარი სისუსტით. პირადად მეც ვერა ვგრძნობ თავს ზურგგამაგრებულად ასეთი უცოდინარობისა და უსახსრობის გამო.

82 cercle – წრე, კლუბი (ფრანგ.).

83 ხელნაწერში ეს წინადადება გადაშლილია და არ იკითხება.

84 ვათარღლებთ წერილის შინაარსის მიხედვით.

85 სლმ. №26964-206-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.





ამიტომ, ძალიანა გთხოვ, გადაიკითხო გულდასმით ჩემი წინა წერილი და ყველაფერზე გადაჭრილი და გარკვეული პასუხი მომწერო, რადგან ალბად წარმოდგენაც არა გაქვს, თუ რა მძიმე მატერიალურ და მორალურ პირობებში გვიხდება (და ყველაზე მეტად მე) აქ მუშაობა და ყოფნა.

მე მესმის, რომ „**пеший конному не товарищ**“<sup>86</sup> მაგრამ თუ საერთო საქმე გაქვს, – უნდა გაენიოს ანგარიში შინაურ ფრონტსაც და ყველა სადარჯოზე მდგომ ჯარისკაცებსაც და არა მარტო „ლენერლებს“. მე რომ მცოდნოდა, რომ ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩავვარდებოდი სიბერის დროს, ვერ გავბედავდი ასეთი საპასუხისმგებლო საქმის ხელის მოკიდებას. „დროებით, დროებითაო“ და ეს „დრო“ იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ წელი აღარა მყოფნის, ჩემო შალვა, და ეს უნდა გაიგოთ. მინამ შენ აქ იყავი და მე კი „გარედ“ – მე უფრო მეტიც ვიცოდი და უფრო თამამადაც ვგრძნობდი თავსა და ეხლა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქო ბნელაში ვარ უფრო, მდგომარეობის ცოდნის მხრივ და უზურგოც. ლენერლები ყველანი შორიშორსა ხართ და ჯარისკაცებში – ნახევარი გიჟები არიან და მეძნელება ასეთ ბურანში ყოფნა. ერთის მხრით თითქო დიდი პასუხსაგები საქმეა და მეორეს მხრით – ჰაერში გამოკიდებულად ვტრიალებ. ესეთი არანონანსორობა (**неустойчивое равновесие**)<sup>87</sup> ჩემს არც რწმენასა და არც ხასიათს არ ეგუება და მუშაობის ენერგიასაც მიხანევრებს. მე შენ გულახდილად გწერდი ყველაფერს, არამარტო როგორც საქმეში ამხანაგს, არამედ როგორც პირად მეგობარსაც და შენ არცერთზე<sup>88</sup> არაფერი მიპასუხე. ასე დარჩენა და გაგრძელება ამის იქით მე უფრო გამიძნელდება; მეც ხომ აღარა ვარ ბავშვი ან გაათქვეცუბულ ენერგიით სავსე ახალგაზრდა. ხანში შევედი, მალე ვიღლები და ხანდახან დასვენება არც მე მანყენდა; მით უფრო, რომ ცოტა ნამლობაც მჭირია და არც ამის დრო და სახსარი მაქვს; არც საზოგადოებიდან განდგომას მოაქვს ჩვენი საქმისათვის სარგებლობა.

ჟურნალისათვის რომ „სალიტერატურო“ წერილს დავგპირდი, ის სადღა არის? და ახლა ცოტა აქაურ ამბებზე: ჩვენ მონინალმდევე ქართული ფრონტის შეკონინებას ახლა ყველაზე მეტად სცდილობენ სომხები (რომელთაც თქვენ, უანგარიშოდ, ხელი ჰკარით) დათოსი,<sup>89</sup> რომელიც თითონ ახლა პრაგაში ბრძანდება და ისინი – რომს. თვალყურის დევნებაა საჭირო, თორემ, ხომ იცი, ჟორდანიას მეთოდები: თვითონ არაფრის გამკეთებელია, მაგრამ სხვას უთუოდ „კვანტს უგდებს“<sup>90</sup> და, დასწყევლოს ღმერთმა, ამამი აღჩუდ უჯდება ხოლმე. სიფრთხილეს თავი არა სტკივა... და დაფნის ფოთლებზედ ამყად მოსვენება – მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

აბა, მამ ველი უსათუოდ თქვენ პასუხს. სალამი ყველას ყველასაგან.

შენი რეზო  
16.11.1939

P. S. გავიგე, რაღაც ცვლილებები მომხდარაო. არ ვიცი როგორი, მაგრამ ჩვენთვის უკეთესი და თუ შენ პირადათ არაფერი შეგიძლიან, ან შენზედ არა-

86 ქვეითი ცხენოსანს ამხანაგობას ვერ გაუწევს (რუს.).

87 არამდგრადი, უდგარი წონასწორობა (რუს.).

88 sic!

89 დათო – ?

90 sic!

ფერია დამოკიდებული, პირდაპირ მომწერე, ჩემთან რა მორიდება გინდა? თორემ, ვიცი, გიგოები კარგი და სწორი ამბების მიმტან-მომტანნი არ არიან, ჩემზე უკეთ იცი.

გავიგე ისიც, რომ ჟორდანია „დეკლარაცია“ ჩაგვიგდიათ ხელში და საჭიროა ან დასწეროთ რამე ამის გამო, ან ჩვენც გავაცნოთ, თუ რას იწერება ამ დეკლარაციაში... ჩვენი პოზიციის სასარგებლოდ.

## 12.

### ძმაო შალვა!<sup>91</sup>

მიკვირს, ღმერთმანი, შენი ასეთი სიჩუმე, რომ ჩემ წერილებზედ არაფერს მიპასუხებ. თუ რამე მიზეზი არის სერიოზული ამისათვის, ეს მაინც გამაგებინე, რადგან წინა წერილების საერთო მოსაზრებებმა – დღეს უკვე კონკრეტული უსიამოვნების სახეც მიიღეს და რთულდებიან უფროც. მარტო ჩამოთვლიდანაც მიხვდები, რომ ჩვენი ბრძოლა სათანადოთ არ არის მოწყობილი წესიერად.

პირველი ის არის, რომ ემუხვარმა აქ უცნაური რამეები ილაპარაკა და ყოვლად დაუშვებელი რამ დასწერა კიდეც რუსული კავკასიისათვის და ჩვენ ჩაურევლად, – წარმოუდგენელი სკანდალი უნდა ატეხილიყო ქართულ საზოგადოებაში, რადგან ეს კაცი მოურიდებლად ლანძღავს და შეურაცხყოფს ქართულ ისტორიას, ჩვენ თავმოყვარეობას და ყველაფერს ქართულს. არ ვიცი, თუ ეს დასაშვებად მიგაჩნიათ. ვითომ მ. წერეთელს უპასუხებს და მასთან ერთად ლანძღავს და ბოზად გამოჰყავს მთელი საქართველო, მისი მეფეების პოლიტიკა (ვახტანგ VI, ერეკლე II და სხ.) და ყველა და ყველაფერი.

მაგრამ ეს კიდე არაფერი: ერთი გიჟის ამბავი მეგონა და ძალიან თავანანად გამოველაპარაკე ამაზედ ოლენინს<sup>92</sup> და ვსთხოვე შესწორება უკვე ან-ყობილი კორექტურის ფურცლებისა. კრიტიკისაც კი არა, მარტო სალანძღავი ადგილებისა და მან მთელი სკანდალი ამიტეხა, რომ ვერევით სხვის საქმეში და სხ. და სხ. დაწერილებით გადმოცემა ყველაფრისა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ რამდენიმე დამახასიათებელი რამაც საკმარისია.

შენ უნდა იცოდე, რომ მე დიდი თავშეკავება დამჭირდა, რომ არც ერთხელ ხმაც არ ამომალღებია, არა მარტო უარესი „ჩემეური“ რამ არ მიკადრებია ამ მოხუცებულისათვის.

მან გამომიცხადა: „ჩემი ხაზეინი ბამატია და მე არავის ნებას არ მივცემ – ჩაერიოს ჩემ საქმეში; ეს წერილი (ემუხვარისა) მან წაიკითხა და საგანგებოდ დამავალა, ყველაფერი უცვლელად დავბეჭდოთ“.

ჩემს თხოვნაზედ – მამ ნება მიბოძეთ, მივმართო ბამატს, რომელიც ასეთ საკითხებში მეტ დელიკატობას იჩენს-მეთქი, – დაიწყო ყვირილი: „ვერსად ვერ იპოვი, ის მარსზედ არისო... და მე ჟურნალს არ გამოუშვებ“ და სხ. და სხ. და...

91 სლმ. №26964-209-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

92 ოლენინი – ვლადიმერ ოპოჩინინის ფსევდონიმი.

„საერთოდ, ჩვენ არაფერში გვჭირდებიან ქართველები, мы обойдемся без Вась... На Кавказе всегда господствовали и была гегемония Мусульман, это такъ было и будет и никто не смеетъ мешать Г. Б. вести дело, какъ онъ хочетъ, а если Вамъ не нравится – можете уходить...“<sup>93</sup>

როცა ასე დააყენა საკითხი (ჯერ ლაპარაკობდა ტეხნიკურად მოუხერხებლობაზე) და უარესებიც რომა, მე ავდექი: „მაშ, ტექნიკაში კი არა ყოფილმეთქი საქმე და მაშინ მე სხვა გზები უნდა მოვნახო-მეთქი ჩემი მდგომარეობის გამოსარკვევად, რადგან მე ვემსახურები საერთო საქმეს და არა ვინმეს ხაზინობას...“ ამაზე ჯერ უფრო აყვირდა; – არ ვიცი, რა მოეჩვენა, რადგან მე ბოლომდე სულ დამშვიდებული ველაპარაკებოდი, რომ ამ კერძო შემთხვევით კონფლიქტი არ შეიქმნა, – აყვირდა: „**всякій будетъ вмешиваться въ Наши (?) дела**“<sup>94</sup> და სხ. და სხ. და მერე უცებ დაუნია ხმა, დაიწყო ბოდიშების მოხდა, ვნერვიულობ, ავათა ვარო, მე... არაფერი შემიძლიან... გარდა იმისა, რომ ემუხვარის ნერილი გამოვტოვო (7 გვერდია) და ჟურნალი უფრო მცირე გამოუშვაო. შემდეგისათვის კი საქართველოზე რაც იქნება, თქვენ გადმოგცემთ და უკვე გასწორებული ხელნაწერები მომეცით ხოლმეო“. ამაზედ შევთანხმდით, ერთმანეთთან ბოდიშები მოვიხადეთ შენუხებისათვის და თითქო ამოიწურა ყველაფერი, მაგრამ მაინც მითხრა, რომ ბამატს მისწერს, რომ – მე მოვსთხოვე და ჩემი ბრალია რუსული ჟურნალს შემოკლება. რას მისწერდა და როგორ, არ ვიცი, მაგრამ მე არც ჟურნალის შეჩერება და არც შემოკლება არ მომიტხოვნიან, არამედ მხოლოდ შესწორება, რისაც საბუთი (ჩემი შესწორებული კორექტურა და თხოვნა – რომ „მე თითონ ნავალ ტიპოგრაფიაში და ტექნიკურ პასუხისმგებლობას ვიღებ ჩემ თავზე“) – მე მაქვს.

როცა წამოვედი, მისმა ნალაპარაკებმა ძალიან ჩამაფიქრა და დამარწმუნა, რომ თუ მას, მაშასადამე, კავკაზის საქმე ასე აქვს წარმოდგენილი, როგორც ზემოდ გადმოგეცი და კავკაზის თანამშრომელი ქართველებიც ასე ფიქრობენ – მაშინ მართალია ქართველი საზოგადოებაც, რომელიც ათას უმსგავსოებას გვაბრალებს და ლალატსაც. ნავედი ლენერალთან<sup>95</sup> და, ჩემდა საბედნიეროდ, ამიხსნა, რომ არაფერი ამის მსგავსი განწყობილება „კავკაზ“-იელთა შორის არ არსებობს. „ცვლილებანიც“ რომ გავიგე, – ვიფიქრე მხოლოდ, რომ არსებობს მხოლოდ „ტენდენციები“ სხვადასხვა.

ასეთ მდგომარეობაშიც ძნელია მუშაობა, როცა გარშემო მტრული განწყობილების მეტს არასა ვხედავთ და ღრუბლები შავად გროვდება. ერთ ამბავზედ უკვე მოგწერე და შენ პირში წყალი დაგიგუბებია, არ მესმის, რადა? რომ სომხები მეტად აქტიურად ამუშავდნენ ჩვენს წინააღმდეგ და ამამუშავეს ქართველობაც და სხვებიც. ათასი „წერიმალეები“ ყველა სად ჩამოგივთვალო, და ახლა ჩვენ ახალ თანამშრომლებსაც (სომხებს) ეტაკნენ ძლიერად და არა მარტო პრესაში. ჟორდანია, კედია, ნოზაძე და სხ. და სხ. მტრულ მოქმედებაშიც იმატა ათასი სახით გარედან და შიგნით კი მეტად მოუწყობელნი ვართ

93 ჩვენ უთქვენოდაც გავძლებთ... კავკასიაში ყოველთვის მუსულმანების ჰეგემონია იყო გამეფებული, ასე იყო და ასეც იქნება და არავის აქვს უფლება ხელი შეუშალოს ჰ. ბ.-ს (ჰაიდარ ბამატი) ისე იმოქმედოს, როგორც მას სურს, ხოლო თუ არ მოგონთ – შეგიძლიათ მიბრძანდეთ (რუს.).

94 ნებისმიერი რომ ჩვენს (?) საქმეში უნდა ჩაერიოს (რუს.).

95 იგულისხმება გენერალი გიორგი კვინიტაძე.

ორგანიზაციულად და ვერაფერ ზომებს ვერ ვიღებთ – მოსაგერიებელს მაინც. ამაზე დაწვრილებითა გწერდი წინა წერილებში და შენ ხმას არ იღებ. არც ვიცი, ვის გაუზიარო ხოლმე ეს ამბები, არამცთუ შეთანხმებულად ვისთან-მე ვიმუშაო, რადგან ლენერლები სულ შორიშორსა ხართ, „წვრიმალეებში“ არ ერევით რალაცნაირად და საქმე როცა გაფუჭდება – გვიანლა იქნება თითზე კბენანი და ბრალდებულის ძებნანი. ასე გაფანტულად, მეთოდური მუშაობა შეუძლებელია და რაიმე ზომები **კავშირისათვის** უნდა იყოს მიღებული. მტრებს არა სძინავთ, გაშმაგებით ყველა გზებზე აწარმოებენ თავდასხმას და ჩვენ ერთმანეთისაღ არა ვიცი რა. ასე არ შეიძლება და გაფრთხილებთ, რომ საქმეს ნავაგებთ, თუნდ ისე, როგორც შენც ამბობდი: ქართული ფრთა დაგვეწვრევა. ამბობენ, რომ თქვენ მანდ ძალიან მაგრადა ხართ – ღმერთმა ბრძანოს – მაგრამ აქ ვერაფერ სიმაგრეს ვერა ვხედავთ, რადგან ზურგს არა ვგრძნობთ არც ვინრო ჩვენს საკუთარ ფარგლებში, არც ქართულ-კავკასიურ ფრთაში, და არც საგარეო მდგომარეობაში. არ ვიცი, ეს სიზარმაცის ბრალია, ტენიკის (უცნაურის) თუ საერთოდ ქართული ფრთის უხეირობისა? ჩვენ არაფერი არ ვიცი, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე პასუხისგებას ვკისრულობთ, პირში ვართ მიცემული ათას საფრთხეს და უბრალო მინერ-მონერაც კი სასურველი არა ყოფილა თურმე, როგორც გადმოგვცეს და მამ ღვთისანაბარად როგორ ვიყვნეთ მიტოვებულნი?

ყოველდღე რალაც-რალაც საკითხებია, მდგომარეობა რთულდება და ყურს არავინ იბერტყავთ, რაშია საქმე? ცარიელა ოცნებით და სურვილებით ჩვენ ფონს ვერ გავალთ და, მეშინია, უარეს მდგომარეობაში ჩავცვივდებით ნაციონალისტები, ვიდრე წინად ვიყავით საქართველოში, რადგან არავითარი ზომები შედუღებისა ჩვენი კადრებისაღ არა სჩანს, არამცთუ ხალხისა. ამაში სხვები გვჯობნიდნენ და კიდევაც გვაჯობებენ, გამოდის, რომ ჩვენც ვკმაყოფილებით დღევანდელი კვერცხით და ხვალინდელ ქათამს პოლიტიკაში – სხვას უთმობთ ისევ. ესაა შეგნებული პატრიოტიზმი?

ჩვენ აქ გააფრთხილებთ ვიცავთ ლენერლების პრესტიჟს, მდგომარეობას, შეცდომებსაღ და ფაქტიურად მინებებულნი ვართ ღვთისანაბარად, – ესაა მჭიდროდ შეთანხმებული მოქმედება ამ ვერაგულ დროსა და მტრულ გარემოში? ერთხელ მაინც მოხერხებულიყო ქრისტიანული შეხვედრა და ურთიერთობის გარკვეული წესის მიღება, თორემ ეს რასა ჰგავს? არავითარი რეგულიარული კონტაქტიც ვერ დაგვიმყარებია ვერც ერთ უფროსთან და ცარიელა ლიტერატურით მხოლოდ მტრებს ვიმრავლებთ და მოგერიების საშუალებას კი სათანადოს კი არა, სრულებით ყურადღებას არ ვაქცევთ. ესაა ბრძოლის უნარი და გამარჯვების სამზადისი? ასე შორს – ვერ ნავალთ, რადგან წინამას იქით – სიღრმე არა სჩანს. კიდევ ბევრი კონკრეტული ამბების მონერა შემეძლო, მაგრამ რისთვის, აღარ ვიცი, როცა შენ პასუხსაღ არ მამღვ ხოლმე და თუ ესლაღ არ მიპასუხებ, მეც ველარაფერს მოგწერ. ან დამისახელი მაინც ის ადამიანი, ვისაღ შენ ენდობი, რომ მასთან შეიძლებოდეს ასეთ საკითხებზე ან მოლაპარაკება, ან მინერ-მონერა, თორემ ასე შეუძლებელი ხდება მუშაობა. ჩინოვნიკებსაღ არ ექცვიან ასე, არამცთუ მეგობრებსა და ამხანაგებს. არ მესმის, რაშია საქმე.

ეს ყველაფერი უკვე დაწერილი მქონდა, როცა მოგვივიდა შენი წერილი, ისე რომ ჩასთვალე ზემოაღნიშნული „ისტორიულ“ ნაწილად და მაინც ყურადღება

მიაქციე მთავარ საკითხებს: ემუხვარი, ოლენინი, ჩემს მიმართ მუქარა: **МОЖЕТЕ УХОДИТЬ**;<sup>96</sup> სომხების ამუშავების, კონტრაქტის და სხ.

მაგრამ შენ წერილზედაც ზოგი რამ საპასუხოა. პირველი ისა, რომ ჩათვალე რომ ხუთი კაცი კი არა, ყველანი აქ – თქვენს უკანა ვდგევართ, როგორც კლდე, სოლიდარულად. მეორე – მისწერე ან ერთ ლენერალს, ან მეორეს – ცოტა მეტი ნდობა გამოიჩინონ ჩვენდამი და უფრო ხშირად მოგვცენ საშუალება შეხვედრისა, რომ ზურგსა ვგრძნობდეთ ადგილობრივ. საქმე ყოველდღიურია და ბრძოლაც და კონტაქტი კი მეტად ხამუშ-ხამუში. ჩვენ ავასრულეთ შენი ნათქვამი: მიწერ-მოწერა ჩემთან იქონიეთო (და შენ სწორედ მაშინ გაგვიჩუმდი) და ფამიფამად ეს აუცილებელია, რადგან ჩვენებში უამისობა ინვევს პესიმოზმს. შევასრულეთ მეორეც – გადავიცით ზურაბის წამოსვლის ამბავი და ესლა თითონ იცის ალბად, რადგან არც ჰო, არც არას არ ამბობს. მგონი უცდის ჰაიდარს. მერე, გვესმის, რომ შენი მანდ ყოფნა აუცილებელია, მაგრამ თუ კი ის ამდენს დადის, ნუ თუ შენ არ შეგიძლიან ერთხელ მაინც მოხვიდე თუნდ რამდენიმე დღით და ისევ დაბრუნდე?<sup>97</sup> ეგრე როგორ დაგიყენებიათ საქმე მისთვის პრივილეგიურად? მას სამი ბინა აქვს, მოგზაურობა და სახსარი და თქვენ მოძრაობის საშუალებაც არა? ჩემი არ იყოს, მაგრამ მე ახალი მოსული ვარ, ვთქვათ, თქვენ რა დაგემართათ? სწორედ შენი ჩამოსვლაა აუცილებელი, რადგან აქაურები თითქო არა გრძნობენ არც ორგანიზაციის საჭიროებას, არც სიმტკიცეს, არც კონტაქტისას და ესე – ძნელია. უბიუჯეტობაც გვამტკვერებს. რაც შეეხება ჰაიდართან (?) მისულ წარმომადგენლებს – ეს ჩვენ თითონ უამბეთ და ნუ თუ ასალებს ისე, ვითომ მასთან მისულან? ზურაბმა სთქვა, მას კარგად უპასუხნიაო: ჩვენ ქართულ სექციას მიმართეთო. ესლა, ჩემო შალვა, დაპირებული ხარ ლიტერატურულ წერილს და საერთოდაც ადრე გამოგზავნეთ ხოლმე. მომიკითხე ლადო და მასაც სთხოვე რამე დაგვიწეროს...<sup>98</sup> ზურაბი ხომ სულ აღარაფერს სწერს და იმასაც უთხარით. დანარჩენში იყავით კარგად, მაგრად და ფრთხილად, აქაც გეგულებოდეთ მხნედ კლდესავით. მაგრამ ძალა ერთობაშია და ნუ დაივიწყებთ. სალამი ყველასაგან.

შენი რეზო  
[1939 წლის 24 მარტამდე]<sup>99</sup>

96 შეგიძლიათ მიბრძანდეთ (რუს.).

97 ან მე მომიხერხეთ ჩამოსვლა რამდენიმე დღით მანდა. ან შეხვედრა სადმე; ან საერთოდ ვინმე უნდა იყოს მოძრაი ჩვენთაგანი და არა ის მარტო (რ. გ.).

98 რალაც მშვენიერი მოგონება ჰქონია ილია ჭავჭავაძეზე და ერთ პროფესორზედ, როგორც გადმომცეს (რ. გ.). 1937 წელს ბერლინში მცხოვრებმა ქართველებმა გადაიხადეს ილია ჭავჭავაძის 100 წლის იუბილე, სადაც მოგონებით ლადო ახმეტელიც გამოვიდა (ქართველები უცხოეთში 2012:). სავარუდოა, რომ რეზო გაბაშვილს სწორედ ეს მოგონება ჰქონდა მხედველობაში.

99 ვათარილებთ წერილის შინაარსის მიხედვით.

**ძმაო შალვა**,<sup>100</sup> ჩემ გრძელ წერილზედ, საცა მთელ რიგ მწვავე საკითხებზედ გელაპარაკები ხოლმე, შენ ან სულ არ მიპასუხებ, ან მოკლედ ძალიან და არა ყველაფერზედ.

მამინ, როდესაც ყველა შენს დანაბარებს აქა ვცდილობთ სასტიკად ანგარიში გაუნოთ, რომ სხვადასხვაობა არ გამოგვდიოდეს და შენ სწორედ გაგიმაგროთ ზურგი და იმედიც შენგანა გვექონდეს. გამოდის კი ცოტა სხვანაირად. მუდამ რალაცა **გაუგებრობასა** აქვს თითქო ადგილი ჩვენს ურთიერთობას... თუ უნდობლობას არა.

ამის მაგალითები მრავალია და მე მინდა გარკვევით ვიცოდე ყველაფერი, რომ ერთხელ მაინც დამომშინებულად ვიგრძნო თავი და შევძლო ხელფეხ-შეუკვრელად ვიმუშაო საერთო საქმეში, მთელის ენერგიით და არა უკან-უკან ყურებით მუდამ.

ხომ გახსოვს ჩემი მოსვლა კავკასიაში, როგორ მიძნელდებოდა **ბევრი** მოსახრებით და თუ მოვედი, უმთავრესად **ნდობით** შენზედ და შენ სიტყვაზედ, რომ ყველაფერი **წმინდაა**, გარკვეული და – შენი ახსნით – ჩემთვისაც **ნათელი** უნდა ყოფილიყო. მაგრამ თავიდანვე როგორღაც ამერია დავთრები:

ჯერ იყო და შენ ნახვედი **2-3 კვირით**, მე უნდა გამომეცა **ერთი ნომერი** და ფაქტიურად კი დამეკისრა ისეთი საქმე, რომელიც **ჩემს გარემოებაში** მეტად მძიმეა.

მეორეც, ამ პირობებშიაც ვერა ვხედავ თავისუფლების იმ მინიმუმს, რომელზედაც თითქო **გადაჭრილი** პასუხები მქონდა. ჰაიდარმა მითხრა: „**Вы будете сь нами, какь равный сь равными**“ – და, გარდა იმისა, რომ **არაფრის კურსში** არა ვარ ხოლმე, სრულიად უმნიშვნელო გარემოების გამო – **რეპრიმანდების**<sup>101</sup> მეტი არა მესმის რა.

აი, ეხლაც რომ მანდ „დიდი ამბავი“ ყოფილა მაგის მეთაურისა და ემუხვარის წერილის გამო – როგორც შენ იწერები – სრულიად უადგილოდ მიმაჩნია, რადგან სრულებით **ყალბ ინფორმაციაზედ** არის დამყარებული, მიუხედავად იმისა, რომ მე **დანვრილებით** მოგწერე ყველაფერი და, ეტყობა არც **შენ** დაგიჯერებია, რომა მწერ: „ბ-ის“<sup>102</sup> წერილი მეთაურად **არ გაუშვი** და რუსულ კავკაზის საქმეში **ჩარეულხარ** და ემუხვარის წერილი მოგიხსნია“-ო.

**არაფერი ამის მსგავსი არა ყოფილა რა** ჩემი მხრიდან: რაც შეეხება **მეთაურებს**, ამაზედ მე მქონდა პირადათ ბაასი ჰაიდართან და **დამეთანხმა**, რომ მიზანშეწონილობისათვის და არა კაპრიზისა თუ პრესტიჟისა ან ჯიუტობისათვის – **ხანდახან**, როცა საკითხი შეეხება **განსაკუთრებით ქართულ საქმეს** – 26 მაისობა, 24 წლის აჯანყება, 25 თებერვალს (თბილისის აღება) და სხ., შეიძლება მეთაურად ქართულ „კავკასიაში“ ეს ღირსშესანიშნი დატეხი<sup>103</sup> აღინიშნოს. მაშ, სადავიდარაბო არაფერი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ემუხვარის წერილს, სადაც მას მთელი საქართველო, მისი ისტორია და მეფენი – **ბოზედა** გამოჰ-

100 სლმ. №26964-210-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

101 réprimande – საყვედური (ფრანგ.).

102 იგულისხმება ჰაიდარ ბამატი.

103 даты – თარიღები (რუს.).

ყავს, ისე რომ დაბეჭდილიყო, აქ კი არა, საქართველოშიაც აღარ დაგვედგომი-  
ნებოდა და გამართლება **აფხაზური წარმომადგენლობით** ვერაფერს გვიშველი-  
და. ჩვენ გააფთრებით ვებრძვით ყველას, რომ სხვა კავკასიელთა **ეროვნული**  
**თავმოყვარეობა** არაფრით შელახული არ იყოს – და **ეს არის conditio sine qua**  
**non**<sup>104</sup> **მთლიანი კავკასიის** შექმნისა და რალა **ქართველ ერს** შეიძლება ყველამ  
აფურთხოს?! ამით მივიზიდავთ ქართველობას **კავკასიის** პოზიციებზედ? მაშინ  
ჩვენ გერები ვყოფილვართ და... მართალნი ისინი გამოვლენ, ჩვენი მტრები,  
რომელნიც ამბობენ: ბამატის (? – თუ ვისი, აღარ ვიცი) – იანგიჩარები<sup>105</sup> და  
ჩაფრები ვყოფილვართ. ეს მე არ მესმის.

ან **თანასწორები** ვართ და ერთნაირი პატივისცემით ვეპყრობით ყველა კავ-  
კასიელ ერს და მის თავმოყვარეობას – ან ჩვენ, ქართველობა, მეორე-ხარის-  
ხოვანი და მასხარად ასაგდები?!  
შენი წინანდელი წერილი „კავკასიაში“ ამის მაჩვენებელი არ უნდა იყოს,  
მგონია.

რაც შეეხება ჩემს **ჩარევას** და წერილის **მოხსნას** – ესეც სრულებით მარ-  
თალი არ არის. მე გწერდი და – **ჩვეულებრივ არა ვარ სიცრუეს**, – რომ მივედი  
ოპოჩინინთან ძალიან თავმდაბლად და ვსთხოვე შესწორება **შეურაცხემოვლ**  
**ადგილებსა** (შვიდგვერდიან წერილში – ათიოდე სტრიქონისა) და **იმან** ამიტე-  
ხა სკანდალი და მითხრა: „**ჟურნალს სულ არ გამოუშვებო**; წერილს **მოვხსნი**  
**სულა**“ და სხ. და სხ., მართლაც, **პირადი შეურაცხყოფაც** და ჩვენი, ქართუ-  
ლი სექციისაც (ამაზედაც გწერდი დაწვრილებით) და ბევრი მოვითმინე, რომ  
ყბაში არ გამედო ამ ისტერიული და უხამსი ადამიანისათვის და, რომ **საქმე**  
არ გამეფუჭებინა მხოლოდ, ბოლომდე **ხმაც არ ამიძალღებია** და მშვიდობიანად  
დაემორღით **შეთანხმებულნი**, – შენ კი მაინცა მწერ, რომ **მე** ჩავერიე **რუსულ**  
**„კავკაზის“** საქმეში და **მე** მოვახსნიე წერილი. წერილი მე არ მომიხსნიე ნებისა  
და არც მიფიქრია – ეს მან **თითონ** გააკეთა **დემონსტრაციულად** და ჟურნალიც  
შეამოკლა, რომ ჩემი **ბრალი** გაეზვიადებინა, **დაბეზღების დროს**. შენ როგორ  
დაიჯერე მათი სიცრუე?

მეორე მხრით, შენი რჩევა, ზურაბსა და ლენერალს დაავალეთ ხოლმე **ასეთი**  
საქმეებით – ესეც გავაკეთე სწორედ, როცა ოპოჩინინმა გამომიცხადა: „**Мы**  
**обойдемся и безъ грузинъ, если не нравиться, можете уходить**“<sup>106</sup> და სხ.“  
და ამაში მე დავინახე უკვე არა **ტენიკა** გამოცემისა, არამედ **პოლიტიკა – იმა-  
ვე** ხაზით, რომ ჩვენ, ქართველები, **მეორეხარისხოვანი** ხალხი ვყოფილვართ...  
გაერთიანებულ კავკასიაში. ლენერალმაც და ზურაბმაც **მოიწონეს** ჩემი შეტა-  
ნილი შესწორებანი, ჰაიდარსაც მისწერეს, ოპოჩინინსაც უთხრეს და ეხლა შენ  
მაინც მისაყვედურებ: **ნუ ერევითო, მოგიხსნიაო** და სხ.

ამ შემთხვევაში მე მინდა **მკაფიოდ ვიცოდე**, მამ **თქვენც** ყველანი **ჩემსავით**  
დამორჩილებულ მდგომარეობაში ყოფილხართ და არა **თანასწორენი**. მე **თქვენ**,  
ქართველებს, გენდეთ და **თქვენთანა** ვარ და არა ვილაც ოხერ ოპოჩინინებთან.

და ის ადგილი შენი უკანასკნელი წერილისა, რომ ქართული „კავკასია“ პა-  
სუხისმგებელი არ არის რუსული „კავკაზისა“, რომ ჩვენ შეგვიძლია პოლემიკა

104 აუცილებელი პირობა (ლათ.).

105 sic!

106 ჩვენ უქართველებოდაც გავძლებთ, თუ არ მოგწონთ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ (რუს.).



და კრიტიკა და სხ. მასთან – სრულებით გაუგონარ ამაღლ მიმართა, რომელიც შენ, ალბად, ჩემს დასაშოშმინებლად მოგიგონია.

ესეთი მდგომარეობა, ჯერ ერთი **შეუძლებელია უფრო მეტად**; თუ კი მეთაურის ამორჩევაზე „დიდი ამბავი“ ხდება (როცა ამაზედ **შეთანხმებული** ვიყავით ჰაიდართან) და **შეურაცხყოფელი** ქართველი ერისათვის ფრაზების ამოღების **ნებაც** არა გექონია – რის **პოლემიკა და კრიტიკა** შესაძლებელი?

ეს სრული **დარღვევა** იქნებოდა **მთელი საქმისა**, მიზანშეწონილი და **ჩვენს მტრულ გარემოში** – სასაცილოდ ასაგდები ჩვენთვის. შინაურულად კიდევ შეიძლება **СГЛАЖИВАТЬ УГЛЫ**<sup>107</sup> და საჯარო კრიტიკა სულ ერთმანეთის ხორცს დაგვაჭმეინებდა და არა **საერთო საქმეს** მოეხმარებოდა.

ნინა წერილში შენა გწერდი, რომ „კრიზისი“ – ჩვენს სასარგებლოდ უნდა დამთავრებულიყო და, ეტყობა, ჩვენს საზიანოდ დამთავრებულა, თუ ასეთ უცნაურ რჩევებსა გვენერ და ამის სიმპტომები სხვაც არის თითქო. ზურაბი არ მოდის (?), ორივენი (ზ. და გ.)<sup>108</sup> ცოტა როგორღაც ტონ-დაშვებულნი არიან და, რაც უმთავრესია, გუშინ ზურაბმა წინადადება მომცა, რომელიც შენთვისაც მოუწერია: ან მე წამოვიდე მანდეთ, რაკი შენ ვერ მოდიხარ (?), ან „კავკასიის“ რედაქცია – ბექტვა იყოს გადმოტანილი მანდა. უფრო ეს უკანასკნელი. მაშა-სადამე, ან ჩემით უკმაყოფილება არსებობს – და არავინ მეუბნებით – ან სხვა რამ უცნობი ჩემთვის (და იქნება თქვენთვისაც) – მიზეზი. ყოველშემთხვევაში, მე **არაფერი საინაღმდეგო არა მაქვს** რედაქცია-ბექტვის მანდ გადმოტანისა, მაგრამ არ მინდა – **სათამაშო გავხდე** უცნობ გარემოებათა. ბავშვი აღარ, ვარ ხომა და პირდაპირი თქმა ყველა გარემოებისა და მიზეზისა **ბევრად მირჩევნია**. ან თუ ასე იქნება, ჩემი პირადი როლი და მდგომარეობა როგორი დარჩება? იქნება ეს ცვლილება უკეთესიც იყოს, რადგან მაშინ მე მეტი დრო მექნება მოუარო **სომხურ** სექტორს, რომლის შემოერთება ჩვენ მიზანშეწონილად დავაჩქარეთ და მოისუსტებს კია. გამაგრება კი სჭირდება.

შენს მაგიერ, ახლა მე ამომიღეს მიზანში ჩვენმა მენშევიკებმა და „ნაციონალისტებმა“ და საზიზლარ კამპანიას აწარმოებენ. ჩვენ აქ ვიჭაჭებით თქვენთვის და ბამატისათვის და თქვენ მხრივ კი ვერა ვხედავთ, ნამეტნავად ჰაიდარის მხრით – ცოტაოდენ მეტ ზრუნვას ჩვენს ისედაც აუტანელ მდგომარეობაზედ – ახალი სადემოკრატიო მასალის მიცემით ჩვენი მტრებისათვის – ემუხვარის წერილით, მაგ., და სხ.

საერთოდ, მე მიკვირს, რომ ამდენ ხანს ვერ დამყარდა და ვერ ჩამოყალიბდა ნამდვილი და მჭიდრო სოლიდარობა იმათი, ვინც უკვე ვართ ამ საერთო (?) კავკასიურ საქმეში. თითქო მტრულ ბანაკში მცხოვრებნი კი არ ვიყოთ და ამით მაინც ერთმანეთის ზურგის მიმცემი, არამედ კუნძულზედ სადმე, საცა უდარდელი ცხოვრება გვექონდეს ცალცალკე. ყველა თავისთვის ცალცალკეა როგორღაც და ასე ჩვენი თხა – დათვს ვერ დაიჭრს. საგარეო მოვლენები ჩქარა ვითარდება, ჩვენი მტრები ირაზმებიან და ამ დროს ჩვენ შიგნით რაღაცა წვრიმალეებზედ დავიდარაბები გვიხდება, იმის მაგიერ, რომ რკინასავით შეკრულნი ვიყოთ სოლიდარობით და ურთიერთის ზურგის გამაგრებით. ზურაბი ძალიან **მალლა** ყოველდღიური მუშაობისაგან, გიორგი – **განზე**, შენ

<sup>107</sup> შერბილება (რუს.).

<sup>108</sup> იგულისხმება ზურაბ ავალიშვილი და გიორგი კვინიტაძე.

სულ შორსა ხარ და ჩვენა ვართ მიცემულნი პირში უსინდისო და უსირცხვო ბრბოსათვის, მოგერიების ყოველგვარ საშუალებას მოკლებულნი და რაშია სოლიდარობა, აღარ მესმის. ასე თავს ვერ გავიტანთ აქაც კი, არამცთუ მომავალში. ან იქნება **მომავლის** პერსპექტივები არც გვაინტერესებს (?) და ვფიქრობთ ანალოგიურად პრომეთეელებთან:<sup>109</sup> „ქიუში, პაკა დაიუტ“?<sup>110</sup>

ჩემო შალვა, შენ მოგვთხოვე, მინერ-მონერა მარტო შენთან ვიქონიოთ. ეს შევასრულეთ და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შენი პოზიციების გასამაგრებლად, მაგრამ სამაგიეროს ვერა ვხედავთ, რომ შენც ჩვენი გაამაგრო რითიმე, პირიქით, ახალი შენი ინსტრუქცია ფსიქოლოგიურადაც და მდგომარეობითაც უფრო გვაუსუსტებს. მე ვითხოვდი, მაგ., უკანასკნელ წერილში მეტ **წლობას** მაინც და... ზურაბის მოულოდნელი წინადადება, თითქო არსებულსაც ამციროდა. შენ ხომ ისე გიჭირს პასუხების მოცემა, არამცთუ შენით მოწონა, თითქო „როგორც თვალი შორს, ისე გული შორსაო“ – ჩვენზე ყოფილიყოს გამოჭრილი.

ნუთუ ისეა მართლაც საქმე, როგორც მე მუდამ მეშინოდა და შენ მარწმუნებდი, არაო: რომ ერთ ადამიანსა აქვს უზურპაციით ხელში ჩაგდებული მთელი უფლებანი და სახსარი და ჩვენი სექტორი ამიტომაც ასეთ... „ღარიბი ნათესავის“ მდგომარეობაში?

იცოდე, შალვა, მე ამას ყველაფერს მეგობრულადა გწერ და არც აჯანყებასა და არც რევოლუციას ვაპირობ – ამის თავიც აღარ მაქვს – მაგრამ მდგომარეობა ძალიან გამწვავებულია და ჩვენგან **სრული იმედით** იყავი, ოღონდ თქვენც იფიქ-

109 ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა პირველი პოსტულატები მთელს ევროპაში ცნობილი პოლიტიკური მიმდინარეობისა, რომელიც „პრომეთეიზმის“ სახელით იყო ცნობილი. მის სათავეებთან იდგა იუზეფ პილსუდსკი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ მოძღვრების განვითარებაში. „პრომეთეიზმი“ გულისხმობდა მჭიდრო თანამშრომლობას არარუს ერებთან. პროირიტეტი ენიჭებოდა კავკასიის ხალხებს. შემთხვევითი არ არის ამ მოძრაობის სახელწოდება „პრომეთეიზმი“. მოგვიანებით, 1926 წელს, პარიზში დაარსდა პოლიტიკური ორგანიზაცია – ლიგა „პრომეთე“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პოლონელები, უკრაინელები, ფინელები, ქართველები, აზერბაიჯანელები, დონის კაზაკები (რომლებიც რუსებისადმი მკვეთრად დაპირისპირებულნი იყვნენ), ჩრდილოეთკავკასიელები (ძირითადად ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები და ჩერქეზები), თურქესტანელები, ყირიმელი თათრები, ყუბანელები. აგრეთვე, ინგილის, კარელიის, კომის, ურალის ნარმომადგენლები. შექმნისთანავე „პრომეთე“-ს ლიგა შეუდგა საკუთარი პოლიტიკური კლუბებისა და განყოფილებების შექმნას. პრომეთეს ასეთი კლუბები (ორგანიზაციები) შექმნეს უკრაინელებმა, ფინელებმა, ქართველებმა, აზერბაიჯანელებმა, ჩრდილოეთკავკასიელებმა. სათაო ორგანიზაცია, რომელიც კურირებას უწევდა ყველა კლუბის (განყოფილების) საქმიანობას, მდებარეობდა ვარშავაში. საგულისხმოა ის გარემოება, რომ, გარდა პოლიტიკურისა, „პრომეთე“ ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და კულტურულ მოღვაწეობას. მისი ეგიდით ვილნიუსში ფუნქციონირებდა აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი ინსტიტუტი, ვარშავაში კი ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა აღმოსავლეთის შემსწავლელი ინსტიტუტი, რომელთან არსებობდა აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა. ვილნიუსის ინსტიტუტთან ფუნქციონირებდა პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა. 1928 წლიდან უწევდაში მოქმედებდა ორგანიზაციის ეგიდით დაფუძნებული საინფორმაციო სააგენტო „Ofinor“. 1930 წელს ვარშავაში დაფუძნდა „პრომეთე“-ს ყოველკვარტალური ჟურნალი „Wschod-Orient“. 1926 წელს დაიწყო გამოცემა ორგანიზაციის ფრანგულენოვანმა ჟურნალმა „La Promethee“. მისი რედაქტორი გახლდათ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა (ურუშაძე 2010).

110 ჭამე ვიდრე გაძლევინ (რუს).

რეთ ჩვენს მდგომარეობაზედ ცოტა მეტად და ყურთბალიშზედ ნუ დაგვიძინებთ. ეხლა სწორედ დრო იყო, დაგვეჩოქებინა ჩვენი მტერი და ჩვენ კი, ხელის შეწყობის მაგიერ, ერთმანეთისათვის სოლიდარობით – რალაცა „წვრიმალებზედ“ გვიხდება უთანხმოებანი და დროის დაკარგვა.

აბა, იყავი კარგად და მალე მიპასუხე ყველაფერზედ, ყურს ნუ მოიყრუებ და მერე, დრო რომ გადის, თითქო გავინყდება ხოლმე თუ რასა ვჩივი შენთან სულ მუდამ.

შენი რეზო  
24.III.1939 წ.

## 14.

### ძმად შალვა,<sup>111</sup>

„დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო და შენამც ჩაგვარდნია სიყვარული ცხრა მთას იქით რომ მზეთუნახავი არისო“, ზღაპარში რომ არის ნათქვამი, ჩემი და შენი საქმე ასეა დღესა. დაგემდურო, რა დაგემდურო და ვერაფერ მდგომარეობაში კი ჩამაგდე, შე დალოცვილო. ეს ამოდენა ხალხი მტრად გადაამკიდე, შენ თითონ თავი გაარიდე და გამამხნევებელი სიტყვის მონერაც გეძნელება თითქო, ისე ჩაიგუბებ ხოლმე წყალსა და პასუხსაც არა მწერ ხოლმე ჩემ წერილებზედ, ან იმ კითხვებზედაც მაინც, რომელზედაც შეგიძლიან. ნუ, რაც არის, არის, ეტყობა, შენ არაფერი გაგასწორებს ამაში.

ეხლა მდგომარეობა შეიცვალა და ამაზედ მინდა მოგწერო. სოსომ უკვე გადმოგიგზავნა ყველა აქ დაგროვილი მასალა და არ ვიცი, რა დროისათვის შესძლებთ გამოცემას. ყოველ შემთხვევაში, – მე არ ვიცი, როგორ იქნება პირადად ჩემი მდგომარეობა – იგულისხმე და იანგარიშე, რომ აქედან მუდამ მოგანოდებთ ინფორმაციას და საგაზეთო წერილებსაც იმ ზომით, რა ზომითაც (ან თუ გინდათ **თემითაც**), რასაც შემოგვიკვეთავთ ხოლმე. მაცნობე მარტო, რა რიცხვისათვის იქნება ხოლმე საჭირო.

მანდაურ ამბავსაც აღარასა გკითხავ, რადგან, სულერთია, არაფერს მოიწერები. აქაური ალბად, ყველა იცი, რაკი არაფერსა მკითხავ და დამრჩენია მხოლოდ ერთილა: შენა მწერდი, რომ ჩემი **წიგნები** დაუტოვე შენს პატრონს და რომ მივედი, მითხრეს: ვილაც ქალი (?) მოვიდა და რაც მას დატოვებული ჰქონდა, ყველაფერი იმ ქალმა წაიღოო. ძალიანა გთხოვ, მომწერო: **რა წიგნები იყო** (რადგან მე ბევრი მაკლია და ველარ მიპოვნია, სახელდობრ **ჩუბინაშვილი** – „საქართველოს ხელოვნების ისტორიაც“) და ვინ ქალს უნდა წაეღო და ახლა როგორღა მივაგნო ან იმ ქალს, ან იმ წიგნებს?

რაც შეეხება ჩემ პირად მდგომარეობას, არ ვიცი, „დავრჩები ქუჩაში“, ამ მტრულ ბანაკში მენშევიკებისა და მათი ფრონტისა, თუ როგორ იქნება ჩემი საქმე? მე წასვლა არსად არ მინდა და გასაკეთებელი და საბრძოლველი აქაც ბევრი დარჩება, მაგრამ რა საშუალებით, ესეც არ ვიცი; თუ დამჭირდა ისეც

111 სლმ. №26964-218-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

შავ სამუშაოზე დადასვლა, რაც ძალიან გამიძინებდა ამ სიბერესა და ავად-  
მყოფობაში. ერთი სიტყვით, სათამაშო გავხდი სხვის ხელში და ეს მანუხებს  
ახლა. მაინც გიგზავნი მეგობრულ სალამს და გისურვებ დღეგრძელობას.

მომიკითხე მანდაური მეგობრებიც. იყავი კარგად. სალამი ღიზასაგან.

შენი რეზო  
[1939 წლის 22 მაისამდე]<sup>112</sup>

P. S. გიგზავნი ჰაიდარის მონინავეს. მინდოდა გადამეთარგმნა, მაგრამ ჩემ  
ნიშნებზე შეატყობ, რომ შესასწორებელი მგონია და ისევ თქვენ გაასწორეთ, თუ  
დაინახავთ საჭიროდ. ოღონდ გამოცემა დააჩქარეთ, რომ აქაურ ჭორებს არ მის-  
ცეთ საბუთი.

რ. გ.

## 15.

**ძმაო შალვა,**<sup>113</sup> პირდაპირ არ მესმის, რაზე ხარ ეგრე გაჩუმებული და უბრალო  
კითხვებზედაც არ იძლევი პასუხს. ამიხსენი მაინც, რაშია საქმე? იქნება უკმაყო-  
ფილო ხარ რითიმე? შეიძლება ეხლა ის მოიმიზეზო, რომ ჟურნალის გამო ბევრი  
მუშაობა და წერა დაგჭირდა, მაგრამ არც წინად გვანებიერებდი შენი წერილებით  
ან პასუხებით და მაინც, თუმცა შენ თითონ შემოგვითვალე: მარტო ჩემთან იქო-  
ნიეთ მიწერ-მოწერაო.

არც წიგნების შესახებ მომწერე პასუხი და ნუ თუ სულ დაკარგულად უნდა  
ჩავთვალო?

რაც შეეხება ჟურნალს, არც ამაზედ იწერები რასმე ან როდის გამოვა, ან გა-  
მოვა კი და როგორ? ჩემი წერილი გრძელია და თუ სხვა მასალები გაქვს, შეგიძ-  
ლიან გაყო, მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს, თუ შეგიძლიან შემისრულო. რაც გამოვ-  
გზავნე, ერთი იმდენი კიდევა მაქვს დანერვილი უკვე და კიდევაც მოემატება –  
ყველაფერს გამოგიგზავნი და მინდა ცალკე **ბროშიურასავითაც** გამოვიდეს, თუ  
ჟურნალში დაიბეჭდება. ამიტომ, ძალიანა გთხოვ, **ტენნიკურად** ასე მოახერხოთ:  
რამდენიც დაეტიოს ხოლმე, გაუშვით ჟურნალის ბოლოს, გინდ ნახევარ სიტყვაზე-  
დაც სწყდებოდეს ხოლმე ნაწილი (როგორც ჩვენში იცოდნენ ხოლმე ასეთი მასალის  
ბეჭდვა ჟურნალის ტენნიკურად შესავსებად) და აწყობილი შრიფტი გადაადებინე  
ხოლმე, რომ **მეორედ აწყობა** აღარ დასჭირდეს და როცა დასრულდება, დაბეჭდეთ  
ცალკე ბროშიურად; დაახლოებით ე. წ. ორი ფორმა გამოვა, ჩემის აზრით, ე. ი.  
32 ბეჭდვითი გვერდი. აქ რომ დანერვილი მაქვს, ან ეგეც, რასაკვირველია, შეგიძ-  
ლიან შეასწორო (მეტარდე თუ **ისტორიულ** ნაწილში რაიმე „გაფი“ შემეპარა), გინდ  
შეამოკლო კიდევც. კორექტურას ნაბეჭდით გავასწორებ მე და ბოლოს... თითქმის  
არაფერი დაჯდება ამის ცალკე გამოცემა, თუ აწყობილ შრიფტს შეინახავთ. ყოველ

112 ვათარილებთ წერილის შინაარსის მიხედვით.

113 სლმ. №26964-217-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

შემთხვევაში, ამ ზედმეტ ხარჯს მე თითონ ვიკისრებ. თუ თანახმა იქნები, ამაზედ მაინც მომწერე და უპასუხოვ ნუ დამტოვებ და სხვა მასალებიც თუ რამ გჭირდებაოდეთ ხოლმე – შემოგვითვალეთ.

ამის გარდა, თუ ჟურნალი გამოვა, აქ ვისაც ეგზავნებოდა, ყველას უნდა გაეგზავნოს, თორემ რუსული ნომერი თითქმის არავის მოსვლია, რაშია საქმე? მეც მარტო ერთი ცალი მომივიდა და ქართული ხომ უსათუოდ **რამდენიმე ცალი** დამჭრდება ხოლმე და ექსპედიციის საქმეც კარგად უნდა მოაწყოთ.

თუ სხვა რამე ამბებსაც, მოიღებ მოწყალებას, და გაგვიზიარებ, ხომ კარგი და ზემოაღნიშნულზე მაინც მიპასუხე, რომ ტყუილად არა ვგზავნო და ტყუილად არა ვწერო, იქნება არაფერი არც გინდა ან არა გჭირდება, შე კაიკაცო.

აქ ჩვენ „პარტიებს“, რაც თითო კაცი თუ შერჩათ – არაფერი გამოუვიდათ „საერთო ფრონტის“ და გაერთიანების საქმეში. ყველაფერი ძველებურად დარჩა ჯერჯერობით და ცალ-ცალკე არიან გააფთრებული ჩვენზე და, საუბედუროდ, ჩვენ არა გვაქვს არავითარი საშუალება, რომ სწორედ ესხლა საბოლოოდ დაურღვიოთ საძირკვლები, რადგან თქვენი არა გვესმის რა არავისი და აქაური მეთაურებიც როგორღაც ინერტულად ექცევიან ყველაფერს. რაშია საქმე, არ ვიცით. ფრონტელებმა ახლა სხვა საშუალებას მიმართეს, რაკი პოლიტიკა უხუნდებათ: გადავიდნენ „კულტურულ“ მუშაობაზედ, აწყობენ მოხსენებებს, კონცერტებს, გასართობებს და კვლავინდებურად ხალხს ითრვენ და აბრმავებენ თავიანთ დამხმარე ხაზინებს – რომ მთელი ემიგრაცია და საზოგადოებრივი აზრი მათთან არის. თავიანთ მიზანს აღწევენ ამით და ჩვენ კი ძველებურად იზოლიაციაში გვამყოფებენ, რადგან ჩვენ ვერაფერს ვაკეთებთ და კვლავინდებურად როგორღაც ცალცალკე ვსხედვართ. რასაკვირველია, ამითა გვეჯობნიან და ხელსაყრელ მომენტებს ხელიდან უშვებთ. არ მესმის, რასა ფიქრობთ, დაიძინეთ ყველამ ყურთბალიშებზედ და მოგწყინდათ ბრძოლა, თუ რაშია საქმე? აქ ჭორების მეტი არა მოგვდის რა და კურსშიც კი არ გვაყენებთ ხოლმე, რომ პირი აუკრათ მეჭორეებს – ეს არის მუდმივი კონტაქტი და მეთოდიური მუშაობა? მახლობლებსაც გულს გვიტეხათ, არამცთუ შორეულებს ან თანამგრძნობებს არ გვმატებთ და მომავალიც სასაპარეზოდ თითქო სხვებს უნდა დაურჩეთ ისევ. რაღაც უცნაურია ეს ყველაფერი. შე დალოცვილო, ათასში ერთხელ როგორ ვერაფერს მოინერები, რომ ჩვენც ვიცოდეთ, ცოცხლები ხართ, სუნთქავთ, თუ მიმკვდარებისა და მიძინებისაკენ მიდის ჩვენი საქმე? მე პირადათ, შენს მეტი არავინა მყავს მეგობარი, რომ სხვას მაინც შევეკითხო ხოლმე „საქმეზედ“, ან პატარა საკითხებზედ და შენ კი წყალი ისე დაგიგუბებია პირში, თითქო უმძრახად ვყოფილიყავით... არ მესმის არაფერი.

აბა, გისურვებ კარგა ყოფნას და ველი პასუხს...

შენი რეზო  
მოკითხვა ლიზასაგანაც  
22.V.1939

**ძვირფასო ძმაო შალვა,**<sup>114</sup> შენმა წერილმა მართლა გამახარა და დამამოშმინა კიდევც... თუმცა მაინცა და მაინც დამამოშმინებელი ან არაფერია ამ ქვეყნად, ან ჩემი ხასიათითა ასეთი პესსიმისტური<sup>115</sup> და გაუძლებელი? აქაური მდგომარეობა და განწყობილება არ უწყობს ხელს კარგ გუნებაზედ დადგომას და როცა შენგანაც არა გვესმის რა, თითქო სულ მოწყვეტილი ვარ ხოლმე ქვეყნიერებას – ისეთ ძაღლის გუნებაზედა ვარ. მართალია, პოლიტიკურად, ჩვენ მონინაალმდეგეთა ბანაკი აშლილია, „კომბინაციებიდან“ არაფერი სახიერო არა გამოუვიდათ რა. პირიქით, ხმები მოგვდის თუ რა ძაღლის გუნებაზედ არიან ყველანი ერთად და ცალცალკე; მაგრამ ჩვენ რომ ამით ვერა ვსარგებლობთ, ესეთი კარგი გარემოებით და მაინც გარიყულ მდგომარეობაში ვიმყოფებით საზოგადოებისაგან – ეს ვერაფერი ტაქტიკაა ჩვენის მხრით. ნამხდარ მტერს დევნა უნდა, ღდინის ამორთმევა, თორემ ხვალ, შეიძლება, ხელახლავ მოგვიბრუნდეს და აქაურ, ემიგრანტულ ატმოსფეროში, აქაური საზოგადოება მაინც ერთობლივ ჩვენს მოპირდაპირედ იყოლიოს, როგორც არის ეხლაც. ამისათვის ეხლა ისინი სხვა ტაქტიკას მიმართავენ, რაკი ზურგი გამაგრებული აღარა აქვთ ისე, როგორც წინად. ხშირად მართავენ მოხსენებებს, კონცერტებს, საღამოებს (სხვათა შორის, 26 მაისობა, ძალიან უფერული, პლენეიური და უშნო ყოფილა, როგორც გადმოგვეცეს) და ამით საზოგადოებასაც ატყუებენ, როგორც ცხვარს – კატის შებმით ხეზედა და უცხოელებსაც: აი, მთელი საზოგადოება ჩვენთან არისო. თვით „დიდმა ნოვემაც“<sup>116</sup> მოუხშირა ასეთ თამაშაზე სიარულს და საზოგადოებაც, მეტადრე ქალები – **УМИЛЯЮТСЯ** (დენბიან?).

ჩვენ კი, არა მარტო ვერაფერს „ვერ ვმართავთ“, იმათ გამართულებსაც ვერ ვესწრობით და საზოგადოებიდან გარიცხულებსა ვგევეართ. ეს არა მარტო ფსიქოლოგიურად მოქმედობს, პოლიტიკურ სიმპატიებსაც გვიკარგავს. ამისათვის ყველაფერს აკეთებენ, ჭორებით ავსებენ ქვეყანას და... ჩვენც ვაძლევთ ხოლმე ზოგიერთ მიზეზს: ეს ე. ვ-ძეს<sup>117</sup> ამბავიო; ახლა კიდევ სალანძღი წერილი დადის ხელიდან-ხელში, მისგან მოწერილი, საცა წარმოუდგენელი უმევერობითა ლანძღავს თურმე ჰ-სა და ლენერალს.<sup>118</sup> გუშინ დაჰქონდათ ლადოს წერილი ჰ-თან, მანდაური თქვენი დაქტილოს გადაცემული მონინაალმდეგეთათვის (მიკვირს, როგორ ითმენთ ამას) და სხ. და სხ. ნუთუ ქრისტიანი ვინმე ველარ გიშოვნიათ და შემოჩენილზედა ჩამოვარდნილი თქვენი საქმე?

კარგია, რომ „ობლის კვერი ცხვება“, მაგრამ, ხომ იცი, „უკანა პურის“ ცეცხლს ასეთი „წერიმალეები“ როგორ ანელებენ. და ჟორდანისა „ამოყრილ თონეს“ ჯერ კიდევ საზოგადოება ნაზუქის სუნსავით ეტანება. შენ ასპროცენტთან ამბად ნუ მიგაჩნია ზოგიერთი გატაცებულის ინფორმაცია. რაც შეეხება ჩემს „იმედინობას“, მე უიმედობა კი არ მანუხებს ხოლმე, არამედ – **უშოქმედობა**. მე არა ვარ, ხომ იცი, იმ ჯიშისა, ვისაც

114 სლმ. №26964-211-ს., შალვა ამირეჯიბის არქივი.

115 sic!

116 იგულისხმება ნოე ჟორდანია.

117 იგულისხმება ელიზბარ ვაჩნაძე.

118 იგულისხმება ჰაიდარ ბამატი და გიორგი კვინიტაძე.

აკმაყოფილებდეს ცდა, ოცნება და პასიური<sup>119</sup> მოლოდინი, მე მინდა მუდმივი მუშაობა, აქტივობა, მოძრაობა, ბრძოლა მონინალმდეგესთან და ხელფეხშეკრული კი ვარ. გახსოვს, ტაქსიზედ ვმუშაობდი, ფიზიკურად და ნერვიულად მთელი ენერგია ამაზედ მიდიოდა და მაინც ვახერხებდი კიდევ ტრიალსა; შემდეგ, აქ რომ ჟურნალი იყო, ბევრ დროს მართმევდა და მაინც კიდევ დრო მრჩებოდა თავისუფალი, – და ენერგია – მეჭიდაუნა იქ, საცა ხელი მიმინვდებოდა და ახლა? ფიზიკურად აღარ შემიძლიან მუშაობა, ჟურნალიც გადიტანეთ და მანუხებს ასეთი უქმი მდგომარეობა, როცა ვხედავ, რომ გასაკეთებელი და საბრძოლველი ბევრია აქაც და ეხლაც. პოლიტიკა ცოცხალი საქმეა ჩემთვის და არა უიმედობისა თუ იმედის საკითხი. მერე, ეს ოხერი საქმეც ისეთია, რომ მთა უნდა შეხდრა, დევის ოდენა ენერგია დახარჯო, რომ ქვიშის ოდენა შედეგი გამოალებინო და როგორ გინდა, ასეთ საქმეში – ვიჯდე და დარს ველოდე? ამაში მე და შენი ხასიათის განსხვავება, ჩემო შალვა და არა შეხედულობისა, მიმართულებისა, გემოვნებისა თუ მდგომარეობის შეფასებისა და სხ. აქედანვეა, ამ ხასიათთა განსხვავებიდან, რომ შენი ჰუმორი მაშინა ბრწყინავს, როცა შენ დამშვიდებული ხარ და მე სულ მეკარგება, თუ შფოთიან ცეცხლში არა ვარ გადავარდნილი.

რაც შეეხება ჩემი წერილის წიგნაკად გამოცემას, ძალიან დამავალბებ, თუ მოხერხდებოდეს და დროზედ დანარჩენსაც გამოგიგზავნი, რასაკვირველია, მაგრამ ჯერ არ დამისრულებია, რადგან ძნელდება საჭირო ისტორიული მასალებისა თუ წიგნების შოვნა და ზეპირად არც მახსოვს და არც მიყვარს წერა დაუსაბუთებელი. ცოტალა დამრჩა და მალე გამოგიგზავნი დანარჩენსაც. დაახლოვებით კი გეტყვი: რაც მანდ არის – გარჩევა მაგათი ნაჯღაბნისა ხომა და მაგას მოჰყვება სქემატიური ისტორიული დასაბუთება ქართველი ერის არსებობისა საუკუნოთა განმავლობაში. მაგრამ ეს დასაბუთება იქნება „აჭრელებული“ მაგათი საკუთარი ისტორიის პარალელებით და ამბებით. მაშასადამე, მე ერთის მხრით მინდა „მოვავგონო“ მკითხველს ჩვენი ისტორიის ბრწყინვალე მომენტები და, მეორე მხრით, მაგათი უტვინო, უნიჭო და ნამდვილად მოლაღატური „მოღვანეობა“ საქართველოს, როგორც ერის წინაშე. რამდენად მწყობრად და კარგად გამოივიცა ეს საქმე, არ ვიცი და თუ შენ შენიშვნებს მომანვდი, ძალიან მადლობელი ვიქნები, რადგან არ მინდა უგემური რამ გამომივიდეს და მეტადრე მეშინია ისტორიული „გაფები“ არსად მომივიდეს ხეირიან წყაროების ხელთ უქონლობისა გამო. სწორედ ეხლა მივიღე ბამატის წერილი, საცა მწერს, არ ვიცი რად, რომ ხელს შემინყობს, თუ მინდა იდეოლოგიური (?) მონოგრაფის დაწერა. არ ვიცი, რას გულისხმობს, მაგრამ, როგორც ხედავ, ამ მხრივაც დამაპრკოლებელი<sup>120</sup> არაფერი იქნება, რომ ჩემი პატარა წიგნაკი კარგად გამოიცეს, თუ მოახერხებთ.

ჩემი წერილები, ფსევდონიმით თუ სახელით, ჩემთვის სულერთია – როგორც უკეთ დანიხავ. მაგ წერილის შენიშვნები რომ ტექსტში შევიტანია, არა უჭირს რა, მაგრამ რასაც ეხლა გამოგიგზავნი, სწორედ მაგივე მოსაზრებით, რომ „ყურადღება შეუნყვეტელი“ იყოს, სჯობია, ზოგი მაინც – შენიშვნებად დარჩეს, რადგან მე ვცდილობ ისტორიული ნაწილის მსვლელობას შერჩეს მთლიანობის ხასიათი და შენიშვნებში ჩავიტანო პარალელები და მათრახები ამათთვის. ყოველ შემთხვევაში, სრულებით მომინდვია შენთვის, რადგან რედაქტორებაც შეგიძლიან და მკითხველის მდგომარეობაშიაც უფრო ბუნებრივად იქნები, ვიდრე მე, – დამწერი. ერთი სიტყვით, შენი იმედი მაქვს და ამაზედ მარტო კორექტურულ ფურცლებს ლა მოველოდები.

119 sic!

120 sic!





რაც შეეხება ქრონიკას აქაურს და სხვა წერილებს, ამაზედაც – ბაშუსტა!

იქნება ეშმაკს შეაფურთხო და ჩემი წიგნების თავგადასავალიც მომწერო, ბარე-ღამე. ახლა დათავზედ. ჩემზედ ნაკლებად არ იცნობ მაგ კაცს და **одержимый**<sup>121</sup> კი არა, მთლად გაგიჟებულა, რაც მან აქ უკანასკნელად მოიძოქმედა. რაც იყო, ხომ იყო და, რაც ხანში შედის და ორიოდ ღერო ცოდნასა და გამოცდილებას იძენს – უფრო აუფარდა თავში, რომ რალაცას წარმოადგენს – და ვერ აფასებენ მაგის სიდიადეს. მერე რალაც რუსულ წიგნში მაგისი გვარიც იყო ნახსენები, როგორც 1905 წლის რევოლუციონერისა და მას აქეთ, ისედაც გაბერილი, მთლად ტიკივით გაიბერა. არავითარი თავმდაბლობა და შეწონვა-შეზომვა ამბებისა, ვარემოებისა, შესაძლებლობისა თუ სხვა რამ საზომავი მოვლენებისა მაგას აღარა აქვს და ცარიელა სიტყვების ბრა-ხა-ბრუხი – უკვე საქმე ჰგონია. არც იჩლუტება და... წარმოიდგინე, საუბედუროდ შთაბეჭდილებასაც ახდენს ხოლმე... სანამ გაუგებენ.

მაგრამ ევა და **მაგისტანტიც** შენ კარგად გცნობია, რომ მიშასა სწერ მოხერხებულ **გაკვეთილს** (მე ასე გავიგე, ყოველ შემთხვევაში), თორემ ეს ახალგაზდა კაცი, ცოტა გულუბრყვილობას იჩენს ხოლმე ადამიანთა და „ლიდერთა“ ცნობაში, მეგობრობაში და გადმობრების ცდებში. არ იცის, რა ავადმყოფურ და უფრო ხშირად ვერაგულ თავმოყვარეობის ხალხთანა აქვს საქმე. შენი დიდი თავყანისმცემელია და თავი დაუჭირე ხოლმე. აი ეხლაც, შენი წერილის შემდეგ, უცებ გამოიცვალა შეხედულობანი და ძალიან კმაყოფილი დავრჩი; მით უფრო, რომ მეც ამ მიმართულებით ველაპარაკებოდი, მაგრამ თითქმის არა გამოდიოდა რა. ახლა ატყვილია ემუხვარზედ, მეორე გიჟზედ, და იქ **მეორე** უკიდურესობას იჩენს. აქ იქნება მეტი საბუთი აქვს, რადგან შენც როგორღაც ადივლად უყურებ იმის აფხაზურ – ახალმეხუთე-კანტანა-ლურ – სიბრიყვეებს (რასაც, შეიძლება, ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს ჩვენთვის სამინაო და **საგარეო** ფრონტზედაც) და ჩვენი ჰაეც<sup>122</sup> თითქო, **ატვისტურად**, ამხნე-ვებს ამ კაცს. აქ სიფრთხილე გვმართებს. აი, ეხლა მიშა მიდის ჰავესთან და მეშინია, ამ საკითხზე სწორედ არ შექმნას განხეთქილება. თუმცა ზურაბის მოგზაურობაზე ვამყარებ მე დიდ იმედებს ამ და სხვა სახაზუნო (**трение**) საკითხების მოსაგვარებლად. საერთოდ იცოდე, ჩემო შალვა, რომ ის უნდა იყოს მამამთავარი, თუ შენც დამეთანხმები და თქვენს გაუტყებელ ერთობაშია ძალა და არასოდეს არ იფიქრო, რომ ჩვენც, აქაურებმა, რაშიმე გაგიტყებოთ ზურგი. პირიქით, მაგრადა გწამდეს, რომ მუდამ შენთანა ვართ, ოღონდ ურთიერთსა ცოტა ანგარიში გაუწიოთ – მიზანშეწონილობის მხრივ და ხმაც მივანოდოთ ხოლმე. შენ არ იცი, მაგ., თუ როგორ გაგვამხნევა ყველანი შენმა წერილებმა. ნუ დაიზარებ ხოლმე ხანდახან ხმის მონოდებას.

ერთია სავალალო, რაზედაც მე წინადაც რამდენჯერმე მქონია ლაპარაკი შენთან – ვერ კიდევ ადრე, ვიდრე „შენთან მოვიდოდი“, რომ ერთ კაცს და ისიც ჰავეს ჩაუგდეთ ხელში იმ ცხიმის ბედი, რომელზედაც ბევრია ძალიან დამოკიდებული ასეთ სათუთ, რთულ და დიდ საქმეში. მას კი არ ესმის, თითქო, ან ეშინია, რომ საქმის სანაწარმოებლად არა კმარა მარტო სურვილები, რაც უნდა გულწრფელი და ნებისყოფიანი იყოს, სჭირდება სახსარიც. თავისთვის კი ესმის, ეტყობა, ზღმინივებით, მაგრამ სხვებისა... ეშინია?

გუშინ, კვირას, 4/VI-ს, კ. კანდელაკმა წაიკითხა მოხსენება „გზები და პირობები საქართველოს ეკონომიურ განვითარებისა“ (უნინი (?) და ეხლა). ახალი არაფერი იყო,

121 შეპყრობილი (რუს.).

122 იგულისხმება ჰაიდარ ზამათი.

მაგრამ საინტერესოა, რომ ბევრი რამ ისეთი სთქვა, რაც ძირიანად ეწინააღმდეგება ჟორდანის კონცეფციებს, გამოთქმულს მის ბროშურაში, რომელზედაც მე ვწერ და ამასაც გამოვიყენებ ჩემი წიგნაკის მეორე ნახევარში. საერთოდ მე იმ აზრისა ვიყავი მუდამ და, დარჩი, რომ მონინაალმდეგეთ ყველგან და ყოველთვის მეთოდურად უნდა ბრძოლა მისცე იქ, საცა ისინი თავს ნამოჰყოფენ და ესეთი მეთოდი თუ ყველას არ აქვს და იქნება, არც საჭიროა, **ჩემთვის** სავალდებულოდ მიმარჩნია. ამ მხრივ, დათა და მაგისი ამფოსონები – შენ სრულადი სისწორით შეგეფვასებია – სხვას ვერაფერს ვერც აკეთებენ და ვერც გააკეთებენ, გარდა ჟორდანის საქმისა – **შეგნებულად თუ შეუგნებლად** – და მართლა გუდა-ნაბადი უნდა აეკრათ, გინდაც „ჩვენთან მოვიდნენ“, რაც მე სახიფათოდ მიმარჩნია, როგორც უნდა ფორმაში მოხდეს, გინდ ინდივიდუალურად. შეიძლება, ნამხდრებმა ყველგან, დღეს თავიც მოიკატუნონ, მაგრამ გასუქებული თხა, ხომ გაგიგონია, მგლის შეჭმას და... მოინდომებსო. ეგ ხალხი, სულ ეგეთია. და უარესიც, რადგან საკუთარი თავიც არ აბიათ და ამა თუ იმ რთული ძაფებით ჟორდანის ტიკინების როლს თამაშობენ მუდამ. იყავი ფრთხილად. არ ვიცი, თუ მოგივიდა „ქართლოსი“<sup>123</sup> უკანასკნ. ნომერი? იქ არის კოკის<sup>124</sup> ბიოგრაფია-მოღვაწეობა-ზღაპარი, ჩვენი დაუძინებელი მტრისა შეგნებულად და გულით; მენშევიკების, უკანასკნელ ხანებში დიდი – ლოვილამდის მისული მეგობრისა. და გაიძვერა-დურაქი ვ. ნოზაძის დაუსრულებელი, „დაკუნტალური“ წერილი, რომელიც ამ ნომრის სამ მეოთხედს, თუ მეტს არა, – ავსებს. ბევრ „საინტერესო“ მასალაში ბევრი სიყალბეც აურევია – წმინდა მენშევიკური და ნითელი ზოლივით გატარებულია ვითომ ჟორდანის პოლიტიკის დანუნება და გეგეჭკორის კი – გამართლება. ალბად, ესეც რალაც „ტაქტიკური“, მომენტისათვის გამოსაყენებელი კომბინაციისათვისაა შეთითხნილი. ჩვენზე, შერბილებული (*modéré*) ტონით, მაგრამ მაინც კრიტიკა გატარებული მაინც და, როგორც ამბობენ და ნიშნებიც არის, მაგ კაცის (?) გადმობირება შეიძლება ფულით. რაც მე დაუშვებლად მიმარჩნია, თუ სხვა დასაბმელი საშუალება არა გვექნება რა ამ ცინიკოსი ადამიანისა (?). მაგათი „ორგანიზაცია“ და „გაერთიანება“ – ეს სულ ცარიელა ბუშტებივით გაბერილი ამბიციების შეყრილობაა და **არცერთი** ადამიანი გვერდში არ უდგათ. არც რისამე მიღწევა შეუძლიანთ არც შინ და არც გარედ, რადგან როლები განანილებაც არ შეუძლიანთ: ოთხი-ხუთი „უნივერსალური“ ლიდერია, დაავადმყოფებული და, მგონი, ვერავითარი საავადმყოფოც ვერ უშველით; მარტო კუზიანის საშუალება თუ.

გამოვიდა „დამოუკიდებელი (?) საქართველოც“<sup>125</sup> და შეჯიბრია გამართული შიგა, დიდი პატრიოტიზმისა (კომბინატორული), საცა ასათიანი, ჭავჭავანიძე, ნუცუბიძე, ფირცხალავა და ანინი (უჩინარი)<sup>126</sup> – ხელმოუწერლად დააჭენებენ „ტროის რამივით“ მორთულს, ცრუ „გრძნობებს“, „ფალშივი“ კომბინაციებისას. ამასთან, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნუცუბიძე, მაგ., და ფირცხალავაც, უგემურად... აულიათ შენი თემა, თუ როგორაა და რითა სამშობლო საყვარელი – გახსოვს, შენა

123 ჟურნალი „ქართლოსი“ – საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1937-39 წწ. (*შარაძე 2005*:).

124 იგულისხმება ნიკოლოზ (კოკი) დადიანი.

125 გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ – საქართველოს პოლიტიკურ (სოციალ-დემოკრატიულ, ეროვნულ-დემოკრატიულ, სოციალისტ-ფედარალისტურ, სოციალისტ-რევოლუციურ) პარტიათა გაერთიანებული ფრონტის ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1926-39 წწ. (*შარაძე 2001*:).

126 უჩინარი – სარდიონ მენაღარიშვილის ფსევდონიმი.

სწერდი ერთ წერილში: „ჩვენთვის საქართველოს არის სამი მდინარე, ორი ქობი...“ და რაღაც ამის მსგავსი, ზეპირად არ მახსოვს და ეს ლამაზი ნაკვეთი გულისა, უნიჭოდ უღეჭიათ, უცოხნიათ, თავისი ფურთხით გაუთხელებიათ და ლავაშვით გაუქრავთ თავიანთ ფურცლებზედ. პლაგიატის შნოიანი შნოც არა ჰქონიათ ამ დასაწყლებულთ... სულითა და გონებით. ამაზედ მე წერილიც დავიწყე, მაგრამ არ ვიცი თუ მოვასწრობ, მოგაწოდო.

„ბრძოლის ხმა“ არ გამოვიდა, თითქო „ალარც გამოვავო“, რადგან კიდევ რაღაც „რეფორმას“ აპირობენ, „შეცვლილი (?) მდგომარეობის გამო“. ეს ქამელეონები, ფერისცვლით, ეტყობა კიდევ აპირობენ თავისი გამოგდებული ენით... კვლავ ბუზების ჭერას. ღვთის მადლით, ჩვენს ემიგრაციაში ეს მწერი იშვიათი არ არის.

რაც შეეხება „საზოგადოებას“ – დათენთილი ბუზივით უნიათოდ დაიარება იმათ ჭლექიან საღამოებზედ, იმათ „სალიტერატურო“ თუ „საეკონომიო“ მოხსენებებზედ, უზიმიო-საზიმიო პლებსურ დღესასწაულებსა და პანაშვიდებზედ. ესლა მოიგონეს კიდევ ახალი: „ლოვილის მკვდირების **საერთო (?)** მოსაგონარი დღეები“ – ხომ იცი, რა გულმოდგინებით ეზიდებიან იქ ყველას. საწყალი კოკიც, კინალამ იქ წაიღეს ხომა და ქ-ნმა ნამეტამ<sup>127</sup> ხომ კემულარიას იდეაც იქადაგა: საერთო სასაფლაო შეექმნათ ლოვილში – პანთეონისაგითაო, რაღა! ნაპოლეონისა, ან ბარათაშვილის უყოლობით – კვაჭანტირაძე-ლეისპირელები ხომ ბლომდა ჰყავთ. ესლა, 2 მკათათვეს თურმე ე. თაყაიშვილის „იუბილეს“ აპირობენ... ლოვილში და ახალი „გამაერთიანებელი“ გრძნობების შეხანხვლას. ხომ ხედავ, რამდენი საფარსმან-ფარუხო<sup>128</sup> ამბებია აქა, თუ კბილი გიჭრის...

შენ იწერები, რომ პაპავები<sup>129</sup> ჩვენი მოწინააღმდეგენი არიან და ეს ბუნებრივაც არის – ფედერალისტები სახელით და ჟორდანისტები არსებითად, მამ რა იქნებიან; მაგრამ – რა მალალი მოსაზრებით შენცა შმეგობრობ და ნამეტნავად ლენერალი<sup>130</sup> ისე გულახდილია და შეტკბილებული მათთან – აღარ მესმის. იქნება, გააფრთხილო მაინც, ისე ჩახუტებული ნუ ჰყავს ხოლმე მაგათი ჯიშის წარმომადგენელნი... გამუდმებით. ესეთი „ანგარიშიანობა“ – მაზეპასა და მარიას ანგარიშებსა ჰგავს, ცუდი არ იქნება, გააფრთხილო მეგობრულად.

სხვა აქაური ამბები რა მოგწერო? „მეგობრები“-ს რიცხვი შეგვიმცირდა და შემცირებულნიც გაგულგრილებულნი არიან სხვადასხვა მიზეზით, თუმცა შენ ყველა ტკბილის გრძნობებით გიგონებენ ხოლმე. „შენს“ მარგარიტას<sup>131</sup> იშვიათად ვხვდებით, მაგრამ ბევრი კი გვესმის, რადგან, არ ვიცი ნიჭიერი, თუ ძალიან მშრომელი გამოდგა, მაგრამ უნივერსიტეტიცა და კონსერვატორიაც გაათავა, კონცერტიც გამართა და ყველას მოწონება და ყურადღება დაიმსახურა. მისი პროფესორიც ძალიან კმაყოფილია. გაღამაზებულა კიდევ და „პროგრამაზე“ ისეა გამოყვანილი, რომ არა მარტო თავის თავსა ჰგავს ძალიან, არამედ სინემას ვედეტასაც<sup>132</sup> კი მოგაგონებს... ნამდვილი მარგარიტაა... ოქროს კბილები რომ არ ესხას... მარგალიტის კბილების მაგიერ უხვად. ელიკო ციცი<sup>133</sup> გამოკეთდა (შედარებით) ავადმყოფობისაგან, ოპე-

127 იგულისხმება ნამეტა (ნამო) ბერძენიშვილი.

128 ფარსმან-ფარუხი – შალვა ამირეჯიბის ფსევდონიმი.

129 იგულისხმება თამარ და აკაკი პაპავები.

130 იგულისხმება გიორგი კვინიტაძე.

131 მარგარიტა – ?

132 vedete du cinéma – კინოვარსკვლავი (ფრანგ.).

133 იგულისხმება ელენე (ელიკო) ციციშვილი.

რაციის შემდეგ, მაგრამ მამის<sup>134</sup> გავლენით, ძალიან... წაიდემოკრატებს და პლებსში მეტადაა გარეული. ყველა „მათ“ საქმეებშიც ჩათრეულია: ცეკვავს მათთვის, ფულს აგროვებს, ქლექიანებს შველის, ყველგან მათ „სპექტაკლერ“<sup>135</sup> – ამბებზედ დადის და ხელს უწყობს და სხ. და სხ. ლადო ასე არა, მაგრამ მაინც ვერ გამოვლევია „იმათ“ მეგობრობას და უცნაურ წრეებში ტრიალებს – ხომ იცნობ მის ნათესავ-მეგობარ და ნაცნობ „ოკრუჟენის“<sup>136</sup> და ხლართებს. ჩვენი ზეგავლენისათვის თუნდაც უნდოდეს, ნაკლები დრო რჩება... უმგვანი ხელობისაც შემდეგ. დიდი სიყოჩაღა ასეთ ატმოსფეროში კიდევ ასეთი კარგი რჩება, მაგრამ მუდამ საშიშია... კერამ არ მოითხოვოს. საერთოდ კი ჩვენი ახალგაზრდობა, უპატრონობით თუ საკუთარი უნიათობით – ძალიან დაბალი ხარისხისაა, ქალი თუ ვაჟი და არ ვიცი, რა მომავალი უნერიათ.

ჩვენ თითონ ვჩანჩალობთ კიდევ, რასაკვირველია, მაგრამ ხელმოკლეობამ წაიღო ქანცი. ლიზამ მეგობრული საღამო შემოგითვალა ეხლა და სამაისო ბარათიც გამოუგზავნია შენთვისა და ლადოსათვის. აბა, იყავი კარგად, მხნედ, ჩვენზე ნდობით და ჩვენც მოგვიგონე ხოლმე ხანდახან. ითევზავე, თუ გინდა შპრეეში, გინდ რეინში, მაგრამ თევზობას ნუ დაიჩემებ ხოლმე.

შენი რეზო  
5.VI.1939

P. S. ბაბულასა<sup>137</sup> და კარტანსაც<sup>138</sup> მისწერე მოკითხვა მაინც, შე დალოცვილო, თორემ... ჩვენც კი გვემდურებიან შენ გამო. უკანასკნელი ავადაც კი ყოფილა და ოპერაციაც გაუქეთებიათ.

P. SS. ჰო, დამეინყდა, ურატაძეს გამოუშვია მყრალი მენშევიკური... გაზეთი-ბროშურა<sup>139</sup> და, მგონი დრო არის, საღირაშვილმა მოაგონოს საზოგადოებას ამ გროშკას „პატრიოტული ღირებულება“, როგორც ამას წინად გამოგვიგზავნა წერილი-საბუთი მის ბიოგრაფიაზედ.

## 17.

**ძმაო შალვა**,<sup>140</sup> გიგზავნი საბროშურო მასალის გაგრძელებას და იმედი მაქვს, წინანდელ და ეხლანდელ თხოვნებს შემისრულებ.

1. **კორექტურას მე გამომიგზავნით**, უსათუოდ, რადგან, როგორც მეშინოდა კიდევ; უკვე დაბეჭდილში აუარებელი შეცდომა არის.

2. მე მგონი, უმჯობესი იქნება, **ჟურნალში** მარტო ის დაიბეჭდოს, რაც წინად გამოგიგზავნე და ეს **ახალი** მასალა, უკვე დაბეჭდილთან ერთად, – ცალკე გამოი-

134 იგულისხმება სვიმონ ციციშვილი.

135 spectaculaire – სანახობითი (ფრანგ.).

136 окружение – გარემოცვა, წრე (რუს.).

137 ბაბულა – ?

138 კარტანი – ?

139 იგულისხმება გრ. ურატაძის ბროშურა „საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წწ.“, პარიზი, 1939 წ.

140 სლმ. №26964-212-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

ცეს, თორემ ძალიან განონიალდება და **დაგვიანდება** კიდევაც. რასაკვირველია, მანდაური პირობები შენ უფრო იცი, მაგრამ გამოუცდელ ამწყობისათვის ეს **ვარჯიშობაც** იქნება.

3. ძალიან დამავალე, თუ ბროშიურას, შინაარსის მიხედვით, სათაურს ისეთს არ გაუკეთებ, როგორც ჟურნალში და **შენს** პატარა **წინასიტყაობასაც** წარუმძღვარებ.

4. რადგან ისტორიული მასალები, ხომ იცი, აქ ხელთ ყველა არა მქონდა, იქნება რაიმე შეცდომები შემეპარა და, თუ შეამჩნიო, **შეასწორე**.<sup>141</sup>

5. თუ ბ-ნი ზურაბიც პატივს დამდებს და წინანარ ნაიკითხავს და შეასწორებს, ძალიან მაძლობელი ვიქნები. **გამომიგზავნე მისი მისამართი**. ან გადაეცი აქვე დართული წერილი მასთან.

6. თამარ მეფის სრული ტიტული აქ ვერსად ვიპოვნე და თუ საჭიროდ ჩასთავალო და შეგხვდეს, დაასრულე.

7. მე მგონია, **სამასი ცალი** საკმარისი იქნება (თუმცა სოსო მეტსა თხოულობს) და ფასიც, რაც შეიძლება ნაკლები დაენეროს.

8. თუ ჩემი „წანარმოების“ **ბოლო – დიალოგი** არ მოგეწონოს, ან სხვაც რამე, ნუ დაიზარებ, შენებურად გაასწორე და წინასწარ გამომიგზავნე, რომ **მთლიანი შთაბეჭდილება**, რომელიც სუსტად მიმაჩნია ისედაც, უფრო არ შესუსტდეს.

9. გეთაყვა, ეხლავე მიპასუხე, ძალიანა გთხოვ.

10. მიაქციე ყურადღება დაწერილი ფურცლების რიგს – ამწყობისათვის.

სალამი ლიზასაგანაც

შენი რეზო

28.VI.1939

P. S. თუ ზურაბთან მიწერილი ცნობები გამოგადგეს, გამოიყენე.

## 18.

**ძმაო შალვა**,<sup>142</sup> უცნაური ადამიანი ხარ, ღმერთმანი; ნუ თუ არ გესმის, რომ მეგობრებთან ათასში ერთხელ მაინც უნდა ამოილო ხმა, თუ არ გინდა დაუკარგო რწმენა იმ საქმისადმი, რომელსაც ყველანი ვემსახურებით. მით უფრო, რომ გარშემო მგლის ხროვასავით მტერი გვახვევია და ათას ჭორებს ავრცელებს დღე-მუდამ, დაჟინებით, რომ დაგვქსაქსოს, სახელი გაგვიტეხოს, გაგვანადგუროს. მე ვიცი, შენ არ გიყვარს მიწერ-მოწერა და ჭორებიც გულს გიტეხავს, მაგრამ ასეთი ყურწაყურებით ხომ უარესდება მდგომარეობა. მეგობრები, თანამგრძობნი და ნეიტრალნი მეტადრე ადვილად ედებიან მტრის ბადებებში და იმის მაგიერ, რომ თავანუღნი თვალს უსწორებდეთ ყველასა, ხშირად თავჩაქინდრულნი უნდა ვხვდებოდეთ, რადგან არც ვიცით დროზედ, რა მართალია და რა სიცრუე.

<sup>141</sup> გარდა „საქ. ისტორიიდან“ ამოწერილობისა, რადგან ამას **განსაკუთრებული მნიშვნელობა** აქვს, რაკი **მათივე** გამოცემულია და დეე, **ამ შეცდომებზე** თითონ მიგვითითონ (რ. გ.).  
<sup>142</sup> სლმ. №26964-213-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

აი ეხლაც, შენმა „მეგობარმა“ გოგი კერესელიძემ, ახლად ჩამოსულმა, მოხსენება გააკეთა და გაავრცელა ჭორი, რომ თქვენი საქმე ძალიან ცუდად არის, დღეს-ხვალ ყველას დაგიჭერენ და ჰავსაც არა აქვს უფლება მანდ დაბრუნებისა. ასეთ უმსგავსოებასაც კი გასავალი აქვს აქაურ დაბალი ხარისხის საზოგადოებაში და ფრთხილად უნდა იყვნეთ; შინაური უთანხმოებანი (რომც იყოს) საგარეოდ ნუ ხდით ხოლმე სალაპარაკოდ და ჩვენდა გასაბრიაბრუებლად. ამის გარდა, აქ ხმა მოდის მუდამ და ამას აზვიადებენ ათასნაირად, რომ მართლაც არის უთანხმოება თქვენსა და ჰავს შორის და ნუ თუ ეს ველარ მოარიგეთ – რაც მეტის-მეტადა ვნებს ჩვენ საქმეს.

მე არ ვიცი სინამდვილე, მაგრამ წარმომიდგენია, რომ ზოგის პირადი თავმოყვარეობა და ზურგების იმედი – გავიწყებინებთ ორივე მხარეს საერთო მაღალ მიზნებს და წვრიმალებს აღრმავებთ. ამის მიზეზები თავშივე იყო, და სწორედ შენ მარწმუნებდი ყოველთვის, რომ წვრიმალეზიო და ახლა რაზედ ამსხვილმანებთ? ჩემის ღრმა რწმენით, გინდაც გქონდეთ საგარეო ზურგი, საჭიროა კონფედერაციის პრინციპები ხელშეუხებლად ვატაროთ ისე, როგორც ზურაბსა აქვს ხოლმე წარმოდგენილი (მის ავტორიტეტს შენ თითონ მაძალეზი ხოლმე) და შინაგანი ურთიერთობა ერთმანეთის დათმობით მოაწესრიგოთ.

ჩვენი, ყველასი ერთობა ეხლაც და მერეც უფრო პატრიოტული საქმეა ყოველმხრივ, ვიდრე პატრიოტული ღრიანცელით საქმის ნახდენა, რაც სასირცხვილო და გამოუსწორებლად საზიანო იქნებოდა. იყავით ფრთხილად და ნურას გზით ნუ მიიყვანთ საქმეს განხეთქილებამდე. არ ვარგა.

მეორე საგანი ჩემი წერილისა შენი ხმის გაუცემლობაა ჩემი გადმოგზავნილი მასალის შესახებ. ნაიკითხე მაინც? რა გადასწყვიტე? ან მიიღე მხედველობაში ჩემი თხოვნები? რატომ არ მიპასუხე წერილზედ? მე მესმის, მანდაური „დიდი საქმეები“ არ გაძლევენ კაი გუნებას, მაგრამ ჩვენსკენაც უნდა მოიხედო ხოლმე, ჩვენც ხომ ხალხნი ვართ და გვერდში გიდგევართ საჭურნალო საქმეებში მაინც და რა არის, რომ ცოტა ყურადღებით მოგვექცეთ. საბროშიურო მასალის გარდა, მე „ბრძოლის ხმის“ განხილვაც გამოგიგზავნე და არც კი ვიცი, თუ მიიღე მაინც. ან თუ გჭირდება რამე კიდევ? ან თუ გამოდის ჩვენი ჟურნალი? მერე ექსპედიცია როგორღაც ცუდათ გაქვთ დაყენებული და ყველა ჩივის – არ მოგვდისო.

მე ძალიანა გთხოვ, ჩემო შალვა, ამაზედაც და ჩემ წინა წერილზედაც მალე მომწერო პასუხი, რადგან შეუძლებელი ხდება ასეთი მუშაობა – ბნელაში. ჩვენა ვცდილობთ ყველანაირად ზურგი გაგიმაგროთ და თქვენგან წამახალი-სებელი სიტყვაც არ გვესმის ხოლმე, გამიგონია ასეთი უყურადღებობა?

აბა, იყავით კარგად და გიგზავნით სალამს ყველას ყველასაგან.

შენი რეზო  
19.VII.1939

**ძმაო შალვა,**<sup>143</sup> შენ თურმე მემდურები, რომ სულ საყვედურებსა გწერ და მთელი ჩემი საყვედური მხოლოდ იმაშია ხოლმე, რომ შენ არა მწერ არაფერსა. რა მოგივიდა, კაცო, მოკითხვა და მოგონებაც თუ აღარ გეხალისება ჩვენი – ზოგიერთ საქმიან კითხვაზედ როგორ არაფერს იწერები? აი, მაგალითად, მე გამოგიგზავნე მასალები „ბროშიურასთვის“ და მეორე წერილიც „ბრძოლის ხმაზედ“ და არ ვიცი, რა ბედი ენია? მიიღე? ბეჭდავ? ან როგორ? ან ღირს ამ უკანასკნელი მასალის მინაგვარად, მაგ., ახლად გამოსულ „დამოუკიდებელ საქართველოს“ შესახებაც გადმოგიგზავნო, თუ არა? რაც შეეხება დიდ მასალას (ბროშიურისას) – გაჭიანურება არ ვარგა: ეს ხომ **პასუხია** ანჩინის და ნოეს „მავნე წიგნაკებზედ“ და როდის ეღირსება გათავება ჟურნალების ნომრებში. ყოველგვარი გემო და აზრიც დაეკარგება, ხომა. ჰაიდარიც დასთანხმდა გამოცემას და რა დაგემართა, ამხანაგობა არ შეგიძლია გამინიო და **პირველად** ჩემგან განზრახული ბროშიურა ვერ გამოგიცია? ძალიანა გთხოვ, დააჩქარო, ან მომწერო, რომ არ გაკეპაყოფილებს და მაშინ სულ სხვაა – იქნება მაშინ მე თითონ მოვახერხო აქა. ხმა მოგვდის, რომ რაღაც მიზეზებით ქართული „კავკასიის“ გამოცემა ბრკოლდება ხოლმე და მაშინ – მით უფრო – დრო ექნება ამწყობს ცალკე წიგნაკის აწყობისა, ხომა. **მომწერე უსათუოდ.**

რაც შეეხება მიხაკოს ახალ პროვოკატორულ გამოსვლას „თ. გ.-ში“<sup>144</sup> და ანჩინისაც („დამოუკიდებელ საქართველოში“), მე მგონია, მათთან კამათი უნაყოფოა: უსინდისობაში ვერ გავყვებით და პოლემიკა აზრიანი, დამაჯერებელი, მათთან – დროს დაკარგვავა უნაყოფოდ. ყოველ შემთხვევაში, თუ მაინც და მაინც საჭიროდ ჩასთვლი, **შენ** დაანებე თავი, ხომ ხედავ, როგორ მიზანში ჰყევხარ ამოღებული ყველას. სხვა ვინმემ უპასუხოს ხოლმე – ესა სჯობია. თუ გინდა, მე დაუწერ ერთსაც და მეორესაც სათანადო სულთათანას.

აქაური „ამბები“, ეტყობა, აღარ გაინტერესებს, ან სხვათაგან იცი, ამიტომ ამჟამად აღარაფერსა გწერ. ჩვენ „კარგათა ვართ“, თუ ითქმის ასე ამ აღრენილ და არეულ დროზედ. თქვენ კი მართლა კარგადა ყოფილხართ, როგორც ხმები მოდის და ღმერთმა გაგიმარჯვოთ. ოღონდ შინაგან კონფლიქტებს ერიდეთ – ეს პირდაპირ სამარცხვინო ბოლო იქნება ასე კარგად დანყობილი და წარმართული აქამდის – საქმისა.

კიდევ ერთხელ გთხოვ, მაცნობე ბედი ჩემი ნაწერისა.

შენი რეზო  
სალამი ლიზასაგან  
7.VIII.1939

P. S. ჯაყელს აღარ უგზავნიან ხვედრსა და ეს არაა კარგი, უთხარი სოსოს. სალამი ყველას.

143 სლმ. №26964-203-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

144 იგულისხმება გაზეთი „თეთრი გიორგი“.

**ძმაო შალვა**,<sup>145</sup> როგორც მეგობარსა და პოლიტიკურ ამხანაგსა გწერ და ყუ-რადლებით მოექეცი ჩემ წერილს და არა გრძნობების მიხედვით.

1. მიკვირს, რომ შენ ვერ ახერხებ ჩემთან და სხვა შენ ამხანაგებთან მიწერ-მონერას, როცა ეს ასე აუცილებელია ამ არეულ დროში.

2. მე მესმის ფსიხოლოგიურად თქვენი გაყრა ზამმატთან, მაგრამ ოფიციალუ-რად გასვლა შენი აუხსნელია და ჩვენ ყველანი ჩავარდნილი ვართ არა მარტო უხერხულ, არამედ ცუდ მდგომარეობაში (მეტადრე მე, რომელმაც დაგიჯერე სიბერის დროსაც და გამოგყევი, მაშასადამე (?) შემცდარ, კიდევ ერთხელ, ნა-ბიჯში).

3. ამ რთულ მდგომარეობაში შენ (თუ თქვენ? თუ ვინ?) სრული ნდობა გა-მოუცხადე მხოლოდ მიხილ კედლას და რას გელაპარაკებათ ან გწერთ მანდ ჩვენის სახელით, ჩვენ არ ვიცით და რას გველაპარაკება თქვენი სახელით აქ, დარწმუნებული არა ვართ სინამდვილეში, რადგან ხშირად წინააღმდეგობაში ვარდება სიტყვიერადაც და, რაც უფრო სამწუხაროა, საქმიანაც. ამიტომ, ჩემს გარდა თითქმის არავინ ღა ეკარება და არ მესმის – მაშ, იმის მეტი აღარავინ გინდათ აქა?

ა) არც შინაურ საქმეებში? (ე. ი. მუშებისა და ხალხის მოწყობაში; ოფისისა და სხ.).

ბ) არც სხვა ორგანიზაციებთან? (ე. ი. მენშევიკებთან, თეთრ-გიორგელებთან და სხ. და სხ.)

გ) არც უცხოელებთან? არც ვისთანაც უნდა იყოს?!

ყველაფერს ის დაუკითხავად აკეთებს, არავის ანგარიშს არ აბარებს და მხო-ლოდ **post factum**<sup>146</sup> ხანდახან და ზოგ რამეს, და ისიც თავისებურად, მე მაც-ნობებს ხოლმე, ე. ი. ფაქტის წინაშე გვაყენებს... სულ თქვენი სახელით, ვითომ.

გინდათ მაგალითები: ა) ბევრნი მოაწყობს სამუშაოზე და არც ერთი არც ჩვენ-თავანი<sup>147</sup> [ყველაზედ გაჭირებულნი სწორედ ჩვენ კი ვართ – მე, მაგალითად, ნახევარზედ მშვიერი და ვალეებით სავსე და სხვებიც დაახლოვებით], არც ჩვენგან ნაჩვენები.

ბ) ოფისში კანდიდატები – გეგეჭკორისა, სპირ. კედლასი, ვიკ. ნოზაძისა, ალ. ასათიანისა და სხვების რჩევით წამოაყენა (როგორც თითონა სთქვა, – **post factum**, – და სხვები ამბობენ (?), რომ მენშევიკებთან შეთანხმებითაო). აქ კი იძახის, თქვენი, ვითომ, დავალებითაო.

გ) უცხოელებს ხომ სულ არავის აკარებს და თავის პირად საქმეებს კარგად აწყობს და საერთოსი ან სხვისა რა მოგახსენოთ. სრული შთაბეჭდილება, რომ იმეორებს სპ. კედლას პოლიტიკას, ე. ი. თავის საკუთარ, კერძო პარტიას იწყობს, რომ მერე აღარავინ დაისაჭიროოს (აღარც თქვენ, მერწმუნეთ, რადგან ამის ნიშ-ნებიც ბევრი გვაქვს).

მერე, ჩვენი (და ნამეტნავად შენი ხაზი იყო) – არაფერი საერთო მენშევიკებ-თან და ის უგეგეჭკოროდ აღარა სუნთქავს და მისი თხოვნითა და დავალებით

145 სლმ. №26964-216-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

146 მას შემდეგ, რაც უკვე შესრულდა, მოხდა რამე (ლათ.).

147 sic!



აკეთებს ყველაფერს თუ არა, ბევრ რასმე მაინც (მაგ., მენალარის<sup>148</sup> განთავისუფლება, რომელმაც შენ შეგიკრა ხელფეხი, გახსოვს, დაბეზლებით, ვითომ შენ იყავ ჯაშუში ეხლანდელი შენი მასპინძლებისა), განთავისუფლება გ. ბერიძესი, სინჯიკაშვილისა (ეხლა ზის ციხეში სპეკულაციისათვის) და სხვების – პირველ რიგებში და სხვები ხომ დღესაც ტყვედ არიან (: მიუხედავად თქვენი ცდისა და განცხადებისაც?).

თავის გარშემო იკრებს სულ ახალ-ახალ, სრულიად უცნობს ვისთვისმე პირებს და რას აკეთებს, ან რას აპირებს – არავინ იცის. ე. ი. ისტორია მეორდება და როგორც სპირიდონმა მოგვლო კვანტი, როგორც ჰაიდარსაც უქნია (ვითომ ასეთი ცნობები მოგვდის) და სხ., ისიც ასე.

სრული სურათი ისეთია, რომ ის შეგნებულად თუ შეუგნებლად, დავალებით თუ თავისით ანგრევს კავკასს (და არა მარტო ჰაიდარსა „სპობს“, როგორც თითონ იძახის) და ისევ ხელს უწყობს მენშევიზმის იქნება მეორე გამოცემას და მენშევიკებს. ეს არის თქვენი მიზანიც?

თუ ეს ყველაფერი იცით და იზიარებთ, ახდითად მე მაინც მაცნობეთ, რომ ჩემი ადგილი გამოვნახო, თუ სხვის წინაშე პასუხისმგებლობას არავითარს არ გრძნობ.

ამის გარდა, ჩემი შალვა, პირადათაცა მაქვს სათხოვნელი. ჩემი საქმე მატერიალურად უკიდურესობამდეა მისული და ნუ თუ არ შეგიძლიანთ, როცა აქ მთელი რუსობა საუკეთესოდ მოეწყო, სომხები და ზოგი ქართველიც, მომეხმაროთ, რომ მეც მქონდეს რამე სამუშაო. მიშასა და სხვებსაც, ვინც ვისმე იცნობს, კალთები ჩამოვაგლიჯე და ცარიელა დაპირებებით მკვებავენ აგერ ცხრა თვე არის და უფრო და უფრო ვიფლობი. საუბედუროდ, აღარც ხანი, აღარც ჯანი არა მყოფნის, რომ ფიზიკურად მიწაზედ ან ქარხანაში ვიმუშაო (თუმცა შოფერობა ეხლაც შემიძლიან), მაგრამ სხვა სამუშაოებიც ბევრია, თუ მოინდომა ადამიანმა ჩემთვის. სამადლოდ და ხელგანვდით სიარული კი მე დღესაც არ შემიძლიან.

აქ საერთოდ დიდი გაჭირებაა და ნამდვილი შიმშილიც მოსალოდნელი, მაგრამ მანდ წამოსვლაც არ შემიძლიან უამრავი გარემოების გამო.

*შენი რეზო*

ლიზასაგან სალამი. სალამი და მოკითხვა ბ-ნ ლადოსაც და სხვა ჩვენ მეგობრებს.

2.IV.1941

პარიზი<sup>149</sup>

148 იგულისხმება სარდიონ (სანდრო) მენალარიშვილი (მენალარი).

149 წერილის V-ზე რეზო გაბაშვილის მიწაწერია: „და მიგიყვანენ თქვენ მიცემად მათდა, ნუ წინასწარ ზრუნავთ, ნუცა ინურთვით, რასა იტყოდეთ; რათა იტყოდეთ; არამედ რა იგი მოგეცეს თქვენ მას ჟამსა შინა, მას იტყოდეთ; რამეთუ არა თქვენ ხართ მტყვევლნი, არამედ სული წმიდა“. სახარება მარკოზისაგან 13-11.

## საძიებელი და კომენტარები

**ავალიშვილი ზურაბ** (ფსევდ.: Politicus, З. А., Князь და სხვ.) (1875-1944), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, იურისტი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ამირჯები შალვა** (ფსევდ.: ა-ი, ფარსმან-ფარუხი, შ. ა., ჩორჩანელი, შ. ა-ბი და სხვ.) (1887-1943), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე. 1925-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ანდრონიკაშვილი ივანე** (ვანო) (1905-1962), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მიუნხენის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე (1958-62).

**ასათიანი ალექსანდრე** (ფსევდ.: ა. ქა-ი, მ., არე და სხვ.) (1889-1953), პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, 1921 წლის სვანეთის, 1922 წლის კახეთ-ხევსურეთისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ახმეტელი ვლადიმერ** (ლადო) (ფსევდ.: შვარცი, ახ-ლი და სხვ.) (1875-1942), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეკონომისტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, დიპლომატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი (1932-იდან უპარტიო), 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი გერმანიაში, 1936-39 შედიოდა ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიაში“. 1938-იდან ხელმძღვანელობდა გერმანიის მთავრობის მიერ შექმნილ „კავკასიის სამმართველოს“.

**ბამატი ჰაიდარ** (1889-1965), დაღესტნელი პოლიტიკური მოღვაწე, ჩრდილოეთ-კავკასიური ემიგრაციის ლიდერი, ორგანიზაცია „კავკასიის“ დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი, ჟურნალ „კავკაზის“ (გამოდიოდა რამდენიმე ენაზე; მათ შორის – ქართულადაც) რედაქტორი.

**ბარათაშვილი ნიკოლოზ** (1817-1845), პოეტი, რომანტიკოსი.

**ბერიძე გრიგოლ** (გრიშა) (1887-1968), 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ბერძენიშვილი ნამეცია** (ნამო) (1891-1988), „ლევილის დედად“ წოდებული, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლის მეთაურის, ვალოდია გოგუაძის (1880-1954) მეუღლე და თანამებრძოლი.

**გაბაშვილი** (ქალიშვილობაში თარხნიშვილი) **ეკატერინე** (1851-1938), საზოგადო მოღვაწე, მწერალი.

**გაბაშვილი რევაზ** (რეზო) (ფსევდ.: რ. გ., რაე, ლამურა და სხვ.) (1882-1969), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ელექტროინჟინერი, ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ჟურნალ „კლდის“ (1912-15) დამაარსებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**გაგეჭკორი ევგენი** (1882-1954), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მასონთა ლოჟის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**გაზაზა გიორგი** (ფსევდ.: X, გ. გ., მეთვალყურე, მკითხველი, სტამბოლელი, ნკიპურტი და სხვ.) (1869-1941), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**გვარამაძე იოსებ** (სოსო) (1894-1959), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1937-39 ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფის აქტიური წევრი, ჟურნალ „კავკასიის“ (პარიზული ქართული სერიის) რედაქტორ-ადმინისტრატორი.

**დადიანი ნიკოლოზ** (კოკი) (1879-1939), საზოგადო მოღვაწე, სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**დავრიშაშვილი** (ქალიშვილობაში – ოქროპირიძე) **ანეტა**, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლიტიკური ემიგრანტი.

**დავრიშაშვილი დავით** (დათო) (1907-1980), იურისტი. ანეტა დავრიშაშვილის ვაჟი.

**დასამიძე გრიგოლ** (გიგო) (1870-1960), საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ჟურნალისტი, 1911-15 წლებში გაზეთ „თემის“ რედაქტორ-გამომცემელი. 1921-იდან ემიგრანტი.

**ეზოპე** (ესოპე, ბერძ. Aesopos), ძვ. წ. VI ს. ბერძენი მწერალი, იგავ-არაკების ჟანრის ფუძემდებელი.

**ელიავა ზინდო** (1900-?), პოლიტიკური მოღვაწე, აგრონომი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1927-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში. 1941-42 მსახურობდა ვერმახტის სადაზვერვო-სადივერსიო რაზმში თამარ II.

**ემუხვარი ვლადიმერ** (ლადი) (1890-1961), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1920 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სწავლის გასაგრძელებლად გაიგზავნა ბერლინში, მაგრამ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა ემიგრაციაში დარჩა. 1937-39 შედიოდა ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიაში“.

**ერეკლე II** (1720-1798), 1744-62 კახეთის, 1762-98 ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II-ის ძე.

**ვანჩაძე დავით** (დათა) (ფსევდ.: დ. კახელი, ეკალი, დონვინი და სხვ.) (1884-1962), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთ-საქართველოს ომისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ვაჩნაძე ელიზბარ** (1895-1959), 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. შედიოდა ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიაში“.

**ვახტანგ VI** (1675-1737), ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) 1703-14, ქართლის მეფე 1716-24, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი, კოდიფიკატორი და მეცნიერი, გიორგი XI-ის ძმის, ლევანის ძე.

**ზალდასტანიშვილი სოლომონ** (სოლიკო) (1891-1941), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ არსებული „სამხედრო კომისიის“ წევრი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ზაქარიაძე ალექსანდრე** (1884-1957), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალი (1919), 1918-21 ქართული კორპუსის შტაბის უფროსი, ფრონტის სარდალი, გენშტაბის უფროსის მოადგილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ზურაბიშვილი ივანე** (ვანო) (ფსევდ.: ვინ-ზენ, ზ-ლი, ჟანზეტ, დარბაისელი და სხვ.) (1872-1940), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**თამარ მეფე** (დაახლ. 1160-1213), სხვა ცნობებით 1210, 1207), საქართველოს მეფე 1184-იდან, გიორგი III-ის ასული.

**თაყაიშვილი ექვთიმე** (1863-1953), პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი, 1919-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ინჯია ვასილ** (ვასო) (1891-1945), სამხედრო მოღვაწე, კაპიტანი, 1918-იდან მსახურობდა დამოუკიდებელი საქართველოს არმიაში, მონაწილეობდა 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა – თავდაპირველად კონსტანტინოპოლში, მოგვიანებით სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად პოლონეთში დამკვიდრდა. კონტრაქტით მსახურობდა პოლონეთის არმიაში.

**კალანდაძე ნესტორ** (ფსევდ.: ეშმაკი) (1877-1943), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლიტიკური ემიგრანტი.

**კანდელაკი კონსტანტინე** (1883-1958), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1919-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობ-მრეწველობის მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**კანტემირი ალისან** (1886-1963), ოსი პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, ჩრდილოეთკავკასიური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1934-39 შედიოდა ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიაში“.

**კაუციკი კარლ** (1854-1938), გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ლიდერი, ცენტრიზმის იდეოლოგი, პუბლიცისტი.

**კედია მიხეილ** (მიშა) (1901-1952), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი (1925), 1937-39 ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფის აქტიური წევრი, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიაში“, 1942-43 „კავკასიის საგანგებო შტაბის“ წევრი, 1943-45 „ქართული სამოკავშირეო შტაბის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბერლინში.

**კედია სპირიდონ** (1884-1948), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი. 1922 წელს საბჭოთა მთავრობამ იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, დააპატიმრა და საზღვარგარეთ გაასახლა.

**კემულარია იოსებ** (1880-1957), საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, ეკონომისტი, ბანკირი. ბორდოში ჰქონდა საკუთარი ბანკი.

**კრესელიძე გიორგი** (გოგი) (1885-1960), პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი. პეტრე სურგულაძესთან ერთად ჟენევაში დააარსა „ქართველ სეპარატისტთა ჯგუფი“, რომლის ორგანო იყო ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ (1913-14), 1916-18 წლებში რედაქტორობდა გაზეთს „ქართული გაზეთი“. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**კრესელიძე ლეო** (1878-1943), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, გენერალი (1920), ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. პეტრე სურგულაძესთან ერთად ჟენევაში დააარსა „ქართველ სეპარატისტთა ჯგუფი“, რომლის ორგანო იყო ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ (1913-14). 1918-იდან მონაწილეობდა ქართული ეროვნული არმიის შექმნაში – მეთაურობდა მოხალისეთა პოლკს. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**კვინიტაძე გიორგი** (1874-1970), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1918). 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შვიარალე-ბული ძალების მთავარსარდალი, ქართულ (იუნკერთა) სამხედრო სკოლის უფროსი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**მანველიშვილი ალექსანდრე** (ფსევდ.: ჟამთა-ალმწერელი) (1904-1996), ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი, 14 წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, არაერთი ჟურნალ-გაზეთის („მომავალი“, „ერის დიდება“, „Nation Georgienne“ და სხვ.) დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი.

**მარგველაშვილი ტიტე** (1891-1946), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, აღმოსავლეთმცოდნე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**მდივანი ალექსი** (1908-1935), ბიზნესმენი, ქველმოქმედი, 1931-33 პარიზში საქართველოს მთავრობის ლეგაციისა და „ლტოლვილთა ოფისის“ მდივანი. ბარბარა ჰატონის მეუღლე (მეორე ქორწინება).

**მენალარიშვილი** (მენალარი) **სარდიონ** (სანდრო) (ფსევდ.: უჩინარი, მ.-ანი, ოთარი, ისრაფილ-ბეი, N, სალოვკელი, ობსერვატორი, ს. მენ-ი, სან. მანი, სან მენი და სხვ.) (1895-1960), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1925-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ნაპოლეონ I**, ნაპოლეონ ბონაპარტი (1769-1821), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, საფრანგეთის რესპუბლიკის I კონსული (1799-1804), საფრანგეთის იმპერატორი („ფრანგების იმპერატორი“, 1804 წ. 14 მარტი – 1815 წ. ივნისი). კორსიკელი წერილი აზნაურის, ადვოკატის კარლო ბუონაპარტეს შვილი.

**ნოზაძე ვიქტორ** (ვიქტორ) (ფსევდ.: არიონი, მეთვალყურე, ძველი შევარდნელი, ბ. ვარდანი, ბ. ბებურიშვილი, ვ. სოსანი, მოძველი, ნიკრისელი, თამაზ ჩილაია, ლიკსუსი, დონაური, თამარ ვარდანძე, მკითხველი და სხვ.) (1893-1975), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, ისტორიკოსი, მთარგმნელი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ჟურნალისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი რუსთველოლოგი.

**ნუცუბიძე ილია**, პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალისტ-რევოლუციური პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ოპოჩინინი ვლადიმერ** (ფსევდ.: ოლენინი, ლაგუნოვი და სხვ.) (1878-1952), რუსი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, იურისტი. 1934-39 შედიოდა ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკაზში“. ავტორია ლექსების კრებულისა „Обманы прошлого“ (პარიზი, 1939 წ.).

**პაპავა აკაკი** (ფსევდ.: აკაკი მღვდარი, ქეიბური, ოდიშელი, გაუტეხელი, კახაბერი, თუთბერიძე და სხვ.) (1890-1964), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, დრამატურგი საქართველოს ისტორიის მკვლევარი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი, 1922-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**პაპავა თამარ** (ქალიშვილობაში – გოგოლაშვილი) (ფსევდ.: ქორჩიანი ტოროლა, ისახარ, მეგობარი და სხვ.) (1886-1976), საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, საქართველოს ისტორიის მკვლევარი, 1923-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ჟორდანია ნოე** (ფსევდ.: კოსტროვი, ანი, ნარი, ნარიძე, ნ. ჟ-ია, ნ. ჟ-ნია, ნ. ჟ. და სხვ.) (1868-1953), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918 წლის 24 ივნისიდან. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ჟურული გიორგი** (ფსევდ.: გ-ლი, გ. ჟ. და სხვ.) (1863-1951), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917) წევრი, 1918 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობ-მრეწველობის მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**რამიშვილი ნოე** (ფსევდ.: პეტრე, სემიონოვი ნ., ნ. რ. და სხვ.) (1881-1930), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე 1918 წლის 24 ივნისამდე, 1919-21 შინაგან საქმეთა მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**სალაი კალისტრატე** (კალე) (1901-1986), პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, ქართველოლოგი, ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (1965), ხმელ-

თაშუა ზღვის ქვეყნების აკადემიის წევრი (1968), საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო უცხოელი წევრი (1977), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1983).

**სალირაშვილი დავით** (ფსევდ.: დ. თბილისელი) (1887-1962), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1922 წელს საბჭოთა მთავრობამ იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, დააპატიმრა და საზღვარგარეთ გაასახლა. 1937-39 ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფის აქტიური წევრი, ჟურნალ „კავკასიის“ (ბერლინური ქართული სერიის) რედაქტორ-ადმინისტრატორი.

**სინჯიკაშვილი** (სინდიკელი) **დიმიტრი** (დიტო) (ფსევდ.: ივერიელი) (?-1976), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ტეგანოვი** – სომეხი ემიგრანტი.

**ურატაძე გრიგოლ** (გრიშა) (1878-1959), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. გრიგოლ ურატაძის მიერ ხელმოწერილი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა იურიდიულად იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ფირცხალავა სამსონ** (ფსევდ.: სიტყვა, კალამი, სანვინი და სხვ.) (1872-1952), პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, გაზეთ „სახალხო გაზეთის“ რედაქტორი (1917-21), საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ქარუმიძე შალვა** (1885-1952), პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ქიქოძე გერონტი** (1885-1960), მწერალი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე.

**ქიქოძე თინათინ** (1916-1997), მთარგმნელი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.

**ყიფიანი ალექსანდრე** (ფსევდ.: ალ. ყი) (1889-1968), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, მაიორი, პუბლიცისტი, იურისტი. 1918-იდან მსახურობდა დამოუკიდებელი საქართველოს არმიასში, მონაწილეობდა 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ყიფიანი ელისაბედ** (ლიზა) (1892-1963), რევაზ გაბაშვილის ცხოვრების თანამგზავნი ემიგრაციაში.

**შალიკაშვილი დიმიტრი** (ფსევდ.: დ. შა-ლი, შალი და სხვ.) (1896-1978), სამხედრო მოღვაწე, მაიორი, პუბლიცისტი, დიპლომატი, I მსოფლიო ომის მონაწილე, იბრძოდა რუსეთ-გერმანიის ფრონტზე. 1918-იდან მსახურობდა საქართველოს სამხედრო სამინისტროს უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებაში. 1921 წლის თებერვალში ანკარაში იმყოფებოდა, როგორც საქართველოს მთავრობის საელჩოს თანამშრომელი და ემიგრაციაში დარჩა. 1922 წლის ნოემბრიდან სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად, მარშალ პილსუდსკის მიწვევით პოლონეთში გაემგზავრა. კონტრაქტით მსახურობდა პოლონეთის არმიასში.

**შარაშიძე დავით** (ფსევდ.: დ. შ.) (1886-1935), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919). 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ჩერმოვი თაფა** (1982-1936/37), მთიელთა რესპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნებით ჩეჩენი, ნავთობმრეწველი, მასონთა ლოჟის წევრი. 1919-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო** (ქაქუცა) (1888-1930), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, საქართველოს ეროვნული გმირი. 1922-24 ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ პოლიტიკური ემიგრანტი.

**ჩუბინაშვილი გიორგი** (1885-1973), მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941).

**ჩხენკელი აკაკი** (ფსევდ.: აკ. ჩ-ლი, აკ. ჩხ., ანჩინ და სხვ.) (1874-1959), პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, 1918 ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, 1918 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ციციშვილი ელენე** (ელიკო) (1915-?), პარიზის სათვისტომოს წევრი. 1947 წელს მამასთან, სვიმონ ციციშვილთან, მეუღლესთან, ირაკლი ლორთქიფანიძესთან და ორ შვილთან ერთად საბჭოთა საქართველოში დაბრუნდა. 1951 წლის 4 დეკემბერს სუკ-ის აგენტებმა დააპატიმრეს სვიმონ ციციშვილი, მისი ქალიშვილი და სიძე. „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით სვიმონ ციციშვილს დახვრეტა მიესაჯა, ირაკლი ლორთქიფანიძეს 25 წლით, ხოლო ელენე ციციშვილს – 10 წლით გადასახლება; ბოლო მომენტში სვიმონ ციციშვილს, დახვრეტა ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს, საიდანაც 10 წლის შემდეგ დაბრუნდა და ცხოვრობდა თბილისში ქალიშვილთან – ელენესთან (ელენე 1956 წელს გაათავისუფლეს). ელენე ციციშვილი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში ფრანგულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

**ციციშვილი ზურაბ** (1903-1967), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1937-39 შედიოდა ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიაში“.

**ციციშვილი სვიმონ** (1886-1973), პოლიტიკური მოღვაწე, ინჟინერ-გეოლოგი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი, ბაგრატიონ გრუზინსკების ჩამომავალი. 1920 წელს ნავთობმომპოვებელი კომპანიის მიწვევით საფრანგეთში გაემგზავრა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, ემიგრაციაში დარჩა. 1928-იდან შედიოდა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციაში, 1942 წელს მიხაკო წერეთელთან ერთად მონაწილეობდა „ქართული ეროვნული კომიტეტის“ შექმნაში, 1942 წელს დაასახელეს საქართველოს სამეფო ტახტის პრეტენდენტად, რაზედაც უარი განაცხადა ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის სასარგებლოდ. 1947 წელს ქალიშვილთან, ელენე ციციშვილთან, სიძესთან, ირაკლი ლორთქიფანიძესთან და ორ შვილიშვილთან ერთად საბჭოთა საქართველოში დაბრუნდა. 1951 წლის 4 დეკემბერს სუკ-ის აგენტებმა დააპატიმრეს სვიმონ ციციშვილი, მისი ქალიშვილი და სიძე. „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით სვიმონ ციციშვილს დახვრეტა მიესაჯა, ირაკლი ლორთქიფანიძეს 25 წლით, ხოლო ელენე



ნე ციციშვილს – 10 წლით გადასახლება. ბოლო მომენტში სვიმონ ციციშვილს, დახვრეტა ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს, საიდანაც 10 წლის შემდეგ დაბრუნდა და ცხოვრობდა თბილისში ქალიშვილთან – ელენესთან (ელენე 1956 წელს გაათავისუფლეს).

**კომაია ალექსანდრე** (საშა) (ფსევდ.: ახალი ივერიელი) (1907-1956), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ნერეთელი მიხაკო** (მიხიელ) (ფსევდ.: მ. სანგალა, ალაროდელი, ვრაცი, **Báton, um camarade** და სხვ.) (1878-1965), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, ფილოლოგი, პუბლიცისტი, სოციოლოგი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ჭაჭანიძე ივანე** (1885-1946), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ჭაჭიაშვილი გიორგი** (ჭაჭი), პოლიტიკური მოღვაწე, ექიმი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1937-39 შედიოდა ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიაში“.

**ჯაბადარი გიორგი** (1888-1938), რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე და პედაგოგი. 1918 წელს მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართული დრამატული თეატრი-სტუდია (ე. წ. ჯაბადარის სტუდია), რომელსაც 1920 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1920 საქართველოს ეკონომიკურ დელეგაციასთან ერთად ევროპაში გამგებავრა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის, კ. კანდელაკის, თანაშემწე იყო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში დარჩა.

**ჯავრიშვილი კონსტანტინე** (კოსტია), საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, პარიზის სათვისტომოს წევრი.

**ჯავრიშვილი შალვა** (შალიკო) (1896-1946), სამხედრო მოღვაწე, საქართველოს ეროვნული არმიის კავალერიის ოფიცერი, 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიციული. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ჯამალიანი** (ნამდვ. გვარი – ისაკიანი) **არშაკ** (1882-1940), სომეხი პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, დიპლომატი, დაშნაკუტუნის პარტიის წარმომადგენელი, სომხეთის ეროვნული საბჭოსა (1917) და ამიერკავკასიის სეიმის (1918) წევრი, 1918-19 სომხეთის ელჩი საქართველოში, 1920 სომხეთის კავშირგაბმულობის მინისტრი. 1920-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ჯაყელი გიორგი** (გოგი) (1901-1984), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1937-39 შედიოდა ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიაში“.

**ხაჩატუროვი** – პარიზში მცხოვრები სომეხი ემიგრანტი.

**ჰატონი ბარბარა** (1912-1979), ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალი, „უნივერსალების მეფის“ ქალიშვილი, ალექსი მდივნის მეუღლე (მეორე ქორწინება).

## დამონებანი

1. გვაზავა 1926: გვაზავა გ., „ეროვნული ფრონტი“, გაზ. „მამულიშვილი“, №1, პარიზი, 1926.
2. შარაძე 2001: შარაძე, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. II, გვ. 7, თბილისი, 2001.
3. მამულიშვილი 1926: გაბაშვილი რ., „ნაცადი გზით“, გაზ. „მამულიშვილი“, (19 №1, პარიზი, 1926.
4. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VIII, გვ. 401-402, თბილისი, 2005.
5. მამულია 2012: მამულია გ., „Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945)“, ст. 296-305, Тбилиси-Париж, 2012.
6. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VIII, გვ. 405, თბილისი, 2005.
7. მამულია 2012: მამულია გ., „Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945)“, ст. 326, Тбилиси-Париж, 2012.
8. მამულია 2012: მამულია გ., „Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945)“, ст. 297-298, Тбилиси-Париж, 2012.
9. ამირეჯიბი 1998: ამირეჯიბი შ., „ვარშავაში. ტრიუმფირატი. კიდევ საერთო ფრონტი. ნ. რამიშვილი“, წიგნი II, გვ. 186-207, თბილისი, 1998.
10. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VIII, გვ. 399, თბილისი, 2005.
11. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VIII, გვ. 401, თბილისი, 2005.
12. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VI, გვ. 7, თბილისი, 2005.
13. შარაძე 2001: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. I, გვ. 381, თბილისი, 2001.
14. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VIII, გვ. 401, თბილისი, 2005.
15. მამულია 2012: მამულია გ., „Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945)“, ст. 320, Тбилиси-Париж, 2012.
16. ჩხენკელი აკ., „სახელმწიფო და ერი“, პარიზი, 1939.
17. ქართველები უცხოეთში 2012: „ქართველები უცხოეთში“, წიგნი I, გვ. 29, თბილისი, 2012.
18. ურუშაძე 2010: ურუშაძე ლ., „პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიისათვის“, გაზ. „ქართული უნივერსიტეტი“, №63-64, 6-12 მაისი, 2010.
19. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VIII, გვ. 7, თბილისი, 2005.
20. შარაძე 2001: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. II, გვ. 79, თბილისი, 2001.
21. ურატაძე გრ., „საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წწ.“, პარიზი, 1939.

**Letters by Rezo Gabashvili to Shalva Amirejibi  
Materials for the Research of Georgian Emigration**

Publication by **Lali Tsomaia**

**Summary**

Epistolary inheritance protected in Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature represents one of the most important documents in terms of studying Georgian Emigration history.

Given letters by Rezo Gabashvili to Shalva Amirejibi describe their activities during emigration. While in emigration both R. Gabashvili and Sh. Amirejibi were members of the group named "Caucasus" organized by Haidar Bamat. This group were co-operated with journal "Caucasus" to continue struggle for independence of Georgia. The main aim of the journal supported the idea of liberation Caucasus from occupation and creating the confederation of Caucasian countries. "Caucasus" was issued in Paris and Berlin however after the signing of the Pact of Molotov-Ribbentrop (23 August, 1939) anti-Bolshevik organizations were banned and publication was suspended.

In conclusion, these letters allow the researchers, historians, writers and readers to discover unknown episodes from the life of Georgian Political Emigration.

# გრიგოლ დიასამიძის წერილები შალვა ამირეჯიბს

მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის

ლალი ცომაიას პუბლიკაცია

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული გრიგოლ დიასამიძის წერილები ქართული ემიგრაციის ისტორიისა და კვლევის შესწავლის საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფურცელს წარმოადგენს.

გრიგოლ (გიგო) დიასამიძე აქტიურად იყო ჩაბმული ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მის სახელთანაა დაკავშირებული ბერლინში საგამომცემლო საზოგადოების „*Neue Osten*“ („ახალი აღმოსავლეთი“) დაარსება; გერმანელ ქართველოლოგ რიჰარდ მეკელაინთან ერთად რედაქტორობდა ყოველთვიურ ჟურნალს „*Morgenland*“ („ახლო აღმოსავლეთი“); ეხმარებოდა კონსტანტინე ბალმონტს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნაში, რომელიც 1933 წელს დაიბეჭდა პარიზში, დავით ხელაძის სტამბაში. 1934-35 წლებში ბერლინში თავმჯდომარეობდა ქართულ სათვისტომოს. 1936 წელს ბერლინის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის შემსწავლელი ინსტიტუტის ნამდვილ წევრად აირჩიეს. 1937-39 წლებში შედიოდა ჰაიდარ ბამატის მიერ დაარსებულ „კავკასიის“ ჯგუფში (შარაძე 1993:).

1930-იან წლებში, გერმანიაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დროსაც არ ჰკარგავს იმედს და ცდილობს გამოსავალი იპოვოს, ენერგიულად ებრძვის შეჭირვებულ ყოფას. ამასთან ერთად, გულწრფელად ახარებს პარიზში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაარსება, ქართული წარმოდგენის გამართვა; მიესალმება ჟურნალ „კავკასიის“ ქართულ ენაზე გამოცემას და შალვა ამირეჯიბს სწერს: „მიხარია, რომ დაარსეთ ქართული ორგანოც. იმედი მაქვს დამოუკიდებელი იქნება, თორემ არ იკისრებდი მეთაურობას. სადაც შენ ხარ და ჩვენი ზურაბი (ავალიშვილი – ლ. ც.), იქ თვალდახუჭული მეც გავძლებ. მეტად საგულისხმოა, რომ თქვენს გამოცემებს აცილებული აქვს პროვინციალური ელფერი...“ აინტერესებს და თვალყურს ადევნებს პარიზსა და ბერლინში დასტამბულ ქართულ გამოცემებს, თავდაც აქტიურად თანამშრომლობს ემიგრანტულ ქართულ პრესაში: „კავკასია“, „კლდე“, „ქართველი ერი“ და სხვ.

წერილები, უმთავრესად, გრიგოლ დიასამიძის ჟურნალ „კავკასიაში“ მოღვაწეობას შეეხება; მაგრამ მათში ნათლად იკვეთება იმჟამად ბერლინის ახალშენში მიმდინარე მოვლენები და ის ინტრიგები, რომელიც ქართული

ემიგრაციის ცხოვრებას თან ახლდა. ალბათ, მოსაძიებელი იქნება გიგო დიასამიძის ის ჩანაწერები, რომლებშიც, როგორც თავად აღნიშნავს „ქართულ უკუღმართობათა“ შემთხვევები აქვს აღწერილი „განმარტებებით“. საყურადღებოა, ასევე, 1933 წლის 10 ივნისს, ბერლინში შექმნილი – „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია გერმანიაში“ – „კრების რეზოლუცია“ და ამ ორგანიზაციის წევრთა თავდაპირველი სია, რომელიც გაზეთ „თეთრი გიორგის“ 1933 წლის 68-ე ნომერში იყო გამოქვეყნებული (ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ შევძელით გაზეთის ამ ნომრის მოძიება). გრიგოლ დიასამიძეს ამ ორგანიზაციის შექმნის ისტორიაც ჰქონია აღწერილი თავის ჩანაწერებში.



**შალვა ამირეჯიბი** (სლმ. №9683-ი., შალვა ამირეჯიბის არქივი, თბილისი).



**გრიგოლ დიასამიძე** (სლმ. №3058-დ., გრიგოლ დიასამიძის არქივი, თბილისი).

გრიგოლ დიასამიძის წერილები 1931-38 წლებით თარიღდება და ძირითადად, ბერლინიდანაა გაგზავნილი პარიზში, სადაც იმხანად შალვა ამირეჯიბი ცხოვრობდა.

ვფიქრობთ, ეს ბარათები მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ქართული ემიგრანტული ისტორიის მკვლევართ და ამ თემით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

წერილები იბეჭდება უცვლელად, ავტორისეული სტილის დაცვით.

**ძვირფასო ძმად და მეგობარო შალვა!**<sup>1</sup> შენ არ ეკუთვნი, დარწმუნებული ვარ, იმ ჩვეულებრივ ხალხს, რომელიც მეგობრის გაჩუმებას ხსნის უსაბაბოდ ან დავიწყებით, ან დამდურებით, ან კიდევ სხვა კერძო მიზეზით. დარწმუნებული ვარ იმაშიაც, რომ წერილი ჩემი გაგებარდება, მაგრამ ვაი, რომ გასახარელს ვერას მოგწერ ჯერ-ჯერობით.<sup>2</sup> შენი წასვლის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა ძალიან გაართულდა. ისე ამეხლართ-დამეხლართა საქმეები, რომ როგორ ვსუნთქავთ მამა-შვილი, სწორედ სასწაულებრივია. გართულებამ მიაღწია მწვერვალს მაშინ, როცა არა-ჩვეულებრივმა<sup>3</sup> კრიზისმა, პოლიტიკურმა და ეკონომიურმა იჩინა აქ თავი. ვაშა ამ ხალხს, რომელიც სხვებივით არ იბნევა. იმედი არ დაუკარგავს და ახლა ვხედავთ, თუ როგორის ენერგიით ებრძვის საშინაო პირობებს. წარმოიდგინე ჩვენც არ დაგვკარგვია საქმეთა გამოსწორების იმედი – არც ერთ წუთს, თუმცა ცხოვრება მეტად გაგვიძნელდა, გუნებაც წავვიხდა. ამ წერილს გწერ სოფლად ერთ კეთილშობილ და რიგიან გერმანელის ოჯახში (რიჰარდ შტაინჰაუზენის, რომელიც საშა ქორქიამ გამაცნო). აქ გამოვექეციტე საშინელ სიტყვებს ქორქიას ოჯახობა, მე და ჩემი ქალიც. ამიტომ დრო მაქვს და შემიძლია ვრცელი წერილი მოგწერო. შენი წასვლის შემდეგ მომივიდა რაჟდენის<sup>4</sup> წერილი. დიდის სიმპათიით<sup>5</sup> გიხსენებს. ელოდა და ელის შენს მოსვლას. აგრეთვე სხვა მეგობრებიც. პავლე<sup>6</sup> შენს შემდეგ არ მინახავს. ისე წავიდა აქედან, რომ არ შეუტყობინებია. მისმა მეგობრებმა მიაბა, რომ დიდ ქონებრივ კრიზისს განიცდისო. მარია-ა-ც<sup>7</sup> ჯერ არ დაბრუნებულა. როგორც დაბრუნდება ვნახავ უეჭველად და საგულისხმოს მოგწერ. შონებერგელი მეგობრები სშირად გკითხულობენ. კავშირს ამათთან არა ვწყვეტ. კარგი ხალხია. არც ერთ წუთს შენზე ფიქრი არ შემინწყვეტია. მე მინდა უეჭველად, ისეთი რამე შევქმნა აქ, რომ ჩვენ და შენ გვარჩინოს. ამის იმედი არ დამიკარგავს. ფულსაც ვისესხებ სამრეწველო ან სავაჭრო საქმის გამოსაწყობად. ამ დღეებში კინალამ გავათავე თამბაქოს მალაზიის შექმნის საქმე. ამავე მალაზიასთან ბინა იყო, სადაც ერთი პატარა კუნჭული სწორედ შენთვის მქონდა განზრახული, მაგრამ ფასში ვერ შევთანხმდით. შემოსავალი კარგი ჰქონდა ამ საქმეს. შენც მალაზიაში უნდა მყოლოდი, თუ შენი სურვილი იქნებოდა. ხელი ხომ არ აიღე აქეთკენ გადმოსვლაზე? ან იქნებ გინდა რაჟდენის მიპატიჟება მიიღო? ყველაფერზე, გთხოვ, პასუხი ახლავე შემატყობინო. ყველა იმაზე, რასაცა გწერ ნურავის ნურასფერს<sup>8</sup> ეტ-

1 სლმ. №26964-345-ბ., შალვა ამირეჯობის არქივი.

2 sic!

3 sic!

4 იგულისხმება რაჟდენ (მიშა) არსენიძე.

5 sic!

6 უნდა იგულისხმებოდეს პავლე მოსულიშვილი.

7 მარია-ა – ?

8 sic!

ყვი. ძალიან გამახარა ორმა ამბავმა: ეკლესიის დაარსებამ<sup>9</sup> და პირველ ქართულ წარმოდგენის გამართვამ.<sup>10</sup> ეს დიდი საქმეა. ქართული კულტურული საქმიანობა უნდა გაჩაღდეს აქ, თუ კიდევ ქართული ქუდი გვზურავს. ალექსი წერეთელს მივწერე და პასუხს ველი. შეგატყობინებ შინაარსს. თუ გინდა პირადად ნახო, მოგწერ ნერილს და მიუტანე. შენ გენაცვა, შენი მდგომარეობა დაუფარავად შემატყობინე, გაფიცებ პატიოსნებას. შენთვის დიდი წერილის მონტრა მინდოდა, მაგრამ მართალი გითხრა სჯობია ოდესმე პირისპირ ვიბაასოთ. გამოვა „კავკასიონი“<sup>11</sup> თუ არა და დაიბეჭდება იქ შენი ნაწარმოები თუ არა? წამოვიდენ აქედან ლადო ახმეტელი, რომელიც, უეჭველია, გნახავდა აქამდინ და მიხეილ ყაუხჩიშვილი. „ნეზავისიმი კავკაზის“<sup>12</sup> ნომრები გამოვიგზავნე ვისიმე სანდო ხელით, აგრეთვე ცნობები, რომელ გაზეთში, როდის და რომელ ნომერში დაიბეჭდა გერმანულად წერილი დათა ვანდაძისა? თუ იცი, რა და რა ქართული გამოცემები (წინანდელი დროის) შეიძლება იშოვოს კაცმა პარისში?<sup>13</sup> არის ჩემი „თემი“<sup>14</sup> თუ არა? აგრეთვე რუსული „რესპუბლიკა“<sup>15</sup> (ჩემი რედაქციის)? – გიორგი ჯაბაძარი ძალიან გემდურება – ველოდი მოუთმენლად მის მოსვლასო. იქნებ განვახორციელოთ ახლა თუ „ნალები“ გამოვიგზავნეთ აქედან (არ გეწყინოს!). შემატყობინე ელენე აფხაზის მისამართი. უნდა მივწერო მოსაკითხი წერილი. ველი შენს პასუხს მოუთმენლად. ნუ გადამიხდი მაგიერს!

*იყავი კარგად! მარად შენთვის კეთილის მოსურნე  
ერთგული ძმა და მეგობარი გიგო*

- 
- 9 იგულისხმება პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელშიც 1931 წლის 31 მაისს გრიგოლ ფერაძემ პირველი წირვა აღავლინა (*კობახიძე 2009*).
- 10 1931 წელს შალვა ნებიერიძის ხელმძღვანელობით პარიზში დაარსდა დრამატული წრე, შემდეგ, მუდმივი დასი. დასმა ტრისტან ბერნარის, ლანკორისა და ალბერტის თეატრებში წარმოადგინა: აკ. წერეთლის „პატარა კახი“, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ალ. შანშიაშვილის „ლატავრა“. სპექტაკლების გარდა, დრამატული საზოგადოება მართავდა საღამოებსა და კონცერტებს (*დაუშვილი 2012*).
- 11 ჟურნალი „კავკასიონი“ – ხელოვნებისა და მეცნიერების ყოველთვიური კრებული. რედაქცია და გამომცემლობა: ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება (1929 წ., №№1-3); ქართველ მწერალთა გამოცემა (1930-32 წწ., №№4-8) (*შარაძე 2003*).
- 12 ჟურნალი „Независимый Кавказ“ – კავკასიის კონფედერაციული აზრის ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1929 წ. (*შარაძე 2005*).
- 13 sic!
- 14 „თემი“ – ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1911-15 წწ. რედაქტორები – გრ. დიასამიძე (1911-იდან 1912 წლის 6 ივლისამდე), ს. მგალობლიშვილი (1912 წლის 6 ივლისიდან 10 სექტემბრამდე), შემდეგ ისევ გრ. დიასამიძე, რომელიც „თემის“ გამომცემელიც იყო. 1912-13 წწ. გაზეთს ჰქონდა ამავე სახელწოდების სურათებიანი ლიტერატურული დამატება; 1914 წელს „თემის“ გამოცემის დროებით შეწყვეტის გამო რედაქცია უშვებდა ცალკე ფურცლებს – „დღიურებს“ (*ქსე 1979*).
- 15 „Республика“ – ყოველდღიური არაპარტიული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1917-18 წწ. (*Зерцалов 1941*).





## 2.

*Mr. Chalva Amirédjibi  
Issy-les-Moulineaux  
(Seine)  
Frankreich  
12, av. Bourgein<sup>16</sup>*

[4.1.1932]

**ძვირფასო და საყვარლო ძმაო შალვა,**<sup>17</sup> ნუხელის არჩილ მეტრეველმა მითხრა, რომ შენ გაგიკეთეს აპენდიციტის ოპერაცია. ჩვენ ყველანი ველით შენს ამბავს მოუთმენლად. თუ შენ არ შეგიძლიან მოგვწერო, სხვას მოაწერინე. გილოცავთ ახალწელს და გვიხარია, რომ შორს გადასტყორცნე ის, რაც შენთვის საჭირო არ იყო... ახლა შენ იცი, თუ როგორ გამოგვეხმაურები. შენმა მოთხრობამ „კავკასიონში“ ძალიან დაგვაინტერესა.

*შენი გიგო  
Sascha Abkhazi<sup>18</sup>  
Thamar Thinatin Abchasi<sup>19</sup>*

ჩემგანაც დიდი სალამი.

ლოლა<sup>20</sup>

*Abs. A. Abkhazi Berlin-Zehlendorf  
Postdamerstz. 29<sup>21</sup>*

## 3.

*ბერლინი  
14.8.37*

**ჩემო ძვირფასო შალვა!**<sup>22</sup> ველოდი შენს წერილს, მაგრამ ახლა კი გწერ თვითონ. მიხარია, რომ დაარსეთ ქართული ორგანოც.<sup>23</sup> იმედი მაქვს დამოუკიდებელი

16 ბ-ნ შალვა ამირეჯიბს, ისი-ლე-მულინო (სენა), ფრანკრაიში, ბურჟენის მოედანი №12 (ფრანგ.).

17 სლმ. №26964-338-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

18 საშა აფხაზი.

19 თამარ თინათინ აფხაზი.

20 იგულისხმება ელენე (ლოლა) დიასამიძე.

21 ადრესანტი ა. აფხაზი, ბერლინი-ცელენდორფი, პოტსდამშტრასე №29 (გერ.).

22 სლმ. №26964-343-ხ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

23 იგულისხმება ჟურნალი „კავკასია“ – დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო, გამოდიოდა პარიზსა და ბერლინში 1937-39 წწ., ჟურნალის პარიზული ქართული სერიის რედაქტორ-ადმინისტრატორი იოსებ გვარამაძე გახლდათ, ხოლო ბერლინურის – დავით სალირაშვილი (შარაძე 2005:).

იქნება, თორემ არ იკისრებდი მეთაურობას.<sup>24</sup> სადაც შენ ხარ და ჩვენი ზურაბი, იქ თვალდახუჭული მეც გავძლებ. მეტად საგულისხმოა, რომ თქვენს გამოცემებს აცილებული აქვს პროვინციალური ელფერი. მე გიგზავნი წერილს. არ ვიცი მოგეწონება, თუ არა? გიგზავნი ამასთანავე იოსებ დადიანის შესახებ ამბავს.<sup>25</sup> ჩვენი ახალშენი კმაყოფილი დარჩება, თუ დასტამბავ. ამ დღეებშივე მოგანვდი ერთს პატარა ისტორიულ ნარკვევს. ჩემის მხრით მასალას ბევრს გამოგიგზავნი ხოლმე – ვაი, რომ ადგილი ნაკლები გაქვთ. შემდეგ ნომრისათვის გამოგიგზავნი წერილებს ილიას შესახებ და კავკასიის ერთიანობის გამო. რადგანაც ჩემი წერა „გუნებაზე“ ჰკიდა, მე ვჩქარობ დაწერას, რომ შემდეგ არ მიღალატოს მან. როცა მოვათავებ მაშინვე გაახლებს ხოლმე. სწორედ ამ მისმა ლალატმა უპიროდ დამიტოვა ჰაიდართან<sup>26</sup> და ამიტომ აქამდინ ვერ მოვუთავებ დაპირებული წერილი. ამ მოკლე ხანში გავათავებ და ვახლებ. – მომიკითხე ზურაბი სულით და გულით. ვწუხვარ – ისე მოვიდა და ისე წავიდა, რომ არა შემატყობინა წინასწარ არაფერი. მართალია, შემოიარა ერთხელ, მაგრამ ჩვენ შინ არ ვიყავით. არც მისამართი დამიტოვა. როცა შევიტყე და დავურეკე, მიპასუხეს გუშინ წავიდაო. საზოგადოდ კარგი იქნებოდა, რომ აქ ყოფილიყო: ბევრია გასაკეთებელი. მეშინია მას აქაურობის ამბავი ცალმხრივად აქვს გაგებულები – შეიძლება შენც. ერთადერთი სერიოზული დამტკიცებული ორგანიზაცია, რომელსაც ანგარიშს უწევენ შინაურნი და გარეშენი – ეს ჩვენი ახალშენია. ამის ნესდება ახლად დამტკიცებულია.<sup>27</sup> იგი აგებულია მეთაურობის საფუძველზე. ამ ჟამად მეთაურათ გვეყავს ალექსანდრე აფხაზი, რომელსაც შენც კარგად იცნობ. ნევრები ბლომადა გვეყავს. შემომწერალი არიან ჩვენზე რამდენიმე ჟორდანიელი, ბუტია მიხაკოს<sup>28</sup> ორნახევარი მიმდევარი, აგრეთვე ალექსანდრე ნიკურაძის ორიოდე მახლობელი, თვითონ მან და მისმა ძმამ,<sup>29</sup> როგორც სამსახურში მყოფმა მოხელეებმა, მიიღეს გერმანული მოქალაქეობა. ზოგიერთნი აქაც შენზე ბევრს ჭორს ავრცელებენ, მაგრამ ამით მხოლოდ თავს ირცხვენენ მართალია, მაგრამ ყოველგვარი ქართველებში მომხდარი უღირსი ამბავი საერთოდ ვნებს ქართველი კაცის აქამდინ უმნიშვნელო სახელს. საძაგლად იქცევა ტიტე „ფონ“-მ-ლი.<sup>30</sup> მე რომ აქ არ ვყოფილიყავი, მას მოელოდა მკაცრი სასჯელი ცილისწამებისათვის. მას უშველა მხოლოდ იმან, რომ სიტყვები უკან წაიღო და მწუხარება განაცხადა შეცდომისათვის. მე მის მოპირდაპირეს ვსთხოვე ამით დაკმაყოფილებულიყო და საქმე არ გაეგრძელებინა. მაგრამ დადგება დრო და ყველა გარეშე მდგომნი იძულებული გახდებიან ახალშენს შეაფარონ თავი, რადგანაც აქაური წესი და რიგი მოითხოვს დარაზმვას. ამას გწერ იმიტომ, რომ გულმართალი ხარ და არ დამწამებ

24 ჟურნალ „კავკასიის“ ქართულ სერიას შალვა ამირეჯიბი ხელმძღვანელობდა.

25 იგულისხმება გრ. დიასამიძის მიერ 1937 წელს ბერლინში ახალშენის ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა – „თავად იოსებ დადიანის სამახსოვროდ“ (იხ. ჟურნ. „კავკასია“ №4, გვ. 30-31, სექტემბერი, პარიზი, 1937).

26 იგულისხმება ჰაიდარ ბაშატი.

27 იგულისხმება 1922 წელს შექმნილი „ქართველ მოქალაქეთა საზოგადოება გერმანიაში“ (Gesellschaft Buerger in Deutschland e. V), რომელსაც 1937 წელს სახელი გადაერქვა და „ქართველთა ახალშენი გერმანიაში“ (Georgische Kolonie in Deutschland e. V) ეწოდა (ბაქრაძე 2015).

28 იგულისხმება მიხეილ (მიხაკო) წერეთელი.

29 იგულისხმება ივანე (იოჰან) ნიკურაძე.

30 იგულისხმება ტიტე მარგველაშვილი.

ტენდენციურობას სხვასავით, ვისაც სიმართლე არ უყვარს და სხვა შეხედულებით და განზრახვით ხელმძღვანელობს. აქაურ ქართულ უკულმართობათა შემთხვევებით აწერილი მაქვს განმარტებებით – საინტერესო დოკუმენტია ლტოლვილთა ცხოვრება-ყოფის დასახასიათებლად. ლოიალური – ქართველობის წინაშე – ელემენტი მინც არც ისე ნაკლებად გვყავს, რომ თავი მთლად შევირცხვინოთ. – ზურაბის წერილმა საზღვრებზე<sup>31</sup> აქ აღიაქოთი ასტეხა სწორედ იქ, სადაც მას თავის „მენაჯერები“<sup>32</sup> ეგულება. ვერასფერს დააკლებენ, რამდენიც უნდა იყებოდნ. საერთოდ ზურაბის მთავარაზრის მომხრე ვარ, მაგრამ ლაზებზე ასე კათეგორიულად<sup>33</sup> არ ვიტყვოდი, რომ გადაგვარებულნი არიან. საერთოდ ამ საკითხის გამო მინდა ცოტა რამ გამოვსთქვა. სამწუხაროდ ჩვენში მრავალნი პოლიტიკოს-ბალებს წარმოადგენენ. – ჩემს წერილებს (რუსულს) თუ მოისურვებ ქართულადაც მოთავსებას, მე სიამოვნებით მოგაწვდი ჩემს თარგმანს. ჰაიდარს გავუგზავნე ივ. ჯავის<sup>34</sup> წიგნის (სომხის ძველი მწერლობა) მიმოხილვა.<sup>35</sup> თუ შენც გსურს, მე მოგართმევ უფრო ქართველი მკითხველისათვის შეფერებულ ტექსტს. საერთოდ ერიდეთ თარგმანების სტამბვას: ჩვენს მკითხველს არ უყვარს. საჩვენოდან ამბების გადმოღების დროს საჭიროა ჩვენი სიტყვით მოყვანა – სიტყვა „ამხანაგი“ არ უნდა იხმარებოდეს, თორემ კანონდება ჩვეულება. –

გთხოვ, შემატყობინო სიტყვა „მორდალი“<sup>36</sup> რუსულად ან ფრანგულად რას უდრის? – იქნება შემატყობინო მისამართები ვ. ლ-ძის,<sup>37</sup> ვანო ზურ-ის,<sup>38</sup> დათა ვ-ძის<sup>39</sup> და გიორგი გვ-ასი.<sup>40</sup> – ქართულს დიდი ყურადღება მიაქციეთ. შევნიშნე ზოგირამ<sup>41</sup> – მერე მოგწერ. თუ ვსწერთ: ქართველი ერი, საზ-ება, უნდა ვწერთ: ქართველი ახალშენი, ეკლესია, როცა შეკრებილობაზეა ლაპარაკი და არა შენობაზე.<sup>42</sup> ამაზედაც მერე მოგწერ, თორემ ისედაც მოგაბეზ-

31 იგულისხმება ზურაბ ავალიშვილის წერილი – „კავკასიის ერები და ირრედენტიზმი“ (იხ. ჟურნ. „კავკასია“, №3, გვ. 7-13, აგვისტო, პარიზი, 1937).

32 manager – მენეჯერი (ინგ.).

33 sic!

34 იგულისხმება ივანე ჯავახიშვილი.

35 იხ. Григор Диасамидзе, „Древняя армянская историческая литература“, ж. „Кавказ“, №10/46, октябрь, 1937.

36 მორდალი, მორდარი, მურდარი (<სპარს. მოჰრდარ – ბექდის მცველი), მეფის ბექდის მცველი XVII-XVIII სს. საქართველოში. მორდალი მეფის „მისანდო და ხეაშიადის შემნახავი“ იყო. მას ევალებოდა მეფის მიერ გაცემულ საბუთზე ბექდის დასმა და პატრონისათვის ჩაბარება. ამისათვის მორდალი საბუთის პატრონისგან გასამრჯელოს ღებულობდა. მორდალი სახლ-თუხუცესს ექვემდებარებოდა. XVIII ს. II ნახევარში 2 სამეფო მორდალი იყო (ქართლისა და კახეთისა). მორდალი დედოფალსაც ჰყავდა (ქსე 1984:).

37 იგულისხმება ვახტანგ ლამბაძე.

38 იგულისხმება ივანე (ვანო) ზურაბიშვილი.

39 იგულისხმება დავით (დათა) ვაჩნაძე.

40 იგულისხმება გიორგი გვაზავა.

41 sic!

42 ლამა ბაქრაძე თავის პუბლიკაციაში – „ალექსანდრე აფხაზი“ შენიშნავს, რომ 1922 წელს შექმნილ „ქართველ მოქალაქეთა საზოგადოებას გერმანიაში“ (Gesellschaft Georgischer Buerger in Deutschland e. V) 1937 წელს სახელი გადაარქვეს და უწოდეს „ქართველთა ახალშენი გერმანიაში“ (Georgische Kolonie in Deutschland e. V, როგორც ჩანს, შეცდომით ახალშენის სატიტულო ფურცელზე ქართველი (!) ახალშენი წერია) (ბაქრაძე 2015:).

რე თავი. შენი ნახვა ძალიან გვინდა ჯერ მამა-შვილს, მერე ბევრ სხვასაც. არ შეიძლება ცოტახნით<sup>43</sup> გამოისერნო? იფიქრე ამაზე. აქ ბერლინის 700 წლისთავს დღესასწაულებზე დიდის ზეიმით. მოკლე ამბად გადმოგცემ ქართველისათვის საგულისხმოდ, თუ გესურვება – ისტორია საინტერესოა: ჩვენ ტფილისსაც ხომ დიდებული ისტორია აქვს, უფრო კი მარტვილობა – ეს კიდევ ნაკითხული მაქვს აქ. მიიღე ჩემი და ლოლას სალამი და მოგვიკითხე ჰაიდარი, როგორ არიან ანეტა<sup>44</sup> და ჩემი ნათლული დათო?<sup>45</sup> იყავი კარგად, ჩემო შალვა.

მარად შენი ერთგული,  
უკვე დაბერებული მეგობარი გიგო

#### 4.

*Ch. Amirdjibi*  
*Journal georg.*  
*„Le Caucase“*  
*„Kavkasia“*  
*Paris 14<sup>e</sup>*  
*73, rue Froidevaux, 73*  
*Frankreih<sup>46</sup>*

ბერლინი  
17.10.37

**ძვირფასო შალვა,**<sup>47</sup> სწორედ სამწუხაროა, რომ ვერ მივიღე შენგან პასუხი. ეპისტოლე არ იყო საჭირო. მინდოდა თანამშრომლობაზე მელაპარაკნა და წერილების შინაარსზე. რადგან არ ვიცოდი, დაიბეჭდებოდა თუ არა ჩემი მასალა, ამიტომ გამოგზავნა ახალისა დავაგვიანე. ამ ჟამად გიგზავნი ილიას შესახებ წერილს, რომელიც „საზეიმო სიტყვის“ რიგს (სერიას) ეკუთვნის. შემდეგ მექნება „მოლიან კავკასიის“ შესახებ. ამასაც მალე გამოგიგზავნი. ისტორიულ ნაკვეთსაც გაახლებ, რომელიც ადრე უნდა მეახლებინა. – ცოტა მეტი ცალი მიგზავნეთ ჟურნალისა. ბ. ბებურიშვილი<sup>48</sup> – აკ. პ-ვაა<sup>49</sup> (რ. მკურნალის ცნობით).

43 sic!

44 იგულისხმება ანეტა დავრიშაშვილი (ქალიშვილობაში – ოქროპირიძე).

45 იგულისხმება დავით (დათო) დავრიშაშვილი.

46 შ. ამირეჯიბს, ქართ. ჟურნალი „ლე კოკაზ“, „კავკასია“, პარიზი 14<sup>e</sup>, ფრუადევოს ქ. №73, ფრანკრაიჰ (ფრანგ.).

47 სლმ. №26964-340-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

48 ბ. ბებურიშვილი ვიკტორ ნოზაძის ფსევდონიმი.

49 იგულისხმება აკაკი პაპავა.



აქ იყო აკ. ჩ-ლი<sup>50</sup> ინკოგნიტო ცოტა ხნით. მოიარა, ვერას გახდა. გვიგზავნეთ ქართული გაზეთები – ყველა, ჟურნალებიც. უკანასკნელი „სამშობლოს“<sup>51</sup> ნომერი არა გვაქვს. აგრეთვე „ბრძ. ხმა“<sup>52</sup> და „დამოუკ. საქ.“<sup>53</sup> – ნ. იმნაიშვილი – წარმომადგენელი „მთავრობისა“ – ავრცელებს ირ. ც-იას<sup>54</sup> წიგნს.<sup>55</sup> მე არ მინახავს ეს გამოცემა და არც ვნატრობ. ასეთ „ლიტერატურის“ წინააღმდეგ მინდა გავილაშქრო – საერთოდ და არა კონკრეტულად. დაბეჭდავ?.. კარგია, რომ ბ. ბებურიშვილს და „ქართლოს“<sup>56</sup> არ უპასუხებთ. არაფერი საჭირო არ არის. საქმე თვითონ დაანახევებს თავისთავს. – ჩვენ ხომ გულმართალნი ვართ. ცოტა ხნით მაინც ვერა ვნახავდით ერთმანეთს? ჩვენი მეგობარი გადმოგცემდა ჩვენს ამბავს, თუ როგორ ვნატრობთ შენს ნახვას. იყავი კარგად! მეგობრებმა დამავალეს – გულითადი სალაში მომენერა შენთვის და საერთოდ. ზურაბს აქ ველით მოუთმენლად.

შენი გიგო

## 5.

[1937 წლის 10 ოქტომბრის შემდეგ]

*Ch. Amirdéjibi*

*Paris (15<sup>o</sup>)*

*24, rue Gutenberg, 24<sup>o</sup>7*

**ძვირფასო ჩემო შალვა!**<sup>58</sup> გამახარა შენმა ბარათმა. ვიმუშავოთ ერთად – ჩვენ ხომ სინიდიისერი ხალხი ვართ და პასუხისმგებელი ჩვენი სინიდიისი

50 იგულისხმება აკაკი ჩხენკელი.

51 ჟურნალი „სამშობლო“ – ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ორგანო (№1-იდან №4-მდე); ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ალექსანდრე ასათიანის ფრთა) ორგანო (№5-6-იდან №27). გამოდიოდა პარიზში 1929-39 წწ. (შარაძე 2004:).

52 გაზეთი „ბრძოლის ხმა“ – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ყოველთვიური ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1929-40 წწ. (შარაძე 2005:).

53 გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ – საქართველოს პოლიტიკურ (სოციალ-დემოკრატიულ, ეროვნულ-დემოკრატიულ, სოციალისტ-ფედარალისტურ, სოციალისტ-რევოლუციურ) პარტიათა გაერთიანებული ფრონტის ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1926-39 წწ. (შარაძე 2002:).

54 იგულისხმება ირაკლი ცაგურია.

55 იგულისხმება ირაკლი ცაგურიას წიგნი „საბჭოთა კავშირის დაშლა და კავკასიის პრობლემები“, პარიზი, 1937 (იხ. Colonel D. de Souramy, „La dislocation URSS et les problèmes du Caucase“, Paris, 1937).

56 ჟურნალი „ქართლოსი“ – საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1937-39 წწ. (შარაძე 2005:).

57 შ. ამირეჯიბს, პარიზი (15<sup>o</sup>), გუტენბერგის ქ. №24 (ფრანგ.).

58 სლმ. №26964-339-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

ნინაშე, ჩვენი სინიდისი კი ყველა სხვა მოსამართლეებზე უსასტიკესი მსაჯუ-  
ლია. სრული რწმენით შემოძლია ვსთქვა, რომ საზღვარ-გარედ<sup>59</sup> შეიქმნება  
სწორე, ჭეშმარიტი ქართული საზოგადოებრივი აზრი, რამდენიც არ უნდა  
უგუნურმა და უნამუსო ელემენტებმა მას გზა შეუკრან. მადლობა ღმერთს,  
**გულხელდაკრეფილი** ღონიერი მძლავრი ზნეობრივი იდეალების მატარე-  
ბელნი არა სხედან. მუშაობა სწარმოებს ჰაერის გასანმენდად. დაე, ისხდენ  
არხეინად ქართველი ღმერთუკები. საშიშნი არ არიან. ჩნდება ახალგაზრდო-  
ბა გულმართალი და მოქალაქეობრივად უშიშარი. – გამოგიგზავნე წერილი  
დასაბეჭდი. დაიჭირე საგანგებო კორექტურა და დასტოვე მართლწერა, მე-  
ტადრე ილიას ლექსებში. იქ არის სიტყვები, რომელიც ახლანდელ მოქარ-  
თულებს არ ესმით და მეშინია არ შეასწორონ თავისებურად. – აქ იყო  
ვ. დ-ძე.<sup>60</sup> დაფაცურდნენ ქეიფის მოყვარენი და ეწვიენ. მე არ მინახავს და  
არც სანატრელი იყო ჩემთვის ეს. ზურაბი ბრძანებულა აქ. ჩვეულებისამებრ  
არ მნახა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ძალიან მინდა მალე გადმო-  
ვიდეს. ვკითხე გრ. რობაქიძეს მის შესახებ, მითხრა – ეს საკითხი ჯერ არ  
არის გადაწყვეტილი. ამან შეგვანუხა ძალიან. არასფერს გვეუბნება. ჩვენს  
კოლონიას არასფერს უმხელს. თუ მართლა რაიმე დაბრკოლებაა იქნებ მო-  
ვახერხოთ ამის ძლევა საერთოდ. არის მიზეზი, რომ ახლა არ ვერევიტ.  
სხვებმა დაინყეს და არ გვინდა მივეტმასნეთ. ხომ იცი – ცრუ თავმოყვარე  
ბევრი გვყავს – ეწყინებათ. გელით მუთმენლად. ნუ დაავიანებ. – მე კიდევ  
გამოგიგზავნი მასალას, თუ მოასწრებ დაბეჭდე. – სამწუხაროდ, კოლონიის  
საქმეები ხელს მიცარავს. მინდა განვთავისუფლდე სრულიად, მაგრამ გაჩუ-  
მება ხელს არ მაძლევს. – მგონი ახლოა ამის შესრულება. – მე და ლოლა  
სულით და გულით მოვიკითხავთ.

სალამით გიგო

აფხაზიანთ<sup>61</sup> მადლობა მოგახსენეს გახსენებისათვის და სალამიც. საშა აფხაზი  
ძალიან ყოჩაღი და თვალსაჩინო მომუშავე შეიქნა. ბ. სოსო გვარამაძეს სალამი-  
სათვის მადლობას მოვახსენებ და მეც მოვიკითხავ. რუისელია?..

ბ.

*Gr. Diasamidse  
Berlin-Charlottenburg 4  
Momsenstr. 21<sup>62</sup>*

59 sic!

60 იგულისხმება ვასილ (ვასო) დუმბაძე.

61 იგულისხმება ალექსანდრე (საშა) აფხაზი და მართა კუნი.

62 გრ. დიასამიძე, ბერლინი-შარლოტენბურგი 4, მომზენშტრასეს №21 (გერ.).

**გიგზავნი, ჩემო შალვა,**<sup>63</sup> ჩემს დასაბეჭდ წერილებს. გთხოვთ, ისე გაუშვათ, როგორც დანერილია. თუ არ შეიძლება უკან დამიბრუნეთ. ძალიან ძნელია თანამშრომლობა, თუ არ იცი, რა კეთდება და რა ხდება მანდ. წერილები დავნერე გვიან, რადგანაც მასალა ძლივს შევკრიბე. „დამოუკ. საქ.“ კიდევ ერთი საათით ვიშოვე, „ბრძ. ხმა“ კი წაკითხული არა მაქვს. – ახლა აქაური ახალშენი ერთიანდება, ხოლო ძალიან საქმეს გვიფერხებენ მ. ნ.<sup>64</sup> და ტ. მ.<sup>65</sup> სწევენ დიდ ინტრიგას. მე არ ვერევი საქმეთა მსვლელობაში, რადგანაც ისე დავბერდი, რომ ამდენ დავიდარაბას ველარ ვიტან. კარგი იქნებოდა, რომ მოხვიდოდე, რომ პირდაპირ გიამბო ყველაფერი, რაც აქ გაკეთებულია. მუშაობენ ახალგაზრდები. გვინდა ოთარ წერ.<sup>66</sup> დავაყენოთ ახალშენის სათავეში, მაგრამ როგორც წუხელის შევიტყეთ მამა უკრძალავს. ეს ისეთი რამეა, რომელმაც შეიძლება დიდი ვნება მოუტანოს ჩვენ საქმეს. არ ვიცი კი, რამდენად მართალია ეს. გნერთ როგორც მეგობრებს – ჯერ ფართო საზ-ში ნუ გაიტანთ. არ მეგონა, რომ ჩვენს ემიგრაციაში ამდენი სულელი, უტვინო და ბრიყვი, თანაც უტიფარი ელემენტი მოხვდებოდა. იმედს მაინც არ ვკარგავთ.

ლოლა და მე მოგიკითხავთ სულით და გულით. გისურვებთ ყოველსავე კარგს. „კავკაზის“<sup>67</sup> შესახებ აქაც გვინდა ვითათბიროთ, რასაკვირველია, არა მიტინგურად. ზურაბის ამბავი ვერა გავიგერა და ეს მანუხებს.

*შენი ერთგული გიგო დიასამიძე*

საშა აფხაზმა – დიდი მოკითხვა საერთოდ.

თუ რამე წვრილი შესწორება დასჭირდა შეასწორე, ხოლო აზრი არ დამახინჯდეს.

ბ.

63 სლმ. №26964-342-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

64 იგულისხმება მიხაკო (მიხეილ) წერეთელი.

65 იგულისხმება ტიტე მარგველაშვილი.

66 იგულისხმება ოთარ წერეთელი.

67 ჟურნალი „კავკაზი“ – დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო, გამოდიოდა პარიზში 1934-39 წწ., რედაქტორი – ჰაიდარ ბამატი (შარაძე 2005:).



**ჩემო ძვირფასო შალვა,**<sup>68</sup> მივიღე შენი ბარათი. სიამოვნებით მოგწერ ყველაფერს. ცნობა ამოღებულია „თეთრი გიორგის“<sup>69</sup> სექტემბრის №68, 1933. მე-3 გვ. იწყება „მონოდება ქართველ მამულიშვილებისადმი“ და გადადის მე-4 გვერდზე. უჭირავს ორზე მეტი სვეტი. ამ მონოდების ბოლოში სწერია: „მოგმართავთ თქვენ ჩვენ დაწყებულ საქმეს შემოურთედეთ და ჩვენთან ერთად გამოსძებნოთ გამოსავალი გზა დღევანდელი მძიმე მდგომარეობითგან. ბერლინში 10 ივნისს 1933 წ. დაარსდა „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია გერმანიაში,“ რომელიც ამ მონოდებაში აღნიშნულ მიზნებს ემსახურება. ამასთანავე გაახლებთ ჩვენი პირველი კრების რეზოლუციას და მოგიწოდებთ თქვენც მსგავსი ორგანიზაციები დაარსოთ, რომელთაგანაც უნდა შეიქმნას ახალი ეროვნული ცენტრი.

*ეროვნული კომიტეტი: ტ. მარგველაშვილი*

*მ. ნერეთელი*

*ა. მეტრეველი*

*საემიგრაციო კომისია: დ. ღამბაშიძე*

*კ. ვეკუა*

ამას მოჰყვება „კრების რეზოლუცია“, რომლის ბოლოში სწერია: 1. ვაარსებთ გერმანიაში მცხოვრებ ემიგრანტთა პოლიტიკურ წრეს სახელწოდებით: „ორგანიზაცია ქართველ ნაციონალისტთა ბერლინში“, რომელიც განსაკუთრებული პოლიტიკური ბიუროს (ეროვნული კომიტეტის) საშუალებით გაუძღვება აქაური ემიგრაციის საქმეებს აქ შექმნილი პოლიტიკური პირობების მიხედვით. 2. ვირჩევთ სპეციალურ კომისიას, რომელიც მოინვესტავს ქართველ ემიგრანტთა საყოველთაო კონფერენციას, მსგავს პოლიტიკურ წრეთა ახალი ეროვნული ცენტრის შესაქმნელად. ბერლინი, 10 ივნისი, 1933 წ. ხელს აწერენ: ვლ. ახმეტელი; მიხეილ ნერეთელი; კ. ხომტარია; დ. ღამბაშიძე; ა. მეტრეველი; ნ. ნაკაშიძე; ა. აფხაზი; ა. ალანია; შ. ქარუმიძე; რ. ჯამი; ა. ნიკურაძე; ო. ნერეთელი; მ. კაუხჩიშვილი<sup>70</sup>; კ. ვეკუა; ვ. სადათიერაშვილი; რ. მკურნალი; ტ. მარგველაშვილი; გ. მეტრეველი; ა. მეტრეველი<sup>71</sup> და სხვა.

<sup>68</sup> სლმ. №26964-337-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

<sup>69</sup> „თეთრი გიორგი“ – საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის გაზეთი (1926 წლის №1-იდან 1935 წლის №84-85-მდე), რომლის შემდეგ გადაკეთდა ეროვნული ერთიანობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ ორგანოდ (1935 წლის №86-იდან 1939 წლის №101-ს ჩათვლით), გამოდიოდა პარიზსა და ბერლინში (შარაძე 2001:).

<sup>70</sup> იგულისხმება მიხეილ ყაუხჩიშვილი.

<sup>71</sup> sic!



ასეა დაწერილი. ნომერს გამოვიგზავნიდი, მაგრამ მეშინია არ დამეკარგოს. ყოველთვის მჭირია. ეხლა არ შემიძლია, მაგრამ სხვიმის თუ დაგჭირდა, ამის ფოტოს გამოვიგზავნი, ე. ი. მთელი მოწოდების და რეზოლუციისა. შენც უნდა გქონდეს. მე ისე გადმოვიღე აქ როგორც დედანშია, იმავე მართლწერით. ჩემს წერილში შეცდომით მიხელ ყაუხჩიშვილის მაგიერ თქვენ დაბეჭდეთ მ. ყაჩუხაშვილი, რაც სწორე არ არის, მაგრამ გასწორებას ახლა რა აზრი აქვს.

ეს ქ. ნ. ორგანიზაცია ახლაც არსებობს. მისი თავმჯდომარე რ. მკურნალია. წევრებათ ითვლებიან: რ. ჯაში, კ. ხომტარია, ვ. სადათ.<sup>72</sup> (ბერლინში აღარ ცხოვრობს) და კიდევ რამდენიმე სხვა. ორგანიზაცია სულსა ლაფავს. ხსენებულ საბუთთა გამოქვეყნების დროს ყველა ჩამოთვლილი წევრებათ ითვლებოდნენ. მერე დაიწყეს გამოსვლა. ვინ როდის გამოვიდა, ამის ცნობა არა მაქვს. მთელი ისტორია ამ ამბებისა ცალკე მაქვს აწერილი, როგორც სხვა ამბებისაც, რომელთაც აქ ადგილი ჰქონდათ. ლადომ<sup>73</sup> და აფხაზმა მაშინვე დაანებეს თავი, მერე დ. ლამბ,<sup>74</sup> შემდეგ ნერ-ბმა,<sup>75</sup> ალან,<sup>76</sup> ვეკ,<sup>77</sup> ნიკ,<sup>78</sup> ტიტემ,<sup>79</sup> ყაუხჩი.<sup>80</sup> დანარჩენები დარჩნენ. ეს ორგანიზაცია ითვლებოდა ქ-ძის<sup>81</sup> ორგ-ად. მერე შ-ვამაც<sup>82</sup> უარი სთქვა ცნობილი მიზეზის გამო. მასზე ადრე მეტრეველიც გამოვიდა. ამ ჟამად მისი თავმჯდ. რ. მკურნალია როგორც თავზე ვსთქვი. ეს დაწ. ახლა სულსა ლაფავს. გწერ ამას შენს საინფორმაციოდ. თუ გამოსაქვეყნებლად დაგჭირდება მაშინ უფრო დალაგებით მოგწერ. – დღეს გიგზავნი „ისტ. საკუჭნაოს“. თუ „საკუჭნაო“ არ მოგწონს, მაშინ ან „კიდობანი“ დაარქვენი ანდა „სალარო“. უპრეტენზიო კაცი ვარ – ხომ იცი – და უპრეტენზიოდვე ვწერ. ამას ვანერ გრ. დ. მე ხვალ-ზეგ გამოვიგზავნი კიდევ კავკასიის საკითხის შესახებ ჩემი სრული გვარის ხელისმომწერი. უკეთუ ვერ მოასწრო ამის დაბეჭდვა, მაშინ „საკუჭნაოს“ ჩემი სრული სახელი მოაწერე. ვწერ ერთს მიმოხილვას ფსევდონიმით, რომელსაც ნუ გაახმაურებთ. სჯობია თავი იტყვონ: ვინ არის ავტორი, თორემ ხშირი ხელისმომწერა ერთიდაიგივე<sup>83</sup> სახელისა სწყინდება მკითხველს. ლანძღვა-თრევის კილოთი არ იქნება დაწერილი. მოკლე აღნიშვნა: საჭირობოტო საკითხებს ვეხები. კარგი იქნებოდა გაზეთი აქ იბეჭდებოდეს და შენც აქ იყვე. ლადომ და თიკომ,<sup>84</sup> აფხ-ებმა, ლოლამ მოგიკითხეს. იყავი კარგად. დიდი სიხარული და ლხენაა აქ. ამათ რა უჭირთ პატრონიცა ჰყავთ და დამცველიც. ჩვენი იკითხე!

ვერ წარმოიდგენ რა სულიერ განწყობილებაში მისდებდა წერილების წერა. აი, ახლაც ამ ბარათს ორი დღე მოვანდომე, სანამ დროს ვიხელთები და მყუდრო კა-

72 იგულისხმება ვასილ (ვასო) სადათიერაშვილი.

73 იგულისხმება ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი.

74 იგულისხმება დავით ლამაშიძე.

75 იგულისხმება (მიხაკო) მიხეილ და ოთარ წერეთლები.

76 იგულისხმება ანტონ ალანია.

77 იგულისხმება კირილე ვეკუა.

78 იგულისხმება ალექსანდრე ნიკურაძე.

79 იგულისხმება ტიტე მარგველაშვილი.

80 იგულისხმება მიხეილ ყაუხჩიშვილი.

81 იგულისხმება შალვა ქარუმიძე.

82 იგულისხმება შალვა ქარუმიძე.

83 sic!

84 თიკო – ?

ლაპოტში ჩავდგებოდი. რასა იქმს ლტოლვილი და მერე ქართველი?!. ამ დღეებში კიდევ მოგწერ, რას სჩადიან აქაური თანამემამულენი ა. პ-ას<sup>85</sup> და მ. წერ-ის<sup>86</sup> მე-თაურობით. იყავი კარგად!

*მარად შენი ერთგული გიგო დიასამიძე*

ზურაბი როგორ არის – მინდა წერილი მივწერო, ისევ კლამარში დგას?

*შენი ძმა და მეგობარი გიგო დიასამიძე*

მე არ მესმის ალ. ნიკურაძეს რა ეწყინა თუ არ იყო დამაპრკოლებელი,<sup>87</sup> პირ-დაპირ სთქვას და მორჩა გათავდა. იმიტომ ვამბობ ამას, რომ მხოლოდ დასწეუ-ლებული ფანტაზია აღმოაჩინს აქ რაღაც მზაკვრულ განზრახვას. შენ თუ რასმე დაურთავ რედაქციის მხრით, მიანერე, რომ თ. გ-ში<sup>88</sup> იყო აღნიშნული მისი სა-ხელი და მორჩა გათავდა. რაკი ახლა უარპყოფს, სჩანს, ეს ასე არის. ჩვენი რა საქმეა ტექსტი მისი წერილისა არ ვიცი და ამიტომა გწერ ყველა ამას.

*გიგო*

## 8.

3.6.38

*ბერლინი*

### **თანამოძმენო!**<sup>89</sup>

მადლობა გაზეთების გამოგზავნისათვის.

ჩემი წერილი დასრულებული არ არის. ან ხვალ ან ზევ გამოგიგზავნით დასას-რულს – აკაკის ლექსითურთ, რომელიც ბევრმა არ იცის. ეს ლექსი აბოლოებს ჩემს წერილს.<sup>90</sup>

კიდევ გამოგიგზავნით წერილს ხეთელების შესახებ ფსევდონიმით.

ერთი პატარა წერილი რედაქციის მიმართ მინდა დამიბეჭდოთ. ამასაც გამო-გიგზავნით.

თუ რასმე არ დამიბეჭდავთ, გთხოვთ, მაშინვე მაცნობოთ. ტექსტის გამოგზავ-ნა საჭირო არ არის.

*სალამი და გამარჯვება!  
თქვენი ერთგული გრ. დიასამიძე*

<sup>85</sup> იგულისხმება აკაკი პაპავა.

<sup>86</sup> იგულისხმება მიხაკო (მიხეილ) წერეთელი.

<sup>87</sup> sic!

<sup>88</sup> იგულისხმება გაზეთი „თეთრი გიორგი“.

<sup>89</sup> სლმ. №26964-341-ბ., შალვა ამირეჯიბის არქივი.

<sup>90</sup> იგულისხმება გრიგოლ დიასამიძის პუბლიკაცია „დიდი მგოსნის მიპატიჟება რაჭა-ლეჩ-ხუმში“ (იხ. ჟურნ. „კავკასია“, №6-13, ივნისი, 1938).

## საძიებელი და კომენტარები

**ავალიშვილი ზურაბ** (ფსევდ.: Politicus, З. А., Князь და სხვ.) (1875-1944), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, იურისტი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი. 1918-იდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ალანია ანტონ** (?-1987), 1930-იან წლებში ბერლინში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი. „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ წევრი (1933).

**ამირეჯიბი შალვა** (ფსევდ.: ა-ი, ფარსმან-ფარუხი, შ. ა., ჩორჩანელი, შ. ა-ბი და სხვ.) (1887-1943), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე. 1925-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**არსენიძე რაჟდენ** (მიშა) (1880-1965) პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი (1919). 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ასათიანი ალექსანდრე** (ფსევდ.: ა. ქა-ი, მ., არე და სხვ.) (1889-1953), პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, 1921 წლის სვანეთის, 1922 წლის კახეთ-ხევსურეთისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**აფხაზი ალექსანდრე** (საშა) (ფსევდ.: Alexsander Jason) (1893-1957), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი, კინოსტატისტიკოსი, პუბლიცისტი. 1918-იდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ სამსახურში, ხელმძღვანელობდა აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს და ზვერვის განყოფილებას. 1920 წითელი არმიის აზერბაიჯანში შეჭრის შემდეგ რამდენიმე თვე ბოლშევიკების ტყვეობაში გაატარა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიენიჭა კაპიტნის წოდება. 1921 წლის მარტამდე პარიზში საქარველოს სამხედრო ატაშეს მოადგილე იყო. შემდეგ ცხოვრობდა რომსა და ბერლინში. 1925-იდან ხელმძღვანელობდა კინომრეწველობის სხვადასხვა კავშირთან არსებულ სტატისტიკურ ბიუროებს. 1935-37 იყო გერმანიაში ქართველთა სათვისტომოს რიგით მერვე თავმჯდომარე.

**აფხაზი** (ქალიშვილობაში – იოსელიანი) **ელენე** (1870-1942), საზოგადო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, გენერალ-მაიორ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის (1867-1923) მეუღლე. 1923-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**აფხაზი თამარ თინათინ** (1887-1967), 1930-იან წლებში ბერლინში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

**ახმეტელი ვლადიმერ** (ლადო) (ფსევდ.: შ., შვარცი, ახ-ლი და სხვ.) (1875-1942), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეკონომისტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, დიპლომატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი (1932-იდან უპარტო), 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და

სრულყოფილებიანი ელჩი გერმანიაში, 1936-39 შედიოდა ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფში, თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკასიაში“. 1938-იდან ხელმძღვანელობდა გერმანიის მთავრობის მიერ შექმნილ „კავკასიის სამმართველოს“.

**ბალმონტი კონსტანტინე** (1867-1942), რუსი პოეტი, მთარგმნელი. 1920-დან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ბამატი ჰაიდარ** (1889-1965), დაღესტნელი პოლიტიკური მოღვაწე, ჩრდილოეთ-კავკასიური ემიგრაციის ლიდერი, ორგანიზაცია „კავკასიის“ დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი, ჟურნალ „კავკაზის“ (გამოდიოდა რამდენიმე ენაზე; მათ შორის – ქართულადაც) რედაქტორი.

**ბაქრაძე ლაშა** (დ. 1965), ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი.

**გაბაგა გიორგი** (ფსევდ.: X, გ. გ., მეთვალყურე, მკითხველი, სტამბოლელი, ნკვიპურტი და სხვ.) (1869-1941), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**გვარამაძე იოსებ** (სოსო) (1894-1959), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1937-39 ჰაიდარ ბამატის „კავკასიის“ ჯგუფის აქტიური წევრი, ჟურნალ „კავკასიის“ (პარიზული ქართული სერიის) რედაქტორ-ადმინისტრატორი.

**დადიანი იოსებ** (1862-1937), პოლიტიკური მოღვაწე, სამთო ინჟინერი, მრეწველი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**დავრიშაშვილი** (ქალიშვილობაში – ოქროპირიძე) **ანეტა**, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლიტიკური ემიგრანტი.

**დავრიშაშვილი დავით** (დათო) (1907-1980), იურისტი. ანეტა დავრიშაშვილის ვაჟი.

**დასამიძე გრიგოლ** (გიგო) (ფსევდ.: გრ. დ.) (1870-1960), საზოგადო მოღვაწე, იურისტი, პედაგოგი, ჟურნალისტი, 1911-15 წლებში გაზეთ „თემის“ რედაქტორ-გამომცემელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**დასამიძე ელენე** (ლოლა) (1900-1968), საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის გრიგოლ (გიგო) დასამიძის (1870-1960) ქალიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცულის – ელიზბარ ვაჩნაძის (1895-1959) მეუღლე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ღუმბაძე ვასილ** (ვასო) (1881-1943), საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ამერიკაში, მორგანთა ბანკის ფინანსისტი, ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ოთხგზის თავმჯდომარე.

**ერისთავი დავით** (1847-1890), მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ავტორი დრამისა „სამშობლო“, 1882-84 გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი.

**ვანაძე დავით** (დათა) (ფსევდ.: დ. კახელი, ეკალი, დონვინი და სხვ.) (1884-1962), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნ-

ნული საბჭოსა (1917) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთ საქართველოს ომისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ვეკუა კირილე** (1891-1968), პოლიტიკური მოღვაწე, ქიმიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1918-21 სამეგრელოს ერთ-ერთი რაიონის მინის რეფორმის კომისიის ხელმძღვანელი. 1922 წელს საბჭოთა მთავრობამ იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, დააპატიმრა და საზღვარგარეთ გაასახლა. 1924-იდან სწავლობდა ჯერ გეტინგენის, შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტში, რომელიც 1931 წელს დაამთავრა და მიენიჭა დოქტორის ხარისხი. 1935-41 მუშაობდა ბერლინის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში ხელოვნურ ნივთიერებათა და საღებავთა დარგში პროფესორ უბელოჰდესა და პროფესორ როეპრსის ხელმძღვანელობით.

**ზურაბიშვილი ივანე** (ვანო) (ფსევდ.: ვინ-ზენ, ზ-ლი, ჟანზეტ, დარბაისელი და სხვ.) (1872-1940), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ინაიშვილი ნიკიფორე** (ნიკო) (1895-1963), პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919). 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**კუნი მართა**, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, დიპლომატისა და კინოსტატისტიკოსის აღექვანდრე აფხაზის (1893-1957) მეუღლე (მეორე ქორწინება).

**მარგველაშვილი ტიტე** (1891-1946), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, აღმოსავლეთმცოდნე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**მგალობლიშვილი სოფრომ** (1851-1925), მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

**მეკელაინი რიჰარდ გეორგ** (1880-1948), გერმანელი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ქართველოლოგი და სლავისტი; გრიგოლ რობაქიძის თხზულებათა გერმანულ ენაზე მთარგმნელი.

**მეტრეველი არჩილ**, ინჟინერი, მიუნხენის უნივერსიტეტის ქართული ენის პროფესორი, მთარგმნელი. ქართული სტამბის დამაარსებელი ბერლინსა და მიუნხენში. გაზეთ „ახალი საქართველოს“ (1924-26) ბერლინის სარედაქციო ჯგუფის წევრი, გაზეთ „საქართველოს“ (1950-52, მიუნხენი) რედაქტორ-გამომცემელი, ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის პარიზული ორგანიზაციის წევრი.

**მეტრეველი გ.**, 1930-ან წლებში ბერლინში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი. „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ წევრი (1933).

**მკურნალი** (კურნალი) **რომან** (ფსევდ.: ბს., ხ., კ. ხ., რ. მ. და სხვ.) (1887-1947), სამხედრო მოღვაწე, პოდპოლკოვნიკი, პუბლიცისტი. 1918-21 მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენშტაბში. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიასა და იტალიაში. 1933 წელს ბერლინში „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ბეჭდური ორგანოს ჟურნალ „კლდეს“ რედაქტორი (1934-36).

**მოსულიშვილი პავლე** (?-1948), ლოტბარი, დრამატურგი, 1920-30-იან წლებში პარიზში ხელმძღვანელობდა ქართველ მომღერალთა გუნდს.

**ნაკაშიძე ნიკოლოზ** (ნიკო) (1899-1966), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1922 წელს

საბჭოთა მთავრობამ იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, დააპატიმრა და საზღვარგარეთ გაასახლა. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიაში, აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო „ნაციათა ანტიბოლშევიკური ბლოკის“ გენერალური მდივანი, „ქართული ეროვნული ერთობის“ კომიტეტის წევრი, ასწავლიდა ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, გარკვეული პერიოდი ქართული ენის კათედრას ხელმძღვანელობდა ამავე უნივერსიტეტში; თანამშრომლობდა 1952 წელს მიუნხენში დაარსებულ რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციასთან, 1962-66 იყო გერმანიაში ქართველთა სათვისტომოს რიგით მეთხვე თავმჯდომარე.

**ნებეირიძე შალვა** (1903-1942), 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შეფიცული. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ნიკურაძე ალექსანდრე** (სანდრო) (ფსევდ.: A. Sanders) (1901-1981), ფიზიკოსი (მყარი სხეულების ფიზიკა და ენერგეტიკა); გატაცებული იყო საქართველოს ისტორიით, არქეოლოგიით და ლიტერატურით. ჰიდროაერომექანიკოს ივანე (იოჰან) ნიკურაძის (1894-1979) უმცროსი ძმა. 1919 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სწავლის გასაგრძელებლად გაიგზავნა გერმანიაში, მაგრამ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა ემიგრაციაში დარჩა. 1928-იდან თანამშრომლობდა გერმანიის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში: „ფიზიკა“, „ფიზიკური ქიმია“, „ელექტრონიკა“ და სხვ., იბეჭდებოდა ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე, სადაც გერმანულ ენაზე აქვეყნებდა ქართველოლოგიური ხასიათის წერილებსა და ნარკვევებს.

**ნიკურაძე ივანე** (იოჰან) (1894-1979), ჰიდროაერომექანიკოსი. ფიზიკოს ალექსანდრე (სანდრო) ნიკურაძის (1901-1981) უფროსი ძმა. 1919 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სწავლის გასაგრძელებლად გაიგზავნა გერმანიაში, მაგრამ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა ემიგრაციაში დარჩა. 1920-34 მუშაობდა ლუდვიგ პრანდტლთან, 1934-45 იყო ბრესლაუს უნივერსიტეტისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორი, 1945-იდან – აახენის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დამსახურებული პროფესორი.

**ნოზაძე ვიქტორ** (ვიკტორ) (ფსევდ.: არიონი, მეთვალყურე, ძველი შევარდნელი, ბ. ვარდანი, ბ. ბებურიშვილი, ვ. სოსანი, მოძველი, ნიკრისელი, თამაზ ჩილაია, ლიკსუსი, დონაური, თამარ ვარდანიძე, მკითხველი და სხვ.) (1893-1975), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, ისტორიკოსი, მთარგმნელი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ჟურნალისტი, რუსთველოლოგი.

**პაპავა აკაკი** (ფსევდ.: აკაკი მდევარი, ქეიბური, ოდიშელი, გაუტეხელი, კახაბერი, თუთბერიძე და სხვ.) (1890-1964), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, დრამატურგი საქართველოს ისტორიის მკვლევარი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი. 1922-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**როზაქიძე გრიგოლ** (ფსევდ.: გ. გ. გ. კ. გივი გოლენდ, გ. გოლენდ, გრ. კავკასიელი, Г. К., Г. Р.-К., Гр. Р.-К., Гр. Робакидзе-Кавкасиელი, Г. Робакидзе-Кавкасиელი, Grigol Avalon Robakidse, Avallon Cardwell, Avallon Youngaroo, FRIEND და სხვ.) (1880-1962), მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე. 1931-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**სადათიერაშვილი ვასილ** (ვასო), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1933-იდან „ქართველ ნაციონ-



ნალისტთა ორგანიზაციის“ წევრი, 1935-იდან „ეროვნული ერთიანობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ წარმომადგენელი.

**სალირაშვილი დავით** (ფსევდ.: დ. თბილისელი) (1887-1962), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1922 წელს საბჭოთა მთავრობამ იგი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, დააპატიმრა და საზღვარგარეთ გაასახლა. 1937-39 ჰაიდარ ბაშატის „კავკასიის“ ჯგუფის აქტიური წევრი, ჟურნალ „კავკასიის“ (ბერლინური ქართული სერიის) რედაქტორ-ადმინისტრატორი.

**სუმბათაშვილი-იუჟინი ალექსანდრე** (1857-1927), რუსი დრამატურგი, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე. წარმოშობით ქართველი. რსფსრ სახალხო არტისტი (1922), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1917).

**ვერაძე გრიგოლ** (1899-1942), თეოლოგი, მეცნიერი, ისტორიკოსი, ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი და ფილოლოგიის პრივატ-დოცენტი, პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის დამაარსებელი და მისი პირველი წინამძღვარი, ვარშავის უნივერსიტეტის პატროლოგიის პროფესორი და ვარშავის მართლმადიდებლური ეკლესიის არქიმანდრიტი.

**ქარუმიძე შალვა** (1885-1952), პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ქორქია ალექსანდრე** (საშა) (1879-1959), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პოლიტიკური ემიგრანტი.

**ლამბაშიძე დავით** (დათიკო) (1884-1963), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, მეცენატი. 1920-მდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში. ექიმ ვახტანგ ლამბაშიძის (1872-1951) უმცროსი ძმა. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ლამბაშიძე ვახტანგ** (1872-1951), ექიმი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ცემის საბავშვო სანატორიუმის დამაარსებელი, პარიზის ქართული სათვისტომოს რიგით მეორე თავმჯდომარე. გატაცებული იყო ფოტოგრაფიით, ცნობილია ილია ჭავჭავაძის და სხვა საზოგადო მოღვაწეთა მის მიერ გადაღებული ფოტოები. პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის დავით ლამბაშიძის (1884-1963) უფროსი ძმა. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ყაუხჩიშვილი მიხეილ** (1889-1947), პოლიტიკური მოღვაწე, ინჟინერ-ელექტრიკოსი, ქიმიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1931-39 ფირმა „სიმენსის“ მთავარი სამმართველოს წევრი და დირექტორი გერმანიაში, 1939-47 იმავე ფირმის იტალიური განყოფილების დირექტორი.

**შანშიაშვილი ალექსანდრე** (სანდრო) (1888-1979), პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1930), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1948).

**შტანიშაუზენი რიპარდ**, სოფ. ფალკენჰაიმის მკვიდრი. ალექსანდრე ქორქიასა და გრიგოლ ღიასამიძის საერთო ნაცნობი.

**ჩხენკელი აკაკი** (ფსევდ.: აკ. ჩ-ლი, აკ. ჩხ., ანჩინ და სხვ.) (1874-1959), პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (1917) და დამფუძნებელი

კრების (1919) წევრი, 1918 ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, 1918 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ცაგურია ირაკლი** (ფსევდ.: Colonel D. de Souramy, D. de Souramy, Д. Б. Итрия-Сурамели, Д. Сурамели) (?–1969), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1922-24 საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის აქტიური მონაწილე. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ პოლიტიკური ემიგრანტი.

**წერეთელი აკაკი** (1840-1915), პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

**წერეთელი ალექსი** (ლოლია) (1869-1942), ინჟინერი, გატაცებული იყო მუსიკით და ანტრეპრენიორობდა საოპერო დასს. პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის (1840-1915) ვაჟი.

**წერეთელი მიხაკო** (მიხეილ) (ფსევდ.: მ. სანგალა, აღაროდელი, ვრაცი, Bâton, um camarade და სხვ.) (1878-1965), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, ფილოლოგი, პუბლიცისტი, სოციოლოგი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**წერეთელი ოთარ** (1902-1944), პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი. 1933-იდან „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ წევრი, 1935-იდან „ეროვნული ერთიანობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ წარმომადგენელი. მეცნიერის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის (1878-1965) ვაჟი.

**წმ. ნინო**, ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში (IV ს.).

**ჭავჭავაძე ილია** (1837-1907), პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი.

**ხელაძე დავით** (თიკუნი: პატარა დათიკო) (1887-1957), პოლიტიკური მოღვაწე, მესტამბე, გამომცემელი, პარიზის ქართული სტამბის დამაარსებელი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

**ხომტარია კორნელი** (1905-1947), პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1933-იდან „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ წევრი, 1935-იდან „ეროვნული ერთიანობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ წარმომადგენელი.

**ჯაბადარი გიორგი** (1888-1938), რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე და პედაგოგი. 1918 წელს მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართული დრამატული თეატრისტუდია (ე. წ. ჯაბადარის სტუდია), რომელსაც 1920 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1920 საქართველოს ეკონომიკურ დელეგაციასთან ერთად ევროპაში გაემგზავრა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის, კ. კანდელაკის, თანაშემწე იყო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში დარჩა.

**ჯავახიშვილი ივანე** (1876-1940), საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939).

**ჯაში რაფიელ** (რაფო) (?–1987), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, 1933-იდან „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ წევრი, 1935-იდან „ეროვნული ერთიანობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ წარმომადგენელი.

## დამონმებანი

1. შარაძე 1993: შარაძე გ., „უცხოეთის ცის ქვეშ“, წიგნი II, გვ. 188, თბილისი, 1993.
2. კობახიძე 2009: კობახიძე რ., „წმ. მღვდელმონაწმე გრიგოლ ფერაძე – ქართული ემიგრაციის სულიერი მამა და დიდი მოღვაწე“, კრებ. „ქრისტიანული კვლევები“, II, გვ. 177, თბილისი, 2009.
3. დაუშვილი 2012: დაუშვილი რ., „Famous Georgians – შალვა ნუბიერიძე ყველაზე უმცროსი შეფიცული“, გაზ. „Prime Time“, №3, 3 აპრილი, 2012.
4. შარაძე 2003: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. III, გვ. 7, თბილისი, 2003.
5. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VIII, გვ. 408, თბილისი, 2005.
6. ქსე 1979: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 4, გვ. 650, თბილისი, 1979.
7. Зерцалов 1941: Зерцалов Г. В., „Библиография Русской Периодики Грузии“, ч. 1, Тбилиси, 1941.
8. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VIII, გვ. 399, თბილისი, 2005.
9. დიასამიძე გრ., „თავად იოსებ დადიანის სამახსოვროდ“, ჟურნ. „კავკასია“, №4, გვ. 30-31, სექტემბერი, პარიზი, 1937.
10. ბაქრაძე 2015: <http://www.azrebi.ge/index.php?pid=979>.
11. ავალიშვილი ზ., „კავკასიის ერები და ირრედენტიზმი“, ჟურნ. „კავკასია“, №3, გვ. 7-13, აგვისტო, პარიზი, 1937.
12. Григол Диасамидзе, „Древняя армянская историческая литература“, ж. „Кавказ“, №10/46, октябрь, 1937.
13. ქსე 1984: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 7, გვ. 120, თბილისი, 1984.
14. ბაქრაძე 2015: <http://www.azrebi.ge/index.php?pid=979>.
15. შარაძე 2004: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. V, გვ. 6, თბილისი, 2004.
16. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VI, გვ. 7, თბილისი, 2005.
17. შარაძე 2002: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. II, გვ. 79, თბილისი, 2002.
18. Colonel D. de Souramy, „La dislocation URSS et les problèmes du Caucase“, Paris, 1937.
19. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VIII, გვ. 7, თბილისი, 2005.
20. შარაძე 2005: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. VIII, გვ. 401-402, თბილისი, 2005.
21. შარაძე 2001: შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. I, გვ. 381, თბილისი, 2001.
22. დიასამიძე გრ., „დიდი მგოსნის მიპატიჟება რაჭა-ლეჩხუმში“, ჟურნ. „კავკასია“, №6-13, ივნისი, 1938.

## **Letters by Grigol Diasamidze to Shalva Amirejibi Materials for the Research of Georgian Emigration**

Publication by **Lali Tsomaia**

### **Summary**

Letters by Grigol Diasamidze protected in Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature represent one of the most important documents in terms of studying Georgian Emigration history.

Grigol Diasamidze had an impressive publishing experience in Germany and at the same time collaborated with the Georgian Emigrant press.

These letters were sent from Berlin to Paris where at that time Sh. Amirejibi lived. They describe development of contemporaneous Berlin and the intrigues that accompanied the life of Georgian Emigration.

Therefore, these letters are very important for the researchers and readers of the history of Georgian Political Emigration.

# ლადო ბელიაშვილის არქივში დაცული ორი წერილი

## მაია ცერცვაძის პუბლიკაცია

თვალსაჩინო ქართველი ემიგრანტის, მწერალ აკაკი ბელიაშვილის უმცროსი ძმის, რუსთაველის კოსმოლოგიის მკვლევრისა და პოეტის ლადო ბელიაშვილის (1906-1961) პოპულარიზაციის საშური საქმე საქართველოში დიდი ხანი არაა, რაც დაიწყო. მისი ტრაგიკული დაღუპვიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, 2013 წლის სექტემბერში შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარებულ ემიგრანტული მწერლობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე გაკეთდა მოხსენება, რომელშიც ლადო ბელიაშვილის "ვეფხისტყაოსნის" კოსმოლოგიისადმი მიძღვნილი კვლევები იყო მიმოხილული (იხ. მ. ცერცვაძე. „რუსთაველის კოსმოგრაფიული შეხედულებები ლადო ბელიაშვილის წიგნის „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“ მიხედვით“. VII საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები – ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტული მწერლობა“ (მე-20 საუკუნის გამოცდილება) მასალები (ნაწილი III); ჩატარდა ასევე საჯარო ლექცია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2014 წლის 4 აპრილს. ამავე სასიკეთო მიზანს ისახავს ქართული საზოგადოებისათვის გაცნობაც ემიგრანტი მკვლევრის არქივისა, რომელიც მისმა ძმისშვილმა, ქალბატონმა მანანა ბელიაშვილმა საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა. დასახელებულ არქივში განთავსებული ორი პირადი წერილი უკვე გამოქვეყნდა (იხ. მ. ცერცვაძე. „აკაკი ბელიაშვილის ორი წერილი ემიგრანტი ძმისადმი“. ყურნალი „რინა“ (№2, 2015).; ამავე მუზეუმის ალმანახში "ლიტერატურის მატთანე" (№13, 2015) დაიბეჭდა ლადო ბელიაშვილის წერილი დედისადმი.

ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ ორი პირადი წერილის პუბლიკაციას სათანადო კომენტარებით. ერთი მათგანია ლადო ბელიაშვილის წერილი ძმისშვილის მანანასადმი (სლმ № 29190-24b), ხოლო მეორე – ლადო ბელიაშვილის ემიგრანტი მეგობრის მიხეილ ჩუბინიძის წერილი აკაკი ბელიაშვილისადმი (სლმ №29190-63b), რომელშიც ის ძმის გარდაცვალება-დაკრძალვის ამბებს აღწერს ადრესატს. ტექსტი იბეჭდება რედაქციული ჩარევის გარეშე – სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია დაცულია.

წარმოდგენილი წერილების პუბლიკაცია, ვფიქრობთ, წაადგება ლადო ბელიაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობისა და ზოგადად ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის საქმეს.

## 1. ლადო ბელიაშვილის წერილი მანანა ბელიაშვილისადმი

### ჩემო ძვირფასო და საყვარელო მანანა!'

დიდი ბოდიში, რომ ამდენხანს წერილი დაგიგვიანე, მით უმეტეს რომ შენმა წერილმა და პირლია გიგოს<sup>2</sup> სურათმა ძალიან გამახარა. ეს ჩემი გრძნობების სისუსტის ბრალია. წერილის მოწერას რომ დავაპირებ, გული მიჩვილდება, გრძნობები მახრჩობს. ვერაფერს ვწერ. ეხლა ჩემი აღელვება უნდა გენახა, როდესაც ხუთშაბათს სალამოს ექვს საათზე ჩემთან სახლში ზარი დარეკეს და როდესაც კარი გავაღე, ჩემს წინ იდგა ორი ადამიანი<sup>3</sup> და ერთი მათგანი მეკითხება: "შენ ამ კაცს ვერ იცნობო". შევხედე და ჩემი ერთად-ერთი ძმა<sup>4</sup> ველარ ვიცანი. რა დიდი მანძილი ყოფილა 34 წელიწადი<sup>5</sup>. დიდი მგრძნობიარე იყო ჩვენი შეხვედრა, რის გავლენის ქვეშ, ალბად, კიდევ დიდხანს დავრჩები. მაგრამ ყველაფერს ამას მამა-შენი თვითონ მოგიყვება, როცა დაბრუნდება.

ეხლა მამაშენი ოცნებობს, რომ ამ წელს ან გაისათ შენ და შენი მეუღლე<sup>6</sup> მენვე-ვით პარიზში და მერე კი მამაშენი და დედაშენი<sup>7</sup> ერთად ჩამოვლენ. ასე რომ მეც დღეს ამ იმედებით ვცხოვრობ. იმედიც მაქვს ძალიან მალე გინახულებთ და მაშინ მე ვიქნები ერთი უბედნიერესი კაცთაგანი. მამაშენი შაბათს სალამოს გაფრინდა ამერიკაში<sup>8</sup> და გამოვლისას კიდევ ვინახულებ<sup>9</sup>. მამაშენს გიგოს სურათები ჯიბეში უდევს და სულ იმის კოცნაშია. ეხლა, ჩემო მანანა, მომიკითხე დიდის სიყვარულ-ლით შენი მეუღლე, რომლის ნახვაც და გაცნობაც ისე მენატრება, როგორც შენი, გიგოს ჩემს მაგივრად აკოცე და მოკითხვა ყველა ჩვენს ნაცნობ ნათესავებს.<sup>10</sup>

შენი ძია ლადო<sup>11</sup>



მარცხნიდან - გიორგი (ყორჟიკა) ნოზაძე, აკაკი ბელიაშვილი, ლადო ბელიაშვილი, კოლია პიპინაშვილი, ლიდა შარაშიძე-ნოზაძისა, მიშა ჩუბინიძე, პარიზი, 1960 წ.



ლადო ბელიაშვილი

17 აპრილი, 1961წ.  
პარიზი

ძმაო აკაკი<sup>12</sup>!

პირველი ცნობა, რომელიც გამოგიგზავნე (დეპეშა), ვერ გამოგეცი კარგი და სამხიარულო, მაგრამ ეს აქსიდანი<sup>13</sup> მოხდა და იძულებული ვიყავი მეცნობებია, აპა სხვა რა მექნა. დაგველუპა ძმა ვალოდია<sup>14</sup> და სულ უბრალოთ. ერთი ნაბიჯის გადადგმით. მინდა მოგწერო ყოველივე დანვრილებით, მაგრამ ბევრ დროს წაგართმევს და სხვა ნაირათ მე არ შემიძლია. ვალოდია იყო ჩემთან კლინიკაში 2 მარტს, როცა მოვიხედე, რადგან ცუდათ ვიყავი და ვერავის ვერ ვნახულობდი; მოვიდა და მთხოვა, რომ არ მეცნობებია ჩემი ავათმყოფობა ჩემიანებზე, რადგან შენუხდებიანო. მე გამოვედი 9-ს მარტს, მოვიდა სახში ჩემთან გახარებული, რომ კარგად ვიყავი, არავის არ ეგონა, თუ გადავიტანდი ამდენ ოპერაციას. ის თითქმის ყოველ სამ დღეში მოდიოდა და მნახულობდა; ერთხელ საღამოს მოვიდა კარგად ჩაცმული და უთხარი, რაშია საქმე, მან სიხარულით მითხრა, რომ ორი კვირით მიდის ქალაქ გარეთ, კარგს შატოში, იქ დარჩება 2 აპრილამდის და დაისვენებს და დაათავეებს თავის შრომას<sup>15</sup>. მართლაც წავიდა. გავიხედე ეს იყო 24 მარტი. იგი ვნახე ჩემს მალაზიის წინაშე კიდე ჩაცმული, არა სამუშევარ ტანსაცმელში, რა გინდა, კაცო აქ, ხომ ნახვედი, პასუხი: გამომიძახეს სამუშევრათ, და ჩამოვედი; მე ცოტა გულმოსული უპასუხე, ველარ დარჩი ეს ერთი კვირა იქ, რომ ჩამოსულიყავი იმ კვირაში, აღდგომის შემდეგ, ე. ი. 2 აპრილის შემდეგ, კათოლიკების აღდგომა იყო. ისაღილა და წავიდა. მე ჯერ კიდევ საცხებით არ გამოვკეთებულვარ და მუშაობას არ ვიწყებ და არც დავიწყებ ივლის თვემდის. შაბათს 1ს აპრილს საღამოზე შევიკრიბეთ ერთად ჩემთან და დარეკეს ტელეფონით, რომ ვალოდიას მოუვიდა აქსიდანი და საავათმყოფოში წაიყვანესო. არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. საავათმყოფოში აღარვის არ უშვებდენ. ღვედელი ყოფილიყო 6 საათზე და იგი უკვე გარდაცვალებულიყო; აქსიდანი მოუხდა, მუშაობდა 5 მეტრის მანძილიდან ჩამოვარდა, ფეხი აუცდა,დაეცა ქვაზე და თავი დაკრა, წაიყვანეს საავათმყოფოში. ეს მოხდა 2ს საათზე, სანამდის ამბულანსი<sup>16</sup> მოვიდა, სანამდის ოქმი შეაყენეს დრო გავიდა და 4ს საათზე წაიყვანეს საავათმყოფოში და 5 სზე გარდაიცვალა. გრძნობა არ დაუკარგავს და ეთქვა ღვედლისათვის, რომ აქედან მე ველარ გავალ ცოცხალიო? კვირა 2ს აპრილს აღდგომაა, ყველასფერი დაკეტილია, მაგრამ შენი მისამართიც არ ვიცოდი და დეპეშა გამოგვზავნე, რომელიც შენ მიიღე და გაცნობეს. ჩემი ტელეფონის მისამართი მე არ მოგეცი, მიტომ რომ მე ხან აქეთ და ხან იქით დავბოდი რამე გამეკეთებინა, და მოგეცი ფალავასი, რადგან მისი ცოლი, შვილი სულ სახში არიან. ვალოდიას სხეული არ გვაჩვენეს, რადგან იგი გადაგზავნეს მორგში რომ გაეჭრათ და ენახათ<sup>17</sup> საბოტაჟი ხომ არ ყოფილა. ასეთი კანონია. არც სურათის გადაღების ნება მოგვცეს მორგში. იგი მხოლოდ გაჭრეს 12 აპრილს და დავასაფლავეთ 15 აპრილს ლევილის საერთო სასაფლაოზე<sup>18</sup>. რაც შეიძლება კარგად დავასაფლავეთ და მივებარეთ უცხოეთის მიწას ჩვენი საყვარელი და ძვირფასი ძმა ვალოდია უდროვით დაკარგული და სრულიათ შემთხვევით. აკაკი! შენი ჩამოსვლა

საჭიროა რადგან ვალოდიას მარცხი მოუვიდა, პასუხის მგებელი არიან, 1) თვით პატრონი სადაც მუშაობდა და 2) (**Accident de travaille**<sup>19</sup>) აქსიდანის დანესებულება, სადაც იგი დაზღვეული იყო, უკვე ვეკილებს შევეკითხე და საჭიროა დედის ვეკილობა ან შენი. ამას მე მგონია აქაური საბჭოთა ხელისუფლების ამბასადი<sup>20</sup> შეასრულებს. შენი მისამართი არ ვიცი, ვერც ვნახეთ ვალოდიას ოთახში. ორი ჩემოდანი სასყუარო მისი წიგნებით და ტანისამოსით<sup>21</sup>. ჩემი მისამართია: **241, rue Croix Nivert Paris 15e**, ტელეფონის № **Vaugirard 13-40**, მხოლოდ შეგიძლია დარეკო 10 საათიდან 12 საათამდე და 2-დან 7იღს. ესე იგი მადაური დროით დილით 12-2 დის და 4დან 9დის, მიტომ რომ მე გავდივარ საქმეებზე. მერე კიდევ 1ლ მაისიდან მე პარიზში ველარ მნახავ, მივიღივარ დასასვენებლად მზიან ადგილებზე და ცოტა მთის ჰაერზე 2 თვით, რომ მოვიკეთო, თუ ჩემს თავს მე არ მოუარე, მომვლელი ბევრი არ არის. თუ ჩამოხვალ ამ თვის დამლევამდის კარგს იზამ, ყველასფერს გეტყვი და მოგიყვები. ყველას ძალიან გული დანყდა ვალოდიას ასეთ უბედურობით.ჩგასვენებას დაესწრენ მისი სახლის პატრონები, ისეთ ტიროდენ, როგორც თავის ძმას. ყველა ტიროდა დიდი და პატარა ჩვენს საყვარელ ძმას ვალოდიას. სანყალ მართას<sup>22</sup> დედას ნუ ეტყვი, რას უზამს, ნუ გაუმწარდება უკანასკნელი დღეები. ისეთი შოკი მქონდა, აკაკი, ვალოდიას ასეთი უეცარი უბედურობით, რომ ათი დღე ვერაფერს ვინელებდი სასმელ საჭმელს და უცბათ გავხდი და ახლა ცოტა მოვიკეთე. მაფრთხილებდა მე რომ არ მეცნობებია სახში ჩემი ავთამყოფობა და ერთი კვირის შემდეგ მე დამჭირდა ასეთი უბედურობის ცნობა მომეცა შენტვის, ცხოვრება როგორი ცვალებადია და დაუნდობელი. ჯერ სულ ახალგაზრდა, უწყინარი, ყველას მოყვარული; რამდენჯელ უთხარი, ვალოდია, დაანებე თავი ამ ეტაჟებზე ფხოკიალს.მოდის ჩემთან, გაჩერდი სასმელ საჭმელი გაქვს, ბინა გექნება და იყავი წყნარად. იძახდა სულ, არ მინდა მუშაობაო, დაანება თავი ერთხელ თავის ხელობას და ინდოეთის საკონსულოში დაიწყო მუშაობა, გახარებული იყო და მერე სულ ახლა დაუბრუნდა კიდევ ამ საქმეს. თურმე იმ დღეს შაბათს შენს ტელეფონს უცდიდა და ეს ამბავი მოუვიდა როცა მუშაობა გაათავა. რას იზამ, ძმაო, ბედი მისი ასეთ ყოფილა. ახლა, ძმაო, თქვენ მაინც იყავით კარგად, და გააგრძელეთ ოჯახის, გვარეულობის ხაზი. მე მგონია ახლა მისი გასვენების შემდეგ შეძლებ აქ ჩამოსვლას და ცოტა რამეს მაინც მოკიდებ ხელს მის სამახსოვროდ, ტყუილა არ დაიკარგოს მისი შრომა და ხლაფორთი. სალამი და კარგად ყოფნა. მიიღეთ ძმური სალამი. გეამბორებით დიდს და პატარას ყველას ერთობით. თუ მაცნობებ, ჩამოსვლას, კარგი იქნება. დეპეშა ყველას ჯობია: **Tchoubinidze. 241, rue Croix Nivert Paris**. ლათინური ასოებით გინდა რუსულად და გინდა ქართული სიტყვებით დეპეშის შინაარსი. ასეთ ვლებულობ ციალასას. უნდა შეურიგდე ამ ამბავს და თავი იმედოვნე იმითი, რომ გყავს ცოლი, შვილი და შვილის შვილი, რაზედაც უნდა იფიქრო და ამან გადაგატანოს ეს უბედურება.

შენი ძმა მიშა ჩუბინიძე<sup>23</sup>.

P.S. პატრონი, სადაც ვალოდია მუშაობდა, არავის არა ცნობს და არასფერს არ იძლევა, ნამუშევარ ფულზედაც უარს ამბობს, სთქვა, რომ ჩამოვა მისი ძმა, მასთან მექნება სალაპარაკო და მას გაუსწორდებო. აგრეთვე (**Accident de travail**) ე. ი. თუ მარცხი მოგივა მუშაობის დროს იხდის ფულს და ვეკილებმა სთქვა,



რომ ახლავე მოგცემენ 3.000.000 ფრანკს ძველს, ე.ი. 30.000 ფრანკის.ამიტომ არის შენი ჩამოსვლა საჭირო, ნუ დაკარგავთ მის შრომას და ხლაფორთს, რაც გასნია სანყალმა.

შენი მიმა.

## საძიებელი და კომენტარები

- 1 მანანა** – მანანა აკაკის ასული ბელიაშვილი (1931-2014), ლადო ბელიაშვილის ძმისშვილი. დაიბადა 1931 წლის 19 სექტემბერს თბილისში. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია მხატვარ-გრაფიკოსის სპეციალობით. წლების მანძილზე მუშაობდა გამომცემლობებში წიგნის გრაფიკის სფეროში, აგრეთვე დაზღვრულ გრაფიკაში – ლინო-გრავეურა, ოფორტი, ქსილოგრაფია, ლითოგრაფია; ფერწერაში – პორტრეტის, პეიზაჟის, ნატურმორტის, თავისუფალი კომპოზიციის უნარში. 1980-იან წლებში ასრულებდა შეკვეთებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრისთვის; იხატავდა ექსპედიციებში მოპოვებულ მასალას. აგრეთვე აფორმებდა ხელოვნებათმცოდნეთა და არქეოლოგთა სამეცნიერო ნაშრომებს;
- 2 გიგოს** – იგულისხმება აკაკი ბელიაშვილის შვილიშვილი, მისი ქალიშვილის მანანას ვაჟი გიორგი ბორისის ძე ციბაძე (1958-2015), მხატვარი-მოქანდაკე. ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“ მის შესახებ ვკითხულობთ: სწავლობდა თსსა ქანდაკების ფაკ-ზე (1978-84). პედაგოგები: თ. ღვინიაშვილი, ი. ოქროპირიძე. სადინ-პლომო ნამუშევარი - „ქალის ფიგურა“ (ხელმძღვანელი - ი. ოქროპირიძე). გამოფენებში მონაწილეობს 1992 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1999 წლიდან. ძირითადი ნამუშევრები: „ნატურმორტი“ (1986), „პეიზაჟი (1987), „შემოდგომა“ (1988), „ნაყოფები საღამოს შუქზე“ (1989), „ნატურმორტი ყვითელი ყვავილებით“ (1990), „მთან-მინდის ხედი“, „ჭადრაკის დაფა“ (1990), „სირინოზთა სიმღერა“ (1991, 1995), „ტრიუმფი“ (1991), „ლიტერატურული სიუჟეტი“, „ძროხები ველზე“, „სახელოსნო“, „ნატურმორტი უჯრედებიან მუშაბაზზე“ (1992), „პასტორალი (1993)“, „ნატურმორტი წითელი ფოთლებით“, „არენა“ (1994), „ლიტერატურული სიუჟეტი“ (1995), „ამბავი ლომ-ვეფხვის დახოცვისა“ (1996), „მწყემსი“ (1997), „გასეირნება“, „ისტორიული სიუჟეტი“ (1998). გამოფენები: საგაზაფხულო (სეგ თბილისი 1994-95), საშემოდგომო (სეგ თბილისი 1995), თბილისის კერძო გალერეები. მისი ნამუშევრები დაცულია სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“, კერძო კოლექციებში.
- 3 აკაკი ბელიაშვილი** ძმას პარიზში ესტუმრა კინორეჟისორ კონსტანტინე (კოლია) პიპინაშვილთან (1912-1969) ერთად.
- 4 ძმა** – იგულისხმება აკაკი იონას ძე ბელიაშვილი (1903-1961), ქართველი მწერალი. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. 1921 წლიდან სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. გიმნაზიაში სწავლის დროს ხელნაწერ ჟურნალებში აქვეყნებდა პატარა მოთხრობებს, მინიატურებსა და პიესებს. 20-იან წლებში „ფუტურისტ-ლეფელბის“ ლიტერატურული დაჯგუფების აქტიური წევრი იყო. ჩამოცემული აქვს მოთხრობათა კრებულები (1933, 1935, 1937). ბელიაშვილის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია ისტორიული რომანები „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“, რომელშიც გამოჩენილი პოეტის მხატვრული ბიოგრაფია XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზეა წარმოდგენილი. ბელიაშვილი კინოდრამატურგიც იყო. მასვე ეკუთვნის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებიც. 1961 წლის 14 დეკემბერს მეუღლესთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა ავტოავარიამი. ცოლ-ქმარი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

- 5 **34 წელიწადი** – ლადო ბელიაშვილი გულისხმობს უცხოეთში გატარებულ წლებს. იგი ემიგრაციაში 1926 წლის ზაფხულიდან იმყოფებოდა. სამშობლოს დატოვებიდან 34 წლის შემდეგ, ის ინახულა მისმა ძმამ, მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა.
- 6 **შენი მეუღლე** – იგულისხმება აკაკი ბელიაშვილის სიძე, მისი ქალიშვილის მანანას მეუღლე ბორის ვასილის ძე ციბაძე (1931-1991), მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1967). მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ნ. ბარათაშვილის (1976, ბრინჯაო, თბილისი), ნ. ფიროსმანაშვილის (1961, შავი ქვა, ფიროსმანაშვილის მუზეუმი, მირზახანი), ვაჟა-ფშაველას (1963, ხე, საქართველოს კულტურის სამინისტრო) ძეგლები, “მწვიდობის სადარაჯოზე (1965, ტონირებული თაბაშირი, საქართველოს სურათების გალერეა) და სხვ.; ბორის ციბაძე 1957 წლის მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა ნამუშევრისათვის “ქალიშვილის პორტრეტი” (მარმარილო, საქართველოს სურათების გალერეა).
- 7 **დედაშენი** – იგულისხმება აკაკი ბელიაშვილს მეუღლე, ცნობილი ემიგრანტი პოეტის გიორგი გამყრელიძის (1904-1975) უფროსი და თინათინი (1907-1961), გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.
- 8 როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1960 წელს ის ინახულა მისმა ძმამ, მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა, რომელიც კინემატოგრაფისტთა საკავშირო დელეგაციასთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმავალი გზად პარიზში გაჩერდა ორი დღით.
- 9 აკაკი ბელიაშვილმა ამერიკაში ორი კვირა დაჰყო. უშუალოდ დაბრუნებისას ის კვლავ შეჩერდა პარიზში სულ რამდენიმე საათით და კვლავ შეხვდა ძმას. მათი შეხვედრის დრამატული ეპიზოდები მწერალმა ასახა თავის სამოგზაურო ფანრის თხზულებაში “ამერიკაში პარიზზე გავლით”. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა “ლიტერატურის მატთან”. რედაქტორი რუსუდან ნიშნაიანიძე. თბილისი. 2015წ.
- 10 წერილი დანერილია პარიზში ძმების შეხვედრის შემდეგ.
- 11 **ლადო** - ვლადიმერ (ლადო) ბელიაშვილი (1906-1961), მწერალ აკაკი ბელიაშვილის უმცროსი ძმა. დაიბადა ჭიათურაში, მწერალ იონა ბელიაშვილის (1879-1924) (ფსევდ.: “იონა თლუღელი”, „ჭიათურელი ეშმაკი“) ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1925 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტზე. 1926 წლის ზაფხულში გაიპარა საზღვარგარეთ, თურქეთის გავლით საფრანგეთში გაემგზავრა და იქ ჯერ მარსელში, შემდეგ პარიზში დასახლდა. ნივთიერი სახსრის უქონლობის გამო მან ვერ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება, მხოლოდ ენის შემსწავლელი კურსები დაამთავრა და სრულყოფილად დაეუფლა ფრანგულ ენას. მთელი სიცოცხლე მუშაობდა მშენებელ მუშად, რთულ უბნებზე, დიდ სიმაღლეებზე, რაც მას საშუალებას აძლევდა წელიწადში მხოლოდ ექვსი თვე ემუშავა, დანარჩენ დროს კი თავისთვის საინტერესო და სასურველ საქმიანობას უთმობდა. მან თვითგანვითარებას მიჰყო ხელი და მწერლობაში სცადა ბედი. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე გამოკვლევა, ნარკვევი, თეორი ლექსი... მრავალმხრივი ინტერესების მიუხედავად, მისი ნიჭი ვერ განვითარდა სათანადოდ ემიგრანტული ცხოვრების მძიმე პირობების გამო. მისი თანამდევნი იყო უსახლკარობა, სამუშაოს ძებნაში ადგილიდან ადგილზე ხეტიალი, მარტოობა, მძიმე ფიზიკური შრომა, რომელიც სულიერად არ აკმაყოფილებდა, და ბოლოს ნოსტალგია... სამშობლოსთან კავშირი თითქმის განწყვეტილი იყო. დედას თუ უგზავნიდა მოკლე ბარათებს დროდადრო. ლადო ბელიაშვილს საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია და არც უშუალო მეშვიდრე დარჩენია. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან სამშობლოში დაბრუნების ნებართვა ითხოვა საბჭოთა მთავრობისაგან და პასუხის მოლოდინში მოულოდნელად ტრაგიკულად აღესრულა. მას უჭირისუფლეს იქაურმა ქართველებმა და დაკრძალეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.
- 12 **აკაკი** – იგულისხმება აკაკი იონას ძე ბელიაშვილი. იხ. კომ. 3.
- 13 **აქსიდანნი** – ფრანგ. **Accident** - უბედური შემთხვევა, ავარია.
- 14 **ვალოდია** – იგულისხმება ლადო ბელიაშვილი. იხ. კომ. 9.

- 15 **თავის შრომას** – სავარაუდოდ, იგულისხმება ლადო ბელიაშვილის კოსმოლოგიური ნაშრომები. როგორც ცნობილია, 1956 წელს მან პარიზში გამოსცა წიგნი “რუსთაველის და დანტეს იდუმალი” (სიტყვა პირველი) (*Les Secrets de Rousthaveli et de Dante Alighieri. Premier discours*), რომელიც რუსთაველის კოსმოგრაფიულ შეხედულებებს (სამყაროს აგებულებას, მზის სისტემას, პლანეტების მოძრაობას, მათი გამომწვევი მიზეზები...) ეძღვნება. წიგნის გამოცემამდე 1953 წელს ლ. ბელიაშვილმა „სოსიეტე-დე-სავანის“ დარბაზში გააკეთა პირველი საჯარო მოხსენება აღნიშნულ საკითხებზე, მეორე კი - ლას-კასის დარბაზში 1954 წელს. სულ განზრახული ჰქონდა ოთხი მოხსენების გაკეთება და ოთხ წიგნად გამოცემა, რაც აღარ დასცალდა.
- 16 **ამბულანსი** – ფრანგ. *Ambulance* –სასწრაფო დახმარება.
- 17 **შენი ჩამოსვლა საჭიროა** – აკაკი ბელიაშვილი ლადო ბელიაშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში, 1961 წლის სექტემბერში მეუღლესთან ერთად პარიზს გაემგზავრა ძმის საფლავის მოსახილველად.
- 18 **ლევილის საერთო სასაფლაოზე** - ლევილი, ლევილ-სიურ-ორჟი (ფრანგ. *Leuville-sur-Orge*) პარიზთან ახლოს მდებარე, მისგან 26 კმ-ით დაშორებული დაბაა, რომელშიც 1921 წელს საფრანგეთში გახიზნულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ იყიდა პატარა მამული. მას სურდა, იგი გამხდარიყო თავშესაფარი ქართველი პოლიტიკური ლტოლვილებისათვის და საქართველოს გათავისუფლების შემდეგ საქართველოს საკუთრება გამხდარიყო. ლევილში არის ქართველ ემიგრანტთა საძმო სასაფლაო, რომელმაც ქართული ეროვნული პანთეონის მნიშვნელობა შეიძინა. იქ დაკრძალული არიან თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები...
- 19 **Accident de travail** – სამედიცინო სადაზღვევო კომპანია, რომელიც გასცემდა საკომპენსაციო თანხას სამუშაოზე უბედური შემთხვევით გარდაცვალების შემთხვევებში.
- 20 **ამბასადი** – ფრანგ. *ambassade* — საელჩო.
- 21 **ორი ჩემოდანი სავსეა მისი წიგნებით და ტანისამოსით** - 1961 წლის სექტემბერში პარიზში ჩასულმა აკაკი ბელიაშვილმა სამშობლოში წამოიღო ძმის ხელნაწერები და წიგნები.
- 22 **მართას** – აკაკი და ლადო ბელიაშვილების დედა იყო მართა, ქორეთელი შეძლებული გლეხის გიგო შარვაძის ქალიშვილი.
- 23 მიმა ჩუბინიძე - მიხეილ ჩუბინიძე (1892-1962), საფრანგეთში ემიგრირებული ქართველი, ლ. ბელიაშვილთან დაახლოებული პირი. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე. აკაკი ბელიაშვილი თავის ზემოხსენებულ თხზულებაში შემდეგ ცნობებს გვანდის მიმა ჩუბინიძის შესახებ: “ქუჩაში გავედით, ტაქსი ვიქირავებ და ხუთმეტრიდენ წუთის შემდეგ მივადექით ერთ საბაკალიო დუქანს. იგი ყოფილ შავი ქვის მრეწველს მიხეილ ჩუბინიძეს ეკუთვნის. ეს ჩუბინიძე მემკვიდრეა იმ გედევან ჩუბინიძისა, რომელმაც პავლე მოსევილთან ერთან ყველაზე პირველად დაიწყო შავი ქვის გატანა ჭიათურიდან გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ჩვედევანს ცოლად ჰყავდა ბაბუაჩემის დაი მართა, ბელიაშვილის ქალი. იგი უშვილო იყო და მის მდიდარ ოჯახში სკასავით ზუზუნებდნენ ნათესავები, დისწლები და დძმისწლები. პატარაობისას ხშირად თვეობით და წლობითაც კი თავისთან ვყავდი და მგონია, რომ ეს მკაცრი და პირქუში ქალი მარტო მე მილიმდა. მათი სახლი ახლაც დგას ზესტაფონის თეატრის გვერდით. მიხეილს, გედევანის ძმის შვილიშვილს ბავშვობიდანვე ვიცნობ. იგი ჩემზე გაცილებით უფროსია, სამოცდაათ წელსაა მიღწეული. ახლა აქ, მაღაზიის მეპატრონე გამხდარა, წინსაფარი აუფარებია და ფრანგ დიასახლისებს საქონელს უწონის. დამინახა თუ არა, მაშინვე მიცნო”.

## Two Personal Letters from the Collection of Lado Belashvili

Publication by Maia Tsertsvadze

### Summary

The name of Lado Belashvili (1906-1961), the younger brother of the Georgian writer Akaki Belashvili is not well known to the general public. He escaped from communist regime in 1926 and died with tragic accident in France. He was researcher and poet. Rustvelologists know his book "Secrets of Rustaveli and Dante" (the first word) published in Paris in 1956, which is dedicated to the cosmographical views of Rustaveli (structure of the Universe, the Solar System, motion of the planets, its reasons...).

The article represents publication of two personal letters from the collection of Lado Belashvili with corresponding comments. Letters are important sources not only for Lado Belashvili's life and activity, but also for the history of Georgian emigration in common. Manuscripts of letters are kept in the manuscript collection of the Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature.

## ირაკლი ცაბური

### საქართველო გოლგოთის გზაზე<sup>1</sup>

#### მაია ვარსიმაშვილი-რაფაელის პუბლიკაცია

ცარისტული კვერთხით გაერთიანებულმა ერებმა მაქსიმალისტური რევოლუციის შემდგომ დამოუკიდებლობა მოიპოვეს. როგორც ვიცით, საქართველომ დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა. იგი დე ფაქტო და დე იურე აღიარეს ანტანტის სახელმწიფოებმა, ხოლო 1920 წლის 27 იანვარს საბჭოთა რუსეთმაც.

საბჭოეთის წითელმა ჯარმა დაარღვია ეს ხელშეკრულება, არაფრად ჩააგდო ერთა თვითგამორკვევის უფლება და ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკას. მომდევნო გვერდებიდან მკითხველი შეიტყობს მესამე ინტერნაციონალიზმის დესპოტიზმის ქვეშ მგმინავი ჯვარცმული საქართველოს მონამეობრივი ხვედრის შესახებ. მოთხრობილი ფაქტები სინამდვილიდან არის აღებული, რაოდენ დაუჯერებლაც არ უნდა მოგვეჩვენოს მათი სისასტიკე.

#### 1921 წლის 25 თებერვალი. თბილისი კაპიტულაციას აცხადებს.

დღის 10 საათზე წითელი ჯარი თბილისს შემოესია. ამით დაიწყო ქართველი ერის სვლა გოლგოთისაკენ.

აქ არ შეუუდგები იმ მიზეზთა მოძიებას, რამაც ჩემი ქვეყანა ამ უბედურებამდე მიიყვანა. ჩემი ერთადერთი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სიზუსტით აღვწერო ბარბაროსთა ქმედება საქართველოში, გულმოდგინედ აღვზუსტო ის ფაქტები, რომლებიც შეუდრეკელი ქართველი ხალხის გადარჩენისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას ასახავს.

<sup>1</sup> დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ჟურნალში *Revue Belge* (ბელგიური ჟურნალი) (01/07/1926, 3, # 1, გვ. 289-320), მოგვიანებით, 1936 წელს, იგივე ტექსტი, „პოლკოვნიკი სურამელი“-ს ფსევდონიმით (Colonel de Souramy), გამოქვეყნდა პერიოდულ ორგანოში *Prométhée* (პრომეთე) ( # 109, 110, 111). წერილის ქართული თარგმანი 1930 წელს დაბეჭდა ჟურნალმა „მხედარი“ (№ 3 და 4). ეს ტექსტი გამოაქვეყნა გურამ შარაძემ წიგნში „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, ტ. 6, თბ., 2006. წინამდებარე სტატია ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ რედაქციის თხოვნით, ხელახლა თარგმნა მაია ვარსიმაშვილი-რაფაელიმ.

როგორც ღრმად მორწმუნეს, მჯერა, რომ ის, ვინც ხელჰყო ერის წმიდათაწმიდა უფლებამ, ვინც დანაშაული ჩაიდინა კაცობრიობისა და ცივილიზაციის წინაშე, დაუფელი არ დარჩება. არ შემოძლია, არ მწამდეს ჩემი სამშობლოს მომავლისა, რამეთუ საკუთარი თვალით ვიხილე მის მიერ გაღებულ დიადი მსხვერპლი და ვიცი, რომ იგი კვლავაც მზად არის, განაგრძოს ბრძოლა ბოლშევიკური უღლის გადასაგდებად.

ერთმა მფრინავმა, „ჩეკას“ ბრძანებით წამებით მოკლული ძმისათვის შური რომ ეძია, 500 მეტრის სიმალიდან სასიკვდილოდ დაუშვა თვითმფრინავი. თავად დაიღუპა, მაგრამ სამი მგზავრი – „ჩეკას“ უსასტიკესი წევრები – თან მოიყოლა კატასტროფაში. ასეთი გმირების მშობელ ერს არც სიკვდილი უწერია და არც მონობა. ადრე თუ გვიან, იგი თავისუფლებას მიაღწევს.

## 1921 წლის 24 თებერვალი.

მე ეროვნული დაცვის ცხენოსანთა დივიზიის უფროსი გახლდით. თბილისის მისადგომებთან, წითელ ჯართან შეტაკებისას, გულის არეში მძიმედ დავიჭერი. ღამის პირველ საათზე, გლეხის ურმით წამიღეს თბილისში. სასწრაფოდ გამიკეთეს ოპერაცია. მეორე დღეს, თვალი გავახილე თუ არა, შევიტყვე, რომ ქალაქი ბოლშევიკებს აეღოთ. ამ დღიდან 1925 წლის 5 სექტემბრამდე დაპყრობილი სამშობლო არ მიმიტოვებია და იარაღით ხელში, ჩემი ხალხის გვერდით ვიდექი.

ბოლშევიკებმა, ქვეყნის ახალმა მესვეურებმა, მოინდომეს მსოფლიო თავიანთ ჰუმანურობაში დაერწმუნებინათ. მათ იტალიის კონსული, შიშით დაზაფრული, აიძულეს, მოწმედ დასადგომოდათ და გაზეთების მეშვეობით ემტკიცებინა, რომ ბოლშევიკები კეთილად ეპყრობოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ამ მხრივ სასაყვედურო არაფერი ჰქონდათ. დამპყრობლებმა სცადეს, გერმანიის კონსულიც თანამზრახველად ექციათ, მაგრამ ასე ადვილად ვერ დაიყოლიეს. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ კონსული იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა.

საავადმყოფოში, სადაც ვმკურნალობდი, ბოლშევიკებმა სასწრაფოდ დანიშნეს კომისარი. ახლადდანიშნულმა, რომელიც პროფესიით მზარეული გახლდათ, საზეიმო სიტყვა წარმოთქვა: „ამხანაგო ქართველებო! ჩვენ მოვედით, რომ გაგათავისუფლოთ სისხლიანი მეფის, ჟორდანიასაგან!“ ამ სიტყვებმა დაჭრილები გაახალისა. გაისმა სიცილ-ხარხარი, შეძახილები. კომისარი, რომელიც ძველ მარქსისტ ჟორდანიასა და მეფეს ერთმანეთისგან ვერ არჩევდა, მიიძალა.

თუ თავიდან ბოლშევიკები თავს ხალხზე მზრუნველად აჩვენებდნენ, სამიოდე კვირის ბატონობის შემდეგ ნიღაბი ჩამოიგლიჯეს. საავადმყოფოს თანამშრომლები და მათი უფროსი, ალექსანდრე მაჭავარიანი, სახელგანთქმული ქორუგვი, დაპატიმრეს და „ჩეკას“ სარდაფებში ჩაამწყვდიეს. მთავარ ექიმად ვინმე სომეხი კომუნისტი დანიშნეს. მან საავადმყოფოდან გაყარა ყველა ქართველი პაციენტი იმ საბაბით, რომ თითქოს საბჭოთა ხელისუფლება კონტრ-რევოლუციური ელემენტების მკურნალობას ვერ იკისრებდა.

ასე გამოგვაძევეს საავადმყოფოდან ღია ცის ქვეშ დაჭრილები, ჯერ კიდევ შეუხორცებელი ჭრილობებით. დავრჩი უბინაოდ, უსახსროდ. ამ მდგომარეობაში ჩემი პოლკის ოფიცრის, თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის (ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1923 წლის 21 მაისს), სტუმართმოყვარეობაზე უარი აღარ მითქვამს.

თბილისის ალებიდან ერთი თვის შემდეგ დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა. დასახვრეტად ნებისმიერი საბაბი კმაროდა: სუფთა საყელო, რიგიანი ტანსაცმელი, თეთრი ხელები, ინტელიგენტური იერი... აი, ბოლშევიკების პირ-

ველევე მხეცურ ქმედებათა ერთი მაგალითი: 1921 წლის მაისის ბოლოს 24 მსხვილი კომერსანტი „გასავლის სვეტში ჩაენერა“ (ბოლშევიკთა გამოთქმავა) იმ ბრალდებით, რომ თითქოს მათ სხვა კომერსანტები დააშინეს და ფულის კურსის დაწვევა სცადეს. ყველა დახვერტილის სახელ-გვარს ველარ გავიხსენებ, მაგრამ რამდენიმე კი შეგორჩა ჩემს გონებას: რესტორან „ანონ“-ის მმართველი ბონდარენკო; წითელი ჯარის მთავარი მომმარაგებელი, გვარად ვანო, რომელმაც წინდაუხედაობა გამოიჩინა და ბოლშევიკებს კუთვნილი 500 მილიონი რუბლის ქვითარი წარუდგინა.

კომერსანტებს ქართველი ოფიცრები მიჰყვნენ. სხვებთან ერთად დახვერტიეს პოლკოვნიკი ლიქვინაძე<sup>2</sup>. საბაბი? 1920 წელს, როგორც ომის საბჭოს თავმჯდომარეს, მას დეზერტირი ჯარისკაცები გაესამართლებინა. შემდგომში კი ეს ჯარისკაცები „ჩეკა“-ს გავლენიანი წევრები გამხდარიყვნენ.

სწორედ ამ დროისთვის საყოველთაო ამნისტია გამოიცა, მაგრამ ვაი, რომ იგი ფარატინა ქალაღზე დარჩა! სასამართლო განაჩენი არც იყო საჭირო. ადამიანებს ადმინისტრაციული განკარგულების საფუძველზე ხვერტდნენ.

ბოლშევიკები ამ უმსგავსი ხერხებით ცდილობდნენ, ჩაეხშოთ ქართველი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისაკენ, თუმცა მათი მცდელობა ამო აღმოჩნდა. განა საოკუპაციო ჯარს ძალუძს უშიშარი ერის გულიდან სამშობლოს სიყვარული აღმოფხვრას?

### 1921 წლის მაისი.

სამშობლო საფრთხეშია. პარტიები ივინყებენ პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობას და ქმნიან ერთიან ლიგას<sup>3</sup>, რომლის მიზანიცაა წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზება და საქართველოს გათავისუფლება. „ძირს საოკუპაციო ჯარი! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! „ – აი, თითოეული პარტიის დევიზი.

მოსკოვი ამ მოვლენას უმაგალითო რეპრესიებით პასუხობს. თბილისის „ჩეკა“ ლენინისაგან შემდეგი შინაარსის ბრძანებას იღებს: „ჩაახშეთ თავხედი საქართველოს მისწრაფება ნებისმიერი საშუალებით: ოქროთი, ციხითა თუ სიკვდილით“.

ამიერიდან იწყება ტერორის რეჟიმი. ლენინისა და მოსკოველი „ჩეკისტების“ ბრძანების ქართველი ერისათვის საცნობებლად თბილისისაკენ მოემურება ქართველი სტალინი.

### 1921 წლის ივნისი.

სტალინი თბილისელ ქართველ მუშებს მიტინგზე იწვევს და უცხადებს, რომ მოსკოველმა მმართველებმა საუკეთესო გადანყვეტილებები მიიღეს. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაოცება და სასონარკვეთა, როდესაც რუსეთში ტაშს მიჩვეულს, ესმის სტვენა და შეძახილები: „გამყიდველო! მოლაღატევე! ჯალათო! ნათრიე მოსკოვში, სისხლისმსმელო... მოსკოვში, სადაც ღირსება დატოვე! საქართველოს მუშათა კლასი მოსკოვის წინააღმდეგ იბრძვის დამონებული სამშობლოს გასათავისუფლებლად. ეს მისი მოვალეობაა. ამ ბრძოლაში მას მთელი ცივილიზებული მსოფლიო დაუჭერს მხარს!“

საბჭოთა ლიდერები ხალხს ისე არ ხვდებიან, თუ შეიარაღებული რაზმი არ უმაგრებთ ზურგს. ახლაც, შეიარაღებულმა რაზმმა ალყა შემოარტყა მიტინგის მონაწილეებს. რამდენიმე მუშა დააპატიმრეს. ისინი დღესაც ციხეში ლპებიან, სიკვდილს უხმობენ და შესთხოვენ, რომ ამ ყოფისაგან დაიხსნას.

2 იგულისხმება „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (რედ.)

3 უნდა იყოს ლექვინაძე (რედ.)

ჯალათებისთვის ქართველების დასასჯელად თბილისის ციხე არ კმარა. ისინი მათ ციმბირში აგზავნიან. სამხრეთის მკვიდრნი აქაური მკაცრი ჰავის პირობებში გარდაუვალი წელი სიკვდილისთვის არიან განწირულნი.

### **დამსჯელი ჯარის საგანგებო რაზმი**

ბოლშევიკები ფლობენ 50 ათასიან ჯარს, ქვეითთა სამ, თითო-თითო ცხენოსან-თა და საარტილერიო დივიზიებს, 98 ზარბაზანს. ამას დაუმატეთ საგანგებო რაზმი, რომელიც იმ სოფლების დასასჯელად არის შექმნილი, სადაც ანტისაბჭოთა ელემენტები აფარებენ თავს.

ეს ჯარი რუსი, სომეხი და ოსი ეროვნების სისხლის სამართლის დამნაშავეებისაგან შედგება. იგი გენერალ ლებედინსკის ემორჩილება, კავკასიაში რუსული ჯარის ყოფილ უფროსს, სულით ხორცამდე რეაქციონერს, რომელიც ყოველივე ქართულისადმი ღრმა სიძულვილით არის გამსჭვალული. გენერლის მიერ მართული ეს ხროვა გაუგონარი სისასტიკით გამოირჩევა და დღე არ გავა, რომ ვანდალური რამ არ ჩაიდინოს. ისინი გლეხებს ართმევენ საქონელსა და იარაღს, აუპატიურებენ მათ ქალიშვილებს, ბილწავენ და მრუშობის ადგილებად აქცევენ ეკლესიებს.

### **„ჩეკა“**

გარდა სამხედრო ორგანოებისა, არსებობს ერთი, „ჩეკას“ სახელით ცნობილი. „ჩეკა“, ანუ საგანგებო კომისია, კოლეგიალური ორგანოა. მას რუსეთის ოთხივე კუთხიდან ჩამოსული უმძინვარესი ჯალათები მართავენ. შევეცდები, დავასახელო ისინი: ებრაელი მოგილევსკი – ჩეკას თავმჯდომარე, ძერჟინსკისა და პეტერსონის თანამონაწილე სისხლიან საქმეებში, ლენინის მიერ საგანგებოდ დანიშნული. მოგილევსკი ქართველთა დაუძინებელი მტერია. მისი მიზანია, გაანადგუროს ქართველი ერის საუკეთესო შვილები. მას შემდეგ, რაც ძალაუფლება ჩაიგდო, მოგილევსკიმ დახვრიტა 200 ქართველი სტუდენტი, 400 მუშა, 1000 ოფიცერი და ინტელიგენციის წარმომადგენელი, 7 500 გლეხი.

ამ სისხლისმელ მხეცს მხარში უდგას რუსეთში „საგმირო საქმეებით“ ცნობილი ორი პიროვნება: რუსი მეზღვაური პანკრატოვი და სომეხი ათარბეგოვი. სწორედ ისინი არიან ძველი რეჟიმის 1000 ინტელიგენტი რუსის ამოუღებელი ორგანიზატორები. მსხვერპლთა შორისაა გენერალი რუსკოვი, იგივე რადკო-დმიტრიევი, პირველი მსოფლიო ომის გმირი.

ამ სამ ჯალათს ემატება ქართველი ბერია, რომელმაც 24 წლის ასაკში უკვე მოასწრო სულისშემხუთველი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებული 10 000 აზერბაიჯანელი გლეხის დახვრეტა.

ჯალათთა სინდისს მიძიმდ აწევს ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე. ვაი, რომ სასამართლოს დაცვას მოკლებული ყველა ადამიანის ბედი მათ ხელშია!

### **წამება**

ტყვეების გამოსატყვევად შექმნილია ჯალათთა საგანგებო ორგანო. მასში მხოლოდ ოთხი „რჩეული“ შედის: რუსი მოროზი, სომეხი – აგანესოვი და პეტროსიანი და ებრაელი შულმანი. შევეცდები, აღვწერო მუშათა და გლეხთა ამ „ღირსეულ“ წარმომადგენელთა სამუშაო მეთოდები. თხრობისას მათ მიერ წანამები ორი ტყვის ჩვენებას დავეყრდნობ.

1923 წლის 21 მაისს კიდევ 15 ქართველი ოფიცერი გამოასალმეს სიცოცხლეს. დახვრეტილთა შორის იყო ჩემი მეგობარი, ერთ-ერთი უმამაცესი მეგობარი, პოლ-



კონენიკი ხიმშიაშვილი. იენისის შუა რიცხვებში მაცნობეს, რომ ხიმშიაშვილის ძმას, პატიმრობიდან ახლადგათავისუფლებულს, ჩემი ნახვა სურდა. შეხვედრა ისეთ ადგილას დავეთქვით, რომელზეც ეჭვს ვერავინ აიღებდა. როცა ახალგაზრდა ვიხილე, ცნობა გამიჭირდა: ოცდაორი წლის კაცს, ოდესღაც სიცოხცლითა და ჯან-ლონით აღსავსეს, შემილიოს იერი დაჰკრავდა. დაფეთებულ მზერაში ჯერ კიდევ ამოიკითხავდით გადატანილი წამებით მოგვრილი შიშის კვალს. აი, სიტყვა-სიტყვით, რაც მან მიაბო:

„ფასანაურში ვიყავი (თბილისის შორიახლოს). გახსოვს, რა თავგანწირვით ვებრძოდი საბჭოთა ხელისუფლებას? მთელი ჩემი ახალგაზრდობა სათაყვანო სამშობლოს შევწირე. ახლა კი, ხედავ, რა ლაჩარევით ვორთი? მისმინე, ციხიდან ერთი პირობით გამომიშვეს... მოროზმა თხოთმეტი დღე მომცა, შენი თავი რომ დავაჭერი-ნო. მეშინია... ჩემი სიმტკიცის აღარ მჯერა. მეყოფა კია ძალა, რომ არ გიღალატო? ხომ გესმის, შენი ტყვეობით უნდა ვიყიდო ჩემი თავისუფლება. მოროზმა კარგად იცის, ჩემი ძმის მეგობარი რომ იყავი და ფიქრობს, რომ არ გამიჭირდება ხელახლა დაგიახლოვდე და „ჩეკას“ შენი თავი ხელში ჩაუგდო. რომ იცოდე, რა წამება გადავიტანე! კვირაობით მაშინმეტი დღე, მძიმე ჯაჭვებით მცემდნენ, სადგისებით მჩხვლეტდნენ, მატარებდნენ დასახვრეტა დერეფნით... დავილაღე... აღარც ღონე მყოფნის და აღარც მხნეობა. ჰოდა, ამ უმსგავსო გარიგებასაც დავთანხმდი. გემუდარები, წადი, თავს უშველე. მეც მომეცი საშუალება, გავიქცე, მოვშორდე ამ საპყრობილეს. ვიცი, როგორ გიყვარდა ჩემი ძმა. მისი ხათრით მაინც დამპირდი, რომ თხოვნას შემისრულებ.“

შევეცადე, დამეწყნარებინა. ვურჩიე, ხერხისთვის მიემართა: ჯალათები დაერწმუნებინა, თითქოს ჩემს კვალზე იდგა, ძებნაში დიდი გულმოდგინება გამოეჩინა და ამით მონინალმდეგის ყურადღება მოედუნებინა. მართლაც, „ჩეკა“ მოტყუვდა. დღეს ეს ადამიანი საბჭოთა საზღვრებიდან შორს იმყოფება.

მეორე წამებული თავადი ამილახვარია, ჩემი ცხენოსანი დივიზიის კაპიტანი, მოვალეობის გრძნობით აღსავსე ვაჟკაცი. მან ერთი წლის განმავლობაში აიტანა „ჩეკას“ წამება. გმირულად დაიღუპა 1924 წლის პირველ სექტემბერს.

აქ ზუსტად გადმოგცემთ მის მონათხრობს:

„იმ დროს, როდესაც ჩოლოყაშვილმა პარტიზანული ომი წამოიწყო, გორის ახლოს, სოფლ ჭალაში ვიმყოფებოდი. დამიჭირეს და თბილისში გამაგზავნეს. „ჩეკამ“ დამკითხა. რახან ჩოლოყაშვილთან ვიბრძოდი, „ჩეკისტებმა“ იფიქრეს, რომ საგულისხმო ცნობებს მიიღებდნენ ჩემგან. პირველად ცხოვრებაში ძრწოლა ვიგრძენი. სიკვდილის კი არ მეშინოდა, არა... იმის გაფიქრება მზარავდა, თუ რა დაცინვა და დამცირება უნდა ამეტანა მტრისაგან. ამას კიდევ უფრო აძლიერებდა საკუთარი უმწეობის შეგრძნება.“

„ჩეკას“ ჯურღმულში ორი კვირა გავატარე უიმედო მარტოობაში. ჩემს საკანს მხოლოდ უზარმაზარი ვირთხები იზიარებდნენ. მშიერ-მწყურვალი, შუქსა და სუფთა ჰაერს მოკლებული, ვისუნთქავდი გაუთავებელ ტყვეობათა შედეგად დაგროვილი ექსკრემენტების სიმყრალეს, ვლპებოდი ამ სიბინძურეში ჩამჯდარი. სიცხე მიწევდა. შიმშილს ველარც კი ვგრძნობდი, გულისამრევი სუნი სულს მიხუთავდა. გონებადაბინდულს ფეხზე დგომის თავიც აღარ მქონდა. ხელის ცეცებით ვეძებდი კედლებში ჭურჭრუტანას, ცოტაოდენი ჰაერი მაინც რომ ჩამესუნთქა.“

მეთხოთმეტი დღეს, გამოქვაბულის ბჭე გაიხსნა: ჩემს წასაყვანად მოვიდენ.

აი, წარვდექი ჯალათ მოროზის წინაშე, ვისი სახელიც შიშის ზარს სცემს ყველას.

მან მომთხოვა, ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი ოფიცრები დამესახელებინა. განვუცხადა, რომ არავის ვიცნობდი. მოროზმა ბრძანება გასცა, ვენამებინეთ.

ხელფეხშეკრული განმართხეს იატაკზე. მოროზმა ბრძანა, ჩემთვის ფეხსაცმელები გაეხადათ. შემდეგ გრძელი სადგისი აიღო და ფრჩხილებქვეშ დამარჭო. ტყვეობისა და შიმშილისაგან დაძაბუნებულმა ჩემმა სხეულმა მეტი ველარ აიტანა. გული წამივიდა. აღარ ვიცი, მერე რა მოხდა. როდესაც ცნობაზე მოვედი, ვნახე, რომ საკმაოდ სუფთა ოთახში ვინექი და ჩემთვის მშვენიერი სადილიც იყო გამზადებული. საკუთარი თავი ხელით მოვისინჯე. ნუთუ ყველაფერი ცხადში ხდებოდა და ეს ჯოჯოხეთი სიზმრად არ გამოვიარე? რამდენიმე დღის განმავლობაში მზრუნველობით მივლიდნენ. ჩემი მეთვალყურე სამარისებურ დუმილს იცავდა. ჩემი კითხვების პასუხად მხოლოდ დამცინავი ღიმილი აუთამაშდებოდა ხოლმე სახეზე.

სწრაფად მოვლონიერდი. ერთ ღამესაც ჩემი ოთახის კარი ხმაურით გაიღო. შეეხტი. გამოღვიძებულს წინ მოროზი მედგა. მისი გარეგნობა, მისი საუბრის მანერა – ყველაფერი ზიზღს მგვრიდა. გააფთრებული ვეფხვი ნაკლებ დაუნდობელი იქნებოდა, ვიდრე ეს ორფეხა ურჩხული. მან დაჟინებით მომთხოვა, ჩოლოყაშვილის შეფიცულთა გვარები დამესახელებინა. იგივე ვუპასუხე, რაც პირველი დაკითხვისას. დანვრილებით ველარ ვისხენებ ყველაფერს, მხოლოდ ის მახსოვს, რალაც სავარძელში ჩამსვეს. ვიგრძენი, დენის ნაკადმა როგორ გამიბრინა ტანში. მისი გამანადგურებელი ძალა აუტანელ ტკივილს მაყენებდა. კრუნჩხვამ დამიარა, ვიგრძინებოდი. ბოლოს გული წამივიდა.

გონს რომ მოვედი, ისევ ჩემს ოთახში აღმოვჩნდი, თავს ექთანი დამტრიალებდა. შიშით მოველოდი მომავალ გამოჯანსაღებას: ვიცოდი, კიდევ უფრო საშინელი წამება მელოდა. თვითმკვლელობაზე ფიქრი ამეკვიატა. ხელახალ განსაცდელს სიკვდილი მერჩინა. მაგრამ რას მოეახერხებდი ასეთი მკაცრი ზედამხედველობის პირობებში?

აი, მესამედ წამების დღეც დადგა. სიკვდილის სუნთქვა ვიგრძენი და უფალს სული შევავედრე. რალაც აკლდამისმაგვარ ჯურღმულში შემიყვანეს. შუაგულში ყინულით ნახევრად ავსებული კუბო იდგა. კიდევ ერთხელ მიბრძანეს, ჩოლოყაშვილთან კავშირში მყოფი ოფიცრები დამესახელებინა. ჩემი პასუხი რომ მოისმინეს, გამაშიშველეს, ხელი მტაცეს და ყინულში ჩამანვივნეს. ვყვიროდი, ვიხვეწებოდი... იქამდე დავმდაბლდი, რომ მტერს შებრალებას ვთხოვდი, თუმცა იმდენი ძალა კი მეყო, რომ არ გამოვტეხილიყავი. ღმერთმა დამიფარა გამცემლობისაგან.

ისევ ჩემს ოთახში დამაბრუნეს და ხელახლა შუდგენენ ჩემს მკურნალობას. ნეტავ, რა საზარელ წამებას მიმზადებდნენ კიდევ? საშინლად ვიტანჯებოდი იმის გაფიქრებაზე, რომ ძალა მიმტყუნებდა და ჩემს მეგობრებს ვულალატებდი. უფალს შევთხოვდი, სიცოცხლე მანამ მოესპო ჩემთვის, სანამ ღირსებას დავკარდავდი.

ახლა კარგად მესმის, რატომ ვერ უძლებს ტყვეთა უმრავლესობა წამებას და რატომ იქცევა ამხანაგთა მოლაღაბე. კაცს რკინის ნერვები და მონამის სიმტკიცე უნდა ჰქონდეს, სულით რომ არ დაეცეს ან თავი არ მოიკლას.

ნელ-ნელა ღონეს ვიკრებდი და გულის კანკალით ველოდი, როდის დამადგებოდა თავს ჯალათი ხელახლა. ამჯერად, მე თავად წამიყვანეს მის კაბინეტში. მან საზეიმო იერით წამიკითხა განაჩენი. დახვრეტა მქონდა მისჯლი. გარწმუნებ, ისეთი შვევა ვიგრძენი, თითქოს დიდი განსაცდელისთვის დამელწიოს თავი. სიკვდილი, რომელსაც ამდენი ხანია, ვუხმობდი, როგორც იქნა, მოახლოებულიყო და ამ ჯო-

ჯოხეთისგან დახსნას მპირდებოდა. სიხარულმა მომიცვია. როგორც ჩანს, მოროზმა ჩემს თვალებში სიხარულის ნაპერწკალი შენიშნა და მიზეზი მკითხა.

„სულითხორცამდე ვენამე, თუმცა უდანაშაულო ვიყავი, – მიუფე მე, – განა ადამიანს შეუძლია აიტანოს ეს საშინელი დამცირება? ყოველ ტანჯულს სიკვდილი შეგებად ესახება“.

იმ ღამეს მცველები ჩემს წასაყვანად მოვიდნენ. ხელები მაგარი თოკით შემიკრეს და „ჩეკას“ ეზოში გამიყვანეს, სადაც ოცამდე პატიმარი შეეყარათ. მათ შორის ვიცანი პოლკოვნიკი ბარშბეკ-მაჩაბელი. შევნიშნე, რომ სხვა პატიმრებს ხელი ამერიკული მავთულით ჰქონდათ შეკრული. ამ მავთულს უფრო იმიტომ იყენებენ, რომ ხორცს ჭრის, თუ ტყვე მის მოცილებას შეეცდება.

იქვე საბარგო მანქანაც იდგა. ტყვეები შიგ შეგვყარეს და ერთიმეორეზე დაგვახვავეს, თითქოს ყოველად უსარგებლო ტომრები ვყოფილიყავით. სული გვეუფთებოდა. მძინარე ქალაქში ჩვენი გმინვა და წყევლა-კრულვა რომ არავის გაეგო, „ჩეკისტებმა“ მანქანას ბრეზენტი გადააფარეს. შეიარაღებული „ჩეკისტებით“ სავსე სამი საბარგო მანქანა უკან მოგვეყვებოდა.

ცოტა ხანში მანქანა გაჩერდა და ჩამოგვსხეს. ადგილი ვიცანით: სოლანლულში, თბილისის ახლოს უნდა დაგველია სული. ხიშტების კვრით წინ გაგვიგდეს და დიდი ხრამის პირას მიგვაყენეს. სამ ტყვეს უკვე მიებარებინა სული უფლისათვის: მანქანაში სხვების სიმძიმის ქვეშ გაუღდელიყო. ჯალათებს სულისა და ხორცის გაყრის თავიანთი წესი ჰქონდათ. მათი სიმდაბლე აქაც კარგად ჩანდა. მოროზი, აგანესოვი, შულმანი და პეტროსიანი მსხვერპლს ნაგანს კისერში აბჯენდნენ და საქონელივით კლავდნენ. ზოგჯერ ტყვეს ცოცხლადაც მარხავდნენ, როგორც ეს მაიორ ჩრდილელს დაემართა, 1923 წლის 21 მაისს.

არასდროს დამაინყვებდა მოროზის სიძულვილით აღსავსე თვალები, როცა მან სიცოცხლეს გამოსასალმა გორის ციხის მოწყალეების და, წარმოშობით სომეხი. ქალიშვილი სულ ოცი წლისა იყო. სიკვდილი იმიტომ მიუსაჯეს, რომ პატიმრები ებრაელებოდა და მათი ტანჯვის შემსუბუქებას ცდილობდა.

რევოლუერშემართული მოროზი მომიახლოვდა: „თავადის ნაშიერო... არც ახლა იტყვი იმ ოფიცრების გვარებს?“ უცნაური რყევა ვიგრძენი. ნავიქეცი და თხრილში ჩავგორდნი. ტრევილს არსად ვგრძნობდი, არც იარაღით მიყენებული ჭრილობის წვას. ნუთუ არ დაეჭრილვარ? „ჩეკისტებმა“ თხრილიდან ამომათორიეს და ისევ საბარგო მანქანაში ჩამაგდეს. მანქანა უკან დასაბრუნებელ გზას დაადგა.

ვერაფრით ამეხსნა, რატომ არ მერგო დანარჩენი ტყვეების ხვედრი. რას მიმზადებდნენ, კიდევ რა ჯოჯოხეთი მელოდა წინ?

ერთმა კვირამ გაიარა. მოროზმა თავის კაბინეტში დამიბარა. წარმოიდგინეთ ჩემი გაცემა, როდესაც შეიტყვე, რომ თავისუფალი ვიყავი, თუმცა იმ პირობით, რომ არავისთვის მეთქვა, რაც აქ ვიხილე. „იცოდეთ, რომ იმით, ვინც აქაურ ნაშენებს უძღვეს, უდანაშაულოდ ვაცხადებთ“, – მითხრა მოროზმა. მან შემომთავაზა, „ჩეკას“ საიდუმლო თანამშრომელი გავმხდარიყავი. უარი ვუთხარი. მოვიმიზეზე, რომ სოფლად ვცხოვრობდი და ოფიცრებთან კავშირი სრულებით არ მქონდა.“

აი, რა მიაბო ამ ორმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა. როგორც უკვე ვთქვი, პირველმა მათგანმა, ხიმშიაშვილმა, თავს უშველა და დღეს ისეთ ადგილას არის, რომ ჯალათებს მასზე ხელი არ მიუწვდებათ. მეორე, თავადი ამილახვარი, აჯანყების დროს, 1924 წლის პირველ სექტემბერს დახვრიტეს, თუმცა, როგორც მისი მონათხრობიდან ჩანს, „ჩეკამ“ თავის დროზე უდანაშაულოდ ცნო.

## ახლა 1924 წლის აგვისტოს დამდეგის ამბებზე გადავინაცვლებ.

საქართველოში შეთქმულები შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდნენ. პარტიათა ლიგამ<sup>4</sup> ერთხმად დაუჭირა მხარი ამ პატრიოტულ მოძრაობას. მეც სატანური უღლის ქვეშ მგმინავი სამშობლოს გადასარჩენად სხვა გზას ვერ ვხედავდი და აჯანყების თავგანწირული მომხრე ვიყავი.

ბოლშევიკებმა მოახლოებული აჯანყება იცნოსეს. მათ იგრძნეს მთელი ერიდან, მისი თითოეული კლასიდან დაძრული საფრთხე. საპასუხოდ კიდეც უფრო მოუჭირეს რკინის სალტეს. ხალხი გმინავდა. მასობრივი დაპატიმრებები გახშირდა. ყველგან შეთქმულების ქსელს ეძებდნენ.

ერთმა ფრიად პატივსაცემმა ოჯახმა ჩუმად შემიკედლა. ერთ დილასაც ალელვებული დიასახლისი გამოძეცხადა და მითხრა: „ქართველები დაიჭირეს, ომის კომისარიატის<sup>5</sup> თანამშრომლები. ეჭვი აქვთ, რომ ისინი შეთქმულების მონაწილეები არიან. ჩვენი მეზობლის ქალიშვილი, მარი იოსელიანი, დაპატიმრებულთა შორისაა. წავალ, მის იჯახს გავაფრთხილებ“. სახლიდან გასვლით თავს საფრთხეში ჩავიგდებდი, ამიტომაც შინ დავრჩი და დიასახლისის დაბრუნებას დაველოდე. აი, რა შევიტყვე მისგან:

ქალიშვილის უჩვეულო დაგვიანებით შესვლითებული იოსელიანები მისი ამბის გასაგებად წასულაყვნენ და შეეტყვოთ მარის დაპატიმრება. სასონარკვეთილი დედა საკუთარ ძმას, ცნობილ ჯალათ ელიავას, საბჭოთა კომისარიატის თავმჯდომარეს, მისდგომოდა და მისი დახმარებით მოეხერხებინა შვილის გათავისუფლება. მოროზს არ გცოდნოდა, ტყვე საბჭოების თავმჯდომარის დიშვილი რომ იყო და სასტიკად ეწამებინა. თავდაცვის დროს მარის ხელი გაერთყა ჯალათისათვის. მასაც, გამწარებულს, თურმე ის იყო ქალიშვილი თხუთმეტი დამხმარე ჩეკისტისთვის უნდა გადაეცა, რომ დედასაც მოესწრო მოსვლა. მარი გადარჩა, თუმცა, სამწუხაროდ, სულიერად დაავადებული დარჩა.

აი, ამის მსგავსი სხვა ამბავიც:

1924 წლის 13 იანვარს დააპატიმრეს პოლკოვნიკი ჩახავა, ერთ-ერთი რჩეული ქართველი ოფიცერი. იგი „ჩეკას“ ჯურღმულში ჩაამწყვდიეს, ჯაჭვდადებული. „ჩეკისტებმა“, ვერანაირი ნაცადი გზით რომ ვერ შეძლეს სასურველი ჩვენების მიღება, ჩახავას ცოლიც დაიჭირეს, ჭლეკით დაავადებული ახალგაზრდა ქალი. იფიქრეს, ასე მაინც გატეხდნენ პატიმარს, მაგრამ უბედურმა ამხანაგების ღალატს სიკვდილი არჩია. იგი გმირად მოკვდა, ისევე, როგორც 1924 წლის სექტემბრის იმ შემზარავ ღამეებში დახოცილი ათასობით ოფიცერი და იტელიგენტი.

## საგანგებო დამსჯელი რაზმი

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რა მიზნით შეიქმნა ეს რაზმი და აღვწერე, თუ რა მეთოდებს იყენებდა მოსახლეობის დასარბევად. მტრის მიმართ არცერთ მთავრობას იმდენი დაუნდობლობა არ გამოუჩენია, რამდენიც საბჭოებს. 1923 წლის თებერვალში გურიის მხარე სათარეშოდ გადაეცა შეიარაღებულ ხროვას. მას სათავეში ვინმე ობოლადე ედგა, ყოფილი სტამბის მუშა. ობოლადისა და თალაკვაძის სისასტიკე ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობამაც იწვნია. საკმარისი არ არის ითქვას, რომ ისინი ჟღერდნენ და ასახლებდნენ ადგილობრივ მკვიდრთ. ბოლშევიკთა წამების ხერხებს სისასტიკით ვერც ერთი ტირანული რეჟიმი ვერ დაუდებს ტოლს.

4 იგულისხმება „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (რედ.)

5 იგულისხმება „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (რედ.)

## გამოძიება

1923 წლის გაზაფხულზე გამოძიებას გავექეცი და თავი ერთ მასწავლებელთან შევაფარე საბავშვო ბაღში. შესანიშნავი დარი იყო და ბავშვებსაც ღია ცის ქვეშ უტარებდნენ გაკვეთილებს.

პირველივე ნახვისთანავე გამოაცა ლეთისმშობლისა და სხვა წმინდანების გამომსახველმა ურცხვემა სურათებმა. ბოლშევიკთა გარყვნილებას აქაც, უმანკო პატარებთანაც კი შემოეღწია.

სადილის დროს დაჩოქილი ბავშვები უფალს პურსა და ჩაის შესთხოვდნენ. უბედურები დიდხანს ლოცულობდნენ, მაგრამ კარი არ იღებოდა და უფალს სადილი არ მოჰქონდა. მაშინ მასწავლებელი ბავშვებს ფეხზე აყენებდა და უხსნდა, რომ ღმერთი მხოლოდ მდიდრების გამონაგონი იყო. ის რომ სინამდვილეში არსებულები, მათ ლოცვას უსათუოდ შეისმენდა. „-ახლა, ბავშვებო, მოდი, იმავე ლოცვით ნოე ჟორდანიას მივმართოთ,“ – ამბობდა მასწავლებელი. ბავშვებიც ხელახლა იჩოქებდნენ მორჩილად და ყოფილი თავისუფალი საქართველოს მეთაურს თავიანთ უღოფას ევედრებოდნენ. მათ ლოცვას ყურად კვლავაც არავინ იღებდა. „ჟორდანია ბურჟუაზიის ლაქიაა, – განუმარტავდათ აღმზრდელი, – ის ხალხისა და ბავშვების მტერია. მოდი, დიდი ლენინის, დაჩაგრულთა და ღარიბთა ქომაგის, წინაშე ვილოცოთ!“

არაქათგამოცლილი პატარები კიდევ ერთხელ იჩოქებდნენ. მათი ლოცვა უღონო ჩურჩულია იყო. სწორედ ამ დროს, თითქოს რაღაც ჯადოსნობით, კარი იღებოდა და საუზმეც შემოჰქონდათ.

აღზრდის ამგვარი ხერხებით, ნორჩ სულებში ურწმუნოების ჩათესვით, ბოლშევიკებს ეკლესიის ავტორიტეტის დაცემა, ქრისტიანობის მორალურ ღირებულებათა განადგურება სურდათ. ისინი რელიგიის წინააღმდეგ ტლანქ და ურცხვ პროპაგანდას მიმართავდნენ. არაფრად აგდებდნენ ნორჩების უმანკოებას, მათ გულელებში კლავდნენ კდემისა და მოვალეობის ყოველგვარ გრძნობას და მათ მომავალ დამნაშავეებად და მეძავეებად ზრდიდნენ.

ყოველ საბავშვო ბაღში მიჩენილია კომუნისტი აღმზრდელი, რომელმაც უხეშად უნდა გამოჰკითხოს პატარებს, თუ რას ამბობენ შინ მშობლები. ბავშვიც გულუბრყვილოდ ჰყვება, რაც ოჯახში გაუგია. ბალიდან დაბრუნებულს მამა თუ შინ არ დახვდა, ეჭვდაც არ მოსდის, მშობლის გამყიდველის ან მამისმკვლელის ცოდვა რომ დაიდო უნებურად კისერზე. ყოველ ბოლშევიკურ სკოლაში, ყოველ მიტინგზე სატანური ხელისუფლების მთელი ძალა იქით არის მიმართული, რომ დასცეს ზნეობა, აღმოფხვრას კდემის, მოვალეობის, სამშობლოს სიყვარულის გრძნობები – ერთი სიტყვით, ყველა ის გრძნობა, რაც ადამიანს ამაღლებს და ღმერთთან აახლოებს. ყოველივე ამას საბჭოთა ხელისუფლება ბურჟუაზიულ ცრურწმენასა და სამღვდელოების მონაწილას უწოდებს. ბოლშევიკთა დანაშაული მხოლოდ ის კი არ არის, რომ ქვეყანა ეკონომიკურად დააქციეს, მოსახლეობა კანინბალიზმამდე მიიყვანეს, ათასობით უდანაშაულო დახვრიტეს, არამედ ისიც, რომ ადამიანს წამების შედეგად დაპარგვინეს საკუთარი ღირსება. მათ ჯვარს აცვეს ჭეშმარიტება, მშვენიერება, სამართალი, თავად უფალი... მათ შეურახცყვეს და ლაფში ამოსვარეს ყოველივე ის, რაც ადამიანს ცხოველზე მაღლა აყენებს. კომუნისტურმა ზნეობამ, მათი აღზრდის სისტემამ სავალალო შედეგები მოიტანა: გარყვნილება ზეიმობს, სკოლებში ვენერიულ დაავადებათა რიცხვი არნახულ მაჩვენებელს აღწევს. ამას თავად კომუნისტური პრესაც კი აღნიშნავს. „სქესობრივი გარყვნილება საფრთხეს უქმნის ჩვენი ერის სიცოცხლისუნარიანობას. ლოთობა, უზნეობა, სიფილისი ამცირებს

ერის ახალგაზრდულ ძალებს. თუ ეს რეჟიმი გაგრძელდა, ათ წელიწადში ქვეყანას ჯანსაღი თაობა აღარ ეყოლება,” - აცხადებს ერთი სახელგანთქმული ექიმი.

სკოლებში გაკვეთილები უნესრიგოდ ტარდება. კლასიკური განათლება აღარავის სურს. მთავარი ყურადღება კომუნისტური პარტიის ისტორიის, მარქსიზმის, პარტიის ლიდერთა მიერ წარმოთქმული სიტყვების, ლენინისა და კომუნიზმის სხვა მოციქულთა ბიოგრაფიების სწავლებას ეთმობა.

მასწავლებლები დაქერის შიშით არიან შეპყრობილნი. ისინი ემორჩილებიან კომკავშირელ მოსწავლეთა კომიტეტს და ატესტატებსაც მათი ზეგავლენით გასცემენ. ადმინისტრაციული ძალაუფლება, რომელსაც კომკავშირი ფლობს, მას საშუალებას აძლევს, მასწავლებელთა შორის არასასურველი ელემენტები თავიდან მოიშოროს.

უმაღლესი სასწავლებლის კარი მხოლოდ კომკავშირელი ახალგაზრდებისთვის – ლენინის მოსწავლე ამ მომავალი არამზადებისათვის – არის ღია. უპარტიო ახალგაზრდებს, რაც უნდა ცოდნის წყურვილით იყვნენ შეპყრობილნი, უმაღლესი სწავლის მიღების საშუალება არა აქვთ. მეცნიერების დაუფლება ერთადერთი კლასის – ქართველი ერის მოღალატეებისა და მკვლელების – მონოპოლიად იქცა.

ბოლშევიკებმა კარგად იციან, რომ საქართველოს ხიშტებისა და წითელი ჯარის ძალით იმორჩილებენ. მათი ძალაუფლება, რუსი გლეხობის უხეში ძალით ზურგგამაგრებული, მხოლოდ ტერორზე დაყრდნობით არსებობს. თუ რუსეთში ძალაუფლება უმაღლესი პოლიტიკური სამმართველოს (“გპუ”) ხელშია, საქართველოში „ჩეკას“ ტერორისტული მმართველობა ხუთი წელია, გრძელდება. მიუხედავად მტრისგან მიყენებული ზარალისა, საქართველო იმედს არ ჰკარგავს, რომ სამართალი იზვიმებს. ვერანაირი ძალა ვერ აღუდგება წინ მის ძალუმ მისწრაფებას.

აი, ამგვარ ვითარებაში, 1924 წლის 28 აგვისტოს, მთელი სამყაროსაგან მიტოვებული საქართველო, მტრისგან გავერანებული, მარტოდმარტო აღდგა მჩაგრელთა წინააღმდეგ. აჯანყება მოსკოვის ჯარმა ჩაახშო. საქართველომ 10000 შვილის სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად. რაც მთავარია, ქართველმა ერმა მთელ სამყაროს აცნობა თავისი სამართლიანი აღშფოთება. მსოფლიო პატარა საქართველოს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის მოწმედ იქცა. 28 აგვისტოს აჯანყება ქართველი ერის ისტორიაში მის ერთ-ერთი ყველაზე გმირულ ფურცლად ჩაინერება.

როგორც აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, თავს ნებას მივცემ, მოკლედ ავხსნა, თუ რამ უბიძგა ქართველ ხალხს, ვერაგ და მასზე ასჯერ ძლიერ მოწინააღმდეგეს შესჭიდებოდა.

უწინარეს ყოვლისა, ქართველი ხალხი ვერ შეეგუა დამოუკიდებლობის დაკარგვას. მას არ შეეძლო, საბჭოთა დესპოტიზმის წინაშე ქედი მოეხარა. მისი შეგნებული პატიოტიზმი ვერ ურიგდებოდა კრემლის მმართველობის მიერ თავსმოხვეულ ინტერნაციონალიზმსა და ცინიზმს. ეგზეკუცია, სომეხთა და ოსთა თარეში ქართულ პროვინციებში, ეკლესიების დახურვა და მათი სიმდიდრის ხელისუფლების მიერ მითვისება, დამცირება და საშინელი პოლიტიკური წენი, საფრთხე, რომელიც თავად ერის არსებობას ემუქრებოდა – აი, ის მიზეზები, რამაც ქართველ ხალხს ამბოხება გადააწყვეტინა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი ხალხის კულტურა, რომელიც ბიზანტიურ კულტურასთან ისტორიულ კავშირში განვითარდა, უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე რუსი ხალხისა. ამ უკანასკნელის სისასტიკე და მხეცური ინსტინქტი ნათლად გამოვლინდა ბოლშევიკურ ანარქიაში. თუ ყველაფერ ამას გაავითვალისწინებთ, უკეთ გავიგებთ, რატომ შეიძულა ქართველმა ერმა ბოლშევიკები. საქართ-

ველოს ეროვნული არსებობა საფრთხის წინაშე დადგა. დასავლეთიდან მას ენეერ ფაშას<sup>6</sup> ძღვეამოსილი ჯარი მოადგა, ხოლო ჩრდილოეთიდან ლენინის ბოლშევიკთა ხროვა ემუქრებოდა. ამ მძიმე ვითარებაშიც კი ქართველ გლეხებს ბოლშევიკთა დაქირავებული მებრძოლებისთვის მხარი არ დაუჭერიათ. ქართველი ჯარისკაცისთვის სამხედრო სამსახური მშობელი ქვეყნის წინაშე ვალდებულებაა. იგი თავის მეობას არ კარგავს და ჯარი მორჩილ მანქანად არ აქცევს. ქართველი მეომრად იზადება. ბიზანტიურმა კულტურამ, ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, საკუთრების გრძნობამ მას კულტურისა და ცივილიზაციისადმი პატივისცემა ჩაუნერგა.

რაც შეეხება რუსეთს, 1917 წელს იგი, ლენინის მონოდეების მორჩილად მიმდევარი, ეკონომიკურ კრახამდე მივიდა და ბრესტ-ლიტოვსკის სამარცხვინო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. რუსი გლეხები არც მემამულეებს ინდობდნენ და არც მათ ჯიშთან საქონელს, თავიანთ გზაზე ქვას ქვაზე აღარ ტოვებდნენ, კაციაშიობამდე მივიდნენ. ქართველი გლეხი კი მისთვის უმძიმეს დღეებშიც კი წესრიგისა და კანონის ერთგული დამცველი დარჩა.

მთელი 1917 წელი სოფელში გავატარე და საკუთარი თვალით ვიხილე, როგორ ხორციელდებოდა საქართველოში დიდი აგრარული რეფორმები. ლენინის დევიზი „ძარცვე სხვების ნაძარცვი!“<sup>7</sup> ქართველი გლეხის გულს არ გაკარებია. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა<sup>8</sup> ერს მოუწოდა, დაევიწყებინა პოლიტიკური უთანხმოებანი, ქვეყნის დასახსნელად ერთიანი ფრონტი შეექმნა და დალოდებოდა დამფუძნებელი კრების მიერ ახალი რეფორმების შემუშავებას. მას ერსულოვნად დაუჭირა მხარი ერის ყველა ფენამ. ქართველი ერი ვერ ურიგდება კომუნისმის მქადაგებელთა ბარბაროსულ მეთოდებს. ამის მიზეზი მრავალია: ქართველის ბუნება, სამართლისა და მოქალაქეობრივი მოვალეობის მისეული გაგება, გონებრივი სიმაღლე და ყოველივე ის ჯანსაღი ელემენტი, რასაც ადამიანი ცივილიზაციისაგან იღებს.

სანამ 1924 წლის საყოველთაო აჯანყება იფეთქებდა, ამბოხებები დაიწყო საქართველოს სხვადასხვა მხარეში. ეს მოვლენები კარგად გამოხატავდა იმ ერის სულიერ მდგომარეობას, რომელიც უცხო ძალის ბატონობას ვერ ეუბება. ცხადი იყო, რომ ადგილობრივი გამოსვლები ერთ დღესაც დამპყრობლის წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყებაში გადაიზრდებოდა. ამბოხებამ პირველად დუშეთის ოლქში იფეთქა. მას სათავეში პოლკოვნიკი ჩილოყაშვილი ედგა.

ამ დროს მთელი მსოფლიოს ყურადღება თურქეთისაკენ იყო მიპყრობილი, სადაც ქემალ ფაშას ჯარი, რომელმაც ბერძნები დაამარცხა, ანტანტის ჯარების მიერ დაკავებული კონსტანტინოპოლისაკენ მიემართებოდა.

პარტიათა ლიგამ<sup>8</sup> უბრძანა ჩილოყაშვილს, მოეხდინა აჯანყების ლიკვიდაცია, რადგან პოლიტიკური პირობები გამარჯვებას სათუოს ხდიდა. პატრიოტული გრძნობის კარნახით, პოლკოვნიკმა სცადა, გლეხები დაეყოლიებინა, რომ თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნებულიყვნენ და ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდნენ. ჩილოყაშვილმა მალევე ინანა ეს მოქმედება: დუშეთის აჯანყებას რეპრესიები და უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. აჯანყება მაშინვე რომ დანეხბულიყო, მსხვერპლი ნაკლები იქნებოდა.

თითოეულ სოფელში აჯანყებულები და მათთან ერთად სრულიად უდნაშაულო ადამიანებიც ბოლშევიკებმა ბოსლებში გამოკეტეს და ცეცხლი წაუკიდეს. ვინც ამ

6 უნდა იყოს ქემალ ფაშა (რედ.)

7 იგულისხმება მთავრობის თავმჯდომარე (რედ.)

8 იგულისხმება „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (რედ.)

უბედურთა გადარჩენას შეეცდებოდა – ქალები, ბავშვები, ტყვეთა ოჯახის წევრები – ისიც ტყვეთი განგმირული ეცემოდა. ამ საზარელ ოპერაციებს კომისრები ობოლად და თალაკვაძე ხელმძღვანელობდნენ. სისასტიკით კარიერსაც<sup>9</sup> კი გადააჭარბეს, დიდი ფრანგული რევოლუციის დროს ლუარაში გლეხები რომ ჩაახრჩო.

დუშეთის რეპრესიებს გურიისა მიჰყვა. უნდა ითქვას, რომ ეს პროვინცია ერთ-ერთი ყველაზე განათლებულია. აქ მხოლოდ მოსახლეობის 5%-დან 10%-მდეა წერა-კითხვის უცოდინარი.

ბუნებრივია, დუშეთის მაგალითით დაშინებული გურულები ისეთ რამეს ვერ ჩაიდენდნენ, საბედისწერო შედეგები რომ მოჰყოლოდა. ისინი 1923 წლის დამდეგს მოსკოვის მმართველობის საწინააღმდეგო მშვიდობიან დემონსტრაციას დასჯენდნენ. ეს დემონსტრაცია მოსკოვს არ მოეწონა და წესრიგის აღდგენის საბაბით, თუმცა წესრიგი არც არავის დაურღვევია, გურიისკენ სასწრაფოდ გადმოსროლეს წითელი რაზმი. მას ობოლად და თალაკვაძე მეთაურობდნენ. ამ ველურებმა ათასზე მეტი გლეხი გამოასალმეს სიცოცხლეს. ტიფიანი ალექსი გიორგაძეც კი არ დაინდეს, სოფლებისაგან მეტად დაფასებული ადამიანი.

უსამართლობა და დასჯის ბარბაროსული მეთოდები, მოსახლეობაში შიშს რომ თესავს, მგრძობიარე, კეთილშობილი და მტკიცე ადამიანების გულში აღშფოთებას იწვევს. ისინი მჩაგვრელებს მედგარ წინააღმდეგობას უწევენ და ცდილობენ, შური იძიონ ფეხქვეშ გათელილი სამართლიანობისთვის. გურიამაც იპოვა დალუპული შვილების სისხლის მაძიებელი გიორგი ლლონტის სახით. ლლონტმა სიცოცხლეს გამოასალმა დამსჯელი რაზმების მეთაური.

აუცილებლობამ მოითხოვა, შექმნილიყო ორგანო, რომელიც ორგანიზებას გაუწევდა ყველა მებრძოლ ძალასა და პარტიათა ლიგას<sup>10</sup>. მასში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ყველაზე გავლენიანი წარმომადგენლები შევიდნენ. მათი მოვალეობა იყო, შეემუშავებინათ მოქმედების საერთო გეგმა და ემართათ მთელი ერის ხეფერი. როგორც შემდგომ მათმა პროცესმა დაადასტურა, ეს ადამიანები მონოდების სიმაღლეზე იდგნენ. ისინი კარგად იცნობდნენ ბოლშევიკთა ბუნებასა და რეპრესიის მათეულ ბარბაროსულ მეთოდებს. ინტერპარტიული კომიტეტის წევრებმა შეძლეს, შეთქმულება საიდუმლოდ შეენახათ იმ დრომდე, სანამ ის მეზივით არ დაატყვევებოდა თავზე ხელისუფლებას. თავზარდაცემული ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთი ოჯახების უსაფრთხო ადგილას გახიზვნას შეუდგნენ. აჯანყებულები თავგანწირვით ეკვთნენ მტრის ბასტიონებს. რეგიონებში ყველგან ძალაუფლება მათ ხელში გადადიოდა. პატრიოტული შემართება, სამართლიანი ბრძოლის რწმენა, ერთუზიანობა ათმაგებდა მათ ვაჟკაცობას. მაგრამ ვაი, რომ მტერი რიცხვით ჯაბნიდათ. აჯანყებულები იძულებულნი შეიქნენ, უკან დაეხიათ.

აჯანყების გეგმა ასეთი იყო: თბილისის აღება, სადაც წითლების მთელი ჯარი იყო თავმოყრილი, საკმაოდ ძნელ საქმეს წარმოადგენდა. ქართველები იმედოვნებდნენ, რომ ვაჟკაცობა, ძალ-ღონე და გამარჯვების დაუოკებელი წადილი ყველაფერს შეაძლებინებდათ. ისინი თბილისისაკენ სხვადასხვა მხრიდან დაიძრნენ.

კოჯრის მხრიდან მომავალ აჯანყებულებს პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი მეთაურობდა. მე, ჩემი მებრძოლებით, საპირისპირო მხრიდან უნდა დავძრულიყავი და

9 უან-ბატისტ კარიერი (1756-1794), ფრანგული რევოლუციის ტერორის წარმომადგენელი. 1793 წლის ოქტომბერში იგი ნანტიში ჩადის და ვანდეელთა ხოცვა-ჟლეტას, დახვრეტას, დახრჩობას შეუდგება. მისი ბრძანებით ლუარაში ახრჩობენ 94 მღვდელს. რევოლუციური ტრიბუნალი კარიერს ასამართლებს და სიკვდილით სჯის 1794 წლის 16 დეკემბერს.

10 იგულისხმება „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (რედ.)



ჩოლოყაშვილის რაზმს თბილისთან შევერთებოდი. მესამე, დუშეთის მიმართულე-ბიდან, პარტიზანებს წინ გლახი ლაშქარაშვილი უძლოდა.

ყველაზე მძიმე ოპერაციის შესრულება მე მხვდა წილად: თბილისიდან 25 კერსის დაშორებით მდებარე ვაზიანის ბაზა სწრაფი შეტევით უნდა ამეღო. აქ 98 ზარბაზ-ნით შეიარაღებული წითელი ჯარი იდგა.

თავისთავად ეს გეგმა მცდარი და მიუღებელი იყო. აჯანყების ორგანიზატორებ-მა მთელი სიგრძე-სიგანით ვერ გაითვალისწინეს თბილისის პოლიტიკური თუ სუ-ლიერი მნიშვნელობა. საქართველო იმის ხელშია, ვის ხელშიცაა თბილისი. ამიტო-მაც პირველი დარტყმა უშუალოდ თბილისის, კომუნისტთა ბასტიონისათვის უნდა მიგვეყენებინა. და დაქალაქის აღებით წითელი ჯარი ცენტრალურ მმართველობას დაკარგავდა და მთელ საქართველოში გაიფანტებოდა, სადაც ყველგან მტრულად განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობა დახვდებოდა. იგი იძულებული შეიქნებო-და, დანებებოდა გამარჯვებულებს.

ჩვენი გეგმის წყალობით კი მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. მემბო-ხეთა მთელ ქვეყანაში გაფანტულმა ძალებმა ვერ შეძლეს, დროულად მოეყარათ თავი. უთანასწორო ბრძოლაში დავმარცხდით. ასეთი იყო ჩვენი ბედი.

დამარცხების მეორე მიზეზი ქიათურის აჯანყებულთა ნაადრევი გამოსვლა გახ-ლდათ. მათ მოქმედება დათქმულ დროზე ოცდაოთხი საათით ადრე დაიწყეს.

ისიც უდა აღვნიშნით, რომ აჯანყებულთა რიგებში მუშები და გლეხები იბრ-ძოდნენ. ისინი უშიშრად მიიწვედნენ კბილებამდე შეიარაღებულ მტერზე თავიანთი ბარებითა და წინბებით. მრავალი მეთაური ბრძოლის ველზე დაეცა. ამ ადამიანთა გმირობა იმსახურებს, ისტორიას შემორჩეს.

აჯანყებულებმა ათასობით ბოლშევიკი დაატყვევეს. ბრძოლის ერთ-ერთი მონა-წილე, არტილერიის კაპიტანი მამალაძე, ამჟამად ბელგიის სტუმართმოყვარე მი-წაზე იმყოფება. მას შეუძლია, დაადასტუროს კომუნისტთა სიმხდალე, რომლებიც მუხლებზე დაჩოქილები იხვეწებოდნენ შეწყალებას. კაპიტანი მამალაძე იმასაც და-ამონებებს, თუ რა ვაჟკაცურად იბრძოდნენ ქართველი გლეხები ციხესიმაგრესთან,<sup>11</sup> როგორ უშვერდნენ შუბლს ტყვიების წვიმას.

ხელისუფლებამ მხეცურად დასაჯა მუშები და გლეხები. ეს იმას მოწმობს, რომ ბოლშევიკები მუშებსა და გლეხებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მათი მკვლელები და ჯალათები არიან.

ქიათურის ნაადრევმა გამოსვლამ საბჭოთა მმართველობას საშუალება მისცა, აჯანყების ჩასახშობად ენერგიული ზომების მიღება მოესწრო. მთელ საქართველო-ში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. ის ნაგებობა, რომელსაც მთელი ჩვენი იმედები ემყარებოდა, ჩვენს თვალწინ თანდათან იშლებოდა.

ჩემთვის მონდობილი დავალება – განმეიარაღებინა ვაზიანის წითელი სამხედრო ბაზა – ვერ შევასრულე. ვჭოჭმანობდი. ვფიქრობდი იმაზე, თუ რა უშედეგო მსხვერ-პლი უნდა მოჰყოლოდა ამ ბრძოლას. ჩემს განკარგულებაში 300 მამაცი გლეხი იყო. ამგვარი მეზრძოლებით ვინმე სხვას ჩემს ადგილას იქნებ საოცარი გმირობაც კი ჩაედინა. სამშობლოს ათასჯერ დავუმტკიცე ერთგულება. სადახლო, ბათუმში, ნორიო... რომელი ერთი გავიხსენო! ნორიოს ბრძოლის მონაწილეები იტყვიან, მტრის ტყვიით დაჭრილმა როგორ სტოიკურად შევინარჩუნე ჩემი პოზიცია. ქიათურის ნაადრევმა გამოსვლამ გამარჯვებაში ხელი შემიძალა. ამას თავის გასამართლებ-

11 ფრანგულ ტექსტში ციხესიმაგრე მოხსენიებულია სახელწოდებით „სინაინი“ (მთარგმნ.).

ლად არ ვამბობ. იმ საბედისწერო ღამეს მე მოვიქეცი, როგორც სინდისიერი ჯარისკაცი, სამხედრო პირი, მაგრამ მაკლდა რევოლუციონერის სიფიცხე და სითამამე.

ხალხის ყრფ დრტინვა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ „ჩეკას“ სმენამახვილ აგენტებს. ისინი გრძნობდნენ მოახლოებულ საფრთხეს, თუმცა არ იცოდნენ, რა დღეს და რა დროს ამოხეთქავდა დაგროვილი რისხვა. მათ არც ის უწყოდნენ, თუ რა ძალას ფლობდნენ აჯანყებულები. ამით გაღიზიანებულნი, განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ.

ჭიათურის ნადრევემა გამოსვლამ ხელისუფლებას სიმშვიდე დაუბრუნა. მას უკვე შეეძლო, საქმის ცოდნით ემართა მოვლენები. სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა თუ არა, ბოლშევიკებმა თბილისის გამაგრება დაიწყეს. ქალაქში ტანკები და შენიღბული ავტომობილები გამოჩნდა. 30 000 კაცთანაა ჯარმა თბილისის დაცვის ბრძანება მიიღო. არტილერია საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანეს.

ჩემი შტაბ-ბინა პატარძელში მდებარეობდა. ვაზიანის კომისარი ჩემთან მოვიდა და მთხოვა, შეტევა დანიშნულზე თორმეტი საათით ადრე დამეწყოს. რახან სამხედრო მდგომარეობა უკვე გამოცხადებული იყო, იქნებ მოულოდნელ შეტევას მტერი უფრო დაეზნია. დავთანხმდი. საღამოს 7 საათზე ძალაუფლება თორმეტი სოფლის ხელში გადავიდა. ხელისუფლების წარმომადგენლები დაეკავებენ და განვითარაღეთ ყოველგვარი ფიზიკური ძალადობისა და თვითნებური ანგარიშსწორების გარეშე.

ჩვენი გეგმის პირველი ეტაპი დაუბრკოლებლად სრულდებოდა, ახლა შემდეგზე უნდა გადავსულიყავით: თბილისში შესვლა უნდა გვეცადა და ბოლშევიკების არტილერია გვეგდო ხელთ. ეს დიდ გამბედაობას მოითხოვდა. მტრის ბანაკს ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით. პროექტორების შუქმა გაგვცა. მტრის საარტილერიო განლაგებას 10 კილომეტრით რომ მივუახლოვდით, არიერგარდმა ცეცხლი გაგვისხსნა. ჩვენც სროლა ავტყენეთ. ამ დროს მაცნობეს, რომ კავალერიის სამი პოლკი წითელი ჯარის დასახმარებლად მოემურებოდა. ვითარება აუტანელი შეიქნა. ტყვია-წამალი გვითავდებოდა. იძულებული გაგხდი, ჩემი მამაცი მებრძოლებისთვის უკან დახევა მებრძანებინა. ღამით ვისარგებლეთ და ისინი ტყეში შევიყვანე. სამწუხაროდ, გვიანდა იყო. ჩემი არ იყო, ჩოლოყაშვილმაც, მანგლისის ალების შემდეგ, კოჯორთან მარცხი იწვნია.

ვიმეორებ, ჭიათურის აღებამ საშუალება არ მოგვცა, მტრისთვის მოულოდნელი და გადაწყვეტი დარტყმა მიგვეყენებინა.

თბილისთან დამარცხების შემდეგ ბრძოლა დაიქაქა. აქა-იქ გმირულ შეტაკებებსაც ჰქონდა ადგილი, რეგიონებში ცალკეული ბრძოლები წარმატებითაც სრულდებოდა, მაგრამ თბილისი ბოლშევიკების ხელში იყო და აჯანყებულთა ბრძოლა საბოლოო მარცხისათვის იყო განწინარული.

საყოველთაო აჯანყება სასტიკი რეპრესიებით იქნა ჩახშობილი. საქართველო სისხლში ცურავდა. ბოლშევიკები შურს იძიებდნენ ერზე, რომელმაც გაბედა და სულსმეხუთველი უღლის გადაგდება და თავისუფლების მოპოვება სცადა.

### **რეპრესიები ქართლში**

ქართლი განსაკუთრებით იყო შევიწროებული ბოლშევიკთა ბატონობით. ამ რეგიონში ქარველებთან ერთად ცხოვრობენ სომეხი ლტოლვილები, რომლებიც ქართველებმა ჩვეული სტუმართმოყვარეობით შეიკედლეს, აგრეთვე ჩრდილო კავკასიიდან მოსული ოსები. სწორედ ამ ორი ეროვნების წარმომადგენლებში ეძებდნენ ბოლშევიკები ერთგულ მსახურებს. ისინიც, გაამყებულები, ბოროტად იყენებდნენ

მინიჭებულ უფლებებს. უცხოელთადმი დამორჩილება ქართველთა ეროვნულ სიამაყეს ლახავდა.

ცარიზმი ყოველთვის ცდილობდა, სიძულვილი გაეღვივებინა კავკასიის ხალხთა შორის, გაეთიშა ისინი, რათა უკეთ ებატონა. საბჭოთა ხელისუფლებაც ცარიზმის ამ პოლიტიკას აგრძელებდა. ისინი უფრო შორსაც წავიდნენ: ოსებს ეგრეთწოდებული ეროვნული დამოუკიდებლობა მიანიჭეს და ქართველთა კუთვნილი და ქართველებით დასახლებული მიწები აჩუქეს. ქართველი გლეხები, ბუნებრივია, არ მოელოდნენ ვერაგობას იმათგან, ვინც სტუმართმოყვრულად მიიღეს. ამ უხელოებას გადასცეს ქართველი გლეხებისათვის ჩამორთმეული ქონება. მათმა ტყვიამ კი ათასობით ქართველი იმსხვერპლა. უამრავმა ოჯახმა ჩაიცვა შავები. ქართველმა გლეხმა ვერ შეძლო ყოველივე ამის დაფიქრება. იგი დახოცილ ძმებზე შურისძიებისკენ მოუწოდებს. ადრე თუ გვიან, ეს მოწოდება ხელახალი ამბოხებით დაგვირგვინდება.

ბოლშევიზმის აგენტთა დანაშაულობები ენით აუწერელი სისასტიკისაა. აქ მხოლოდ მათი „ჰუმანურობის“ სიმბოლურად გამომხატველ რამდენიმე ფაქტს დავასახელებ. ამ სტრიქონების წერისას, ქართველ წამებულთა ტანჯვას რომ ვიგონებ, ხელი მიკანკალებს და ძარღვებში სისხლი მეყინება.

ქურდაძემ, ამჟამინდელმა გორის ოლქის საგანგებო კომისარმა, სოფელ ოსი-აურში ორი საგვარეულო ამოაწყვეტინა: ვიზირიშვილები და ფალავანდიშვილები. ჯერ შემინებული ქალებისა და ბავშვების თვალნი მამაკაცები მოაკვლევინა, შემდეგ კი ბრძანება გასცა, ყველანი დედაბუდიანად ამოეჟლიტათ, ძუძუთა ბავშვებიც კი არ დაენდოთ. დახოცილთა გვამები ბოსლებში შეყარეს და დამძულ ძაღლებს დააგლეჯინეს.

მოსახლეობის შემდეგ რისხვა თავს სამღვდლოებას დაატყდა. ორმოცი მღვდელი, მათ შორის სამი დეკანოზი – ხოსე ბებიაშვილი, ციციკაშვილი და შველიძე – სამოცდაათმეტი-ოთხმოცი წლის მოხუცებულები, დაჭირეს და გორის ციხეებში დახვრიტეს.

აი, ერთი მღვდლის მონათხრობი, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს:

„მტერმა ხელ-ფეხი შეგვიკრა და მინაზე დაგვყარა. განძრევა არ შეგვეძლო. სიკვდილის ველოდით. ციხეში მომუშავე სომხები და ოსები დამცინავად გვიყურებდნენ. ეს ტანჯვა იმიტომ გვერგო, რომ ანაფორები არ გავიხადეთ და ქრისტეს სამარადისო ერთგულება შევფიცეთ. შიმშილისაგან მუცელი გვეგრემდა, წყურვილისაგან ყელი გვიშრებოდა. ციხის მცველი შარდითა და განავლით საესე სათლს მოაჩოჩებდა ჩვენსკენ და ურცხვი დაცინვით იმეორებდა ქრისტეს სიტყვებს: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი. სვით ამისგან ყოველთა. ესე არს სისხლი ჩემი“.

რვა დღის წამების შემდეგ შეგვიბრალეს: ომიადემ, ყოფილმა ყაჩაღმა, რომელსაც ციხის ადმინისტრაციაში დიდი თანამდებობა ეჭირა, ბრძანა, ჩვენთვის პური მოეცათ“.

ტყვეთა უმრავლესობა ვერ იტანდა უბედურებას და ჭკუიდან იშლებოდა. მათი გოდება, ცად აღვლენილი, მხოლოდ ციხის მცველთა საზარელ სიცილს იწვევდა პასუხად.

ჩემი მშობლები სურამში ცხოვრობდნენ. ბუნებრივია, აქაურ ამბებს ინტერესით ვადევნებდი თვალს. სურამში არც აჯანყება მომხდარა, არც რაიმე სახალხო გამოსვლას ჰქონია ადგილი. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ მაინც მოძებნა საბაბი, ოცდათექვსმეტი კაცი რომ დაეხვრიტა.

სამი წლის განმავლობაში ვემალბოდი მდევარს. გარეული ნადირივით დავძრნოდი, ხან სად ვაფარებდი თავს და ხან სად. არ მინდოდა, ჩემს ოჯახს „ჩეკას“ ჯაშუშები გადაკიდებოდნენ, ამიტომ მათ აღარ ვნახულობდი, აღარც ჩემს ამბებს ვანვდიდი. მაინც ვერ შევძელი, ჩემებისათვის რეპრესია ამერიდებინა. ქალაქის მახლობლად რომ ვიმყოფებოდი, ერთმა სომეხმა ექიმმა, გვარად აკოფიანმა, დამასმინა. ჩვენს სახლს ალყა შემოარტყეს და ჩემი და-ძმები დაიჭირეს. ამან საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. ადგილობრივი კომისრები იძულებულნი გახდნენ, საქმეში ჩარეულიყვნენ და უდანაშაულოთა სიცოცხლე გადაერჩინათ. სამწუხაროდ, მამაჩემი ამ ამბავმა იმსხვერპლა: საკუთარი თვალით იხილა, ჩემი უმცროსი ძმა დასახვეტად როგორ წაიყვანეს და ამ სურათს მისმა გულმა ვეღარ გაუძლო.

ქართლის ბედი კახეთმაც გაიზიარა. აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ გაიგზავნა ორი ქვეითი და ერთიც ცხენოსანთა დივიზია, ძველი რეჟიმის ოფიცრის, მაკულინის მეთაურობით. დამსჯელმა რაზმებმა ააოხრეს მრავალი სოფელი: ნორიო, დიდი და პატარა ლილო, ახალსოფელი, უჯარმა, ხაშმი, სართიჭალა, მუხროვანი, პატარძეული, ნინონშიდა, საგარეჯო, გომბორი. საიმპერიო დაცვის ყოფილი ოფიცერი, კუზნეცოვი, კავკასიის შტაბ-ბინის უფროსი, პირადად ხელმძღვანელობდა გლეხთა ხოცვა-ჟლეტას. პატარძელში მარტო ერთმა, ბილანიშვილების, ოჯახმა ოცდასუთი წევრი დაკარგა.

კახეთის მდიდარი და აყვავებული მხარე გაუდაბურდა და სასაფლაოდ გადაიქცა. ერთი ინგლისელი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ეწვია საქართველოს, რომ ბოლშევიკური რეჟიმის სიმტკიცე დაემონწმებინა, წერდა: „დიდგვაროვანთა ყველაზე პატიოსანი წარმომადგენლები უარს ამბობენ თავიანთ წოდებაზე და გმობენ წინაპართა დანაშაულს.“ აქ იგი თავად ვაჩნაძის მაგალითს იშველიებდა, საბჭოთა გაზეთებიდან ამოღებულს. ინგლისელისთვის არავის აუხსნია, რომ ვაჩნაძე კახეთიდან იყო, სადაც დამსჯელმა რაზმმა შეუბრალებლად გამოასალმა სიცოცხლეს თავდაზნაურთა უამრავი ოჯახი. ვაჩნაძემაც გვარის შეცვლა მხოლოდ იმიტომ ითხოვა, რომ სიკვდილს გაქცეოდა.

სექტემბრის იმ მძიმე დღეებში თბილისი სისხლიან სცენად გადაიქცა. „ჩეკას“ სარდაფებში გამოამწყვდიეს და ყოველგვარი განაჩენის გარეშე დახვრიტეს 10 000 კაცი – ინტელიგენციის წარმომადგენლები, ოფიცრები, მუშები, გლეხები. იგივე ხვედრი ენათ პატიმრებს, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია, სასჯელს იხდიდნენ. ბოლშევიკებს ციხეების განტვირთვა სჭირდებოდათ.

2 სექტემბერს თბილისში 85 სტუდენტი დახვრიტეს. სტუდენტები ამყად გამართნენ სიკვდილის შესახვედრად, თან ეროვნულ ჰიმნს, „დიდებას“, მღეროდნენ. მთელ საქართველოს სწვდებოდა მათი ხმა. ვინც ეს განწირულნი იხილა, მათ ვერასდროს დაივწყებს და ვერც კრემლის მსახურთ აპატიებს ჩადენილ სამინელებებს. მოვა დრო და ამ უკანასკნელთ მიენვათ მათგან ჯვარცმული ქართველი ერის კრულვა.

თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში საქართველო ბრძოლის ჟინით ატანილი მაჰამადიანებით იყო გარშემორტყმული, კუნძულივით გარჩენილი აზვირთებულ ოკეანეში, რომელიც მას შთანთქმით ემუქრებოდა. მან მაინც შეძლო, მაჰამადიანთა შემოტევებს გამკლავებოდა და ქრისტიანული რწმენა ხელუხლებლად შეენარჩუნებინა. ქვეყანა ათასგზის დამარცხებულია მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ არასდროს დამონებულა. მან საუკუნეთა ქარცეცხლში

გამოატარა თავისი თვითმყოფადობა. მამა-პაპათა ანდერძის მცველი, მსგავსი პრომეთესი, რომელსაც არწივი ჰკორტნის, საქართველო ღვთაებრივი ცეცხლის მატარებელია. მოვა დრო, როცა ეს ცეცხლი აგიზგიზდება. საქართველომ დაამსხვრია მონღოლთა, არაბთა და მრავალი მრისხანე მტრის ბორკილები. მან იბრძოლა რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ცივილიზებული ცხოვრების უფლება რომ დაეცვა. დღეს იგი იბრძვის კრემლის დესპოტიზმისა და სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ. მიჯაჭვული პრომეთე სიმბოლოა პატარა საქართველოს თავგანწირული ბრძოლისა ქრისტიანობისა და ცივილიზაციის მტრების წინააღმდეგ. ქრისტიან მონამეთა სისხლმა წარმართული სამყარო წგრევაგდე მიიყვანა. 1924 წლის სექტემბერში დაცემულ ქართველ მონამეთა სისხლიც მტარვალთა დაღუპვას მოასწავებს.

1923 წლის 23 მაისის ეგზეკუციამ ქართველთა უმამაცესი და საუკეთესო საბრძოლო მეთაურები შეიწირა: გენერლები – თავადი აფხაზი, თავადი ნულუკიძე, თავადი ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკები – ხიმშიაშვილი, გულისაშვილი, მაჭავარიანი, მაიორი ჩრდილელი, მეთაური ბაგრატიონი. სექტემბრის თვეში ჯალათებმა 85 სტუდენტი, ათასი ოფიცერი და ინტელიგენციის წარმომადგენელი დახვრიტეს. მტრის ტყვიამ იმსხვერპლა მაიორი მახარაძე და პოლკოვნილი ჩახავა. დახვრიტეს აგრეთვე 200 მუშა, მათ შორის მუშათა კლასის ხელმძღვანელები: ნ. ხომერიკი, ვ. ჯუღელი, ფალავა, ჩხიკვიშვილი, ნოდია, ცენტურაძე, ცაბაძე, ძმები ჭითაიშვილები.

თბილისის სისხლიანი რეპრესიების შემდეგ წითელი ჯარი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მის შემადგენლობაში შედიოდა სამი ქვეითთა, ორი ცხენოსანთა დივიზია, „ჩეკას“ საგანგებო რაზმი და დამსჯელი რაზმი – სულ 10 000 კაცი. ათობით გემმა ფოთსა და ბათუმში ახალ-ახალი რაზმები გადმოსხა. ერთი თვის განმავლობაში იცავდა დასავლეთ საქართველო თავისუფლებას. ყველა ქალაქი, გარდა წითლების მიერ გამაგრებული ბათუმისა და ქუთაისისა, აჯანყებულთა ხელში გადავიდა. დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში – გურიაში, სამეგრელოში, სვანეთსა და იმერეთში – პარტიათა ლიგამ<sup>12</sup> მოსახლეობის მობილიზაცია მოახდინა. აჯანყება მტერმა სისხლში ჩაახშო. დამარცხებას მრავალი გარემოება უწყობდა ხელს. საქართველომ ვერანაირი დახმარება ვერ მიიღო უცხოეთიდან. მეზობელი ქვეყნები გულგრილობას იჩენდნენ (აზერბაიჯანი და ჩრდილოეთ კავკასია არ აჯანყებულან). მტერი აჯანყებულებზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო. გამარჯვებულები ენით აუნერულ სისასტიკეს სჩადიოდნენ. დახვრეტილთა ცხედრები რიონსა და ცხენისწყალს მიჰქონდა. კომისარ ვაშაძის ბრძანებით შორაპანში ნამდვილი სასაკლაო მოეწყო. ვაგონში ჩაკეტეს და ჩაცხრილეს სამი ათასამდე ტყვე<sup>13</sup>. ინკვიზიციისათვის ჯალათი ოგანესოვი მოიწვიეს. მხეცობა იქამდე მივიდა, რომ აბაშიძეების, წერეთლებისა და აგიაშვილების დახოცილი ქალიშვილების გვამებიც კი გააუპატიურეს.

იმერეთის დამორჩილების შემდეგ წითელი ჯარი სამეგრელოსა და გურიაში შეიჭრა. სამეგრელოში ბოლშევიკთა რაზმები მეგზურობას უწევდა შინაგან საქმეთა კომისარი ა. გეგუჭკორი. ამ ყოფილ ყაჩაღს, გაქურდვის მიზნით, საკუთარი საყვარელი მოეკლა და ცარისტული რეჟიმის დროს დონის როსტოვის

12 იგულისხმება „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (რედ.)

13 ავტორი აჭარბებს, ვაგონში ჩაცხრილულთა რიცხვი 96 კაცს შეადგენდა (რედ.)

ციხეში მკვლევლობისთვის იხდიდა სასჯელს. გეგეჭკორმა დაპყრობილ სამეგრელოში სისხლისღერა გააჩაღა. ერთი კვირა გრძელდებოდა სენაკის, ზუგდიდის, აბაშის მშვიდობიანი მოსახლეობის ყლევტა. ხოცავდნენ ამბოხებულთა ოჯახებსა და ნათესავებს, არ ინდობდნენ ქალებსა და ბავშვებსაც კი. გეგეჭკორის მებრძოლები მონური ერთგულებით ასრულებდნენ უფროსის ყოველგვარ სურვილს. ეკლესიები ჯარისკაცთა და „ჩეკისტთა“ განცხრომის ადგილებად გადააქციეს. მღვდლები, გაუგონარი დამცირების შემდეგ, წამებით მოკლეს. აჯანყება მხეცურად ჩაახშეს. ყოველივე ამის შემსწრე ერთი მამაცი მებრძოლი, რაზმის უფროსი, რომელმაც ევროპაში გახიზვნა მოახერხა, იქ გონებიდან გადაცდა და სიცოცხლე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაასრულა. მისი სახელია დ. მხეიძე.

დასავლეთ საქართველოს დამარბეველთ აფხაზთა რაზმებიც შეუერთდნენ. მათ სათავეში აფხაზეთის სახალხო კომისარი, ლაკობა, იდგა. ამ სამსახურის სანაცვლოდ კრემლმა ლაკობას აპატია „თუთუნის პანამად“ ნოდებულ საქმეში სკანდალური მონაწილეობა, რაც გამოძიებით იყო დადგენილი.

გურიის მაზრა ამჯერად ნაკლები მსხვერპლით გადარჩა: თუ 1923 წელს აქ 1 500 კაცი დახვრიტეს, ამჯერად მხოლოდ 500 კაცი დაიღუპა. ეს იმის დამსახურებაა, რომ უცხოეთის პრესამ საქართველოს დასაცავად ხმა აიმაღლა. სვანეთის პროვინცია ყველაზე გვიან დანებდა. გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, რომელიც მას მიუღებოდა ხდის, სვანეთმა შეძლო ბოლშევიკთა შურისძიება თავიდან აეცილებინა და ძალა შემდგომი ბრძოლისათვის შემოენახა. გათელილმა და აოხრებულმა საქართველომ 10 000 ერთგული შვილი დაკარგა.

ნითელი მოსკოვის მიერ ორგანიზებულმა სექტემბრის თვის ხოცვა-ყლევტამ ხალხს თვალი აუხილა. დღევანდელი სისხლიანი მთავრობის წევრები სამუდამოდ შერჩებიან საქართველოს ისტორიას როგორც მკვლევები, ვერასდროს მოიშორებენ კანისა და იუდას სახელს. საქართველოში ოჯახს ვერ ნახავთ, ერთი წევრი მაინც რომ არ ჰყავდეს დახვრეტილი, დაჭერილი ან გადასახლებული. ხიშტებით დამყარებული „წესრიგი“ სამარის წესრიგსა და სიმშვიდეს მიაგავს. ერი ჩუმდება და დუმლით იშუშებს ჭრილობებს. იგი ლენინის ხროვას არასდროს შეარჩენს თავის შილითა სისხლს. განა შეიძლება გმირთა ხსოვნის შეურაცხოფის პატიება? თბილისის სამხედრო ეკლესიის<sup>14</sup> ეზო, სადაც გმირები იყვნენ დასაფლავებულნი, დღეს კომკავშირელების ფეხბურთის მოედნად არის გადაქცეული. განა შეიძლება „ჩეკას“ ჯურღმულებში ჩაყრილი ქართველების წამებისა და შეურაცხოფის დავიწყება? მართალია, ფიზიკურად დავმარცხდით, მაგრამ სულიერად გავიმარჯვეთ. ჩემი ნათქვამის დასტურად მინდა, ერთი შემთხვევა გიამბოთ.

აჯანყების შემდეგ ერთ ხანდაზმულ გლეხის ქალთან შევაფარე თავი. ამ ქალმა აჯანყებისას დაკარგა ქმარი და ოთხი ვაჟი. მის ცრემლგამმრალ თვალებში აუტანელი დარდი იკითხებოდა, თუმცა მზერა სულით უტყურობასაც ამჟღავნებდა. „ვამაყობ, რომ ჩემი ქმარი და შვილები სამშობლოსათვის დაიხოცნენ“, – მითხრა მასპინძელმა, როცა შეიტყო, ვინც ვიყავი. შემდეგ ხელი ათი წლის უმცროსი ვაჟისკენ გაიშვირა და დასძინა: „შურისძიების დღისთვის უმცროსი ბიჭი მეზრდება. ის აიღებს მამისა და ძმების სისხლს!“

14 იგულისხმება დიდების ტაძარი, რომელიც დღევანდელი პარლამენტის შენობის ადგილზე იდგა (რედ.).

რელიგიური რწმენის გაძლიერება შეინიშნება როგორც გლეხობაში, ისე ინტელექტუალურ წრეებში. ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარის მონამებრივმა სიკვდილმა, აჯანყების დღეს მღვდლების დახვერტამ, საქართველოს პატრიარქ ამბროსის სიმტიციცემ, ტყვეობაში გამოვლენილმა, ხელი შეუწყო ქართველთა მიბრუნებას ეკლესიის წიაღისაკენ. გლეხი თავს საფრთხეში იგდებს და წესების აღსასრულებლად ფარულად მოჰყავს შინ მღვდელი. იმ ოჯახში, სადაც თავს ვაფარებდი, ვნახე, როგორ მოდიოდნენ კომისრების ცოლები და მოჰქონდათ მღვდელთან საკურთხებლად წასაღები ხილი, მარილი, პასქა და ა.შ. რა თქმა უნდა, ამას ქმრებთან შეუთანხმებლად არ აკეთებდნენ, თუმცა ძალზე ფრთხილობდნენ.

1925 წლის მარტში საქართველოს პატრიარქი ტყვეობიდან გაათავისუფლეს. ეს ყველასგან დაფასებული ბერიკაცი ბოლშევიკებმა სამი წელი ამყოფეს ციხეში. თბილისის მოსახლეობამ ქართული ეკლესიის მეთაურის გაათავისუფლება რომ შეიტყო, მოინდომა, საჯაროდ გამოეხატა მისდამი პატივისცემა. ამან ბოლშევიკთა მხრიდან ხელახალი რეპრესიები გამოიწვია. მაშინ ხალხმა გადაწყვიტა, მასობრივად დასწრებოდა პატრიარქის მიერ ჩატარებულ წირვას. აქ სიტყვასიტყვით მოვიყვან, რაც ერთმა ძველი თაობის სოციალისტმა მიაგებო:

„სიონის საყდარში მივედი, პატრიარქისადმი ერთგულება და სიყვარული რომ გამოემხატა. პატრიარქი ამბიონზე შედგა თუ არა, თხუთმეტიათასიანმა ბრბომ ანგარიშმიუცემლად ერთი კაცივით დაიჩოქა. მოწინების ამგვარმა გამოვლინებამ პატრიარქი შეძრა და ცრემლი მოერიდა. მაშინ ვიგრძენი ჭეშმარიტება და უფალი ვირწმუნე. პატრიარქის მონამებრივმა სახემ, მისმა ცრემლებმა, მისმა უბრალოებამ და ქრისტიანულმა სიყვარულმა გააცამტვეერეს ჩემი ურწმუნოება და ეჭვი.“

ბოლშევიკებმა სცადეს, მიეჩქმალათ ჩადენილი დანაშაულობები, რაც უცხოეთის პრესამ ამხილა. მათ მოიწვიეს ინგლისური დელეგაცია პერსელის წინამძღოლობით. ამ უკანასკნელის პიროვნებაზე აღარ შევჩერდები, მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: სწორედ იმ დროს, როცა ბოლშევიკები მას საზეიმოდ ხვდებოდნენ და პერსელი მუშათა კლასს მოუწოდებდა, გაერთიანებულიყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, თბილისში ათი მუშა დახვერიტეს.

\* \* \*

ეროვნული ტრაგედია სრულად რომ წარმოვაჩინოთ, მოკლედ მოვიხსენიებთ ორ დიდ პოლიტიკურ პროცესს. ორივე ბოლშევიკური მოსკოვის ოკუპაციის მიერ ოკუპირებულ თბილისში გაიმართა: პირველი, ქართველი სამღვდელოების პროცესი, 1924 წლის აპრილში, ხოლო მეორე, ინტერპარტიული კომიტეტის მიმართ აღძრული, 1925 წლის აგვისტოში.

სამღვდელოების გასამართლების საბაზად პატრიარქის მიერ ფენევის<sup>15</sup> კონფერენციისათვის გაგზავნილი მემორანდუმი იქცა. ქართველი ერის სულიერი წინამძღვარი ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღებას საქართველოს ხვედრისკენ მიაპყრობდა. იგი მას სთხოვდა, მშვიდობისა და სამართლიანობის სახელით ზემოქმედება მოეხდინა მოსკოვის ხელისუფლებაზე, რათა ამ უკანასკნელს რუსული ჯარები გაეყვანა საქართველოს ტერიტორიიდან. როგორც კი „ჩეკამ“ ამ მემორანდუმის

15 უნდა იყოს გენუის (რედ.).

შესახებ შეიტყო, მაშინვე დააპატიმრა პატრიარქი და საპატრიარქო საბჭოს წევრები: თბილისისა და ქუთაისის მიტროპოლიტები, მღვდლები – ცინცაძე, თოთიბაძე, ლაზაროშვილი და სხვანი. ორი წლის განმავლობაში ჯალათები აიძულებდნენ საპატრიარქო საბჭოს წევრებს, უარეყოთ მემორანდუმი. ისინი სახტად დატოვა ეკლესიის მსახურთა სიმტკიცემ.

კომუნისტურმა პრესამ მთელი ერთი თვის განმავლობაში „ამუშავა“ კომუნისტური ახალგაზრდობა და „ჩეკას“ აგენტები. ათასი ჯურის დამნაშავეთა მეოხებით მთელი თვის განმავლობაში ეწყობოდა სამღვდლოების საწინააღმდეგო დემონსტრაციები. მათი ორგანიზატორები ეკლესიისა და სამშობლოს ერთგულ შვილთა სიკვდილით დასჯას ითხოვდნენ. პროცესის დღეს კიდევ ერთი დემონსტრაცია მოენციო. კომკავშირელთა ხროვა, რომელიც ძირითადად არაქართველებისაგან შედგებოდა, „თბილისის პროლეტარიატის სახელით აღშფოთებას გამოთქვამდა მსოფლიო ბურჟუაზიის აგენტების – საქართველოს კონტრრევოლუციური სამღვდლოების წარმომადგენლების – მიმართ“.

უფლის მსახურნი ეკლის გვირგვინმა ვერ შეაშინა. სამშობლოსა და ეკლესიის ერთგულების ნათელი დამადასტურებელია პატრიარქის, აჯანყებისას დახვრეტილი ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარის, მამა ცინცაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები. წმინდა ნინოს მიწა სამარადისოდ სასოებით მოიხსენიებს მოხუცებულ პატრიარქს, რომელიც „ჩეკას“ ჯურღმულებში განცდილმა გონებიდან გადააციდინა, აგრეთვე იმათ, ვინც მიტროპოლიტ ნაზართან ერთად დაეცა ტყვეით განგმირული. ერთი წლის შემდეგ თბილისის მოსახლეობა პატრიარქის მხარდასაჭერად შეიკრიბა სიონის ტაძარში და ამით გამოხატა თავისი ნება. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მეხანძრეებს უხმო, მრევლი წყლის ჭავლით რომ გაეფანტა.

მეორე პროცესი პარიტეტული კომიტეტის წევრების – ანდრონიკაშვილის, ჯავახიშვილის, იშხნელისა და ჯინორიას – წინააღმდეგ გაიმართა. პატიმრების დახვრეტის მუქარით ბოლშევიკებმა აიძულეს კომიტეტის წევრები 6 სექტემბერს ხელი მოენერათ სახალხო მიმართვაზე, რომელიც აჯანყებულებს დანებებისკენ მოუწოდებდა. ამით კომიტეტის წევრები შეეცადნენ, ათასობით პატიმრისათვის გადაერჩინათ სიცოცხლე, რომ მათაც 10 000 დახვრეტილის ხვედრი არ გაეზიარებინათ.

ხელმოწერის შემდეგ, ბოლშევიკებმა ეს მოწოდება სასწრაფოდ გაავრცელეს რადიოთი. ამით მათ უნდოდათ, თავისუფლებისათვის მებრძოლთა ყოველმხრივი, ფიზიკური და სულიერი, მარცხი ჩევენებინათ. შეუძლებელია, როგორც ისინი ამტკიცებენ, 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყებას ავანტურა ან თავადაზნაურობისა და სამღვდლოების მოძრაობა ვუნდოთ. კარგი, დაეუშვათ, დავეთანხმეთ მოსკოვის ბოლშევიკთა და მათ უცხოელ მეგობართა მიერ თავსმოხვეულ ამ შეფასებას. მაშინ როგორ ავსნათ ის ფაქტი, რომ 10000 დახვრეტილ ქართველში 7 524 გლეხი ერია? მოსკოვი ცრუობს. იგი ავანტურას უწოდებს საქართველოს გმირულ აჯანყებას, რომლის ჩასახშობადაც ათი ათას კაციანი ძალა დასჭირდა – სამი ქვეითთა კორპუსი, ერთი ცხენოსანთა დივიზია, თხუთმეტი ჯავშნოსანი მატარებელი, ათი ტანკი, ოცი ჯავშნოსანი ავტომობილი, „ჩეკას“ ჯარის ნაწილი და ამიერკავკასიის „ჩეკას“ რაზმები, 20 ათასი კაცისაგან შემდგარი.

ინტერპარტიული კომიტეტის წევრთა გასამართლება ქართველი კომუნისტების, სამშობლოს გამყიდველების, საბრალდებო პროცესად გადაიქცა. თვით ქავთარაძემ და ოკუჯავამაც კი, წითელმა პროკურორებმა, რომელთაც სინდისი



დიდი ხანია, მოსკოვისათვის მიეყიდათ და ხელები ქართველ წამებულთა სისხლში ჰქონდათ გასვრილი, იგრძნეს, რაოდენ დიდ დანაშაულს სწადიოდნენ. ისინი იძულებულნი შეიქნენ, საბრალდებო აქტში ბრალდებულთა სამშობლოსადმი ერთგულება მოეხსენიებინათ. ორმოცდაათი განსასჯელიდან ხუთს სიკვდილი მიუსაჯეს, დანარჩენებს – ათი წლის კატორღა. თუმცა სიკვდილმისჯილებს სასჯელი შეუმსუბუქეს და თხუთმეტი წლის კატორღით შეუცვალეს.

მთელმა საქართველომ იცოდა, რომ 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყება ავანტიურა კი არ იყო, არამედ ერთსულ და ერთხორც შეკრული ერის შეგნებული, ორგანიზებული და შეიარაღებული ბრძოლა. პარიტეტული კომიტეტის წევრებმა, რომელთაც სიკვდილს უშიშრად შეხედეს სახეში, ზიზღით უარყვეს ბოლშევიკთა მტკიცება.

\* \* \*

თვალწინ მიდგას გლეხი ქალის სახე და მახსენდება მისი სიტყვები: „ჩემს მკვდრებს არ ვიგლოვ. არა, ისინი ვაჟკაცებად დაიღუპნენ. მხოლოდ ერთი რამ მადარდება: შეძლებს კი ჩემი ნაბოლარა მამისა და ძმების შური იძიოს?“

ჩემს გონებაში ცოცხლდება გენერალ აფხაზის სიტყვები, დახვრეტის წინ წარმოთქმული: „ჯალათებო, ჩვენს სისხლს სხვები აიღებენ!“ აქვე გავიხსენებ გენერალ წულუკიძის შეძახილს: „დახვრეტილებს სხვა პატრიოტები შეცვლიან“. „ჩვენი სიკვდილი გამარჯვების წუთს მოახლოებს“, – თქვა პოლკოვნიკმა ხიმშიაშვილმა. მახსენდება ქართველ პროლეტართა მეთაურების – ხომერკის, ფაღავას, ჩხიკვიშვილის, ნოდისას, ჯუღელის – სიტყვებიც: „შევაკვდებით ეროვნულ დროშას და მის დაცვას ანდერძად დავუბარებთ ქართველ მუშათა კლასს!“

ვიხსენებ გლეხების მამაცობას. ცულებით, ხანჯლებითა და ჯოხებით შეიარაღებულნი, ისინი უშიშრად უტევდნენ მტრის ტანკებს, ჯავშნოსან მატარებლებსა და ავტომობილებს. არ შემიძლია დავივიწყო სამღვდელოებისა და პარიტეტული კომიტეტის წევრთა სტოიციზმი.

ყოველივე ამის მოგონება მომავლის იმედს მიმტკიცებს. ადრე თუ გვიან, საქართველო გათავისუფლდება. მშვიდად იძინეთ, სამშობლოს შენჩურლო გამირებო, სახელოვან წინაპართა ღირსიეულო ჩამომავლებო, მათსავით უშიშრად და სახელოვნად დაცემულნო!

### **ბედმა ბელგიაში გადამისროლა.**

მსოფლიომ იხილა ამ ქვეყნის შვილთა შეუპოვარი ბრძოლა გერმანული იმპერიული ზნის წინააღმდეგ. ბელგიელებმა დაამტკიცეს, რომ ღირსეულად აგრძელებენ გმირ წინაპართა გზას. ამ ცოტა ხნის წინ ვნახე ბელგიელი გმირი ქალის, გაბრიელ პეტის<sup>16</sup> უკვდავსაყოფად ამართული ძეგლი. ქალის სახე, მისი ამაყი პოზა გამარ-

16 გაბრიელ პეტი (1893-1916) – ბელგიის ეროვნული გმირი. ომის დაწყებისას ახალგაზრდა ქალი 21 წლისაა. იგი ნითელ ჯვარში მუშაობს, ამასთან, იწყებს ინგლისის საიდუმლო სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობას, დარწმუნებული, რომ ამ გზით სამშობლოს გადარჩენაში წვლილს შეიტანს. 1916 წელს გერმანელებმა დააკავეს და სიკვდილი მიუსაჯეს. პატრიოტული გრძნობითა და კათოლიკური რწმენით გაძლიერებულმა ქალმა უარი თქვა შეწყალების თხოვნაზე და სიკვდილს უშიშრად შეეგება. 1919 წელს ჩატარდა მისი სახალხო დასაფლავების ცერემონიალი. გმირი ქალის ძეგლები დაიდგა ბელგიის რამდენიმე ქალაქში, მათ შორის მის მშობლიურ ტურნეში.

ჯვების შეურყეველ რწმნას გამოხატავს. მართალია, იგი დაიღუპა, მაგრამ მტერი სულიერად დაამარცხა. ერი მისთვის თავდადებული გაბრიელ პეტის სიკვდილმა გამარჯვებას მიაახლა.

მამაცო ბელგიავ, რამდენი გმირი გიშვია, რამდენ შენს შვილს სიცოცხლე მსხვერპლად გაუღია სამშობლოს ღირსებისა და ნართმეული თავისუფლებისათვის ბრძოლაში!

ბელგიელო ხალხო, მცირერიცხოვანო, მაგრამ ვაჟკაცო! შენ თავი უყოყმანოდ მიიტანე სამშობლოს სამსხვერპლოზე. თავდადებულ შვილთა მეოხებით, შეძელი, შენზე ბევრად ძლიერი მტერი დაგემარცხებინა! გმირის ძეგლის ხილვაზე ამაღლებული განცდა დამეუფლა, ქუდი მოვიხადე და მუხლი მოვიყარე. ამაყო ბელგიავ! შენს საამაყო შვილთან სულიერ ნათესაობას ვგრძნობ. მონამეობრივი ხვედრი, მსხვერპლი, რომელიც ამ გმირმა ქალმა გაიღო, ჩემი ქვეყნის გმირებისას მახსენებს.

დარწმუნებული ვარ, რომ დიდსულოვანი ბელგია კარგად გაიგებს საქართველოს შვილთა ტანჯვას, ტკივილსა და უბედურებას. მჯერა, რომ იგი დაგმობს კომუნისტურ ხელისუფლებას, რომელსაც მძიმე ცოდვად აწევს ათასობით უდანაშაულო მსხვერპლის სისხლი.

## სტალინზე მოგონებებიდან<sup>1</sup>

### გურამ ყორანაშვილის პუბლიკაცია

რაჭდენ არსენიძე ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი, ზომიერი მენ-შევიკური მიმართულებისა გახლდათ. იგი დაიბადა 1880 თუ 1881 წელს, სოფელ სოჩხეთში (დღევანდელი ტყიბულის მუნიციპალიტეტი). სწავლობდა ქუთისის სა-სულიერო სემინარიაში (სხვათა შორის, გრიგოლ რობაქიძესთან ერთად). სწავლობ-და ტარტუს (იურიევსი) უნივერსიტეტში იურისტის სპეციალობით. მოღვაწეობდა თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებ-ში. აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს „ივერიასა“ და „კვალში“. რევოლუციური საქმიანობისათვის დაპატიმრებულ იქნა 1906 წლის აპრილში. ერთი ხანობა ციმ-ბირშიც იყო გადასახლებული (გურამ შარაძის ცნობით).<sup>2</sup>

რაჭდენ არსენიძე იყო დამფუძნებელი კრების დეპუტატი, საქართველოს დემოკ-რატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, საქართველოს სოციალ-დემოკრატი-ული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მონაწილეობდა საქართვე-ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შედგენაში. 1921 წლიდან ემიგ-რაციაში იმყოფებოდა. 1953-1962 წლებში მოღვაწეობდა რადიო „თავისუფლებაში“. რ. არსენიძის გაუტყეხელი სული კარგად მჟღავნდება მის ერთ-ერთ უკანასკნელ წე-რილში, სადაც აღნიშნულია: „ჩვენ თამამად ვაცხადებთ, რომ იარაღი არ დაგვიყრია, ბრძოლა არ შეგვინწყვეტია. იგი გრძელდება და არ წყდება, სანამ ქართველი ხალხი არ მოიპოვებს თავისუფლებას, სანამ ის არ გახდება სრული გამგე და პატრონი თავის მომავლის“. გარდაიცვალა 1965 წელს პარიზში. დასაფლავებულია ლევილში.

რაჭდენ არსენიძეს ეკუთვნის სოლიდური მეცნიერული გამოკვლევა „განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა“, რომელიც 1963 წელს პარიზში დაიბეჭ-და. რ. არსენიძის შესახებ უფრო დანვრილებით იხილეთ გურამ შარაძის „უცხოეთის ცის ქვეშ“, ნიგინ მესამე, თბილისი, 1993 და მისივე „ქართული ემიგრანტული ყურ-ნალისტიკის ისტორია“, თბ., 2005, ტ. 7, გვ. 348-355.

წინამდებარე სტატია გამოქვეყნდა ნიუ-იორკში გამომაველ გამოცემაში «Новый журнал» (1963, N72). მისი ქსეროასლი პარიზიდან გადმოგვიგზავნა ბატონმა ბიძი-ნა ჩოლოყაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

ტექსტი რუსულიდან ქართულად თარგმნა ქალბატონმა ელზა მეტრეველმა.

- 1 რ. არსენიძის ეს სტატია დ.ნ. შუბმა მოგვანოდა. იგი განკუთვნილი იყო სტალინზე ინგლისურ ენა-ზე გამოსაცემი კრებულისთვის, რომელიც არ დასტამბულა („Новый журнал“-ის რედ.)
- 2 სხვათა შორის, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის მოგონებებში მისი და სიმონ ჯანაშიას ოსებ სტალინთან შეხვედრასთან (სოჭში, 1945 წლის ოქტომბერში) დაკავშირებით უკანასკნელი ფრიად სხვა ცნობულ ქართველ „მენშევიკებთან“ ერთად იხსენებდა რაჭდენ არსენიძე-საც. იხ. ნიკო ბერძენიშვილი, შეხვედრა სტალინთან, „ცისკარი“, 1998, N1, გვ. 102.

სტალინს პირველად ბათუმში შეეხვდი, 1904 წ. – იგი, ის-ის იყო, დაბრუნდა, უფრო სწორად, გამოიქცა გადასახლებიდან და პირდაპირ ჩვენკენ მოაშურა. ჩემ წინაშე იდგა ახალგაზრდა კაცი, ხმელი, ცარიელი ძვალი და ტყავი, ფერმკრთალი, თითქმის ყავისფერი სახით, ყვავილს რომ დაეკენკა, ცოცხალი, ეშმაკური თვალე-ბით; შემტევი, თამამი, საკუთარ თავში დარწმუნებული. პირველივე სიტყვებით მიგვითითა იმ ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, რაც, მისი აზრით, ჩვენს არალეგალურ ლიტერატურას ჰქონდა. მას არ მოსწონებია არასაკმარისად მებრძოლი ტონი ჩვენი ფურცლებისა, რომლებიც უნდა გაგვევრცელებინა სამეგრელოს გლენობაში, ჯერ კიდევ რომ არ იყო ჩაბმული მოძრაობაში. მაგრამ, როგორც კი ვუპასუხეთ, რომ ფურცლები შეესაბამება მეგრელი გლეხების მიხვედრილობას და ერთობ მკაცრი ტონით არ არის შედგენილი ამხანაგი მეგრელი მუშების მითითებით, რომელთაც თავს იდევს მათი გავრცელება და საკუთარ რაიონებში მოძრაობის წამოწყება, გაჩუმდა, თუმცა სახეზე ძველებურად შერჩა ეშმაკური ღიმილი. ამის შემდეგ მან მისალეზად მიიჩნია კომიტეტისთვის (რომლის წევრი მეც ვიყავი) საერთოდ აღარ გაენია ანგარიში. მთელი თავისი ძალები მან წარმართა იქით, რომ უშუალო კავშირი დამეყარებინა მუშებთან, რომელთა შორისაც წარსულში მოღვაწეობის შედეგად საკმაოდ ბევრს იცნობდა. ასე ორი კვირა, თუ მეტი არა, მათ შორის ტრიალებდა, მართავდა საიდუმლო საუბრებს, მოლაპარაკებებს, თათბირებს. 2-3-ჯერ მეც შეეხვ-ვდი, მაგრამ თავისთვის უფლებდა აღარ მიუცია, ახალი შენიშვნები – ლიტერატურული თუ სხვა სახის – მოეცა. ბანალური საუბრები გვქონდა. მე შევიტყვე მისი გამოქცევის თაობაზე, მან – „კვალში“ ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ, რომელიც იმ დროს დახურული იყო. მუშებთან ურთიერთობამ, როგორც ჩანდა, მისთვის სასურველ შედეგებამდე ვერ მიიყვანა და ბათუმის დატოვება იჩქარა. არც დისკუსიები გაუმართავს, არც მოხსენებები ჰქონია. ამიტომ ფრაქციულ უთანხმო-ებათა შესახებ მის მაშინდელ შეხედულებებზე ვერაფერს ვიტყვი. უფრო სარწმუნო ჩანს, რომ იმ დროს (1904 წ. გაზაფხულზე) ის, არსებითად, კარგად ვერ ერკვეოდა ამ საკითხებში, ისე, როგორც, სხვათა შორის, ჩვენც, ბათუმის კომიტეტის წევრე-ბი, რომელთაც სათანადო ლიტერატურა ჯერ კიდევ არ მიგველო. იმ ამხანაგების მონაყოლიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ვისაც მასთან უსაუბრია, მუშებ-თან შეხვედრებზეც ის არასოდეს შეხებია ფრაქციულ საკითხებს. ამ შემთხვევითი საუბრებიდან გავარკვიე, რომ სოსო ეძებდა, მაგრამ მათში ვერც თავისი ამბიცი-ური გეგმების მოსალოდნელი თანაგრძნობა აღმოაჩინა, ვერც ბათუმში უწინდელი მუშაობისას ჩატარებული ზოგიერთი აქტის სათანადო მონონება. არადა, ის ხომ გადასახლებიდან ბათუმში ისე დაბრუნდა, როგორც მშობლიურ ქალაქში, სადაც ღრმა კვალი დატოვა და საფუძველი ჰქონდა, ევარაუდა, რომ გაშლილი ხელებით მიუღებდნენ. გასაკვირი არ არის, რომ მისდამი გამოვლენილი უყურადღებობით გულდანყვეტილი და განზილებული დარჩა.

კომიტეტისთვის თავისი სამსახურიც კი არ შეუთავაზებია, ისე გაემგზავრა თბი-ლისს – ახლა იქ უნდა ეცადა ბედი. იქაც ისეთივე ხრიკებს მიმართავდა, როგორც ბათუმში. აი, რა მითხრა ამხ. დ. კახელაძემ, ძველმა მუშამ და თბილისის კომიტეტის წევრმა: სოსო, როცა 1904 წ. მასთან ჩავიდა, კომიტეტში არ მისულა, იგი პირდაპირ გამოცხადდა მონინავე მუშების კრებაზე, სადაც მათ რევოლუციური მუშაობის თა-ვისი გეგმა შესთავაზა. მაგრამ თბილისელი ამხანაგები ძალიან ცივად, უნდობლა-

დაც კი შეხვდნენ და ისეთი ირონიით მიუდგნენ მის გეგმას, რომ ხელი ჩაიქნია და აჩქარებით, კრების დამთავრებამდე დატოვა იქაურობა. ნათელია, რომ როგორც ბათუმში, ისე თბილისში იგი ერთი და იმავე მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა: თავისკენ გადაებრებინა მონინავე მუშები და საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის ხელში ჩაგდებას მიზნით, დაერაზმა ისინი კომიტეტის წინააღმდეგ.

ასეთი ტენდენცია, როგორც შემდგომ წლებში ხშირი შეხვედრებისას დაკვირვებით დავრწმუნდი, მასში ძლიერად იყო განვითარებული. ლაპარაკი არ უნდა, უყვარდა მეთაურობა, ხელმძღვანელობა, ბატონობა, ავტორიტეტული განკარგულების გაცემა. მუდამ გარშემორტყმული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანებით, ვინც ქედს იხრიდა მის წინაშე და ყველაფერში მის ავტორიტეტს ემორჩილებოდა: სხვებს ვერ გულობდა და არც იმ სხვებს ეხატებოდათ დიდად გულზე, თუნდაც ისინი ბოლშევიკთა რიგებიდან ყოფილიყვნენ. ასე მაგ., მის მიერ გამოცემულ ლეგალურ გაზეთებში ცნობილი ლიტერატორი ბოლშევიკები, როგორც იყო მახარაძე და სხვ., არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ. შესაძლოა, ეს იმიტაც აიხსნება, რომ სოსოს, რადაც უნდა დაჯდომოდა, რედაქტორობა უნდოდა, მაგრამ ვერც ლიტერატურული მონაცემებით და, მეტიც, გამართული წერითაც კი ვერ დაიკვეხნიდა. მაგრამ მოვლენებს წინ ვუსწრებ. ჩვენს თხრობას დავუბრუნდეთ. მეორედ სოსო ბათუმს 1905 წლის დასაწყისში ესტუმრა. მას აქ ჩამოჰყვა ნ. რამიშვილი. მათი ჩამოსვლის მიზანი იყო ფრაქციული დისკუსია. ამ ჯერზე სოსო სრულიად ჩამოყალიბებული, ორთოდოქსი, მტკიცე ლენინელი იყო, თავისი მასწავლებლის არგუმენტებსა და ნააზრევს გრამოფონული სიზუსტით რომ იმეორებდა. მაგრამ არაფერმა უშველა. ვერც ენერგია, ვერც ნაცნობობა, ვერც ძველი დამსახურებები ვერ დაეხმარა, პარტიის 1000-ზე მეტი ორგანიზებული წევრიდან 10-15 კაცზე მეტი მიემხრო. ამის შემდეგ იგი ბათუმში აღარ გამოჩენილა.

შემდგომში მასთან არაერთმა დაპირისპირებამ მომიწია დისკუსიებზე გურიის მაზრაში, იმერეთში, თბილისში, სადაც რამდენიმე წნის განმავლობაში – 1906 წლის აპრილში ჩემს დაპატიმრებამდე – მე და ის გაერთიანებული კომიტეტის წევრები ვიყავით.

მასთან ყოველი შეხვედრის შემდეგ მძიმე განწყობა მეუფლებოდა; რაღაც არანორმალური, რაღაც უცნაური, ჩვეულებრივ ჩარჩოებში რომ ვერ ჯდებოდა, ისეთი რამ გამოსჭვიოდა ყველა მის სიტყვაში, ქცევაში, მანერებში. არაერთხელ დამისვამს ჩემი თავისთვის კითხვა, რა პიროვნებაა ეს: რევოლუციონერი, მთელი არსებით ერთგული სახალხო საქმისა, თუ უგრძობი, უსულგულო მექანიზმი ადამიანის სახით, რომელიც მიზნად ისახავს, რაღაც დაანგრის და მის ადგილას რაღაც ააგოს. ლაპარაკობდა ყოველგვარი ორატორული სიტყვაკაზმულობის გარეშე. მასში ვერ შეამჩნევდით ვერც შინაგან ცეცხლს, ვერც სულიერებას და ვერც გულწრფელობას, ვერც შინაგან სითბოს. ლაპარაკობდა უხეშად, მოჭრიტო და ამ სიუხეშეში გამოსჭვიოდა ენერგია, ამ სიტყვებში იგრძნობოდა ძალა, სიჯიუტე. ხშირად სარკაზმით ლაპარაკობდა, ირონიით, როგორც ჩაქუჩს, ისე აბრაახუნებდა უხეშ გამოთქმებს, ხშირად რომ სცილდებოდა დასაშვების ზღვარს.

მინდა შევჩერდე მის რამდენიმე გამოსდომაზე, რომლებმაც მაშინ თავისი უჩვეულობით, მოულოდნელობით გამოაოგნა... პირველი: ის თავად ცრუობდა და სიცრუეში დანაშაულებდა მონინააღმდეგებს ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე. შეუძლებელი იყო რეზოლუციებისა და დადგენილებების საკამათო საკითხებზე (როგორც არის პარტიის წევრობა, შეიარაღებული აჯანყება, დროებითი მთავრო-

ბა, სოციალისტური იდეოლოგიის გამომუშავებაში მუშათა კლასის როლი და ა.შ.) თუნდაც ერთი მოსაზრება ისე გამოგეთქვათ, რომ კობას მაშინვე არ გაეპროტესტებინა, არ დაედანაშაულებინეთ გადახრაში თუ პირდაპირ სიცრუეში ან პატიოსანი მსმენელის მოტყუების მცდელობაში და ა.შ. მისი მოსაზრებები რომ გაგვებათილებინა, იძულებულნი ვხდებოდით მოგვემარაგებინა არალეგალური პრესის ორიგინალები, რომელთა თან ტარებაც ყოველთვის მოსახერხებელი არ იყო. ის კი, უსირცხვილოდ, ახალ კრებაზე უცვლელად იმეორებდა უკვე არაერთგზის გაბათილებულ ბრალდებებს. მანამდე არ მშვიდდებოდა, ვიდრე მსმენელები დაბეჭდილი რეზოლუციის თუ დადგენილების გახმოვანების შემდეგ თავად არ დარწმუნდებოდნენ, რომ იგი წინასწარ განზრახულად და ყოველგვარი ცერემონიის გარეშე ამტკიცებდა სიცრუეს. მაგრამ კობას სახეზე არც შეცბუნება, არც დარცხვენის უმცირესი კვალიც კი არ აისახებოდა. მხოლოდ – გულდანყვევთა და გაბოროტება, რომ „საშუალებამ მიზანს ვერ მიაღწია“, რომ მაქინაცია გახსნილია. მაგარ-მაგარ სიტყვებსაც მიმართავდა, ხოლმე. უკან არ იხევდა ლანძღვა-გინებაზეც. მხოლოდ აღშფოთებულ მსმენელთა პროტესტი აკავებდა მის უხემ სიტყვათა ნაკადს. მაშინ ის იბოდიშებდა, ამბობდა, რომ პროლეტარების ენით ლაპარაკობს, პროლეტარებისთვის კი არავის უსწავლებია დელიკატური მანერები და არისტოკრატიული სიტყვაკაზმულობა; რომ ისინი ამბობენ პარდაპირ უხემ ჭეშმარიტებებს, ის კი მაგალითს მათგან იღებს.

ყველა მისი უხემობიდან აქ მხოლოდ ერთს მოვიტან. მე მას რამდენჯერმე მოვუსმინე ქართველ მუშათა კრებებზე, სადაც რუსი მუშებიც ესწრებოდნენ. „ლენინი – ამბობდა კობა, – აღშფოთებულია, რომ ღმერთმა მას ისეთი ამხანაგები მოუვლინა, როგორებიც მენშევიკებია! მართლაცდა, ეს რა ხალხია! მარტოვი, დანი, აქსელროდი წინადაცვეთილი ურიები! და ეს ბებერი ალქაჯი ვ. ზასულინი. მოდი და მათთან იმუშავე. მათთან ერთად ვერც ბრძოლაში ნახვალ, ვერც ნადიმზე მოილხენ. მშიშრები და ვაჭრუკანები!“

და უკვირდა, რატომ აღშფოთდებოდნენ ხოლმე მუშები მისი ამგვარი გამოხედომებით, რომლებსაც ისინი – მისი აზრით – უნდა გაემხიარულებინა. კარგა ხანს თავის წარუმატებლობას მენშევიკების პროპაგანდისტთა ხრიკებით ხსნიდა. „ნუთუ ქართველმა მუშებმა არ იციან, რომ ებრაელები – ეს მშიშარა ხალხია და ბრძოლაში არაფრად ვარგიან?“ – შფოთავდა იგი.

ეს ამბავი იმისთვის არ მომიყოლია, სოსო ანტისემიტიზმში დეადანაშაულო. არა. ებრაელების მომხრე იქნებოდა თუ მოწინააღმდეგე, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ თუკი შემთხვევა ეძლეოდა, რატომაც არ უნდა ესარგებლა ამით?

კარგად მახსოვს ერთი თათბირი 1906 წელს ქ. თბილისში, „ხარფუხად“ წოდებულ დასახლებაში, რომელსაც ესწრებოდა მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგებისა, მათ შორის, არალეგალებიც (ამხ. რამიშვილი, ჯაფარიძე, მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი) და სხვები. მე იმ დღეს კრების თავმჯდომარე გახლდით. ბოლშევიკები უმნიშვნელო უმცირესობაში აღმოჩნდნენ. კობა მოღუშული იჯდა, ერთობ გამომწვევად იქცეოდა, უხემობდა, ამკარად ცდილობდა კრება ჩაეშალა. იძულებული გახდით, მისთვის მკაცრი რეპლიკებით მიმემართა იმდენად, რამდენადაც ჩვეულებრივი შეგონებები მასზე არ მოქმედებდა. ჩემს შენიშვნაზე, ძალიან უღირსად იქცევით მეთქი, მან თავხედურად მიპასუხა, შარვალი ხომ არ ჩამიხდიაო. აქაოდა, ჩემს საქციელში მიუღებელი არაფერიაო. მე რეპლიკა ჩავურთე, რომ ის უშარვალო კაცივით კი არ იქცევა, არამედ იმასავით, ვინც „უნიფორმოდ დატანტალვებს“. ეს ხალხური გამოთქმა მიესადაგება „ქუჩის ქალებს“. ვფიქრობდი, რომ ეს რეპლიკა

მის აფეთქებას გამოიწვევდა. ვითომ არაფერი მომხდარიყო: მხოლოდ იქედნურად ჩაილიმა პირის მარცხენა კუთხით და ადგილს დაუბრუნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ადგა და კრება დატოვა. მისი გასვლისთანავე გაისმა პირობითი სტვენა, რომელიც გვანიშნებდა, რომ პოლიცია მოდის. იძულებულნი გავხდით, დავფანტულიყავით ისე, რომ კრება არ დამთავრებულა, მაგრამ ქუჩაში პოლიცია არსად ჩანდა და შეცბუნებულმა პატრულებმა, რომლებიც კრებას დარაჯობდნენ, ვერაფრით აგვიხსნეს, ვინ დაუსტვინა და კერძოდ ვინ დაინახა პოლიციის რაზმები. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ეს კობას ოინებია. მან შური იძია შეურაცხყოფისა და მარცხისთვის! სხვა პირობებში მას რევოლვერიდან სროლაც კი შეეძლო. რატომაც არა?

დავასრულე იმ ამბით, რომელიც შეეხება სოსოს დაპატიმრებას ზასიპკინის მიერ, რომელმაც მას ოხრანკის აგენტობა შესთავაზა. ეს მოვლენა, ანუ სტალინის დაპატიმრება, ნამდვილად მოხდა და შემოიძლია კატეგორიულად განვაცხადო, რომ სოსო ჟანდარმერიის სამმართველოდანვე გაათავისუფლეს და ის მეტეხის ციხეში არ გამოჩენილა.

მისი მეტეხის ციხეში გადაყვანა, სროლები ქუჩაში, რაც ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა, და ციხეში საზეიმო შეხვედრა აპლოდისმენტებით – ყოველივე ეს, რაზეც სტალინი გადასახლებაში ჰყვებოდა – სასიამოვნო ფანტაზიაა თავის თავზე შეყვარებული მთხრობელისა. იმ დროს მე მეტეხში ვიჯექი. იმ ხანებში პოლიტიკურები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, დღისით საკნები არ იკეტებოდა და ჩვენ მთელ დღეებს ვატარებდით დიდ საკანში, მესამე სართულზე, საიდანაც შემდგომში მოვახერხეთ გაქცევა განგრეული კედლიდან, რომელიც ციხის მეთვალყურის სახლის სახურავზე გადადიოდა. ამ დარბაზში იღებდნენ ყველა ახალმოსულს. სოსო ჩვენს შორის რომ გამოჩენილიყო, მას, რასაკვირველია, აპლოდისმენტებით შევხვდებოდით ისე, როგორც ვხვდებოდით სხვებსაც. მაგრამ ასეთი რამ არ ყოფილა. ის იქ არ მოუყვანიათ.

სოსოს დახასიათება მეტისმეტად არასასიამოვნო გამომდის. მაგრამ უნდა ვთქვა, ის, რასაც მასზე ვწერ, მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილება როდია. ასეთი იყო მასზე საერთო აზრი – მთელი ჩვენი რევოლუციური გარემოში. და სახელი კობა ჩვენთვის იქცა უსაქციელობის, ლანძღვა-გინების და მორალური განურჩევლობის განმსაზღვრელ სახელად. თუ ჩვენს ამხანაგთაგან რომელიმეს მსგავს თვისებებს შევამჩნევდით, ჩვეულებრივ, „მენშევიკების კობას“ ვეძახდით. და ეს დიდად შეურაცხყოფელ შეფასებად მიგვაჩნდა.

მოვიყვან კიდევ ერთ შემთხვევას, რომელიც, ჩემი აზრით, მის ხასიათს სულ სხვა მხრივ წარმოაჩენს. ეს მოხდა 1905 წ. (ან, შესაძლოა, 1906 წ. დამდეგს) თბილისში. მიმდინარეობდა ცხარე კამათი დროებით მთავრობაში მონაწილეობის თაობაზე. მახსოვს, ასეთი მწვავე დისკუსიისას სტალინს პირდაპირ დავუსვი შეკითხვა: „თუ მთავრობაში იქნებით, გარემოებათა გამო იძულებული გახდებით, ზოგჯერ დაშალოთ მუშები, შეებრძოლოთ მათ, ერთი სიტყვით, იქცეთ ჟანდარმად – ნუთუ ეს ყოველივე მისაღებია თქვენთვის?“ არც უყოყმანია, ისე მომახალა: „დიახ, თუ საჭიროა, ჩვენ ვიქნებით რევოლუციის ჟანდარმები“. გამოგიტყდებით, ენა ჩამივარდა. ეს ისეთი მოულოდნელი იყო, როგორც ჭექა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე!

და ყოველთვის მაოცებდა მისი ერთი თვისება: ყოველივე ეს სრულიად ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, საკუთარ თავზე ზემოქმედების გარეშე გამოსდიოდა, როგორც რალაც, რაც თავისთავად იგულისხმება.

კობა იყო უსაზღვროდ პატივმოყვარე და პირადი ამბიციის მასში ყველა დანარჩენ გრძნობას თრგუნავდა. არ ჰქონდა სირცხვილის გრძნობა, არანაირი გაგება მორალისა. საკუთარი თავის თუ სხვათა პატივისცემაც, იმის გაცნობიერება, რასაც ადამიანის ღირსება ეწოდება, მასში ოდნავადაც არ შეინიშნებოდა. იგი ქედს იხრიდა ლენინის წინაშე. ცხოვრობდა მისი არგუმენტებით, მისი აზრებით, იმდენად შეუღარებლად იმეორებდა მას, რომ დაცინვით „ლენინის მარცხენა ფეხს“ ვეძახდით. მაგრამ ის უყვარდა-მეთქი, ამის თქმა არ შემძლია. საერთოდ, ამხანაგებთან ურთიერთობას მეგობრობის, სიყვარულის ან პატივისცემის საფუძველზე კი არ აგებდა, არამედ დაქვემდებარებისა და თავყანისცემის ნიადაგზე. ამიტომ ყოველთვის იახლოვებდა ადამიანებს, ვინც ქედს იხრიდა მის წინაშე, და მხოლოდ მათ. მათ ისე იყენებდა, როგორც იარაღს, მანქანას, ზრუნავდა მათზე ისე, როგორც მუშა საქონელზე და არა უმეტეს ამისა. საქმეს რომ მორჩებოდნენ, დაუნანებლად ჩამოიშორებდა ან სასაკლაოზე აგზავნიდა ხოლმე. თუ ყველა არა, უმეტესობა მაინც მისი „ამალისა“ უსახელოდ დაიღუპა ექსებსა და ძარცვებში ან კატორღაში გაუშვეს ამ დანაშაულებში მონაწილეობისთვის. მიჭირს დავივიწყო ვანო კალანდაძის, ს. ქორიძის, ელი ლომინაძის, ინსკირვალის (ინსკირველის?) და მისი ერთგული სხვა უანგარო ახალგაზრდების საველათო ბედი. ყველა მათგანთან რევოლუციურ ბრძოლაში მუშაობის და ნაცნობობის წლები მაკავშირებდა. ახლა სხვაც რამდენი დაიღუპა! რატომ? რისთვის? რევოლუციის მიზნებისთვის?! არა. კობას მოღვაწეობას იეზუიტთა ცნობილ გამოთქმასაც კი – „მიზანი ამართლებს საშუალებას“ ვერ მივუსადაგებ. აქ იგულისხმება მორალური შეფასება საშუალებებისა და მიზნებისა, უარყოფითი პირველ და დადებითი მეორე შემთხვევაში. სტალინს ასეთი შეფასებაც კი არ ჰქონია. ის საშუალებებსაც, მიზნებსაც განიხილავდა მხოლოდ როგორც მიზანშეწონილს და მიზანშეუწონელს. ყველა საშუალება კარგია, თუ მიზანს აღწევს (ექსები – პარტიული სალაროს გამდიდრება, ცილისნამება – მენშევიკების, ესერების, ფედერალისტების, ლიბერალების ჩამოცილება, ბატონობა პროლეტარულ მოძრაობაზე – ძალაუფლების მოპოვება და ა.შ.). ცუდია საშუალებები, თუ მათ მიზანთან არ მივყავართ. მიზნებს კი მხოლოდ ბოლშევიკური პარტია განსაზღვრავს – და ბასტა!

სოსო გახლდათ ამგვარი სისტემის მთავარი იდეოლოგი. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ მასზე გამუდმებით და ყველგან ისმოდა უსასრულო ჭორმართალი, იყო ლაპარაკი მის მამებლარობაზე, გამყიდველობაზე, მოტყუებებსა და სიცრუეზე და ა.შ. მან, როგორც მისი ბავშვობის მეგობრები ჰყვებიან, თავისი კარიერაც სწორედ ამგვარი საქციელით დაიწყო. როცა სემინარიიდან გარიცხვა დაემუქრა, სოსომ ამხანაგებს არალეგალური წრიდან შესთავაზა, მასთან ერთად მიეტოვებინათ სასწავლებელი და რევოლუციურ ბრძოლაში პროპაგანდისტებად ჩაბმულიყვნენ. მათ უარი თქვეს, სხვა მიზეზთა შორის ისიც მოიმიზეზეს, რომ მშობლები თავზე ხელს არ გადაუხვამდნენ და, შესაძლოა, მატერიალურ მხარდაჭერაზეც უარი ეთქვათ. მაშინ სოსომ ასეთი რამ მოიფიქრა: ყველა დააბეზლა – ისინი სემინარიის ხელმძღვანელობასთან თავისი საქმეების თანამონაწილეებად დაასახელა. ხოლო, როცა ყველა გარიცხული აღმოჩნდა, ერთობ მშვიდად აუხსნა თავის სტრატეგიის ღრმა აზრი: აქაოდ, მშობლების საყვედურებისაგანაც გიხსენით და რევოლუციური მუშაობისკე-



ნაც გზა გაგიხსენითო. სტრატეგიამ მიზანს მიაღწია. მაგრამ მორალი?! თუმცა ღირს კი ამაზე ლაპარაკი.<sup>3</sup>

ეს სოსოს რევოლუციური კარიერის დასაწყისში მოხდა. მაგრამ აი რა იყო მოგვიანებით, 1908-1909წწ. როგორც ნაცნობი ბოლშევიკები ამბობდნენ, ისინი თანდათან დარწმუნდნენ, რომ სტალინი ანონიმური წერილების მეშვეობით ჟანდარმერიას აცნობებს კონსპირაციულ მისამართებს მისთვის მიუღებელი იმ ამხანაგებისას, რომლებსგანაც განთვითსუფლება სურს. ამხანაგებმა ფრაქციიდან გადაწყვიტეს, დაეკითხათ და გაესამართლებინათ (ბოლშევიკები და მენშევიკები გაყოფილი იყვნენ). არ ვიცი, რა წყაროებით, მაგრამ ისინი მარწმუნებდნენ, რომ, მათი ინფორმაციით, ჟანდარმერია იღებდა ზოგიერთი ბოლშევიკი ამხანაგის მისამართებს, დანერილს ხელით, ოღონდ ნაბეჭდი ასოებით, და ამ მისამართებზე ტარდებოდა ჩხრეკა, ამასთან, დაპატიმრებულები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე მუდამ ისინი, ვისაც ორგანიზაციაში სოსოსთან ამა თუ იმ საკითხზე ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული. სასამართლოს ერთ-ერთ სხდომაზე (ასეთი რამდენიმე ჩატარდა) კობას მაგივრად გამოცხადდა ოხრანკა და ყველა მოსამართლე დააპატიმრა. დააპატიმრეს კობაც, ქუჩაში, სასამართლოზე მიმავალი. მოსამართლეებიც და ბრალდებულიც ბაილოვის ციხეში აღმოჩნდნენ... აქ ისევ დაიწყო მიმოწერა და სასამართლოს ორგანიზება, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა არ მოხერხდა. კობა ვადაზე ადრე გადასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში, მოსამართლეები კი სხვაგან. იმის საშუალება, რომ ჩემი ნაცნობი ბოლშევიკების ეს ცნობა გადაემეომნებინა, მე არ მქონია. მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ფრაქციულ ამხანაგებს მიაჩნდათ, რომ მას შეეძლო, სამაგიერო ამ ფორმით გადაეხადა, არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ განაგონიდან იმ ფაქტებსა და მოვლენებს მივუბრუნდეთ, რომელთა მოწმეც თავად ვიყავი და თუ მე თვითონ არ ემონაწილეობდი, ამის თაობაზე უშუალოდ მონაწილეებისგან ვიცოდი.

აქ მომიწევს, ცოტა შევანუხო ლ. ბერიას თხრობის სინდისიერება მის იმ ცნობილ დითირამებთან დაკავშირებით, რომლებიც მიუძღვნა ზელადს თავის ცნობილ წიგნში სახელწოდებით „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. იყო თუ არა სოსო არალეგალური გამოცემების მთავარი ორგანიზატორი და პარტიაში შესვლის პირველივე დღიდან იბრძოდა თუ არა ამისთვის ორგანიზაციაში? ბერიამდე ეს არავის სმენია. მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ლეგალური გამომცემლობა და არალეგალური მუშაობა ჩვენთან ორგანულად, პერსონალურადაც კი უკავშირდებოდა ერთმანეთს. ამგვარად, საიდუმლო არავისთვის იყო, საპირველმისო პროკლამაცია, თბილისის კომიტეტის 1899 წლის გამოცემა, ერთ-ერთი შესანიშნავი რომ გახლდათ როგორც შინაარსით, ისე ფორმით, ეკუთვნოდა ნ. ჟორდანიას, ლეგალური ჟურნალის „კვალის“ რედაქტორის კალამს. ის ხელმეორედ გამოიკა 1900 წელს. ლეგალურად მუშაობდა „კვალში“ ბერიას მიერ ხოტბაშესხმული წულუკიძეც. იმავე გაზეთში ლეგალურ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ ი.გ. წერეთელი და თქვენი მონა-მორჩილიც, ამიერკავკასიის ორგანიზაციის კონფერენციის დადგენილების შესაბამისად. მაგრამ იმავდროულად ჩვენ ყველანი ვიყავით ხელმძღვანელი რევოლუციური ორგანოების წევრებიც. აქედან ჩანს, რომ ბრძოლა „ლეგალიზმთან“ მთლიანად ბერიას მონაგონია და უთუოდ რუსული სინამდვილიდან არის გადმოტანილი. სხვა ფურცლების ავტორთა დასახელება არ

3 ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ ასეთ რევოლუციონერს ჟანდარმერიის როტმისტრმა ზასიბ-კინმა, ამხანაგების დაბეზლება შესთავაზა! რ.ა.

შემიძლია, მაგრამ დარწმუნებით ვამტკიცებ, რომ შეუძლებელია, ეს ფურცლები სოსოს კალმის ნაყოფი იყოს. ის, როგორც მწერალი, 1906-1907 წწ. არათუ ლიტერატურული ნიჭით გამორჩეულა, თავის ნაშრომებში გამართული წერილთა ცერ დიატრაბახებდა.

მისი თხზულებების კრებული თავდაპირველად რუსულ ენაზე გამოვიდა, ამასთან, ქართული ტექსტი თარგმნისას მნიშვნელოვნად ჩაასწორეს და გადაამუშვეს. ქართული გამოცემა მოგვიანებით, 1947 წელს გამოჩნდა და შედგენილი იყო რუსულთან შესაბამისობაში. ამასთან, გამოცემის რედაქტორები იძულებული იყვნენ, მოკრძალებით ელიარებინათ, რომ ამ (1-ელი) ტომის ქართული გამოცემაში არსებითად უცვლელად არის გადმობეჭდილი გაზეთებსა თუ ცალკეულ წიგნებში გამოქვეყნებული ნაშრომები ავტორისგან ნებადართული ჩასწორებებით, რომლებიც უმთავრესად ეხება არალეგალურ პირობებში ბეჭდვისას დაშვებულ კორექტურულ შეცდომებს, უკანასკნელ ხანებში დამკვიდრებულ ქართულ ტერმინებს, ასევე რამდენიმე სიტყვის ახლებურ მართლწერას. ყურადღება გამახვილდა იმ უმნიშვნელო (? რ.ა.) სარედაქციო ხასიათის ცვლილებებზე, რომლებიც ავტორმა რუსულ გამოცემაში შეიტანა. ცვლილებები ნაწილობრივ შეეხო ციტირებებს, ავტორის ნათარგმნ რუსულ ან უცხოურ მასალას და ეს ცვლილებები გამოწვეულია ორიგინალის ახალ და ძველ გამოცემებს შორის არსებული განსხვავებებით, რომლებითაც სარგებლობდა ამხ. სტალინი (იხ. 1947 წლის პირველი ქართული გამოცემის წინასიტყვაობა).

როგორც უნდა ეცადნონ, შეარბილონ ყველა ეს ცვლილება და ჩასწორება, სულ ერთია, ისინი შესაძლებლობას აძლევს, იმ პირებსაც კი, ვინც ქართული არ იცის, წარმოიდგინონ, რომ კობას ნაწერებში რალაც ისე ვერ არის. გასაგებია, საკუთარი ნაწარმოებების ჩასწორების უფლება ყველა ავტორს აქვს და ამის გამო მისთვის საყვედურის თქმას არ ვაპირებთ. მაგრამ, თუ გასასწორებელი შიქმნა ყველაფერი, მართლწერის ჩათვლითაც კი (ქართულში კი ისე იწერება, როგორც გამოითქმის), მაშინ ეს ნათელს ჰფენს ავტორის განათლების დონეს 1905-1907 წლებში, როცა ის თავის უსუსურ გაზეთებში ცოფილობდა. მთელი რიგი ციტატები, ბერიას მიერ ქართული ტექსტიდან მის „ისტორიაში“ მოტანილი, შევადარე იმავე ციტატების რუსულ თარგმანს, 1948 წლის (მეორე გამოცემა) გამოცემიდან და აღმოვაჩინე ერთობ დიდი განსხვავება როგორც ტერმინებში, ისე აზრის და არგუმენტაციის განვითარებაში.

მაგრამ კობას რევოლუციური მუშაობის ისევე პირველ წლებს მიეუბრუნდეთ. ბერია ამტკიცებს, რომ კობა სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა „დასულების“ უმცირესობას, რომელშიც შედიოდნენ წულუკიძე და კეცხოველი. ასეთი რამ პირველად მესმის. ა. წულუკიძეს კარგად ვიცნობდი. იგი უფროს, პატივსაცემ ამხანაგად მიმაჩნდა, გონიერ, განვითარებულ პიროვნებად, ვისაც შესწევდა უნარი, ყოფილიყო ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი, რომ არა მძიმე სენი, რომელიც ძალ-ღონეს ართმევდა. სულ ცოტა, მთელი თავით მაღლა მაინც იდგა სტალინ-კობაზე – განათლებითაც და მწერლობითაც. მუშობდა როგორც ლეგალურად, ისე არალეგალურად. თითქმის მუდმივით თანამშრომელი იყო „კვალისა“, სადაც დაიბეჭდა ყველა მისი ნაშრომი, გარდა ერთი ბროშურისა – „ოცნება და სინამდვილე“.

მართალია, 1904 წ. წულუკიძე ბოლშევიკებს შეუერთდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი „კობას ხელმძღვანელობით მუშაობდა“. ბერია, უბრალოდ, ემოცივნელება „ბელადს“ და უსამართლოდ ამცირებს თავის პოსტზე გარდაცვლილ ამხანაგს. ამხ. კეცხოველი 1903 წ. მოკლეს და მისი ბოლშევიკებისა თუ მენშევიკებისადმი მიკუთვნება – ეს გაყოფა უფრო გვიან მოხდა – არაფრით შეიძლება. თბილისის

ორგანიზაციის დავალებით კეცხოველი ბაქოში გამოცემდა გაზეთს „ბრძოლა“ («Борьба»), კობა კი, კატეგორიულად შემიძლია ვამტკიცო, მისი თანამშრომელი, მით უფრო, ხელმძღვანელი არ ყოფილა. გაზეთის ყველა თანამშრომელს ვერ დავა-სახელებ – კონსპირაციული მოსაზრებებიდან გამომდინარე. ასეთი შეკითხვები არ გვჩვეოდა. მაგრამ ერთ თანამშრომელს კარგად ვიცნობდი. ეს არის სევერიან ჯუ-ღელი (მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი), კეცხოველის პირადი მეგო-ბარი, რამდენიმე – როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური – ბროშურის ავტორი. მან შემეფანა თბილისელი ამხანაგების რევოლუციურ წრეში, ხშირად ვხვდებოდი ხოლმე, დიდხანს ერთ ბინაშიც ვცხოვრობდით და მასთან პირადი საუბრებისას შე-ვიტყვე ყოველივე, რაზეც აქ გიყვებით. ჟურნალ „ბრძოლის“ მთელი რიგი სტატიები ეკუთვნის თვითონ კეცხოველს.<sup>4</sup> წერდა ს. ჯულელიც. არ შემიძლია აღმფოთებით არ გაავაპროტესტო, რომ ისე როგორც N1-ის სარედაქციო სტატია ჟურნალის მიზ-ნების შესახებ, მთელი რიგი სხვა სტატიებისაც უცერემონიოდ მიითვისა სტალინმა და რამდენიმე მათგანი შესწორებებით შევიდა მის თხზულებათა კრებულში. ასეთი ძარცვა მით უფრო აღმაშფოთებს, რომ „ისტორიის“ თავდაპირველ ქართულ გამო-ცემაში ბერია ჯერ კიდევ ვერ ბედავდა ასეთ თავგასულობას. 1935 წელს სტატიები ისევ „ბრძოლის“ საკუთრებას წარმოადგენდა. ლიტერატურული მოროდიორობა მოხდა მოგვიანებით, როცა ყველა ცოცხალი მონმე, ასე თუ ისე დაკავშირებული ამ პირველ, მეზრძოლ რევოლუციური პრესის გამოცემასთან „ნარჩენებს გააყოლეს“ ან თავისი სიკვდილით მოკვდა.

ბერიას სანაქებო თხრობაში კიდევ ერთი შესწორება უნდა შევიტანო. ამ გასწო-რებას ერთგვარი კავშირი აქვს „ბრძოლის“ გამოცემის საკითხთან იმდენად, რამდე-ნადაც გვიხატავს სოსოს მდგომარეობასა და როლს თბილისის ორგანიზაციაში იმ დროისთვის, როდესაც ამხ. კეცხოველის გაზეთის N1 გამოდიოდა. ის ეხება თბილი-სის კომიტეტის არჩევნებს 1901 წლის შემოდგომაზე. კობა არ ყოფილა ამ არჩე-ვნების ინიციატორი, არც, საერთოდ, არჩევითობის სანყისის მომხრე. პირიქით, ეს ახალგაზრდა კაცი (მაშინ ის 21 წლისაზე მეტი არ იქნებოდა) მთელი მონდომებით უმტკიცებდა მუშებს, რომ ისინი სრულებით არ არიან მზად ასეთი დამოუკიდებ-ლობისთვის. ამხ. არკომედი ნიგნში „მუშათა მოძრაობა და კავკასიის სოციალ-დე-მოკრატია“ (1910 წლის გამოცემა. ? ჟენევა), 55–56-ე გვ. მოგვიხსრობს, როგორ გამოდიოდა „ეს ახალგაზრდა, ნებისმიერ საქმეში ენერგიული ამხანაგი“ მუშების მიერ კომიტეტის არჩევის წინააღმდეგ და ამის შემდეგ (ე.ი. არჩევნებისა, რომელიც მაინც შედგა) სულ მალე როგორ გადაინაცვლა „ზემოთ ნახსენებმა ახალგაზრდა ამხანაგმა საბოლღანეოდ ბათუმში, საიდანაც თბილისელი ამხანაგები იღებდნენ ცნობებს მის არაკორექტულ დამოკიდებულებაზე, მტრულ და მადეზორგანიზებულ აგიტაციაზე თბილისის ორგანიზაციისა და მისი მუშაკების წინააღმდეგ“. ამ საქ-ციელს იგი ხსნის მისი „ინდივიდუალური თვისებებით, პირადი კაპრიზებითა და სა-კუთარი ძალაუფლებისადმი სწრაფვით“. ეს ახალგაზრდა კაცი, ყველა ნიშნით, სხვა არაფერ არის, თუ არა ჩვენი კობა. ცნობილია, რომ 1901 წლის ნოემბრის ბოლოს ის უკვე ბათუმშია, თბილისის კომიტეტში კი არჩევნები ნოემბრის პირველ რიცხვებში შედგა. გასაგებია, რომ ის ვერ შეძლებდა მოხვედრილიყო საარჩევნო კომიტეტში

4 ამის თაობაზე ჩვენ ვწერდით ჩვენი წიგნში „სტალინი – შტრინგიტი პორტრეტისათვის“, თბ., 2006. იხ. თავი, „იოსებ სტალინის „თხზულებებში“ პლაგიატის საკითხისათვის“, გვ. 171–191. სამწუხაროდ, იმხანად არ ვიცნობდი და, ცხადია, ვერც მივუთითებდი, რ. არსენიძის წინამდებარე სტატიას – გ.ყ.

და ვერც მოხვდა. ბერია კი მას მაინც თბილისელი მუშების უპირველეს რჩეულად წარმოგვიდგენს. იგი ეყრდნობა ოხრანკის მონაცემებს. მაგრამ, ასეთი ცნობები თუ ნამდვილად არსებობს, ისინი, უდავოა, მცდარია. ამ დასკვნამე მივყავართ იმ გარემოებასაც, რომ კობას 1901 წლის საარჩევნო კომიტეტის წევრად არ ახსენებს მისი არც ერთი მონაწილე, ვინც წერდა და ბეჭდავდა თავის მოგონებებს ბოლშევიკების ხელში, ანუ ბოლშევიკების ჯარის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ოლონდ სტალინის გაღმერთებამდე (იხ. მაგ., „საზოგადოებრივი ურთიერთობები საქართველოში 1864-დან 1905 წ.“, გ. გიორგაძე, „სახ. გამოც.“, 1928 წ. გვ. 542). ამხ. არკომედის (მისი გვარია ყარაჯიანი) მონაყოლი უდავოდ იმსახურებს ნდობას, რამდენადაც იგი არჩევნებში მონაწილეობდა და თავადაც აირჩიეს კომიტეტში.

წმინდა წყლის მონაგონია ამიერკავკასიის კონფერენციის მიერ კობას ვითომდა დაუსწრებლად არჩევა „ამიერკავკასიის კომიტეტის“ წევრად. პირადად მე ამ კონფერენციას არ დავსწრებივარ, მაგრამ ვმუშაობდი თბილისში, გაზ. „კვალში“. კონფერენციის შედეგების თაობაზე პირველად გავიგე ამხ. ნ. რამიშვილისგან, ჩემი სკოლის ამხანაგისგან (მანვე მაცნობა, რომ კონფერენციამ „კვალის“ რედაქტორად აირჩია ი.გ. წერეთელი, მე კი მუდმივ თანამშრომლად), შემდეგ კი ამიერკავკასიის კომიტეტის წევრებისგან, რომლებმაც მე კომიტეტის მდივნად გამამწესეს. წევრები გახდნენ: ცხაკაია, ზურაბოვი (მე-2 სახელმწიფო სათათბიროს წევრი), ბოჭორიძე, ბახევორიანი და კიდევ ერთი ამხანაგი, რომლის გვარიც არ მახსოვს. სოსო არავის უხსენებია. აირჩიო დაუსწრებლად, და ისიც ციხეში მყოფი ამხანაგი, ჩვენს ორგანიზაციებში ამგვარი ტრადიცია არ ყოფილა. პირიქით, არჩეული წევრი, თუ ის ციხეში მოხვდებოდა ან ამიერკავკასიის ფარგლებს გასცდებოდა, ამით ხელმძღვანელი ორგანოდან გასულად ითვლებოდა. აი ასე, ყოველგვარი ლოგიკისა და გონივრული მოსაზრებების სანინაღდეგოდ, ხლართავენ „საყვარელი ბელადის“ პანეგერიკულ ბიოგრაფიას მისი მორჩილი მონაფეხები.

\* \* \*

ახლა კი 1905 წელზე გადავიდეთ. აქაც სტალინის ბოგრაფიის ბ-ნი ბერიასეულ თხრობაში რამდენიმე „უზუსტობის“ გასწორება და შევსება მომიწევს. 1905 წელს კობა მართლაც ენერგიულ მუშაობას ეწეოდა, დადიოდა გურიაში, იმერეთში, ჭიათურაში, ბაქოში, თბილისში, ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში ინაცვლებდა. მაგრამ მთელი მისი მუშაობა თითქმის მთლიანად ფრაქციული იყო. ბერია ერთში მართალია – ის ყველგან გააგებით ესხმოდა თავს მენშევიკებს, ცდილობდა, ლაფში ამოესვარა ისინი. ყველგან ეძებდა და იზიარებდა თანამოაზრეებს, რომლებიც მზად იყვნენ, ლენინისა და მასთან ერთად, მისი მოწაფის კვალს გაჰყოლოდნენ. მაგრამ მხოლოდ ერთეულების გადაბირებას თუ ახერხებდა, იშვიათად – ათეული მომხრისა, რომლებსაც დაუყოვნებლივ აერთიანებდა ჯგუფებსა და პატარა ჯგუფუნებში, რომლებსაც მაშინვე არქმევდა მყვირალა სახელს – კომიტეტი. ასეთები იყო ქუთაის-იმერეთის ჯგუფის კომიტეტი გურიაში, ჭიათურაში, თბილისის კომიტეტი და ა.შ. ეს იმ დროს, როცა რევოლუციური მოძრაობა ერთობ სწრაფად ვითარდებოდა, მოიცავდა მუშებისა და გლეხების უფართოეს მასებს, როცა, შეიძლება ითქვას, ყველა ქართული პროვინცია აღელვებულ ზღვას წარმოადგენდა. ხელმძღვანელის როლის შესრულება იმ დროს სოსოს შეეძლო (თუკი ასრულებდა, რაც ასევე საეჭვოა) მხოლოდ თავის პატარა წრეებში. არც ერთი ფართო სახალხო თუ საზოგადოებრივი მოძრაობა, არც ერთი რევოლუციური გაფიცვა არათუ მისი ხელმძღვანელობით,

მისი მონაწილეობითაც კი არ ჩატარებულა. არც კრიმ-გირეის, კავკასიის მეფის-ნაცვლის თანამეწმის დახვედრის ორგანიზება, რომელიც გურიაში მოგზაურობდა, სადაც გლეხებმა მეფის ჩინოსანს უფლებებისა და თავისუფლების თავიანთი არსებითი მოთხოვნები წაუყენეს, ყველა სოფლის საზოგადოებისთვის თითქმის ერთნაირი რომ იყო; არც ეგრეთ ნოდებულის საერობო კამპანია, ე.ი. კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის განხილვა, რომელიც სახალხო მოთხოვნების ფართო მანიფესტაციაში გადაიზარდა; არც გაფიცვები ფაბრიკებში და რკინიგზაზე; არც სოფლებში რევოლუციური გზით ხალხის სრული თვითმმართველობის დამყარება, ხალხისა, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა მეფის ადმინისტრაციასა და სასამართლოს; საერთოდ, რევოლუციური ენერჯიის არანაირ მასობრივ გამოვლინებას სა-თავეში არ დგომია არავინ, გარდა მენშევიკებისა. ბოლშევიკური ფრაქციის ცალკეული წევრები ზოგჯერ შესაძლებლად არ მიიჩნევდნენ, განზე გადგარიყვნენ ამ კამპანიებისგან, კობა კი მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ ელჩეეს ატენდა თავს მენშევიკებს ამ ლიბერალურ წამოწყებებში მონაწილეობისთვის, რაც ხალხს პარტიის მიერ ორგანიზებულ და დანიშნულ შეიარაღებულ ამბოხს ჩამოაშორებდა ხოლმე. კობა არხეინად არიდებდა თავს ამ მენშევიკურ სისაძაგლესთან შეხებას.

მოვიტან რამდენიმე ფაქტს, რომელიც აჩვენებს, რა ძალა ჰქონდათ იმ დროს ბოლშევიკებს და როგორ იზაბებდა ნიადაგს თავდა კობა კავკასიაში მთელი რევოლუციური მოძრაობის მაღალი ხელმძღვანელი როლისთვის. ა. წულუკიძის დაკრძალვას (1905 წ. ნოემბერი) ბოლშევიკები, რა თქმა უნდა, ყველანი, მთელი შემადგენლობით ესწრებოდნენ. კუბოს აცილებდნენ მენშევიკებიც. სწორედ მათმა დასწრებამ შესძინა დასაფლავებას ის გრანდიოზული ხასიათი, რომლითაც შემდგომში თავს იწონებდნენ სტალინელები. ჩვენი სოფლის ორგანიზაციები შეეცადნენ, რომელიც ქუთაისიდან ხონისკენ (დამორება 15–20 ვერსტი) მიემართებოდა, გამოეყვანათ ყველა იმ სოფლის მცხოვრებნი, რომლებიც გზად იდო. ხონში კი პროცესიას მთელი ქალაქი დახვდა. ბოლშევიკებთან ერთად სიტყვით გამოდიოდნენ მენშევიკებიც, როგორც, მაგ., რამიშვილი (1–ლი სახელმწიფო საათობიროს დეპუტატი), ლორთქიფანიძე, ამ სტრიქონების დამწერი და ბევრი სხვა. ხონში მოსალამოვებულზე ჩავედით. აქ ჩემმა კარგამ ნაცნობმა ბოლშევიკმა, ექიმმა კიკალიშვილმა მიმინ-ვია სადისკუსიო შეკრებაზე, რომელიც უნდა გამართულიყო სახლში მოედანთან ახლოს, სადაც ვეებერთელა რაოდენობა ხალხისა ორატორებს უსმენდა და დაშლას არ აპირებდა. მე დავთანხმდი. სადისკუსიო შეკრება არცთუ მრავალრიცხოვანი იყო. დიდი დარბაზი მაინც ხალხით გადაიჭედა. მაგრამ, რადგან დისკუსიაში მონაწილეობა გადაწყვიტეთ, იმაზეც ვიზრუნე, გამეფრთხილებინა ადგილობრივი მენშევიკები, რომლებიც კრებაზე მრავლად მოვიდნენ. ბოლშევიკებიდან გამოდიოდა სოსო. კრების დასასრულისთვის აშკარა გახდა, რომ დამსწრეთა მნიშვნელოვანი უმრავლეობის განწყობა სულაც არ არის მიმართული ლენინელთა სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ მათ, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა თანამოაზრე შეკრებიეს. კატასტროფა მათთვის აშკარა გახდა: საკუთარ შეკრებაზე წელში გადატყენდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთმა მუშამ სერიოზულად დასვა საკითხი: „შეიძლება თუ არა ამის შემდეგ (ანუ მათი გამონათქვამების შემდეგ) ჩავთვალოთ ბოლშევიკები ნამდვილ სოციალ-დემოკრატებად?“ მე გულწრფელად ვუპასუხე, რომ ისინი პარტიაში შედიან და, აქედან, სოციალ-დემოკრატებადაც ითვლებიან. მაგრამ სოსო ამან არ დააკმაყოფილა. მას, როგორც აღმოჩნდა, ამ შეკრებასთან სულ სხვა გეგმები აკავშირებდა, რომელთა შესრულებასაც ის და მისი მომხრეები მაინც

შეეცადნენ. როდესაც სოსომ უკანასკნელად აიღო სიტყვა, არავის ეჭვიც არ შეპარვია, რომ ისინი ვერანაირ ხმებს ვერ მოაგროვებდნენ, გარდა მისი ერთგული შეთქმულებისა, რომლებიც მჭიდრო რკალად შემორტყმოვნენ. ამ უკანასკნელებმა ისე, რომ სიტყვის დამთავრებაც არ აცალეს, ვითომდა აღფრთოვანებულებმა, იგი ხელში აიყვანეს და ასე გაიტაცეს ეზოში, როგორც ტრიუმფატორი. ხალხის უმეტესობა, ამით გაოგნებული, დარბაზში დარჩა. მე კი სახლის აივანზე გავვარდი და დაუწყვირე, სამარცხვინოა რომ ასე გაიტაცე და იმასაც კი არ დაელოდო, როგორ გადაჭრის საკითხს კრება. აქ დავინახე, რომ ის ხელში ატაცებული მიჰყავთ პირდაპირ ქუჩაში, სადაც ჯერ კიდევ ბლომად ხალხი იყო თავმოყრილი, როგორც ჩანს, იმ მიზნით, რომ ეჩვენებინათ ამ ხალხისთვის თავიანთი ბელადი, ტრიუმფატორად, ხელში აყვანილი რომ მიჰყავდათ მის ერთგულ მსახურთ. მაგრამ საზოგადოებამ ნაკლები ყურადღება დაუთმო ამ უჩვეულო და უდროო ტრიუმფალურ მსვლელობას: ექვსი-რვა კაცი, რომელსაც ხელში აყვანილი მიჰყავს ერთი-მეცხრე. ეს არაფრით მოდიოდა ჰარმონიაში დაკრძალვის პროცესიასთან და არც იმპოზანტური გახლდათ. მთელი ეს ინციდენტი შეუმჩვეველი დარჩებოდა, მაგრამ, როდესაც საჭირო გახდა დიდი ბელადის წინაშე ლაქუცი, ექიმმა კიკალიშვილმა სიამაყით მოიგონა და გაზეთებში გამოაქვეყნა, როგორ მოამზადა მან კრება და ამხ. კობას ტრიუმფული სვლა, კობასი, რომელშიც მან უკვე მაშინ დაინახა ხალხთა მომავალი ბელადი. ხოლო ერთ-ერთი შეთქმულ-შემსრულებელი, ვინმე ქაცარავა, საზეიმოდ გადმოგვცემს, როგორი აღტაცებით მიჰყავდა თავისი ბელადი ხელში აყვანილი, და სრულიად უადგილოდ უმატებს, ამჟამად, საკუთარი სიტყვების არსის გაუარებლად: „სოსო გაბრაზებული მოგვიბრუნდა და გვეუბნება: „მეკი გამომიყვანეთ, მაგრამ ხალხი სად არის“. ჩვენ მივხვდით მისი შენიშვნის სამართლიანობას“. შემდეგ ქაცარავა დასძენს, რომ „ჩვენები ზეიმობდნენ, მენშევიკები კი დუმდნენ...“ მაგრამ ამ დანართს არ შეუძლია შეცვალოს ის ფაქტი, რომ ხალხი ტრიუმფატორს არ გაჰყოლია (იხ. ქართული გაზ. „კომუნისტი“, 1935 წ. 6 ოქტომბრის N233).

ასე იმზადებდა ხელმძღვანელ როლს რევოლუციურ მოძრაობაში სრულიად რუსეთის მომავალი დიქტატორი.

კობა, როგორც ცნობილია, იარაღის ძალის დიდი მომხრე იყო. კრიტიკას, როგორც იარაღს, ის ამჯობინებდა იარაღით კრიტიკას. მაგრამ, როცა 1905 წ. დეკემბრის აჯანყებამ იფეთქა, როცა თბილისში და მთელს საქართველოში მძვინვარებდა რევოლუცია, არსებითად, მთელი ხალხი რომ მოიცვა, კობა (იქნებ, არ მთლად საკუთარი ნებით) სიცარიელეში აღმოჩნდა. ის ამ დროისათვის, არ ვიცი, ბაქოში, არ ვიცი, სადღაც სხვაგან გაიჭედა (ამაზე საფიქრად მაშინ არავის ეცალა; და ბერიაც საჭიროდ არ მიიჩნევს, მიუთითოს, სად იყო კობა ამ ტრაგიკულ მომენტში). ყოველ შემთხვევაში, კობა თბილისში არ იყო. როგორც ნევრმა თბილისის საგაფიცო კომიტეტისა, რომელსაც ხელთ ეყრა მთელი ძალაუფლება, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ამ კომიტეტში ბოლშევიკები შედიოდნენ, ოღონდ არა კობა. იყვნენ: ცხაკია, შ. ელიავა, კორა – რუსი ბოლშევიკი, ჯარის ნაწილებთან შეტაკებისას დაღუპული, და 2–3 მუშა. ისინი მთელი კომიტეტის დაახლოებით ერთ მეთხედს შეადგენდნენ. აღმასრულებელი ბიურო შედგებოდა 4 მენშევიკისა და ერთი ბოლშევიკისგან – ეს იყო კორა. ბრძოლას მას შემდეგაც კი ვაგრძელებდით, რაც მოსკოვის აჯანყება ჩახშეს, დაახლოებით იანვრის პირველ რიცხვებამდე. მოსკოვის დამარცხების შესახებ ცნობის მიღებისთანავე მთელი სიმძაფრით დადგა ბრძოლის შეწყვეტის საკითხი და ის კომიტეტს შიგნით გარდაუვალი ურთიერთდაპირისპირების საფუძვლად იქცა.

მაგრამ ბრძოლა იმართებოდა არა ფრაქციული დაყოფისთვის, არამედ, პირიქით. როგორც ბრძოლის, უფრო კი გაფიცვების შეწყვეტის მომხრეებს, ისე მონინალმდეგეთა შორისაც იყვნენ როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები. ბოლშევიკებიდან შეწყვეტას მხარს უჭერდა თითქმის ყველა, გარდა კორასი. მენშევიკებიდან – მუშების უმრავლესობა და რამდენიმე ინტელიგენტი, მათ შორის მეც. აღმასრულებელი ბიუროს წევრები კი – ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ჯაფარიძე – მოითხოვდნენ ბრძოლის გაგრძელებას და მეტიც, მის გაძლიერებას კაზაკებზე ტერორისტული თავდასხმებით და ა.შ. უმრავლესობამ (თანაც მნიშვნელოვანმა) მხარი დაუჭირა შეწყვეტას. ბიურო საქმეს წელავდა... დასავლეთ საქართველო წინააღმდეგობას აგრძელებდა თბილისის გაფიცვის შეწყვეტის შემდეგაც კი.

\* \* \*

ლაპარაკობენ ძარცვებში სტალინის პირადი მონაწილეობის შესახებ. არ შემიძლია ეს დავიჯერო: კამო, რომელიც ამ საქმეს აკეთებდა, არაფრის გულისთვის გაიყოლებდა თან „სათაყვანო ბელადს“, რათა მას საფრთხე არ დაემუქრებოდა. კამოს ბიოგრაფიაში, სადაც ჩამოთვლილია ყველა მისი „ექს“-ი, სტალინის ამგვარ მონაწილეობაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი. აი, ორგანიზაციული და იდეური მონაწილეობა კი სტალინისა ყველა ამ „ექს“-ში ეჭვს არ იწვევს. სწორედ ამან გამოიწვია კობას პარტიიდან გარიცხვა.

1907 წელს სტალინი იდეურად და ორგანიზაციულად მონაწილეობდა ძარცვაში „ერევნის მოედანზე“ (ახლა თავისუფლების მოედანი) თბილისში. ამ ძარცვის თაობაზე დადგენილება მიიღო „ბოლშევიკური აქტივის“ კრებამ კობას ხელმძღვანელობით. განხორციელება დაევალა კამოს, „რომელმაც თავად წაუღო გატაცებული ფულის (200 000) დიდი ნაწილი თავის ბელადს“, ლენინს, ფინეთში, მგონი ტერიოკიში. ამასთან, გატაცებულ ხუთასრუბლიანებს (ნომრები მთავრობამ გამოაცხადა) ბოლშევიკები, მათ შორის კრასინი, საზღვარგარეთ, ბერლინში ცვლიდნენ. ამ საქმის გამოძიება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიურომ დაავალა ამიერკავკასიის ორგანიზაციის სპეციალურ კომისიას ს. ჯიბლადის ხელმძღვანელობით. გამოძიების შემდეგ, კომისიის მოხსენების თანახმად, ძარცვის მონაწილეები და ორგანიზატორები კობას მეთაურობით პარტიიდან გარიცხეს. ეს დადგენილება დოკუმენტბრუნებითა და საზღვარგარეთ გადაეგზავნა პარტიის ცკ-ს ამ საქმის შემდგომი ბედი ჩემთვის უცნობია. ამბობდნენ, რომ ცკ-მა, რომლის უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ (ლონდონის ყრილობის შემდეგ), საქმეს მსვლელობა არ მისცა. მაგრამ მას შემდეგ კობა საქართველოს ჰორიზონტზე აღარ გამოჩენილა. ბოლშევიკი ყიასაშვილის მოგონებებში შემთხვევით ამოვიკითხე, რომ 1909 წელს კობა ორი დღით ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ ახლო მეგობრების გარდა არავის უნახავს. და ამ ორი დღის განმავლობაში მის კონსპირაციულ ბინას დღედაღამ დარაჯობდნენ მისი ერთგული მცველები... და არამარტო პოლიციის თვალთაგან დასაფარად... (ვოსი (უნდა იყოს ვასო) ყიასაშვილი. „კომუნისტი“, 1935 წ. 12 დეკემბერი, ქართულ ენაზე). ქართული ორგანიზაციები კობასთვის სამუდამოდ დაიხურა.

\* \* \*

უცნაურია, რომ სტალინზე დაწერილ წიგნში ბერიამ რატომღაც თითქმის უყურადღებოდ დატოვა ერთი ფაქტი. ეს გახლავთ კობას მონაწილეობა კრებების და თვით ს.დ. ამიერკავკასიის ყრილობის ორგანიზებაში, რომელიც ბაქოში გაიმართა.

თა 1906 წლის შემოდგომაზე. ეს კია, ეს მონანილეობა მომავალი ბელადისთვის ტრიუმფულად ვერ ჩაითვლება.

დავინკოთ იმით, რომ ყროლოზაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით სულ 42 დელეგატი მონანილეობდა. აქედან კობას ჰქონდა მოკრძალეული, ექვსკაციანი ფრაქცია. გამოჩენილი ბოლშევიკებიდან ერთადერთი თავად იყო. არც ცხაკაია, არც შაუმიანი, ყოფილან. დანარჩენი 36 მენშევიკი იყო. ამასთან, თითქმის ყველა დელეგატი თბილისიდან, ბათუმიდან და ბაქოდან მენშევიკი გახლდათ. თავიანთები ბოლშევიკებმა გაიყვანეს უმთავრესად მიყრუებული ადგილებიდან, როგორც იყო კაშური (უნდა იყოს ხაშური), ბორგალო (უნდა იყოს ბორჩალო), სურამი, სადაც საკუთარი ჯგუფები ჰყავდათ. ძალთა ასეთი შეფარდებისას ბოლშევიკთა რაიმე გავლენაზე ლაპარაკიც ზედმეტია. და მაინც, კობამ ერთი ოინი მოგვიწყო, რომელიც გახსენებდა ლირს.

მენშევიკებს შორის სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა მომენტის შეფასების საკითხთან დაკავშირებით. სტოლიპინის სასტიკ პოლიტიკას სამხედრო-საველე სასამართლოებით, დახვრეტებითა და სადამსჯელო ექსპედიციებით ერთნი აფასებდნენ, როგორც უახლოეს ხანებში სახალხო მასების გარდაუვალი შეიარაღებული ამბოხების მაუწყებელს, მეორენი, რომელთა შორისაც იყო თბილისის, ბაქოს და ბათუმის დელეგატთა უმეტესობა, აქედან აკეთებდნენ დასკვნას, რომ ფართო პოლიტიკურ და რევოლუციურ მუშაობაზე ორიენტაცია უნდა აგველო მასობრივი მოძრაობის ხელახალი აღმავლობის მოსამზადებლად და ძალების მოსაკრებად. ამ მიზნის მისაღწევად ისინი მორიგ ლოზუნგად აყენებდნენ არა აჯანყების ლოზუნგს, არამედ სხვას, რომელიც მოკლე ფორმულაში ასე გამოიხატებოდა: „სახელმწიფო სათათბიროს გავლით – დამფუძნებელი კრებისკენ“. ბოლშევიკები, თავისთავად ცხადია, მტკიცედ იდგნენ ლენინისეულ შეიარაღებულ აჯანყებაზე, რომელსაც ორგანიზებას გაუწევდა და დანიშნავდა პარტია და ჩატარებოდა მისი ხელმძღვანელობით. მენშევიკი დეპუტატები ორ თანაბარ, 18-კაციან ჯგუფად გაიყო. არანაირი ფორმის (ლია, სახელობით და სხვ.) კენჭისყრას ამ თანაფარდობის შეცვლა არ შეეძლო. აი, სწორედ აქ გამოამჟღავნა სტალინიმა თავისი ორგანიზაციული სიბრძნე. ამკარად გაიძვერული გათვლით მან გადანყვიტა, მხარი დაეჭირა მენშევიკთა იმ ნაწილისთვის, რომელიც მისი პოზიციიდან გაცილებით შორს იდგა, მით უფრო, რომ პირველ ჯგუფში (პერსპექტივაში აჯანყების მხარდამჭერი) შედიოდა საკართველოს მენშევიკების ხელმძღვანელთა უმეტესობა, ისეთები, როგორებიც იყვნენ ნ. ჟორდანია, რამიშვილი, ა. ჯაფარიძე და სხვ. მე მივეკუთვნებოდი ფრაქციას „სახელმწიფო სათათბიროს გავლით და ა.შ.“ როცა მეოთხედ მიმდინარეობდა კენჭისყრა, ბოლშევიკებმა თავიანთი ხმები ერთხმად შეუერთეს ჩვენსას. ამგვარად, რეზოლუცია ფორმალურად მიღებულ იქნა. მაგრამ ჩვენ არ მოვიდომეთ გვესარგებლა ბოლშევიკებისგან მორთმეული კეთილშობილური საჩუქრით და შიდამენშევიკურ დავაში მოსამართლედ გვექცია კობა. არჩეულმა შემთანხმებელმა კომისიამ მალე გამოძენა ორივე ნაწილისთვის მისალები კომპრომისი, რომელიც მხოლოდ მენშევიკთა ხმების ხარჯზე იქნა მიღებული. მაგრამ ეს კი უნდა ვთქვა, რომ კობამ ჩვენ „გაგავერთიანა“.

\*\*\*

ახლა აუცილებელია, დავსვათ შეკითხვა: რამდენად იყო კობა ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ნამდვილი ხელმძღვანელი და „ბელადი“. ბერია ხომ ამას გვიმტკიცებს. მე ამაზე დათანხმება არ შემიძლია. ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში



ვციდილობ, ვიყო ობიექტური, და უნდა ვთქვა, რომ კობა მართლაც დანაშაურობდა ამიერკავკასიის მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო ბოლშევიკებს შორის. მაგრამ, ბერიას თუ არ ვეთანხმები, იმ უბრალო მოსაზრების გამო, რომ ვერაფრით წარმომიდგენია, კობას, რომელიც ძლივძლივობით ერკვეოდა ბოგდანოვის „პოლიტიკურ ეკონომიაში“ (ის მას წრეებში და ქუთაისის ციხეშიც კი უკითხავდა მუშებს, რომლებმაც სათანადოდ არ იცოდნენ რუსული ენა), როგორ უნდა მოეხერხებინა, გატოლებოდა მაგალითად, ისეთ პოლიტიკურ თვალსაზრისით მომწიფებულ და სერიოზული განათლების მქონე მწერალს, როგორც იყო ა. წულუკიძე, „კვალის“ ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკი. ან როგორ შეძლო სტალინმა გატოლებოდა კეცხოველს, რომელიც პარტიაში მასზე ადრე მოვიდა და უზარმაზარი ენერგია, სოლიდური ცოდნა და იშვიათი ორგანიზაციული მონაცემები გამოამჟღავნა. ყოველივე ეს ეხება 1900-1904 წწ. ამ თარიღამდე კობა ცნობილი იყო მხოლოდ თავისი ინტრიგებით და ძალაუფლებისაკენ სწრაფვით, და კიდევ – ბათუმის გამოსვლებში ორგანიზებით 1902 წლის მარტში, რომლის მიზანშეწონილობაზე ერთობ ცხარედ კამათობდნენ თავად მუშები.

მაგრამ ამ დროის შემდეგაც, იმდენად, რამდენადაც ბოლშევიკ მოღვაწეებთან შეხვედრები მიხდებოდა, შემიძლია, გაბედულად ვთქვა, რომ, მაგალითად, სტეფანე შაუმიანი დიდად აღემატებოდა მას თეორიული აზროვნების სიღრმით, ზოგჯერ კი აზრთა ორიგინალობითაც; სტალინს, ეს უნდა ითქვას, უკეთ გადმოჰქონდა ლენინი და იმეორებდა მის აზრებს, ვიდრე შაუმიანი. მაგრამ შესწავლილი თეორია რეალობისთვის რომ მოერგო ანუ გამოეჩინა შემოქმედებითი თვითმყოფადობა, შაუმიანს უკეთ გამოსდიოდა, ვიდრე მას. როგორც ძველ პარტიულ ამხანაგს, მ. ცხაკაიას უფრო მეტი მორალური წონა და პატივისცემა ჰქონდა: 1904 წლამდე ის მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და სათავეში ედგა პარტიის ცენტრალურ ორგანიზაციებს. მაგრამ მოგვიანებით მასში თავი იჩინა მოხუცებულობის ჭკუასუსტობამ, რაც გამოიწვია მისი წარსული ცხოვრების მძიმე პირობებმა და გადატანილმა განსაცდელებმა. იქნებ, ამიტომაც დარჩა ის რევოლუციური მოძრაობის ფანატიკოსად და თავს მიიჩნევდა ბოლშევიზმის ყველა ბელადის – ლენინის ჩათვლით – ლამის მასწავლებლად, სტალინს კი საშუალო მონაფის ადგილს აკუთვნებდა. ეს სიბრძნევები მას არ აპატიეს! როგორც ნახევრად შეშლილი საცხოვრებლად მოხუცთა თავშესაფარში დატოვეს, ხოლო მისი როლი ბოლშევიზმის ისტორიაში თითქმის სულ მიანავლეს.

ყველა დანარჩენი ბოლშევიკისგან კობა, თქმა არ უნდა, გამოირჩეოდა მომეტებული ენერგიით, დაულალავი შრომისუნარიანობით, სხვებზე ბატონობის დაუძლეველი ვნებით და, რაც მთავარია, დიდი და თავისებური ორგანიზატორული ნიჭით. თავისი ორგანიზატორული ნიჭი მან მიმართა არა მასობრივი ორგანიზაციების შექმნისაკენ, არამედ პირიქით, – მას იყენებდა მასობრივ ორგანიზაციებში ან მასობრივ მოძრაობებში მისი ერთგული და თავდადებული ადამიანების ჯგუფების შესაქმნელად, რომელთა მემკვიდრეობითაც ესწრაფოდა, ერთობრივად ემართა მთელი მასა, ხელში სჭეროდა მთლიანად ორგანიზაცია. ის მიდიოდა ყველა იმ ადგილიდან, სადაც ეს არ უხერხდებოდა, სადაც მასები მისი უფროსობისთვის საკმარისად მორჩილნი არ აღმოჩნდებოდნენ. ემართა დემოკრატიულად – ეს მას არ ხელეწიფებოდა. დემოკრატია არ ყოფილა მისი სტიქია. იმ ამხანაგებთან, რომლებიც დემოკრატიზმისაკენ მიდრეკილებით გამოირჩეოდნენ, შეგუება არ შეეძლო. ის მათ პირველსავე სიტყვებზე ცნობდა, როგორც იტყვიან, ერთი შეხედვით.

ორგანიზაციულ მუშაობაში მას დაეხმარა ერთი თვისება: უნარი, სწრაფად შეეცნო ადამიანები. რალაცა გრძნობით იგი უცბად ხვდებოდა, ვინ არის მისი მიზნებისთვის შესაფერისი და ვინ რომელ საქმეში და როგორ შეიძლება გამოიყენო. ასეთებს ის უახლოვდებოდა, ყველანაირად ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ისინი. რა თქმა უნდა, სანტიმენტალური გრძნობებით არა. ის პოულობდა საჭირო სიტყვებს, რაც სალბუნად დაედებოდა მათს პატივმოყვარეობას და ამბიციებს ან მათს რევოლუციურ მისწრაფებებს. ზოგს აქებდა, სხვებს საყვედურობდა, ნაწილს ნებაზე დაჰყვებოდა, ხოლო, როგორც კი გამოიყენებდა, დაუნანებლად მოისროდა ხოლმე. მერე, თუ საჭირო შეიქმნებოდა, კვლავ თავისთან უხმობდა იმავე ადამიანს, დამამცირებლად სთხოვდა, დაევიწყებინა უნებური წყენა, მით მეტად ეხვეწებოდა, რაც უფრო მეტად სჭირდებოდა მისი სამსახური იმ დროისთვის.

ასეთივე ცივისსხლიანობით უდგებოდა იმ წყენებსაც, მას რომ აყენებდნენ. უხმოდ პატიობდა, ანგარების გამო, და შეეძლო რამდენიმე ხნის შემდეგ – თვეების, წლების შემდეგ – ისევ გაეხსენებინა და პასუხი მოეთხოვა, თუ ეს მის გაგმეში შედიოდა. როგორც სხვების, ისე საკუთარი თავისადმი ამ მიმართებით ერთი საზომი ჰქონდა. ეს კია, საზომი, მოკლებული რიგ არსებით ადამიანურ თვისებებს. მისი შერჩევითობის კრიტერიუმი ყოველთვის იყო მოცემული პირის გამოსადეგობა ან უფარგისობა მის მიერ დასახული მიზნის მიღწევის საქმეში და არა მორალური, ინტელექტუალური თუ სხვა თვისებები.

მე ვიცნობდი ბოლშევიზმის რამდენიმე ბელადს რუსეთში – ზოგს პირადად, ზოგსაც ამხანაგების მონაყოლით და ხშირად მიფიქრია, რომ ლენინის შემდეგ პარტიაში პირველობისთვის ბრძოლაში გამარჯვება დარჩება სტალინს. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით იმაშიც, რომ ასეთი გამარჯვების შემთხვევაში სტალინი ყველა ხერხით შეეცდებოდა, გათავისუფლდეს მეტ-ნაკლებად საშიში კონკურენტებისგან, რომლებიც გაბედავენ შეენიანალმდგონ მის თვითმპყრობელობას.

## **RAZHDEN ARSENIDZE**

### **From Memories about Stalin**

Publication by Guram Khoranashvili

#### **Summary**

In his memories a well-known political figure, member of the Constituent Assembly of the Democratic Republic of Georgia and the Minister of Justice, Razhden Arsenidze tells about his relationship with Joseph Stalin in the 1900s. Attention is paid to the peculiarities of Stalin's character and so forth.

# ქართველი ტყვეები და ქართული ემიგრაცია

(შოთა თარხნიშვილის ჩანაწერების მიხედვით)

## სოფიკო ჯერვალის პუბლიკაცია

„უფალს ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას უმზადებს, ვინაიდან განსაცდელთა ემბაზში განბანილთა ჭერეთა მისი განცვიფრებისა და აღფრთოვანების უშრეტე ნყარო“ — ამბობდა მერაბ კოსტავა და რომ არა ბედისწერა, კიდევ ერთი ღირსეული ქართველი, განსაცდელთა ემბაზში მრავალგზის განბანილი, გაქრებოდა ჩვენი თვალთახედვიდან... ის არც პოლიტიკოსი ყოფილა, არც — მწერალი, არც — მეცნიერი, არც — საზოგადო მოღვაწე, იგი მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლი იყო, რომელიც გერმანელთა ტყვეობის შემდეგ სამშობლოში მხოლოდ 25 წლის შემდეგ დაბრუნდა და რომ არა შემთხვევითობა, ალბათ, მისი თავგადასავალი და აქედან გამომდინარე, მეორე მსოფლიო ომისა და ქართული ემიგრაციის ცხოვრების მრავალი დეტალი, უცნობი იქნებოდა ჩვენთვის. შოთა თარხნიშვილი კიდევ ერთი მწარე ხვედრის ქართველია, რომელსაც წელს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო... 2013 წლის 13 თებერვალს, მკვლევარ ციციჩო ჯერვალის ნიგნის „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ წარდგინების შემდეგ, რომელიც უზუცესი ემიგრანტის პეტრე ხვედელიძის<sup>1</sup> პირადი საარქივო მასალებით შეიქმნა, ქ-მა მანანა მაკალობლიშვილმა მითხრა, თქვენი ნიგნი უდიდესი ინტერესით ნავეიკითხე, ბ-ნი პეტრეს მოგონებებში ნახსენები შოთა თარხან-მოურავი, იგივე თარხნიშვილი, ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნდა, აქ გარდაიცვალა, მისი მეუღლე, ქ-ნი ნუნუ, რომელიც დედანქმის თანამშრომელი იყო, ცოცხალია, თბილისში ცხოვრობს, იმედია, დაინტერესდებითო. ცხადია, ვაშინგტონში პეტრე ხვედელიძეს გადაეცემა ეს ინფორმაცია, რომელიც ქ-ნ მანანას არაერთხელ ესაუბრა, შემდეგ კი ხშირად ეკონტაქტებოდა ქ-ნ ნუნუს. კოლორიტულ უბანში მცხოვრები საკმაოდ ასაკოვანი, სიმპათიური ქალბატონი მალე მეც გავიცანი...  
ბატონი პეტრე ხშირად მეტყოდა ხოლმე, მე და შოთა ტყვედყოფილები ვიყავით, საფრანგეთში ბება-ირინე დადიანი<sup>2</sup> გვმფარველობდა ორივეს, სანამ ცოცხალი იყო. შოთა, იმეათი გარეგნობის ქართველი, პარიზის ლამაზ გოგონებს მეტად შეძლებული ოჯახებიდან ძალზე მოსწონდათ. ყოველთვის მიკვირდა დაოჯახებაზე არ ფიქრობდა, არადა, მეუღლესაც არ ახსენებდათ. ახლა ვხვდები, დიდმა სიყვარულმა უცხო ქვეყანაში არ გააჩერა, მაინც დაბრუნდა, ბედნიერი ყოფილა მშობლიურ მიწას მიებარაო...

ქ-ნ ნუნუს არაერთგზის ვსტუმრობო... მინდა, ყველაფერი მოვაცოლო... შოთა თარხნიშვილი 1915 წლის 18 მარტს დაბადებულია ალექსანდრე თარხნიშვილისა და ნუშო ხელაშვილის ოჯახში, დღევანდელი მაყაშვილის ქუჩის 9 ნომერში, სადაც სამი ბავშვი იზრდებოდა. ჯერ თბილისის მე-15 სკოლის შეიღწეული დაამთავრა, 1935 წელს კი —

- 1 პეტრე ხვედელიძე (1918-2014) — II მსოფლიო ომის მონაწილე, ყოფილი ტყვე, ბრანდერბურგის სასწავლო პოლკის მოხალისე, საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის მებრძოლი (1944-1951). 1956 წ. შეუერთდა აშშ-ის ქართულ ემიგრაციას. იყო ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრი, მდივანი. 1967-1985 წწ. რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილების წამყვანი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.
- 2 ირინე (ბება) დადიანი — დიმიტრი ამილახვრის მეუღლე. 1944 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში დასთან ერთად.

ათწლედი. მართალია, სწავლის გაგრძელება სამედიცინოზე უნდოდა, მაგრამ ბედმა კავშირგაბმულობის ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე მოახვედრა, პარალელურად მუშაობდა ორკესტრის ადმინისტრატორად. მალე ჯარში გაიწვიეს, შემდეგ კი, 1935 წელს, თბილისის საარტილერიო სასწავლებელში ჩაირიცხა. ამ პერიოდში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, რომელთანაც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1941 წლის ივნისში იქორწინა. ახალგაზრდა ლეიტენანტი უკრაინაში, ნოვგოროდ-ვოლინსკში გაანაწილეს, სადაც 15 ივნისს გაემგზავრა, თბილისში კი სამი დღის შერთული მეუღლე დატოვა, რომელიც დაბინავების შემდეგ მასთან უნდა ჩასულიყო. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... ორ კვირაში ომიც დაიწყო, განშორება ხანგრძლივ ტკივილად იქცა, ახალგაზრდა ქართველი ომის ქარ-ცეცხლში გაეხვა...



**შოთა თარხნიშვილი** მეუღლესთან - **ნუნუ ჯავახიშვილთან** ერთად. თბილისი, 1941 წ.



**შოთა თარხნიშვილი** ტყვეობის შემდეგ საფრანგეთში, 1944 წ.

ქალბატონი ნუნუ და მე მალე ვემეგობრდებით. ხშირი სატელეფონო საუბრები და სტუმრობები საშუალებას აძლევს დეტალურად გამაცნოს უკან მოტოვებული გრძელი, ტკივილიანი ცხოვრება. ერთ-ერთი ვიზიტისას კი მისაღებ ოთახში ყუთს მახვედრებს, რომელშიც შოთა თარხნიშვილის ჩანანერები და ფოტოები ინახება, ასევე ემიგრაციიდან ჩამოყოლილი ერთადერთი ნივთი – რევაზ გაბაშვილის<sup>3</sup> ნაჩუქარი სამართებლის სალესი.

**3 რევაზ გაბაშვილი – (1882-1969)** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, ეროვნული საბჭოსა და დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ედა-დან. დაკრძალულია ბანიოს სასაფლაოზე, პარიზთან ახლოს.

მთელი ეს განძი სახლში მიმაქვს, უდიდესი განცდითა და ინტერესით ვკითხულობ, მერე ადგილებს ვინიშნავ და მონაცვლეობით ბატონ პეტრეს და ქ-ნ ნუნუს წარსულში ვაბრუნებ, იმ წარსულში, რომელიც გერმანელთა ტყვეობას, ქართული ლეგიონის შექმნას, დე გოლის<sup>4</sup> არმიას, საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონს, ფრანგულ ემიგრაციასა და ამერიკის კონტინენტს მოიცავს.....

\*\*\*

„მრავალი წიგნი დაწერილა და კიდევ მრავალი დაიწერება მეორე მსოფლიო ომის (სამამულო ომის) ისტორიიდან. ყველა ცდილობს მოუყვეს თავის ხალხს, თავის მამულიშვილებს, რაც უნახავს და გადახდენია წიგნის საშუალებით. თუ მოყოლის დიდი ნიჭი არ გაქვს, შეუძლებელია, ყველაფრის ზუსტად აღწერა... და მეც მსურს, ჩემს მამულიშვილებს გავაცნო, ცოტ-ცოტა ჩემი მოგონებები, რათა დე, სხვამაც იცოდეს, რა შეემთხვა ვინმე ქართველს 25 წლის განმავლობაში....

\*\*\*

...დაბნელებას აღარ მოვუცადეთ, უკან ვიხევთ... ზეცა გაივსო ფაშისტების ავიაციით. ეჭვით დაბომბეს ახლომახლო მრავალი ტყე, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ იყო. დიდი ზარალი ნახა ფაშისტების ავიაციამ. ღამე ერთ პატარა სოფელთან გავათენეთ. სასიამოვნო, მყუდრო საღამო იყო, მე ფიქრებმა გამიტაცა, ნუთუ სიკვდილი მიწერია? ფიქრებში ჩამეძინა კიდევ, მეტად უცნაური რამ მესიზმრა: კუკიის სასაფლაოზე ვართ მთელი ოჯახით, შევედით წმინდა ნინოს ეკლესიაში, გვერდზე ჩემი ნინიკო<sup>5</sup> მიდგას, ორივენი ვლოცულობთ, ამ ომში ცოცხალი გადავრჩე. წირვა გათავდა, გარეთ გამოვედით.

ტაძართან მოხუცებულ ქალებს თითო-თითო აბაზი მოწყალეა მივეცი, ერთ-ერთმა მიმითითა წვერებიან მოხუცებულზე, რომელიც მიმკითხავენდა. მივუახლოვდი, ვხედავ მარტო თავია, ტანი არა აქვს... ცოტა შემეშინდა, მან თვალები გაახილა, გამიღიმა... ხუთი ცალი აბაზიანი დაუდო, მან კი მითხრა: „შეილო, ამ ომში მრავალი დაიხოცება, შენ ნუ გეშინია, ოდესმე დაბრუნდები შენს ქვეყანაში, შენს სახლში...“ ამ დროს ფაშისტების ნასროლი ყუმბარის აფეთქებამ გამომაღვიძა...

\*\*\*

ყველა დაბნეულია, ადამიანის გამოხედვა აღარავის აქვს, იმ წუთას მოვხსენი პოზიცია და ხიდის მიმართულებით ნავედი, სოფელი სავსეა დახოცილებით, ცენტრში გდია ქალი ბავშვით ხელში, ყუმბარის ნამსხვრევი მოხვედრია შიგ მუცელში, მთელი ფაშევები გარეთ ყრია, ბავშვი ხელიდან არ გაუშვია, ალბათ ტკივილების დროს თვითონვე დაახრჩო... ამ სურათმა ძლიერ იმოქმედა ჩემზე, კინაღამ თავი მოვიკალი...

ბრძანება იყო პოზიციის დაკავების, ხიდს იქეთ გადავედი და ამ დროს თავში რალაც დამეცა, თვალთ დამიბნელდა, უგრძნობლად დავეცი. სიკოს და დო-

4 შარლ დე გოლი – (1890-1970) ფრანგი სამხედრო და სახ. მოღვაწე, საფრანგეთის პრეზიდენტი (1958-1969).

5 ნინიკო – ნუნუ ჯავახიშვილი-თარხნიშვილისა – ასე მოიხსენიებს ჩანაწერებში მეუღლეს შოთა თარხნიშვილი.

ლიძეს აუფყვანივარ, ერთი სახლის ახლოს, ბაღში მთელი ღამე უგრძობლად ვეგდე. ამ ორმა ბიჭმა თავი არ დამანება, როდესაც გონს მოვედი, ორი ფრიცის სალდათი ფეხებით მცემდა, მერე იარალი ამართვეს, იქვე 200-მდე ტყვე ჰყავდათ და იმ ჯგუფს შეგვეერთეს... სოფლიდან, როგორც ძროხების ჯოგი ისე გაგვრეკეს. ფაშისტებს ჯოხები უჭერიათ და თავში ურტყავენ ყველას ვინც არ მოეწონებათ. მანქანით ბორისპოლის<sup>6</sup> აეროდრომზე მიგვიყვანეს.

ამხანაგო ლეიტენანტო, მოიხსენით ეგ პეტლიცები. სჯობს ერთად ვიყოთ თორემ დავგაშორებენ ერთმანეთს. მეც თხოვნა შევუსრულე, თვითონ სიკომ ამაჭრა პეტლიცები და გავხდი რიგითი ტყვე.

ის ღამე ძლიერი ტკივილებით გავატარე. არც წამალი, არც რაიმე საჭმელი. ვხედავ, სიცხეც მაქვს, ვინ არის შენი პატრონი, გარდა სიკოსი (გვარი არ მახსოვს, მგონი საგურამოდან იყო).

გათენდა. ვხედავ, ტყვეები რიგში დგანან. ვთხოვე სიკოს გვეგო რის რიგია დამდგარი, მალე მობრუნდა.

– ამხანაგო ლეიტენანტო საჭმელზე მიჰყავთ.

– ბიჭო, მე ლეიტენანტი აღარ ვარ, ახლა შოთა მქვიან....

– არა, შენ ჩემთვის შოთა არასოდეს გახდები, მაშინ მოგიკვდეს სიკო თუ ჩემს პირიდან შოთა ამოვა. აქ იყავი, იქნებ რაიმე ვიშოვო საჭმელათ და რიგისკენ გაიქცა.

საათი და ჩექმები გერმანელმა სალდათმა წამართვა. აღარც ქუდი მაქვს, წამოვდექი ვეძებ იქნებ უკეთესი ადგილი ვიპოვო, მაგრამ ჰაეროდრომი როგორც წესი მართულით იყო შეღობილი. ვინც მართულს მიუახლოვდება, იმ წუთას კლამენ, ამიტომ უფრო ცენტრში ვიყავი.

შებინდებისას სიკო ხუთი ქართველი ბიჭით დაბრუნდა. ამ ბიჭებს ჯიბეები უმი კარტოფილით ქონდათ სავსე. ერთმა ამოიღო ერთი კარტოფილი და მომცა, მეც ჩავებიჩე, მაგრამ იმ წუთას გამოვაფუროთხე, სხვები კი გემრიელათ კბეჩავდნენ. ორნი წამოდგნენ, სადღაც წავიდნენ და როცა დაბრუნდნენ მომიტანეს ძველი ფეხსაცმელი — ორივე მარჯვენა ფეხის. რას ვიზამ, ღამე ძლიერ მიცია ფეხებზე, ახლა როგორც იყო რაღაც ძონძები დავიხვიე და ჩავყავი ფეხი შიგ. სამი დღეა რაც აქ, ჰაეროდრომზე ვართ, წყალი მწყურიან, სიცხემ მიმატა, ფეხზე ველარ ვდგები, თითქოს თავიც მისივდება ისე მტკივა. ქართველი ბიჭები სადღაც წავიდნენ, როცა დაბრუნდნენ რაღაც შავი ფაფისმსგავსი მოიტანეს.

– ამხანაგო ლეიტენანტო, აბა ცოტა წამოჯექი, შეჭამე, გემრიელია – მთხოვა სიკომ, მიშველა წამოჯდომა. რეინის ქუდი სადღაც ეშოვნა, ტყვეებს საჭმელს აძლევდნენ. შავი ქატო მოეხარშათ, არც მარილი, არც ცხიმი, ამას ურიგებდნენ. მშერი ტყვეები ძალღებვიით სლაპამდნენ. მეც მოვიყუდე და უხმოთ ვსვამ ბინძურ სუფს თუ ფაფას, არ ვიცი რა დავარქვა იმ ოხერს, მხოლოდ გემრიელათ კი გეახელით, რადგან მეხუთე დღეა არაფერი ჩასულა კუჭში.

\*\*\*

ერთ დღეს, ბორისპოლში მრავალი ახალგაზრდა ესესელები ჩამოიყვანეს, დაახლოებით 200 კაცი იქნებოდა, არცერთი 18-19 წელზე უმფროსი, შემოვიდნენ ჰა-

6 კიევის მთავარი აეროპორტი.

ეროდრომზე, თარჯიმანი ემიგრანტი უნდა ყოფილიყო, რადგან ძლიერ სუფთა გერმანულს ლაპარაკობდა. დაახლოებით 1000 ტყვემდე რიგში დააყენეს. თვითონ ავიდა ავტომანქანაზე და მიკროფონით განაცხადა:

– გერმანელები ძლიერ მორწმუნე ხალხია, ჩვენს კომენდანტს უნდა გაიგოს თქვენს შორის ვინ არის ნამდვილი მორწმუნე, ნამდვილ მორწმუნეს ღმერთი ყოველთვის იფარავს, ვინც ცოცხალი ჩააღწევს იმ შენობამდის, იქ მიიღებს სამოქალაქო ტანსაცმელს, სახარჯო ფულს და დღესვე განთავისუფლებულები იქნებიან ტყვეობიდან.

აბა, სირბილით მარშ! იყვირა იმ მხეცმა... ათასზე მეტმა უბედურმა სირბილით მოუსვა დანიშნულ შენობისაკენ. ახალგაზრდა ესელები მზათ იყვნენ „ბრძოლისათვის“... მალე ორასმა თოფმა იგრიალა, მხოლოდ 15-20 ტყვემ მიაღწია იმ შენობას. იმ წუთას დაურიგეს ბალანდა და აქ ისევ თარჯიმანმა განაცხადა:

– ვის გინდათ სცადოთ თქვენი ბედი, როგორ არ გინდათ თავისუფლება, აი, ისინი ხომ ახლა „ბედნიერები“ არიან.

ტყვეები სურვილით დგებოდნენ გასაქცევ მდგომარეობაში, მაგრამ ძლიერ ცოტამ ისურვა „თავისუფლება“, დაახლოებით 100 კაცი იქნებოდა. გაირბნდნენ 10-15 მეტრს, განვებიან, მოისმენენ სროლის ხმას, მერე წამოხტებიან, ისევ გარბიან... ისე მიიბრინეს იმ შენობამდის არცერთი არ მომკვდარა, სხვა ტყვეებმა ისინი ტაშით დააჯილდოვეს. მთელი დღე ასე გაგრძელდა გადარბენა, იმ შენობასთან 500 ტყვემდინ მოგროვდა, ჩემი თვალით დავინახე აჭამეს ბალანდა, მხოლოდ მისცემენ თუ არა თავისუფლებას ეს კი არ ვიცი.

ის ბედნიერი ტყვეები იქვე ყაზარმაში შერეკეს, განუცხადეს ხვალ მიიღებთ თავისუფლებასო. მეორე დღეს მეც ჩამაყენეს რიგში, 10-15 ქართველი ერთად ვდგევართ. ალბათ ჩვენც მოგვიხდება ტყვეის ნეიმამი გადარბენა. მე ისეთი ფეხსაცმელი მაცვია ტყვია კი არა ბებერი ქალის ნასროლი ქვაც მომხვდება, თან ძლიერ სუსტათ ვარ, ბევრი სისხლი დავკარგე, ამას გარდა 20 დღეა რაც ტყვეთ ვარ და სულ 5-6 ჯერ შევხვრიძე ქატოს ნახარში.

გაგვიყვანეს იქვე მინდორში, მოგვცეს ლაფატკები ხელში და უშველებელი ორმო ამოვთხარეთ. ვისაც ლაფატკა არ ერგო დახოცილებს მოათრევდნენ... გუშინ ისინიც ხომ ცოცხლები იყვნენ...

ერთ მკვდარს ჩექმები ეცვა, გამეხარდა გაცხდი მეთქი. ამოვძვერი ორმოდან, მძიმეთ მივდივარ ჩექმის გასახდელათ... ამ დროს სხვამაც დაინახა, ამოვარდა ორმოდან, დამასწრო... მე ხო ჩხუბს არ დაფუნყებდი, გამოვბრუნდი. არ გავიარე 7-8 ნაბიჯი სროლის ხმა მომესმა, მივიხედე უკან, ის უბედური დეეცა ჩექმებით ხელში.

დახოცილებს დახადეს შინლები, საყურეებიანი ქუდები აგრეთვე ზამთრის ფორმა.

– რათ უნდათ მაგ ოხრებს? იკითხა მისამ.

– სუფთა შალია, ალბათ გადაამუშავებენ და თავიანთ ჯარს ჩააცმევენ ვუპასუხე მე.

დაახლოებით 5000 კაცი დავმარხეთ. ერთი თვეა არც პირი გამიპარსავს, თავიც შეხვეული მაქვს. ვილაცამ დამიძახა „ე სტარიკ“, მოვიხედე გერმანელი სალდათი მეძახის „იდი სუდა“, რას ვიზამ, არ მივალ იმ წუთში გამაგორებს, გადავინერე პირჯვარი და მივედი ახლოს.

– „ნა რუსო“ და ჩექმები გამომინოდა, იმ წუთას გავიხადე ჩემი „კობტა“ ფეხ-საცმელი, ჩერები გადავყარე, იქვე მკვდარს მოვაცილე პარტიანკები, ჩავიცვი, თავი დაბლა დავუკარი სალდათს და გავბრუნდი.

– „რუს, იდი სუდა“ ისევ მეძახის, „სადის სუდა“, ამოილო ჩანთიდან ცოტა პური და ძხვები, მომანოდა, ნახევარი სიკოსთვის უბემი დავმალე, გერმანელმა შემამჩინა... „კუშაი რუს“, მე თავი გავუქნიე „ბრატ, ბრატ“ ვუპასუხე და ხელით ვაჩვენე ორმოსკენ.

– „იდი პრინისი სუდა“.

მეც წამოვხტი, დაუკარი თავი და გავქანდი სიკოსთან. სიკომ იმ წუთას გააქანა პური და ძხვები პირისკენ. ორივეს შეგვეძლო მთელი ძროხა გვეჭამა, ისეთი მშიერები ვიყავით. ამ დროს ამ გერმანელმა კიდევ მოგვცა სხვა ნაჭერი პური და იქვე დავგვსხა, სხვები სიცილით მარხავდნენ დახოცილებს, გუშინდელ ჩვენს მეგობრებს...

– რა აცინებთ ამ ოხრებს? იკითხა სიკომ.

– უკვე გრძნობა აქვთ დაკარგული, ნახევრად მხეცები ხდებიან ასეთი ცხოვრებით, გავა ცოტა ხანი და ერთიმეორეს ჭამას დაუნწყებთ, ასეა ცხოვრების წესდება. დამარხვა როცა დავამთავრეთ სალდათმა შემოუარა გარშემო, როცა დარწმუნდა სისუფთავეში, მარშის ბრძანება გასცა, მერე ყველას გვაჭამეს ბალანდა და ისევ ჰაეროდრომზე გავგრეკეს.

1941 წლის 23 სექტემბერს ჩავვარდი ტყვეთ, დღეს 9 ოქტომბერია, ჯერ ძღომაზე წყალი არ დამილევია...

25 ოქტომბერს კი ფეხით გავგრეკეს დარნიცაში.<sup>7</sup>...

\*\*\*

...ლაგერში ხმები დადის ადამიანებს ჭამენო, ჩვენ, ქართველებს რა თქმა უნდა არ გეჯეროდა, სამწუხაროდ მართალი გამოდგა. როცა ბანაკში ჩასუქებული ბიჭები მორეკეს, მიხინარები დახოცეს და შეწვეს. მალე გერმანელებმა ეს ამბავი გაიგეს. 8 იანვარი იყო, ვილაც ჩინით დიდი მოვიდა ჩვენს ბანაკში, ბრძანება გაიცა მოვწყობილიყავით და ყოველი მერვე რიგიდან გამოსულიყო. გერმანელებს საგუშაგო კოშკები ჰქონდათ, სადაც ხელის ტყვიამფრქვევები ჰქონდათ დადგმული. უფროსმა ხელი ასწია და კოშკებიდან ჯვარედინი ცეცხლი გაიხსნა, ერთ წუთში ყველამ სიცოცხლე დაკარგა, რამდენიმე დაჭრილი კი პისტოლეტით გამოასალმეს სიცოცხლეს. გერმანელი გენერალი მანქანაში ჩაჯდა და გამოგვიცხადა, ეს მაგალითი ერთ კვირას გეყოფათ, ასეთ ამბავს გავიგებ, კიდევ დაიხვრიტებითო.

\*\*\*

1942 წლის იანვრის ბოლოს ჩვენს ბარაკებში ტიფი გაჩნდა. დარწმუნებული ვარ საჭმელში გაურიეს რალაც სანამლავი, რადგან ჩვენი ჯგუფიდან არც ერთი ქართველი ავად არ გახდა, ეტყობა, იმ დღეს ბალანდა ჩვენ არ გვერგო... გერმანიიდან ჩამოვიდნენ სპეციალისტები, ტყვეებს შორის მოძებნეს ექიმები და ფერმლები. ერთ ქართველს, რომელსაც კაკო ერქვა, მისცეს უფროსობა. მოიტანეს ქალაღები გვარებისა და ეროვნებების აღსანიშნავად. დავგინყეს

7 დარნიცა – ადგილი კიევში, დნეპრის მარცხენა სანაპიროზე.



ზურგში ნემსების კეთება. ჩვენს ბარაკებს რკინის დამცველები ხომ ჰქონდა, ფიცრებიც მიაკრეს, რათა სიბნელესა და უჰაერობაში ვყოფილიყავით, დაკეტეს გარედან და დალუქეს. მეექვსე დღეს, დილის 10 საათისათვის გაგვიღეს კარები, პირველად ქართველები გავედით, ძლიერ გვესიამოვნა ჟანგბადი, პირდაპირ წყალთან მივედით, არ ვიცი, რამდენი ვსვით... გერმანელები შეცვივდნენ ტყვეების გამოსარეკათ, მაგრამ ვის გამოიყვანდნენ? მათ სული დაეღლიათ... მოკლედ ბანაკში მყოფი 100 000 კაციდან ორ თვეში ცოცხალი 1600 კაციღა დავრჩით... ისევ ნემსების კეთება გააგრძელეს...

\*\*\*

თავბრუ მეხვევა, უნდა გავუძლო... დახოცილები ერთმანეთზე დავალაგეთ, ზედ ჩამოვსხედით, დავინწყეთ ანეგლოტების მოყოლა, მალე რუსებიც შემოგვიერთდნენ... სამი დღის შემდეგ ისევ გაგვიღეს კარები, ისევ წყლის სმა, სიცილი, ხუმრობები, გერმანელები გაშტერებულები გვიყურებდნენ... ბარაკებიდან 100 — 120 სული თავისი ფეხით გამოვედით, 80 სულამდის შველით გამოვიყვანეთ. ვინც მაგრა ვიყავით წაგვიყვანეს აბანოში, დეზინფექციაში გაგვატარეს, მოგვცეს ტილების საწინააღმდეგო წამალი, ახალი ტანსაცმელი და სხვა ყაზარმაში გადაგიყვანეს. საბოლოოდ 25 თებერვლისათვის 20 კაციღა ვიყავით ცოცხალი, 11 ქართველი, ორი აზერბაიჯანელი, ერთი სომეხი, სამი ჩრდილოეთის და სამი ც კაზაკი.

1 მარტს ჩაგვსხეს საბარგო მანქანებში, შორიდან შევხედე ჩვენს ბანაკს, უამრავი ტყვე მოეყვანათ, რომლებიც ალბათ ჩვენს ბედს გაიზიარებდნენ. 5 მარტს, ქალაქ ვენის მახლობლად ბადენში ჩაგვიყვანეს, ერთ გოსპიტალში დაგვაყენეს ნყობილებში, ყველა ჩვენ გვიყურებს, რადგან აინტერესებთ, ვის და როგორ ხალხს ეომებიან. მალე ვიგებთ, რომ ჩვენზე ცდები ჩაუტარებიათ და გადარჩენილებს ოჯახებში დავაბრუნებთ, როცა თქვენს სამშობლოს ბოლშევიკებისგან გავანთავისუფლებთო. მოკლედ, ორფეხა საცდელი კურდღლები ვიყავით...

მაისში გამოგვიშვეს სარდაფიდან. გვითხრეს, თავისუფლები ხართ, ვის გსურთ, შოფრად მუშაობაო, ყველამ ხელი ავიწიეთ. გვითხრეს, რომ ერთ თვეს ინსპექტორებს მოგვამაგრებდნენ, რათა მანქანის მართვა გვესწავლა, შემდეგ კი ჯამაგირს დაგვინიშნავდნენ. გამოცდები ავსტრიაში ჩავაბრეთ. მე მანქანაზე დამსვეს, სადილებს ვანანილებდი ქარხნებში მომუშავე ტყვეთა ბანაკებში.

\*\*\*

დილის 8 საათზე ჩავედით ბერლინში. კავკასიის კომიტეტთან ახლოს ერთ კაფეში შევედი, მალე ქართველებიც შემოვიდნენ, მათ შორის ჩემი გადამრჩენი ალექსანდრე პეტრიაშვილი<sup>8</sup> და ჟორა ცქიტიშვილი, ჩავკოცნეთ ერთმანეთი, მემრე მოვუყვიე ჩემი თავგადასავალი, ბერლინში ჩამოსვლის მიზეზი... ალიომამ თავისი ლექსი წამიკითხა, ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით ასეთი შინაარსის „ქართველო, ქართველს ნუ მოკლავ, ისიც ამ მთების შვილია...“ მალე ჩემმა ლატიშმა

8 ალექსანდრე პეტრიაშვილი — ემიგრანტი, გარდაიცვალა 1964 წელს, დაკრძალულია საფრანგეთში, კარკასონის სასაფლაოზე.

(ლატივიელმა უფროსმა — ს.ჯ.) ქართველების კომიტეტში გივი გაბლიანთან<sup>9</sup> წარმადგინა...

გივი გაბლიანმა სკამი და სიგარეტი შემომთავაზა. გავიგე სომეხი ყოფილხართ, მაგრამ ტყუილია, რატომ დაგჭირდათ ამის თქმა? მე დავიბენი, არ ვიცი რა ვუპასუხო, ისევე გივიმ განაგძო, ვიცი, გძულთ გერმანელები, რადგან ლაგერში ხართ. აბა გაიცანი, როგორ შეგიყვარდება ეს ხალხი. ამიტომ აქ, ბერლინში, ერთი კვირა დარჩებით ჩვენი ნათესავის ბინაში, შემდეგ ვილაპარაკოთ. ამ ხანში გაიცნობთ საქართველოს მომავალ პრეზიდენტს, მიშა კედიას,<sup>10</sup> მის მოადგილეს მეტეხიდან მაღალაშვილს<sup>11</sup>, რომელიც მამათქვენს კარგად იცნობსო. ბოლოს გასცა ბრძანება, ლილი ბრანდის<sup>12</sup> ბინაში დაეებინავენბენი....

\*\*\*

წამოვწყექი, ჩამეძინა. ღამე იყო, როცა ლილიმ გამაღვიძა, სტუმრები მოვიდნენო. მე პირი დავიბანე, ჩავიცვი ჩემი მოკლესახელოებიანი ფინჯაკი და გავედისასტუმრო ოთახში, მივესალმე ყველას... რეზო გაბაშვილი შევნიშნე, ცრემლები ჰქონდა თვალებში, გადამხეხია, სულ მამას გეგხარო მეუბნებოდა, უშაღვად ტიროდა... გამაცნეს გიორგი მაღალაშვილი და მიტო ანანიაშვილი<sup>13</sup>... გიორგი მეუბნება, რომ მამაჩემს კარგად იცნობდა, რომ ბევრჯერ უქეთფიათ ერთად, ბოლოს კი დაამატა, თუ გერმანელთა ჯარში არ გინდა, ჩემთან წაგიყვან, დიდი მამულები მაქვს, 12 ქართველს ვინახავ ოჯახშიო... მე ჩემი საბუთები ვაჩვენე, ძლიერ კარგი საბუთები მოუციათო... თუ გერმანელთა ჯარში არ გინდა, არა უშავს, იმედია, ისინი ბოლშევიკებს უშენოდაც დაამარცხებენო.

\*\*\*

ლილიმ გემრიელი ვახშამი მოამზადა. რეზომ ბევრი გვაცინა თავისი ანდაზებითა და საოხუნჯო სიტყვებით. რევაზ გაბაშვილი მაშინ მუშაობდა ტყვეების მომარაგებაზე. მეორე დღეს წამიყვანა სანყოფში, ბევრი ღამაზი საჩუქარი

9 **გივი გაბლიანი (1915-2001)** – ექიმი, II მსოფლიო ომის ტყვე, შემდეგ „ქართული სამოკავშირეო შტაბის“ სამხედრო გან-ის ხელმძღვანელი. გერმანული სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო ობერლეიტენანტის წოდება. ქართველი ტყვეები გამოჰყავდა და ქართულ სამხედრო ნაწილებში აწვევრიანებდა. ომის დამთავრების შემდეგ შეუერთდა აშშ-ის ქართულ ემიგრაციას.

10 **მიხეილ (მიშა) კედია (1901-1954)** – მექი კედიას ვაჟი. ედუ-ისა და „თეთრი გიორგის“ წევრი. II მსოფლიო ომის დროს „ქართული სამოკავშირეო შტაბის“ ხელმძღვანელი, დეპორტაციისაგან იხსნა ქართველი მაჰმადიანები, ომის დროს გადაარჩინა მრავალი ებრაელი.

11 **გიორგი (კოგი) მაღალაშვილი (1904-1969)** – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. ცხოვრობდა ბავარიის, ექიმობის პარალელურად ეწეოდა ლიტერატურულ და პოლიტიკურ საქმიანობას. იყო „თეთრი გიორგის“ და „ქართული ეროვნული კომიტეტის“ წევრი. რედაქტორ-გამომცემელი ჟურნალისა „ქართველი ერო“, გაზეთისა „საქართველო“. II მსოფლიო ომის დროს „კავკასიური კომიტეტის“ წევრი.

12 **ლილი ბრანდი (ზუსტი სახელი და გვარი დასადგენია)** – შოთა თარხნიშვილის ჩანაწერების მიხედვით ქართველი ემიგრანტი ქალი, ლაპარაკობდა იმერული აქცენტით, ცხოვრობდა გერმანიაში, აქტიურად ურთიერთობდა ქართველ ტყვეებთან და „ქართულ სამოკავშირეო შტაბთან“, მასთან ბინაში ხშირად ჩერდებოდნენ გერმანიაში ჩასული ქართველები.

13 **დიმიტრი (მიტო) ანანიაშვილი (1892-1968)** – სამხედრო პირი, მაიორი 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში სტამბოლში, შემდეგ შეუერთდა ქართ. ემიგრაციას ევროპაში. 1933 წ. აირჩიეს პარიზში დარსებულ „ქართველ მხედართა“ საზოგადოების გამგეობის წევრად. II მსოფლიო ომის შემდეგ შეუერთდა არგენტინის ქართულ ემიგრაციას. იყო არგენტინის ქართველთა სათვისტომოს წევრი. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

მომცა, მათ შორის სამართებელი სალესით და კრემით. სამართებელი, სამწუხაროდ, გამიტყდა, მხოლოდ სალესი მაქვს დღემდის. ერთი კვირა სწრაფად გავიდა, გაბლიანმა ისევ დამიბარა შტაბში...

\*\*\*

ობერვალტერდორფში<sup>14</sup> (ობერვალტერსდორფი – ს.ჯ.) ყოფილი ტყვეებისაგან ჩამოაყალიბეს ბრანდერბურგის ქართული პოლკი. მეორე დღეს მანქანა გავავსე სანოვაგით, ვესტუმრე ქართველ მოხალისეებს. ბევრი თანამემამულე ვნახე, ვისაუბრეთ... ეს ბატალიონი დღე და ღამე ამეცადინეს, სულ ერთ თვეში მიაღებინეს ფიცი. რამდენიმე ასეულად დაანანილეს. მეექვსე ასეული მთელი ზამთარი იყო ყირიმის ფრონტზე.

\*\*\*

ძლიერ მძიმედ მივდივართ, გერმანელები არ ჩქარობენ და ჩვენ ხომ სრულებით არ გვაქვს საჩქარო. ოქტომბერში ჩავედით პიატიგორსკში, გადმოვტვირთეთ მანქანები. ჩემს ბედზე სერგო, გოგია, ალექსანდრე და მე ისევ მომარაგებაზე მოვხვდით... ჩვენები ორჯონიკიძის მიმართულებით გადაისროლეს, სამთო დივიზია ტანკებით გაძლიერებული ემზადება შეტევისათვის. პირველ ნოემბერს გაარღვიეს წითლების თავდაცვა, ძლიერ სწრაფად წავიდნენ წინ ორჯონიკიძისაკენ. ბრძანება მივიღეთ უფროსისაგან, წავსულიყავით ვანოსთან სანყობში და 12 მანქანა სურსათი წამოგვეღო. ვანომ ჩვენი ნახვით ძლიერ გაიხარა, გაგავფრთხილა ჩვენ არ გვეჭამა, რადგან პროდუქტი მონამლული იყო, ჩვენ სხვა ძხვები მოგვცა... ჩამოვედით ელხოტოვოში,<sup>15</sup> დავარიგეთ პროდუქტი, ჩვენები გავფრთხილეთ, გერმანელებმა კი გემრიელად ახრამუნეს ყველაფერი...

დილას სურგომ გამაღვიძა. ჩავედი მდინარესთან, დაევიღე გულ-მკერდი ჩვენი ქართული წყლით, რომელიც მამისონის უღელტეხილიდან მოდის, ამოვედი სახლში, გესტაპო დამხვდა, მონამლული ძხვების საქმეს იძიებდნენ... მოკლედ ჩვენ გადავრჩით, ნახევარზე მეტმა ფრიცმა ფეხები გაფშკა. დიდი ძალა დაკარგეს გერმანელებმა, იძულებულები იყვნენ უკან დაეხიათ, ვინც ცოცხალი გადაჩრა, შოსპიტალში მოათავსეს. ასე მოსპო ვანომ თავისი ძხვით ედელვაისის საუკეთესო დივიზია, თვითონ კი იმ ღამესვე გადავიდა წითლების მხარეს. საწყალი, ნოემბრის თვეში შპიონაჟის ბრალდებით ჩამოხრჩობილი გვაჩვენეს სოფლის მცხოვრებლებმა, საბჭოელებს ჩამოეხრჩოთ.

\*\*\*

23 აგვისტოს საღამოთი დე გოლი ჩამოვიდა. ორლენის გზა უკვე ფრანგებს აქვთ დაკავებული, ლიონი – მარსელის გზაც მათია, გერმანელები ძალიან მძიმედ იხვევენ უკან... 25 აგვისტოს პარიზში შევედით, პირველი ემელონი ფრანგებისა შევიდა, არავითარი ბრძოლები. ჩვენს დივიზიას გენერალი ლეკლერი<sup>16</sup> (ლეკლერი

14 **ობერვალტერსდორფი** – კომუნა ავსტრიაში, ბადენის ოლქში.

15 **ელხოტოვი** – სოფელი ჩრდილოეთ კავკასიაში.

16 **ლეკლერი (Leclerc) ფილიპ მარი**. ნამდვილი გვარი დეოტკლოტი (1902-1947) – საფრანგეთის მარშალი. II მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის კამერუნის გუბერნატორი. თავისუფალი საფრანგეთის ჯარების სარდალი საფრ. ეკვატორულ აფრიკაში. მონაწილეობდა ნორმანდიის ოპერაციაში (1944წ.), საფრანგეთის განთავისუფლებაში. 1944 წლის 24 აგვისტოს მისი დივიზია პირველი შევიდა პარიზში. 1945 წ. საფრ-ის ჯარების მთავარსარდალი შორეულ აღმოსავლეთში.

– ს.ჯ.) მეთაურობდა. ალუმის მოლოდინში შანზელიზე შეეჩრდით... ფრანგები თითქმის ყველა ტანკსა თუ საბრძოლო მანქანაზე ქალის ან შვილის სახელს აწერენ... მიშას ტანკს აწერია ჟერმენი, ვახტანგისას – ინესი, ჩემსას – ბაზორკა.<sup>17</sup> უკვე ერთი თვეა, ამ ტანკით ვიბრძვი, არასოდეს მიკითხავს რას ნიშნავს, არც ჩხენკელს<sup>18</sup> აუხსნია. ერთხელ მითხრა, პარიზში გაიგებ ამ სახელის მნიშვნელობასო...



**შოთა თარხნიშვილი**, პირველი დღე ფრანგული ჯარის ფორმაში, 1944 წ.



**შოთა თარხნიშვილი**. პარიზი, 1947 წ.

ტანკებიდან ბიჭებმა ამოყვეს თავი. ცხოვრებაში არაფერია ისეთი სასიამოვნო, როგორც ბრძოლის მერე ერთი ცალი სიგარეტის მოწვევა, გავაბოლე...

ამ დროს ერთი ქართველი გამეცნო, ზურაბიშვილი<sup>19</sup> ვარო, ჩემი ტანკის ქვეშეიდან კი ორი ქალი და ორი ბავშვი გამოძვრა. ზურაბიშვილმა ქალებს ჩემი თავი წარუდგინა, მე კი მითხრა, შენი ნათესავეები არიან, დედით თარხნიშვილები. უცებ, ბავშვმა უყვირა დედას (REGARDE) შეხედეო და წარწერა ბაზორკაზე მიუთითა. ქალმა გულში ჩამიკრა, ხმამაღლა ატირდა, ბავშვებიც მეხვევიან,

17 **ბაზორკა** – დიმიტრი ამილახვარის (1906-1942) მეტსახელი, რადგან დაბადებული იყო სოფ. ბაზორკინოში. საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის პოლკოვნიკი.

18 **ალექსი ჩხენკელი** – აკაკი ჩხენკელის ვაჟი.

19 **ლევან ზურაბიშვილი (1906-1975)** – პარიზის ქართ. სათვისტომოს თავმჯდომარე წმ. ნინოს ქართ. მართმადიდებლური სამრევლოსა და ეკლესიის დამაარსებელი პარიზში. „თავისუფალ ქართველთა“ დამფუძნებელი და მუდმივი თავმჯდომარე. გამოსცემდა სათვისტომოს ორგანოს „ცნობის ფურცელს“, ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნას“.

ვერ ვხვდები, რა ხდება... ამ დროს გენერალი ლეკლერი და კენინგიც<sup>20</sup> (კენიგი – ს.ჯ.) მოვიდნენ, ირივ ხელზე კოცნიან ქალს. მე და ზურაბიშვილი მარტო ვრჩებით და ისიც დიმიტრი ამილახვრის ამბავს მიყვება. ბება (ირინე დადიანი) ჩემს გენერალს ჩემთვის შევებულებას სთხოვს, თავისთან მეპატიჟება... მე ოთარი<sup>21</sup> და თამარი<sup>22</sup> ტანკზე ავსვი... მალე დე გოლიც გამოჩნდა, გენერალმა კენინგმა ბება და ბავშვები წარუდგინა, მან ბავშვებს აკოცა, თვალეზე ცრემლი მომადგა, თამარიკომ კი თავისი ცხვირსახოცით გამიმშრალა... ამილახვრის ოჯახი სახლში მანქანით მივიყვანე.

იმ დღეს ბევრი საჩუქარი მივიღე სურსათისა და ფულის სახით ფრანგები-საგან. მისამ და მძღოლმა მიშველეს ყუთების ატანა ბებას სახლამდე... ბებამ თავისი დები ეკა და რუსუდანი გამაცნო...

ის ღამე ტირილით გავათენე. ეხ, ჩემო დეე-მამავ, ჩემო მაკრინე, ჩემო კუ-კუნ, ტყვედ რომ არ ჩავვარდნილიყავი, შეიძლება მეც პოლკოვნიკი ვყოფილიყავი, თანაც ორი-სამი შვილის მამა... დღეს კი აღარც სამშობლო, არც ოჯახი... ათასი ფიქრები ამერია თავში, ამოვიღე პისტოლეტი თავი უნდა მოვიკლა... ვილაცამ დამიძახა, პისტოლეტი დავდე...

\*\*\*

ბებას თხოვნით, ბაზორკას თანაშემწემ, პოლკოვნიკმა, რომელიც მის ადგილზე დაინიშნა, ჩამრიცხა უცხოელთა ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადაში და ორი დღის შემდეგ ლეგიონში საკუთარი მანქანით წამიყვანა. ჩემს ბატარეაში 80-მდე სხვადასხვა ეროვნების ყოფილი ტყვეები არიან მოხალისეებად ჩანერილები. ფრანგები და ამერიკელები ერთად იბრძვიან. არ მომწონს არც ერთი... სადაც ძნელი და სახიფათოა, ჩვენს ლეგიონს უშვებენ. ფრანგები უფრო ჭკვიანურად მოქმედებენ, ვიდრე ამერიკელები. უცხოელთა ლეგიონს აფრიკული ქუდები დაახურეს, გერმანელებს ძლიერ აშინებდათ ეს ქუდები, რადგან უცხოელთა ლეგიონს ტრადიციულად ავსებდნენ სხვადასხვა ეროვნების ბანდიტები, რომლებიც პოლიციას ემალებოდნენ და თუ ისინი ლეგიონერები ხდებოდნენ, მათი დაპატიმრება კანონით უკვე შეუძლებელი ხდებოდა, ამიტომ ისინი ძალზე გამბედავი და თავზეხელაღებული მებრძოლები იყვნენ... მალე სტრასბურგი დავიჭირეთ. ვინაიდან მე გერმანული ვიცოდი, საგუშაგოების უფროსად დამაყენეს.

\*\*\*

25 დეკემბერს მთელმა ლეგიონმა მგლოვიარობის ნიშნად შავი საყელოები ჩამოიკიდა. პოლკოვნიკ ამილახვრის მეუღლე ბავშვებიანად დაპატიჟებული იყო სამობაოდ ლეგიონერებთან ორლენში. ვილიამის ავტო იყო დიდი, წინ მძღოლი იჯდა, გვერდით ბება, ოთარი, უკან თამარი, ბებას უფროსი და ელი-სო, რომელიც ინგლისელზე იყო გათხოვილი და ალექსანდრიაში ცხოვრობდა.

20 **მარი-პიერი კენიგი (Koenig Marie-Pierre) (1898-1970)** – I და II მსოფლიო ომების მონაწილე, საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი, მარშალი.

21 **ოთარ ამილახვარი (1931-2000)** – დიმიტრი ამილახვარის ვაჟი, მსახურობდა ალჟირში. საფრანგეთის ფინანსთა სამონისტროს ყოფილი მაღაჩინოსანი.

22 **თამარ ამილახვარი, გრაფინია კინსკი** – დიმიტრი ამილახვრის ქალიშვილი, საფრანგეთის ყოფილი ელჩი ატომური უსაფრთხოების სფეროში.

მანქანა ძლიერ სწრაფად მიდიოდა, წინა საბურავი გასკდა, მიმართულება დაკარგა და ხეს დაეჯახა. ამ დარტყმამ მოგლიჯა მგზავრების საჯდომი... ელისომ იმ წუთას გაათავა სიცოცხლე, ბებამ ორი დღე იცოცხლა ჰოსპიტალში და ისიც გარდაიცვალა, მხოლოდ ბავშვები გადარჩნენ. ორივე დასაფლავეს სამხედრო წესით. დე გოლი და სხვა გენერლებიც იყვნენ გასვენების დროს რუსების სობოროში (ტაძარში — ს.ჯ.). პოლკოვნიკი მტოვებდა პარიზში, მაგრამ მე არ მოვიხდომე, არ მიყვარს მგლოვიარე ხალხის ყურება...

გზაში ფიქრისათვის ბევრი დრო მქონდა, ამიტომ გადავწყვიტე, რაც შეიძლება მალე განვთავისუფლებულიყავი ამ ტანჯული სიცოცხლისაგან...“

\*\*\*

ნადირობის შემდეგ ორშაბათს, 8 საათზე ავამუშავეთ მანქანები და პარიზი-საკენ ავიღეთ გეზი. ქალაქში შესვლის წინ გავაჩერეთ, შევისვენეთ, გადაწყდა 6-ში ხუნდაძესთან<sup>23</sup> უნდა ვიქეიფოთ. პარიზში ცხოვრობდა ხანში გადასული მარუსა გოგობერიძე<sup>24</sup> (ლოლობერიძე — ს.ჯ.), ხუნდაძეს მოუწვევია ქართული საქმელებისათვის. ფაშა<sup>25</sup> სულ ხელებში უყურებს რათა ისწავლოს.

დე გოლს ომის კრიმინალების სასამართლოზე ფაშასი ძალიან ეშინოდა, ამიტომ ბრალმძებლათ დანიშნა. ფაშამ მაინც გადაარჩინა მარშალი პატენი<sup>26</sup> (პეტენი — ს.ჯ.) დახვრეტიისაგან, მართალია მუდმივი ციხე მისცა დე გოლმა, რადგან სასამართლომ დახვრეტა გამოუტანა განაჩენში. ფაშამ ნამდვილი საბუთები წარუდგინა დე გოლს, რომ სამხედრო ფლოტის ჩაძირვის დროს სანჯავი არ ქონდათ, მთელი არ ჩაუგდო გერმანელებს, ფაშამ გაილაშქრა საგარეო მინისტრის წინააღმდეგ, ის საზიზღარი სულ პეტენს აბრალებდა. ფაშას გამოსვლების დროს დამსწრეები ტაშს უკრავდნენ, რადგან ლავალს<sup>27</sup> ამტყუებდა...

23 **მიხეილ (მიშა) ხუნდაძე (1898-1983)** – 1924 წლიდან პარიზის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, მუშაობდა სიტროენის ქარხანაში. აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, იბეჭდებოდა ემიგრანტულ სოც-დემოკრატიულ პრესაში. მისი წიგნი „1917 წლის თებერვლის რევოლუცია“ 1988 წელს პარიზში გამოიცა ფრანგულ ენაზე.

24 **მარიამ (მარუსა) ლოლობერიძე (1898-1978)** – ქართველი ემიგრანტი. საფრანგეთში ქართველთა სათვისტომოს აქტიური წევრი, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი. II მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ ქართველთა მოაზავე და მფარველი. დაკრძალულია ლევილიში.

25 **ფაშა** (სახელი და გვარი არ არის მითითებული მოგონებებში) – პარიზის ცნობილი ადვოკატი, ფრანგი ქალი, რომელსაც ქართველები აღმოსავლური სილამაზის გამო „ფაშას“ ეძახდნენ. მონაწილეობდა გახმაურებულ სასამართლო პროცესებში, დაკავებული იყო ქართველთა საქმეებითაც. იყო შეყვარებული ბ-ნ შოთა თარხნიშვილზე.

26 **ფილიპ პეტენი (Pétain Philippe) (1856-1951)** – დიპლომატი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მარშალი. I მსოფლიო ომის მონაწილე გენერალი. 1920-31 წწ-ში ეკავა უმაღლესი თანამდებობები. 1934 წ. საფრანგეთის სამხედრო მინისტრი. 1939-40 წწ-ში საფრანგეთის ელჩი ფრანკისტულ ესპანეთში. 1940 წ. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი. 1940-44 წწ-ში ვიშის ფაშისტური რეჟიმის მეთაური. 1945 წ. უმაღლესმა სასამართლომ სიკვდილი მოუსაჯა, რაც შეუცვალეს სამუდამო პატიმრობით.

27 **პიერ ლავალი (Pierre Laval; 1883-1945)** – საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე. ადვოკატი, პარლამენტის დეპუტატი, პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი. 1940 წლის 12 ივლისიდან 13 დეკემბრამდე იყო საფრანგეთის მთავრობის მეთაურის მოადგილე, ხელს უწყობდა ჰიტლერელებს. 1942 წლის აპრილიდან 1944 წლის აგვისტომდე ვიშის კოლაბორაციონალისტური მთავრობის პრემიერ-მინისტრი. დააპატიმრეს ავსტრიაში, ოკუპაციის ამერიკულ ზონაში, და 1945 წელს გადასცეს საფრანგეთის ხელისუფლებას. სასამართლოს გადაწყვეტილებით ლავალი, როგორც მოალაბტე დახვრეტეს.

\*\*\*

ერთ დღეს, ალიომა პატრიაშვილი<sup>28</sup> შემხვდა, ხვალ ვანთავისუფლებ ოთახს ვანსენის ტყესთან ახლო მაქვსო. მე მომეწონა ეს აზრი, გადავედი ალიომას ოთახში, თვეში 1000 ფრანკს ვიხდი. ფრანგულ ენაში იმ ლოთ ნადეჟდა ტრუბეცკაიასთან დავდიოდი, მათემატიკაში მორისმა რუსი დამიქირავა. მე მოვინდომე ფრანგი, რადგან რუსი, რუსულად ამიხსნიდა...

შაბათი იყო, ელენეს<sup>29</sup> რესტორანში მივედი, სავსე იყო ქართველებით. სადილის შემდეგ ე. ნ. „ალიანს ფრანსეს“ კლუბში გაერთიანებული კრება მოაწყვეს, მეც გავყევი ემიგრანტებს. დღეს უნდა ამოირჩიონ ქართული კოლონიის თავმჯდომარე, აგრეთვე საქართველოს მომავალი პრეზიდენტი. სამი პარტია იბრძვის ამისათვის: თეთრ გიორგელები და ორი ოფიციალური პარტია, ეროვნულ-დემოკრატიები და სოციალ-დემოკრატიები. სოციალისტების კანდიდატურების წამოყენებაზე ატყდა დიდი დავა, გინებაც გაისმა დარბაზში, სადაც ბევრი მანდილოსანი იყო. ვერ მოვითმინე, გავედი სიტყვაში „ბატონებო, სტალინმა ერთხელ გამოაცხადა ემიგრანტები სულელ, გადაგვარებულ, ხვასმოკიდებულებად, მართალი ყოფილა ის დალოცვილი... ამ სიტყვაზე გასკდა ბომბი, დედაც კი შემაგინა ვილაცამ... აქ, პარიზში, დედას მაგინებ, აბა, რა გინოლოთ... გერმანიაზე ძლიერი არმია მსოფლიოში არ იყო, სტალინმა კი დაამარცხა... ატყდა ისევ ალიაქოთი, მე ტრიბუნაზე ვდგევარ, არ ვიძვრი, ვინც ვაჟკაცია მომიახლოვდეს.

– შენ, დაჭრილი კამბეჩივით რო ბლავიხარ, შენი სულელური აჯანყებით რამდენი ქართველი იმსჯელებ და თითი გეგეჭკორისაკენ<sup>30</sup> ვამოშვირე... ისევ გინება... აქ, პარიზში თქვენ მიწებს ინანილებდით ქართული სიმდიდრით შექმნილს, აბა ვის მიეცით არა სოციალისტს, ისევ მენშევიკების ყვირილი... დაბლა ჩამოვედი, მეტი წილი ზიზლით მიცქერის, ვილაცას დაფუბულებივარ, კარებში პოლიციელები შემხვდნენ... იქვე ვიკტორ ხომერიკის<sup>31</sup> პირველი ნომერი მტერი იდგა, სვიმონი ქვიან, გვარი არ მახსოვს, მომიკიდა ხელი, განზე გამიყვანა, ფრთხილად

28 **ალექსანდრე (ალიომა) პეტრიაშვილი (გ. 1964)** – სავარაუდოდ, ყოფილი ტყვე. დაკრძალულია კარკასონის სასაფლაოზე, საფრანგეთში.

29 **ელენე ფერაძე** – სიღამაზით ცნობილი ქ-ნი. პარიზში, სეგიეს ქ-ზე ჰქონდა ქართული რესტორანი. მისი ნამღერი მეგრული „პატარაძალი“ ყველას აოცებდა და ხელს უწყობდა რესტორნის წარმატებას. ფერაძე უნდა იყოს მისი არაოფიციალური ქმრის გვარი, რომელიც ოკუპაციის პერიოდში ვაჭრობდა შავ ბაზარზე და დიდი მოგებაც ჰქონდა, ომის შემდეგ კი გაქრა. ჟაკლინ (ვენერა) ხაბულაიანის მიხედვით, ელენეს მიუტოვებია სამშობლო და ქმარ-შვილი, 60-იან წლებში კი შვილები დაუპატიჟია პარიზში. ომის შემდეგ დასახლდა ლევილი და „შატოს“ მოპირდაპირე მხარეს გახსნა ქართული რესტორანი, სასტუმრო და საკვირაო თეატრი. ელენეს კომპანიონი სიცოცხლის ბოლომდე იყო მიმა ცაგარელი.

30 **ვვკენი გეგეჭკორი (1882-1954)** – სოციალ-დემოკრატი, დამოუკიდებელი საქ. საგარეო საქმეთა მინისტრი, დიპლომატი.

31 **ვიქტორ ნოეს ძე ხომერიკი (1910-1994)** – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. 1921 წელს, 11 წლის ასაკში გაჰყვა ქართულ ემიგრაციას. 1924 წელს დაუხვრიტეს მამა ნოე ხომერიკი, რომელიც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მინათმოქმედების მინისტრი იყო. დაამთავრა საერთაშორისო ეკონომიკური უნივერსიტეტი პარიზში. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში იყო ჯენერალ მოტორის წარმომადგენელი საფრანგეთში. იყო მსოფლიო ემიგრანტთა მთავარი კომიტეტის გამგეობის წევრი, პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაზე ერთ-ერთი მზრუნველი. იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის დროს, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიხსნა ქართველი ტყვეები გესტაპოს მიკონცენტრაციო ბანაკიდან, რისთვისაც სამჯერ მოხვდა დასახვერტთა სიაში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

იყავიო, რენოს მაშინა ყავდა ჩამსვა და სადღაც წამიყვანა. ამ ხანებში ოთხი ძმა დონდუები<sup>32</sup> სახელგანთქმული ფეხბურთელები იყო, ორი ძმა უმფროსები პირველ გუნდში რესინგ კლუბში თამაშობდნენ, უფროსს მგონი ლეო ერქვა, მშვენიერი, პატარა რესტორანი ქონდა, კარგი საჭმელი გაგვიკეთა, აქაც ბევრი ქართველი მოდის, სვიმონმა გამაფრთხილა ნუ გადაიკიდებ ამ ფაშისტებსო.

\*\*\*

– შოთა, შენი თავიდან მოშორება უნდათ, ფრთხილად იყავი, 1928 წელს ქართველი მოკლეს პარიზში,<sup>33</sup> რადგან კომუნისტობა დააბრალეს, შენც მოგკლავენ და იტყვიან კომუნისტი იყოო...

– რა ვქნა?

– უნდა ნახვიდე პარიზიდან სადმე, ქართველმა არ იცოდეს შენი მისამართი, ეს ჩემი ძმური რჩევაა...

კვირა დღეს მამამ<sup>34</sup> მითხრა: შეილო შოთა, ვიზა გაგიკეთე, ნადი არგენტინაში, შენთვის იცხოვრე, ქართველებთან მაინც ფრთხილად იყავი... მაგათ ოცი წელია ვეჩხუბები ჯვრით ხელში და ვერაფერს მივაღწიე, არც ჯვარი სწამთ, არც ხატი...

დაღონებული დაებრუნდი სახლში. მამაო დაინტერესებულია გამაგზავნოს არგენტინაში, სულ სამასი ვიზა ჩამოვიდა არგენტინიდან ქართველებისათვის. პირველ რიგში არჩილ ორჯონიკიძე და მე მივიღივართ. მგზავრობის ბილეთს გვაძლევს საერთაშორისო კომიტეტი, სახარჯოთ 10 დოლარი... კარგია, წავალ ვნახავ არგენტინას, არ მომეწონება უკან დაებრუნდები...

17 აგვისტოს მატარებლით უნდა წავიდე ქალაქ ჰავერში<sup>35</sup>, ჰავრიდან გემით... გავემგზავრებით. ივონმა<sup>36</sup> და ლევან ზურაბიშვილმა გაგვაცილეს მატარებელზე... გემის გასვლას ხუთი წუთი აკლია, არავინ მოსულა გასაცვილებლად. ხუთასზე მეტი მგზავრია გემზე, სულ ემიგრანტები. თბომაჰალი გავიდა ზღვაში, არავინ იძვრის ადგილიდან, ყველას თვალები მიწისკენ აქვს.

\*\*\*

პარიზიდან ბუენოს-აირესში 13 სექტემბერს ჩავედი. ყველა მგზავრი რენდგენზე გაგვაშუქეს და ექიმებმა შეგვამოწმეს, რაიმე დაავადება ხომ არ გვაქვს. ემიგრანტებს, რომლებიც ჩამოდიან არგენტინაში, იქვე აქვთ დასაძინებელი ად-

---

32 ძმები დონდუები – 1924 წლის აჯანყების მონაწილის ვასო დონდუას ოთხი ვაჟი, ცნობილი ფეხბურთელები.

სერგო (სერუ) დონდუა (1916-1985) – სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილე. 1953 წელს პარიზში დაარსებული „ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ლევან (ლეო) დონდუა (1919-1975) – საფრანგეთის ემიგრაციის აქტიური წევრი. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

33 იგულისხმება გრ. ვეშაპელის მკვლელობა 1926 წელს, რომელიც თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან და ქართველ ემიგრანტებში სამშობლოში დაბრუნების პროპაგანდას ეწეოდა.

34 მღვდელი ნიკოლოზ ზაბახიძე (ზამბახიძე) – ძველი ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი. ორავიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრი და ვალენტინეს (საფრანგ.) „თეთრი გიორგის“ ორავიზაციის თავმჯდომარე. 1943-1948 წწ. პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვარი. 1949 წლიდან მოღვაწეობდა არგენტინაში, ბუენოს-აირესში. გარდაიცვალა 1960-იან წლებში.

35 ჰავრი – ზღვისპირა ქალაქი ჩრდილოეთ საფრანგეთში.

36 ივონი – შოთა თარხნიშვილზე შეყვარებული ფრანგი ქალი.



გილი. თითო ოთახში 120 სული ეტევა, ორსართულიანი ხის სანოლები ქონდათ. ამ სასტუმროში ოთხი დღე გაქვს გაჩერების უფლება, ამ ოთხ დღეში გიმზადებენ საბუთებს, რომელსაც სედულა ქვიან, ჩვენებურათ პასპორტი. ამ ხანში უნდა მოძებნო ბინა. თუ ბევრი ბარგი გაქვს უფასოდ მიგიტანენ ბინამდინ. ყველაფერი როცა მოვანესრიგეთ, გამოვედით ქალაქში...

\*\*\*

ჩემი პანსიონი ქალაქგარეთ იყო, ძლიერ ბევრ დროს ვკარგამდი ქარხანაში მისვლისთვის, ამიტომ გადავედი ქალაქის ცენტრში, ერთ პანსიონში, სადაც 15-16 ქართველი ცხოვრობდა. ქართველების სუფრაზე მერჩინა ჯდომა. პატრონი კი ქართველებს არ აძლევდა საჭმელს, რადგან სამი-ოთხი თვის ვალი ქონდათ. ამიტომ, ეს ძლიერ ცუდ სახეს ლებულობდა ყოველ ვახშამზე. ორნი ვმუშაობდით, დანარჩენები უმუშევრები იყვნენ. ყოველ საღამოს ორ ბლოკ სიგარეტს ვჩუქნიდი ქართველებს, ერთ დღეს არ მოვიტანე, რადგან ფული აღარ მეყო, ამის გამო გამლანძღეს კიდეც. სამი თვეა, ყოველდღიურათ ვეხმარებოდი ყველას, რადგან ქართველები იყვნენ.

ჩემს პანსიონში ცხოვრობდა ვიკტორ ნოზაძე,<sup>37</sup> ძლიერ გაჭირვებული იყო, ამიტომ ამ დღის შემდეგ მხოლოდ მას ვეხმარებოდი, როგორც შემეძლო.

\*\*\*

ამ ქარხანაში ყველა პაპას მეძახდა, რადგან ყველა ახალგაზრდას ალერსით ვეპყრობოდი, ყველას ვუხსნიდი რაიმე ფორმულას ან სტანოკის დაყენებას და სხვა მრავალი. არგენტინაში კათოლიკური რწმენის ხალხია, ყველაზე მეტად ესპანელები და იტალიური წარმოშობის. მე მგონია, ყველაზე ნაკლები, ეს ჩვენ ქართველები ვიყავით. 1948 წელს სულ 84 სული იყო ქართველი, რვა კაცი გარდაიცვალა.

1. გომელაური გიორგი,<sup>38</sup> 2. პაპავა აკაკი,<sup>39</sup> 3. ზაზახიძე ნიკოლოზი, 4. დიასამიძე მიშა<sup>40</sup>, 5. კონიაშვილი,<sup>41</sup> 6. ხომასურაძე ვახტანგი, 7. ვაშაძე კოტე,<sup>42</sup> 8. გოგოლაძე... ამას უნდა მიემატოს სამი დაბრუნებული 1. არჩილ ორჯონიკიძე, 2. პოლიკარპე დგებუაძე<sup>43</sup> და მესამე მე, თარხნიშვილი შოთა. ახლა 73 კაცი დარჩა.

37 ვიკტორ ნოზაძე (1893-1975) - ქართველი ემიგრანტი, მეცნიერი, ცნობილი რუსთველოლოგი, ლექსიკოგრაფი, ჟურნალისტი.

38 გიორგი გომელაური – სამხედრო პირი, პოლკოვნიკი, არგენტინაში მცხოვრებ კავკასიელთა გაერთიანების თავმჯდომარე. გარდაიცვალა ბუენოს-აირესში 1959 წელს.

39 აკაკი პაპავა (1890-1964) – მწერალი, ჟურნალისტი, საზ. მოღვაწე. 1949 წლიდან ევროპიდან შეუერთდა არგენტინის ქართულ ემიგრაციას. იყო ქართველთა საზოგადოების „წმინდა გიორგის“ საპატიო თავმჯდომარე.

40 მიხეილ (მიშა) დიასამიძე (1878-1960) – არგენტინაში ქართული სათვისტომოს და ემიგრანტული ჟურნალის „მამულის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, არგენტინაში მყოფ ქართველთა საზოგადოება „წმინდა გიორგის“ გამგეობის წევრი.

41 ალექსანდრე კონიაშვილი (1873-1951) – გენერალი, იაპონიისა და I მსოფლიო ომის მონაწილე, იბრძოდა კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის წინააღმდეგ. მამაკობისათვის დააჯილდოვა ნიკოლოზ მეორემ. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში მონაწილეობდა ქართული ჯარის ჩამოყალიბებაში და იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას. 1921 წლიდან მსახურობდა პოლონეთის სამხედრო ძალებში. II მსოფლიო ომის შემდეგ ცხოვრობდა გერმანიაში, იტალიაში, საბოლოოდ კი არგენტინაში დამკვიდრდა. დაკრძალულია ბუენოს-აირესის გარეუბანში – მორონში.

42 კოტე ვაშაძე (1909-1967) – გარდაიცვალა არგენტინაში.

43 პოლიკარპე დგებუაძე – არგენტინაში ქართული სათვისტომოს, ქართველთა საზოგადოება „წმინდა გიორგის“ სარევიზიო კომისიის წევრი.

არჩილ ორჯონიკიძე მგონი 1951 წელს წამოვიდა სამშობლოში და ძლიერ მალე გავრცელდა ჭორები 25 წლით გადუსახლებიათ... არ ვიცი ვინ ლეზულობდა ასეთ ცნობებს, მე ჭორი მეგონა, მხოლოდ სამშობლოში როდესაც დავბრუნდი, მაშინ მივხვდი, რომ მართალი ცნობა იყო... არგენტინაში იქაურები ალექსს მეძახდნენ, რადგან შოთა ესპანურად ძლიერ ცუდ საგანს ნიშნავს...



შოთა თარხნიშვილი მუშაობის დროს.  
არგენტინა, 1955 წ.



შოთა თარხნიშვილი მეტალურგიულ  
ქარხანაში 1963. ბუენოს აირესი.

\*\*\*

ახალ ქარხანაში ერთი წელი ვიმუშავე, არ მომეწონა, ისევ გამოვიცვალე სამუშაო. ესლა ძლიერ პატარა ქარხანაში დავეინყე მუშაობა. ქარხნის პატრონი ყოველ საღამოს შახმატს მეთამაშებდა კაფეში, სადაც თავს იყრიან შახმატის მოყვარულები, წაგებული იხდიდა ყავის ხარჯსა და ერთ კონიაკს. ერთ საღამოს კაფეში შემოდის ტანით ძლიერ დიდი, წარმოშობით იტალიელი...

– ჰე, რუსო ხვალ არგენტინა-რუსეთი თამაშობს ფეხბურთს... არგენტინის ხელზე ვთამაშობ, 1000 პესო მე მეძვირა და უარი განუცხადე, გვერდზე გადავჯექი, ავიღე საღამოს გაზეთები და სპორტის გვერდი გადავშალე, მოთამაშეების სიაში ამოვიკითხე ჩოხელი, მესხი და მეტრეველი... იმ წუთას იმ გაბერილს დავუძახე, ვუთხარი რომ ვთამაშობდი, რადგან რუსების გუნდში სამი ქართველი იყო. ფული კაფეს მეპატრონეს ჩავაბარეთ...

... გათენდა. მართალია სიცხის დროა, მაგრამ გრილი დღე გამოვიდა. ჩვენებს ბედი ჰქონიათ არ დასცხებათ... შევაჯექი მოტოს, ჩავედი რივერ-პლეის სტადიონზე. ვინაიდან კლუბის წევრი ვარ უფლება მაქვს შევიდე კლუბის პარკში, მხოლოდ სათამაშო მოედანზე შემავალ კარებებში გაძლიერებული დაცვაა, ძნელია უბილეთით შესვლა. თორმეტის ნახევარია, პატარა საბარგო მანქანა მოვიდა, მოიტანა უმველებელი კალათებით პური და სოსისკები, გამყიდველი ჩემი ნაცნობია, იმ წუთას წავავლე კალათას ხელი და ვუშველე ატანა ბუფეტამდის, ახლა უკვე შიგნით ვარ, მხოლოდ 5 საათი უნდა ველოდო, რადგან საღამოს 5-ზე იწყება თამაში. მეტი რა გზა მაქვს დავჯექე ერთ კუთხეში, ფიქრებში გადავვარდი ისევ სამშობლოში... ნინიკოსთან ერთად ვარ დინამოს სტადიონზე, მხიარული და ბედნიერი, ჩვენმა „დინამომ“ მინსკის „დინამოს“ მოუგო, გახარებული ვბრუნდებით სახლში...

როგორც იქნა მოვიდა სანატრელი დროც. სტადიონზე გამოჩნდნენ საბჭოთა ფეხბურთელები, ხალხმა ტაშით მიიღო მოთამაშეები. საბჭოთა ჰიმნი არ შეასრულეს, რათა ანტიკომუნისტებს სტვენა არ დაენყოთ. პროგრამით ვიცი №7 მეტრეველია, № 11 მესხი. მესხის თამაშმა მთლათ გადარია მაყურებელი, განსაკუთრებით მესხის გუშაგი სიმონე, რომელიც არგენტინაში ითვლება ყველაზე კარგ მცველად. სანყალი სიმონე, შემეცოდა, რადგან მესხმა მალე თავბრუ დაახვია, ბურთის მაგივრად თვითონ მესხის ტანს ხელებით იჭერდა, ამის გამო მესხიმ მრავალჯერ დაიმსახურა 120 ათასი მაყურებლის ტაში. პირველი გოლი მესხის ჩანოდეზული პასით იქნა პონედელნიკის მიერ გატანილი პირველ ნახევარში, მეორე ნახევარ თამაშშიც ქართველის ჩანოდეზული ბურთი იქნა არგენტინელების კარში გატანილი. როგორც ზევით ავლნიშნე 120 ათასი კაცი, მხოლოდ მესხის და მეტრეველის თამაშით იყო მოხიბლული, საბჭოთა კარს იცავდა იაშინი, მას ცხვირი გაუტეხეს, ამიტომ იძულებული იყო მიეტოვებინა თამაში.

ბუენოს-აირესში ბევრი საფეხბურთო სტადიონები და კლუბებია, მათ შორის არის მხოლოდ შვიდი კლუბი ძლიერ მდიდარი. ერთ-ერთ მათგანს ჰქვია „ბოკა ჟუნიორი“ სწორედ მისმა თავმჯდომარემ განაცხადა რადიოში და საღამოს გაზეთში „ვინც მე მომიყვანს მესხს და მეტრეველს გასამრჯელოს 50 მილიონ პესოს ვაძლევო“, ეს უზარმაზარი თანხაა, ძლიერ დიდია სამიშროება, მრავალი განგსტერი შეეცდება ამ ორი მოთამაშის მოტაცებას. საბჭოთა საელჩომ მობილიზაცია გაუყენა ყველა იმ პირებს, ვინც კეთილ დამოკიდებულებაში იყო საბჭოთა ქვეყნისადმი და დაცვა დაუყენა მოთამაშეებს. საბჭოთა ფეხბურთელები გამოდიან ავტობუსში ჩასაჯდომად, ხალხმა და პოლიციამ გასასვლელი გადაკეტა, ყველა ტაშით ავილდოვებს მოთამაშეებს, ვინ მიმიშვებს ახლოს... შემოვაჯექი ჩემს მოტოს და პოლიციელების კორდონს უკან გავეყვი, ავტობუსმა სასტუმროს კარამდის მიიყვანა მოთამაშეები. სასტუმროში კარებთან ბევრი რუსი, უკრაინელი და ქართველი დგას, მოთამაშებთან არავის უშვებენ, ხედავ რამოდენა ჩეკისტები ჩამოუყვანიათ მოსკოვიდან სთქვა ტარასმა, ამას მეორე ქართველმა დაუმატა:

– თუ თავისუფლებაა საბჭოთა კავშირში, რატომ ყარაულობენ ასე, ჩვენ ხომ არ ვიტაცებთ, რატომ არ გვაძლევენ უფლებას მივესალმოთ.

– 50 ათასი კარგი ფულია, თქვა ამბროსიმ და ტარასის საღამოს გაზეთი გაუნოდა, რომელიც 20 საათზე გამოდის.

– დიდი, შავი ასოებით სწერია „ბოკა ჟუნიორი“ აძლევს 50 ათასს იმ პირს, ვინც მიუყვანს მესხს და მეტრეველს. მე, ალბერტო ხოსე არმანდო გავუკეთებ პოლიტიკურ თავშესაფარს“ ეს ნავიკითხე, გამეცინა, ვერავინ მოგიტაცებთ ბიჭებო, ძალით შევიჭერი სასტუმროს ვესტიბიულში, სამი-ოთხი რუსი გადამიდგა, მაგრამ ვერ გამაჩერეს, მივულოცე გამარჯვებულებს, ახლა მინდა ჩემი სურათი გავატანო, რათა ახარონ ჩემს ახლობლებს ჩემი სიცოცხლე, სინქარეში საუბარი ვერ მოვასწარი, ფეხბურთელები ჩასხდნენ ავტობუსში, მე დალონებულნი თვალით შევეყურებ მათ მხიარულებას, ახალგაზრდები არიან, სამშობლოც აქვთ და მფარველიც ყავთ. მე არაფერი გამაჩნია.

\*\*\*

ბევრმა ქართველმა არგენტინის ქვეშევრდომობა მიიღო, ყველა მაძალებს გავხდე არგენტინელი, მე უცხო რჯულის ვერ გავხდები, ეს რომ მდომოდა ფრანგების

ჯარში ვიყავი, მივიღებდი ფრანგობას. მართალია, ჯერ არაფერი შანსი მაქვს სამ-შობლოში დაბრუნების, მაინც არ მინდა გავხედო სხვისი მოქალაქე, მე მირჩევინან ვიყო უსამშობლო, ვინემ არგენტინელი, 25 წელი შევინარჩუნე ჩემი ქართველობა უცხოეთში, რადგან ვამაყობ ჩემი ქართველობით.

\*\*\*

მამაო ნიკოლოზმა პარიზში მითხრა, შენც გამოგეღევა ცრემლიო, მხოლოდ არ ვიცი მე მგონი უფრო მეტი ცრემლი ახლა მომდის. ჩვენს სასტუმროსთან პატარა, ბუნებრივი ჩანჩქერია. იმ ღამეს 5-ჯერ გამეღვიძა, უგდებ ყურს ჩემი სოფლის კლდის წისქვილის ჩანჩქერის ხმაა, მაგრამ რატომ არ ყიყინებენ ბა-ყაყები, არც ჭრიჭინების ხმა ისმის... ერთბაშათ ვერკვევი სასტუმროს ოთახში ვარ... ავდექი, ჩავიცვი შარვალი, გარეთ გავედი, სიგარეტს მოვუკიდე, გავ-ყურებ ოკეანეს, გამახსენდა ჩემი შავი ზღვა. ერთხელ, ბავშვობისას ბათუმში გავყურებდი ზღვის ჰორიზონტს და ვთქვი ნეტა იქითა მხარეს როგორ არიან... ახლა, 35 წლის მერე გავყურებ ატლანტიურ ოკეანეს და ვფიქრობ, ნეტა, იქითა მხარეს როგორ არიან, ვინ დარჩა ცოცხალი, ჩემი მეგობრებიდან, გამახსენდა ძმები კალატოზიშვილები,<sup>44</sup> ისინი ხომ დაბრუნებას აპირებდნენ, ნეტა თავი-სუფლები არიან თუ ჩასვეს, ხრუშოვმა ხომ ამინისტია გამოაცხადა. ალბათ, ახლა ირაკლი და შოთა ჩემზე ბედნიერები არიან, ეს, დავბრუნდებოდი, თუკი მიმიღებენ უკან, მაგრამ ვინ იცის ციხეში მიკრან თავი, ან ყაზახეთში, ან ციმბირში...

\*\*\*

...ბოლოს შეგვიშვეს ჩილეში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე სამოთხე გეგონე-ბა ისეთი ღამაში სანაპიროებია, ჩვენი შავი ზღვის ბათუმი და სოჭის სანაპირო გამახსენდა. ქალაქ სანტიაგოში ერთ ქუჩის გადასავალზე ერთმა ავტომ კინა-ღამ გვერდი გამკრა, მე გულმოსულმა ქართულად შევაგინე, ავტომ ერთბაშად დაამუხრუჭა, მძღოლმა თავი გამოყო და მეკითხება:

– ქართველი ხარ?

– ქართველი ვარ, გადავეხვიეთ ერთმანეთს და ჩავკოცნეთ. იმ წუთში ბრძა-ნებით მითხრა, მე მომყევით, კარგ სასტუმროში მიგიყვანთო. მალე მივედით ერთ უშველებელ შენობასთან, წავიკითხე სასტუმრო „ბრესტოლი“ ეწერა და ძლიერ ძვირი იყო, ჩვენი ჯიბით იქ ვერ შევიდოდით.

– ეს, ჩემო ძმაო, ჩვენ მუშები ვართ, სადაა იმდენი ფული ერთ სასტუმროში დავხარჯოთ.

– შენ თუ არ გაქვს, მე ხომ მაქვს!

– არა, ბატონო, ჩვენ ათი სული ერთად ვართ, ვმოგზაურობთ, ძმურად ვხარჯავთ.

– ეგ შენი ძმებია, შენ კი ჩემი ქართველი ხარ, ამიტომ 10 დღე ჩემი სტუმრები იქნებით!

ადმინისტრატორმა იმ წუთში მოგვცა 5 ოთახი, რესტორანს გასცა ბრძანება გეიმზადებინათ მაგიდა ყველაზე კარგი ღვინოთი... ჩვენი გულუხვი მასპინძე-

44 შოთა და ირაკლი კალატოზიშვილები – სავარაუდოდ, II მსოფლიო ომის ყოფილი ტყვეები.

ლი ავთანდილ მერაბიშვილი<sup>45</sup> იყო... შვიდი დღე დაგრჩით ჩილეში, მერაბიშვილმა ბევრი საჩუქრები შემომთავაზა, მაგრამ მოტოციკლეტით მისი ჩამოტანა შეუძლებელი იქნებოდა, დავთანხმე ინგლისურ სიგარეტებზე. ბუენოს-აირესში ყველანი კარგად დავბრუნდით.

\*\*\*

მალე ახალი წელი მოდის 1964, ვზივარ ტელევიზორთან სურათს კი არ ვუყურებ, ფიქრებში გადავვარდი, ბოლოს გადავწყვიტე სოფელ უდსონში წავიდე. იქ ყოფილი ტყვეები ცხოვრობენ. მართალია, არავის ყავს ქართველი ცოლი, მაინც რომელიმე ოჯახში რამდენიმე ქართველი მოიყრის თავს. შევაჯექი მოტოციკლეტს, ჩემი სახლიდან 80 კილომეტრია, მხოლოდ გზა ძლიერ კარგია, ამიტომ გასაქონებაც იქნება და იქნება დამებედოს ქართველებთან შეხვედრა. წავედი ჩემს მეგობართან, ჟორას ძლიერ გეეხარდა, ცხვარი მაქვს დაკლული, ჩემი მეზობლები ჩემთან იქეიფებენო. ე. ი. ჟორასთან ქართველები არ იქნებიან, მაინც ქართული ოჯახია, ჟორას ცოლმა იმ წუთში ხორცი შემინვა, შევნაყრდი, ღამის 12 საათამდის გეყოფათ. ამ დროს კარლო კვანტალიანი<sup>46</sup> მოვიდა, ჟორას დუქანში ბევრი სანოვაგე იყიდა ნისიათ. მე დავსვი მოტოციკლეტზე და თავის სანოვაგით სახლამდის მივიყვანე. კარლომ იქვე არჩილ ჩოლოყაშვილთან მიმიყვანა. არჩილს ძლიერ გეეხარდა, სახლში შემიყვანა და თავისი ბოსტნიდან ქართული ნიწმატი, კიტრი, პომიდორი და ტარხუნა მოიტანა, გააკეთა სალათა, გამოიღო ტარხუნის ლიქიორი, ჭიქები შევაკეთა...

– გაუმარჯოს ვინც ჩვენი გულისთვი შავებშია, სთქვა არჩილმა.

– ეჰ, ბიჭო მეცოდებიან, რო ვიცოდე არ ჩამსვამენ, დღესვე წავიდოდი.

– ეს, შოთა, მეც მინდა წავიდე, ახლა ხელმეორეთ ოჯახის დანგრევა არ მინდა, ეს ოთახი და ის მიწა ჩემია.

– თუ გაყიდი გზის ხარჯათ გეყოფა.

– ჩემი ფეხით მივიდე, რათა თბილისის სადგურიდან ციმბირის მატარებელში გადამსვან?! აგერ არჩილს ორჯონიკიძე ხომ გახსოვს, 25 წელი მიაკრეს...

არჩილმა მეორე ჭიქა ასწია – ეს ჩვენს პატარა, კოხტა საქართველოს გაუმარჯოს. ასე შეეყვით. კარლომ დამტოვა არჩილთან, თვითონ გაიქცა თავის ქოხში. არჩილი მოვისვი უკან, მარცხნივ გამახვევინა და გამაჩერებინა. ერთ პატარა კოხტა სახლში შევიდა, იქიდან სერგო ალიხანაშვილი გამოვიდა, მომკიდა ხელი და ძალით შემიყვანა.

– გაიცანი, ცნობილი მსახიობი იყო ერთ დროს, ესლა ჩემი ცოლია, მითხრა სერგომ და მთელი სახლი დამათვალიერებინა.

– სერგო, ეს რა სტანოკია?

45 ავთანდილ მერაბიშვილი (?-1974) – მეცენატი, სპილენძისა და გვარჯილის მაგნატი ჩილეში. იდეოლოგიური მოსაზრებით პარიზში 1926 წ. მოკლა გრიგოლ ვეშაპელი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა. საფრანგეთიდან გასახლების შემდეგ ცხოვრობდა ბელგიაში, გერმანიაში, არგენტინაში, ბოლივიაში, ბოლოს ჩილეში, სადაც გააშენა სააგარაკო ქალაქი და ჭურჭეს ქართველ მწერალთა სახელები უწოდა. 1954-1957 წლებში მთლიანად დააფინანსა ვიკტორ ნოზაძის ნაშრომების გამოცემა.

46 კარლო კვანტალიანი – არგენტინის ქართული ემიგრაციის ღირსეული წარმომადგენელი. 1952 წლის 29 დეკემბერს არგენტინაში გამართულ შობის ხის დღესასწაულზე წარმოდგენილ სექტაკულში „დექანი“ (დადგმა აკ. პაპავასი) დიდი წვლილი შეუტანია კ. კვანტალიანს და შეუსრულებია ოსის როლი.

– ახლა მე ფეხსაცმელების მეკრავი ვარ, ებრაელებს მოაქვთ შესაკერათ, თვითონვე მიყიდეს ეს სტანოკი, ხუთ წუთში ერთი წყვილი იკერება, შეხედე, ხელით შეკერილი გეგონება და მაჩვენებს თავის შეკერილ ფეხსაცმელს.

– სერგო, ჟორასთან უნდა წავიდე, მელოდება.

– არავითარი ჟორა, აქ მალე კოტე, ვანო, არჩილი, ამბროსი და სხვები უნდა მოვიდნენ ახალი წლის შესახვედრად. თამარამ უკვე სუფრის გაშლა დაიწყო.

მე იქ დარჩენა უფრო მესიამოვნა, 7-8 ქართველი ვიქნებით. თამარა ციმბირელი თათრის ქალია, მაინც ჩვენებურია, ჟორასთან იტალიელები და არგენტინელები იქნებიან, იქ მარტო გაძლები, აქ კი ისიამოვნებ, ამიტომ დავრჩი აღიხანაშვილის ოჯახში. ვანო საგინაშვილს კარგა ხანია არ უნახვიარ, ძლიერ გეეხარდა ჩემი ნახვა. 12 საათი ხდება, თამარმა სუფრაზე მიგვიწვია, მანამდის წარდს ვთამაშობდით, ესეც ახალი სიამოვნება იყო ე. ი. 1936 წლის შემდეგ აღარ მითამაშია. ქუჩაში ატყდა შუშხუნების ბრახა-ბრუხი, ფრონტი მომაგონდა იმოდენა სროლის ხმებია. ჩვენც ავდექით ფეხზე ერთმანეთს მიულოცეთ ახალი წელი და ავაფეთქეთ შამპანიური, ღვინის ბოთლები და ძმურად გადავკოცნეთ ერთმანეთი...

ღილის 8 საათზე ავდექით სუფრიდან, მე ბოდიში მოვიხადე, ჟორას ნახვა მინდა მეთქი. სერგო მე მომიჯდა, კოტემ არჩილა შემოისვა ასე ჩავედით ჟორასთან. მას ლამის პირველ საათზე დეემთავრებინა ქეიფი, რადგან სულ მეზობლები ყავდა. აბა, იმათ რა იციან ქართული ქეიფი. ბევრი ცხვრის ხორცი შეუწახნია ჟორას, რადგან იცოდა ახალ წელს ბევრი ქართველი მივიდოდა მისალოცათ... მერე მე და კოტე შევასხედით ჩვენს მოტოებს და წამოვედით. გზაში გადავწყვიტეთ ლომას დე ზამორაში წავსულიყავით და ჭეიშვილებისათვის მიგველოცა

აკაკი პაპავას ორი ქალიშვილი ყავდა. უმფროსი<sup>47</sup> გათხოვდა ჭეიშვილზე,<sup>48</sup> უმცროსმა<sup>49</sup> გასცინა: რავა, ბოშო, რაღა ჭეიშვილზე თხოვდებოდით, არ მომწონს ეს გვარიო. უმცროსი და ომის დროს პარიზში ნათესავთან იყო სტუმრათ. იქ გაიცნო ერთი შავგვრემანი ქართველი ბიჭი, შეხედულობით ძლიერ მომხიბლავი, რომელმაც მზია გააცილა ნათესავის სახლამდი. საშას<sup>50</sup> მოსწონებია, ამიტომ ელენე ფერაძის რესტორანში სადილათ დაუპატიჟა, მზიასაც მოსწონებია, მალე გადაწყვიტეს დაქორწილდნენ. როცა ბიუროში მივიდნენ ხელის მოსაწერათ, მზიას კალამი ხელიდან გაუვარდა, როცა გაიგო ჭეიშვილზე თხოვდებოდა. მაინც მოანერა ხელი, ასეთი მშვენიერი ბიჭის დაკარგვა აფსუსი იყო. როცა ტურფამ გაიგო სიძის გვარი დას უთხრა — რა მოგეწონა ჭეიშვილის გვარში, რავა გაყევიო და სიცილით მიულოცა მზიას. საშა და სიმამრი მეზობლათ ცხოვრობდნენ, ამიტომ ჩვენ საშასთან წავედით, რადგან ლეოც თავის ოჯახით იქ მივიდოდა.

47 ტურფა პაპავა-ჭეიშვილი – აკაკი პაპავას უფროსი ქალიშვილი.

48 ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილი (1905-1990) – 1926 წელს სასწავლებლად წავიდა გერმანიაში და დარჩა ემიგრაციაში. ქიმიის დოქტორი, პოეტი, მხატვარი. 1938 წ. დაქორწინდა თამარ და აკაკი პაპავების უფროს ქალიშვილზე ტურფა პაპავაზე. II მსოფლიო ომის შემდეგ ოჯახთან ერთად გადავიდა არგენტინაში.

49 მზია პაპავა-ჭეიშვილი – აკაკი პაპას უმცროსი ქალიშვილი.

50 ალექსანდრე (საშა) ჭეიშვილი (1905-1991) – ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. თამარ და აკაკი პაპავების უმცროსი ქალიშვილის – მზიას მეუღლე. II მსოფლიო ომის შემდეგ საცხოვრებლას გადავიდა არგენტინაში.

პირველად 10 წლის შემდეგ, 1959 წელში ვესტუმრე ბატონ აკაკის. ძლიერ კარგად მიმიღეს. ქალბატონ თამარმა<sup>51</sup> ქართული ლექსების წიგნი მომცა ნა-საკითხათ. მე სიამოვნებით ავიღე ხელში, უკვე 18 წელია ქართულად არაფერი წამიკითხამს, ზოგი ასოების კითხვა დამავინწყდა, ამ ამბავმა ორივე ძლიერ შეანუხა. მაშინვე ორი წიგნი მაჩუქეს, რომლებიც ტურფამ და ნათელამ (უნდა იყოს მზია — ს.ჯ.) მამის ლექსები შეაგროვეს და გაგზავნეს ჩილეში. იმ ხანობაში მერაბიშვილმა ვიკტორ ნოზაძეს პატარა სტამბა გაუყუთა და ამ ვიკტორ ნოზაძემ დაუბეჭდა. 50 წლის ქორწინების დღისათვის შვილებმა მამას აჩუქეს ეს ძვირფასი წიგნი. მეორე დღეს ავედი ჩემი სახლის სახურავზე და დავინწყე პაპავას ლექსების კითხვა, გამიჭირდა, ცოტა დავლონდი... ამის შემდეგ ძლიერ ხშირათ ვკითხულობდი ქართულად.

\*\*\*

ერთ დღეს ქალაქის ცენტრის ქუჩები რეკლამებით გაიმსო: „პირველი ივ-ნისიდან ეროვნული ქართული ცეკვები მთვარის პარკში“. ძლიერ გამეხარდა ქართველების ჩამოსვლა, ამათთან მექნება ალბათ საუბრის თავისუფლება.

ცეკვები დაიწყო, მე კი ფული არა მაქვს, უფულოდ როგორ მივეკარები, ვე-ლოდები ჯამაგირს. 4 ივლისს, ღამე სიზმარში ისევ „ტაუს“<sup>52</sup> კურსანტი ვიყავი, ოხ, როგორ მენყინა როცა საათმა გამაღვიძა, კინალამ დავამტვრიე... დალო-ნებული მოვედი სამუშაოზე, სტანოკი ავამუშავე, ჩვეულებრივ დავდგი წყალი ყავის გასაკეთებლათ. მე ამ ქარხანაში მყავდა ერთი მეგობარი ვალია ერქვა, რომელსაც ყოველდღე ვასმევდი ყავას, როდესაც მე ვსვამდი.

- ეხ, ვალია, ნუხელ ტაუს კურსანტი ვიყავი.
- რომელ წელს სწავლობდი?
- 40-41 წლებში.

– მაშ, ამ ნომრებზე ითამაშე და უსათუოთ მოიგებ.

მეც ამ ნომრებზე დავსვი და მართლაც მოვიგე, ეზოში გამოვედი და იქვე ქარხნის პრეზიდენტი გამომელაპარაკა:

- დონ შოთა, ნუხელის ტელევიზორში ვუყურე ქართველების ცეკვის რეკ-ლამას, თქვენ ალბათ ინახულებდით.
- არა, ფული არ მქონდა დღემდის... თუ წამობრძანდებით მე ვიშოვი ბი-ლეტებს.

მე უკვე ზედმეტს ვაძლევედი ბილეტებში, მაინც ვერ ვიშოვე მითხრა პრე-ზიდენტმა

– მე ახლავე ვიშოვი თუ წამობრძანდებით, მთელი ოჯახით გეპატიჟებით.

იმ წუთას გიჟივით გავაქროლე კორიენტეს გამზირისაკენ, იქ არის ორი კაფე, სადაც მხოლოდ ებრაელები იყრიან თავს, ნარდიც კი აქვთ სათამაშოთ. ბედზე ჩვენი ქართველი ებრაელები ხაიმა და გაბო იქვე ისხდნენ შესასვლელ კარებთან

– გამარჯვებათ, ჩამოვართვი ხელი და იქვე ჩამოვჯექი. ხაიმ, შენ ამ ორი წლის წინ იყავი საქართველოში, ალბათ იქაც ნახე სუხიშვილების გუნდი.

51 **თამარ პაპავა (1888-1976)** – მწერალი და საზოგადო მოღვაწე, არგენტინის ქართ. სათვისტომოს თავმჯდომარე.

52 **TAY** (რუს.) – თბილისის საარტილერიო სასწავლებელი.

– ბილეთი არ მთხოვო.

– ხაიმ, თუ მიშოვი შენ სახელს ყოველთვის კეთილათ მოვიხსენიებ, ქარხნის პრეზიდენტი მყავს ოჯახობით დაპატიჟებული...

– ერთი მეგობრისთვის ვინახამდი, კარგი მუშტარია... რახან ქარხნის პრეზიდენტისათვის გინდა დაიჭი, შენში მე ფულს არ მოვიგებ, მომცა ხუთი ბილეთი.

იმ წუთას ავიღე ტელეფონი, სენიორ, ვიშოვე ხუთი ბილეთი, თქვენი ძმაც წამოიყვანეთ ვუთხარი და ჩემი „იავა“ ქარხნისაკენ გავაქროლე. პრეზიდენტს ძლიერ ეამა ბილეთების დანახვა, თვითონ იტალიური წარმოშობისაა, თურმე ძლიერ მოყვარულია ცეკვების, განსაკუთრებით ცოლი გიჟდება ცეკვებისათვის. მე მინდოდა სახლში წასვლა და კოხტათ ჩაცმა, მაგრამ პრეზიდენტმა მითხრა ჩემს სახლში წავიდეთ და ჩემი კოსტუმი ჩაიცვიო. მოტო ქარხანაში დავტოვე და ჩაუფეცი მანქანაში. მალე „ლუნა პარკში“ შევედი, კაფეში ყავა დავლიეთ, მერე ადგილებისაკენ გავნიეთ. მეხუთე რიგში მაქვს ადგილები, წინ მთელი ჭეიშვილების ოჯახი ზის, გამიკვირდა ბატონი აკაკი მეუღლით არ მოსულა, ალბათ ჩგუმინ იყვნენ... მალე შუქი ჩაქრა... მოულოდნელათ, თითქოს არწივი გამოფრინდა, ისეთი ნახტომით გამოვიდა სცენაზე ერთი, მეორე... პრეზიდენტს ვუხსნი ცეკვის შინაარსს, ხალხმა გამაჩუმა, მე კი უსასრულოდ მინდა ლაპარაკი... „ლუნა პარკში“ 8000 სული ეტევა, ერთი ცეკვა ორჯელ გაამეორებინეს, მე ფეხები და მთელი ტანი მითამაშებს, შევხედე დონ ერნესტოს მეუღლეს ბრავო, ბრავოს ყვირის, მთელი დარბაზი ფეხზეა, მალე ოცამდის ქალიშვილი გოგმანით გამოვიდა, მათ დანახვაზე თითქოს ვიღაც ყელში მწვდა და მახრჩობს, მინდა ვიტყვო, მრცხენიან, ალბათ გავნითლდი, დონ ერნესტომ რალაც მკითხა, ხმა ვერ ამოვიღე, სენიორ ბიანკას არ გამოპარვია ჩემი ტანჯვა – დანყნარდი, რა მოგდისო... დონ ერნესტომ მხრებზე ხელი დამკრა, მე წამოვდექი, გავედი საპირფარეშოში, რათა ტირილით გული მეჯერა, იქვე ოთხი ქართველი საუბრობდა, შემრცხვა, უკან გავბრუნდი.

დარბაზში ფეხზე ამდგარი მაყურებელი ბრაო, ბრაოს ბლაოდა. დარბაზი სულ გადაირია, როდესაც ქალბატონ ნინომ ჯეირანი დაამთავრა, სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა დარბაზზე ფარიკაობამ, ყველა ქალი თუ კაცი „მამა მიას“ გაიძახოდა, კონცერტი ღამის 11 საათზე დამთავრდა.

სენიორ ბიანკამ ხელი გამომიწვინა „სენიორ, მუჩას გრასიას“ (დიდი მადლობელი ვარ). დონ ერნესტომ ღამის რესტორანში აიღო მიმართულება, მე მათთან მაგიდაზე ვზივარ, ფიქრებით საქართველოში გადავვარდი, ვერაფერი ჩავყლაპე კოკა-კოლას გარდა.

– დონ შოთა, თუ წახვალ საქართველოში, გზის ხარჯებს მე ვიხდი.

– მადლობთ დონ ერნესტო, მომავალი იტყვის თავის სიტყვას.

ჩემს ოთახში გავიკეთე ყავა, დილის 2 საათია, ჩავნექი ლოგინში, ცოტა ვიტყრე და აღარ მახსოვს რამდენი სიგარეტი მოვნიე ეგრე ჩამეძინა...

დილის 9 საათზე გამეღვიძა. სწრაფათ ჩავიცვი, ჩავჯექი მატარებელში და ცენტრისკენ გავეშურე. როცა სასტუმროში მივედი გავიცანი ბევრი მოცეკვავეები, ყველას ვეკითხებოდი ჩემ ცოლს ნინა ჯავახიშვილს ხომ არ იცნობდა ვინმე. ერთერთმა სურათიც კი გადამიღო, რომელიც ჩემი ნინიკოს მეზობელი გამოდგა და ერთ დღეს სურათებს რომ აჩვენებდა მეზობლებს, მოულოდნელად ჩემს ნინიკოს ჩემი სურათი შერჩა.



\*\*\*

ძლიერ მალე გარბის დრო, უკვე დეკემბრის თვე მოვიდა. ქალაქის ცენტრში გრიშა შემხვდა. სხვათაშორის, გრიშა ჩვენი ცოცხალი გაზეთი იყო, ყველაფერი იცოდა, ყველაფერს ჩვენზე ადრე გებულობდა, რაც გრიშამ არგენტინაში მითხრა, ყველაფერი თითქმის მართალი გამოდგა, როცა სამშობლოში ჩამოვედი, მიკვირდა საიდან ქონდა ეს ცნობები.

– გამარჯობა შოთა, შენ იცი ვანო ბურდულაძემ დედის წერილი მიიღო.

გადავწყვიტე, მომავალ კვირას ვნახო ვანო და წავიკითხო დედამისის წერილი. კვირა დილით წავედი ვანოს სანახავად. გზათ გაუფარე გიორგი მაჩხანელს,<sup>53</sup> პატარა ფიცრულში გეეხსნა დუქანი. გიორგის ცოლმა კუპატები შესწვა. ის იყო საუზმე გავათავეთ, ვანოც მოვიდა. ვუთხარი, რომ დედამისის წერილი მაინტერესებდა.

– რათ გინდა, ჩეკაში დაანერინეს დედაჩემს ალბათ, მაგათ სულელი ვგონივარ, ჩამიყვანენ და დამხვრეტამენ.

– განა რა ჩაიდინე ომის დროს, ალბათ გესტაპომ ბანაკების კომენდანტათ დაგნიშნა.

– ვინ მიმიშვებდა გესტაპოში, ლაგერის მზარეული ვიყავი, ბალანდას რა მცოდნე მზარეული უნდა, ჩაყარე ქვაბში გაუფრცქენელი, ტალახიანი კარტოფილი, დაასხი წყალი და ადულე სანამ არ დაიშლება სულ.

სადილის შემდეგ ფეხით წავედი შახბაზაროვის სახლამდი. გიორგი სახლში დამხვდა. თბილისიდან შეიღს ჩვენი მწვანილების თესლი გაუგზავნია. გიორგიმ ქართული ბოსტანი მაჩვენა. წამში ყორას საყასბოდან ვანომ მთელი ბარკალი ცხვრის ხორცი მოიტანა. გიორგი ძველი მზარეულია, ქართული მწვანილით გააკეთა ვახშამი. ოხ, რა გემრიელი იყო. შახბაზაროვი ქართველ ებრაელებთან ვაჭრობდა ამ მწვანილით, რომელიც თითქმის გამოუღეველათ ქონდა და ეს კარგ შემოსავალსაც აძლევდა. მისვლისთანავე ვანოს დედის წერილი გამოვართვი...

„შვილო ვანო, რა ხანია მთავრობამ ამინისტია გამოაცხადა, ძლიერ ბევრი ქართველი დაბრუნდა, შენ რაღას უყურებ შვილო, ჩამოდი სანამ მე კიდევ ცოცხალი ვარ, დეეპატრონე შენს ოჯახს, თუ ძლიერ გამდიდრდი, მაშინ ტურისტათ მაინც ჩამოდი, ერთხელ მაინც განახო. რამდენმა დედამ გაიხარა შვილის დაბრუნებით, სადამდის უნდა გიგლოვო ჩემო შვილო...“ მე თვალები ცრემლებით ამევსო, ვანო კი გიჟივით ილიმებოდა.

\*\*\*

არგენტინაში, ომის წინა ხანაში ცხოვრობდა ორი ქართველი. ერთის გვარი აღარ მახსოვს, რადგან პროვინციაში არყის ქარხნის დირექტორათ იყო, ძლიერ იშვიათად ჩამოდიდა ბუენოს-აირესში. მეორე ქართველი ცხოვრობდა ბუენოს-აირესში, რომელმაც სამასი ქართველისათვის გააკეთა ვიზა და პარიზში მღვდელს, მამაო ნიკოლოზ ზაბახიძეს გამოუგზავნა. სამასი ვიზიდან 84 ქართველი ჩამოვიდა არგენტინაში, ოცამდენ ძველი ემიგრანტი იყო. ერთ დღეს გაერთიანებული კრება მოაწყვეს. ძველ ემიგრანტებს უნდოდათ დეეარსებინათ

53 გიორგი მაჩხანელი (?-1969) – ქართველი ემიგრანტი, ხელოვანი, რომელმაც ფოკუსების კეთებაში სახელი მოიხვეჭა ევროპაში. მეუღლესთან ერთად გამოდიდა არგენტინის სხვადასხვა თეატრში. მათ 1952 წელს საგანგებო წარმოდგენა გამართეს არგენტინელი ქართველებისათვის.

ქართული კოლონია და თვითონ გამხდარიყვნენ მმართველები. ემიგრანტებს შორის მოხდა შეჯახება, გორგი გომელაური ამტკიცებდა მე ჩამოგიყვანეთ, მე უნდა ვიყო თავმჯდომარე, მე დიდძალ ხალხს ვიცნობო, თქვენ არც გზები იცით, არც ენა გაქვთო, მეორე მხარე გაყვიროდა ეს დიკტატურა გამოვაო, აქ ყოფილ ტყვეებმა აუნიეს ხმას — ჩვენ კენჭის ყრა უნდა მოვახდინოთ... ამიტომ მოხდა დაჯახება, ამ დღის შემდეგ ქართველები გაიყო ორ ჯგუფად. ძველი ემიგრანტები ჩვენ გვიხსენებდნენ როგორც საბჭოთა მხეცებს, ჩვენ კი მათ ჩადაგვარებულებს უწოდებდით.

მართალია, ერთ პანსიონში ვცხოვრობდით, ერთ სასადილოში ვიკვებებოდით, თითქოს, მტრები ერთი მეორეს სალამს აღარ ვაძლევდით.

\*\*\*

არჩილი კარგი მხატვარი იყო, როცა პანსიონიდან გაგდება დაუპირეს, მაშინ იკადრა სახლების მღებავათ დაიწყო მუშაობა, მალე გაიცნო ხალხი, გაიჩინა მუშტარი და თხუთმეტი კაცი, რომლებიც უსაქმობით გიჟდებოდნენ, არჩილმა გაიყვანა სამუშაოთ. თვითონ საღებავებს ამზადებდა, დანარჩენები კედლებს ღებავდნენ. მალე ყველამ შესძლო პანსიონის ვალის გადახდა, პატრონი ძლიერ კმაყოფილი იყო, ამიტომ მართო ქართველები დაგვპატიჟა ვახშამზე.

P.S. ბატონი შოთა თარხნიშვილი საფრანგეთიდან არგენტინის ქართულ ემიგრაციას 1950 წელს შეუერთდა. საქართველოში დაბრუნდა 1965 წელს. გარდაიცვალა 1990 წელს. დაკრძალულია მუხათგვერდის სასაფლაოზე. მის ჩანაწერებს კი, იმედია, მომავალში სრულად გამოვაქვეყნებ, რაც მეტად საინტერესო იქნება ამ თემატიკით დაინტერესებულთათვის.



შოთა თარხნიშვილის  
მოგონებების რეგულები  
და რევაზ გაბაშვილის მიერ  
ნაჩუქარი სამართებლის  
საღესი.



ნუნუ ჯავახიშვილი. თბილისი, 2013 წ.

## Georgian Captives and Georgian Emigration (Memoirs of Shota Tarkhnishvili)

Publication by Sophia Jervalidze

### Summsry

Researchers working on Georgian emigration have a very little information and knowledge about the person of Shota Tharknishvili and his memoirs which have been recently found in the family archives. Shota Tarknishvili wasn't a politician, neither a scientist, nor a writer or a public person. He was a victim of WW2 who spent years in Nazi captivity and came back to Georgia after 25 years. He was born on 18 March 1915. He completed his studies in the Artillery College in 1941 and was sent for service in Ukraine. The WW2 started in two weeks and soon he occurred in Nazi captivity. Upon release from the captivity he fought in the army of General De Gaulle, and then in French Foreign Legion, at the same time he was a member of Georgian emigration in Paris. In 1950 he joined Georgian emigration in Argentina.

Shota Tarkhnishvili came back to Georgia in 1965 and started drafting his memoirs where he describes his life in emigration in details. It is by accident that his memoirs were discovered, without them we would never learn about his life under ww2, under Nazi captivity, and the life of Georgian emigration in France as well in Argentina in such details.

Some parts of his memoirs are published the first time; they may be interesting for researchers working on Georgian emigration abroad.

## გადრი ქუთაია, გრიგოლ კალანდაძე

### დიასპორების ტრანსფორმაციული პოტენციალი

(საბერძნეთის ქართული დიასპორის მაგალითი)

#### 1. წინათქმა.

გამოკვლევა ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაცია დიასპორული კვლევების ცენტრის მიერ ილიას უნივერსიტეტის მხარდაჭერით 2015 წლის ზაფხულში. იგი თვისობრივი ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა კონკრეტული დიასპორის მაგალითზე სოციალური ცვლილების პოტენციალის გამოვლენას. მიუხედავად დასახელების პრეტენზიისა, პრაქტიკულ შედეგზე, მთავარი მაინც იყო დიასპორის, როგორც ცვლილების აგენტის შესაძლებლობების შესწავლის მეთოდოლოგიური და ინსტრუმენტული მიდგომების საკითხების მომზადება. თუმცა, არც პრაქტიკული მხარეა ინტერესს მოკლებული. ინტერვიუებისათვის გამოყენებულ იქნა გუგლის ონლაინ აპლიკაცია, რამაც ერთგვარი გავლენა იქონია კვლევის მომზადებაზე, ჩატარებასა და ანალიზის წარმოგდენის ფორმაზეც.

ბოლო ორი-სამი ათეული წლის მანძილზე გლობალიზაციამ, ინფორმაციის ნაკადების ზრდამ და აჩქარებულმა ცვლილებებმა ახალ პირობებში ჩააყენა ადამიანთა ერთობები და მათ შორის, დიასპორებიც, რომელთა საარსებო გარემო პირობები და შინაგანი განწყობები ფაქტობრივად ახალი ტიპის სოციალურ მოქმედ სუბიექტს აყალიბებენ. ადამიანსა და მის გარემოს შორის ურთიერთობის, ჩვენი აზრით, მთავარ პრობლემად დღეისათვის რჩება ამ ორი სისტემის ცვლილებათა ტემპების თანხვედრა. ადამიანის ცნობიერების შესაძლებლობანი, ახალ ტექნოლოგიებში რეალიზებული, რამდენადმე მოულოდნელად ადეკვატურიც კი აღმოჩნდა ადამიანისავე ინდივიდუალურ-ფიზიოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ და სოციალურ-სტრუქტურული დატვირთვისათვის. ამ მხრივ, დიდი ხანია მსჯელობა მიდის თანამედროვეობის კულტურული შოკის შესახებ. ამასთან ერთად, ახალი რეალობის ინტერპრეტაციის მცდელობებმა წარმოქმნა ცნობიერებისმიერი კონსტრუქტები, პოსტმოდერნულობის შოკური გარემოებები, რომლებიც კიდევ უფრო მეტ დატვირთვას ახდენენ საკმაოდ კონსერვატულ (აქამდე მაინც) ჩვეულებით რეაქციებზე და სიახლის აღქმისადმი ინტელექტუალური მზაობის ფორმებზე, რაც

კულტურულ ტრადიციებში იდებოდა საუკუნეების განმავლობაში. დიასპორების მაგალითზე, კონკრეტული სოციალური გარემოს შეცვლით გამოწვეულ კულტურულ დატვირთვას დაემატა ზოგადსაკაცობრიო მზარდი ცვლილებების ეფექტიც, რაც სავარაუდოდ, ამძიმებს ადაპტირების შესაძლებლობას. თუმცა, მეორე მხრივ, დიასპორის ერთი ნაწილისათვის, გაზრდილი შოკური სიტუაცია მეტი მოქნილობის სტიმულატორიც კი არის. სოციალური ტრანსფორმაციული პოტენციალის შესწავლა სწორედ ამ წინააღმდეგობამ – გაცნობიერებულ ცვლილებების აუცილებლობასა და მეორე მხრივ სოციალურ-კულტურულ და ფსიქოლოგიურ მზადყოფნას შორის წინააღმდეგობამ – აქცია აქტუალურ საკვლევ პრობლემად.

ამავე დროს, შემოთავაზებული გამოკვლევა ერთგვარად კვლევითი ექსპერიმენტის ხასიათს ატარებს. იმდენად, რამდენადაც ცდილობთ შეცვლილ დიასპორულ გარემოებებში ქართული დიასპორების შესწავლას (რაც მეთოდოლოგიების გადასინჯვას გულისხმობს) და ასევე, საკუთრივ ტრანსფორმაციის მაჩვენებელი განხლავთ ექსპერიმენტული სიახლე, რომლის შემუშავება არავითარ შემთხვევაში არ ამოინურება მხოლოდ წარმოდგენილი კვლევის შედეგებით. სოციალური ცვლილებებისათვის მზადყოფნის ინდექსი მოითხოვს მისი სტრუქტურის შემდგომ დახვეწას, რისთვისაც აუცილებელია მასზე შემდგომი დაკვირვება. რაც ჩვენი მომავალი საქმიანობის ამოცანაა.

## 2. შესავალი. სოციალური დროის დიალექტიკა ანუ მდინარეობა

დიასპორების კვლევას თავისი ისტორია აქვს. იგი თვისობრივად განსხვავებული იყო ისტორიულად და სავსებით ახლებურია დღეს. თუმცა, ეს შეიძლება ითქვას ყველა სხვა რეალობის ნაწილების შესახებაც: თანამედროვე კვლევის თავისებურებები ისტორიულად არსებული კვლევებისაგან განსხვავებულია უპირველეს ყოვლისა ურთიერთობის იმ საშუალებების გამო, რომლებიც გაგვაჩნია დღეს და არ გააჩნდათ ადრე. შეიძლება ასეც ითქვას: ადრე დიასპორების მიმართ განსხვავებული ინტერესი იყო, დღეს კი დიასპორების არსებობის, მოქმედების მიზნები და ამოცანები სულ სხვაგვარად მოიაზრება. სწორედ ამიტომაც, არა მხოლოდ კვლევის, შესწავლის განსხვავებული შესაძლებლობების, არამედ **სხვაგვარი ხედვების გამოც არის სხვადასხვა ისტორიული და თანამედროვე კვლევები დიასპორისა.**

ეს საკმაოდ მჭიდროდ უკავშირდება წარმოდგენილ გამოკვლევაში გამოყენებულ მიდგომებს, რის გამოც ჩვენი ანალიზის შესახებ საუბარი აღრინდელი და ახლანდელი კვლევების შეფასებით დაიწყო. ზუსტად იმდაგვარად, როგორადაც ისტორიული მიდგომები და შესწავლის შესაძლებლობები განსხვავდებოდა თანამედროვეთაგან, ჩვენი კვლევა ცდილობს გამოიხატოს სხვა, აქამდე არსებულ სოციალური ხასიათის დიასპორულ კვლევათაგან განსხვავებული მიდგომა.

დიასპორის კვლევები ასევე განსხვავებულია სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებს შორისაც. მათგან ზოგი ისტორიულად საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ზოგი კი თანამედროვეობასთან ერთად დაიბადა; თუმცა, „ისტორიული“ დისციპლინები არსებობასაც განაგრძობენ და პასუხგაუცემელ საკვლევ კითხვებზე უაღრესად აუცილებელ ცოდნას ჰქმნიან. განსხვავება დისციპლინათშორის კვლევებსა, ანუ სხვადასხვა მეცნიერებებში ერთი და იმავე დროითი მონაკვეთში ჩატარებულ კვლევებს შორის და ობიექტისადმი დროში დაშორებულ მიდგომებს შორის ერთნაირად

დიდა: როგორც სხვადასხვაგვარად გვიყვებიან დიასპორების შესახებ დროში და-შორებული ადრინდელი და მერმინდელი კვლევები, ზუსტად ასევე სხვადასხვა დიასპორული ხედვებიდან გვესაუბრებიან დიასპორის შემსწავლელი სხვადასხვა მეცნიერებები. შეიძლება განვასხვავოთ დიასპორის კვლევები ისტორიულ-მეცნიერული, კულტურულ-განმანათლებლური, ეკონომიკურ თუ ერთაშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით და ყველა ამ დისციპლინის გვერდით ცალკე თემად გამოვყოთ დიასპორების სოციოლოგიური შესწავლა (თუ გნებავთ, ანთროპოლოგიური მიდგომებით, თუკი დასავლურ კვლევებს ვიქონიებთ მხედველობაში). სოციოლოგიურის გამოკლებით – თითქმის ყველა დანარჩენი, ეკონომიკურის ჩათვლით, კვლევის ტრადიციულ სოციალურ-კულტურულ მეთოდებს ემყარება, სოციოლოგია კი, თუმცა სოციალური და კულტურულ-ანალიტიკური მეცნიერებაა – ცდილობს უფრო მეცნიერული (ფსიქოლოგიის მსგავსად) მიდგომები განახორციელოს. შედეგად, მაგალითად, ქართული დიასპორების კვლევებს თუ ვიგულისხმებთ, მე-19 და ადრინდელი საუკუნეებისადმი მიძღვნილი კვლევები იმით განსხვავდება მე-20 საუკუნის დიასპორების შესწავლისაგან, რომ უკანასკნელში მეტად არის გამოყენებული სტატისტიკური აპარატი, ვიდრე ეს შეიძლება გვხვდებოდეს სოციალურ-ჰუმანიტარულ დისციპლინებში.

ამავე დროს, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოების მეცნიერული შესწავლის ისეთი თანამედროვე მეთოდი, როგორცაა სოციოლოგია, ასევე განიცდის ცვლილებებს და მისი უდიდესი მიდგომების რეალიზაცია სრულიად განსხვავებულია მე-19, მე-20 და 21-ე საუკუნეებში. ჩვენი გამოკვლევა, ერთი მხრივ, რჩება იმ სოციოლოგიის ნაწილად, რომელსაც მიმართავდნენ ადრეც, მაგრამ, მეორე მხრივ, გვაქვს მცდელობა მეცნიერულ მეთოდებს ახალი შინაარსი შევძინოთ.

ეს შეიძლება შემდეგში მდგომარეობდეს, (რაც უმთავრესად შეიძლება ჩაითვალოს და არა მხოლოდ დიასპორის კვლევის მაგალითისათვის მნიშვნელოვნად): თუ კვლევის ისტორიული, კულტურული და სოციალურ-ანთროპოლოგიური მეთოდები კვლევის სოციალურ ობიექტებს **ისტორიული წარმომავლობის ქრილში** განიხილავ(დ)ენ, ხოლო სოციოლოგია უფრო სოციუმის დღევანდულობის შესწავლით იყო დაკავებული, ჩვენ გვაქვს მცდელობა სოციალური ცხოვრება (ამ შემთხვევაში, დიასპორის) **მომავლის ქრილში** განვიხილოთ, მისი პოტენციურობის მიმართებაში. ანუ, შეიძლება ითქვას, ამ კვლევაში შეგნებულად უნარს ვამბობთ სოციოლოგიისათვის დამახასიათებელ დღევანდულობის სოციალურ-სტატისტიკურ ან სოციალურ-ეკონომიკურ დახასიათებაზე და მახვილს ვსვამთ **დღევანდულობაზე, სამომავლო თვალთახედვით**. თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკვლევი პრობლემის ამგვარი დასმა ზოგადად, ერთდროულად აქტუალური, რთული და სამსჯელო საკითხია, თუმცა აქ შეიძლება ერთი რამ შევნიშნოთ: *თუ დღემდე წარსულზე ვაგებდით ანმყოს და შემდეგ მომავლის ასე აგების მეთოდოლოგიას ვემყარებოდით (ილია, ლეიბნიცი, ვიგოდსკი) ვინაიდან დღევანდულობა წარსულის „კუთვნილება“ იყო. დღეს უკვე დღევანდულობა მომავლის „კუთვნილებაა“, რის გამოც არა წარსულის, არამედ მომავლის (რომელიც ისედაც უკვე აქ არის) დღევანდულობაში „გადმოტანაზე“ უნდა ვიზრუნოთ (ანმყო შობილი მომავლისაგან..?!).*

ამას გარდა, ვაღიარებთ რა გამოყენებითი სოციოლოგიის პრაგმატულ ხასიათს და მის საჭიროებას, აღვნიშნავთ, ასევე, მის არაეფექტურობას სოციალური საკითხების წარმოდგენაში. ხოლო ეს არა იმდენად „მრუდე“ (ი.კაჭკაჭიშვილი) სოციოლოგიის „ბრალია“, რამდენადაც სოციოლოგიის ხშირად რუტინული გამოყენებისა ზედაპირული შედეგების მიღების მიზნით. ამ კვლევით გვინდა ვცადოთ და გამოვი-

დეთ დადგენილი სქემიდან<sup>1</sup> (უ.ბეკ – „საგნობრივი გამოქვაბულიდან“) და ვცადოთ ახლებური ცოდნის მიღება.

ნუ ვიფიქრებთ, რომ პირველი შედეგები აუცილებლად სოციალურად პრაქტიკული ხასიათის იქნება. თუ დღევანდელი სოციო-სტატისტიკური აღწერიდან დღევანდელი პრაქტიკული სურათის დახატვას ვეპირებით, ჩვენი კვლევა უფრო **მეთოდოლოგიური კვლევა-ძიების ხასიათს** ატარებს — სხვაგვარად ჩვენს მიერ კვლევის წინაშე დასმული ამოცანის რეალიზაცია ვერ მიიღწევა; როგორც ჩვენი კვლევა და მისი ობიექტ(ებ)ი განვითარებადი ხასიათისაა, ასეთივე განვითარებას დაჰყვებიან უნდა იყოს ჩვენი კვლევითი აპარატიც.

სიახლის შემოტანა თანდათან დაიბადა, ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ ახლა:

ვიდრე მეტი იყო შეგრძნება იმისა, რომ დღევანდელი დღე ჩვენს წარსულსა და დღევანდელობას უკავშირდებოდა (რომელიც მომავალში გადაიზრდებოდა, რა თქმა უნდა), ჩვენს მიერ ჩატარებული მცირე დიასპორული კვლევები რუსეთის დიასპორისა სწორედ სოციალურ-სტატისტიკური და თვისობრიობის აღწერითი დონით კმაცოფილდებოდა. შემდგომში თანდათან აშკარა გახდა დიასპორის ცვლილება-განვითარების, მისი სხვადასხვა, არადიასპორალური და სწორ შემთხვევაში, არაქართული ძალების მიერ გამოყენება-მოზილიზების ან ამის მცდელობის სურათი, რამაც გვაიძულა სხვაგვარად შეგვეხედა დიასპორის, როგორც საზოგადოებებსა და საზოგადოებას შიგნით „ხილის“ (დამაკავშირებელი მედიუმის) ფუნქციის მატარებლისათვის. დიასპორის, როგორც გადასვლის ფუნქციის მატარებლის სოციოლოგიური გააზრების შედეგად აუცილებელი გახდა მისი არა მხოლოდ როგორც სივრცეში, არამედ როგორც დროშიც ცვალებადი და გავლენის მქონე ერთეულის აღქმა. სწორედ ეს იყო მიზეზი ჩვენს მიერ, 2008 წლიდან მოყოლებული, მეთოდიკებში შესაბამისი ცვლილებების შეტანისა, თუმცა კი წარმატებული რეალიზაციის გარეშე. მეთოდიკურ ექსპერიმენტებში აისახა პირველ რიგში **სოციალური ცხოვრების, მისი პირობების, მატერიალურობის გამომხატველი ელემენტების შეცვლის უაღრესად მაღალი ტემპი; ამას მოჰყვა სოციალურ-პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ და ბოლოს, სოციალურ-ცივილიზაციურ პრიორიტეტებში გარკვევის აუცილებლობა. რასაც სათანადო ახლებური თეორიული მიდგომა და მეთოდოლოგიური დამუშავება ესაჭიროებოდა.**

იღია წინამდებარე კვლევის ჩატარების შესახებ მოგვიანებით ჩაისახა. კერძოდ, 2014 წელს, როცა შევეცადეთ უკვე თბილისიდან განგვეახლებინა მსოფლიო ქართული დიასპორის კვლევები. დაგვეთანხმებით, ეს ძლიერ პრეტენზიული წამოწყებაა, რომელსაც საკმაო სახსრების მოზიდვა ესაჭიროება. თანდათან, კვლევა ტრადიციული სოციო-ეკონომიკურ-სტატისტიკური ხასიათიდან გადავიდა მეთოდოლოგიის თვისობრივი განახლების პლატფორმაზე. ამის მიზეზი შესაძლოა, ისიც იყო, რომ მასშტაბული კვლევის დაფინანსების ნაკლები პერსპექტივა გვექონდა, ხოლო მეთოდოლოგიურ ექსპერიმენტირებას ფიქრის დონეზე არც იმდენი თანხები ესაჭიროება. მცირედ დაფინანსებული სოციალურ-სტატისტიკური კვლევის რეალიზაციაზე უარის თქმა ასევე განაპირობა ჩვენს მიერ სოციოლოგიაში ცვლილების ხედვამ 21-ე საუკუნის დასაწყისში<sup>2</sup>.

ამიტომ, პრაქტიკული ხასიათის ორგანიზაციის ეგიდის აკადემიური ფარი ვარჩიეთ, იმ იმედით, რომ აქ უფრო შესაფერისი იქნებოდა აქცენტი გაგვეკეთებინა

1 Beck, U. and Willms, J. *Conversations With Ulrich Beck / The British Journal of Sociology* 2004 Volume 55 Issue 4, p.587-1

2 ბ. ქუთელია, საზოგადოებრივი აზრი თუ სოციოლოგია, ინტერნეტ პუბლიკაცია <[http://doctor-alschool.ge/?page\\_id=1080](http://doctor-alschool.ge/?page_id=1080)>

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური განახლებაზე და არა მის პრაქტიკულ „პრაგმატულ“ ხასიათზე.

თუმცა, ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი თვისობრივი ძიებანი უფრო პრაგმატულიც კი შეიძლება აღმოჩნდეს. მით უფრო, მომავალთან, და წარსულთანაც, მიმართებაში.

### 3. პრობლემა

არსებობდა მცდარი მოსაზრება, რომ ქართველებს არ უყვართ თავიანთი სამშობლოდან სხვაგან წასვლა. დაგვეთანხმებით, არც სხვას უყვარს მშობლიური თბილისი კერის მიტოვება, მათ შორის, ისეთ ერებსაც, ვისი სახელებიც „სხვათა ტერიტორიებზე“ ცხოვრებით არის ცნობილი. ქართველი ისტორიულად ყოველთვის აქტიური მონაწილე იყო ფართო გეოგრაფიული არეალის – რომელიც იმდროინდელ მსოფლიოდ იწოდებოდა – ცხოვრებაში. ემიგრაციაში მიდიოდა სამი – **სიღუბნის, ძალმომრეობითი და კულტურული მიზეზის** გამო. ვერც იმას ვიტყვი, რომ მხოლოდ პირველი იყო ქვეყნიდან გასვლის პირობა. — მაშინაც კი, როცა საქართველო ფრიად წარმატებული ქვეყანა იყო, ქართველები კულტურულ-საგანმანათლებლო მუდმივ ქსელებს ქმნიდნენ მომიჯნავე თუ საკმაოდ შორეულ ქვეყნებში – როგორც ქართული ეროვნული კულტურის, ასევე, ზოგადადაც, კულტურისა და ცოდნის განვითარების მიზნით. შეიძლება თუ არა ეს **კულტურ-ტრევერული მიგრაციები** დიასპორულად ყოფილიყო მიჩნეული? რასაკვირველია, თუკი ეს ცენტრები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აერთიანებდნენ ქართველებს თავიანთ გარშემო. მეორე ტიპი არის **ძალმომრეობითი მიგრაცია**, რომელმაც რიგ შემთხვევებში (ფერეიდანი) დიასპორების ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა. რაც შეეხება **ეკონომიკურ მიგრაციებს**, ალბათ ეს და მისი კარიერული ქვესახეობა შეიძლება ჩათვლილიყო ბოლო დრომდე თანამემამულეობის პრინციპის არამატარებელად.

იძულებითი ემიგრაციისა და დიასპორების წარმოქმნის ბოლოდროინდელი მაგალითებია რუსეთის მიერ მე-20 საუკუნის 20-იან და 90-იან წლებში განხორციელებული მთლიანი და ნაწილობრივი ოკუპაციების შედეგად მთავრობებისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილების გადასვლა უმთავრესად ევროპასა (სოვეტიზაციის წლებში) და რუსეთში (რუსეთ-საქართველოს ომები აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გამო); 1992-1996 წლებში არნახული მიგრაცია რუსეთის მიმართულებით (სხვადასხვა შეფასებით — 600 000-დან 1500 000-მდე) განაპირობა სხვა საბჭოთა საზღვრების გაუმჭვირვალობამ და ჩვენმა სხვა მსოფლიოსაგან განსხვავებულმა საბჭოთა (მი)ჩვევამ.

ეს წარმოშობის მიზეზების შესახებ. ხოლო რაც შეეხება მიგრაციისა და შემდგომში მიგრანტების დიასპორებად ფორმირების პრობლემას, შეიძლება ვთქვათ, რომ მასობრივი მედიისა და კომუნიკაციის საშუალებების გამო, მეტი საფუძველიც ჰქონდა მიგრანტების დიასპორებად გადაქცევას. პირველ რიგში, ქვეყნის რუსეთთან **საომარ მდგომარეობაში გადასვლით განპირობებული ამოცანების რეალიზაცია იყო ქართველების დიასპორებად გაერთიანების ერთ-ერთი საფუძველი; შემდეგში დაემატა თვითიდენტიფიკაციის საკითხი**, რამაც დიასპორიზაციის პროცესში გამოიწვია ადრე ეკონომიკური და კარიერული მიზეზებით გადასული ადამიანების ჩართვაც (ძირითადად, რუსეთში).

აღვნიშნავთ, რომ ტექნოლოგიური, კულტურული თუ სულიერი ცვლილებები ამ უახლეს დროში უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი იყო, ვიდრე ისტორიულად



საუკუნეების განმავლობაში, რამაც ზოგან განაახლა და ზოგან ბიძგი მისცა იდენტურობის შენარჩუნების პრობლემის აქტუალიზაციას. ეს, ჩვენი გაგებით, უკავშირდება ერთი მხრივ, **მასობრივი** მედიის, როგორც ზეგავლენის სასუალების გაძლიერებას. და მეორე მხრივ, თუმც პარადოქსულია, მასობრივი მედიის გავლენის შესუსტებას: — ე.წ. დიგიტალური **სოციალური** მედიის წინა პლანზე წამოწევის, და ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური მედიების ახლებური რეანიმაციის ფონზე.

პოსტინდუსტრიულ სინამდვილეში ხანგრძლივმა ცხოვრებამ შეცვალა დიასპორების ხასიათი და მის გასაგებად ერის, მოქალაქეობის, ოჯახის და სხვა სოციალური ინსტიტუტების ადრინდელი მიდგომები აღარ გამოდგებოდა. დიასპორას გარე სამყაროს (გარე გარემოებების) შეცვლასთან ერთად გაუჩნდა შიდა გარემოებების შეცვლის არგუმენტიც დიასპორის წევრებში (და არა ოდესღაც გადასულ არადიასპორულ ქართველებში), რამაც დიასპორების მიმართ ახლებური ინტერესები წარმოშვა.

ყოველივე ამას არ და ვერ ითვისებდა დიასპორების შესწავლის ამოცანები, თუნდაც იმიტომ, რომ პროცესს „დაღვინება“ ესაჭიროებოდა. დღეს შეგვიძლია საუბარი **გარეშე გარემოებებისა და შიდა პიროვნული გარემოებების** თვისობრივ შეცვლაზე, რაც დიასპორის გაგების მსურველთა წინაშე საკითხს ახლებურად აყენებს.

ცალკე თემაა დიასპორული მიმართებების კავშირების **სივრცული, კულტურულ-გეოგრაფიული განფენილობა** — რაც რეფლექსიისა და კონკრეტული შესწავლის საკითხადა არის გადაქცეული; და **დროითი განფენილობა**, როგორც პოსტინდუსტრიული თანამედროვეობის გააქტიურებული ასპექტი: დღევანდელ ინფორმაციულ რეალობაში გვერდი-გვერდ არიან არა მხოლოდ განსხვავებული ეროვნებების კულტურები, არამედ ცალკეული ეროვნების ისტორიულად (დროში) განსხვავებული კულტურებიც.

**სივრცეში განფენილ მეზობელ კულტურებთან** ურთიერთობის საკითხის პრობლემურობა ასე თუ ისე აღქმულია საზოგადოების დონეზე და შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის მეტ-ნაკლებად მწვავე, მაგრამ საზოგადოებრივად უკვე აღიარებული სოციალური პრობლემა.

რაც შეეხება „შიდაგარემოებით“ ურთიერთობებს **ძველ, ახალ და სამომავლო იდენტობებს** შორის, ეს შეიძლება უფრო მტკივნეულიც იყოს, ოღონდ საზოგადოებრივად გაცილებით ნაკლებად აღიარებული, როგორც სოციალური პრობლემა. ანუ ეს არის გაუცნობიერებელი სოციალური პრობლემა.

ჩვენს საკვლევ თემასთან მიმართებაში საყურადღებოა როგორც გარეშე, **გარემოს გარემოებითი პირობები**, ასევე **შიდა განწყობილების ცვლილების ფაქტორიც**. ორთავე ერთნაირად განმსაზღვრელია იმისა, თუ როგორი იქნება დიასპორის წარმომადგენლის, სოციალური მოქმედი პირის (სოციალური ეიჯენსი) პრიორიტეტული ორიენტაციები. მით უფრო, დემოკრატიულ და ინდივიდუალიზებულ სამყაროში, რასაც დღევანდელი მსოფლიო წარმოადგენს.

დღეს ქართველს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შეხვდება. და აქ არსებითია ის, რომ ადრეულ დროში საქართველოდან წასული ადამიანისაგან განსხვავებით, რაგინდ შორს წასული ახალი მიგრანტი უფრო „ახლოა“ მის წარმომშობ საზოგადოებასთან, თუნდაც საერთოდ არც ფიქრობდეს და არც ჰქონდეს დიასპორული საქმიანობის საშუალება ან სურვილი.

### 3.1. პრაქტიკული და სოციალური პრობლემა

პრობლემის პრაქტიკული მხარე ალბათ უფრო ადამიანთა და სოციალური ჯგუფებისა) მოთხოვნილებებსა და მოთხოვნებს და მათი ბ) მოლოდინებისა და სოციალური ცვლილებებით გამოწვეული დანაპირებების რეალიზაციას ეხება. პრაქტიკულ პრობლემას ინდივიდუალურ-პიროვნულთან ერთად აქვს ჯგუფური კუთვნილების ასპექტიც, როგორც სოციომეტრიულ, ასევე სოციო-კულტურულ განზომილებაში, ანუ ჯგუფური ჩართულობისა და სოციო-კულტურული მიკუთვნების განზომილებებში. პრაქტიკაში სოციომეტრიული და სოციო-კულტურული საურთიერთობო მახასიათებლები განსაზღვრავენ პიროვნების, ჯგუფის სოცი-ალურ განწყობებს, მათ ურთიერთ დისპოზიციებს. შეიძლება ვილაპარაკოთ ამ განწყობების არაცნობიერ ხასიათზე. თუმცა კი ისინი ექვემდებარებიან გაცნობიერულ აღქმას, მათით მოტივირებული ქცევა მაინც შეიძლება არაცნობიერ სფეროში დარჩეს. ესეც პრობლემის პრაქტიკული მხარეა. მიუხედავად გამოყენებული ტერმინოლოგიისა.

პრობლემის სოციალური მხარე, ჩვენი გაგებით, საზოგადოებრივი მთელის განვითარების საკითხს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „განვითარება“ სოციოლოგიაში მეტწილად ტერმინმა „ცვლილებამ“ შეცვალა, მაინც, როცა საუბარია სოციალურ ცვლილებებზე, იგულისხმება ცვლილება გარკვეული მიმართულებით, რომელიც დამახასიათებელია ალბათ კაცობრიობისათვის; ასევე, ტერმინი „ცვლილება“ გულისხმობს კონკრეტული სოციალური მთელის შეფერხებულ ან უარყოფით თუ უარყოფილ „განვითარებას“.

ძლიერ საჭოჭმანო და საჩოთიროა განვითარების ისეთი მიმართულებები, რომლებიც „პოსტ-ჰუმანს“ ან „პოსტ-ადამსაც“ კი გულისხმობს. ამას ყოველნაირად შეენინაალმდეგება დღევანდელი ადამიანური ან თუნდაც არაჰუმანური ადამიანიც კი; მაგრამ ტექნოლოგიური განვითარება ადამიანის გარემო პირობებს, გარემოებებს და იქნებ, თვით ადამიანსაც ანაცვლებს. სოციალური აგენტის (სოციალური მოქმედი პირის) მიერ საკუთარი პიროვნულობის ინდივიდუალური თუ ჯგუფობრივი აღქმა, რომელიც დღეს გვაქვს (რათქმაუნდა წარსულიდან გამომდინარე) წინააღმდეგობაშია ჩვენივე, სოციალური აგენტისავე ადამიანისეული მოქმედებების დღევანდელ შედეგთან. ალბათ მთავარი სოციალური პრობლემაც ეს არის, და არა ურთიერთთანხმობები და ურთიერთგაუგებრობები სახვადასხვა სოციალურ მოქმედ პირებს შორის.

დიასპორასთან მიმართებაში ეს აღიქმება როგორც ერთი რეალობისათვის მომზადებული ადამიანი, სოციალური სუბიექტი და მის წინაშე გამლლი მოულოდნელი სამოღვანეო არეალი, რომელიც ადამიანს მისი სოციალიზაციისათვის რამდენადმე უჩვეულო მოლოდინებს კარნახობს.

რამდენად ვართ, ან არის დიასპორის ქართველი, მზად ასეთი წინააღმდეგობის გადასანყვეტად, ან მასთან შესაგუებლად? ალბათ ეს უფრო მნიშვნელოვანი საკითხია სწრაფად ცვალებად გარემოში, ვიდრე ის, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული ან კულტურული მახასიათებლებით გამოვიჩინეთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საკითხის ამგვარი დასმა გვინტერესებს.

### 3.2. სამეცნიერო და საკვლევო პრობლემა

რასაკვირველია, ის პრობლემა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, აუცილებლად გადაწყდება, ასე თუ ისე. ობიექტურად, სამყაროს მარადიულობის თვალსაზრისით, ნებისმიერი გადაწყვეტა სხვა ნებისმიერი გადაწყვეტის ტოლფასი იქნება, ანუ შეიძლება, საერთოდაც არაფერს ნიშნავდეს. პრობლემა გადაიჭრება, დამოუკიდებლად იმისა, მივლევთ თუ არა **მის გადაჭრაში** და —რაც უფრო მნიშვნელოვანია— **მის ჩვენთვის გადაჭრაში** მონაწილეობას. ხოლო თუ ვერ ვიმონაწილეობთ, ვერ ვმართავთ, გავერკვეთ მაინც, რა გვირდა და რისი იმედი შეიძლება გვექონდეს. ამისთვის კი, საჭიროა პრობლემას მეცნიერების თვალთ შევხედოთ. ანუ ზოგადი, პრაქტიკული და სოციალური პრობლემა, რაც ჯამში ერთია, კონკრეტული მეცნიერების ჩრდილში განვიხილოთ.

ძალუძს თუ არა ეს სოციოლოგიას? პასუხი შეიძლება ოპტიმისტურიც იყოს და პესიმისტურიც, მაგრამ მცდელობა ამის გამო ამ კონკრეტულმა მეცნიერებამ არ უნდა დააკლოს. ჩვენ ზემოთ შესავალში აღვნიშნეთ, რომ სოციოლოგიას, რომლის მაგივრადაც საკმაოდ ხშირად სოციალურ მეცნიერებას ხმარობენ (და ამით ემიჯნებიან სოციოლოგიურ მიდგომას), ხშირად რაიმის დასამტკიცებლად იყენებენ, ხშირად, მოსამსახურისა, და არა ახალი ცოდნის მომტანის როლში. ზოგჯერ კი საერთოდაც, მის შედეგებს აქსესუარებად აქცევენ რაიმე წინასწარ განსაზღვრული მტკიცებულების ოდენ გასაფორმებლად. იმისათვის, რომ სოციოლოგია აღნიშნული მდგომარეობიდან გამოვიდეს, მან ჯერ უარი უნდა თქვას მის შემზღუდავ საკუთარ გამოცდილებაზე აგებულ ჩარჩოზე, რომელიც კარნახობს ჩვეულებით საკვლევ მოქმედებებს<sup>3</sup>. დიასპორის თვისობრიობის ცვალებადობის გავლენის კვლევაში ჩვენ სწორედ ასეთი სამეცნიერო პრობლემის დასმას ვცდილობთ: როგორია მისი მზაობა **სწრაფ და მზარდი აჩქარების სოციალური ცვლილებების**, სხვადასხვა განმარტებებით— მაღალი მოდერნიტის, პოსტ-მოდერნიტის, ნეალწყალა მოდერნიტის თუ პარადოქსული მოდერნიტის **პირობებში შეინარჩუნოს იდენტურობა** შეცვლილი ფორმით, რათა შეძლოს ცვლილებების გამონვევებისათვის თავის გართმევა.

ჩვენი პროექტისათვის, პირველ რიგში, **ცვლილების მნიშვნელობას განვიხილავთ დროით-კულტურულ და მეორე რიგში – სივრცულ-კულტურულ ასპექტში**. თუმცა, ცნობილია, ორთავე ერთია და განუყოფელი. ასევე, როგორც აღვნიშნეთ დროით-კულტურულ ასპექტში გველისხმობთ სოციალური ინდივიდის მიმართებას მომავალ შესაძლო მდგომარეობასთან და არა წარსულ გამოცდილებასთან (**У каждого настоящего есть свое будущее, которое освещает его и которое исчезает вместе с ним, становясь прошлым-будущим**)<sup>4</sup>; (**Время есть мысль или мера, а не сущность, Антифонт**)<sup>5</sup>.

როცა სოციალური პრობლემა, ასეთად აღქმული, საზოგადოების ან სპეციალისტების მიერ მეცნიერების პრობლემად დაისახება, საჭიროა გადაწყდეს მისი შესწავლის

3 ულრიხ ბეკ and all who look to sociology 'need a reasonable picture of meta-change that they can use to orient themselves' in:  
*Beck, U. and Willms, J. Conversations With Ulrich Beck / The British Journal of Sociology 2004 Volume 55 Issue 4, p. 587-11*

4 უ. ბ. სარტრი, <<http://www.wisdomcode.info/ru/quotes/authors/58366.html?page=1>>

5 ანტიფონ: <<http://www.wisdomcode.info/ru/quotes/authors/53620.html>>

საკითხები. ამდენად, იგი საკვლევ პრობლემადაც იქცევა. ჩვენს მიერ დიასპორების დღევანდელი მდგომარეობა, განსხვავებული ადრინდელი დიასპორებისაგან, მდგომარეობს მის, ერთი მხრივ უფრო იოლად „დასაშლელ“ მთელად, რომლის წევრებიც კულტურული ინფორმაციის მრავალფეროვან ნაკადებში ადვილად მიჰყვებიან ამ ახალ დინებებს და არა თუ ტრანსფორმაციას ექვემდებარებიან, არამედ, უფრო იოლად, სხვა კულტურების ნაწილებად იქცევიან. მეორე მხრივ, ამავე ინფორმაციული მრავალფეროვნების დინებებში და ინფორმაციული წვდომის გაიოლების გამო, სურვილის შემთხვევაში უფრო მეტადაც კი არის შესაძლებელი **წარმომავლობითი თვისობრიობების შენარჩუნება და განვითარება**, ანუ, ჩვენი გაგებით, **ტრანსფორმაცია, ახალ თვისობრივ მდგომარეობაში გადასვლა**. ამგვარად ტრანსფორმაცია დაპირისპირებული არის მეობის შენახვასთანაც და მის სრულ დაკარგვასთანაც. ჩვენი აზრით, თანამედროვე დიასპორებისათვის სწორედ ეს უნარი – შენარჩუნდეს და განვითარდეს ტექნიკური თუ კულტურული სიახლეების პირობებში, იმსახურებს ყურადღებას.

ზოგადი პრობლემა ამ საკვლევ პრობლემით შემოფარგლეთ, – თუ როგორია ახალი, *მოზღვავებული ინფორმაციისა და მისი გაცვლა-გავრცელების გართულბულ და მრავალგვარ შესაძლებლობებში დიასპორის წევრებისა და ამდენად, დიასპორის, ამ სოციალური ჯგუფის პოტენციალი ფეხი აუწყოს ან ხელი შეუშალოს საზოგადოების ახალ თვისობრიობაში გადასვლას*. რასაკვირველია, ასეთი საკვლევ პრობლემის გადაწყვეტა გამოყენებადი იქნებოდა სხვა ჯგუფებისათვისაც და არა მხოლოდ დიასპორებისათვის.

ეს თვისობრივად ახალი საფეხურია დიასპორების კვლევებში. თუ მე-19, მე-20 საუკუნეების ქართული დიასპორების შესწავლაში მეტი ყურადღება ეთმობოდა მის აღწერას, ადგილობრივ, მიმღებ გარემოში ასიმილირებას, მისთვის ახალი, თუმცა მიმღები გარემოსათვის ძველი მეობის მორგებას, თანამედროვეობამ მოიტანა ის, რომ კვლევის დღის წესრიგში დადგა როგორც წარმომშობ, ასევე *მიმღებ გარემოებებში ახალი თვისობრიობის შექმნისათვის მზადყოფნის შესწავლა*. ამ ხედვაში უმთავრესი არა კულტურათა სივრცული განფენილობაა, არამედ კულტურათა, მათ შორის საკუთარისაც, დროითი განფენილობა. დრო კი, მით უფრო, სოციალური დრო, ადამიანთა აზრია, ერთგვარი საზომი სოციალური მოძრაობისა, თუ საკუთარი არსებობების რომელ ეტაპზე ვიმყოფებით; არათუ მხოლოდ გვინდა, არამედ გვაქვს თუ არა შესაბამისი განწყობები გადავიდეთ შემდეგ საფეხურზე, დავრჩეთ სადაც ვართ თუ უკან დავბრუნდეთ.

გარდა დიასპორების აღწერითი სურათისა და მის მიერ სოციალურ სივრცეში „გადაადგილების“, მობილობის კვლევისა, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა როგორც წარმომშობი, ასევე მიმღები სოციალური გარემოებისათვის, ტარდებოდა პრაგმატული გათვლებისათვის გამიზნული კვლევებიც – თუ რა პოლიტიკური ან ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია ორ და რამდენიმე სოციალურ-კულტურულ, სოციალურ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს შორის მოქცეულ ადამიანთა ჯგუფს.

ჩვენი კვლევით კი თავისივე თავის განსხვავებულ მდგომარეობებს შორის მოთავსებული ერთი **სოციალური მთელის ცვლილების მოლოდინების** შესწავლას ვცდილობთ.

აი, რას წერდა ლისაბონელი პროფესორი არმანდო მარკეს გუედეს თავის წერილში ქართველ პარლამენტარს დიპლომატ თედო ჯაფარიძეს:

*„Future generations will not only judge us for what we do in short immediate terms. They will also, mostly, judge us by how we all position ourselves in relation to the future“.*

(„მომავალი თაობები ჩვენ განგვსჯიან არა ჩვენი ნამოქმედარით ხანმოკლე უშუალო დროში. ისინი განგვსჯიან ასევე იმის მიხედვით, თუ როგორ ვახდენთ საკუთარ თავის პოზიციონირებას მომავალთან მიმართებაში“)<sup>6</sup>.

## 4. არსებული დიასპორული კვლევების შესახებ

### 4.1. დიასპორათა კვლევის საერთაშორისო კონტექსტი

დიასპორები საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი აქტორები ხდებიან, მათზე დაკვირვება და კვლევა ინტენსიური ხდება როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების (UN-IOM, WMF, WB) და ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან, ასევე საერთაშორისო აკადემიური წრეებშიც (დიასპორების მიმართ ყურადღების კონცენტრაციის შესახებ.იხ: IMI, *Diaspora studies: Past, present and promise, Khachig Tölölyan 2012;*; (განსაკუთრებით აღსანიშნავია *Oxford Diasporas Programme*-ს ეგიდით გაშლილი კვლევები);

დიასპორული კვლევების ხასიათი, როგორც წესი, განპირობებულია იმ ამოცანით, რასაც მკვლევარი ისახავს მიზნად:

ა) დიასპორისა და მისი წარმომშობი სახელმწიფოს ურთიერთმიმართება, პოლიტიკური და კულტურულ-სოციალური ურთიერთგავლენა; (მაგ: „Israel and the Diaspora“ Ben Zion Dinur, 1969);

ბ) დიასპორა, როგორც კულტურულ-ეთნოგრაფიული თვისობრიობის მატარებელი ერთობა და ამ თვისობრიობის ტრანსფორმაციის პროცესი (მაგ: „The African Diaspora and the Study of Religion“ Theodore Louis Trost, 2008);

გ) დიასპორა, როგორც ელექტორალური მასივი (მაგ: „Diffusion of Diaspora Enfranchisement Norms“ Anca Turcu, R.Urbath, 2015);

დ) დიასპორის საინვესტიციო პოტენციალი და ფინანსური ტრანსფერი (მაგ: „Georgian\_Diaspora\_Study“, GIZ– 2011-12);

ე) დიასპორა, როგორც გლობალისტური პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურანტი (მაგ. Robin Cohen: *Global diasporas*, 2008)

ულემდე ფართოდ გავრცელებული პრაქტიკით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა დიასპორების ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, და ზოგ შემთხვევაში პოლიტიკურ შესაძლებლობათა შესწავლას (მაგ. იხილეთ: **Engaging Diasporas for Development IOM Policy-Oriented Research**). ამ ერთგვარად პრაგმატული დამოკიდებულებით დიასპორების მიმართ ხასიათდებიან როგორც წარმოშობის, ასევე მიმღები ქვეყნები და საზოგადოებები. მათი სამმართველო ინტერესები ხშირად მიმართულია **დიასპორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრაქტიკების** გამოყენებისაკენ. ამის დასტურად შეიძლება გამოდგეს ის ფაქტი, რომ ბევრი ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურებში **დიასპორების მართვაზე ორიენტირებული დაწესებულებები** – სამინისტროები და სამმართველოები – არსებობს. (ზოგიერთი სახელმწიფოს პრაქტიკა იხ. **„სახელმწიფო და დიასპორა – საერთაშორისო გამოცდილება“ – თბ., 2015**)

6 in: Honorable Tedo Japaridze..., *Armando Marques Guedes*, Professor, NOVA Law, Lisboa, Portugal, Joint Higher Staff and Command College, Portugal, Tbilisi, 7th October, 2013, [https://www.academia.edu/12353214/Georgia\\_Tbilisi\\_my\\_intervention\\_in\\_Parliament\\_to\\_the\\_Eastern\\_Partnerships\\_Heads\\_of\\_Parliaments\\_Before\\_Vilnius\\_](https://www.academia.edu/12353214/Georgia_Tbilisi_my_intervention_in_Parliament_to_the_Eastern_Partnerships_Heads_of_Parliaments_Before_Vilnius_)

#### 4.1. ქართული გამოცდილება

როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლება განვასხვავოთ დიასპორის კვლევები ისტორიულ-მცენიერული, კულტურულ-განმანათლებლური, ეკონომიკურ თუ ერთაშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით; კერძოდ, ქართული დიასპორა შესაძლოა ტიპოლოგიურად ორ დიდ მასივად დაიყოს: 1) ე.წ. „ისტორიული დიასპორა“ წარმოადგენს საქართველოდან წარსულში იძულებით ან საკუთარი ნების წინააღმდეგ გადასახლებულთა (ირანი, თურქეთი, საფრანგეთი, რუსეთი) ან საზღვრის ცვლილებების გამო სხვა ტერიტორიაზე მოხვედრილ ქართულ ეთნო-კულტურულ მასივს (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი); დიასპორის ამ ნაწილის შესწავლა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო. ეს დიასპორული კერები ინტენსიურადაა შესწავლილი ისტორიული, ეთნოგრაფიული, ენათმეცნიერული (დიალექტოლოგიური), კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით; (მაგ.იხ **ჭელიძე ა.**, ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1951; *ჭიპაშვილი გ.*, ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1963 **შარაშენიძე ზ.**, ფერეიდნელი „გურჯები“, თბ., 1979; **არნ. ჩიქობავა**, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი (ტექსტებითურთ), ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, XII, ტფილისი, 1926. **ი. გიგინეიშვილი**, **ვ. თოფურია**, **ი. ქავთარაძე**, ქართული დიალექტოლოგია, I., თბილისი, 1961. **გრ. იმნაიშვილი**, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966. **მაედა ჰ.** ქართველები სეფიანთა ირანში. თბ. 2008; ფუტკარაძე შ. „ჩვენებურების ქართული“ 2011; **ალასანია გ.** ქართველები უცხოეთში. კრ. კულტურათა დიალოგი და დიასპორა თბ, 2009; **ქართველები უცხოეთში**, ტ 1, რედ. გ.ალასანია, თბ, 2012 წ.; **თ.პაპუაშვილი**, საინგილო, ISBN : 9789941445132 ; გ.შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ და სხვ.)

ქართული დიასპორის მეორე ტიპოლოგიური ნაწილი წარმოადგენს მე-20 საუკუნის 90 -იანი წლებიდან მიგრაციული პროცესების შედეგად ჩამოყალიბებულ ერთობას და ეს პროცესი დღემდე გრძელდება; დიასპორის ამ ნაწილზე გლობალიზაციური პროცესების გავლენა გაცილებით ინტენსიურია და მისი ტრანსფორმაცია სწრაფი ტემპებით მიდის; გარდა ამისა, ეს ახალი დიასპორები, წარმოშობის ქვეყანაში, სამშობლოში, ტრანსნაციონალური ზეგავლენების სწრაფ იმპლემენტაციას უწყობენ ხელს (Peggy Levitt, Migration Driven Local-Level Forms of Cultural Diffusion, 2004.)

თუმცა უნდა აღინიშნოს, ახალი დიასპორების შესწავლა დღემდე სპეციფიკური კვლევის საგანი არ გამხდარა, თუ არ ჩავთვლით ორ კვლევას: 1. ბ. ქუთელია, „დიასპორათა ამბივალენტურობა“ კრებულში დიასპორა და კულტურათა დიალოგი, 2009წ. კვლევა ჩატარდა მოსკოვში, რუსეთის დიასპორის მცირე მასივებს ეხებოდა და მათი ცვლილების ხარისხს შეისწავლიდა. 2. GIZ- ის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებულ ქართული დიასპორის კვლევას 2011-2012 წლებში; კვლევის მიზანს წარმოადგენდა დიასპორული ინვესტიციების პოტენციალის შეფასება 7 მიზნობრივ ქვეყანაში (საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, აშშ, თურქეთი და რუსეთის ფედერაცია), რომლებიც განსაზღვრა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ.

კვლევაში დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ ყველაზე უფრო ორგანიზებული ქართული დიასპორა არის რუსეთში, თურქეთში, საბერძნეთსა და აშშ-ში. ამ ქვეყნებში მოქმედებს ყველაზე უფრო დიდი რაოდენობის დიასპორული ორგანიზაცია. მიუხედავად ამისა, რუსეთში, თურქეთსა და საბერძნეთში მოქმედი ორგანიზაციები უმთავრესად ორიენტირებული არიან კულტურულ პროგრამებ-

ზე, ღონისძიებებისა და კონცერტების ორგანიზებაზე. ამავე დროს, აღნიშნული ორგანიზაციები ახორციელებენ საგანმანათლებლო და მედია პროექტებს. გაერთიანებული სამეფო, აშშ და თურქეთი გამოირჩევიან ბიზნეს ორგანიზაციების არსებობით, რომლებიც ორიენტირებულია თანამშრომლობის განვითარებაზე საქართველოსა და ამ ქვეყნებს შორის (თითო გაერთიანებულ სამეფოსა და თურქეთში, სამი ორგანიზაცია აშშ-ში).

წინამდებარე კვლევის გარდა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი გეგმავს დიასპორის სოციოლოგიური კვლევის ჩატარებას. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების ქართული დიასპორის (ქ. ნიუ-იორკის დიასპორის) მცირე კვლევას ატარებს ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახ. უნივერსიტეტი, თუმცა ამ კვლევის შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა.

## 5. მეთოდოლოგია

კვლევის ინტერესის გადანაცვლება დიასპორის მდგომარეობიდან მისი ცვლილების მოლოდინების შესწავლისაკენ რიგი საკითხების ახლებურად გადანყვებას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, არ გამოდგება ჩვეული სქემების ჩართვა ან დადგენილი საკითხების (კითხვების) ბლოკების გამოყენება, თუკი ვცდებით ახალი ცოდნის მიღება ძველი საკვლევი ობექტის შესახებ. ეს მეთოდოლოგიურ დონეზე უნდა გაირკვეს, პირველ რიგში, რათა განისაზღვროს, რა საკითხები შეიძლება იყოს საინტერესო მიზნისათვის და როგორ უნდა მოხდეს მათი შესწავლა. ალბათ სოციოლოგია თეორიული მიდგომებით უნდა დაეინყოს.

### 5.1. თეორიული მიდგომა

თეორიული მიდგომის უმთავრესი პოსტულატი ჩვენთვის არის ულრიხ ბეკის განცხადება იმის შესახებ, რომ სოციოლოგია უნდა გამოვიდეს საკუთარი გამოქვაბულიდან, როგორც სიახლეების დანახვისათვის მთავარი ხელისშემშლელი გარემოებიდან. ეს ალბათ მხოლოდ სოციოლოგიას არ ეხება, თუმცა ბეკმა სწორედ სოციოლოგიაზე მიუთითა.

პირველი, რაც ამ კუთხით გასათვალისწინებელია, არის თანამედროვე საზოგადოების პოსტთანამედროვეული მდგომარეობა. ჩვენ ეს გვესმის როგორც დღევანდელი მდგომარეობა, ხვალისდელი (პოსტ-) მდგომარეობით გაჯერებული. შეიძლება განვითარებული ინფორმაციული საზოგადოებების ქვეყნებში ხვალისდელობის დღევანდელობაში არსებობა უფრო თვალსაჩინოა, მაგრამ რადგანაც ძნელია (და საზიანოც კია), ინფორმაციისათვის გადაულახავი საზღვრის დანესება, ჩვენთანაც ძლიერ საგრძნობია დღევანდელობის გარდამავლობა. შეიძლება ითქვას, რომ პოსტინდუსტრიულისა და პოსტმოდერნულის შემდეგ მრავალი დეფინიცია შეიცვალა იმისა, თუ რანი ვართ დღეს – მაღალი მოდერნიტიდან დაწყებული (გიდენსი), წყალწყალა – ლიკვიდ-მოდერნიტით (ბაუმანი) დამთავრებული. თუმცა, „დამთავრებული“ სიტყვა აქ ძნელად თუ გამოდგება. შეიძლება დღეისათვის ყველაზე აქტუალური იყოს ისეთი ინტერპრეტაცია სა-

ზოგადოებრივი ფორმაციისა, როგორცა ინფორმაციული საზოგადოება (მაგ., კასტელსი), როცა ინფორმაციის მოზღვაება ცოდნას გაკარგვინებს კიდევც, ან უფრო პრეტენზიული ცოდნის საზოგადოება, როცა ცოდნა – ტრადიციული გაგებით მაინც – არც არის საჭირო ინდივიდისათვის. ინდუსტრიული საზოგადოების წიგნიერება თითქმის ჩაანაცვლა მედიანიგნიერებამ, რომელიც ერთგვარად წიგნიერების უარყოფა ინფორმაციული საზოგადოების პირობებში. ამავე დროს, დღევანდელობაში არა მხოლოდ მოიაზრება და ფაქტობრივი არსებობა გააჩნია ხვალინდელობას, არამედ ფაქტობრივი არსებობა გააჩნია და მოიაზრება გუშინდელობებიც, მათ შორის იმისთანები, რომელთა აქტუალიზაცია დღეს მოხდა უფრო ფართო მასშტაბებში, ვიდრე თავის დროზე ჰქონდათ<sup>7</sup>. პოსტმოდერნულობა არა მხოლოდ მალაღია მისი ტექნოლოგიური მიღწევებისა და მოდერნიზებული მოდერნიზაციის გამო, ან არა მხოლოდ მზარდი აჩქარებით ცვალებადია, რის გამოც ლიკვიდური ხასიათი შეიძინა, არა მხოლოდ ცალკეული პიროვნებები გადააქცია განსხვავებული ინფორმაციების და განცალკევებული ცოდნების მატარებელ სამყაროებად, არამედ ყველაფერი ეს მან (პოსტ-მოდერნიტიმ) ერთდროულად ჩამოჰკიდა ადამიანს მის სუსტ მხრებზე. **ერთ სოციალურ დროში და ერთ სოციალურ სივრცეში განთავსდა დაპირისპირებული გაგებები.** ამიტომ ერთიდაიგივე სოციალური ინდივიდი შეიძლება იყოს ლიბერალიზმის მქადაგებელი პრო-სტალინისტი, რელიგიურად მორწმუნე ცხოვრების სიამტკბილობას დახარბებული მართლმადიდებელი თუ კათოლიკე ქრისტიანი და სხვა. ამიტომ დრო, რომელში ვცდილობთ კვლევის სოციალურ ობიექტში გრკვევას, ამავდროულად არის პარადოქსული პოსტმოდერნიტი, თავისი მოულოდნელობით<sup>8</sup>.

ეს არის სინამდვილე, რომელშიც **დიასპორის ნევრებს უხდებათ ახალ ადგილებში ცხოვრებასთან ადაპტირება.** მაგრამ, ადაპტირებისას, მათ ერთობლიობას შეიძლება ახასიათებდეს რომელიმე მიმართულებით გადახრა, რის გამოც ვლევასაც ჩვენ შევეცდებით.

გარემოება, რომლებშიც ეს ყველაფერი ხდება, არის გლობალიზაცია – **ინფორმაციული გლობალიზაცია**, მისთვის დამახასიათებელი **სოციალური სივრცის შეკუმშვა** (დიდი მეკუმშვა, ბიგ ქრანჩ, მაკლუენი), როცა აქამდე კონტაქტის უქონელი კულტურები ერთ სოციალურ სივრცეში ერთდროულად აღმოჩნდნენ; **სოციალური დროის შეკუმშვა**, აჩქარება იმ დონემდე, რომ მის (სოციალური დროის, რომელიც აზრია, შეფასებაა) შემობრუნებაზეც კი შეიძლება საუბარი: სქემა „ხვალინდელი → დღევანდელი → მომავალი“ პოტენციურად ექვემდებარება ვექტორ „დღევანდელი ← მომავალით“<sup>9</sup> შეცვლას; ბევრი, უკვე დღეს, დღევანდელობის თარგზე გუშინდელს ჭრის (როგორც ეს არის „1984“-ში და არა მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაში). მაგრამ აქაც მთავარი ის არის, რომ მსგავსად სივრცეში განფენილი კულტურების ერთ სოციალურ სივრცეში მოთავსებისა,

7 ბ. ქუთელია, პარადოქსული პოსტმოდერნულობა, დიასპორა და ჩვენ, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, #1, გვ.111- 122 (პელოპონესის ომის შესახებ იმ დროს მცირე არეალზე იყო ცნობილი, მაშინ, როცა დღეს მის შესახებ საყოველთაო ცოდნა არსებობს კაცობრიობის მასშტაბით).

8 ბ. ქუთელია, პარადოქსული პოსტმოდერნულობა, დიასპორა და ჩვენ, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2013, #1, გვ.111- 122.

9 А. Давидов. Социальное время, в журнале „Социологические Исследования“, 1998; Б.Кутелия. Текст в информационном обществе. В сб. Дроздовские чтения, ИСПАН, 2006.



მაგალითად, როგორცაა ცალკე აღებული ადამიანი როგორც „ადგილი“, ხდება დროში განაწილებილი კულტურული მდგომარეობების ერთდროული აღრევა (კულტურული პრომისქუითი). „თვითნება“ ადამიანები დასავლეთში ინტერპრეტირდება როგორც **ინდივიდუალიზებული საზოგადოებები**, ხოლო ჩრდილოეთში – როგორც ატომიზირებული.

ადამიანი და დიასპორის წევრიც, ერთი მხრივ, გარემო პირობების, გარემოებების გავლენით ყალიბდება გარკვეულ **სოციალურ-კულტურული მოდელის მატარებელ ტიპად**; ხოლო, მეორე მხრივ, სოციალურ-კულტურული მრავალფეროვანი შესაძლებლობების მის პიროვნებაში შეთავსების მეშვეობით მას უყალიბდება პიროვნებისეული და ქომიუნისეული **სოციალური განწყობები**, როგორც სივრცულ, ასევე დროით ცივილიზაციურ მოდელებს შორის არჩევანის მოსახდენად. ან იქნებ, არც ახდენს არჩევანს?

## 5.2. კონცეპტუალური სქემა ცნებითი აპარატი და წარმოდგენის ტიპი

1 გამოკვლევის **ცნებითი მოდელი მაკრო დონეზე**, ამგვარად, შემდეგნაირად წარმოიდგინება:

**გლობალიზაციის** პროცესის თანმდევი მოვლენები —

**სივრცის** შეკუმშვა

**დროის** შეკუმშვა

სოციალური **აჩქარება**

**ინდივიდუალიზაცია**

ამდენად, ჩვენი ცხოვრების (და დიასპორისაც) თანმდევი პროცესი და მისი მოვლენები განიხილება სამ ასპექტში: **დროით, სივრცულ და სოციალური ცვლილების (დინამიურ)** ასპექტებში. მათი ზემოქმედების შედეგად სოციალურ-კულტურული მთელის მთავარ მახასიათებლად მისი **მულტიპარადიგმალობა** იქცევა.

სპეციფიური მდგომარეობა სოციალური მთელისა, რომელიც ადრინდელ პერიოდებთან შედარებითაა სპეციფიური მისი „**მცირე**“ დროში და „**მცირე**“ სივრცეში **ინტენსიური სოციალურ-კულტურული დატვირთვის** გამო, ჰქმნის ამ მთელის, ისევე, როგორც მისი შემადგენელი სოციალური სუბიექტების **განწყობას, დისპოზიციას, ურთიერთგანლაგებას** სოციალური ურთიერთობების სფეროში. ანუ, საქმე გვაქვს სოციალურ-კულტურულ მოდელთან, რომლის შესწავლაც წარმოადგენს ჩვენს ამოცანას.


მცირე სივრცესა და მცირე დროში მულტიიდენტურობის მატარებელი განივიდუალებული სოციალური აქტორებისა და მით უფრო, აგენტების დამოკიდებულება დიასპორასა და მის წარმომშობ მთელთან ორი სახის **პრობლემას** ასაზრდოებს. ესენია:

– სწრაფად ჩანაცვლებადი გარე- და შინა- გარემოებების პირობებში სოციალურ-კულტურული **იდენტურობის შენარჩუნება**

და

– სწრაფჩანაცვლებადი გარეშე და შინა გარემოებების მიმართ შემგუებლობის, ადაპტაბელობის პრობლემა, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც მუდმივი ცვლილებებისათვის **მზაობა – ცვლილებებისათვის მზაობა**;

- 2 გამოკვლევის თეორიული მოდელირების დონეზე, ცნებითი აპარატი მოიცავს:
- დიასპორის, როგორც წარმონაქმნის გაგებას.
  - ფაქტობრივი დიასპორის დახასიათებას, დიასპორული არსებობის — ცხოვრებისეულ გარემოებებს; საცხოვრებელ პირობებს; სოციალურ გარემოს; სოციალური მიკუთვნების ჯგუფს; საურთიერთობო მედიას (ენას).
  - სოციალურ-კულტურული ურთიერთობის მახასიათებლებს — პიროვნებისეულ სოციო-კულტურულ განწყობებს; სოციალურ ჩართულობას; ეროვნულობის აღქმას; ქომიუნითიზე ორიენტირებულობას; ცივილიზაციურ ორიენტირებულობას.
  - სოციალურ ტიპოლოგიზაციას — „ეკლესიურობას“; „მეგობრულობას“; „ინტელი-გენტ-ურობას“; „ინტელ-ლექტ-უალობას“ „ნეთიზენშიფობას“ („ქსელისკაცი“).
  - ასევე, სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორცაა — სქესი, განათლება, ასაკი, დასახლების ტიპი
- 3 კონცეპტუალური სქემა ლებულობს ამგვარ სახეს:



დიაგრამა 1. გამოკვლევის კონცეპტუალური სქემა

მაჩვენებლები წარმოდგენილია ოთხი ტიპის მახასიათებლებით. ესენია: დიასპორის მიერ დიასპორის ცნების გაგება (1), დიასპორული ყოფის დახასიათება (2), სოციალურ-კულტურული (3) და სოციალურ-დემოგრაფიული (4) მახასიათებლები.

მზაობის განწყობა (ტრანსფორმაციის პოტენციალი) კითხვარში წარმოდგენილი პირდაპირი ფორმით არ არის, მაგრამ მისი გამოთვლა შესაძლებელია ცვლილების პოტენციალი, წარმოადგენს ინდექსს, რომლითაც ჩვენს გამოკვლევაში ვზომავთ სოციალურ-კულტურული ცვლილებისათვის სოციალური ჯგუფის მზაობას. ჩვენ მას განვიხილავთ სოციალურ ცვლილებასთან მიმართებაში, თუმცა მისი საშუალებით იდენტობის (მულტიიდენტობის) შენარჩუნების შეფასებაც შესაძლებელია.

#### 4 მონაცემთა ანალიზისა და წარმოდგენის ტიპი:

თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო გამოკითხვის მონაცემთა ორსაფეხურიანი ანალიზი, მაგრამ გამოკითხვის პირობებისა და გამოკითხვის ჩატარებისათვის გუგლის ფორმის გამოყენების გამო დაჯერდით მონაცემთა იმ სახით დამუშავებას, როგორაც ისინი გუგლის ფორმამ მოგვცა.

კვლევის შედეგების წარდგენა ხდება ტექსტური აღწერის (ა), ცხრილის (ბ), ზოგიერთი რაოდენობრივი მახასიათებლის გრაფიკულად გამოსახვისა (გ), თვისობრივი მაჩვენებლების ინდექსის (დ) სახით.

ტექსტური აღწერა (ა) გულისხმობს რესპონდენტთა მოსაზრებებისა და შეხედულებების სისტემურ გადმოცემას თეორიული სქემის მიხედვით. თუმცა, ტექსტური წარდგენა არ გამოირიცხავს აღწერის ცხრილურ ფორმას (ბ).

ზოგიერთმა მახასიათებელმა ინტერვიუების მოდელზე მუშაობის დროს რაოდენობრივი (ნუმერული) ფორმა მიიღო, რაც იძლევა მათი გრაფიკული (გ) გადმოცემის საშუალებას.

სოციალური ცვლილებისათვის მზაობის (ტრანსფორმაციის პოტენციალის) ინდექსი (დ) წარმოადგენს სოციალურ-კომუნიკაციური ტიპოლოგიზაციის 5 მახასიათებლის კოდების შენონვის საშუალო გამონათვალს.

### **5.3. გამოკვლევის თვისობრივი VS. რაოდენობრივი ხასიათი**

საერთოდ, სოციოლოგიური გამოკვლევა იდეალურ შემთხვევაში მეთოდოლოგიური ხედვის, მიდგომისა და კვლევის პროცესში ამ ხედვა-მიდგომის განვითარების შესაბამისად უნდა წარიმართოს. მაგრამ თავდაპირველი პერსპექტივის რეალიზაციაზე ბევრი რამ ახდენს გავლენას გზადაგზა. უპირველესი მათგან შესაძლებლობებია, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური და ორგანიზაციული.

გამოკვლევის ინიციაციის დასაწყისშივე ცხადი იყო, რომ გამოკვლევა თვისობრივი უნდა ყოფილიყო და არა რაოდენობრივი. არ გექონდა პრეტენზია და არც საჭიროებას ვგრძნობდით იმისა, რომ იგი წარმომადგენლობითი უნდა ყოფილიყო (საბერძნეთის ქართული დიასპორისათვის). თვისობრივი ხასიათს კიდევ ის უპირატესობა ექნებოდა, რომ საშუალებას მოგვცემდა ჩავღრმავებოდით ცნებებსა და ტერმინებს – მათში დაგვენახა თავად რესპონდენტის ხედვა

საკითხისა. ანუ, კვლევის სემანტიკური მხარე რბილი და მოძრავი ჩარჩოებით ყოფილიყო შემოსაზღვრული. რამდენად მოხერხდა ამის რეალიზაცია, სხვა საკითხია, მაგრამ თავიდან ჩვენი ხედვა ამგვარ მიდგომას ითვალისწინებდა. მით უფრო, რომ მისი ინიციაციის ერთერთი დანიშნულება იყო დიასპორის ფენომენის ახლებური დანახვა — შეცვლილ რეალობაში, შეცვლილი ფუნქციებითა და მნიშვნელობებით.

კითხვარი. ინტერვიუს ბლაკი. ეპისტოლვე. იდეალურ შემთხვევაში, იქიდან გამომდინარე, რაც ზევით ვთქვით, რესპონდენტის თავისუფალი ტექსტი იქნებოდა ყველაზე მისაღები, ერთგვარი ნერილი საკვლევი თემის შესახებ. იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ჩვენი რესპონდენტის წვდომა მხოლოდ დისტანციურად იყო შესაძლებელი. მაინც, თემის (ნახე დიაგრამა (1)). რესპონდენტისათვის დაზუსტების თუ მინიშნებისათვის შემუშავდა რიგი საკითხების ჩამონათვალი, რომელთა შესახებაც გვსურდა მათ თავიანთი აზრი გამოეთქვათ. ანუ შევიძუშავეთ ინტერვიუს ბლანკი ბევრი სუფთა ადგილით (ბლანკ) პასუხების მაგიერ. მეორე საკითხი იყო ანალიზის პრობლემა. ფაქტობრივად, ჩვენ კვლევის ობიექტის (საბერძნეთის ქართული დიასპორის წარმომადგენელი) მეშვეობით ამ გზით მივიღებდით კვლევის განსხვავებულ, მეორად ობიექტს — ტექსტობრივ დოკუმენტს, რომელსაც შესაბამისი ანალიტიკური მიდგომა დასჭირდებოდა. კერძოდ, ყველაზე მარტივი — ტექსტების ტრადიციული ანალიზი, შინაარსის (კონტენტ-) ანალიზი, ან მნიშვნელობის სიმბოლურ-ინტერაქციული ანალიზი. ვაღიარებთ, რომ ამ იდეალზე ბოლომდე უარს არ ვაპირებთ, ვინაიდან ვთვლით, რომ ასეთი ხედვა ყველაზე პერსპექტიული იქნებოდა სოციალური რეალობების სწრაფჩანაცვლებადობის პირობებში შესასწავლად. ასევე, ვინაიდან ვაპირებთ კვლევების გაგრძელებას ამ მიმართულებით, ამ ჩვენი იდეალისაკენ სვლას შევეცდებით.

რეალურად კი, მუშაობის პროცესში ობიექტის დისტანტირობამ, გამოკვლევაზე მოქმედმა დროითმა, მატერიალურმა და ორგანიზაციულმა ფაქტორებმა შეტნილად უარი გვათქმევინა „ეპისტოლარულ“ მიდგომაზე და ნაწილობრივ მონესრიგებული ინტერვიუების ფორმას მივუახლოვდით და რამდენიმე ძირითადი საკითხის კითხვებზე პასუხების დახურულ ფორმას მივანიჭეთ უპირატესობა. ამაზე გავლენა იმანაც იქონია, რომ გამოკითხვის თუ ინტერვიუს ჩასატარებლად გუგლის ონლაინ აპლიკაცია იქნა გამოყენებული. საკუთრივ გამოკითხვის (ინტერვიუების) ფორმის განსაზღვრის გარდა გუგლის აპლიკაციის გამოყენებამ (ვინვორდის წერითი ან სკაიპის ზეპირი პასუხების მაგიერ) შედეგების დამუშავებასა და ანლიზზეც იქონია გავლენა.

ინტერნეტ-აპლიკაციის გამოყენება ნამდვილად არ იყო ინტერესს მოკლებული და სასარგებლო გამოცდილება შესძინა კვლევით გუნდს.

## 6. შერჩევის გეგმა (ლიზინი) და მისი რეალიზაცია

შერჩევისათვის ჩვენს კვლევაში ძირითად სიმრავლედ გამოყენებული იქნა საბერძნეთის ქართული დიასპორის დიასპორული ორგანიზაციების ჩვენს ხელთ არსებული რეესტრი — სულ 29 ორგანიზაცია; მოსამზადებელ პერიოდში გაირკვა, რომ ზოგიერთი ამ ორგანიზაციათაგან უკვე აღარ ფუნქციონირებს; ყველა

მოქმედ ორგანიზაციას (ჯამში 21) გაეგზავნა კვლევაში მონაწილეობის შეთავაზება; (2015 წლის ივლისის თვის განმავლობაში; ელექტრონული მეილის, აგრეთვე სატელეფონო ზარის სახით); საბოლოო ჯამში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 9 დიასპორული ორგანიზაციის დამფუძნებელმა, ხელმძღვანელმა და აქტიურმა წევრმა; (სულ 13 რესპონდენტი). კვლევაში მონაწილეთა დარჩენილი რაოდენობა 8 მონაწილე, შეირჩა სოციალურ ქსელში აქტიურობის და საბერძნეთში შედარებით ხანგრძლივი ცხოვრების სტაჟის გამო. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 21 კაცმა.

- აქედან: 13 ქალი და 7 მამაკაცი;
- რესპონდენტთა ასაკი მერყეობს ასეთ დიაპაზონში: ყველაზე ახალგაზრდა – 29 წლის მამაკაცი, ყველაზე ასაკოვანი – 62 წლის მამაკაცი;
- გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა ცხოვრობს ქალაქში, მხოლოდ ერთი მათგანი – კუნძულზე;
- საბერძნეთში ცხოვრებისა და მუშაობის სტაჟი მინიმალური -5 წელი, მაქსიმალური -23;
- ზოგადად გამოკითხულთა საშუალო ემიგრაციული გამოცდილება 12-15 წელია;
- განათლების მიხედვით რესპონდენტთა დიდი ნაწილი (18 ადამიანი) უმაღლესი განათლებითაა და მხოლოდ სამი მათგანია საშუალო ან ტექნიკური განათლებით;
- ქართული ენის გარდა, გამოკითხულთაგან ყველა ფლობს ბერძნულ ენას, 19 მათგანი იყენებს აგრეთვე რუსულს, 14 რესპონდენტი – ამ ენების გარდა ფლობს ინგლისურს (ორი მათგანი გერმანულსაც);
- ყველა მათგანი საკუთარ იდენტიფიკაციას ქართულენოვან სამყაროსთან ახდენს!

კვლევის სავსე ნაწილი დაიწყო 03.08.2015/22:28:55 (პირველი ანკეტის ბაზაში შემოსვლის დრო) და დამთავრდა 30.08.2015/13:38:00 (ბოლო ანკეტის ბაზაში შემოსვლის დრო); ერთი კითხვარი არის არასრული; (მისი პირველი ნაწილი ან გადმოგზავნისას (submit) დაიკარგა, ან რესპონდენტმა სათანადოდ ვერ შეავსო).

კითხვარი აიწყო Google Drive – ინტერნეტ-სისტემაში; მისი უპირატესობაა მიღებისა და დამუშავების სიადვილე, მონაცემთა ბაზაში ოპერატიულად მუშაობის შესაძლებლობა; თუმცა აქვს ხარვეზიც – კითხვარის შევსება უნდა მოხდეს ერთი მიდგომით და ხელმეორედ მიბრუნების შესაძლებლობა არ აქვს; ამიტომ კითხვარის მხოლოდ ნაწილის შევსება, დამახსოვრება და გარკვეული დროის შემდეგ მიბრუნება (გაგრძელება) შეუძლებელია ან ნაკლებად მოსალოდნელია. ეს ქმნიდა გარკვეულ სირთულეს, და რესპონდენტის ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციას ითხოვდა.

## 6.1. კითხვარის გეგმა (დიზაინი)

ზემოთ მოყვანილი კონცეპტუალური სქემის (დიაგრამა 1) პირველი და მეორე გლობალურ და ცხოვრებისეულ გარემოებათა სვეტები ინტერვიუების გაზამკვლევში წარმოდგენილია მახასიათებლების შემდეგი ოთხი ჯგუფით:

**იხილეთ:**

- (1) დასაბრის გაცემა (A-D კითხვები; v2-v7 ცვლადები)\*
- (2) დასაბრული ყოფა (E-S კითხვები; v8-v24 ცვლადები):
  - საიდენტიფიკაციო გარემოებების მახასიათებლები (E-S; v8-v24)**
  - ოჯახის ერთად, განვალკვევითი ცხოვრება; E; v8
  - კეთილდღეობა (F-L; v9-v15)
  - სურათითობა გარემოება (უნაბი, ქალაქი, რეგიონი; M-P; v16-v19)
  - სამოღვაწეო გარემოება (საქმიანობითი გარემოება; P-S; v20-v24)
- (3) სოციალურ-კულტურული განწყობის მახასიათებლები T-AS; v25-v50):
  - საზოგადოებრივი განწყობა:**
    - საზოგადოებრივი და დასაბრული ჩართულობა (T-X; v25-v29)
    - სოციალურ-კომუნიკაციური ტიპოლოგიზაცია (სოციალური განწყობა)
    - დასაბრული: კლასიციური
      - მეგობრულობა
      - ინტელიგენტობა
      - ინტელექტუალობა
      - სეიორენშიფობა
    - ტრანსფორმაციული პოტენციულის ინტეგრირებული მარჯვენა (სოციალური განწყობის ინდექსი)
  - კულტურული განწყობა**
    - ქოიუნულობის გაცემა
    - მასობრივი და სოციალური შედეა
    - ქა
    - წყარობი
  - პირიუნებისეული განწყობა**
    - პირიუნულობა (ინდივიდუალობა) vs კიბიუნიტაუნე ორიუნტაციუნა
    - ცივილურაციური ორიუნტაციუნა
- (4) სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები:
  - განათლებისეული განწყობა**
  - მსაკისეული გარემოება (განწყობა)**
  - დასაბრულის ტიპისეული გარემოება**

\* A-D (ლათინური ტრანსლიტერაცია) - გულის აღიკაციამი კითხვებისათვის ავტომატურად მინიჭებული სხვლები;

v2-v7 - ცვლადები

ინდენტურობის „შენარჩუნებისა“ თუ სოციალური ცვლილების მზაობის, ტრანსფორმაციის პოტენციულის შესახებ (დიაგრამა 1, კონცეპტუალური სქემის მესამე სეეტი) მსჯელობის საფუძეულია სოციალურ-კულტურული ტიპოლოგიზაციის 5 აქტიობის: „ეკლესიურიობის“, „მეგობრულობის“, „ინტელიგენტურობის“, „ინტელექტუალობის“ და „ნეთიუნეშიფობა – ქსელისკაციობის“ გავრცელების დონეების შენონეების საერთო ინდექსი.

ანუ, ამა-თუ-იმ აქტიობების გავრცელების დონეების შენონეების საერთო მაჩვენებელი წარმოადგენს ტრანსფორმაციის პოტენციულის საზომს.

## 7. შედეგები

გუგლის სისტემაში ონლაინ გამოკითხვის შედეგად მივიღეთ ა) მონაცემთა გაშლილი ცხრილი ექსელის ფურცლის სახით, სადაც დატანილი იყო რესპონდენტების მიერ კითხვებზე გაცემული პასუხები. ასეთი ცხრილი მომგებიანია რაოდენობრივი ხასიათის კითხვების დასამუშავებლად, როგორც იყო ჩვენი კითხვარის ერთი ნაწილი (თუმცა მათი წარმომადგენლობითობა საკვლევი ობიექტისათვის არ წარმოადგენს ჩვენი ანალიზის მიზანს და ფარდობითი მახასიათებლები, როგორც ისინი ანგარიშშია ასახული, მხოლოდ საილუსტრაციო ამოცანებს ემსახურება). ექსელის მონაცემთა ფურცლებზე დატანილი ტექსტური ინფორმაცია დამატებით კოდირებასა და ორსაფეხურიან ანალიზს - კოდირება და კონტენტ-ანალიზი, მოითხოვდა. ამიტომ, სირთულისა და კვლევის საკმაოდ შეზღუდული პირობების გამო ვარჩიეთ ანალიზის ტრადიციული ფორმისათვის მიგვემართა. ამ მიზნით კი საკმაოდ მოხერხებული გამოდგა **GOOGLE** სისტემის მიერ მომზადებული ორი ტექსტური დოკუმენტი: ბ) კითხვებზე პასუხების რეზიუმე, სადაც რესპონდენტების პასუხები დალაგებული იყო კითხვების მიხედვით, თუმც კი შესაბამისი რესპონდენტების მიუთითებლად, და გ) კითხვებზე პასუხები რესპონდენტების მიხედვით, თუმცა, ამ შემთხვევაში, პასუხები არ იყო მონესრიგებული. ამ „მოუნესრიგებლობის“ გამო საჭირო გახდა ტექსტური პასუხების გადანაწილება კითხვებისა და რესპონდენტების შესაბამისად, რამაც საკმაო დრო მოითხოვა. ფრიად სასარებლო იქნებოდა რესპონდენტების რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით ორ განზომილებაში დაგველაგებინა პასუხები, რაც საშუალებას მოგვცემდა უფრო დანვრილებით გვემსჯელა სოციალურ-დემოგრაფიული კატეგორიების მიხედვით მათი ცვლილების პოტენციალების განსხვავება-მსგავსების შესახებ. წარმოდგენილ ანგარიშში ვჯერდებით საბერძნეთის ქართული დიასპორის ერთიანი მასივის ტრანსფორმაციული პოტენციალის შესახებ მსჯელობას. საბერძნეთის ქართული დიასპორის ტრანსფორმაციის პოტენციალის ინდექსი ამ ეტაპზე მხოლოდ თავის თავს შეიძლება შევადაროთ — რომ იგი არის საშუალოზე ოდნავ მაღალი 5-ბალიან შკალაზე. სხვა ქვეყნებისათვის ანალოგიური მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა გვემსჯელა ამ ქვეყნების ცვლილებისათვის მეტ-ნაკლები მზადყოფნის შესახებაც.

ვნახოთ, როგორ ესმით დიასპორა და როგორია დიასპორის ყოფითი გარემოებები რესპონდენტების შეფასებით.

### 7.1. კითხვები და პასუხები

ახლოდან შევხედოთ რამდენიმე საკითხს:

#### **როგორ ესმით დიასპორა:**

დიასპორის აღმოცენების მიზეზად სხვადასხვა მიზეზი სახელდება. პირობების გაუმჯობესება, საფრთხისაგან თავის გარიდება; მიზნად კი წარმოიდგინება სხვადასხვა აქტივობებისათვის პირობების შექმნა, ყოფითი მდგომარეობის თუ ეგზისტენციური პირობების გაუმჯობესება, ფსიქოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მიუხედავად მრავალსუკუნოვანი ქართულ-ბერძნული ურთიერთობისა, ქართული დიასპორა საბერძნეთში მხოლოდ ახალ მოვლენად აღიქმება, თუმცა, ქართული

კულტურის ზოგიერთი კერის არსებობა და მისი აქტუალობა ქართული დიასპორისა და საქართველოსათვისაც გაცნობიერებულია. დიასპორებსა და ქართულ მიგრაციას საბერძნეთში მაინც მხოლოდ ბოლო 20-25 წლის მოვლენად მიიჩნევენ.

ნაწილი თვლის, რომ ისტორიული დიასპორა საბერძნეთში ქართველებს არ აქვთ, იგი მხოლოდ ახლა ყალიბდება, ამიტომ მათი შედარება უაზრობაა. „არსებობს შრომითი მიგრანტების ჯგუფები, რომლების შემდგომი თაობებისგან შესაძლოა ჩამოყალიბდეს საბერძნეთში ქართული დიასპორა.“

მეორე აზრის თანახმად ისტორიული დიასპორის მაგალითად მხოლოდ ათონის ივერთა მონასტერის ხსენებაც საკმარისია, უმდიდრესი ბიბლიოთეკით და უამრავი ქართველის ჩამოსახლებით იმ პერიოდში. დღევანდელი დიასპორა ეკონომიკური მიგრანტები არიან და არ მიაჩნიათ, რამე როლი ითამაშოს ქვეყნის განვითარებაში და არც განსაკუთრებული ცვლილება არ შეიმჩნევა ბოლო 10-წლეულში.

საბერძნეთის ქართული დიასპორა მრავალრიცხოვანია, მაგრამ მის ძირითადად ნაწილს დღეს შრომითი მიგრანტები შეადგენენ. შემდეგ კატეგორიაა მათი შვილები, რომელთა შთამომავლობამაც, თავის მხრივ დასაბამი მისცა **მესამე თაობის ქართულ დიასპორას**. ცალკე განხილვის საგანია **შერეული ქართულ-ბერძნული** თუ სხვადასხვა უცხოელზე დაოჯახებული ქართველები, მათი შვილები და შვილიშვილები. ასევე, ჩვენი ღრმა რწმენით, **ქართულ დიასპორად უნდა აღვიქვათ ტომით ბერძენი საქართველოს ყოფილი მოქალაქეები**, რომელთა რიცხვი ძალიან დიდია. მე-20 საუკუნის 90-წლების სტატისტიკით, საქართველოს ბერძნული მოსახლეობა 130.000 ითვლიდა. აქედან, მინიმუმ 100.000 გადმოსახლდა ევროკავშირის ორ ქვეყანაში: საბერძნეთსა და კვიპროსზე, რომლებთანაც კონტაქტების აღდგენა და დიალოგი აუცილებელია. ისტორიულ დიასპორაზე ჩვენ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ დღევანდელ დიასპორაში. ასევე, აღსანიშნავია, რომ ადრინდელ ჩამოსულთაგან განსხვავებით, რომელთაც **საზოგადო ქართული-ბატრიოტული საქმის მიმართ** მეტი მონდომება და ენთუზიაზმი ჰქონდათ, შეიმჩნევა ერთგვარი უიმედობა და პესიმიზმი. **საჭიროა მეტი მუშაობა ახალგაზრდობასთან, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საგანმანათლებლო პროგრამებს.**

გადასვლის ძირითად მიზეზად სახელდება ეკონომიკური გაჭირვება, ოჯახის მატერიალური მხარის უზრუნველყოფის აუცილებლობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფიზიკური არსებობის საფრთხის ან პოლიტიკური უსაფრთხოების მიზეზის გამო საბერძნეთში ქართული ემიგრაცია დღეს ნაკლებად სახელდება. თუმცა, ადრე საქართველოდან სხვა ქვეყნებში გასულთა მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნას სწორედ ფიზიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა განაპირობებდა. მაგალითისათვის, ასეთი იყო ერთერთი დიასპორული კვლევის შედეგი 90-იან წლებში. 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოსაკენ კი ემიგრაცია, რესპონდენტთა თქმით, პოლიტიკურ სარჩულს საკუთარი გადანყვეტილების დასასაბულებლად იყენებდა. ისიც შეიძლება ითქვას, რომ არააუ ეკონომიკური უკიდურესობა აიძულებდა გადასვლას, არამედ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ოჯახის (შვილების) უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა. მიზეზთა შორისაა შერეული ქორწინებაც, რომელიც არა ემიგრაციის მიზეზი, არამედ მისი შედეგიც შეიძლება იყოს.

საბერძნეთში გადასვლის შემდეგ საკმაოდ დიდი ხანი ადგილზე დამკვიდრებას და ახალ პირობებთან შეგუებას დასჭირდა. მათი საზოგადოებრივი აქტიობის ინტენსიობა 2003 წლიდან იზრდება. ცდილობენ კავშირი დამყარონ ადგილობრივ მმართველობასთან. ასევე, ყურადღება ექცევა ურთიერთთანადგომას, დახმარე-



ბას.ძალისხმევა მიმართულია ეროვნული (ქართული) ენისა და კულტურის შენარჩუნება- განვითარებისაკენ. ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის საკითხიც ხშირად პრობლემას წარმოადგენს.

ბოლო წლებში ასაკი გაახალგაზრდავდა. ასევე, მეტია ქალების წილი: 45-50 წლის ქალებისა, რომელთა შვილები სტუდენტები არიან და სწავლისათვის სახსრები ესაჭიროებათ; 50-64 წლის ქალები, რომლებიც ძალიან გაჭირვებული ოჯახებიდან არიან წამოსულები; დები, რომლებიც თავად მოდიან, იმიტომ რომ მშობლები ვერ გამოუშვეს, ხოლო 25-35 წლის მამაკაცები იშვიათად მიდიან ემიგრაციაში. ადრე თუ უშუქობა-უწყლობა, სიტბოს უქონლობა გამოვლილი ქართველები ჩამოდიოდნენ, ახლა ჩამოდიან ქართველები, რომლებმაც ბანკებთან ურთიერთობაში საცხოვრებლები დაკარგეს და უზარმაზარი ვალები დაედოთ.


ადრე მეტი ყურადღება ეთმობოდა საბერძნეთში გადმოსულ დიასპორას სახელმწიფოს მხრიდან. ახლა ყველა მიტოვებულად გრძნობს თავს, როგორც მთავრობი-საგან, ასევე მოსახლეობისაგან."

**დიასპორის წევრების მიერ ეროვნულობის აღქმის შესახებ:**

თქვენ რის მიხედვით განსაზღვრავთ საკუთარ ეროვნულ კუთვნილებას?		
თვითშეგნების	12	60%
წარმომავლობის	11	55%
ენის	10	50%
დაბადების ადგილის	4	20%
მოქალაქეობის	3	15%
სხვა	1	5%
ბინადრობის	0	0%
ცხრილი 5. რა განსაზღვრავს ეროვნებას		

ზოგადად, იცვლება მოქალაქეობის, ეროვნულობის და სხვა სოციალური იდენტიფიკაციების აღქმა სოციალური ინდივიდების მიერ. საინტერესოა, როგორ ხედავენ ეროვნულობას, როგორც პიროვნების მახასიათებელს, საბერძნეთის ქართული დიასპორის წევრები. მნიშვნელობით ბოლო ადგილზეა ბინადრობა, თუმცა ამის მოლოდინი ნაკლები უნდა ყოფილიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ეროვნულობა (ეროვნება) და ნაციონალიზაცია ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ სინონიმებად ითვლებოდა. ასევე, ზოგიერთ ქვეყანაში საკმაო აგიტაცია ენოდნენ იმ მიმართულებით, რომ სწორედ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსაზღვრულიყო ეროვნება (თუ ნაციონალიზაცია?). ორი ცნებისათვის მრავალგვარი მიდგომები არსებობს. მაგალითად, რუსეთსა და თურქეთში ყველა რუსად (როსსიანი) ან თურქად ითვლება, ბევრი ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, თუ თავს ქართველად თვლის, პროფესიულად რუსად მიიჩნევს საკუთარ პიროვნებას. ასეა საქართველოშიც – საქართველოს ყველა მოქალაქე ქართველად იწერება როგორც მოქალაქე, მაგრამ წარმომავლობით (ეროვნებით) შეიძლება სომეხი, რუსი, ოსი ან აზერბაიჯანელი იყოს. ის კი არა, ზოგჯერ არის მცდე-

ლობები, ქართველებში გამოჰყონ ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც არცერთი სხვა სახელმწიფოს ერებს არ მიეკუთვნებიან. ასეთ ფონზე საინტერესოა, რომ პირველ რიგში ეროვნების განმსაზღვრელად დიასპორის წევრებმა (ნახევარზე მეტი) ეროვნულობის ძირითად მაჩვენებლად თვითშეგნება მიიჩნიეს, რაც შეიძლება მიგვანიშნებდეს პიროვნულობის, და არა კოლექტიურობის, როლის გაზრდაზე.



დიაგრამა 2. რა განსაზღვრავს ეროვნებას

## 7.2. სოციალურ-კულტურული ტიპოლოგიზაცია

მნიშვნელოვანია სოციალური ცვლილებისათვის მზაობაზე ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა- კეთილდღეობის ცვლილების მოლოდინი, საზოგადოებრივი (და დიასპორული) ჩართულობის, სოციო-ფსიქოლოგიური, სოციო-კულტურული და სოციო-დემოგრაფიული, რომლებიც ახასიათებენ სოციალურად აქტიურ სუბიექტს.

ოჯახის კეთილდღეობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მაჩვენებლები:

- ოჯახის ადგილსამყოფელი [ცვლადი v08; Excel-ში სვეტი e]
- კეთილდღეობის დონე [v09; f]
- საზოგადოებრივი, დიასპორული ჩართულობა [v27; v]

სოციალურ-კომუნიკაციური ტიპოლოგია:

- ეკლესიური („მორწმუნე“) [v30 ; y]
- ნაცნობ-მეგობრული („მეგობარი“) [v32; aa]
- კულტურული („ინტელიგენტი“) [v34; ac]
- ინტელექტუალური („ინტელექტუალი“) [v36; ae]
- სოციო-მედიური („ნეთიზენი“) [v38; ag]
- ცივილიზაციური პოტენციალის ინდექსი (=v30-v38 ცვლადების ნონების ჯამი / 5)

სოციალურ-ფსიქოლოგიური:

- პიროვნულ-ინდივიდუალური VS კოლექტიური

[v47; ap]

სოციალურ-კულტურული:

- ცივილიზაციური ორიენტაცია

[v49; ar]

სოციალურ-დემოგრაფიული:

- სქესი
- ასაკობრივი ჯგუფი

[v51; at]

[v52; au]

## სოციალურ-კომუნიკაციური ტიპების გავრცელების დონეები რესპონდენტების მიხედვით

გამოკვლევისათვის სხვებზე მნიშვნელოვანია რესპონდენტების სოციალურ-კომუნიკაციური ტიპოლოგიზაცია, რომლებიც ცვლილების პოტენციალთან მიმართებაში დამოუკიდებელ ცვლადებს წარმოადგენენ.

შემოგთავაზებთ პიროვნებების რამდენიმე სოციალურ ტიპს. გთხოვთ გვითხრათ, თქვენი აზრით მათგან რომელი ჭარბობს და რომელია ნაკლებად წარმოდგენილი ქართულ დიასპორაში:

ა. [დადის ეკლესიაში, სალოცავ სახლებში, არის მრევლის ან სხვა რელიგიური საძმოს წევრი, მონაწილეობს დღესასწაულებში, იცავს ტრადიციებს, დაინტერესებულია ხალხური შემოქმედებით ]

მეტად გავრცელებული	2	10.5%
გავრცელებული	9	47.4%
ნაკლებად გავრცელებული	8	42.1%
არ არის წარმოდგენილი	0	0%
ცხრილი 9. საეკლესიო კომუნიკაცია		

ბ. [ ხშირი ურთიერთობა აქვს მეგობრებთან, ნათესაებთან, ხვდება მათ თავყრილობებზე, გართობისა და ინფორმაციისათვის ძირითადად იყენებს ტელევიზორს, რადიოს და პრესას ]

მეტად გავრცელებული	6	31.6%
გავრცელებული	8	42.1%
ნაკლებად გავრცელებული	5	26.3%
არ არის წარმოდგენილი	0	0%
ცხრილი 10. მეგობრობის კომუნიკაცია		

გ. [ დადის საღამოებზე, კონცერტებზე, შოუ-ნარმოდგენებზე, ფიტნესზე კლუბებსა და ბარებში; ინტერესდება თანამედროვე ცხოვრებისუელი, კინოს, ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებით]

მეტად გავრცელებული	0	0%
გავრცელებული	5	26.3%
ნაკლებად გავრცელებული	13	68.4%
არ არის წარმოდგენილი	1	5.3%
ცხრილი 11. კულტურული კომუნიკაცია		

დ. [ ეცნობა და შეისწავლის სხვადასხვა სახის ბეჭდურ და ელექტრონულ ლიტერატურას; მისი ინტერესის სფეროშია ქართულ-ბერძნული ურთიერთობები, კულტურისა და ცივილიზაციის საკითხები ]

მეტად გავრცელებული	1	5.3%
გავრცელებული	5	26.3%
ნაკლებად გავრცელებული	12	63.2%
არ არის წარმოდგენილი	1	5.3%
ცხრილი 12. ინტელექტუალური კომუნიკაცია		

ე. [ ფაქტობრივად „ცხოვრობს“ ინტერნეტში; ინფორმაციას, გართობისა და ცოდნის მოპოვების საშუალებებს მოიძიებს ინტერნეტში; ურთიერთობს მეგობრებსა და ნაცნობებთან სოციალურ ქსელებში; შესაძლოა, გამოიყენებს ინტერნეტს გადახდების, გადარიცხვების, შექენისა და ვებ-კომერციული საქმიანობის მიზნით]

მეტად გავრცელებული	5	26.3%
გავრცელებული	10	52.6%
ნაკლებად გავრცელებული	4	21.1%
არ არის წარმოდგენილი	0	0%
ცხრილი 13. ინტერნეტ კომუნიკაცია		

საშუალოდ გამოკითხული მასივისათვის (n=21) ეს მაჩვენებლები ასე გამოიყურება:  
 [წონები\*\* -სხვადასხვა შკალების მნიშვნელობების ნონითი ღირებულებები სხვადასხვაა]

მისწვევ. ხმოები	რესპონდენტების მიხედვით	
მისი ოცენი (ცხოვრება) [e]	- სახერბ., საქართველო, სსრკ	
მისი კეთილდღეობა არის [f]	- 2.1 (1-მადლო, 1-მადლო, 3- ხაზინები)	
მისი დიასპორული ჩართულობა [v]	- 3 (1-მადლო, 5-დაბალი)	
დიასპორის ეკლესიური აქტივობა [v]	- 2.3 (1-მადლო, 5-დაბალი)	წინა- 3.6
საქონ-მეცხოვრება [a]	- 1.9 გაერველული	2.5
სოციალური კავშირები აქტივობა [a]	- 2.8 საკლებად იქნ.	2.6
ინტელექტუალური აქტივობა [a]	- 2.7 საკლებად იქნ.	3.4
მსოფლიო აქტივობა [a]	- 1.9 მცდედ გაერველული	4.1
ეთნოლინგვისტური კვლევის პოტენციალის ინდექსი [წინა-კავ/57]		3.2
დიასპორის პირველი ინვესტიციები [a]	- 1.5 დაბალი	3
ეთნოლინგვისტური ინტენსივობა [a]	- 1.6 კრავილული აქტივობა	2.5
სტესტი [a]	- 29% მასკი	
საქონიერი ეკლესია [a]	- 58% საბ. სახის [საბ. სახის 40-55 წ.]	

*[e] კვლევის აქტივობის მსოფლიო კვლევის კონსტრუქციული მონაცემები კვლევის  
მონაცემთა პირველი 3 არის მესამე და 1 მადლო კონსტრუქციული პოტენციალის მქონე  
რესპონდენტების მიხედვით მარჯვნივით ქართული დიასპორის  
კონსტრუქციული პოტენციალი სახელზე იქნა (მ.წ. 1997) მქონე*

### რესპონდენტთა სოციალურ-კულტურული მახასიათებლების ინდიკატორები

ცვლილებებისათვის მზაობის ინდექსი გამოითვლება მხოლოდ სოციალურ-კომუნიკაციური დამოუკიდებელი მაჩვენებლების მიხედვით. თუმცა, შესაძლოა, მისთვის სხვა მახასიათებლებსაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, ამჯერად, სოციალურ-კომუნიკაციურს მივანიჭეთ უპირატესობა, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ თანამედროვე პოსტ-მოდერნულ სიტუაციაში, როგორც თვლიან (სოციალური მეცნიერებების თეორიულ წარმომადგენელთა უმეტესობა), სწორედ კომუნიკაცია განმსაზღვრელი გარემოება რისკულ სიტუაციებში, რაც დამახასიათებელია არა მხოლოდ დიასპორებში მაცხოვრებელი სოციალური ინდივიდებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ დღეს არა უზოგადეს ინტერპრეტაციებს უთმობენ ყურადღებას, არამედ პიროვნების უშუალო კონტაქტების განხორციელებისას ხდება გარემო სიტუაციებში (გარემოებებში) გარკვევა. ანუ, არა საკაცობრიო ან ეროვნულ რაციონალიზაციას ემყარება სამყაროს გაგება, არამედ ერთგვარ რეფლექსიურ კომუნიკაციას, რომელთა დროსაც მუდმივად ყალიბდება ახალი გაგებები ახალი სიტუაციებისათვის. ამიტომ პირველ რიგში ცვლილების მზაობის დონის გასარკვევად მივმართეთ არა მატერიალური კეთილდღეობის ან კეთილდღეობის მოლოდინების მაჩვენებლებს ან თუნდაც ღირებულებით ორიენტაციებს (მაგალითად, დასავლური, ჩრდილოური, აღმოსავლური, კლასობრივი ...) ან საზოგადოებრივ ჩართულობებს, არამედ პერსონალურ ჩართულობას ისეთ ინდივიდუალურ ზეგულ კომუნიკაციებში, როგორიცაა ეკლესიურობა, მეგობარ-ნათესაური ურთიერთობები, უშუალო გარემოსათვის დამახასიათებელი კულტურული საურთიერთობა აქტივობები, პიროვნული ინტერესი ინტელექტუალური ცოდნისადმი, ე.წ. სოციალურ-მედია ონლაინ აქტივობები. ჩვენი აზრით, სწორედ ამ სოციალური ხასიათის ურთიერთობებში მყარდება ინდივიდუალური კავშირები კონკრეტული (და არა საკაცობრივი) ინტერპრეტაციის შესამუშავებლად.

სხვადასხვა კომუნიკაციური აქტივობების დონეები, რასაკვირველია, განსხვავებულია. ასევე, განსხვავებულია თავად რესპონდენტების დამოკიდებულება მათი მეტად თუ ნაკლებად გავრცელებასთან მიმართებაშიც. ამ სოციალურ-კომუნიკაციური აქტივობების შეფასება რესპონდენტების მხრივ საკმაოდ გამოკვეთილად

ჩანს მათივე მსჯელობებში, და, ამას გარდა, ისინი (აქტიოები), თავიანთი თვისობრიობის გამო არაერთგვაროვანი არიან ცვლილების მოთხოვნების თვალსაზრისით. მაგალითად, ეკლესიურობა და მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობები თავიანთი კონსერვატიულობისა და მეტი ტრადიციულობის გამო თითქოს ნაკლებად ხელისშემწყობად უნდა მოიაზრებოდნენ ცვლილებების გენერაციისათვის. ხოლო, ქსელური აქტიობა და თანამედროვეობაში გარკვევის მიმართ მეტი ინტერესის გამოჩენა უფრო უნდა განაწყობდეს სოციალური სუბიექტს სოციალური ცვლილებებისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ თეორიულ მოსაზრებას კვლევის შედეგების მიხედვით მხოლოდ ზოგიერთ მაჩვენებელთან მიმართებაში მოეძებნა დამტკიცება, სხვებისათვის კი მათი კავშირი (კორელაცია) ცვლილებების მზადყოფნასთან არც თუ ისე დამაჯერებელი აღმოჩნდა.

კომუნიკაციის აქტიობების სახეობებისათვის არსებობს „ტრანსფორმაციულობისათვის“ ერთგვარი მეტნაკლები შინაგანი „მზაობა“, რაც მათი შეფასებისას, მათთვის წონების მინიჭებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას. მაგალითად, „ეკლესიურობა“ კონსერვატიული ბუნებისა და ტრადიციონალიზმის (წარსულთან მეტი ბმის გამო) სხვა აქტიობებზე ნაკლებად არის დაკავშირებული ცვლილებასთან, ან უკუპროპორციულიც კი შეიძლება იყოს. რესპონდენტების ანალოგიური დამოკიდებულება „ეკლესიურობასთან“ ჩანს იქიდან, რომ ისინი ნაკლებად ავლენენ საბერძნეთის ქართულ დიასპორაში ამ აქტიობის მათივე თვალსაზრისით არც თუ ისე მაღალი გავრცელების დონისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. ანუ, რაც დაბალია ეს ფორმა აქტიობისა, მით მეტი უნდა იყოს სოციალური ცვლილებისათვის მზაობა. ამის საპირისპიროდ, ისეთი ახალი სახეობა კომუნიკაციური აქტიობისა, როგორცაა ვირტუალურ სოციალურ სივრცეებში ურთიერთობა, უფრო რელევანტური უნდა ყოფილიყო ტრანსფორმაციისათვის; და მისი გავრცელების დონეც რესპონდენტების მიერ არც თუ ისე მცირედ აღიქმებოდა. ამიტომ, შეფასებისას (შენიშნვის, წონის მინიჭებისას) იგი ტრანსფორმაციისათვის განისაზღვრა როგორც პროპორციული აქტიობა. წინასწარ ვიტყვით, – როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მოლოდინი, რომ იგი – ქსელისკაცობა „ეკლესიურობასთან“ შედარებით უფრო ქმედითი ფაქტორი იქნებოდა სოციალური ცვლილებისათვის, არ გამართლდა. მისი მიმართება (კორელაციის კოეფიციენტი) ტრანსფორმაციის პოტენციალის მაჩვენებელთან არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

### **7.3. ცვლილების პოტენციალის მაჩვენებელი**

აქტიობის გავრცელების დონის მაჩვენებელი ფასდება აქტიობის ამა თუ იმ სახეობის ცვლილების თვალსაზრისით, ანუ შეიწონება ტრანსფორმაციისათვის ადეკვატურობის შესაბამისად. რაც უფრო მეტად ადეკვატურია აქტიობა ცვლილებისათვის, მით მაღალია მისი ტრანსფორმაციული მნიშვნელობა, წონა (მაქს. 5) და რაც უფრო არაადეკვატურია აქტიობა ცვლილებისათვის, მით დაბალია მისი ტრანსფორმაციული მნიშვნელობა (მინ. 1); ამა თუ იმ აქტიობის ტრანსფორმაციული მნიშვნელობა კორექტირდება ამ აქტიობის გავრცელების დონის შესაბამისად. მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, ტრადიციული აქტიობები მათი კონსერვატიული ბუნების გამო ნაკლებად წონადი ან უკუპროპორციულიც კი არის სოციალური ცვლილებისათვის, ამიტომ, მათი გავრცელების დონეც დაბალი მნიშვნელობის ან საპირისპირო მნიშვნე-


ლობისაა. ხოლო აქტიობის ახალი ან მეტი ინტელექტუალობის სახეობების გავრცელება ცვლილებისათვის უფრო ხელისშემწყობ საქმიანობად აღიქმება. აღნიშნავთ, რომ ურთიერთმიმართებების ცხრილებში „სიახლის“ ან „გონივრულობის“ აქტიობები არც თუ ისე მაღალ ფაქტორულ დატვირთვებს ავლენდნენ.

საბერძნეთის ქართული დიასპორისათვის სოციალურ-კომუნიკაციური აქტიობისა და სოციალური ცვლილებისადმი მზაობის დონის მაჩვენებლები ამგვარად გამოიყურება:

დიასპორის სოციალურ-კომუნიკაციური აქტიობის ხუთი მაჩვენებლის **გავრცელების დონეები** 5-ბალიან შკალაზე ( 5 არის გავრცელების მაღალი დონე; 1 არის დაბალი და 2.5 არის გავრცელების საშუალო დონე) ასეთია:

რანგი სოც-კომუნიკაციური აქტიობა ინდიკატორი

1. ნაცნობ-მეგობრული (მეგობარი) - 2.63 (საკმაოდ გავრცელებული)
2. ციფრულ-ქსელური (ნეთიზენი) - 2.63 (საკმაოდ გავრცელებული)
3. ეკლესიური (მორწმუნე) - 2.38 (საშუალო მაღალი)
4. ინტელექტუალური (ინტელექტუალი) - 1.85 (საშუალოზე დაბალი)
5. საზოგადოებრივ-კულტურული (ინტელიგენტი) - 1.79 (საშუალოზე დაბალი)




დიაგრამა 3ბ. სოციალურ-კომუნიკაციური აქტიობა და ტრანსფორმაციის პოტენციალი

როგორც ვხედავთ, საბერძნეთის ქართული დიასპორისათვის **გავრცელების მაჩვენებლით** სხვებზე მეტია ნაცნობ-მეგობრული კომუნიკაცია, ისევე, როგორც საქართველოში (ან იქნებ, მეტადაც).

რაც შეეხება **სოციალური ტრანსფორმაციის მაჩვენებელს** — ჩვენი შემთხვევისათვის **5 სოციალური აქტიობის გავრცელების მაჩვენებლების შეწონვების საშუალო სიდიდეს**, იგი გამოკითხული მასივისათვის უდრის **3,2** ხუთბალიან შკალაზე, (დიაგრ. 4) **5 ტრანსფორმაციის მაღალი მზაობისა და 1 დაბალი მზაობის აღმნიშვნელია**, და იგი, შეგვიძლია ვთქვათ, საშუალოზე მაღალია. როგორ შეიძლება ეს გავიგოთ?

ინტერპრეტაცია საკმაოდ საჭოჭმანო საქმეა, მით უფრო, სამომავლო ვარაუდის გამოთქმა, მაგრამ მაინც გვინდა ვთქვათ, რომ **3.2** საკმარის მზაობაზე მიუთითებს. დღეისათვის შესაძლოა მეტი უფრო მძაფრი სიტუაციის მანიშნებელიც კი ყოფილიყო. სიტუაცია რევოლუციური ნამდვილად არ არის, რაც ალბათ კარგია, მაგრამ ცვლილებისათვის სოციალური მზაობაც საკმარისი ჩანს.

ტრანსფორმაციის პოტენციალს აქვს მაღალი და დაბალი მაჩვენებლების ზონები. მათი ვიზუალიზაცია უკეთესად გავარკვევს, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს საბერძნეთის ქართული დიასპორის 3.2, როცა შედარებისათვის არ გვაქვს სხვა ქვეყნების დიასპორების ანალოგიური მაჩვენებლები. დიაგრამაზე 4 ჩანს, რომ 3.2 საკმაოდ ავსებს სატრანსფორმაციო პოტენციალის სივრცეს; ანუ, რესპონდენტთა მცირე ნაწილია სამუშაოზე დაბლა; ხოლო, მთელს ამ სივრცეში, დიასპორის შერჩევითი მასივისათვის (ვერტიკალური ლერძი) ტრანსფორმაციულობის 1-დან 5-მდე ინტენსივობის (ჰორიზონტალური ლერძი) სივრცეში ნაკლებია თავისუფალი და მეტია „ათვისებული“.



დიაგრამა 4. დიასპორაში მაღალი და დაბალი პოტენციალის ზონების ვიზუალიზაცია

#### 7.4. ზოგადი დასკვნები, ძირითადი მიგნებები

უნდა აღინიშნოს რესპონდენტთა პასუხებში გამოვლენილი ზოგიერთი ტენდენცია:

- დიდი უმეტესობა (18 რესპონდენტი) აღნიშნავს, რომ საქართველო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დატოვა (მხოლოდ სამი შემთხვევაა – როდესაც საბერძნეთში დარჩენის მიზეზად: სწავლა, სპორტული კარიერა, და სამეცნიერო საქმიანობა სახელდება)
- ეკონომიკური მდგომარეობის დინამიკის მიხედვით რესპონდენტთა პასუხები



ასე გადანაწილდა: „არ შეცვლილა“ -6; „გაუარესდა“ - 3; „დღეს უკეთესია, ვიდრე ადრე“ -11; პასუხი არ გვაქვს -1;

- ხოლო იგივე პარამეტრის - ეკონომიკური მდგომარეობის - უახლოეს მომავალში გაუმჯობესების მოლოდინები გადანაწილდა ასე: „არ ველი მნიშვნელოვან ცვლილებას“ -12; „ველი გაუარესებას“-3; „ველი, რომ იქნება გაუმჯობესება“ - 5; პასუხი არ გვაქვს -1;
- გარდა ამისა საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას რესპონდენტთა ნაწილი უკავშირებს მხოლოდ საქართველოს - 3; საბერძნეთსაც და საქართველოსაც - 7; მხოლოდ საბერძნეთს -7; სხვა ქვეყანას -3; რესპონდენტთა აზრით, დიასპორების ფორმირების დანიშნულებათა სამეურნეო, კულტურული თუ სხვა საქმიანობებისათვის პირობების შექმნა სხვა გარემოში. ასევე, დიასპორების შექმნის მიზეზები იყო საფრთხეებისაგან თავის დაღწევა, ეგზოსტენციური პირობების გაუმჯობესება, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საბერძნეთის ქართული დიასპორა ჩვენი რესპონდენტების მიერ ძირითადად ახალ მოვლენად აღიქმებოდა, თუმცა მათთვის ცნობილია ის დიდი ისტორია, რომელიც აქვს ქართულ-ბერძნულ ურთიერთობას და ქართველების წარმომადგენლობითობას ანტიკური თუ შუასაუკუნეების საბერძნეთში. თვლიან, რომ იმ ძველი ურთიერთობის საფუძველზე ქართული დიასპორა შეიძლება ოდესღაც არსებობდა, მაგრამ დღეისათვის იგი აღარ არსებობს. ამიტომ ქართველების დიასპორა საბერძნეთში ბოლო 20-25 წლის მოვლენაა. წლების განმავლობაში დიასპორამ გაახალგაზრდავება განიცადა, ანუ მიგრანტებად უფრო ხშირად შედარებით ახალგაზრდა ადამიანები არიან. ასევე მეტია ქალების წილი. ზოგიერთი დღევანდელ ქართულ დიასპორას მესამე ტალღად მიიჩნევს. ისიც აღინიშნა, რომ ახლანდელი საბერძნეთში მაცხოვრებელი ქართველების მეორე თობა იქნება პირველი [სრულყოფილი] დიასპორა.

ქართველები მიმღები ქვეყნის განვითარებაში არავითარ როლს არ თამაშობენ. საჭიროა ყურადღება მიექცეს საქართველოდან ბოლო ათწლეულებში საბერძნეთში გადასახლებულ ბერძენ ქართველებს, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობის არიან და რომელთა როლიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ორი ხალხის ურთიერთობებისათვის. ასევე სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს დიასპორის ახალგაზრდობის მიმართ სახელმწიფოს ყურადღება, მათ განათლებაზე ზრუნვა. ადრე საქართველოს სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობდა დიასპორას, ახლა ყურადღება არ არის, ასეთ აზრსაც გამოთქვამენ რესპონდენტები.

უმთავრეს მიზეზად ბოლო ათწლეულების განმავლობაში მათი ოჯახების ეკონომიკურ გაჭირვებას ასახელებენ. თუმცა, ეტყობა, მიზეზი უახლესი ისტორიის განმავლობაში იცვლებოდა. თუ ეს იყო სიცოცხლის საფრთხისათვის თავის დაღწევის მიზეზი, შემდეგ უფრო ეკონომიკური გაჭირვება იქნა წამოყვანილი პირველ პლანზე. უკანასკნელ პერიოდში გაჩნდნენ ისეთი მიგრანტებიც, რომლებიც საბერძნეთში გადასვლის უფლების მისაღებად არც თუ საფუძველიანად პოლიტიკურ სარჩულს იყენებდნენ. დღეისათვის, ალბათ მაინც, მიგრანტებისათვის უპირველესი მიზანი მათი საბერძნეთში გადასვლისა არის (იყო) შეილებისათვის უკეთესი, ევროპული („საბერძნეთი ევროპის კავშირისა და ნატოს ქვეყანაა“) პერსპექტივა.

პირველ ეტაპზე დიასპორა და მისი წევრები ყურადღების უმეტეს ნაწილს ახალ ქვეყანაში მოწყობას უთმობდნენ. თანდათან იმატა დიასპორის ყურადღე-

ბამ საკუთარი კულტურის შენარჩუნებისათვის ზრუნვაზე. დღეისათვის დიასპორული ორგანიზაციებში ბრევრია ისეთი, რომლებიც არათუ მხოლოდ გადმოსულების მოწყობასა და ადაპტაციაზე ზრუნავენ, არამედ ცდილობენ ხელი შეუწყონ ქართული კულტურის განვითარებას, ენის შესწავლას.

ინფორმაციის წყარობად ქართული, ადგილობრივი, ევროპული და რუსული საშუალებები სახელდება. ურთიერთობის ენებია პირველ რიგში ქართული, ბერძნული და რუსული, ხოლო შემდეგ ინგლისური. ეროვნულობის განმსაზღვრელად თვითშეგნებასა და წარმომავლობას ასახელებენ; საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არცერთმა რესპონდენტმა გამოკითხულთაგან არ განსაზღვრა ეროვნულობა.

საზოგადოებრივი ჩართულობის მხრივ უკეთესი მდგომარეობაა დღეს, ვიდრე ეს იყო დიასპორის პირველ ეტაპებზე. საკმაოდ მაღალია დიასპორული ჩართულობის მაჩვენებელი, თუმცა, ეს შეიძლება გამომდინარეობდეს იქიდანაც, რომ ინტერვიურების ობიექტები უმეტესწილად დიასპორული ორგანიზაციების ირგვლივ თავმოყრილი ადამიანები იყვნენ.

საინტერესოა რესპონდენტების პოზიციონირება პიროვნულ ინდივიდუალიზმსა და ე.წ. კოლექტიურ ინდივიდუალიზმს შორის. ინდივიდუალიზმის ამ ორ ფორმას გამოკვლევაში განვასხვავებთ [ქართული] ინდივიდუალიზმის ტრადიციული, საბჭოური და თანამედროვე ევროპული გაგებით. ინდივიდუალიზმის ქართულ ტრადიციულ გაგებაში იგულისხმება ქართველის პიროვნული ინდივიდუალიზმი, თუმცა კი მისი უშუალო გარემო (ოჯახი, მეგობრები, ნათესაობა) დაცვით უზრუნველყოფილი. „კოლექტიური ინდივიდუალიზმის“ ეს [ქართული] ფორმა საბჭოური კოლექტივიზმისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ქართული უფრო პერსონიფიცირებული იყო და შედარებით ნაკლებად დაცული საბჭოური სოციალური გარანტიებით. ევროპული ინდივიდუალიზებული საზოგადოებებისათვის პიროვნების განცალკევება გაზრდილია, მაშინ, როცა თავად ეს ინდივიდუალიზებული პიროვნება მეტ არაპერსონიფიცირებულ სოციალურ გარანტიებს ღებულობს. ევროპული ემიგრაციის პირობებში რთული იყო ადგილობრივი სოციალური გარანტიებით სარგებლობა, გართულდა ტრადიციული სოციალური გარემოთი სარგებლობაც, მაგრამ ეს ტრადიციული დაცულობა უფრო შესაძლებელი იყო. ამავე დროს, ბევრი გადასული ქართველი სრულიად მარტო აღმოჩნდა ცხოვრებისეულ პირობებთან პირისპირ. შესაძლოა, ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ პოზიციის მაჩვენებელი პიროვნულ ინდივიდუალიზმსა და ტრადიციულ „კოლექტიურ“ ინდივიდუალიზმს შორის რამდენადმე, თუმცა არც თუ ისე ძლიერად, გადახრილია ტრადიციულისაკენ (=2 ხუთბალიან შკალაზე, სადაც 5 პიროვნულ ინდივიდუალიზმს აღნიშნავს, 1 კი „კოლექტიურს“). ასევე ორის ტოლია ცივილიზაციური ორიენტაციის მაჩვენებელი უფრო „ტრადიციულ“ და „ჩვეულ საბჭოურ“ ავტორიტარინზმა და დასავლურ დემოკრატიულ-ლიბერალურ პოზიციას შორის. ამ მაჩვენებელს შესაძლოა ციკლური ხასიათი ჰქონდეს, ანუ იგი შესაძლოა მეტი იყო რამდენიმე წლის წინ და ნაკლებია ახლა ცვალებადი გარემოს რეფლექსიური აღქმის შესაბამისად. თუმცა, იგი შესაძლოა ქანქარას პრინციპით იცვლებოდეს.

ცალკე თემაა ტრანსფორმაციის პოტენციალის მაჩვენებელი, რომელიც სოციალურ-კომუნიკაციური აქტივობების – „ეკლესიური“, „მეგობრული“, „კულტურული“, „ინტელექტუალური“ და „ქსელისკაცობის“ სოციალ-მედიაური ჩართულობის ინტენსივობით ხასიათდება. გამოკვლევული მასივისათვის იგი 3.2 ტოლია,

რაც მიგვანიშნებს ერთგვარ მიდრეკილებას სოციალური ცვლილებებისაკენ, ანუ, დიასპორაში არის გარკვეული მზაობა სოციალური განახლებისათვის. ამ მაჩვენებლით ასევე დახასიათებულია თითოეული რესპონდენტიც (დიაგრამა 4), სამომავლოდ სასარგებლო იქნებოდა ამ მაჩვენებლების დახვეწა და ფრიად პერსპექტიულად გვესახება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების (არა მხოლოდ დიასპორულის) ამ მაჩვენებლებით შედარება.

**BADRI KUTELIA, GRIGOL KALANDADZE**

## **Georgian Diaspora in Greece – Potential for Transformation**

### **Summary**

A sociological study has been carried out to understand better the development tendency features for the present Diasporas. Georgians in Greece were interviewed to find out what potentials diasporas have to change in their individual and social lives.

The research problem was defined whether Georgians living under certain circumstances in foreign countries might be affected specifically due to facts that they experience social and cultural pressure; away from their loving homes and household members, in the surrounding of alien cultural and social norms they might have reacted differently to fast changing and rather highly dynamic conditions.

Another side of the problem is that besides their affected selves, they themselves apply some pressure to the country and society (more or less) that accepts them; as well, they have their impact, greater than to the societies they live within today, to the country and society of their origin, i.e., Georgia and Georgian life.

The character of mutual influence between diaspora members and locals, on one hand, and diaspora and their former fellow citizens left behind on the other hand, has been transformed dramatically because of the radical progress in human rights and technological abilities of the modern globalized humanity to cover vast distances physically or by means of virtual communication.

It is worthy to note that the study is somewhat experimental in the sense of examining new pursuits of migrants and sporadic ways of the lives led by Diasporas in spatial or temporal sidelines. Cultural diversity, –exchange with other cultures in close juxtaposition, in adjacent contrast with varieties of ones' own cultural past present and future, as well as with “dehumanizing” tendencies of the new world,– is a specific pressure that might well push social actors to overlook their traditional views and habitual “knowledge” about how to conduct themselves.

Other challenge for the study was a methodological assignment that has been and is necessary to undertake in order to find new responses to quite a few newly sets of objectives. We attempted to solve the issue by leaving open the ends of the questions, as well as by leaving the data-matter, mined during the interviewing, to future treatments: statements of the respondents could be viewed as descriptions of lives subjected to interpretations according to different fields of social and humanitarian sciences.

The methodological scheme of concepts is also experimental, left open to critical reviews and overviews. It is another challenge that the sample is rather small and does not represent Georgians of Greece, though, we think, assertions of our respondents give us some sense

of societal attitudes. It is our hope to continue the research and find comparative figures or data in other Georgian Diasporas; or just in other social groups defined by different, rather than diaspora, criteria.

There were selected five variables depicting personalities of diaspora (i.e. social group) members that might influence reactions of respondents to changing cultural and social environment, causing them to transform themselves; and, on the contrary, to reject succumbing to oppressive changes. These five socio-cultural traits of human relations are being socially affiliated to a church (1), leading a life of what Georgians consider amicability with friends and relatives and acquaintances (2), intelligibility, as understood by soviet tradition of the social layer of intelligentsia, i.e. to lead a socially and culturally active life of a middlebrow philistine common man (3), trying to lead an intellectual way of life (4), and leading a life of modern social media generation men, indicated in our research as "Netizen" or "man of the Net", "qseliskaci" in Georgian (5). The above mentioned socio-cultural characteristics tend to be present in a society (a) and are more or less responsive to social changes (b) and transformation. Here it is, where we can count how great the potential for the change is for a social group, as well as for an individual, but an individual person can do what he can possibly do if included in social predisposition (social set). We tried to measure the indicator from one to five, where 1 is for the least potency and 5 is for the utmost transformation drive.

As our respondents assume, the main purpose of establishing Diasporas is to create conditions for economic, cultural, and vocational activities under different environments; to avoid existential threats or to recover existential settings. Nowadays Diaspora in Greece is rebuilt, as ancient Georgian Diasporas, if they have existed, are no more tangible. For our respondents economic hardship was the main reason of leaving Georgia and moving to Greece. However, the reason has been changing during the decades: in the 1990's the main reason for moving to foreign country was a threat of personal life; gradually it became economic and later, to provide their children with better perspective of life. More than half of them responded that their lives have had become better. They also tend to think, the economic change in their lives for the future more likely will be improved rather than worsened, and their hopes are still connected to Greece rather than to Georgia or other foreign countries. In modern Georgian diaspora in Greece, women play more actual role than men. Only the next generation of today's Georgians in Greece might be considered as a real first diaspora, as they suppose.

First years of diaspora life are dedicated to arrangements of settling; After, they try to improve local conditions, and some of them try to pay more attention to caring for cultural survival or promoting Georgian cultural traditions and language among Georgians. Their languages, and therefore linguistic means of communication, are Georgian, Greek, Russian, and seldom western European languages. Nationality or national belonging is not necessarily defined as belonging to one's own ancestors or origin, or country of birth or dwelling; it is rather a concern of one's consciousness, of what nation an individual attach himself/herself.

The important parts of social transformation drive are the following: social involvement, engagement or inclusion. The more an individual is engaged, the more significant is his/her role in social change, promoting it or pulling backward. Today, diaspora members are more engaged in social and diaspora life than they used to be some time ago. We also think that self-positioning between traditional national or soviet type of "collective individualism" (a) or modern European human rights protected personal individuality (b) is important for transitional traits. Our average respondent slightly tends toward traditional type. However, it might have a cyclic character; one trend prevails today, and another one predominated yesterday or will do tomorrow. As for the indicator of transformation, - a potency of social change calculated by

means of five characteristics, it is a bit more favorable for transformation than keeping habituated ways of life (=3.2 on a 5-point scale).

As mentioned above, we created, to be more exact - our respondents created texts depicting their lives in diaspora in small accounts; their replies give us vivid pictures of their attitudes to what has been happening to them. Section 7.1 of the report, "Questions and Answers", represents examples of short narratives of the respondents.

Authors express their gratitude to the Ilia State University, Georgia; for provided organizational and administrative support for the survey in April-July 2015.

**მიხეილ თარხნიშვილი**, საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან მე-7 საუკუნის დასასრულამდე, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, უნივერსალი, 2014.

**ელგუჯა მამუკელაშვილი**, ი. სტალინი, შ. დე გოლი და ქართული ემიგრაცია (1921-1953), თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, სვეტი, 2014.

**Георгий Мамулия**, Страна огней: В борьбе за свободу и независимость ; Политическая история азербайджанской эмиграции 1920-1945 гг. / Г. Мамулия, Р. Абуталыбов. – Париж ; Баку, тип. CBS Polygraphic production, 2014.

**ლამარა ასლამაზიშვილი**, ქართული ემიგრაციის ისტორიიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთი, პოლონეთი, ინგლისი), თბილისი, უნივერსალი, 2015.

David Kolbaia, Pod skrzydłami Rzeczypospolitej. Emigracja gruzińska w Polsce 1921-1939, Uniwersytet Warszawski, Warszawa, 2015 (დავით ყოლბაია, ჟეჩიპოს-პოლიტას ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939 წლებში, ვარშავა, 2015).

**ოთარ ჯანელიძე**, ნოე რამიშვილი – საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბილისი, გამომცემლობა „პეტიტი“, 2015.

**იენისი** – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა „ქართული ემიგრაციის დარბაზი“.

**ივლისი** – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის დარბაზში გაიმართა ჟურნალის „ქართული ემიგრაცია“ #2-სა და მიხაკო წერეთლის წიგნის – „საქართველო და მსოფლიო ომი“ – პრეზენტაცია.

**ოქტომბერი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა. ქართველმა ემიგრანტმა ტიერი ბერიშვილმა ცენტრს მამია და ქრისტინე ბერიშვილების საოჯახო არქივი გადასცა.

**ოქტომბერი** – დაფუძნდა საზოგადოება „ქართული ემიგრაციის დარბაზის მეგობრები“ (თავმჯდომარე რუსუდან გორგილაძე).

**ნოემბერი** – საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა ცნობილი ემიგრანტი ქართველი ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა „ალექსანდრე ქართველი – ამერიკული ავიაციის ქართველი გენიოსი“.

**ნოემბერი** – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გიორგი მაჩაბლის დაბადებიდან 130-ე და გარდაცვალებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ემიგრაცია XXI საუკუნის გადასახედიდან“.

**მიხეილ ბახტაძე** - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

**გრიგოლ კალანდაძე** - ისტორიკოსი, დიასპორების ექსპერტი, დიასპორული კვლევების ცენტრის დირექტორი.

**ნათია კობახიძე** - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

**მარიამ მარჯანიშვილი** - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი.

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი** - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

**ბადრი ქუთელია** - სოციოლოგი, ფილოსოფიის დოქტორი, „გორბის“ მკვლევარი, ბათუმის უნივერსიტეტის მინვეუი ლექტორი.

**გურამ ყორანაშვილი** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

**ლალი ცომაია** - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების კურატორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

**მაია ცერცვაძე** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, მთარგმნელი.

**მარიამ ხატიაშვილი** - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი.

**ოთარ ჯანელიძე** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.

**სოფიკო ჯერვალიძე** - რობერ შუმანის ევროპული სასწავლებლის პედაგოგი.



